ჩვენი მისამართი:
ევროპის საბჭოს ოფისი საქართველოში

ჭავჭავაძის გამზირი 34
პიქსელის ბიზნეს ცენტრი, მე-8 სართული
თბილისი 0179, საქართველო
ტელეფონი: +99532 291 38 70/71/72/73
ელ.ფოსტა: informtbilisi@coe.int
ვებ-გვერდი: http://www.coe.ge
http://eap-pcf-eu.coe.int



წინამდებარე გამოცემა მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური დახმარებით. აქ გამოთქმული მოსაზრებები არ გამოხატავს ევროკავშრის ოფიციალურ პოზიციას.


KA

ევროპის საბჭო არისა დამიანის უფლება თამოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 47 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთაგან 28 ევროპის კავშირის წევრიცაა.

ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას - ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში.

www.coe.int

ევროკავშირი არის ევროპის 28 დემოკრატიული სახელმწიფოს განსაკუთრებული ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის პლატფორმა. მისიმიზნებია: მშვიდობის, კეთილდღეობის და თავისუფლების უზრუნველყოფა მისი 500 მილიონი მოქალაქისთვის- უფრო სამართლიან და უსაფრთხო მსოფლიოში. აღნიშნულის მისაღწევად, წევრი ქვეყნები აფუძნებენ ევროკავშირის მმართველობით და საკანონმდებლო ორგანოებს. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია ევროპარლამენტი (სადაც წარმოდგენილია ევროპის მოსახლეობა), ევროკავშირის საბჭო (სადაც წარმოდგენილია ეროვნული მთავრობები) და ევროკომისია (რომელიც წარმოადგენს ევროკავშირის საერთო ინტერესებს).

http://europa.eu

# ვმუშაობთ ერთად ადამიანის უფლებების, დემოკრატიის და კანონის უზენაესობის მხარდასაჭერად


სომხეთის, აზერბაიჯანის, საქართველოს, მოლდავეთის რესპუბლიკის, უკრაინის და ბელორუსიის პროგრამული თანამშრომლობის ჩარჩო

Funded by the European Union and the Council of Europe

EUROPEAN UNION

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

Implemented by the Council of Europe

unicef
unite for children

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის სასწავლო ცენტრი

სახელმძღვანელოს შინაარსი


1. ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ....................................................2

2. ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ (ლანსაროტის კონვენცია)..................................................8

3. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე..........................................................................26

4. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებები ..................................................39

5. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია...........................................................................................46

6. გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები)..................................................................64

7. გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ ('პეკინური წესები')...............................................73

8. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ..............................................................................................92

9. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი N14 ბავშვის უფლებების შესახებ..................................................................................................................................................113

10. ბავშვები მართლმსაჯულების სისტემაში......................................................................................131

11. სასწავლო მოდულის ფსიქოლოგიური ნაწილი.............................................................................166

12. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი......................................................................232

„ევროპის საბჭოს სტანდარტები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაზე“

# ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ

## (საქართველოს სახელმწიფოს მიერ არ არის რატიფიცირებული)

### პრეამბულა

ევროსაბჭოს წევრი და სხვა ხელისმომწერი სახელმწიფოები

მიაჩნიათ რა, რომ ევროსაბჭოს მიზანია, მიაღწიოს წევრებს შორის ერთიანობას, აღიარებენ რა გაერთიანებული ერების კონვენციას ბავშვთა უფლებების შესახებ, კერძოდ, მის მეოთხე მუხლს, რომელიც მოითხოვს მხარეებისაგან, მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სხვა ზომები აღნიშნული კონვენციით აღიარებული უფლებების დასაცავად;

გამოხატავენ რა თანხმობას საპარლამენტო ასამბლეის 1990 წლის 1121 რეკომენდაციაზე ბავშვთა უფლებების შესახებ;

მიაჩნიათ რა, რომ ბავშვთა უფლებები და ინტერესები უნდა იქნას აღიარებული და აქედან გამომდინარე ბავშვებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაცულ იქნას მათი უფლებები, კერძოდ, მათთან დაკავშირებული საოჯახო საქმეების საპროცესო წარმოებისას;

აღიარებენ რა, რომ ბავშვები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილნი სათანადო ინფორმაციით, რაც ასეთი უფლებებისა და ინტერესების დაცვის საშუალებაა, ამასთან გათვალისწინებულ უნდა იქნას ბავშვის აზრი;

აცნობიერებენ რა მშობლების მნიშვნელოვან როლს ბავშვების უფლებებისა და ინტერესების დაცვასა და წახალისებაში და მიაჩნიათ რა, რომ, საჭიროების შემთხვევაში, სახელმწიფომ ასევე უნდა მიიღოს მონაწილეობა ამ უფლებების დაცვასა და აღიარებაში;

მიაჩნიათ რა, რომ კონფლიქტის შემთხვევაში ოჯახისათვის სასურველია, მიაღწიოს შეთანხმებას სასამართლო ორგანოებში საკითხის განხილვამდე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## თავი I — კონვენციის საგანი, რეგულირების სფერო და განსაზღვრებები

### მუხლი 1 — კონვენციის საგანი და რეგულირების სფერო

1. ეს კონვენცია ეხება ბავშვებს, რომლებსაც არ მიუღწევიათ 18 წლის ასაკისათვის;

2. წინამდებარე კონვენციის მიზანია, ბავშვთა ინტერესების გათვალისწინებით მხარი დაუჭიროს მათ უფლებებს, მიანიჭოს მათ საპროცესო უფლებები და ხელი შეუწყოს ამ უფლებების რეალიზებას უზრუნველყოფს რა, რომ ბავშვები თავისით ან სხვა პირებისა თუ ორგანოების დახმარებით ინფორმირებულნი და ნებადართულნი იქნებიან, მონაწილეობა მიიღონ სასამართლო ორგანოებში წარმართულ მათთან დაკავშირებულ პროცესებში;

3. ამ კონვენციის მიზნებისათვის ბავშვთან დაკავშირებული სასამართლო პროცესი არის საოჯახო საქმეებთან დაკავშირებული პროცესი, კერძოდ, ის საქმეები, რომლებიც შეეხება მშობლების ვალდებულებას ბავშვების საცხოვრებელ ადგილსა და მათთან ურთიერთობასთან დაკავშირებით;

4. ყოველმა სახელმწიფომ ამ კონვენციაზე ხელმოწერისთანავე ან რატიფიკაციისას, მიღებისა, დამტკიცებისას და შეერთებისას ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი მიმართულ განცხადებაში უნდა დააკონკრეტოს სასამართლო ორგანოში განსახილველი საოჯახო საქმეების სამი კატეგორია მაინც, რომელსაც შეეხება ეს კონვენცია;

5. ნებისმიერ მხარეს შემდგომი განცხადებით შეუძლია დააკონკრეტოს საოჯახო საქმეების დამატებითი კატეგორიები, რომლებსაც შეეხება ეს კონვენცია ანდა გააკეთოს ინფორმაცია მათზე მე-5 მუხლის, მე-9 მუხლის მეორე პუნქტის, მეათე მუხლის მეორე პუნქტისა და მე-11 მუხლის მოქმედების შესახებ;

6. ამ კონვენციიდან ვერაფერი შეუშლის ხელს მხარეებს, რომ გამოიყენონ უფრო ხელსაყრელი წესები ბავშვთა უფლებების დაცვასა და აღიარებისათვის.

## მუხლი 2 — განსაზღვრებები

ამ კონვენციის მიზნებისათვის:

ა. ტერმინი "სასამართლო ორგანო" ნიშნავს სასამართლო ან მსგავსი უფლებამოსილების მქონე ადმინისტრაციულ ორგანოს;
ბ. ტერმინი "მშობლის პასუხისმგებლობის მატარებელი პირი" ნიშნავს მშობლებსა და სხვა პირებს ან ორგანოებს, რომლებსაც აქვთ მშობლის ყველა ან ზოგიერთი ვალდებულება;
გ. ტერმინის "წარმომადგენელი" ნიშნავს პირს, როგორიცაა ადვოკატი ან ორგანო, რომელიც დანიშნულია იმისათვის, რომ სასამართლო ორგანოებში წარდგეს ბავშვის სახელით;
დ. ტერმინი "სათანადო ინფორმაცია" ნიშნავს ინფორმაციას, რომელიც შეესაბამება ბავშვის ასაკსა და შემეცნებას და რომელიც განკუთვნილია ბავშვის უფლებების სრული დაცვიასათვის. ამასთან ასეთი ინფორმაცია მიმართულია ბავშვის კეთილდღეობისაკენ.

# თავი II — პროცესუალური ზომები ბავშვთა უფლებების დაცვასა და ამოქმედებისათვის.

## A. ბავშვთა პროცედურული უფლებები

## მუხლი 3 — უფლება იყოს ინფორმირებული და გამოხატოს თავისი აზრი პროცესზე

შიდა სამართლის მიხედვით ბავშვი მოიაზრება, როგორც საკმარისი შემეცნების მქონე სასამართლოში მასთან დაკავშირებული ასქმის წარმოებისას და იგი უფლებამოსილია, მოითხოვოს მისთვის შემდეგი უფლებების მინიჭება:

ა. მიიღოს ყველა სათანადო ინფორმაცია;
ბ. მიიღოს რჩევა და გამოხატოს საკუთარი აზრი;
გ. ინფორმირებულ იქნას თავისი აზრისა და გადაწყვეტილების შესაძლო შედეგების შესახებ.

## მუხლი 4 — სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის უფლება

1. როგორც ეს განსაზღვრულია მე-9 მუხლში, ბავშვს აქვს უფლება, თავისით ან სხვა პირებისა თუ ორგანიზაციების საშუალებით სპეციალური წარმომადგენლით გამოვიდეს სასამართლო ორგანოში, სადაც შიდა კანონმდებლობით მშობლის პასუხისმგებლობის მატარებელი პირი შეზღუდულია ბავშვის წარმოდგენისაგან ამ უკანასკნელთან ინტერესთა კონფლიქტის გამო.

2. სახელმწიფოებს შეუძლიათ, შეზღუდონ I პუნქტით გათვალისწინებული უფლება იმ ბავშვებისათვის, რომლებიც შიდა კნონმდებლობით მოიაზრებიან სრული შემეცნების მქონედ.

## მუხლი 5 — სხვა შესაძლო საპროცესო უფლებები

მხარეებს შეუძლიათ, მიანიჭონ ბავშვებს დამატებითი საპროცესო უფლებები მათთან დაკავშირებული სასამართლო პროცესებში, კერძოდ:

ა. უფლება, ისარგებლონ იმ პირთა დახმარებით, რომლებსაც აირჩევენ საკუთარი შეხედულებით, რაც დაეხმარება მათ საკუთარი აზრის გამოხატვაში;
ბ. უფლება, თვითონ ან ნებისმიერი პირისა თუ ორგანოს მეშვეობით დანიშნონ კერძო წარმომადგენელი, ან, საჭიროების შემთხვევაში ადვოკატი;
გ. უფლება, დანიშნონ საკუთარი წარმომადგენელი;
დ. უფლება, ისარგებლონ პროცესში მონაწილე მხარეთა ზოგიერთი ან ყველა უფლებით.
ე. სასამართლოს ორგანოთა როლი

## მუხლი 6 — საქმის წარმოების პროცესი

ბავშვთან დაკავშირებული პროცესის გადაწყვეტილების გამოტანამდე სასამართლო:

ა. ამოწმებს მის ხელთ არსებული ინფორმაცია არის თუ არა საკმარისი, იმისთვის, რომ გამოიტანოს გადაწყვეტილება ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში მოიპოვებს დამატებით ინფორმაციას განსაკუთრებით მშობლის პასუხისმგებლობის მატარებელი პირისაგან;
ბ. იმ შემთხვევაში, როდესაც შიდა კანონმდებლობით ბავშვი მოიაზრება, როგორც სათანადო შემეცნების მქონედ:
— უნდა დარწმუნდეს, რომ ბავშვმა მიიღო მთელი სათანადო ინფორმაცია;
— საჭიროების შემთხვევაში გაუწევს კონსულტაციას ბავშვს თვითონ ან სხვა პირებისა თუ ორგანოების

მეშვეობით ისე, რომ ეს მისაწვდომი იყოს ბავშვის შემეცნებისათვის თუ ეს აშკარად არ იქნება ბავშვის ინტერესებთან აშკარა წინააღმდეგობაში;
— მისცეს უფლება ბავშვს, გამოხატოს თავისი აზრი.
გ. ბავშვის მიერ გამოხატულ აზრს მიაქციონ საკამარისი ყურადღება.

## მუხლი 7 — სწრაფად მოქმედების ვალდებულება

ბავშვთან დაკავშირებულ პროცესებზე სასამართლო ორგანო ვალდებულია, იმოქმედოს სწრაფად, რათა თავიდან აიცილოს შეფერხებები, ამასთან პროცესი უნდა იქნას მისაღები, რათა უზრუნველყოფილ იქნას გადაწყვეტილებათა დაუყოვნებლივი აღსრულება. განსაკუთრებულ შემთხვევაში სასამართლო ორგანო უფლებამოსილია, მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც სასწრაფოდ უნდა აღსრულდეს.

## მუხლი 8 — მოქმედება საკუთარი ინიციატივით

ბავშვთან დაკავშირებუკლ პროცესებზე სასამართლო ორგანოებს შიდა კანონმდებლობის საფუძველზე უფლება აქვთ, იმოქმედონ თავისი ინიციატივით, როდესაც ბავშვის კეთილდღეობა სერიოზულ საფრთხეშია.

## მუხლი 9 — წარმომადგენლის დანიშვნა

1. ბავშვთან დაკავშირებულ პროცესზე შიდა კანონმდებლობის თანახმად თუ ბავშვს ვერ წარმოადგენენ მშობლის ვალდებულების მატარებელი პირები, მათსა და ბავშვს შორის ინტერესთა კონფლიქტის გამო, სასამართლო ორგანოებს ენიჭებათ უფლებამოსილება, დაუნიშნონ ბავშვს სპეციალური წარმკომადგენელი პროცესზე.

2. მხარეები ითვალისწინებენ, რომ ბავშვთან დაკავშირებული პროცესზე სასამართლო ორგანოებს შეუძლიათ, დანიშნონ წარმომადგენელი, განსაკუთრებულ შემთხვევაში კი ადვოკატი, რათა მან პროცესზე წარმოადგინოს ბავშვი.

## C. წარმომადგენლის მუხლი

## მუხლი 10

1. წარმომადგენელი, ბავშვთან დაკავშირებულ პროცესზე, თუ ეს აშკარად არ მოდის კონფლიქტში ბავშვის ინტერესებიდან:
ა. უზრუნველყოფს ბავშვს მთელი სათანადო ინფორმაციით, თუ შიდა კანონმდებლობით ბავშვი მოიაზრება სათანადო შემაცნების მქონედ;
ბ. თუ შიდა კანონმდებლობით ბავშვი მოიაზრება სათანადო შემეცნების მქონედ, უზრუნველყოს იგი მის შეხედულებაზე დათანხმებისა და წარმომადგენლის მიერ განხორციელებული ქმედებების შესაძლო შედეგების შესახებ ახსნა-განმარტებით.
გ. განსაზღვროს ბავშვის აზრი და წარმოაჩინოს ეს აზრი სასამართლი ორგანოების წინაშე.

2. მხარეებს საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლიათ, პირველ პუნქტში მოცემული დებულებები გაავრცელონ მშობლის პასუხისმგებლობის მატარებელ პირებზეც.

## D. გარკვეული დებულებების გავრცელება

## მუხლი 11

მხარეებს საკუთარი შეხედულებებისამებრ შეუძლიათ, მე-3, მე-4 და მე-9 მუხლებში მოცემული დებულებები ბავშვთან დაკავშირებული სხვა ორგანოებში წარმოებულ პროცესებზე და ბავშვთან დაკავშირებულ საქმეებზე, რომლებიც, არ წარმოადგენენ პროცესებს.

## E. ეროვნული ორგანოები

## მუხლი 12

1. მხარეები ხელს შეუწყობენ ბავშვთა უფლებების აღიარებისა და დაცვის იმ ორგანოების მეშვეობით, რომლებიც, ინტერ ალია, ახორციელებენ ამ მუხლის მე-2 პუნქტში მოცემულ ფუნქციებს.
2. ფუნქციებს წარმოადგენს:
ა. წანადადებების მომზადება ბავშვების უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის მოქმედების გაძლიერების შესახებ;
ბ. ბავშვების უფლებების მოქმედებასთან დაკავშირებულ კანონპროეატზე დასკვნების გაკეთება;

გ. ბავშვთა უფლებების მოქმედებასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიწოდება მასმედიისთვის, საზოგადოებიოსათვის და პირებისა თუ ორგანოებისათვის, რომლებსაც შეხება აქვთ ბავშვებთან დაკავშირებულ საკითხებთან;
დ. დაეცნოს ბავშვების აზრს და მიაწოდოს მათ შესაბამისი ინფორმაცია.
ე. სხვა საკითხები

## მუხლი 13 — შუამავლობა და დავების მოგვარების სხვა პროცედურები

იმ მიზნით, რომ აუცილებელ ან გადაჭრილ იქნას დავები ან თავიდან აუცილებელ იქნას ბავშვთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები, მხარეები დავების გადასაწყვეტად ხელს შეუწყობენ შუამავლობის ან სხვა პროცედურების არსებობას და ასეთი პროცედურების გამოყენებას მხარეების მიერ განსაზღვრულ შესაბამის საქმეებში შეთანხმების მიღწევისათვის.

## მუხლი 14 — სამართლებრივი დახმარება და კონსულტაცია

იმ მიზნით, რომ აცილებულ ან გადაჭრილ იქნას დავები ან თავიდან აცილებულ იქნას ბავშვთან დაკავშირებული სასამართლო პროცესები, მხარეები დავების გადასაწყვეტად ხელს შეუწყობენ შუამავობის ან სხვა პროცედურების არსებობას და ასეთი პროცედურების გამოყენებას მხარეების მიერ განსაზღვრულ შესაბამის საქმეებში შეთანხმების მიღწევისათვის.

## მუხლი 15 — ურთიერთმოქმედება სხვა საერთაშორისო აქტებთან

ამ კონვენციამ არ უნდა შეზღუდის სხვა საერთაშორისო აქტების მოქმედება, რომლებიც ეხება ბავშვებისა და ოჯახების დაცვის კონტექსტში წამოჭრილ სპეციფიკურ საკითხებს და რომლის მხარეებიც არიან ან უნდა გახდნენ ამ კონვენციის მხარეები.

# თავი III — მუდმივმოქმედი კომიტეტი

## მუხლი 16 — მუდმივმოქმედი კომიტეტის დაარსება და ფუნქციები

1. მუდმივმოქმედი კომიტეტი შექმნილია ამ კონვენციის მიზნებისათვის.
2. მუდმივმოქმედი კომიტეტი მიმოიხილავს ამ კონვენციასთან დაკავშირებულ პრობლემებს. მას კერძოდ შეუძლია:
ა. შეიმუშავოს კონვენციის მოქმედებასთან დაკავშირებული საკითხები. მუდმივმოქმედი კომისიის მიერ ამ კონვენციის მოქმედებასთან დაკავშირებულ დასკვნას აქვს რეკომენდაციის ფორმა;
რეკომენდაციები მიიღება ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობით;
ბ. მოამზადოს ცვლილებები კონვენციაში და განიხილოს მე-20 მუხლის თანახმად მომზადებული ცვლილებები;
გ. როვნული ორგანოები, რომლებსაც აქვთ მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციები, უზრუნველყოს კონსულტაციითა და დახმარებით, ხელი შეუწყოს მათ ურთიერთობას.

## მუხლი 17 — შემადგენლობა

1. თითოეული მხარე შეიძლება წარმოდგენილ იქნას მუდმივმოქმედ კომიტეტში ერთი ან რამდენიმე დელეგატით. თითოეულ მხარეს ექნება ერთი ხმა.

2. 21-ე მუხლში მითითებული ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის ამ კონვენციის წევრი, შეიძლება წარმოდგენილ იქნას მუდმივმოქმედ კომიტეტშიდამკვირვებლის სახით. იგივე ეხება ნებისმიერ სახელმწიფოს ან ევროგაერთიანებას მას შემდეგ რაც იგი მოწვეულ იქნება კონვენციაზე მისაერთებლად 22-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად.

3. გარდა იმ შემთხვევისა, როცა მხარემ არანაკლებ ერთი თვით ადრე კომიტეტის შეკრებამდე აცნობა გენერალურ მდივანს უარის შესახებ მუდმივმოქმედმა კომიტეტმა შეიძლება მიიწვიოს ქვემოთ ჩამოთვლილნი რათა დამკვირვებლის სახით დაესწრონ კომიტეტის ყველა შეხვედრას, ერთ შეხვედრას ან შეხვედრის ნაწილს.
— ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც არ არის მითითებული მე-2 პუნქტში;
— გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა კომიტეტი;
— ევროგაერთიანება;
— ნებისმიერი საერთაშორისო სამთავრობო ორგანო;
— ნებისმიერი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანო, რომელსაც აქვს მე-12 მუხლის მე-2
პუნქტში მითითებული ერთი ან რამდენიმე ფუნქცია;

4. მუდმივმოქმედი კომისია უცვლის ინფორმაციას მსგავს ორგანიზაციებს, რომლებთაც შეხება აქვს ბავშვთა უფლებების დაცვასთან.

### მუხლი 18 — შეხვედრები

1. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი იწვევს მუდმივმოქმედი კომიტეტის შეხვედრას კონვენციის ძალაში შესვლის თარიღიდან მესამე წლის ბოლოს, საკუთარი ინიციატივით — ნებისმიერ დროს ამ თარიღის შემდეგ.

2. მუდმივმოქმედი კომიტეტი იღებს გადაწყვეტილება მხარეთა არანაკლებ ნახევარზე მეტის დასწრების შემთხვევაში.

3. მე-16 და მე-20 მუხლებში გათავლისწინებულ საკითხებზე მუდმივმოქმედი კომიტეტი გადაწყვეტილებას იღებს მხარეთა უმრავლესობის დასწრების შემთხვევაში.

4. ამ კონვენციით გათვალისწინებულ საკითხებზე მუდმივმოქმედი კომიტეტი შეიმუშავებს საკუთარ პროცედურულ წესებს და ნებისმიერი იმ სამუშაო შეხვედრის პროცედურულ წესებს, რომელიც მიზნად ისახავს კონვენციით გათვალისწინებული შესაბამისი დავალებების შესრულებას.

### მუხლი 19 — მუდმივმოქმედი კომიტეტის მოხსენებები

ყოველი შეხვედრის შემდეგ მუდმივმოქმედმა კომიტეტმა მხარეებსა და ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს უნდა წარუდგინოს მოხსენება შეხვედრაზე გამართული კამათისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.

## თავი IV — ცვლილებები კონვენციაში

### მუხლი 20

1. ამ კონვენციის მხარის ან მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ შემოთავაზებული წინადადება კონვენციის რომელიმე მუხლის ნებისმიერი ცვლილების შესახებ თავდაპირველად უნდა ეცნობოს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს, რომელიც არანაკლებ ორი თვით ადრე მუდმივმოქმედი კომიტეტის მომდევნო შეხვედრამდე წარუდგენს მას ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოების, ხელმომწერ მხარეებს, მხარეებს, ყველა იმ სახელმწიფოს, რომელიც მიწვეული იყო კონვენციაზე ხელის მოასწერად 21-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად, ყველა იმ სახელმწიფოსა და ევროგაერთიანებას, რომელიც მიწვეული იყო კონვენციაზე მისაერთებლად 22-ე მუხლით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისად.

2. წინა პუნქტის დებულებების შეასბამისად შემოთავაზებული ნებისმიერი წინადადება უნდა შემოწმდეს მუდმივმოქმედი კომიტეტის მიერ, რომელმაც მინისტრთა კომიტეტს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს ხმათა სამი მეოთხედის უმრავლესობით მიღებული ტექსტი. დამტკიცების შემდეგ ეს ტექსტი უნდა წარედგინოს მხარეებს მისი შემდგომი მიღების მიზნით.

3. ნებისმიერი ცვლილებების ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ყველა მხარისაგან მისი მიღების შესახებ შეტყობინების დღიდან ერთი თვის ვადის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

## თავი V — დასკვნითი დებულებები

### მუხლი 21 — ხელის მოწერა, რატიფიკაცია და ძალაში შესვლა

1. ეს კონვენცია ღიაა ევროპის საბჭოს ქვეყნებისათვის და იმ სახელმწიფოებისათვის, რომლებიც მონაწილეობდნენ მის შემუშავებაში.

2. კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას და დამტკიცებას. ღატიფიკაციის, მიღებისა და დამტკიცების აქტები ინახება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან.

3. კონვენცია ძალაში შედის სამი სახელმწიფოს მიერ, რომელთაგან არანაკლებ ორი არის ევროპის საბჭოს წევრი, წინა პუნქტითგათვალისწინებული წესების შეასბამისად, კონვენციის დებულებების შესრულების შეასხებ თანხმობის გამოთქმიდან სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

4. ნებისმიერი იმ სახელმწიფოსათვის, რომელიც შემდგომში გამოთქვამს თანხმობას კონვენციის დებულებების შესრულების შესახებ, კონვენცია ძალაში შედის მათ მიერ რატიფიკაციის, მიღების ან დამტკიცების აქტის დეპონირების დღიდან სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

## მუხლი 22 — არაწევრი სახელმწიფოები და ევროგაერთიანება

1. ამ კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს საკუთარი ინიციატივით ან მუდმივმოქმედი კომიტეტისწინადადების შესაბამისად მხარეებთან კონსულტაციის შემდეგ, შეუძლია მოიწვიოს ევროპის ასბჭოს ნებისმიერი არაწევრი სახელმწიფო, რომელსაც არ მიუღია მონაწილეობა კონვენციის სემუშავებაში, აგრეთვე ევროგაერთიანება კონვენციაზე მისაერთებლად უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გზით ამ კონვენციის მე-20 მუხლის, ევროპის საბჭოს წესდების D პუნქტის თანახმად და ხელშემკვრელ მხარეთა მინისტრთა კომიტეტში უფლებამოსილ წარმომადგენელთა ანონიმური კენჭისყრის გზით.

2. ყველა იმ სახელმწიფოსათვის ან ევროგაერთიანებისათვის, რომელიც უერთდება კონვენციას, იგი ძალაში შედის მათ მიერ ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის მიერთების აქტის გადაცემის დღიდან სამთვიანი ვადის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

## მუხლი 23 — მოქმედების ტერიტორია

1. ნებისმიერი სახელმწიფოს ხელმოწერისას ან რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტის დეპონირების შემდეგ შეუძლია დააკონკრეტოს ტერიტორია, რომელზეც იმოქმედებს ეს კონვენცია.

2. ნებისმიერ მხარეს მოგვიანებით შეუძლია ევროის საბჭოს გენერალური მდივნისადმი მიმართული დეკლარაციით გაავრცელოს ამ კონვენციის მოქმედების ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე, რომელსაც დააკონკრეტებს დეკლარაციაში, ამასთან დაკონკრეტდება ვისთან საერთაშორისო ურთიერობის ან ვისი სახელითაა უფლებამოსილი, დაეკისროს გარკვეული ვალდებულებები. ამ ტერიტორიაზე კონვენცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ ასეთი დეკლარაციის მიღების თარიღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველ დღეს.

3. წინა ორი პუნქტის თანახმად გაკეთებული დეკლარაცია მასში დაკონკრეტებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი გენერალური მდივნისადმი მიმართული ნოტიფიკაციით. ეს გამოთხოვა ძალაშია გენერალური მდივნის მიერ მომდევნო თვის პირველი დღიდან.

## მუხლი 25 — დენონსაცია

1. თითოეულ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია, მოახდინოს ამ კონვენციის დენონსირება ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისადმი მიმართული ნოტიფიკაციით;

2. დენონსაცია ძალაშია გენერალური მდივნის მიერ ნოტიფიკაციის მიღების დღიდან სამი თვის გასვლის შემდეგ მომდევნო თვის პირველი დღიდან.

## მუხლი 26 — ნოტიფიკაცია

გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ნებისმიერ ხელმომწერს, მხარესა და ევროგაერთიანების სხვა ქვეყნებს, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ მისაერთებლად, აცნობებს:

ა. ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
ბ. რატიფიკაციის, მიღების, დამტკიცებისა ან მიერთების ნებისმიერი აქტის დეპონირებას;
გ. 21-ე და 22-ე მუხლების შესაბამისად ამ კონვენციის ძალაში შესვლის თარიღს;
დ. მე-20 მუხლის თანახმად გაკეთებულ ნებისმიერ ცვლილებასა და ასეტი ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღს;
დ. პირველი და 23-ე მუხლების დებულებებით გათვალისწინებულუ ნებისმიერ დეკლარაციას;
ე. 25-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებულ ნებისმიერ დენონსაციას;
ვ. ამ კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, ნოტიფიკაციის ან ინფორმაციის შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულის დასტურად უფლებამოსილმა ხელის მომწერებმა მოაწერეს ხელი ამ კონვენციას

შესრულებულია სტრასბურგში, 1996 წლის 25 იანვარს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია, შესრულებულია ერთ ეგზემპლარად და დეპონირებულია ევროპის საბჭოს არქივში. გენერალური მდივანი გადაუგზავნის დამოწმებულ ასლებს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს, არაწევრ სახელმწიფოებს, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ამ კონვენციის შემუშავენაში, ევროგაერთიანებისა და ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მოწვეულია ამ კონვენციაზე მისაერთებლად.

# ევროპის საბჭოს კონვენცია სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ
# ლანსაროტი
# 2007 წლის 25 ოქტომბერი

**(რატიფიცირებულია საქართველოს სახელმწიფოს მიერ, 2014 წლის, 23 სექტემბერს)**

**(საქართველოს სახელმწიფომ გამოთქვა თანხმობა ძალაში შესვლაზე, 2015 წლის, 1 იანვრიდან)**

## პრეამბულა

ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები და სხვა ხელმომწერები;

ითვალისწინებენ რა, რომ ევროპის საბჭოს მიზანია თავის წევრებს შორის ერთიანობის უფრო მაღალი ხარისხის მიღწევა;

ითვალისწინებენ, რომ თითოეულ ბავშვს თავისი ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს მხრიდან გააჩნია დაცვის ისეთი ზომებით სარგებლობის უფლება, რომელსაც ითვალისწინებს მისი, როგორც არასრულწლოვანის სტატუსი;

თვლიან რა, რომ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია, კერძოდ ბავშვთა პორნოგრაფია და პროსტიტუცია, და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ყველა ფორმა, საზღვარგარეთ ჩადენილი აქტების ჩათვლით, დამღუპველად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობასა და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე;

თვლიან რა, რომ ბავშვთა სექსუალურმა ექსპლუატაციამ და ბავშვთა მიმართ სექსუალურმა ძალადობამ შემაშფოთებელი მასშტაბები შეიძინა როგორც სახელმწიფო, ისე საერთაშორისო დონეზე, კერძოდ, როგორც ბავშვთა ისე დანაშაულის ჩამდენთა მხრიდან საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით გაძლიერებული სარგებლობის გამო, და რომ ასეთი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა მოითხოვს საერთაშორისო თანამშრომლობას;

ითვალისწინებენ რა, რომ ბავშვთა კეთილდღეობა და ინტერესები ის ძირეული ღირებულებებია, რომლებსაც ყველა წევრი სახელმწიფო იზიარებს და საჭიროა მათი ხელშეწყობა დისკრიმინაციის გარეშე;

ითვალისწინებენ რა ევროპის საბჭოს სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების მე-3 სამიტის მიერ მიღებულ სამოქმედო გეგმას (ვარშავა, 2005 წლის 16-17 მაისი), რომელიც ითვალისწინებს ზომების შემუშავებას ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის აღკვეთის მიზნით;

ითვალისწინებენ რა კერძოდ მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციას R(91)11, რომელიც შეეხება ბავშვთა და მოზარდთა სექსუალურ ექსპლუატაციას, პორნოგრაფიას და პროსტიტუციას და ტრეფიკინგს, რეკომენდაციას Rec(2001)16 სექსუალური ექსპლუატაციისაგან ბავშვთა დაცვის შესახებ და კონვენციას კიბერდანაშაულის შესახებ (ETS No185), კერძოდ მის მე-9 მუხლს, ასევე ევროპის საბჭოს კონვენციას ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (CETS No197);

ითვალისწინებენ რა კონვენციას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ (1950, ETS No5), ევროპის სოციალურ ქარტიას (შესწორებული) (1996, ETS No163) და ევროპის კონვენციას ბავშვთა უფლებების გამოყენების შესახებ (1996, ETS No160);

ასევე ითვალისწინებენ რა ბავშვის უფლებათა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას, კერძოდ მის 34-ე მუხლს, ფაკულტატურ ოქმს ბავშვთა გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ, ოქმს ადამიანებით, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით, უკანონო ვაჭრობის პრევენციის, აღკვეთისა და დასჯის შესახებ, რომელიც თან ერთვის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, ასევე საერთაშორისო შრომის ორგანიზაციის კონვენციას ბავშვთა შრომის ყველაზე საშიში ფორმების აკრძალვისა და მისი აღკვეთის მიზნით დაუყოვნებელი ზომების განხორციელების შესახებ;

ასევე ითვალისწინებენ რა ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2004/68/JHA), ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის პროცესში მსხვერპლთა სტატუსის შესახებ (2001/629/

JHA), და ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებას ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ (2002/629/JHA);

ითვალისწინებენ რა აღნიშნულ სფეროში მოქმედ სხვა შესაბამის საერთაშორისო აქტებს და პროგრამებს, კერძოდ, სტოქჰოლმის დეკლარაციას და სამოქმედო პროგრამას, მიღებულს კომერციული მიზნით ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე 1 მსოფლიო კონგრესზე (1996 წლის 27-31 აგვისტო), იოკოჰამას გლობალურ ვალდებულებას მიღებულს კომერციული მიზნით ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მე-2 მსოფლიო კონგრესზე (2001 წლის 17-20 დეკემბერს), ბუდაპეშტის ვალდებულებას და სამოქმედო გეგმას მიღებულს კომერციული მიზნით ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებზე მე-2 მსოფლიო კონგრესის მოსამზადებელ სხდომაზე (2001 წლის 20-21 ნოემბერი), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის რეზოლუციას S-27/2: "ბავშვებისთვის შესაფერისი მსოფლიო" და სამწლიან პროგრამას: "ავაშენოთ ევროპა ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად", რომელიც მიღებულ იქნა მე-3 სამიტის შემდეგ და მისი განხორციელება დაიწყო მონაკოს კონფერენციის მიერ (2006 წლის 4-5 აპრილი);

გამოთქვამენ რა მზადყოფნას ეფექტურად შეუწყონ ხელი სექსუალური ექსპუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვის საერთო მიზანს, ვინც არ უნდა იყოს დანაშაულის ჩამდენი, და მსხვერპლთათვის დახმარების გაწევას;

მხედველობაში იღებენ რა ყოვლისმომცველი საერთაშორისო ინსტრუმენტის მომზადების საჭიროებას, რომელიც კონცენტრირებული იქნება ბავშვთა სექსუალური ექსპუატაციისა და სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის პრევენციულ, დაცვით და სისხლის სამართლებრივ ასპექტებზე და მონიტორინგის სპეციფიკური მექანიზმის შექმნაზე,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

# თავი I – მიზნები, არადისკრიმინაციულობის პრინციპი და განსაზღვრებები

## მუხლი 1 – მიზნები

1. წინამდებარე კონვენციის მიზნებია:

a) ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა;
b) სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვა;
c) ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში ეროვნული და საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობა.
2. მხარეთა მიერ მისი დებულებების ეფექტური იმპლემენტაციის უზრუნველყოფის მიზნით, კონვენცია ითვალისწინებს მონიტორინგის სპეციფიკური მექანიზმის შექმნას.

## მუხლი 2 –არადისკრიმინაციულობის პრინციპი

მხარეთა მიერ წინამდებარე კონვენციის დებულებათა იმპლემენტაცია, კერძოდ, მსხვერპლთა უფლებების დაცვის ზომები, უზრუნველყოფილ იქნება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე სქესობრივი, რასობრივი, კანის ფერის, ენის, რელიგიური, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ეროვნულ უმცირესობასთან კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, უუნარობის ან სხვა სტატუსის მიხედვით.

## მუხლი 3 – განსაზღვრებები

წინამდებარე კონვენციის მიზნებისთვის:

a) "ბავშვი" ნიშნავს ნებისმიერ პირს, რომელსაც ჯერ არ შესრულებია 18 წელი;
b) "ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობა" მოიცავს წინამდებარე კონვენციის მე-18-23-ე მუხლებში მითითებულ ქმედებებს;
c) "მსხვერპლი" ნიშნავს ნებისმიერ ბავშვს, რომლის მიმართაც განხორციელდა სექსუალური ექსპლუატაცია ან სექსუალური ძალადობა.

# თავი II – პრევენციული ზომები

## მუხლი 4 – პრინციპები

თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო და სხვა სახის ზომებს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ყველა ფორმის პრევენციისა და ბავშვთა დაცვის მიზნით.

## მუხლი 5 – იმ პირთა დაქირავება, ტრეინინგი და ცოდნის გაღრმავება, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს ბავშვთა დაცვისა და უფლებების შესახებ იმ პირთა ცოდნის გაღმავების მიზნით, რომელთაც განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის, სასამართლო და სამართალდამცავ სექტორებში და ასევე სპორტისა და კულტურის სფეროებში მუშაობისას და დასვენების პერიოდში რეგულარული კონტაქტი აქვთ ბავშვებთან.

2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რათა 1 პუნქტში მითითებულ პირებს მიეწოდოთ სათანადო ინფორმაცია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის, მათი გამოვლენის საშუალებებისა და მე-12 მუხლის 1 პუნქტში მითითებული შესაძლებლობის შესახებ.

3. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, რათა იმ პროფესიების განხორციელების მიზნით, რომლებიც გულისხმობს ბავშვებთან რეგულარულ კონტაქტს, დაკავდნენ ის პირები, რომლებიც არ ყოფილან ნასამართლევნი ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის აქტებისთვის.

## მუხლი 6 – ბავშვთა განათლება

თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს დაწყებითი და საშუალო განათლების პერიოდში ბავშვთა მიერ ინფორმაციის მიღება სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის, ასევე საკუთარი თავის დაცვის საშუალებათა შესახებ, მათი განვითარების დონის შესაბამისად. ეს ინფორმაცია, რომლის მიწოდებაც საჭიროების შემთხვევაში ხორციელდება მშობლებთან თანამშრომლობის გზით, წარმოდგენილ უნდა იქნეს ზოგად კონტექსტში და კონცენტრირდეს რისკის ისეთ სიტუაციებზე, რომლებიც, კერძოდ, დაკავშირებულია ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებასთან.

## მუხლი 7 – პრევენციული ხასიათის ინტერვენციის პროგრამები ან ზომები

თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ იმ პირებს, რომლებიც ვარაუდობენ, რომ მათ შესაძლოა ჩაიდინონ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული, საჭიროების შემთხვევაში მიეცეთ ინტერვენციის ეფექტური პროგრამებით ან ღონისძიებებით სარგებლობის შესაძლებლობა, რომელთა მიზანია დანაშაულის ჩადენის რისკის შეფასება და პრევენცია.

## მუხლი 8 – ზომები საზოგადოების ფართო მასებისთვის

1. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს ან განახორციელებს ცოდნის გაღრმავების კამპანიებს, რომლებიც ითვალისწინებს საზოგადოების ფართო მასებისთვის ინფორმაციის მიწოდებას ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფენომენისა და იმ პრევენციული ზომების შესახებ, რომლებიც უნდა განხორციელდეს.

2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს ისეთი მასალების გავრცელების პრევენცია ან აკრძალვა, რომლებიც რეკლამირებას უწევს წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებს.

## მუხლი 9 – ბავშვების, კერძო სექტორის, მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობა

1. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს ბავშვების მონაწილეობას, მათი განვითარების დონის

შესაბამისად, სახელმწიფო სტრატეგიების, პროგრამების ან სხვა ინიციატივების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომლებიც შეეხება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას.

2. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს კერძო სექტორს, კერძოდ, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სექტორს, ტურიზმისა და ტურიზმის ინდუსტრიის, საბანკო და საფინანსო სექტორებს, ასევე სამოქალაქო საზოგადოებას, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისკენ მიმართული სტრატეგიების შემუშავებასა და იმპლემენტაციაში და განახორციელონ შიდასაკანონმდებლო ნორმები თვითრეგულაციის ან თანარეგულაციის გზით.

3. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს მედიას, რათა მან წარმოადგინოს სათანადო ინფორმაცია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ყველა ასპექტზე, მედიის დამოუკიდებლობისა და პრესის თავისუფლების გათვალისწინებით.

4. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს, საჭიროების შემთხვევაში, ფონდების შექმნის გზითაც, სამოქალაქო საზოგადოების მიერ განხორციელებული ისეთი პროექტებისა და პროგრამების ფინანსირებას, რომლებიც მიმართულია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და ბავშვთა დაცვისკენ.

## თავი III – სპეციალიზებული ორგანოები და მაკოორდინირებელი ორგანოები

### მუხლი 10 – კოორდინაციისა და თანამშრომლობის ეროვნული ზომები

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყონ კოორდინაცია იმ სამსახურებს შორის, ეროვნულ ან ლოკალურ დონეზე, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისგან ბავშვთა დაცვაზე, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციასა და მის წინააღმდეგ ბრძოლაზე, კერძოდ განათლების, ჯანდაცვის, სოციალური დაცვის სამსახურებს, ასევე სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს შორის.

2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა შექმნან ან დანიშნონ:
a) დამოუკიდებელი კომპეტენტური ეროვნული ან ადგილობრივი ინსტიტუტები ბავშვის უფლებათა ელშეწყობის და დაცვის მიზნით, რომლებიც უზრუნველყოფილ იქნებიან სპეციფიკური რესურსებით და დაეკისრებათ ვალდებულებები;

b) მონაცემთა შეგროვების მექანიზმები ან ცენტრები, ეროვნულ ან ადგილობრივ დონეზე, სამოქალაქო საზოგადოებასთან თანამშრომლობის გზით, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფენომენის შესწავლისა და შეფასების მიზნით, პირად მონაცემთა დაცვის სფეროში არსებულ მოთხოვნათა დაცვით.

3. თითოეული მხარე ხელს შეუწყობს თანამშრომლობას კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სექტორს შორის, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის უკეთ ორგანიზების მიზნით.

## თავი IV – დაცვის ზომები და დახმარება მსხვერპლთა მიმართ

### მუხლი 11 – პრინციპები

1. თითოეული მხარე შექმნის ეფექტურ სოციალურ პროგრამებს და მრავალდისციპლინურ სტრუქტურებს მსხვერპლთათვის, მათი ახლო ნათესავებისა და მათ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი ნებისმიერი პირისთვის აუცილებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით.

2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ თუ მსხვერპლის ასაკი გაურკვეველია, მაგრამ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის, რომ მსხვერპლი არის ბავშვი, ბავშვებისთვის გათვალისწინებული დაცვისა და დახმარების ზომები გავრცელდეს მასზე მისი

ასაკის დადგენამდე.

## მუხლი 12 – სექსუალურ ექსპლუატაციაზე ან სექსუალურ ძალადობაზე ეჭვის შეტყობინება

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებულმა კონფიდენციალურობის დაცვის წესებმა, რომლებიც ვრცელდება გარკვეული პროფესიის წარმომადგენლებზე, რომლებსაც უწევთ ბავშვებთან მუშაობა, არ შეუშალოს ამ პირებს ხელი ბავშვთა დაცვაზე პასუხისმგებელ სამსახურებს მიაწოდონ ინფორმაცია ნებისმიერი იმ სიტუაციის შესახებ, რომელთან დაკავშირებითაც მათ აქვთ საფუძველი ივარაუდონ, რომ ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციის ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლია.

2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა იმ პირმა, რომელმაც იცის, ან კეთილსინდისიერად ეჭვობს, რომ ადგილი ჰქონდა ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის ფაქტებს, ინფორმაცია ამ ფაქტების შესახებ მიაწოდოს კომპეტენტურ სამსახურებს.

## მუხლი 13 – საკონსულტაციო მომსახურება

თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა ხელი შეუწყოს და მხარი დაუჭიროს ისეთი საინფორმაციო სამსახურების შექმნას, როგორიცაა სატელეფონო ან ინტერნეტ საკონსულტაციო მომსახურება, რომლებიც პირებს გაუწევენ საკონსულტაციო მომსახურებას, როგორც კონფიდენციალურად, ისე მათი ანონიმურობის დაცვით.

## მუხლი 14 – მსხვერპლთათვის დახმარების გაწევა

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა მსხვერპლთ გაუწიოს როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი დახმარება მათი ფიზიკური და ფსიქო-სოციალური გამოჯანმრთელების მიზნით. ამ პუნქტის მიხედვით ზომების მიღებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ბავშვის მოსაზრებები, საჭიროებები და პრობლემები.

2. თითოეული მხარე, თავისი შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების ფარგლებში, მიიღებს ზომებს, რომლებიც ითვალისწინებს თანამშრომლობის განვითარებას იმ არა-სამთავრობო ორგანიზაციებთან, სხვა შესაბამის ორგანიზაციებთან ან სამოქალაქო საზოგადოების სხვა ელემენტებთან, რომლებიც მონაწილეობენ მსხვერპლთათვის დახმარების გაწევაში.

3. როდესაც ბავშვის სექსუალურ ექსპლუატაციაში ან მის მიმართ სექსუალურ ძალადობაში მონაწილეობენ მშობლები ან ის პირები, რომლებსაც ევალებათ ბავშვზე მზრუნველობა, მე-11 მუხლის 1 პუნქტში მითითებული ინტერვენციის პროცედურები უნდა ითვალისწინებდეს შემდეგს:

- დანაშაულში ეჭვმიტანილი პირის ჩამოშორების შესაძლებლობას;
- ოჯახური გარემოსგან მსხვერპლის ჩამოშორების შესაძლებლობას. ამგვარი ჩამოშორების პირობები და ხანგრძლივობა ბავშვის ინტერესების შესაბამისად უნდა განისაზღვროს.

4. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ მსხვერპლთან დაახლოებულმა პირებმა, საჭიროების შემთხვევაში ისარგებლონ თერაპიული დახმარებით, კერძოდ, გადაუდებელი ფსიქოლოგიური მზრუნველობით.

# თავი V – ინტერვენციის პროგრამები ან ზომები

## მუხლი 15 – ზოგადი პრინციპები

1. თითოეული მხარე თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ან ხელს შეუწყობს ინტერვენციის ეფექტური პროგრამების ან ზომების განხორციელებას მე-16 მუხლის 1 და მე-2 პუნქტში მითითებული პირებისთვის, ბავშვთა მიმართ სექსუალური ხასიათის განმეორებითი დანაშაულების რისკის პრევენციისა და მინიმიზაციის მიზნით. ასეთი პროგრამები ან ზომები ხელმისაწვდომი იქნება სამართალწარმოების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, როგორც ციხეში ისე ციხის გარეთ, შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვით.

2. თითოეული მხარე თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს ან ხელს შეუწყობს პარტნიორობისა და თანამშრომლობის სხვა ფორმების განვითარებას კომპეტენტურ ორგანოებს, კერძოდ, ჯანდაცვისა და სოციალურ სამსახურებს და სასამართლო და სხვა ორგანოებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან მე-16 მუხლის 1 და მე-2 პუნქტში მითითებული პირებთან მიმართებაში.

3. თითოეული მხარე თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს მე-16 მუხლის 1 და მე-2 პუნქტში მითითებული პირების მიერ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების განმეორებით ჩადენის საფრთხისა და შესაძლო რისკის შეფასებას შესაბამისი პროგრამების ან ზომების განსაზღვრის მიზნით.

4. თითოეული მხარე თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს განხორციელებული პროგრამებისა და ზომების ეფექტურობის შეფასებას.

### მუხლი 16 – ინტერვენციის პროგრამებისა და ზომების რეციპიენტები

1. თითოეული მხარე თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს, რომ იმ პირებს, რომელთა მიმართაც აღძრულია სისხლის სამართლის საქმე წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის, შეეძლოთ მე-15 მუხლის 1 პუნქტში გათვალისწინებული პროგრამებით ან ზომებით სარგებლობა, იმ პირობებში, რომლებიც ხელს არ უშლის და არც ეწინააღმდეგება დაცვის უფლებების განხორციელებას და სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლო პროცესის მოთხოვნებს, უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპის მარეგულირებელი წესების დაცვით.

2. თითოეული მხარე თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს რომ იმ პირებს, რომლებიც მსჯავრდებულნი არიან წინამდებარე Kკონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის, შეეძლოთ მე-15 მუხლის 1 პუნქტში გათვალისწინებული პროგრამებით ან ზომებით სარგებლობა.

3. თითოეული მხარე თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს, რომ შემუშავებულ ან ადაპტირებულ იქნეს ინტერვენციის პროგრამები ან ზომები იმ ბავშვთა განვითარების საჭიროებათა დაკმაყოფილების მიზნით, რომლებიც ჩადიან სექსუალურ დანაშაულებს, იმ ბავშვების ჩათვლით, რომელთა ასაკიც ჯერ არ ითვალისწინებს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებას, რაც მათ სექსუალურ ქცევაში არსებული პრობლემების გამოსწორებას ემსახურება.

### მუხლი 17 – ინფორმაცია და თანხმობა

1. თითოეული მხარე თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს, რომ მე-16 მუხლში მითითებულ პირებს, რომელთაც შეეთავაზათ ინტერვენციის პროგრამები ან ზომები, სრულად განემარტოთ ამ შეთავაზების მიზეზები ისე, რომ მათი თანხმობა პროგრამის ან ზომის გამოყენებაზე ემყარებოდეს ფაქტების სრულ ცოდნას.

2. თითოეული მხარე თავისი შიდა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს, რომ იმ პირებს, რომელთაც შეეთავაზათ ინტერვენციის პროგრამები ან ზომები, შეეძლოთ მათზე უარის თქმა, ხოლო მსჯავრდებული პირების შემთხვევაში, მათ განემარტოთ უარის შესაძლო შედეგები.

## თავი VI – მატერიალური სისხლის სამართალი

### მუხლი 18 – სექსუალური ძალადობა

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს შემდეგი სახის განზრახი ქმედებების კრიმინალიზაციის მიზნით:

a) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან, რომელსაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისი დებულებების მიხედვით, ჯერ არ მიუღწევია სექსუალური ურთიერთობისთვის კანონით დადგენილი ასაკისთვის;

b) სექსუალური ურთიერთობის დამყარება ბავშვთან თუ:

- აღნიშნული ხორციელდება იძულების, ძალის ან მუქარის გამოყენებით; ან
- ძალადობა ხორციელდება ბავშვის მიმართ ნდობის, ავტორიტეტული ან გავლენიანი მდგომარეობის

გამოყენებით, მათ შორის ოჯახში; ან
- ძალადობა ხორციელდება ბავშვის უმწეო მდგომარეობის გამოყენებით, კერძოდ მისი გონებრივი ჩამორჩენილობის, ან ფიზიკური უუნარობის, ან დამოკიდებული მდგომარეობის გამო.

2. ზემომითითებული 1 პუნქტის მიზნებისთვის, თითოეული მხარე განსაზღვრავს იმ ასაკს, რომლის ქვემოთაც აკრძალულია ბავშვთან სექსუალური ურთიერთობის დამყარება.

3. 1.a პუნქტის დებულებები არ გამოიყენება არასრულწლოვანთა შორის თანხმობაზე დაფუძნებული სექსუალური ურთიერთობების დარეგულირების მიზნით.

## მუხლი 19 – ბავშვთა პროსტიტუციასთან დაკავშირებული დანაშაულები

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს შემდეგი სახის განზრახი ქმედებების კრიმინალიზაციის მიზნით:

a) ბავშვის პროსტიტუციაში ჩაბმა ან ბავშვის იძულება პროსტიტუციაში მონაწილეობის მისაღებად;

b) ბავშვის მიმართ ძალდატანების გამოყენება მისი პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით, ან სარგებლის მიღება ამგვარი საქმიანობიდან, ან ამ მიზნით ბავშვის სხვა გზით გამოყენება;

c) ბავშვთა პროსტიტუციისთვის მიმართვა.

2. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, ტერმინი "ბავშვთა პროსტიტუცია" ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალური მიზნებისთვის, ფულადი გასამრჯელოს ან ნებისმიერი სხვა სახის ანაზღაურების ან კომპენსაციის გადახდის ან დაპირების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა ეს ანაზღაურება, პირობა თუ კომპენსაცია ბავშვს მოხმარდა თუ მესამე პირს.

## მუხლი 20 – ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაკავშირებული დანაშაულები

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს შემდეგი სახის განზრახი ქმედებების კრიმინალიზაციის მიზნით, იმ შემთხვევაში თუ ისინი ჩადენილია უფლების გარეშე:

a) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის დამზადება;
b) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის შეთავაზება ან ხელმისაწვდომად ქცევა;
c) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის დისტრიბუცია ან გადაგზავნა;
d) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის ყიდვა საკუთარი თავისთვის ან სხვა პირისთვის;
e) ბავშვთა პორნოგრაფიული მასალის ფლობა;
f) საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით, ბავშვთა პორნოგრაფიული მასალით სარგებლობის შესაძლებლობის შეგნებულად მოპოვება.

2. წინამდებარე მუხლის მიზნებისთვის, ტერმინი "ბავშვთა პორნოგრაფიული მასალა" ნიშნავს ნებისმიერ მასალას, რომელზეც გამოსახულია სექსუალური სურვილის გამომწვევ რეალურ თუ იმიტირებულ ქმედებაში მონაწილე ბავშვი ან ბავშვის სქესობრივი ორგანოების გამოსახულება ძირითადად სექსუალური მიზნით.

3. თითოეული მხარე იტოვებს უფლებას არ გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ, 1 პუნქტის a) და e) ქვეპუნქტები ისეთი პორნოგრაფიული მასალის დამზადებასთან ან ფლობასთან დაკავშირებით, რომელიც

- შეიცავს მხოლოდ და მხოლოდ არარსებული ბავშვის იმიტირებულ ან რეალურთან მიმგვანებულ გამოსახულებას;

- შეიცავს იმ ბავშვების გამოსახულებას, რომლებსაც შეუსრულდათ მე-18 მე-2 პუნქტში მითითებული ასაკი, იმ შემთხვევაში თუ ეს გამოსახულებები დამზადებულია მათ მიერ და მათ მფლობელობაშია, მათივე თანხმობით და მხოლოდ მათივე პირადი მოხმარებისთვის.

- თითოეული მხარე იტოვებს უფლებას არ გამოიყენოს, მთლიანად ან ნაწილობრივ, 1 პუნქტის f) ქვეპუნქტი.

## მუხლი 21 – ბავშვთა პორნოგრაფიულ წარმოდგენებში მონაწილეობასთან დაკავშირებული დანაშაულები

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს შემდეგი სახის განზრახი ქმედებების კრიმინალიზაციის მიზნით:

a) ბავშვის ჩაბმა პორნოგრაფიულ წარმოდგენებში ან ბავშვის იძულება ამგვარ წარმოდგენებში მონაწილეობის მისაღებად;

b) ბავშვის მიმართ ძალდატანების გამოყენება მისი პორნოგრაფიულ წარმოდგენებში ჩაბმის მიზნით ან სარგებლის მიღება ამგვარი საქმიანობიდან ან ამ მიზნით ბავშვის სხვა გზით გამოყენება;

c) შეგნებულად დასწრება ისეთ პორნოგრაფიულ წარმოდგენებზე, რომლებშიც მონაწილეობენ ბავშვები.

3. თითოეული მხარე იტოვებს უფლებას გამოიყენოს 1. c) ქვეპუნქტი იმ შემთხვევების მიმართ, როდესაც ბავშვთა ჩაბმა ან იძულება განხორციელდა 1 პუნქტის a) ან b) ქვეპუნქტის შესაბამისად.

## მუხლი 22 – ბავშვის გარყვნა

თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს იმგვარი ქმედების კრიმინალიზაციის მიზნით, როგორიცაა განზრახ იძულება ბავშვისა, რომელსაც ჯერ არ შესრულებია მე-18 მე-2 პუნქტში მითითებული ასაკი, უყუროს სექსუალურ ძალადობას ან სექსუალურ აქტს, თუნდაც მონაწილეობის გარეშე.

## მუხლი 23 – ბავშვის დაყოლიება სექსუალური მიზნებისთვის

თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს ზრდასრული პირის მიერ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გაკეთებული იმგვარი განზრახი შეთავაზების კრიმინალიზაციის მიზნით, რომელიც გულისხმობს შეხვედრას ბავშვთან, რომელსაც ჯერ არ შესრულებია მე-18 მე-2 პუნქტში მითითებული ასაკი, მის მიმართ მე-18 მუხლის 1.a პუნქტით ან მე-20 მუხლის 1.a პუნქტით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით, იმ შემთხვევაში თუ ამგვარ შეთავაზებას თან ახლდა ისეთი მატერიალური სახის დაპირებები, რომლებსაც შედეგად მოჰყვა აღნიშნული შეხვედრა.

## მუხლი 24 – დახმარება ან წაქეზება და მცდელობა

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა განისაზღვროს როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენაში დახმარება ან წაქეზება, თუ იგი ხორციელდება წინასწარგანზრახვით.

2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა განისაზღვროს როგორც სისხლისსამართლებრივი დანაშაული წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის მცდელობა.

3. თითოეული მხარე იტოვებს უფლებას არ გამოიყენოს მე-2 პუნქტი, მთლიანად ან ნაწილობრივ, მე-20 მუხლის 1.b, d, e და f პუნქტებით, 21-ე მუხლის 1.c პუნქტით, 22-ე და 23-ე მუხლებით დასჯადად დადგენილი დანაშაულების მიმართ.

## მუხლი 25 – იურისდიქცია

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა დააწესოს იურისდიქცია წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულზე, იმ შემთხვევაში თუ დანაშაული ჩადენილ იქნა:

a) მის ტერიტორიაზე; ან

b) იმ გემის ბორტზე, რომელიც ამ მხარის დროშით დაცურავს; ან

c) იმ თვითმფრინავის ბორტზე, რომელიც რეგისტრირებულია ამ მხარის კანონმდებლობის შესაბამისად;

d) ერთ-ერთი მისი მოქალაქის მიერ; ან

e) იმ პირის მიერ, რომელსაც მის ტერიტორიაზე გააჩნია მუდმივი ადგილსამყოფელი.

2. თითოეული მხარე შეეცდება მიიღოს აუცილებელი საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომები, რათა დააწესოს იურისდიქცია წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ ნებისმიერ დანაშაულზე, იმ შემთხვევაში თუ დანაშაული ჩადენილ იქნა მისი რომელიმე მოქალაქის ან ნებისმიერი იმ პირის წინააღმდეგ, რომელსაც მის ტერიტორიაზე გააჩნია მუდმივი ადგილსამყოფელი.

3. თითოეულ მხარეს შეუძლია, ხელმოწერის ან სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტის დეპონირებისას, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი დეკლარაციის საფუძველზე განაცხადოს, რომ ის იტოვებს უფლებას არ გამოიყენოს ან გამოიყენოს მხოლოდ სპეციფიკურ შემთხვევებში და გარემოებებში წინამდებარე მუხლის 1.e პუნქტით გათვალისწინებული იურისდიქციის წესი.

4. წინამდებარე კონვენციის მე-18, მე-19 მუხლების და მე-20 მუხლის 1.a პუნქტით და 21-ე მუხლის 1.a და b პუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა მისი იურისდიქცია 1.d პუნქტთან დაკავშირებით არ იყოს დამოკიდებული იმ პირობაზე, რომ აქტების კრიმინალიზაცია მოხდეს იმ ადგილზე, სადაც ისინი იქნა ჩადენილი.

5. თითოეულ მხარეს შეუძლია, ხელმოწერის ან სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტის დეპონირებისას, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი დეკლარაციის საფუძველზე განაცხადოს, რომ ის იტოვებს უფლებას, წინამდებარე მუხლის მე-4 პუნქტი, მე-18 მუხლის 1.b პუნქტის მე-2 და მე-3 აბზაცით დადგენილ დანაშაულებთან მიმართებაში, გამოიყენოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მის მოქალაქეს გააჩნია მუდმივი ადგილსამყოფელი მის ტერიტორიაზე.

6. წინამდებარე კონვენციის მე-18, მე-19 მუხლების და მე-20 მუხლის 1.a პუნქტით და 21-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა მისი იურისდიქცია 1.d და e. პუნქტებთან დაკავშირებით არ იყოს დამოკიდებული იმ პირობაზე, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულ იქნეს მხოლოდ მსხვერპლის განაცხადის ან სახელმწიფოს მიერ იმ ადგილის დენონსაციის შემდეგ, სადაც ჩადენილ იქნა დანაშაული.

7. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა დააწესოს იურისდიქცია წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებზე, იმ შემთხვევაში როდესაც დანაშაულში ეჭვმიტანილი პირი იმყოფება მის ტერიტორიაზე, ხოლო ის არ ახდენს მის ექსტრადირებას სხვა მხარისთვის მხოლოდ მისი მოქალაქეობის საფუძველზე.

8. იმ შემთხვევაში თუ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ შესაძლო დანაშაულზე იურისდიქციის დაწესებას მოითხოვს რამდენიმე მხარე, შესაბამისი მხარეები საჭიროების შემთხვევაში გამართავენ კონსულტაციებს სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით ყველაზე შესაფერისი იურისდიქციის განსაზღვრის მიზნით.

9. საერთაშორისო სამართლის ზოგადი წესების შეუზღუდავად, წინამდებარე კონვენცია არ კრძალავს მხარის მიერ თავისი შიდა კანონმდებლობის მიხედვით ნებისმიერი სისხლისსამართლებრივი იურისდიქციის განხორციელებას.

## მუხლი 26 – კორპორაციული პასუხისმგებლობა

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა იურიდიულ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულისთვის, რომელიც ჩადენილია მის სასარგებლოდ ფიზიკური პირის მიერ, რომელიც მოქმედებს ინდივიდუალურად ან როგორც იურიდიული პირის წარმომადგენელი, და რომელსაც გააჩნია წამყვანი თანამდებობა ამ იურიდიულ პირის შიგნით, კერძოდ გააჩნია:

a) იურიდიული პირის წარმომადგენლობის უფლებამოსილება;

b) იურიდიული პირის სახელით გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილება;

c) იურიდიული პირის ფარგლებში კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება.

2. 1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა, თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა იურიდიულ პირს დაეკისროს პასუხისმგებლობა, იმ შემთხვევაში თუ 1 პუნქტში მითითებული პირის მიერ გამოჩენილი არასაკმარისი ზედამხედველობის ან კონტროლის გამო, შესაძლებელი გახდა წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის ჩადენა იურიდიული პირის სასარგებლოდ, იმ ფიზიკური პირის მიერ, რომელიც მოქმედებდა მისი უფლებამოსილებით.

3. მხარის სამართლებრივი პრინციპების გათვალისწინებით, იურიდიულ პირს შეიძლება დაეკისროს სისხლისსამართლებრივი, სამოქალაქო ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

4. ეს პასუხისმგებლობა არ ზღუდავს იმ ფიზიკურ პირთა სისხლისამართლებრივ პასუხისმგებლობას, რომლებმაც ჩაიდინეს დანაშაული.

## მუხლი 27 – სანქციები და ზომები

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის დადგინდეს ეფექტური, პროპორციული და გამოსასწორებელი ეფექტის მქონე სანქციები, მათი სიმძიმის გათვალისწინებით. ეს სანქციები მოიცავს სასჯელებს, რომლებიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას შესაძლო ექსტრადიციით.

2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ იურიდიულ პირებს, რომელთაც დაეკისრათ პასუხისმგებლობა 26-ე მუხლის შესაბამისად, შეეფარდოთ ეფექტური, პროპორციული და გამოსასწორებელი ეფექტის მქონე სანქციები, რომლებიც მოიცავს სისხლისამართლებრივ ან არასისხლისამართლებრივ ფულად ჯარიმებს და შესაძლოა ითვალისწინებდეს სხვა ზომებსაც, კერძოდ:

a) საზოგადოებრივი სიკეთეებით ან დახმარებით სარგებლობის უფლების წართმევა;

b) კომერციული საქმიანობის უფლების ჩამორთმევა პერმანენტულ ან დროებით საფუძველზე;

c) სასამართლო ზედამხედველობის დაწესება;

d) ლიკვიდაციის შესახებ სასამართლო ბრძანება.

3. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს,

a. რათა უზრუნველყოს ამოღება და კონფისკაცია:

- იმ საქონლის, დოკუმენტების და სხვა საშუალებების, რომლებიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის ან ჩადენის გაადვილების მიზნით;
- ასეთი დანაშაულების ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავლების, ან იმ ქონების, რომლის ღირებულებაც ამ შემოსავლების შესატყვისია.

b. უზრუნველყოს წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენის მიზნით გამოყენებული ნებისმიერი დაწესებულების დროებითი ან პერმანენტული დახურვა, კეთილსინდისიერ მესამემხარეთაუფლებებისშეულახავად,ანაუკრძალოსდანაშაულისჩამდენს,დროებითანპერმანენტულად, ისეთი პროფესიული ან ნებაყოფლობითი საქმიანობის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებს კონტაქტს ბავშვებთან და რომლის განხორციელების პროცესშიც ჩადენილ იქნა დანაშაული.

4. თითოეულ მხარეს შეუძლია დანაშაულის ჩამდენთა მიმართ მიიღოს სხვა ზომებიც, როგორიცაა მშობლის უფლების ჩამორთმევა ან მსჯავრდებულ პირებზე მონიტორინგის ან ზედამხედველობის დაწესება.

5. თითოეულ მხარეს შეუძლია დაადგინოს, რომ წინამდებარე მუხლის შესაბამისად კონფისკირებული დანაშაულის შედეგად მიღებული შემოსავლები ან ქონება გადაეცეს სპეციალურ ფონდს, რომლის მიზანია წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი დანაშაულის მსხვერპლთათვის პრევენციისა

და დახმარების პროგრამების დაფინანსება.

### მუხლი 28 – დამამძიმებელი გარემოებები

თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ შემდეგი გარემოებები, თუ ისინი უკვე არ წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის ნაწილს, შიდა კანონმდებლობის შესაბამისი ნორმების შესაბამისად, განხილულ იქნეს როგორც დამამძიმებელი გარემოებები წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულებისთვის სანქციების განსაზღვრისას:

a) დანაშაულმა სერიოზული ზიანი მიაყენა მსხვერპლის ფიზიკურ ან მენტალურ ჯანმრთელობას;

b) დანაშაულს წინ უძღოდა ან თან ახლდა წამების ან სერიოზული ძალადობის აქტები;

c) დანაშაული ჩადენილ იქნა განსაკუთრებულად უმწეო მსხვერპლის მიმართ;

d) დანაშაული ჩადენილ იქნა ოჯახის წევრის მიერ, იმ პირის მიერ, რომელიც ცხოვრობს ბავშვთან ერთად, ან იმ პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ავტორიტეტული მდგომარეობა;

e) დანაშაული ჩადენილ იქნა რამდენიმე პირის მიერ, რომლებიც ერთობლივად მოქმედებდნენ;

f) დანაშაული ჩადენილ იქნა კრიმინალური ორგანიზაციის ფარგლებში;

g) დანაშაულის ჩამდენი პირი ადრეც იყო ნასამართლევი იმავე ხასიათის დანაშაულებისთვის.

### მუხლი 28 – ადრინდელი ნასამართლეობა

თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა სანქციების განსაზღვრისას გათვალისწინებულ იქნეს წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით სხვა მხარის მიერ გამოტანილი საბოლოო განაჩენები.

## თავი VII – გამოძიება, სამართლებრივი დევნა და პროცესუალური სამართალი

### მუხლი 29 – პრინციპები

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს გამოძიებისა და სისხლის სამართლის პროცესის ჩატარება ბავშვის ინტერესების გათვალისწინებით და უფლებათა დაცვით.

2. თითოეული მხარე შეიმუშავებს მსხვერპლთა მიმართ დაცვით მიდგომას და უზრუნველყოფს, რომ გამოძიებამ და სისხლის სამართლის პროცესმა არ გამოიწვიოს ბავშვის მიმართ მიყენებული ტრავმის გამწვავება და რომ სისხლის სამართალწარმოების შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში განხორციელდეს დახმარების გაწევა.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ გამოძიებას და სისხლის სამართლის პროცესს მიენიჭოს პრიორიტეტული მნიშვნელობა და განხორციელდეს უსაფუძვლო გაჭიანურების გარეშე.

4. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ წინამდებარე თავით გათვალისწინებული ზომები არ ზღუდავდეს დაცვის უფლებათა განხორციელებას და სამართლიანი და მიუკერძოებელი პროცესის მოთხოვნებს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის შესახებ კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად.

5. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს თავისი შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, რათა:

- უზრუნველყოს წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით ეფექტური გამოძიებისა და სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში საიდუმლო ოპერაციების ჩატარება;

- მისცეს საგამოძიებო განყოფილებებს ან სამსახურებს შესაძლებლობა მოახდინონ მე-20 მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების მსხვერპლთა იდენტიფიცირება, რაც ბავშვთა პორნოგრაფიული მასალების, კერძოდ საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით გადაცემული ან ხელმისაწვდომად ქცეული ფოტოსურათებისა და აუდიოვიზუალური ჩანაწერების ანალიზის გზით უნდა განხორციელდეს.

## მუხლი 31 – საერთო დაცვის ზომები

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს მსხვერპლთა უფლებებისა და ინტერესების დაცვის მიზნით, მათ შორის მათი, როგორც მოწმეების სპეციალური საჭიროებების გათვალისწინებით, გამოძიებისა და სისხლისამართალწარმოების ყველა ეტაპზე, კერძოდ შემდეგი გზით:

a) აცნობებენ მათ თავიანთი უფლებებისა და მათ ხელთ არსებული მომსახურებების, გარდა იმ შემთხვევებისა როდესაც მათ არ სურთ ასეთი ინფორმაციის მიღება, მათ საჩივართან დაკავშირებით მიღებული ზომების, გადასახადის, გამოძიების ან სამართალწარმოების საერთო მიმდინარეობის, ამ პროცესში მათი როლის, ასევე მათი საქმეების განხილვის შედეგების შესახებ;

b) უზრუნველყოფენ მსხვერპლის და მისი ოჯახის ინფორმირებას, იმ შემთხვევებში მაინც, როდესაც მათ საფრთხე ემუქრებათ, რომ პასუხისგებაში მიცემული პირი ან მსჯავრდებული განთავისუფლდა დროებით ან საბოლოოდ;

c) მისცემენ მათ შესაძლებლობას, თავიანთი შიდა კანონმდებლობის პროცესუალური ნორმების შესაბამისად, მისცენ ჩვენება, წარმოადგინონ მტკიცებულებები და აირჩიონ თავიანთი მოსაზრებების, საჭიროებებისა და პრობლემების გამოთქმის ფორმა, პირდაპირ ან შუამავლის მეშვეობით;

d) უზრუნველყოფენ მათ შესაბამისი მხარდაჭერის სამსახურებით, მათი უფლებებისა და ინტერესების სათანადოდ წარმოჩენისა და გათვალისწინების მიზნით;

e) დაიცავენ მათი პირადი ცხოვრების საიდუმლოს, მათ ვინაობას და მათ გამოსახულებას და მიიღებენ ზომებს თავიანთი შიდა კანონმდებლობის მიხედვით, რათა ხელი შეუშალონ ნებისმიერი ისეთი ინფორმაციის გავრცელებას, რომელმაც შეიძლება გააადვილოს მათი იდენტიფიცირება;

f) უზრუნველყოფენ მათი, ასევე მათი ოჯახების და მოწმეების დაცვას დაშინების, შურისძიების და განმეორებითი ვიქტიმიზაციისგან;

g) თავიდან აიცილებენ როგორც სასამართლოში, ისე სამართალდამცავ ორგანოებში მსხვერპლსა და დანაშაულის ჩამდენ პირებს შორის კონტაქტს, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კომპეტენტური ორგანოები ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე სხვაგვარ გადაწყვეტილებას იღებენ, ან როცა გამოძიების ან სასამართლო პროცესი ითვალისწინებს ამგვარ კონტაქტს.

2. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ კომპეტენტურ ორგანოებთან პირველი კონტაქტისთანავე, მსხვერპლისთვის ხელმისაწვდომი იყოს ინფორმაცია შესაბამისი სასამართლო და ადმინისტრაციული პროცესის შესახებ.

3. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მსხვერპლისთვის, თუ შესაძლებელია უფასოდ, ხელმისაწვდომი იყოს იურიდიული დახმარება, თუ მას გააჩნია მხარის სტატუსი სისხლის სამართლის პროცესში.

4. თითოეული მხარე უზრუნველყოფს სასამართლო ორგანოების მიერ მსხვერპლისთვის სპეციალური წარმომადგენლის დანიშვნის შესაძლებლობას თუ, შიდა კანონმდებლობის შესაბამისად, მას შეიძლება ჰქონდეს მხარის სტატუსი სისხლისამართლებრივ პროცესში და თუ მშობლის პასუხისმგებლობის მქონე პირებს ჩამორთმეული აქვთ ასეთ პროცესში ბავშვის წარმოდგენის უფლება მსხვერპლსა და მათ შორის არსებულ ინტერესთა კონფლიქტის გამო.

5. თითოეული მხარე, საკანონმდებლო ან სხვა ზომების საშუალებით და თავისი შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული პირობების დაცვით, უზრუნველყოფს ჯგუფების, ფონდების, ასოციაციების ან სამთავრობო ან არა-სამთავრობო ორგანიზაციების შესაძლებლობას დახმარება გაუწიონ და/ან მხარი დაუჭირონ მსხვერპლთ, მათივე თანხმობით, წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით აღძრულ სისხლისსამართლებრივ პროცესში.

6. თითოეული მხარე უზრუნველყოფს, რომ მსხვერპლს წინამდებარე მუხლის დებულებათა შესაბამისად

ინფორმაცია მიეწოდოს მისი ასაკის გათვალისწინებით და მისთვის გასაგებ ენაზე.

## მუხლი 32 – სასამართლო პროცესის დაწყება

თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიების ან სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება არ იყოს დამოკიდებული მსხვერპლის მიერ ინფორმაციის ან განაცხადის შეტანაზე, და რომ სასამართლო პროცესი გაგრძელდეს მსხვერპლის მიერ თავისი განაცხადის უკან გატანის შემთხვევაშიც.

## მუხლი 33 – ხანდაზმულობის ვადა

თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე კონვენციის მე-18 მუხლით, მე-19 მუხლის 1.a და b პუნქტებით და 21-ე მუხლის 1.a და b პუნქტებით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით სასამართლო პროცესის დაწყების ხანდაზმულობის ვადა გაგრძელდეს იმდენი ხანი, რამდენიც საჭიროა სასამართლო პროცესის ეფექტურად დასაწყებად, მას შემდეგ, რაც მსხვერპლი მიაღწევს სრულწლოვანებას, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის პროპორციულად.

## მუხლი 34 – გამოძიება

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ იმ პირებმა, სამმართველოებმა ან სამსახურებმა, რომლებიც პასუხისმგებლები არიან გამოძიების ჩატარებაზე, გაიარონ სპეციალიზაცია ან ტრეინინგი ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში. ასეთ სამმართველოები ან სამსახურები უზრუნველყოფილნი იქნებიან შესაბამისი ფინანსური რესურსებით.

2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ მსხვერპლის ფაქტიურ ასაკთან დაკავშირებით წარმოშობილმა გაურკვევლობამ ხელი არ შეუშალოს სისხლის სამართლის გამოძიების დაწყებას.

## მუხლი 35 – გასაუბრება ბავშვთან

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ

a) გასაუბრება ბავშვთან ჩატარდეს დაუსაბუთებელი გაჭიანურების გარეშე, კომპეტენტური ორგანოებისთვის შესაბამისი ფაქტების წარდგენის შემდეგ;

b) გასაუბრება ბავშვთან აუცილებლობის შემთხვევაში ჩატარდეს ამ მიზნით დაპროექტებულ ან ადაპტირებულ შენობაში;

c) გასაუბრება ბავშვთან ჩატარდეს იმ პროფესიონალების მიერ, რომლებმაც ამ მიზნით გაიარეს ტრეინინგი;

d) ბავშვთან ყველა გასაუბრება, თუ ეს შესაძლებელია, და საჭიროების გათვალისწინებით, ჩატარდეს ერთი და იგივე პირების მიერ;

e) გასაუბრებათა რაოდენობა უნდა იყოს შეძლებისდაგვარად შეზღუდული და მკაცრად განპირობებული სისხლის სამართლის პროცესის აუცილებლობით;

f) ბავშვს შეიძლება თან ახლდეს თავისი კანონიერი წარმომადგენელი, ან საჭიროების შემთხვევაში, მის მიერ დასახელებული ზრდასრული პირი, გარდა იმ შემთხვევებისა, თუ ამ პირის წარმომადგენლობის საწინააღმდეგოდ მიღებულ იქნა დასაბუთებული გადაწყვეტილება.

2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ ბავშვთან ან ბავშვ მოწმესთან ჩატარებული ყველა სახის გასაუბრება ჩაწერილ იქნეს ვიდეოფირზე და სასამართლოზე ეს ვიდეოფირები მიღებულ იქნეს მტკიცებულების სახით, შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში თუ მსხვერპლის ასაკი გაურკვეველია, მაგრამ არსებობს საფუძველი ვარაუდისთვის,

რომ მსხვერპლი ბავშვია, მისი ასაკის დადგენამდე გამოიყენება 1 და მე-2 პუნქტში მითითებული ზომები.

### მუხლი 36 – სისხლის სამართლის პროცესი

1. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, იურიდიული პროფესიების დამოუკიდებლობის მარეგულირებელი ნორმების გათვალისწინებით, რათა უზრუნველყოს, რომ ტრეინინგი ბავშვთა უფლებების, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის შესახებ ჩაუტარდეს სასამართლო პროცესში მონაწილე ყველა პირს, კერძოდ მოსამართლეებს, პროკურორებს და ადვოკატებს.

2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა, თავისი შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმების შესაბამისად, უზრუნველყოს, რომ:

a) მოსამართლის ბრძანებით მოსმენა ჩატარდეს დახურულ სხდომაზე;

b) მსხვერპლის ჩვენება მოსმენილ იქნეს სასამართლო დარბაზში მსხვერპლის დაუსწრებლად, კერძოდ შესაბამისი საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენებით.

## თავი VIII – მონაცემთა ჩაწერა და შენახვა

### მუხლი 37 – სექსუალური დანაშაულების ჩადენისთვის მსჯავრდებულ პირთა შესახებ ეროვნულ დონეზე მონაცემთა ჩაწერა და შენახვა

1. წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების პრევენციის და მათთან დაკავშირებით სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელების მიზნით, თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა პირად მონაცემთა დაცვის შესახებ არსებული ნორმების და შიდა კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი წესებისა და გარანტიების დაცვით, უზრუნველყოს წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენისთვის მსჯავრდებულ პირთა ვინაობასთან და გენეტიკურ პროფილთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვება და შენახვა.

2. თითოეული მხარე, ხელმოწერის ან სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტის დეპონირებისას, აცნობებს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს იმ ეროვნული ორგანოს დასახელებას და მისამართს, რომელიც პასუხისმგებელია 1 პუნქტის შესრულებაზე.

3. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ 1 პუნქტში მითითებული ინფორმაცია გადაეცეს სხვა მხარის კომპეტენტურ ორგანოს შიდა კანონმდებლობით და შესაბამისი საერთაშორისო აქტებით დადგენილი პირობების დაცვით.

## თავი IX – საერთაშორისო თანამშრომლობა

### მუხლი 38 – საერთაშორისო თანამშრომლობის ზოგადი პრინციპები და ზომები

1. მხარეები ითანამშრომლებენ წინამდებარე კონვენციის დებულებათა შესაბამისად და შესაბამისი საერთაშორისო და რეგიონული აქტების, ერთგვაროვანი ან ეკვივალენტური კანონმდებლობის და შიდა კანონების გამოყენების გზით, შესაძლებლობის ფარგლებში, რათა უზრუნველყონ:

a) ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენცია და მის წინააღმდეგ ბრძოლა;

b) მსხვერპლთა დაცვა და მათთვის დახმარების გაწევა;

c) წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით გამოძიების ან სასამართლო პროცესის ჩატარება.

2. თითოეული მხარე მიიღებს აუცილებელ საკანონმდებლო ან სხვა სახის ზომებს, რათა უზრუნველყოს, რომ წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებათა მსხვერპლთ იმ მხარის ტერიტორიაზე, სადაც ისინი არ ცხოვრობენ, მიეცეთ საჩივრის შეტანის შესაძლებლობა იმ სახელმწიფოს კომპეტენტურ ორგანოებში, სადაც მათ გააჩნიათ მუდმივი საცხოვრებელი ადგილი.

3. თუ ის მხარე, რომელიც სისხლის სამართლის ან ექსტრადიციის საკითხებში ორმხრივი დახმარების გაწევას შესაძლებლად მიიჩნევს მხოლოდ შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში, მიიღებს სამართლებრივი დახმარების ან ექსტრადიციის მოთხოვნას იმ მხარისგან, რომელთანაც მას გაფორმებული არა აქვს მსგავსი ხელშეკრულება, მას შეუძლია წინამდებარე კონვენცია მიიჩნიოს როგორც იურიდიული საფუძველი სისხლის სამართლის ან ექსტრადიციის საკითხებში დახმარების გაწევის მიზნით წინამდებარე კონვენციით გათვალისწინებულ დანაშაულებთან დაკავშირებით.

4. თითოეული მხარე შესაძლებლობის შემთხვევაში შეეცდება უზრუნველყოს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხების ასახვა მესამე ქვეყნებისთვის გათვალისწინებულ დახმარების პროგრამებში.

## თავი X – მონიტორინგის მექანიზმი

### მუხლი 39 – მხარეთა კომიტეტი

1. მხარეთა კომიტეტი შედგება წინამდებარე კონვენციის მხარეთა წარმომადგენლებისაგან.

2. მხარეთა კომიტეტს იწვევს ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი. პირველი სხდომა გაიმართება ერთი წლის განმავლობაში მას შემდეგ, რაც წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა იმ მეათე ხელმომწერი სახელმწიფოსთვის, რომელმაც მოახდინა კონვენციის რატიფიკაცია. შემდგომში კომიტეტი შეიკრიბება მხარეთა არა ნაკლებ ერთი-მესამედის ან გენერალური მდივნის მოთხოვნით.

3. მხარეთა კომიტეტი მიიღებს თავის საპროცედურო წესებს.

### მუხლი 40 – სხვა წარმომადგენლები

1. ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, ადამიანის უფლებათა კომისარი, დანაშაულის პრობლემათა ევროპის კომიტეტი, ასევე ევროპის საბჭოს სხვა შესაბამისი სამთავრობათაშორისი კომიტეტები დანიშნავენ წარმომადგენელს მხარეთა კომიტეტში.

2. მინისტრთა კომიტეტს შეუძლია შესთავაზოს ევროპის საბჭოს სხვა ორგანოებს წარმომადგენლის დანიშვნა მხარეთა კომიტეტში, ამ უკანასკნელთან კონსულტაციის შემდეგ.

3. სამოქალაქო საზოგადოების და კერძოდ არა-სამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები მხარეთა კომიტეტში შესაძლებელია მიწვეულ იქნენ დამკვირვებლის სტატუსით, ევროპის საბჭოს შესაბამისი ნორმებით გათვალისწინებული პროცედურის დაცვით.

4. 1-მე-3 პუნქტებში მითითებული წარმომადგენლები მხარეთა კომიტეტის სხდომებში მონაწილეობას მიიღებენ ხმის უფლების გარეშე.

### მუხლი 41 – მხარეთა კომიტეტის ფუნქციები

1. მხარეთა კომიტეტი განახორციელებს მონიტორინგს წინამდებარე კონვენციის იმპლემენტაციაზე. მხარეთა კომიტეტის საპროცედურო წესები ითვალისწინებს პროცედურას წინამდებარე კონვენციის იმპლემენტაციის შეფასების მიზნით.

2. მხარეთა კომიტეტი ხელს შეუწყობს სახელმწიფოთა შორის ინფორმაციის, გამოცდილების და პრაქტიკის შეგროვებას, ანალიზსა და გაცვლას, რაც ემსახურება მათი შესაძლებლობების გაუმჯობესებას ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და ბავშვთა მიმართ სექსუალური ძალადობის პრევენციისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის კუთხით.

3. მხარეთა კომიტეტი ასევე, შესაძლებლობის შემთხვევაში:

a) ხელს შეუწყობს წინამდებარე კონვენციის ეფექტურად გამოყენებას და იმპლემენტაციას, ნებისმიერი პრობლემის და წინამდებარე კონვენციის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაციის ან დათქმის შედეგების განსაზღვრას;

b) გამოთქვამს მოსაზრებებს წინამდებარე კონვენციის გამოყენებასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე და ხელს შეუწყობს ინფორმაციის გაცვლას სამართლებრივ, სტრატეგიულ ან ტექნოლოგიურ სფეროში მომხდარი მნიშვნელოვანი მიღწევების შესახებ.

4. მხარეთა კომიტეტს წინამდებარე მუხლის შესაბამისად თავისი ფუნქციების შესრულებაში დახმარებას გაუწევს ევროპის საბჭოს სამდივნო.

5. დანაშაულის პრობლემათა ევროპის კომიტეტს პერიოდულად მიეწოდება ინფორმაცია წინამდებარე მუხლის 1, მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

## თავი XI – ურთიერთმიმართება სხვა საერთაშორისო აქტებთან

### მუხლი 42 – ურთიერთმიმართება ბავშვის უფლებათა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციასთან და ბავშვთა გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ მის ფაკულტატურ ოქმთან

წინამდებარე კონვენცია არ ლახავს იმ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს ბავშვის უფლებათა შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციიდან და ბავშვთა გაყიდვის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ მისი ფაკულტატური ოქმიდან და მიზნად ისახავს აღნიშნული დოკუმენტებით გათვალისწინებული დაცვის გაძლიერებასა და მათში მოცემული სტანდარტების განვითარებასა და შევსებას.

### მუხლი 43 - ურთიერთმიმართება სხვა საერთაშორისო აქტებთან

1. წინამდებარე კონვენცია არ ლახავს იმ უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობს სხვა საერთაშორისო აქტებიდან, რომელთა მხარეებიც არიან ან გახდებიან წინამდებარე კონვენციის მხარეები და რომლებიც შეიცავს დებულებებს წინამდებარე კონვენციით რეგულირებულ საკითხებზე და უზრუნველყოფს უფრო მნიშვნელოვან დაცვას და დახმარებას სექსუალური ექსპლუატაციისა ან სექსუალური ძალადობის მსხვერპლ ბავშვთათვის.

2. კონვენციის მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებები ერთმანეთთან წინამდებარე კონვენციით რეგულირებულ საკითხებზე, მისი დებულებების შევსების ან გაძლიერების ან მასში მოცემული პრინციპების გამოყენების ხელშეწყობის მიზნით.

3. მხარეები, რომლებიც წარმოადგენენ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, თავიანთ ორმხრივ ურთიერთობებში გამოიყენებენ გაერთიანების და ევროკავშირის წესებს, თუ გაერთიანების ან ევროკავშირის ეს წესები ეხება რომელიმე კონკრეტულ საკითხს და გამოიყენება რომელიმე სპეციფიური შემთხვევის მიმართ, ისე რომ არ ზღუდავს წინამდებარე კონვენციის საგანს და მიზანს და ასევე მის სრულ გამოყენებას სხვა მხარეებთან მიმართებაში.

## თავი XII – კონვენციაში შესწორებების შეტანა

### მუხლი 44 – შესწორებები

1. მხარის მიერ წინამდებარე კონვენციაში შესწორების შესატანად წარმოდგენილი ნებისმიერი წინადადება ეცნობება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს და მის მიერ გადაეცემა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ნებისმიერ ხელმომწერს, ნებისმიერ მხარეს, ნებისმიერ სახელმწიფო მხარეს, ევროპის გაერთიანებას, 45-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე კონვენციის ხელმოსაწერად მიწვეულ ნებისმიერ სახელმწიფოს და 46-ე მუხლის 1 პუნქტის შესაბამისად წინამდებარე კონვენციასთან მისაერთებლად მიწვეულ ნებისმიერ სახელმწიფოს.

2. მხარის მიერ შეთავაზებული ნებისმიერი შესწორება ეცნობება დანაშაულის პრობლემათა ევროპის კომიტეტს, რომელიც მინისტრთა კომიტეტს წარუდგენს თავის მოსაზრებას შეთავაზებული შესწორების შესახებ.

3. მინისტრთა კომიტეტი შეისწავლის შეთავაზებულ შესწორებას და დანაშაულის პრობლემათა ევროპის კომიტეტის მოსაზრებას და წინამდებარე კონვენციის არა-წევრ სახელმწიფო მხარეებთან კონსულტაციების შემდეგ, მან შესაძლოა დაამტკიცოს შესწორება.

4. მინისტრთა კომიტეტის მიერ წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული ნებისმიერი შესწორების ტექსტი მისაღებად გადაეცემა მხარეებს.

5. წინამდებარე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად დამტკიცებული ნებისმიერი შესწორება ძალაში შევა იმ დღის შემდგომი ერთთვიანი პერიოდის გასვლიდან მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც მხარეებმა

გენერალურ მდივანს აცნობეს შესწორების მიღების შესახებ.

## თავი XII –საბოლოო დებულებები

### მუხლი 45 – ხელმოწერა და ძალაში შესვლა

1. წინამდებარე კონვენცია ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს ყველა წევრი სახელმწიფოს და იმ არა-წევრი სახელმწიფოების მიერ, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს მის შემუშავებაში და ასევე ევროპის გაერთიანებისთვის.

2. წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო სიგელები, მიღების ან დამტკიცების აქტები შესანახად გადაეცემა ევროპის საბჭოს გენეარალურ მდივანს.

3. წინამდებარე კონვენცია ძალაში შევა იმ დღის შემდგომი სამთვიანი პერიოდის გასვლიდან მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც 5 ხელმომწერმა, მათ შორის ევროპის საბჭოს არა ნაკლებ 3 წევრმა სახელმწიფომ, გამოთქვა თანხმობა იყოს შებოჭილი კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებებით წინა პარაგრაფის დებულებათა შესაბამისად.

4. 1 პუნქტში მითითებული ნებისმიერ სახელმწიფოსთვის ან ევროპის გაერთიანებისთვის, რომელიც შემდგომში გამოთქვამს თანხმობას იყოს შებოჭილი კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებებით, კონვენცია ძალაში შევა იმ დღის შემდგომი სამთვიანი პერიოდის გასვლიდან მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც განხორციელდა სარატიფიკაციო სიგელების, მიღების ან დამტკიცების აქტები დეპონირება.
მუხლი 46 – კონვენციასთან მიერთება

1. წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის შემდეგ, ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტს შეუძლია, წინამდებარე კონვენციის მხარეებთან კონსულტაციისა და მათი ერთსულოვანი თანხმობის მიღების შემდგომ, მიიწვიოს ევროპის საბჭოს არა-წევრი სახელმწიფო, რომელსაც მონაწილეობა არ მიუღია კონვენციის შემუშავებაში, მიუერთდეს წინამდებარე კონვენციას უმრავლესობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით, როგორც ეს გათვალისწინებულია ევროპის საბჭოს წესდების მე-20.d მუხლით და იმ ხელშემკვრელი მხარეების წარმომადგენელთა ერთსულოვანი ხმებით, რომლებიც მინისტრთა კომიტეტის წევრები არიან.

2. ნებისმიერ იმ სახელმწიფოსთან მიმართებაში, რომელიც უერთდება კონვენციას, კონვენცია ძალაში შევა იმ დღის შემდგომი სამთვიანი პერიოდის გასვლიდან მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც განხორციელდა ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანთან მიერთების აქტის დეპონირება.

### მუხლი 47 – ტერიტორიული გამოყენება

1. ევროპის სახელმწიფოს ნებისმიერ სახელმწიფოს შეუძლია, ხელმოწერის დროს ან ხელმოწერის ან სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების აქტის დეპონირებისას, განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც უნდა გავრცელდეს კონვენცია.

2. ნებისმიერ მხარეს შეუძლია, უფრო მოგვიანებით, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი დეკლარაციის საფუძველზე, კონვენციის მოქმედება გაავრცელოს დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე, რომლის საერთაშორისო ურთიერთობებზეც ის არის პასუხისმგებელი, ან რომლის სახელითაც ის უფლებამოსილია მისცეს დაპირებები. ასეთ ტერიტორიასთან დაკავშირებით, კონვენცია ძალაში შევა იმ დღის შემდგომი სამთვიანი პერიოდის გასვლიდან მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა მიიღო ასეთი დეკლარაცია.

3. წინა ორი პუნქტის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია, ასეთ დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ ტერიტორიასთან დაკავშირებით, შესაძლოა უკან იქნეს გახმობილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით. ამგვარი უკან გახმობა ძალაში შევა იმ დღის შემდგომი სამთვიანი პერიოდის გასვლიდან მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც ევროპის საბჭოს გენერალურმა მდივანმა მიიღო ასეთი შეტყობინება.

### მუხლი 48 – დათქმები

წინამდებარე კონვენციის რომელიმე დებულებასთან დაკავშირებით არ შეიძლება გაკეთდეს რაიმე დათქმა, გარდა სპეციალურად დადგენილი დათქმებისა. ნებისმიერი დათქმა შეიძლება გაუქმდეს ნებისმიერ დროს.

## მუხლი 49 – დენონსაცია

1. ნებისმიერ მხარეს შეუძლია ნებისმიერ დროს განახორციელოს წინამდებარე კონვენციის დენონსაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაგზავნილი შეტყობინების გზით.

2. ასეთი დენონსაცია ძალაში შევა იმ დღის შემდგომი სამთვიანი პერიოდის გასვლიდან მომდევნო თვის პირველ დღეს, როდესაც გენერალურმა მდივანმა მიიღო ასეთი შეტყობინება.

## მუხლი 50 – შეტყობინება

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი აცნობებს ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ნებისმიერ ხელმომწერ სახელმწიფოს, ნებისმიერ სახელმწიფო მხარეს, ევროპის გაერთიანებას, 45-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად წინამდებარე კონვენციის ხელმოსაწერად მიწვეულ ნებისმიერ სახელმწიფოს და 46- ე მუხლის დებულებათა შესაბამისად წინამდებარე კონვენციასთან მისაერთებლად მიწვეულ ნებისმიერ სახელმწიფოს:

a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;

b) ნებისმიერი სარატიფიკაციო სიგელის, მიღების, დამტკიცების ან მიერთების ნებისმიერი აქტის დეპონირების შესახებ;

c) წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ 45-ე და 46-ე მუხლების შესაბამისად;

d) 44-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შესწორების და ამ შესწორების ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;

e) 48-ე მუხლის შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დათქმის შესახებ;

f) 49-ე მუხლის დებულებათა შესაბამისად განხორციელებული ნებისმიერი დენონსაციის შესახებ;

g) წინამდებარე კონვენციასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა აქტის, შეტყობინების ან კომუნიკაციის შესახებ.

ზემოაღნიშნულის დასტურად, ქვემორე ხელისმომწერნი, სათანადო უფლებამოსილებით აღჭურვილნი, ხელს აწერენ წინამდებარე კონვენციას.
შესრულებულია ლანსაროტში, 2007 წლის 25 ოქტომბერს, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე, ორივე ტექსტი თანაბრად აუთენტურია, ერთ ეგზემპლარად, რომელიც შესანახად გადაეცემა ევროპის საბჭოს არქივს.
ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი დამოწმებულ ასლებს გადასცემს ევროპის საბჭოს თითოეულ წევრ სახელმწიფოს, იმ არა-წევრ სახელმწიფოებს, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს წინამდებარე კონვენციის შემუშავებაში, ევროპის გაერთიანებას და წინამდებარე კონვენციასთან მიერთების მიზნით მიწვეულ ნებისმიერ სახელმწიფოს.

## ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის სახელმძღვანელო დირექტივები ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე

### (მიღებულია მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს, მინისტრთა მოადგილეების 1098-ე შეხვედრაზე)

### შესავალი

მინისტრთა კომიტეტი,

ითვალისწინებს რა ევროპის საბჭოს მიზანს, რომელიც მიმართულია წევრ სახელმწიფოებს შორის უფრო მეტი ერთიანობის მიღწევაზე, მათ შორის სამართლებრივ სფეროში საერთო მიდგომებისა და წესების დანერგვის გზით;

მიაჩნია რა, რომ აუცილებელია ბავშვთა უფლებების დაცვაზე მიმართული სავალდებულო უნივერსალური და ევროპული სტანდარტების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა, კერძოდ კი ქვემოთ ჩამოთვლილი ინსტრუმენტების მოთხოვნების შესრულება:

- გაერთიანებული ერების 1951 წლის კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ;

- 1996 წლის საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ;

- 1966 წლის საერთაშორისო პაქტი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ;

- გაერთიანებული ერების 1989 წლის კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ;

- გაერთიანებული ერების 2006 წლის კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ;

- ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (1950, ETS No. 5) (შემდგომში მოხსენიებული როგორც “ECHR”);

- ევროპული კონვენცია ბავშვთა უფლებების რეალიზაციის შესახებ (1996, ETS No. 160);

- ევროპის სოციალური ქარტიის გადასინჯული ვერსია (1996, ETS No. 163);

-ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვებთან კონტაქტის შესახებ (2003, ETS No. 192);

- ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობისაგან დაცვის შესახებ (2007, CETS No. 201);

- ევროპის საბჭოს კონვენცია ბავშვების შვილად აყვანის შესახებ (გადასინჯული) (2008, CETS No. 202);

იმის გათვალისწინებით, რომ ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციითა და ადამიანის უფლებათა დაცვის სასამართლოს პრეცედენტული სამართლით გარანტირებულია ყველა პირის უფლება გააჩნდეს წვდომა მართლმსაჯულებისა და სამართლიანი სასამართლო განხილვისადმი, ამ უფლებით გათვალისწინებული ყველა კომპონენტის ჩათვლით (მათ შორის, უფლება მიეწოდოს ინფორმაცია, ჰყავდეს დამცველი და მისი ინტერესები სათანადოდ იყოს წარმოდგენილი სასამართლოს წინაშე) - რაც აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში, ასევე თანაბრად ვრცელდება ბავშვებზე, საკუთარი აზრის გამოხატვის თვალსაზრისით ბავშვების შესაძლებლობების გათვალისწინებით;

იხსენებს რა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამის პრეცედენტულ სამართალს, ევროპის საბჭოს შესაბამისი ინსტიტუტებისა და ორგანოების, მათ შორის წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის გადაწყვეტილებებს, ანგარიშებს, დოკუმენტებსა და რეკომენდაციებს, აგრეთვე ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისარის განცხადებებსა და მოსაზრებებს, და ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სხვადასხვა რეკომენდაციებს;

ხაზს უსვამს რა ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის მიერ წევრი სახელმწიფოებისთვის მომზადებულ სხვადასხვა რეკომენდაციებს ბავშვთა უფლებების საკითხებზე, მათ შორის: რეკომენდაცია Rec(2003)5 თავშესაფრის მაძიებლების დაკავების ღონისძიებების შესახებ; რეკომენდაცია Rec(2003)20 არასრულწლოვანთა დამნაშავეობასთან გამკლავებისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ; რეკომენდაცია Rec(2005)5 მზრუნველობის დაწესებულებებში მცხოვრები ბავშვების უფლებების შესახებ; რეკომენდაცია Rec(2006)2 ევროპული ციხის წესების შესახებ; რეკომენდაცია CM/Rec(2008)11 ევროპული წესები სანქციებსა და ზომებს დაქვემდებარებულ არასრულწლოვან სამართალდამრღვევებთან მიმართებაში; და რეკომენდაცია CM/Rec(2009)10 ბავშვების ძალადობისაგან დაცვის ინტეგრირებული ეროვნული სტრატეგიების შესახებ მომზადებული პოლიტიკური დირექტივები;

იხსენებს რა No. 2 რეზოლუციას ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების თაობაზე, რომელიც ევროპის იუსტიციის მინისტრთა მე-20 კონფერენციაზე იქნა მიღებული, 2007 წლის ოქტომბერი);

ითვალისწინებს რა ბავშვთა უფლებების დაცვაზე მიმართული გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შემდეგი ინსტრუმენტების მნიშვნელობას:

- გაეროს სტანდარტული მინიმალური წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ (პეკინის წესები, 1985);
- გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანი სამართალდამრღვევთა დაცვის შესახებ (ჰავანის წესები, 1990);
- გაეროს პრინციპები არასრულწლოვანთა დამნაშავეობის პრევენციის შესახებ (რიადის პრინციპები, 1990);
- გაეროს პრინციპები დანაშაულის მსხვერპლი და დანაშაულის მოწმე ბავშვების მიმართ მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით (ECOSOC Res 2005/20, 2005);
- გაეროს გენერალური მდივნის სახელმძღვანელო დირექტივა: გაეროს მიდგომა ბავშვთა მართლმსაჯულების მიმართ (2008);

- გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები ბავშვებზე ალტერნატიული ზრუნვის სათანადო გამოყენებასა და პირობების შესახებ (2009);
- გაეროს პრინციპები ადამიანის უფლებათა დამცველი ეროვნული ინსტიტუტების სტატუსისა და ფუნქციონირების თაობაზე (პარიზის პრინციპები);

ხაზს უსვამს რა ბავშვთა უფლებების სფეროში არსებული სავალდებულო ნორმების ეფექტურად განხორციელების მნიშვნელობას, რაც არ ზღუდავს წევრი სახელმწიფოების უფლებას დანერგონ უფრო მაღალი სტანდარტი, ან უფრო ქმედითი ზომები გაატარონ მოცემულთან მიმართებით;

აკეთებს რა რეფერენციას ევროპის საბჭოს პროგრამაზე „ვაშენოთ ევროპა ბავშვებისთვის და ბავშვებთან ერთად“;

აღიარებს რა იმ პროგრესს, რაც მიღწეულია წევრი სახელმწიფოების მიერ ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების პრინციპების დანერგვის მიმართულებით;

იმავდროულად, ამახვილებს რა ყურადღებას ბავშვებისთვის მართლმსაჯულების მისაწვდომობის თვალსაზრისით არსებულ ხარვეზებზე, მათ შორის მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლების არარსებობაზე, ან მის ნაწილობრივ, ან პირობით არსებობაზე, აგრეთვე პროცედურების სირთულესა და სხვადასხვა საფუძველზე დისკრიმინაციის შესაძლებლობაზე;

იხსენებს რა ბავშვებთან დაკავშირებული, ან მათზე პოტენციური ზეგავლენის მქონე სამართალწარმოების პროცესში მათი შესაძლებელი მეორადი ვიქტიმიზაციის პრევენციის აუცილებლობაზე;

მოუწოდებს რა წევრ სახელმწიფოებს გამოასწორონ არსებული ხარვეზები და აღმოფხვრან პრობლემები, და მოახდინონ ისეთი სფეროების იდენტიფიცირება, სადაც ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების პრინციპები და პრაქტიკა შეიძლება დაინერგოს;

ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებში ინტერვიუირებული ბავშვების მოსაზრებებისა და სურვილების გათვალისწინებით;
ხაზს უსვამს რა, რომ სახელმძღვანელო პრინციპები ხელს შეუწყობს კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ხარვეზების აღმოფხვრას; -

ამტკიცებს წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპებს, რომლებიც წევრი სახელმწიფოებისთვის წარმოადგენენ პრაქტიკულ ინსტრუმენტს სასამართლო და არა-სასამართლო სისტემების ადაპტირებისთვის

ბავშვთა კონკრეტული უფლებების, ინტერესებისა და საჭიროებების უკეთ გათვალისწინების მიზნით. იმავდროულად, მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს ხელშემკვრელ მხარეებს უზრუნველყონ წინამდებარე სახელმძღვანელოპრინციპებისფართოგავრცელებაიმსტრუქტურებში,რომლებიცპასუხისმგებელიარიან,ან მონაწილეობას იღებენ ბავშვთა უფლებების დაცვაზე და ამასთან დაკავშირებულ სამართალწარმოებაზე.

## I. მოქმედების სფერო და მიზანი

1. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები შეეხება სამართალწარმოების პროცესში ბავშვის ადგილს და როლს, ასევე ბავშვის მოსაზრებებს, უფლებებსა და საჭიროებებს, და პრობლემის სამართალწარმოების გარდა სხვა ალტერნატიული საშუალებებით გადაწყვეტის შესაძლებლობებს.

2. მოცემული პრინციპები ვრცელდება ყველა ვითარებაზე, როდესაც ბავშვები დამოუკიდებლად სტატუსისა თუ მიზეზისა, შეხებაში მოვლენ იმ კომპეტენტურ ორგანოებთან და სერვისებთან, რომლებიც სისხლის, სამოქალაქო ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებასთან არიან დაკავშირებული.

3. სახელმძღვანელო პრინციპების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ ასეთი სამართალწარმოების პროცესში ბავშვის ყველა უფლებები, მათ შორის ინფორმაციის მიღების, ინტერესების წარმომადგენლობისა და დაცვის, და სამართალწარმოებაში მონაწილეობის უფლება სათანადოდ იქნება დაცული, და გათვალისწინებული იქნება ბავშვის განვითარებისა და სიმწიფის დონე, ასევე კონკრეტული საქმის გარემოებები. ბავშვის უფლებების პატივიცემა არ უნდა მოხდეს სამართალწარმოების სხვა მხარეების ინტერესების საზიანოდ.

## II. დეფინიციები

ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების შესახებ წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების მიზნებში (შემდგომში „პრინციპები“) ქვემოთ მოყვანილ ტერმინებს შემდეგი მნიშვნელობა ექნებათ:

ა) „ბავშვში“ იგულისხმება 18 წლამდე ასაკის პირი;

ბ) „მშობელში“ იგულისხმება პირი, რომელსაც მშობლის პასუხისმგებლობები გააჩნია ქვეყნის ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ მშობელი გარდაცვლილია, ან მას ჩამოერთვა მშობლის უფლებამოსილება, ასეთი პირი შეიძლება იყოს მეურვე, ან ბავშვის იურიდიული ინტერესების წარმომადგენლად დანიშნული პირი.

გ) „ბავშვზეორიენტირებულმართლმსაჯულებაში“იგულისხმებამართლმსაჯულებისისეთისისტემა, რომელიც ბავშვთა უფლებების ყველაზე მაღალი სტანდარტით დაცვას უზრუნველყოფს, წინამდებარე დოკუმენტში ასახული პრინციპების დაცვითა და ბავშვის სიმწიფისა და საქმის გარემოებების გაცნობიერების შესაძლებლობების გათვალისწინებით. კერძოდ, ასეთი მართლმსაჯულება უნდა იყოს მისაწვდომი, ბავშვის ასაკის შესაბამისი, დროული, სათანადო, და ბავშვის უფლებებზე და საჭიროებებზე ორიენტირებული და მორგებული; გარდა ამისა, მართლმსაჯულების სისტემა პატივს უნდა სცემდეს ბავშვის უფლებებს, მათ შორის სამართალწარმოებაში მონაწილეობისა და მისი გაგების უფლებას, და უზრუნველყოფდეს პირადი და ოჯახური ცხოვრების, ღირსებისა და ხელშეუხებლობის პატივისცემას.

## III. ფუძემდებლური პრინციპები

1. წინამდებარე სახელმძღვანელო დირექტივები ეფუძნება დოკუმენტის შესავალ ნაწილში მოცემულ ინსტრუმენტებში ასახულ პრინციპებსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლით დადგენილ პრინციპებს.

2. ზემოთხსენებული პრინციპები კიდევ უფრო დეტალურადაა ჩამოყალიბებული მოცემული დოკუმენტის მომდევნო ნაწილში და ისინი მოცემული სახელმძღვანელოს ყველა ნაწილზე ვრცელდება.

### ა. მონაწილეობა

1. დაცული უნდა იქნას ყველა ბავშვის უფლება ინფორმირებული იყოს მისი უფლებების შესახებ, აგრეთვე მართლმსაჯულების მისაწვდომობის უფლება, და ისეთ სამართალწარმოებაში მონაწილეობის მიღებისა და საკუთარი მოსაზრებების გამოთქმის უფლება, რომელიც ბავშვთანაა დაკავშირებული, ან გავლენას ახდენს მასზე. ეს გულისხმობს ბავშვის მოსაზრების გათვალისწინებას მისი სიმწიფის დონისა და კომუნიკაციაში შესაძლო პრობლემების გათვალისწინებით, რათა ბავშვის მონაწილეობა სამართალწარმოებაში გააზრებული

და ეფექტური იყოს.

2. ბავშვების ყველა უფლებები აღიარებული უნდა იქნას და მათდამი მოპყრობა უნდა უზრუნველყოფდეს, რომ ბავშვმა სრულად მოახდინოს თავისი უფლებების რეალიზაცია, ბავშვის მიერ თავისი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობებისა და საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

## ბ. ბავშვის საუკეთესო ინტერესები

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ ბავშვთა უფლებების ეფექტური დაცვის გარანტია და იმმოქმედონ ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე ყველა იმ საკითხთან მიმართებაში, რომლებიც ბავშვებზე ახდენენ ზეგავლენას, ან ბავშვებთან არიან დაკავშირებული.

2. ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენის პროცესში:

ა. სათანადოდ უნდა იქნას გათვალისწინებული ბავშვის აზრი და თვალსაზრისი;
ბ. ბავშვის ყველა სხვა უფლებები, მათ შორის ბავშვის ღირსების, თავისუფლებისა და თანასწორი მოპყრობის უფლება ყველა გარემოებებში და ყოველთვის უნდა იქნას დაცული.
გ. ყველა შესაბამისმა სახელისუფლებო ორგანოებმა თანმიმდევრული მიდგომები უნდა დანერგონ ბავშვის ყველა ინტერესების, მათ შორის ფსიქოლოგიური, ფიზიკური კეთილდღეობის, სამართლებრივი, სოციალური და ეკონომიკური ინტერესების გათვალისწინების მიზნით.

3. კონკრეტულ საქმესთან ან პროცედურასთან დაკავშირებული ბავშვების საუკეთესო ინტერესები ცალკ-ცალკე უნდა შეფასდეს და შეჯერებული იქნას ბავშვთა ინტერესებს შორის შესაძლებელი კონფლიქტის გათვალისწინების გზით.

4. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებაში შედის, წევრმა სახელმწიფოებმა საჭიროების შემთხვევში ბავშვთა საქმეებთან დაკავშირებული პროცედურეთან მიმართებაში უნდა დანერგონ მულტიდისციპლინარული მიდგომები ბავშვის საუკეთესო ინტერესების დადგენის მიზნით.

## გ. ღირსება

1. პროცედურის ან საქმის მიმდინარეობისას ბავშვისადმი დამოკიდებულება და ზრუნვა უნდა იყოს სათადო, სამართლიანი და სენსიტიური, და განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ბაშვის პირად გარემოებებს, კეთილდღეობას და სპეციფიურ საჭიროებებს, და დაცული უნდა იქნას ბავშვის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობა. ბავშვისადმი ასეთი მიდგომები ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს გამოყენებული, დამოუკიდებლად იმისა, იგი სასამართლო, არასასამართლო თუ სხვა ინტერვენციის ფარგლებში ხვდება შესაბამის ორგანოებთან კონტაქტში, და აგრეთვე მიუხედავად მისი იურიდიული სტატუსისა რაიმე პროცედურის, ან საქმის მსვლელობისას.

2. არც ერთმა ბავშვმა არ უნდა განიცადოს წამება ან სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობა ან დასჯა.

## დ. დისკრიმინაციისგან დაცვა

1. ბავშვთა უფლებები დაცული უნდა იქნას ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა სხედულებების, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური წარმომავლობის, მისი მშობლების სტატუსის, ეთნიკური უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ანდა რაიმე სხვა გარემოებების მიუხედავად.

2. მოწყვლად ბავშვებს, მათ შორის მიგრანტ, ლტოლვილ, თავშესაფრის მაძიებელ, თანმხლები პირის გარეშე ბავშვებს, ასევე შეზღუდული შესაძლებლობების მქონე, უსახლკარო, ქუჩის ბავშვებს, ბოშური წარმოშობის ბავშვებს და სახელმწიფო მზრუნველობის ქვეშ მყოფ ბავშვებს სპეციფიური დაცვა და დახმარება უნდა გაეწიოთ.

## ე. კანონის უზენაესობა

1. კანონის უზენაესობის პრინციპი სრულად უნდა გავრცელდეს ბავშვებთან მიმართებაში, ის, როგორც იგი მოზრდილებთან მიმართებაში ვრცელდება.

2. სათანადო პროცესის ისეთი ელემენტები, როგორიცაა მართლზომიერებისა და თანაზომიერების პრინციპები, უდანაშაულობის პრეზუმფცია, სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება, იურიდიული დახმარებით სარგებლობის უფლება, სასამართლოს მისაწვდომობისა და გასაჩივრების უფლება, გარანტირებული უნდა იქნას ბავშვებისათვის მსგავსად მოზრდილებისა, და ეს უფლებები არ უნდა შეიკვეცოს ან უგულებელყოფილი იქნას ბავშვის საუკეთესო ინტერესების საბაბით. მოცემული მიდგომა უნდა ვრცელდებოდეს ყველა სასამართლო, არასასამართლო, და ადმინისტრაციულ წარმოებაზე.

3. დაცული უნდა იქნას ბავშვის უფლება გააჩნდეს წვდომა ქმედითი, დამოუკიდებელი და ეფექტური გასაჩივრების მექანიზმისადმი.

## IV. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულება სამართალწარმოებამდე, მისი მსვლელობისას, და მისი დასრულების შემდეგ

## ა. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების ძირითადი ელემენტები

### 1. ინფორმაცია და რჩევა

1. მართლმსაჯულების სისტემასთან ან სხვა კომპეტენტურ ორგანოებთან (მაგ. პოლიცია, საიმიგრაციო სამსახური, საგანმანათლებლო, სოციალური, ან ჯანმრთელობაზე ზრუნვის დაწესებულებები) პირველივე შეხების მომენტიდან და მთელი პროცესის განმავლობაში ბავშვები და მათი მშობლები დროულად და სათანადოდ უნდა იყონ ინფორმირებული, მათ შორის შემდეგის თაობაზე:

ა. მათი უფლებების შესახებ, კერძოდ კი ბავშვების უფლებების შესახებ სასამართლო და არა-სასამართლო წარმოების მიმდინარეობისას, რომელშიც ისინი მონაწილეობას იღებენ, ან რომელთანაც შეიძლება დაკავშირებული იყონ, აგრეთვე მათი უფლებების დარღვევის გამოსწორების თვალსაზრისით არსებული ინსტრუმენტების, მათ შორის სასამართლო, ან არა-სასამართლო წარმოების ან სხვა პროცედურებისადმი მიმართვის უფლების შესახებ. ასეთ ინფორმაციაში ასევე იგულისხმება ინფორმაცია სამართალწარმოების სავარაუდო ხანგრძლივობის, გასაჩივრების მექანიზმებისა დადამოუკიდებელი გასაჩივრების მექანიზმების მისაწვდომობის თაობაზე;
ბ. დაკავშირებული სისტემებისა და პროცედურების შესახებ, მათ შორის სამართალწარმოების სხვადასხვა პროცესუალურ ეტაპზე ბავშვის როლის და ადგილის შესახებ;
გ. სასამართლო ან არა-სასამართლო წარმოებაში მონაწილე ბავშვის მხარდაჭერის არსებული მექანიზმების შესახებ;
დ. სასამართლო ან არა-სასამართლო წარმოების მიზანშეწონილობისა და შესაძლებელი შედეგების თაობაზე;
ე. იქ სადაც ეს მიესადაგება, წაყენებული ბრალდების ან საქმის შემდგომი მსვლელობის შესახებ;
ვ. სასამართლო განხილვის დრო და ადგილი და ასევე, სასამართლო მოსმენისა და მსგავსი ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია, თუ ეს პირადად ბავშვთანაა დაკავშირებული, ან გავლენას ახდენს მასზე;
ზ. სამართალწარმოების ან სხვა ინტერვენციის მიმდინარეობისა და შედეგის შესახებ;
თ. მისაწვდომი დამცავი ღონისძიებების შესახებ;
ი. ბავშვთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების გადასინჯვის არსებული მექანიზმების შესახებ;
კ. სამართალწარმოების, ალტერნატიული სამოქალაქო წარმოების, ან სხვა პროცესის გზით სამართალდამრღვევისგან, ან სახელმწიფოსგან კომპენსაციის მიღების არსებული შესაძლებლობების შესახებ;
ლ. არსებული სერვისების მისაწვდომობის (ჯანდაცვის, ფსიქოლოგიური, სოციალური, თარგმანი და სხვა), ან იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებსაც მხარდაჭერის გაწევა შეუძლიათ, აგრეთვე ასეთი სერვისებისა და გადაუდებელი ფინანსური დახმარებისადმი წვდომის გზების შესახებ, თუ ასეთი მიესადაგება;
მ. ნებისმიერი სპეციალური მექანიზმების შესახებ, რომლებიც ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვაზეა მიმართული, თუ იგი სხვა სახელმწიფოს რეზიდენტია.

2. ბავშვებს ინფორმაცია და რჩევებიმათი ასაკისა და სიმწიფის დონის შესაბამისად უნდა მიეწოდოთ მათთვის გასაგებ ენაზე, რაც გენდერული და კულტურული ასპექტების გათვალისწინებით უნდ ამოხდეს.

3. როგორც წესი, ბავშვებს, მშობლებს ან ბავშვის ინტერესების წარმომადგენლებს პირდაპირ უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია. ბავშვის ნაცვლად მხოლოდ მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდება არ არის მისაღები ალტერნატივა.

4. შემუშავებული უნდა იქნას ბავშვზე ორიენტირებული საინფორმაციო მასალები, რომლებშიც შესაბამისი სამართლებრივი ინფორმაცია იქნება ასახული, და ეს მასალები ფართოდ უნდა გავრცელდეს და მისაწვდომი იყოს; გარდა ამისა, ასევე უნდა დაინერგოს ბავშვთა ინფორმირების სპეციალიზირებული სერვისები, მაგალითად, ვებგვერდები და ცხელი ხაზები.

5. ბავშვის მიმართ წაყენებული ბრალის შესახებ ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა იქნას მიწოდებული. ეს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს როგორც ბავშვს, ასევე მის მშობლებს და ინფორმაცია მათთვის გასაგები უნდა იყოს, რათა მათ ზუსტად ესმოდეთ წაყენებული ბრალის არსი და ამ გარემოების შესაძლებელი შედეგები.

## 2. პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცვა

6. იმ ბავშვების პირადი და ოჯახური ცხოვრება, და პერსონალური მონაცემები, რომლებიც რაიმე სასამართლო, არასასამართლო, ან სხვა წარმოებაში იღებენ მონაწილეობას, დაცული უნდა იქნას საერთაშორისო სამართლის მოთხოვნების დაცვით. ზოგადად, ეს გულისხმობს, რომ დაუშვებელია ისეთი ინფორმაციის ან პირადი მონაცემების, აგრეთვე ფოტოების, ბავშვის ან მისი ოჯახის დეტალური აღწერის, სახელების ან მისამართების, აუდიო ან ვიდეო ჩანაწერების გაზიარება ან გასაჯაროება, განსაკუთრებით მედია-საშუალებების მეშვეობით, რაც პირდაპირი, ან არაპირდაპირი სახით ბავშვის ვინაობის დადგენის საშუალებას იძლევა.

7. წევრმა სახელმწიფოებმა მე-6 პრინციპში ასახული პირადი ცხოვრების უფლების მედიის მიერ დარღვევების პრევენცია უნდა უზრუნველყონ შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიებების, ან მედიის თვითრეგულირების გზით.

8. წევრმა სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვების შესახებ პირადი, ან სენსიტიური მონაცემების, ან დოკუმენტების შეზღუდულ წვდომას, განსაკუთრებით თუ ეს ინფორმაცია იმ ბავშვებს შეეხება, რომლებიც სამართალწარმოებაში იღებენ მონაწილეობას. იმ შემთხვევებში, როდესაც პირადი, ან სენსიტიური მონაცემების გადაცემაა საჭირო, წევრმა სახელმწიფოებმა ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა დაარეგულირონ ასეთი ინფორმაციის მიწოდება პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში არსებული კანონმდებლობის შესაბამისად.

9. როდესაც ბავშვებთან დაკავშირებული საქმეების მოსმენა, ან ბავშვებისგან ჩვენებების ჩამორთმევა ხდება სასამართლო, არასასამართლო წარმოების, ან სხვა ინტერვენციების ფარგლებში, სასურველია, რომ ეს დახურული სხდომების ფორმატში განხორციელდეს. როგორც წესი, ასეთ სხდომებს მხოლოდ წარმოების პირდაპირი მონაწილეები უნდა ესწრებოდნენ, იმ პირობით, რომ არ უნდა შეიზღუდოს ბაშვების მიერ ჩვენებების მიცემის შესაძლებლობა.

10. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალებმა მკაცრად უნდა დაიცვან კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული მოთხოვნები, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს იმის რისკი, რომ ამან შეიძლება ბავშვს ზიანი მიაყენოს.

## 3. უსაფრთხოება (სპეციალური პრევენციული ღონისძიებები)

11. ყველა სასამართლო, არასასამართლო წარმოების, ან სხვა ინტერვენციების ფარგლებში ბავშვები დაცული უნდა იყონ რაიმე ზიანის მიყენებისგან, მათ შორის დაშინებისგან, შურისძიებისგან და მეორადი ვიქტიმიზაციისგან.

12. ბავშვებთან მომუშავე პროფესიონალები საჭიროების შემთხვევაში რეგულარულ კონტროლს და შემოწმებას უნდა ექვემდებარებოდნენ ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების დაცვით და სასამართლო ორგანოების დამოუკიდებლობისადმი ზიანის მიყენების გარეშე, რათა უზრუნველყოფილი იყოს, რომ ისინი პროფესიული თვალსაზრისით აკმაყოფილებენ ბავშვებთან მუშაობასთან დაკავშირებით არსებულ მოთხოვნებს.

13. ბავშვებთან მიმართებაში სპეციალური დამცავი ზომები უნდა იქნას მიღებული იმ შემთხვევებში, როდესაც სამართალდამრღვევი მშობელი, ოჯახის წევრი ან ძირითადი მზრუნველია.

## 4. პროფესიონალთა ტრენინგი

14. ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალს ინტერდისციპლინარული ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების ბავშვების უფლებებისა და საჭიროებების, და მათ ასაკზე მორგებული

სამართალწარმოების თაობაზე.

15. პროფესიონალებს, რომლებსაც პირდაპირი შეხება აქვთ ბავშვებთან, ტრენინგები უნდა ჩაუტარდეთ სხვადასხვა ასაკისა და განვითარების დონეზე მყოფ ბავშვებთან, აგრეთვე განსაკუთრებით დაუცველ მდგომარეობაში მყოფ ბავშვებთან კომუნიკაციის თაობაზე.

## 5. მულტიდისცილინარული მიდგომები

16. ხელი უნდა შეეწყოს სხვადასხვა სფეროს პროფესიონალების თანამშრომლობას ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლების პატივისცემის პრინციპზე დაყრდნობით, რათა სრული ინფორმაცია იქნას მოძიებული ბავშვის თაობაზე და ამომწურავად იქნას შეფასებული მისი ქმედუნარიანობის, ფსიქოლოგიური, სოციალური, ემოციური, ფიზიკური და შემეცნებითი თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა.

17. ყველა პროფესიონალისთვის (ადვოკატები, ფსიქოლოგები, პოლიცია, საიმიგრაციო სამსახურების პერსონალი, სოციალური მუშაკები და მედიატორები), რომლებიც სამართალწარმოებასთან ან სხვა ინტერვენციასთან დაკავშირებული, ან მონაწილე ბავშვების შეფასებაზე არიან პასუხისმგებელი, შეფასების საერთო ჩარჩო უნდა შემუშავდეს, რათა ეს ინფორმაცია გადაწყვეტილებების მიღებაზე პასუხისმგებელ პირებს წარედგინოს და ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებები ამ შეფასებებზე დაყრდნობითა და ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით იქნას მიღებული.

18. მულტიდისცილინარული მიდგომების დანერგვის პროცესში დაცული უნდა იქნას კონფიდენციალურობასთან დაკავშირებული პროფესიონალური ეთიკის წესები.

## 6. თავისუფლების აღკვეთა

19. ბავშვის რაიმე ფორმით თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ უკიდურესი ზომის სახით უნდა გამოიყენებოდეს და ბავშვს თავისუფლება შეძლებისდაგვარად მოკლე პერიოდის განმავლობაში უნდა აღეკვეთოს.

20. ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი განცალკევებული უნდა იყოს უფროსებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიჩნეულია, რომ ამის გაკეთება არ ღირს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის. ნებისმიერ შემთხვევაში ბავშვის თავისუფლების აღკვეთა ამისთვის შესაფერის ადგილას უნდა მოხდეს.

21. იმის გათვალისწინებით, რომ თავისუფლებააღკვეთილი ბავშვები განსაკუთრებით დაუცველები არიან, უაღრესად მნიშვნელოვანია მათი ოჯახთან კავშირის შენარჩუნება და საზოგადოებასთან რეინტეგრაციის ხელშეწყობა, და შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანოებმა აქტიურად და ქმედითად უნდა შეუწყონ ხელი უნივერსალური ევროპული ინსტრუმენტებით გათვალისწინებული ბავშვთა უფლებების დაცვას. მთელ რიგ სხვა უფლებებთან ერთად, ბავშვებს აგრეთვე შემდეგი უფლებების რეალიზაცია უნდა შეეძლოთ:

ა. რეგულარული კონტაქტი მშობლებთან, ოჯახთან და მეგობრებთან პაემნებისა და კორესპონდენციის მეშვეობით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭიროა ამ უფლების შეზღუდვა ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან, ან მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე. მოცემული უფლების შეზღუდვა არასდროს უნდა იქნას გამოყენებული სადამსჯელო მიზნებში.

ბ. განათლების, როფესიული განათლებისა და ტრენინგის, სამედიცინო დახმარების, აზრის, რელიგიისა და სინდისის თავისუფლების უფლება, აგრეთვე რეკრიაციული აქტივობების, მათ შორის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მისაწვდომობის უფლება;

გ. პროგრამების წვდომის უფლება, რომლებიც ბავშვს საზოგადოებაში ინტეგრაციისთვის ამზადებენ და რომელთა პროცესში ყურადღება გამახვილებული იქნება ბავშვების ემოციურ და ფიზიკურ საჭიროებებზე, ოჯახურ ურთიერთობებზე, საცხოვრებელ პირობებზე, განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობებზე და სოციო-ეკონომიკურ სტატუსზე.

22. თანმხლები პირების გარეშე მყოფი ბავშვების, მათ შორის თავშესაფრის მაძიებელი ბავშვებისა და ოჯახთან დაცალკევებული ბავშვების თავისუფლების აღკვეთა მხოლოდ მოქალაქეობის უქონლობის საფუძველზე არ უნდა მოხდეს.

ბ. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულება სამართალწარმოების დაწყებამდე ეტაპზე 23. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრების მინიმალური ასაკი არ უნდა იყოს ძალიან დაბალი და იგი კანონით უნდა განისაზღვროს.

24. წახალისებული უნდა იქნას სამართალწარმოების ისეთი ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება, როგორიცაა მედიაცია, განრიდება, ან დავების გადაწყვეტის ალტერნატიული მექანიზმები, თუ ისინი ყველაზე უკეთ შეესაბამებიან ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ასეთი ალტერნატიული მექანიზმების გამოყენება არ ზღუდავს ბავშვის უფლებას მიმართოს სასამართლო ორგანოებს.

25. ბავშვებს დეტალური ინფორმაცია და რჩევები უნდა მიეწოდოთ იმის შესახებ, რომ მათ შეუძლიათ მიმართონ სასამართლოს, ან სხვა არა-სასამართლო ორგანოებს. ეს ინფორმაცია ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყოველი ამ არჩევანის შესაძლო შედეგების შესახებ. გადაწყვეტილება იმის შესახებ, თუ რომელ არჩევანს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, ამომწურავ და სანდო ინფორმაციაზე დაყრდნობით უნდა იქნას მიღებული. ბავშვებს საშუალება უნდა ჰქონდეთ ისარგებლონ სამართლებრივი, ან სხვა დახმარებით შემოთავაზებული ალტერნატივების მიზანშეწონილობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ამგვარი გადაწყვეტილებების მიღებისას, გათვალისწინებული უნდა იქნას ბავშვი აზრი.

26. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ალტერნატიული მექანიზმები ბავშვის სამართლებრივი დაცვის ქმედით გარანტიებს უნდა უზრუნველყოფდნენ. როგორც სასამართლო, ასევე არასასამართლო წარმოების ფარგლებში დაცული უნდა იყოს ბავშვის უფლებების შესახებ წინამდებარე პრინციპებითა და სხვა ინსტრუმენტებით გათვალისწინებული უფლებები.

## გ. ბავშვები და პოლიცია

27. პოლიცია პატივს უნდა სცემდეს ყველა ბავშვის პირად უფლებებს და ღირსებას და გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ბავშვების დაუცველობა, რაც განპირობებულია ბავშვის ასაკით, სიმწიფის დონით და განსაკუთრებული საჭიროებებით, თუ ბავშვს ფიზიკური ან ფსიქიკური უნარშეზღუდულობა, ან კომუნიკაციის თვალსაზრისით პრობლემები გააჩნია.

28. ბავშვის პოლიციის მიერ დაკავების შემთხვევაში მას მისი ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისი გზით, და მისთვის გასაგებ ენაზე უნდა ეცნობოს იმ მიზეზების თაობაზე, რის გამოც იგი დაკავებული იქნა. ბავშვს ადვოკატის წვდომისა და მშობლებთან, ან იმ პირთან კონტაქტის შესაძლებლობა უნდა მიეცეს, ვისაც იგი ენდობა.

29. გარდა გამონაკლისი გარემოებებისა, მშობლებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბავშვი პოლიციის მიერ არის დაკავებული, და ასევე ეცნობოთ ამის განმაპირობებელი მიზეზების თაობაზე, და უნდა ეთხოვოთ პოლიციაში გამოცხადება.

30. დაკავებული ბავშვი არ უნდა დაიკითხოს სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებასთან დაკავშირებით, და არ უნდა მოეთხოვოს დანაშაულის აღიარებით ჩვენებაზე ხელის მოწერა, თუ ამ პროცესს არ ესწრება ადვოკატი, ან მისი ერთ-ერთი მშობელი, ხოლო მშობლების გამოუცხადებლობის შემთხვევაში, პირი, რომელსაც ბავშვი ენდობა. მშობელი, ან ასეთი პირი შეიძლება ამოირიცხოს ამ პროცესიდან, თუ არსებობს ეჭვი, რომ იგი მონაწილეობდა სისხლის სამართლის დანაშაულში, ან მხილებულია ისეთ ქმედებაში, რაც აფერხებს მართლმსაჯულების პროცესს.

31. პოლიციამ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს, რომ ბავშვები არ იყონ დაკავებული მოზრდილებთან ერთად.

32. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს, რომ პოლიციის დაკავების დაწესებულებებში ბავშვების მოთავსების პირობები უსაფრთხო და მათი საჭიროებების შესაფერისი იქნება.

33. იმ წევრ სახელმწიფოებში, სადაც ეს საკითხები პროკურატურის უფლებამოსილებაშია, პროკურორებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გამოძიების მსვლელობისას ბავშვზე ორინტირებული მიდგომები იქნება დანერგილი.

## დ. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულება სამართალწარმოების მსვლელობისას

## 1. სასამართლოს მისაწვდომობა და სასამართლო განხილვის პროცესი

34. ბავშვებს, როგორც შესაბამისი უფლებების მქონე პირებს, საშუალება უნდა ჰქონდეთ ამ უფლებების ეფექტური რეალიზაციის მიზნით მიმართონ სამართლებრივი დაცვის საშუალებებს, თუ მათი უფლებების დარღვევას ექნება ადგილი. ეროვნული კანონმდებლობა უნდა უზრუნველყოფდეს იმ ბავშვებისთვის სასამართლოს მისაწვდომობას, რომლებსაც გაცნობიერებული აქვთ თავისი უფლებები, და მათთვის

გაწეული ეფექტური იურიდიული დახმარების შედეგად ინფორმირებული არიან მათი უფლებების დაცვის სამართლებრივი მექანიზმების შესახებ.

35. აღმოფხვრილი უნდა იქნას სასამართლოს მისაწვდომობის თვალსაზრისით არსებული ისეთი დაბრკოლებები, როგორიცაა სამართალწარმოების ხარჯები, ან იურიდიული დახმარების უქონლობა.

36. ბავშვების წინააღმდეგ ჩადენილი გარკვეული დანაშაულების შემთხვევაში, ან იმ შემთხვევებში, როდესაც საქმე სამოქალაქო ან საოჯახო სამართლის გარკვეულ ასპექტებს ეხება, სასამართლოს მისაწვდომობა შეიძლება უზრუნველყოფილი იყოს მას შემდეგაც, რაც ბავშვი სრულწლოვანებას მიაღწევს. ამასთან დაკავშირებით, მიზანშეწონილია, რომ წევრმა სახელმწიფოებმა მათი კანონმდებლობით გათვალისწინებული ხანდაზმულობის ვადა გადასინჯონ.

## 2. ადვოკატი და ბავშვის ინტერესების წარმომადგენლობა

37. ბავშვებს უფლება აქვთ ჰყავდეთ ადვოკატი და მათი ინტერესების წარმომადგენელი იმ სამართალწარმოების პროცესში, როდესაც ადგილი აქვს, ან შეიძლება ადგილი ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტს ბავშვსა და მის მშობლებს, ან სხვა მონაწილე მხარეებს შორის.

38. ბავშვებისთვის მისაწვდომი უნდა იყოს უფასო იურიდიული დახმარება უფრო მოქნილ პირობებზე, ვიდრე მოზრდილების შემთხვევაში.

39. ადვოკატებს, რომლებიც ბავშვების ინტერესებს წარმოადგენენ, შესაბამისი ტრენინგი უნდა ჰქონდეთ გავლილი და ცოდნა გააჩნდეთ ბავშვთა უფლებებისა და დაკავშირებული საკითხების თაობაზე, მონაწილეობას უნდა იღებდნენ მიმდინარე ტრენინგებში, და უნდა შეეძლოთ ბავშვთან კომუნიკაცია მისი განვითარების დონისა და გაცნობიერების შესაძლებლობების გათვალისწინებით.

40. ბავშვები უნდა მოიაზრებოდნენ სრულფასოვან კლიენტებად, რომლებსაც გააჩნიათ უფლებები, და ადვოკატმა, რომელიც ბავშვის ინტერესებს წარადგენს, ბავშვის მოსაზრებაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება.

41. ადვოკატმა ყველა საჭირო ინფორმაცია და განმარტებები უნდა მიაწოდოს ბავშვს მისი მოსაზრებების შესაძლო შედეგების თაობაზე.

42. იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვსა და მშობლებს შორის ინტერესთა კონფლიქტსა აქვს ადგილი, შესაბამისმა კომპეტენტურმა ორგანომ სამართალწარმოების მიზნებში მეურვე, ან სხვა დამოუკიდებელი წარმომადგენელი უნდა დაუნიშნოს ბავშვს, რომელიც მის ინტერესებს და მოსაზრებებს წარადგენს.

43. ბავშვისთვის გარანტირებული უნდა იყოს მშობლებისგან ცალკე წარმომადგენლობის უფლება, განსაკუთრებით ისეთი სამართალწარმოების ფარგლებში, სადაც მშობლები, ოჯახის წევრები ან მზრუნველები არიან სავარაუდო სამართალდამრღვევები.

## 3. ბავშვის უფლება იყოს მოსმენილი და გამოხატოს საკუთარი აზრები

44. მოსამართლეებმა პატივი უნდა სცენ ბავშვების უფლებას გამოხატონ საკუთარი აზრი იმ საკითხებთან მიმართებაში, რომლებიც გავლენას ახდენენ მათზე, როდესაც მათ საკმარისადა აქვთ გაცნობიერებული ასეთი საკითხები. ამ მიზნით გამოყენებული საშუალებები მორგებული უნდა იყონ ბავშვის ცნობიერების დონესა და კომუნიკაციის უნარზე, და საქმის გარემოებების გააზრების შესაძლებლობებზე. ბავშვებს უნდა ჰკითხონ, თუ რა გზით სურთ მათ საკუთარი მოსაზრებების გამოხატვა.

45. ბავშვის მოსაზრებები სათანადოდ უნდა იყოს მხედველობაში მიღებული მისი ასაკისა და სიმწიფის დონის გათვალისწინებით.

46. ბავშვის უფლება, მისი აზრი მოსმენილი იყოს, არის მისი უფლება, და არა მოვალეობა.

47. დაუშვებელია შეიზღუდოს ბავშვის უფლება გამოხატოს საკუთარი აზრი მხოლოდ მისი ასაკის გამო. როდესაც ბავშვი სურვილს გამოხატავს სასამართლოს გაუზიაროს თავისი მოსაზრებები იმ საქმესთან მიმართებაში, რომელიც მასზე გავლენას ახდენს, მოსამართლეს არა აქვს უფლება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ბავშვის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს ამას, უარი უთხრას ბავშვს მისი აზრების მოსმენაზე, და ვალდებულია საშუალება მისცეს მას გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები სასამართლოს წინაშე.

48. ბავშვებს ყველა საჭირო ინფორმაცია უნდა მიეწოდოთ იმის შესახებ, თუ როგორ ისარგებლონ ეფექტურად თავისი უფლებით გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები. მიუხედავად ამისა, ბავშვებს უნდა განემარტოთ, რომ მათი უფლება იყონ მოსმენილი და მისცენ ჩვენებები არ ნიშნავს, რომ მათი მოსაზრებები უცილობლად იქნება გათვალისწინებული საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას.

49. სასამართლოს გადაწყვეტილებები და განჩინებები, რომლებიც ბავშვებზე ახდენენ ზეგავლენას, სათანადოდუნდაიყონდასაბუთებულიდაბავშვებსგანმარტებებიუნდამიეწოდოთამგადაწყვეტილებებთან დაკავშირებით მათთვის გასაგებ ენაზე. ეს განსაკუთრებით ისეთ გადაწყვეტილებებს შეეხება, რომლებშიც არ იქნა გათვალისწინებული ბავშვის აზრი.

## 4. სამართალწარმოების გაუმართლებელი გაჭიანურებების თავიდან აცილება

50. ყველა სამართალწარმოებასთან მიმართებაში, რომელიც ბავშვებთანაა დაკავშირებული, უნდა გავრცელდეს დროული წარმოების მოთხოვნა, რათა დროული რეაგირება მოხდეს ბავშვის საქმეზე მისი საუკეთესო ინტერესებისა და კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვით.

51. საოჯახო სამართლის საქმეებზე (მშობლის სტატუსის დადგენა, მეურვეობა, მშობლის მიერ ბავშვის გატაცება) სასამართლოებმა განსაკუთრებული გულმოდგინეობა და სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რათა ოჯახურ ურთიერთობებს ზიანი არ მიაყენონ.

52. საჭიროების შემთხვევაში, სასამართლოებმა დროებითი ღონისძიებების, ან წინასწარი განჩინების მიღების მიზანშეწონილობა უნდა განიხილონ, რათა გარკვეული პერიოდის განმავლობაში მონიტორინგი აწარმოონ, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

53. კანონის შესაბამისად სასამართლოს უფლებამოსილება გააჩნია მიიღოს გადაწყვეტილებები, რომლებიც დაუყოვნებელ აღსრულებას ექვემდებარება ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე.

## 5. სამართალწარმოების ორგანიზება, ბავშვზე ორიენტირებული გარემო და წარმოების ენა

54. ყველა სამართალწარმოების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვისადმი მოპყრობა მისი ასაკის, განსაკუთრებული საჭიროებების, მისი სიმწიფისა და განვითარების დონის, ასევე კომუნიკაციაში შესაძლო პრობლემების გათვალისწინებით. იმ საქმეების განხილვა, რომლებიც ბავშვებს შეეხება, ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს, და გარემო ბავშვისთვის არ უნდა იყოს შემაშინებელი.

55. სამართალწარმოების დაწყებამდე ბავშვს უნდა გააცნონ სასამართლო დარბაზის მოწყობა და წარმოებაში მონაწილე პირების ვინაობა და როლი.

56. წარმოების პროცესში გამოყენებული ენა ბავშვის ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისი უნდა იყოს.

57. როდესაც ბავშვის ჩვენებების მოსმენა, ან მათი გამოკითხვა მიმდინარეობს სასამართლო, არასასამართლო წარმოების ან სხვა ინტერვენციის პროცესში, მოსამართლეებმა და სხვა პროფესიონალებმა ბავშვების მიმართ პატივისცემა და ყურადღება უნდა გამოიჩინონ.

58. ბავშვებს ნება უნდა დართონ გამოცხადნენ მშობლების, ან სხვა პირის თანხლებით, რომელსაც ისინი აირჩევენ, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ასეთ პირთან დაკავშირებით დასაბუთებული გადაწყვეტილება იქნება მიღებული, რომ იგი არ უნდა იქნას დაშვებული ბავშვის თანმხლებად.

59. დახურული სხდომების, ან წინასასამართლო სხდომების მიმდინარეობისას ბავშვების გამოკითხვის დროს ვიდეო, ან აუდიო ჩანაწერების წარმოება დასაშვები მეთოდია და ასეთი ჩანაწერები დასაშვებ მტკიცებულებად უნდა იქნას მიჩნეული.

60. ბავშვები მასქიმალურად დაცული უნდა იყონ ისეთი გამოსახულებების ნახვისგან, ან ინფორმაციის მიღებისგან, რომელიც შეიძლება საზიანო იყოს მათთვის. როდესაც მოსამართლემ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმის შესახებ, თუ რამდენად დასაშვებია ბავშვისთვის ასეთი გამოსახულებების ჩვენება, ან ინფორმაციის მიწოდება, მან სხვა სპეციალისტებს, მაგალითად ფსიქოლოგებს და სოციალურ მუშაკებს უნდა მიმართოს მათთან კონსულტაციის გასავლელად.

61. სასამართლო სხდომები, რომლებშიც ბავშვები მონაწილეობენ, ბავშვის აღქმის ტემპსა და ყურადღების კონცენტრირების ინტერვალზე უნდა იყონ მორგებული: უნდა დაიგეგმოს რეგულარული შესვენებები და სასამართლო განხილვა არ უნდა იყოს გრძელი. სასამართლო განხილვის პროცესში მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი ისეთი ვითარებები, როდესაც ბავშვს შეიძლება ყურადღება გაებნეს, რათა ბავშვმა მისი შემეცნებითი შესაძლებლობების სრული გამოყენება შეძლოს და მისი ემოციური სტაბილურობა იქნას უზრუნველყოფილი.

62. ბავშვის გამოკითხვისა და მოსაცდელ ოთახები მაქსიმალურად ბავშვზე ორიენტირებული გარემოს უნდა შეიქმნას.

63. არასრლუწლოვან სამართალდამრღვევთათვის ცალკე სპეციალიზირებული სასამართლოები (ან პალატები) უნდა შეიქმნას და პროცედურები შემუშავდეს. ეს შეიძლება ასევე გულისხმობდეს პოლიციის, სასამართლოს, ან პროკურატურის ბაზაზე სპეციალიზირებული განყოფილების შექმნას.

## 6. მტკიცებულებები/ბავშვების მიერ მიცემული ჩვენებები

64. ბავშვების გამოკითხვა და ჩვენებების ჩამორთმევა შესაბამისი განათლებისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტებმა უნდა ჩაატარონ. მაქსიმალური ძალისხმევა უნდა წარიმართოს, რათა ბავშმა ჩვენება კომფორტულ და მისი ასაკის, განვითარების დონისა და კომუნიკაციის თვალსაზრისით შესაძლებელი სიძნელეების დაძლევისთვის შესაფერის გარემოში მისცეს.

65. წახალისებული უნდა იქნას დაზარალებული, ან მოწმე ბავშვების ჩვენებების აუდიოვიზუალური ჩანაწერების წარმოება, რაც იმავდროულად წარმოების სხვა მხარეების მიერ ასეთი ჩვენებების გასაჩივრების უფლების შეუზღუდავად უნდა განხორციელდეს.

66. როდესაც საჭიროა ბავშვის რამოდენიმეჯერ გამოკითხვა, სასურველია, რომ გამოკითხვა იმავე პირმა ჩაატაროს, რათა ერთგვაროვანი მიდგომა იყოს გამოყენებული და ბავშვის საუკეთესო ინტერესები იქნას დაცული.

67. ბავშვის გამოკითხვის რაოდენობა შეძლებისდაგვარად მინიმუმამდე უნდა იქნას დაყვანილი, და გამოკითხვის ხანგრძლივობა ბავშვის ასაკისა და ყუდარდღების კონცენტრაციის ინტერვალის გათვალისწინებით უნდა დაიგეგმოს.

68. მაქსიმალურად თავიდან უნდა იქნას აცილებული მოწმე ან დაზარალებული ბავშვის პირდაპირი კონტაქტი ან კომუნიკაცია სავარაუდო დამნაშავესთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ამას დაზარალებული ბავშვი ითხოვს.

69. ბავშვებს საშუალება უნდა ჰქონდეთ მისცენ ჩვენება სისხლის სამართლის საქმეზე სავარაუდო დამნაშავის დაუსწრებლად.

70. ნაკლებად მკაცრი წესების არსებობა ბავშვების მიერ ჩვენების მიცემასთან დაკავშირებით, მაგალითად, ფიცის დადების, ან მსგავსი მოთხოვნის არარსებობა, ან სხვა ბავშვზე ორიენტირებული პროცესუალური ზომების არსებობა, თავისთავად არ უნდა აკნინებდეს ბავშვის მიერ მიცემული ჩვენების, ან მტკიცებულების მნიშვნელობას.

71. ბავშვების მიერ ჩვენებების მიცემისას უნდა მიმდინარეობდეს ოქმის მომზადება ბავშვის სხვადასხვა ასაკისა და განვითარების დონის გათვალისწინებით, და გამოკითხვის პროცესში არ უნდა იქნას დასმული მიმანიშნებელი შეკითხვები, რათა ბავშვის ჩვენების სანდოობა იყოს უზრუნველყოფილი.

72. ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან და კეთილდღეობიდან გამომდინარე, მოსამართლე უფლებამოსილია დართოს ბავშვს ნება არ მისცეს ჩვენება.

73. ბავშვის მიერ მიცემული ჩვენება ან განცხადება არ უნდა იქნას მიჩნეული იურიდიული ძალის არმქონედ, ან არასანდოდ მხოლოდ ბავშვის ასაკის გამო.

74. განხილული უნდა იქნას მოწმე ან დაზარალებული ბავშვებისგან ჩვენებების ჩამორთმევისთვის განსაკუთრებით ბავშვზე ორიენტირებული გარემოს შექმნის მიზანშეწონილობა.

## ე. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულება სამართალწარმოების დასრულების შემდეგ

75. ბავშვის ადვოკატმა, მეურვემ ან სამართალწარმოების მიზნებში დანიშნულმა ბავშვის ინტერესების წარმომადგენელმა ბავშვს უნდა შეატყობინოს და განუმარტოს მიღებული გადაწყვეტილება ან განჩინება ბავშვის განვითარების დონის შესაბამის ენაზე და აგრეთვე მიაწოდოს მას ინფორმაცია ისეთი ზომების თაობაზე, როგორიცაა სასამართლო წესით გასაჩივრება, ან საჩივრის განმხილველი დამოუკიდებელი მექანიზმებისთვის მიმართვა.

76. შესაბამისმა სახელისუფლებო ორგანოებმა ყველა საჭირო ზომა უნდა გაატარონ ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებებისა და განჩინებების დაუყოვნებელი აღსრულების მიზნით.

77. როდესაც გადაწყვეტილების აღსრულება არ ხორციელდება, ბავშვის ადვოკატმა, მეურვემ ან სამართალწარმოების მიზნებში დანიშნულმა ბავშვის ინტერესების წარმომადგენელმა ბავშვს უნდა შეატყობინოს ამის თაობაზე, და აგრეთვე განუმარტოს მას თუ რა სასამართლო, ან არასასამართლო მექანიზმები არსებობს მდგომარეობის გამოსწორების მიზნით.

78. განჩინებების იძულებითი წესით აღსრულება უკიდურესი ზომის სახით უნდა გამოიყენებოდეს საოჯახო სამართლის სამქეებთან მიმართებაში, სადაც ბავშვები ფიგურირებენ.

79. უაღრესად რთულ და წინააღმდეგობრივ საქმეებთან დაკავშირებით სასამართლო გადაწყვეტილებების მიღების შემდეგ, სასურველია, რომ ბავშვებს და მათ ოჯახებს უფასოდ მიეწოდოთ სპეციალიზირებული სამსახურების სერვისები და მხარდაჭერა.

80. ძალადობის, უგულებელყოფის ან სხვა არასათანადო მოპყრობისა და დანაშაულის მსხვერპლებისთვის შესაბამისი სამედიცინო და სოციალური და თერაპიული პროგრამები უნდა დაინერგოს, რომლებიც იდეალურ პირობებში უფასო უნდა იყოს და ბავშვებს და მზრუნველებს დროულად უნდა მიეწოდოთ ამომწურავი ინფორმაცია ასეთი პროგრამების შესახებ.

81. ბავშვის ადვოკატს, მეურვეს ან სამართალწარმოების მიზნებში დანიშნულ ბავშვის ინტერესების წარმომადგენელს უნდა გააჩნდეს უფლებამოსილება ყველა საჭირო ზომა გაატაროს და სისხლის სამართალწარმოების პროცესში მოითხოვოს დაზარალებული ბავშვისთვის ზიანის ანაზღაურება. იქ სადაც ეს მიესადაგება, ხარჯები სახელმწიფომ უნდა გაიღოს, რაც შემდეგ სამართალდამრღვევმა უნდა აანაზღაუროს.

82. არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა მიმართ გამოყენებული სასჯელები და ზომები ყოველთვის ინდივიდუალიზირებული და კონსტრუქციული უნდა იყონ და გათვალისწინებული უნდა იქნას თანაზომიერების პრინციპი, ბავშვის ასაკი, მისი ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობა, განვითარების დონე და საქმის კონკრეტული გარემოებები. გარანტირებული უნდა იქნას განათლების, დასაქმების, რეაბილიტაციისა და რეინტეგრაციის უფლებები.

83. ბავშვის საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობის მიზნით და ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად ბავშვის სისხლის სამართლის დანაშაულის ამსახველი დოკუმენტაცია დაჩანაწერები არ უნდა გამჟღავნდეს და გავრცელდეს მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებს გარეთ ბავშვის მიერ სრულწლოვანების ასაკის მიღწევის შემდეგაც. გამონაკლის შემთხვევებში დასაშვებია ამ ინფორმაციის გამჟღავნება საზოგადოებრივი უსაფრთხოების მიზნებში, ან ასეთი ბავშვების დასაქმების შემთხვევაში.

## V. ბავშვზე ორიენტირებული ღონისძიებების დანერგვის ხელშეწყობა მინისტრთა კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს:

ა. ხელი შეუწყონ ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების ყველა ასპექტის მიზანშეწონილობის კვლევას, მათ შორის შეიმუშაონ ბავშვის კამოკითხვის ტექნიკები და ხელი შეუწყონ ამ ტექნიკების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და მოცემულ საკითხზე ტრენინგების ჩატარებას;

ბ. ხელი შეუწყონ გამოცდილების გაზიარებას და საერთაშორისო თანამშრომლობას ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სფეროში;

გ.ხელიშეუწყონბავშვზეორიენტირებულიმართლმსაჯულებისსფეროშიარსებულისამართლებრივი ინსტრუმენტების შესახებ ინფორმაციისა და დოკუმენტების ფართო გავრცელებას;

დ. ჩამოაყალიბონ საინფორმაციო ოფისები ბავშვთა უფლებების საკითხებზე, რომლებიც შეიძლება ადვოკატთა ასოციაციების, სოციალური უზრუნველყოფის სამსახურების, (ბავშვთა) ომბუდსმენის,

ან არასამთავრობო ორგანიზაციების ბაზაზე დაარსდნენ;

ე. ხელი შეუწყონ ბავშვებისთვის სასამართლოებისა და გასაჩივრების მექანიზმების მისაწვდომობას და აღიარონ და გააძლიერონ არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა დამოუკიდებელი ინსტიტუტების, მაგალითად ბავშვთა ომბუდსმენის, როლი ბავშვებისთვის სასამართლოებისა და გასაჩივრების მექანიზმების მისაწვდომობის გაუმჯობესების სფეროში როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე;

ვ. განიხილონ სპეციალიზირებული მოსამართლეებისა და ადვოკატების სისტემისა და სასამართლოების შექმნის მიზანშეწონილობა, რომლებიც ბავშვთა საკითხებზე იმუშავებენ, და ხელი შეუწყონ ბავშვებსა და მათ მშობლებზე ორიენტირებული ღონისძიებების გამოყენებას;

ზ. ხელი შეუწყონ ბავშვებისა და მათი ინტერესების წარმომადგენლების მიერ ბავშვთა უფლებების დაცვაზე მიმართული უნივერსალური მექანიზმებით სარგებლობას იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს ბავშვის უფლებების სამართლებრივი დაცვის შესაბამისი ეროვნული მექანიზმები, ან ისინი ამოწურული იქნა.

თ. უზრუნველყონ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული საკითხების საგანმანათლებლო პროგრამებში ასახვა, რომლებიც განკუთვნილია ბავშვებისა და ბავშვებთან მომუშავე სპეციალისტებისთვის;

ი. განავითარონ მხარდაჭერის სისტემები, რომლებიც ბავშვების უფლებების შესახებ მშობლების განათლებაზე იქნებიან მიმართული;

ი. ჩამოაყალიბონ ბავშვებზე ორიენტირებული, უწყებათაშორისი და მულტიდისციპლინარული ცენტრები, სადაც მოწმე და დაზარალებული ბავშვების გამოკითხვა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზები და ბავშვთა მდგომარეობის შეფასება ჩატარდება, და მათ შესაბამისი სფეროს პროფესიონალების მიერ მკურნალობა მიეწოდებათ;

კ. ჩამოაყალიბონ სპეციალიზირებული და მისაწვდომი საინფორმაციო მხარდაჭერის სერვისები, მაგალითად ცხელი ხაზები და სათემო სერვისები, რომლებიც უფასოდ მიეწოდებათ ბავშვებს;

ლ. უზრუნველყონ, რომ მართლმსაჯულების სისტემის ფარგლებში არსებული ყველა სპეციალისტი, რომლებიც ბავშვთა საკითხებზე მუშაობს, შესაბამის მხარდაჭერას და ტრენინგებს გაივლის და პრაქტიკულ რჩევებს მიიღებს ბავშვთა უფლებების ეფექტურად განხორციელების ხელშეწყობის, განსაკუთრებით კი ბავშვთა საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და გათვალისწინების მიზნით ისეთი პროცედურების განხორციელების პროცესში, რომლებიც ბავშვის მდგომარეობაზე ახდენენ ზეგავლენას.

## VI. მონიტორინგი და შეფასება

მინისტრთა კომიტეტი ასევე მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს:

ა. გადასინჯონ ეროვნული კანონმდებლობა, პოლიტიკა და პრაქტიკა მოცემულ პრინციპებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის შესაბამისი რეფორმების გატარების მიზნით;

ბ. დროულად მოახდინონ ბავშვთა უფლებებთან დაკავშირებული ევროპის საბჭოს კონვენციების რატიფიცირება;

გ. პერიოდულად ჩაატარონ ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების ფარგლებში დანერგილი მეთოდების შეფასება და გადასინჯვა;

დ. დანერგონ ერთი ან მეტი დამოუკიდებელი მექანიზმი, რომელიც ეროვნული სასამართლო და ადმინისტრაციული სისტემების მოწყობის გათვალისწინებით წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების შესრულების მონიტორინგზე იქნება პასუხისმგებელი;

ე. უზრუნველყონ, რომ სამოქალაქო საზოგადოება, კერძოდ კი ბავშვთა უფლბების დაცვის სფეროს ორგანიზაციები, ინსტიტუტები და ორგანოები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ მონიტორინგის პროცესში.

CONSEIL DE LEUROPE

COUNCIL OF EUROPE

სტრასბურგი, 19 დეკემბერი, 2014 წ.

# ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სახელმძღვანელო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ბოლო პერიოდის გადაწყვეტილებები

## დოკუმენტი მომზადებულია ადამიანის უფლებათა და კანონის უზენაესობის გენერალური დირექტორატის სამდივნოს მიერ - DGI

ეს კონცეპტუალური დოკუმენტი ეხება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ბოლო დროს გამოტანილ განჩინებებს, რომლებშიც მოყვანილია ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები, მიღებული მინისტრთა კომიტეტის მიერ 2010 წლის 17 ნოემბერს.

### I. გაუმართლებელი დაყოვნების თავიდან აცილება პარაგრაფი IV.50-53 (კერძოდ, სწრაფი რეაგირებისა და ბავშვის ინტერესების დაცვის უზრუნველყოფის პრინციპი)

კიჟოვსკი პოლონეთის წინააღმდეგ (2011 წ. 5 აპრილი)
1. ეს არის მოზარდის ისტორია, რომელიც აღმოჩნდა მშობლებს შორის არსებული კონფლიქტისშუაგულში. მისი მშობლები დაშორდნენ ერთმანეთს სანამ მას 6 წელი შეუსრულდებოდა. დედამისმა, რომელიც მის უმცროს ძმაზე იყო ფეხმძიმედ, წაიყვანა ბიჭი თავის დედასთან. დაახლოებით ერთი წლის შემდეგ მამამ ძალით წაიყვანა ბიჭი თავის სახლში, სადაც ის რჩებოდა 10 წლის ასაკამდე, მიუხედავად სასამართლოს განკარგულებისა, რომლის თანახმადაც მამას ბავშვი უნდა დაებრუნებინა დედისთვის. ის დაუბრუნდა დედას მხოლოდ იმის შემდეგ, რაც მამამისი დააპატიმრეს მისი „მოტაცების" გამო და მას მოუწია ცოტა ხნით ცხოვრება ბებიასთან მამის მხრიდან. 11 წლის ასაკში ის ორჯერ გაიქცა მამამისთან და დარჩა იქ. როცა ბიჭს 13 წელი შეუსრულდა, სასამართლომ ბოლოს გაითვალისწინა მამის თხოვნა და შეცვალა ბავშვის საცხოვრებელთან დაკავშირებით გადაწყვეტილება მამის სასარგებლოდ. თუმცა, სასამართლომ აუკრძალა მამას ნებისმიერი კონტაქტი თავის მეორე წლის ვაჟთან, რომელიც 7 წლის იყო და დედამისთან რჩებოდა მათი დაშორების და განქორწინების პერიოდში.

2. ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში (EctHR) საქმის წარმოება ეხებოდა პოლონეთის სახელმწიფო უწყებების მიერ მამის საჩივრის განხილვის გაჭიანურებას მისი უფროსი ვაჟის საცხოვრებელ ადგილთან დაკავშირებით.

3. სასამართლო განხილვა გრძელდებოდა 22 თვის განმავლობაში. სასამართლომ განმარტა, რომ ზოგადად,

დრო განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფაქტორია, როდესაც საქმე ბავშვებს ეხება, რადგან ნებისმიერმა გაჭიანურებამ შესაძლოა გამოიწვიოს საკითხის *de facto* გადაწყვეტა. მოცემულ შემთხვევაში, სტრასბურგმა ეს პერიოდი არ ჩათვალა ზედმეტად ხანგრძლივად. ეს დრო გამოყენებული იყო რამდენიმე შუალედური მოსმენის, დედის, მამისა და ბავშვის ფსიქოლოგიური შემოწმების შედეგად მომზადებული ექსპერტის დასკვნის წარდგენისთვის, რათა დადგენილიყო მამის მიერ სასამართლო განკარგულების არაერთგზის დარღვევის ფაქტი. თუმცა, არსებობს მოსამართლის განსხვავებული აზრიც. განსხვავებული მოსაზრების მქონე მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა ბავშვის ასაკზე, რომლის შეხედულებები და სურვილები ჩამოყალიბებული იყო 12 თვიანი პროცესის პირველი შუალედური მოსმენის დროისთვის, ისევე როგორც de facto სიტუაცია, რომელიც არსებობდა საქმის განხილვის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე. როგორც მოსამართლემ აღნიშნა, პოლონურმა სასამართლომ უარი განაცხადა დროებითი განკარგულების გამოტანაზე სამ სხვადასხვა შემთხვევაში. მოსამართლის აზრით, სასამართლომ გაუშვა შესაძლებლობა „კამათი გაემართა" ბავშვის მეურვეობის საკითხის დაჩქარებული წესით განხილვასთან დაკავშირებით.

4. სინამდვილეში, ამ შემთხვევაში ბავშვისთვის რისკს წარმოადგენდა სამართლებრივი გაურკვევლობა მის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

## II. ბავშვები და პოლიცია

## პარაგრაფები IV.27-33, თავისუფლების აღკვეთა - პარაგრაფები IV.19-21,

## კანონის უზენაესობა/სათანადო სამართლებრივი პროცედურა - პარაგრაფები III.E.2

ბლოხინი რუსეთის წინააღმდეგ (2013 წ. 14 ნოემბერი)

5. ივანე ბორისის ძე ბლოხინს აქვს ADHD (ყურადღების დეფიციტის სინდრომი) და ენურეზი (შარდის შეუკავებლობა). მას ბაბუა ზრდიდა, ვინაიდან მის მშობლებს ჩამორთმეული ჰქონდათ მშობლის უფლებები. 12 წლის ასაკში ის დააპატიმრეს და წაიყვანეს პოლიციის განყოფილებაში 9 წლის ბავშვისგან ფულის გამოძალვის ბრალდებით. უფლებამოსილმა პირებმა ჩათვალეს, რომ მის მიერ ჩადენილი დანაშაულები ისჯება სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად. თუმცა მის წინააღმდეგ არ აღძრულა სისხლის სამართლებრივი დევნა, რადგან მას ჯერ არ მიუღწევია სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკისთვის (16, ან 14 მოცემული დანაშაულის შემთხვევაში). ამის ნაცვლად, ივანე წარსდგა სასამართლოს წინაშე, რომელმაც გადაწყვიტა ბიჭის მოთავსება არასრულწლოვან დამნაშავეთა დროებითი დაკავების ცენტრში 30 დღით „ქცევის გამოსწორების" და შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების პრევენციის მიზნით.

6. ამ შემთხვევამ სასამართლოს პირველად მისცა შესაძლებლობა განეხილა რუსეთში არსებული სპეციალური პროცედურები ბავშვებთან მიმართებაში, რომლებმაც ჩაიდინეს (ან ბრალი ედებათ ჩადენაში) დანაშაულებრივი ქმედება სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის მიღწევამდე - 1999 წლის კანონი ბავშვის უგულვებელყოფისა და არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის ძირითადი ზომების შესახებ, განსაკუთრებით, დახურული ტიპის საგანმანათლებლო დაწესებულებების და, ივანე ბლოხინის შემთხვევაში, დროებითი დაკავების ცენტრების გამოყენების შესახებ. სასამართლომ თავისი გადაწყვეტილება საქმესთან დაკავშირებით წარდგენილი ზემოთხსენებული რეგულაციების გათვალისწინებით მიიღო.

- სამართლებრივი დახმარების უფლება

7. სადავო იყო ივანე ბლოხინის დაპატიმრებისა და პოლიციის განყოფილებაში დაკითხვის გარემოება. სასამართლომ დაადგინა, რომ ბიჭის დაკითხვას არ ესწრებოდა მისი მეურვე. გარდა ამისა, ოფიციალური პირები ამტკიცებდნენ, რომ ეს მხოლოდ ახსნა-განმარტების ჩამორთმევა იყო, და არა ოფიციალური დაკითხვა, ამიტომ კანონი არ ითვალისწინებდა ადვოკატის, ფსიქოლოგის ან პედაგოგის დასწრებას. თუმცა, სწორედ ამ პროცედურის დროს მისცა ბიჭმა აღიარებითი ჩვენება და ხელი მოაწერა განცხადებას - სამხილს, რომელმაც, ივანეს მიერ მისი უარყოფის მიუხედავად, დიდი მნიშვნელობა შეიძინა შემდგომი სასამართლო განხილვის დროს, როდესაც ბაბუა უშედეგოდ ცდილობდა მომხდარი გაესაჩივრებინა. სასამართლომ ხაზი გაუსვა ადვოკატის აყვანის პრინციპულ მნიშვნელობას, როცა საქმე ეხება პატიმრობაში

მყოფ ბავშვს, მისი დაუცველობის გამო. ივანეს შემთხვევაში, სასამართლომ დაადგინა, რომ იურიდიული დახმარების არარსებობა მისი დაკითხვის დროს აზარალებდა მის დაცვის უფლებებს და ეჭვქვეშ აყენებდა ზოგადად საქმის წარმოების სამართლიანობას - ამგვარად, დაირღვა მე-6 მუხლით გათვალისწინებული მისი საქმის სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლება.

- მოწმეთა გამოძახებისა და დაკითხვის უფლება

8. მოსმენა, რომლის შედეგადაც ივანე მოათავსეს დროებითი დაკავების ცენტრში, გაიმართა ერთი თვის შემდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შესახებ უფლებამოსილი ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან, რადგან ის ჯერ არ იყო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ასაკის. მოსმენის დროს მას ჰყავდა სასამართლოს მიერ დანიშნული ადვოკატი, რომელსაც არ მიუღია აქტიური მონაწილეობა განხილვაში. „ბრალდების" მოწმეები სხდომას არ ესწრებოდნენ, სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ მათ წერილობით ჩვენებას და ივანეს ადრე მიცემულ აღიარებით ჩვენებას. სხდომას ესწრებოდნენ ივანე და მისი ბაბუა. სასამართლოს არ ჰქონდა მცდელობა უზრუნველყო „ბრალდების" მოწმეების დასწრება, ვინაიდან კანონი არ ითვალისწინებს მოწმეების ჯვარედინ დაკითხვას არასრულწლოვანი ბავშვის წინააღმდეგ სამართალწარმოების დროს. საქმეში არ იყო საპირწონე ფაქტორები, ისეთი როგორც დაცვის მხარის შესაძლებლობა შეესწავლა მოწმეების დაკითხვის მასალები ან თავად დაესვა კითხვები. გარდა ამისა, დაცვის მხარეს, ისევე როგორც მოსამართლეს, არ ჰქონდა შესაძლებლობა დაკვირვებოდა მოწმეების ქცევას მათ მიერ განცხადების გაკეთების დროს, რადგან მათი დაკითხვის ვიდეო ჩანაწერი არ არსებობდა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს სამხილი გადამწყვეტი იყო, სასამართლომ მიიჩნია, რომ ივანეს დაცვის უფლება შეიზღუდა და არ შეესაბამებოდა მე-6 მუხლით გათვალისწინებულ სამართლიან სასამართლოს.

- თავისუფლების აღკვეთა

9. რუსეთის უფლებამოსილი ორგანოს მტკიცებით, ბავშვის მოთავსება დროებით დაკავების ცენტრში, 1999 წლის არასრულწლოვანთა დანაშაულის შესახებ ფედერალური კანონის თანახმად, არ მიიჩნევა თავისუფლების აღკვეთად, და ივანეს შემთხვევაში საქმე გვაქვს მისი ქცევის გამოსწორებასთან, შემდგომი დანაშაულებრივი ქმედების პრევენციის მიზნით. იმის გარკვევა, მოხდა თუ არა თავისუფლების აღკვეთა კონვენციის თანახმად (მე-5 მუხლი) საჭიროებს თითოეული შემთხვევის კონკრეტული სიტუაციის შესწავლას. ამ შემთხვევაში, სასამართლოსთვის ძირითად ფაქტორებს, რომლებიც მიუთითებდა იმაზე, რომ ივანეს აღეკვეთა თავისუფლება (და დაირღვა მე-5 მუხლი), წარმოადგენდა შემდეგი: აღნიშნული ცენტრი იყო დახურული ტიპის და დაცული ისე, რომ გამორიცხული იყო მისი დატოვება ნებართვის გარეშე, შესასვლელში მოქმედებდა საკონტროლო პუნქტი და სიგნალიზაცია შესაძლო გაქცევის პრევენციის მიზნით, დაკავებული პირები იმყოფებოდნენ მუდმივი და მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ, მათ, როგორც წესი, ჩხრეკდნენ და შესვლისას ართმევდნენ პირად ნივთებს, იქ დაწესებული დისციპლინარული რეჟიმის დარღვევა ისჯებოდა დისციპლინარული სანქციებით. იძულებით დაკავება ამგვარ რეჟიმში არანაირად არ შეესაბამებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპებს. შესაბამისად, რუსეთის მხარეს დაუდგინდა კონვენციის მე-5 მუხლის დარღვევაც. საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას.

## III. ბავშვის საუკეთესო ინტერესები

## (პარაგრაფი III.B) და გაუმართლებელი დაყოვნების თავიდან აცილება - „გადაუდებლობის პრინციპი" (პარაგრაფი IV.50)

ზ. ჯ. ლიტვის წინააღმდეგ (2014 წ. 29 აპრილი)

11. ტყუპების (ბიჭის და გოგოს) დედა გარდაიცვალა მათი დაბადებიდან ერთი წლის შემდეგ. მამის თხოვნით, რაიონულმა სასამართლომ დააკისრა ტყუპებზე დროებითი მეურვეობა მისი მეუღლის ბიძაშვილს. დაახლოებით ხუთი წელი ყველაფერი კარგად მიდიოდა, მამა არ ინტერესდებოდა ტყუპებით - მას კიდევ სამ უფროს ვაჟზე უნდა ეზრუნა. თუმცა, მამის და მეურვის ურთიერთობა დაიძაბა და კონფლიქტში გადაიზარდა, როცა მამამ მოითხოვა ტყუპების დაბრუნება. მათ შეიტანეს საპირისპირო განცხადებები

(მამამ მეურვეობის თაობაზე, ბიძაშვილმა მამისთვის მშობლის უფლების ჩამორთმევის თაობაზე). ჩატარდა სისხლის სამართლის პროცესი და შემდგომ საოჯახო სამართლის პროცესი მამის მიერ ბავშვების მონახულების გრაფიკისა და მათი მასთან დარჩენის საკითხზე. სხვადასხვა სასამართლო პროცესები, მათ შორის შუალედური და სააპელაციო მოსმენები, გრძელდებოდა ოთხი წლის განმავლობაში, ბოლოს მოხერხდა სტატუს- კვოს მეტნაკლებად შენარჩუნება - ტყუპები დარჩნენ მეურვესთან, თუმცა მამისთვის კარი ღია დარჩა მათ დასაბრუნებლად ურთიერთობის გამოსწორების შემთხვევაში. მამამ დაადანაშაულა ხელისუფლების ეროვნული ორგანო მისი ოჯახური ცხოვრების უფლების დარღვევაში (მე-8 მუხლი), რადგან ვერ შეძლო ტყუპების დაბრუნება.

12. მე-8 მუხლი აკისრებს ხელისუფლების ეროვნულ ორგანოს ვალდებულებას იმოქმედოს ოჯახური კავშირების გასაძლიერებლად და მიიღოს ზომები მშობლის და ბავშვის ხელახლა გასაერთიანებლად. გაჭიანურებული სასამართლო პროცესი მოიცავდა ხშირ შეხვედრებს და კონსულტაციებს ადგილობრივი ადმინისტრაციის ბავშვის სოციალური უზრუნველყოფის სპეციალისტის, მამისა და მეურვეს შორის, გასაუბრებებს ტყუპებთან, ფსიქოლოგებისა და ექსპერტების დახმარებას.

13. ბავშვზე ორიენტირებული მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები ციტირებული იყო საქმესთან დაკავშირებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში, განსაკუთრებით ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან დაკავშირებულ ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებში, როგორიცაა ბავშვთან დაკავშირებულ სასამართლო პროცესზე სიტყვით გამოსვლის და მისი მოსაზრების გათვალისწინების უფლება, ბავშვისადმი მზრუნველი და გულისხმიერი დამოკიდებულება, მისი ჯანმრთელობის და გარკვეული საჭიროებების გათვალისწინება.

14. სასამართლომ მიიჩნია, რომ ეროვნულმა სასამართლომ გონივრული გადაწყვეტილება მიიღო, როცა მამას უარი უთხრა ბავშვების დაბრუნებაზე. მან ჩათვალა, რომ საქმის განხილვა საკმაოდ დასაბუთებული და საფუძვლიანი იყო და შეესაბამებოდა სახელმძღვანელოს პრინციპებს (სასამართლოს ჩანაწერიდან ჩანდა, რომ პირველ ადგილას ისინი აყენებენ ბავშვების საუკეთესო ინტერესებს - რომლებიც „იგრძნობა" თითოეულ გადაწყვეტილებაში; თუ გავითვალისწინებთ ტყუპების სუსტ ჯანმრთელობას და იმ ფაქტს, რომ ისინი თითქმის მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე მეურვესთან ცხოვრობდნენ, მამასთან გადასვლას შეეძლო ზიანი მიეყენებინა მათი ფიზიკური და ფსიქოლოგიური მდგომარეობისთვის; მამას კი არ გამოუჩენია დაინტერესება მათი აღზრდის პროცესით, არ აღმოუჩენია მხარდაჭერა მათი ჯანმრთელობის და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. შესაბამისად, ლიტვას არ დაუდგინდა მე-8 მუხლის დარღვევა.

## IV. ბავშვთა მიმართ არასათანადო მოპყრობის წარსული გამოცდილება

15. 2011 წლიდან გამოქვეყნდა 15 სასამართლო გადაწყვეტილება, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სასამართლოს კაზუისტიკის (პრეცედენტული სამართლის) განვითარებასა და მოდიფიცირებაში, და რომლებიც ეფუძნება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. მათ შორის ექვსი განჩინება დიდმა პალატამ მიიღო.

(ლუის) ო'კიიფი ირლანდიის წინააღმდეგ (2014 წ. 28 იანვარი)

16. მომჩივანმა საჩივარი შეიტანა მე-3 მუხლის საფუძველზე და იგი ამტკიცებდა, რომ სასკოლო განათლების სისტემამ ვერ უზრუნველყო მისი დაცვა მასწავლებლის მხრიდან სექსუალური ძალადობისგან 1973 წელს და, მე-13 მუხლის თანახმად, რომ მას არ გააჩნდა სათანადო შიდასამართლებრივი გასაჩივრების საშუალება. მომჩივანი ასევე ამტკიცებდა, რომ მის მიმართ დაირღვა #1 ოქმის მე-8 და მე-2 მუხლები, კონვენციის მე-14 მუხლთან ერთად. გარდა ამისა, მან უკმაყოფილება გამოთქვა მისი სამოქალაქო სამართალწარმოების ხანგრძლივობასთან და სათანადო შიდასამართლებრივი გასაჩივრების საშუალების არარსებობასთან დაკავშირებით, კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების თანახმად.

17. 1973 წელს ექვსი თვის განმავლობაში მომჩივანზე დაახლოებით ოცჯერ განხორციელდა სექსუალური დანაშაული დაწყებითი სკოლის მასწავლებლის მიერ. გოგონამ არ განაცხადა ამის შესახებ. თუმცა სკოლაში

შევიდა მსგავსი საჩივარი სხვა ბავშვის მშობლისგან 2 წლით ადრე. 1973 წლის სექტემბერში გოგონას მშობლებს სხვა ბავშვების მშობლებმა შეატყობინეს მსგავსი ბრალდების შესახებ; სკოლის თანამშრომლებთან და მშობლებთან შეხვედრის შემდეგ მასწავლებელმა დატოვა სამსახური. ამ ბრალდების შესახებ არ განაცხადეს არც პოლიციაში, არც განათლების სამინისტროში და არც სხვა სახელმწიფო ორგანოში. ბავშვმა დამალა მის მიმართ განხორციელებული სექსუალური ძალადობის ფაქტი, მიუხედავად იმისა, რომ მას აღენიშნებოდა ფსიქოლოგიური პრობლემები, ის არ უკავშირებდა მათ აღნიშნულ ფაქტს.

18. 23 წლის შემდეგ მომჩივანს დაუკავშირდა პოლიცია იგივე სკოლის სხვა მოსწავლის საჩივრის საფუძველზე იგივე მასწავლებელთან მიმართებაში, 1970-იან წლებში მომხდართან დაკავშირებით. მასწავლებელი გასამართლდა 21 სექსუალური ძალადობის ბრალდების საფუძველზე. მას ბრალად ედებოდა 386 დანაშაული. მხოლოდ სასამართლოზე მოწმეების ჩვენების მოსმენის დროს დააკავშირა მომჩივანმა თავისი ფსიქოლოგიური პრობლემები ადრე განხორციელებულ ძალადობასთან. ასე, 1998 წელს, ძალადობის ფაქტიდან 25 წლის შემდეგ, მან შეიტანა სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ სკოლის არასათანადო კონტროლის და ძალადობის დაშვების ბრალდებით (რასაც, როგორც შემდგომ აღმოჩნდა, ადგილი ჰქონდა 1962 წლიდან, ანუ, 11 წლით ადრე, ვიდრე ეს მას მოუვიდოდა); ასევე დააკისრა პასუხისმგებლობა ამ მასწავლებლის სამსახურში აყვანისთვის და თავისი სხეულის ხელშეუხებლობის კონსტიტუციური უფლების დარღვევისთვის.

19. ამ მოვლენებს ადგილი ჰქონდა ბავშვის უფლებების გაეროს კონვენციის შემუშავებამდე, გადაწყვეტილების მიღებისას სასამართლო ციტირებდა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციისა და სამოქალაქო და პოლიტიკური საერთაშორისო პაქტის ადრე არსებულ სისტემას, რომლის თანახმადაც სახელმწიფოს ევალება ბავშვების დაცვა არასათანადო მოპყობისგან და სათანადო სოციალური პროგრამების შექმნა ძალადობის პრევენციისა და დაზარალებულთა მკურნალობის მიზნით.

20. რაც შეეხება ამ შემთხვევის ისტორიულ ხასიათს, სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხი უნდა შეფასდეს იმდროინდელი (1973 წ.) ფაქტებიდან და სტანდარტებიდან გამომდინარე, მიუხედავად დღევანდელი საზოგადოებრივი ცნობიერებისა განათლების სფეროში არასრულწლოვანთა მიმართ სექსუალური ძალადობის რისკის შესახებ, რაც განპირობებულია ამ საკითხზე საჯარო დისკუსიების ჩატარებით, მათ შორის ირლანდიაში. სასამართლომ მიიჩნია, რომ 1973 წლამდე მიღებულ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებში ხაზგასმულია, რომ სახელმწიფომ უნდა მიიღოს განსაკუთრებული ზომები ბავშვების დასაცავად.

21. სასამართლომ შეისწავლა ისტორიული კონტექსტი - ამჟამინდელ ანგარიშში ასახული სტატისტიკური მონაცემები ბიჭების და გოგონების მიმართ სექსუალური დანაშაულის ზრდის შესახებ (სადაც შეინიშნება ბავშვების მიმართ სექსუალური დანაშაულის სასამართლო დევნის სტაბილური ზრდა 1970 წლამდე) - და გამოიტანა გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ იმ დროს სახელმწიფოს გააჩნდა პრობლემის საკმარისი მტკიცებულება, რათა სცოდნოდა რისკის შესახებ და ვალდებული იყო (მე-3 მუხლის თანახმად - არაადამიანური და ღირსების შემლახავი მოპყრობის აკრძალვა) მიეღო ზომები მომჩივანის დასაცავად.

22. ერთერთი განსხვავებული მოსაზრება ეფუძნებოდა იმ კონცეფციას, რომ სახელმწიფოს მიერ ვალდებულების დროის ათვლა დაიწყო მაშინ, როცა საჩივარი ოფიციალურად შევიდა სახელმწიფო ორგანოში (პოლიციაში) და როცა, ამ შემთხვევაში, სახელმწიფომ მყისიერად იმოქმედა.



# საერთაშორისო სტანდარტები

## არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში

unite for children

unicef

წინამდებარე დოკუმენტში გამოყენებული ტერმინები და წარმოდგენილი მასალა  არ არის გამიზნული გამოხატავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს.

მადლობას ვუხდით გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისს შემდეგი დოკუმენტების ქართული თარგმანის მოწოდებისაათვის: გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები), გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ („პეკინური წესები“), გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად.

© გაეროს ბავშვთა ფონდი, 2011 წელი

**გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს წარმომადგენლობა**

მისამართი: ერისთავის ქ. 9
ტელ: 995 32 – 25 11 30, 23 23 88
ელ-ფოსტა: tbilisi@unicef.org
www.unicef.org/georgia

დაიბეჭდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში.

# ბავშვის უფლებათა კონვენცია

## პრეამბულა

წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოები

მიიჩნევენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ დეკლარირებული პრინციპების შესაბამისად საზოგადოების ყველა წევრის ღირსების, თანასწორი და ხელშეუვალი უფლებების აღიარება არის დედამიწაზე თავისუფლების, სამართლიანობისა და მშვიდობის უზრუნველყოფის საფუძველი,

მხედველობაში იღებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ხალხებმა წესდებაში ცხადყვეს თავიანთი ერთგულება ადამიანის ძირითადი უფლებების, ადამიანის პიროვნების ღირსებისა და ღირებულებისადმი და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მეტი თავისუფლების პირობებში ხელი შეუწყონ სოციალურ პროგრესსა და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას,

აღიარებენ რა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში და ადამიანის უფლებათა შესახებ საერთაშორისო პაქტებში გამოაცხადა, რომ ყოველ ადამიანს უნდა ჰქონდეს ამ დოკუმენტებში მითითებული ყველა უფლება და თავისუფლება განურჩევლად ისეთი ნიშნებისა, როგორიცაა რასა, კანის ფერი, სქესი, ენა, რელიგია, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსი, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობა, ქონებრივი მდგომარეობა, დაბადება თუ სხვა ვითარებანი,

ითვალისწინებენ რა, რომ ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ გამოაცხადა ბავშვთა უფლება, განსაკუთრებული მზრუნველობით იყვნენ გარემოსილნი,

დარწმუნებული არიან რა, რომ ოჯახი, როგორც საზოგადოების ძირითადი უჯრედი და მისი წევრების, განსაკუთრებით კი ბავშვების, ზრდისა და კეთილდღეობის ბუნებრივი გარემო, აუცილებელად უნდა იყოს დაცული და მას აუცილებლად უნდა გაეწიოს თანადგომა, რათა მან თავის თავზე სრულად აიღოს საზოგადოებრივი ვალდებულებანი,

აღიარებენ რა, რომ ბავშვის პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარებისათვის აუცილებელია იგი იზრდებოდეს ოჯახურ გარემოში, ბედნიერების, სიყვარულის და ურთიერთგაგების ატმოსფეროში,

მიაჩნიათ რა, რომ ბავშვი სრულყოფილად უნდა იყოს მომზადებული საზოგადოებაში დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის და აღიზარდოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში გაცხადებული იდეალების, განსაკუთრებით კი მშვიდობის, ადამიანის ღირსების პატივისცემის, შემწყნარებლობის, თავისუფლების, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებით,

მხედველობაში იღებენ რა, რომ ბავშვის ასეთი განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა გათვალისწინებულია ბავშვის უფლებათა ჟენევის 1924 წლის დეკლარაციით, 1959 წლის 20 ნოემბერს გენერალური ასამბლეის მიერ მიღებული ბავშვის უფლებათა დეკლარაციით და აღიარებულია ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციით, მოქალაქეობრივი და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მისი 23-ე და 24-ე მუხლებით), ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების საერთაშორისო პაქტით (კერძოდ, მე-10 მუხლით), აგრეთვე ბავშვთა კეთილდღეობის საკითხებზე მომუშავე სპეციალიზებული დაწესებულებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების შესაბამისი დოკუმენტებით,

მხედველობაში იღებენ რა ბავშვის უფლებათა დეკლარაციის მითითებას, რომ „ბავშვს, მისი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ესაჭიროება სპეციალური დაცვა და ზრუნვა, შესატყვისი სამართლებრივი დაცვის ჩათვლით, როგორც დაბადებამდე, ისე დაბადების შემდეგ“,

ეყრდნობიან რა დეკლარაციის დებულებებს იმ სოციალური და სამართლებრივი პრინციპების შესახებ, რომლებიც მოიცავს ბავშვების დაცვასა და კეთილდღეობას, განსაკუთრებით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ბავშვთა აღსაზრდელად გადაცემისა და შვილად აყვანისას, არასრულწლოვ-

ანთა მიმართ მართლმსაჯულების აღსრულების გაერთიანებული ერების ორგანიზაციისეულ მინიმალურ სტანდარტულ წესებს ("პეკინის წესები"), განსაკუთრებულ ვითარებაში და შეიარაღებული კონფლიქტების დროს ქალთა და ბავშვთა დაცვის შესახებ დეკლარაციას,

აღიარებენ რა, რომ მსოფლიოს ყველა ქვეყანაში არიან ბავშვები, რომლებიც ცხოვრობენ განსაკუთრებით რთულ პირობებში და რომ ასეთი ბავშვები საჭიროებენ განსაკუთრებულ ყურადღებას,

სათანადოდ ითვალისწინებენ რა ბავშვის დაცვისა და ჰარმონიული განვითარებისათვის ყოველი ხალხის ტრადიციებისა და კულტურული ფასეულობების მნიშვნელობას,

აღიარებენ რა ყველა ქვეყანაში, კერძოდ, განვითარებად ქვეყნებში ბავშვთა ცხოვრების გაუმჯობესებისათვის საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

## ნაწილი I

### მუხლი 1

წინამდებარე კონვენციის მიზნებისათვის ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვანებას.

### მუხლი 2

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყველა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვეციითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებრივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთელობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად.
2. მონაწილე სახელმწიფოები ყოველგვარ აუცილებელ ზომას ღებულობენ დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლებიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ გამჟღავნებულ მრწამსს.

### მუხლი 3

1. ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.
2. მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.
3. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვისათვის ზრუნვაზე ან მის დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები ან ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი პერსონალის რიცხობრიობისა და ვარგისიანობის, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით.

### მუხლი 4

მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სხვაგვარ ზომას წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განსახორციელებლად. მონაწილე სახელმწიფოები ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა რეალიზაციისათვის ასეთ ზომებს ღებულობენ მათ ხელთ არსებული რესურსების მაქსიმალური გამოყენებით, აუცილებლობის შემთხვევაში კი - საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში.

### მუხლი 5

მონაწილე სახელმწიფოები პატივს მიაგებენ მშობლებისა და შესაბამის შემთხვევებში ადგილობრივი ადათ-წესების შესატყვისად ფართოდ გაგებული ოჯახის წევრების ან თემის, მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონის მიხედვით პასუხისმგებელნი არიან ბავშვზე, იმაზე, რომ სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვს წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განხორციელებაში და აკეთებდნენ ამას ბავშვის უნართა განვითარების გათვალისწინებით.

### მუხლი 6

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ყოველ ბავშვს აქვს სიცოცხლის ხელშეუხებელი უფლება.
2. მონაწილე სახელმწიფოები შესაძლებლობისამებრ მაქსიმალურად უზრუნველყოფენ ბავშვის სიცოცხლის შენარჩუნებასა და ჯანსაღ განვითარებას.

### მუხლი 7

1. ბავშვი რეგისტრაციას გადის დაბადებისთანავე და მას დაბადებიდანვე გააჩნია უფლება, ჰქონდეს სახელი და შეიძინოს მოქალაქეობა, აგრეთვე, რამდენადაც ეს შესაძლებელია, უფლებამოსილია იცნობდეს თავის მშობლებს და გარემოსილი იყოს მათი მზრუნველობით.
2. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ ამ უფლებათა განხორციელებას საკუთარი ეროვნული კანონმდებლობის შესატყვისად და თავისი მოვალეობების შესრულებას ამ სფეროში შესაბამისი საერთაშორისო დოკუმენტების თანახმად, კერძოდ, იმ შემთხვევაში, თუკი სხვაგვარად ბავშვს არ ექნება მოქალაქეობა.

### მუხლი 8

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ პატივი სცენ ბავშვის უფლებას, შეინარჩუნოს თავისი ინდივიდუალობა, მოქალაქეობის, სახელისა და ოჯახური კავშირების ჩათვლით, როგორც ეს გათვალისწინებულია კანონით და არ დაუშვან ამაში კანონსაწინააღმდეგო ჩარევა.
2. თუ ბავშვი უკანონოდ კარგავს თავისი ინდივიდუალობის ნაწილს ან მის ყველა ელემენტს, მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ მას აუცილებელი მფარველობით და დახმარებას აღმოუჩენენ მისი ინდივიდუალობის უსწრაფესი აღდგენისათვის.

### მუხლი 9

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, იმ შემთხვევათა გამოკლებით, როცა კომპეტენტური ორგანოები, სასამართლო გადაწყვეტილების თანახმად, სათანადო კანონისა და პროცედურის შესაბამისად განსაზღვრავენ, რომ ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს.

ეს შეიძლება აუცილებელი გახდეს ამა თუ იმ კონკრეტულ შემთხვევაში, მაგალითად, როცა მშობლები სასტიკად ექცევიან ბავშვს და არ ზრუნავენ მასზე, ან როცა მშობლები ცხოვრობენ ცალ-ცალკე და აუცილებელია ბავშვის საცხოვრებელი ადგილის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ნებისმიერი განხილვის დროს ყველა დაინტერესებულ მხარეს შესაძლებლობა ეძლევა, მონაწილეობა მიიღოს საქმის განხილვაში და გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები.

3. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ერთ ან ორივე მშობელს დაცილებული ბავშვის უფლებას, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს.

4. იმ შემთხვევაში, როცა ასეთი დაშორება გამომდინარეობს მონაწილე სახელმწიფოთა რომელიმე გადაწყვეტილებიდან, ანუ როცა საქმე ეხება, მაგალითად, ერთი ან ორივე მშობლის ან ბავშვის დაპატიმრებას, გასახლებას, დეპორტაციას ან სიკვდილს (მოცემული პირის სახელმწიფო გამგებლობაში ყოფნისას ნებისმიერი მიზეზით გამოწვეული სიკვდილის ჩათვლით), მონაწილე სახელმწიფო ასეთ მშობლებს, ბავშვს ან, თუ ეს აუცილებელია, ოჯახის სხვა წევრს მათი თხოვნით აძლევს აუცილებელ ინფორმაციას ოჯახიდან წასული წევრის/წევრების ადგილსამყოფელის შესახებ, თუ ამ ინფორმაციის მიცემა ზიანს არ აყენებს ბავშვის კეთილდღეობას. მონაწილე სახელმწიფოები შემდგომში უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნა თავისთავად არ იწვევდეს შესაბამისი პირისათვის (პირთათვის) არასასურველ შედეგებს.

### მუხლი 10

1. მონაწილე სახელმწიფოთა მიერ მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტით თავის თავზე აღებული ვალდებულების შესაბამისად, ბავშვის ან მისი მშობლის განცხადება ოჯახის გამთლიანების მიზნით მონაწილე სახელმწიფოში შესვლის ან იქიდან გასვლის თაობაზე მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ პოზიტიურად, ჰუმანურად და ოპერატიულად. მონაწილე სახელმწიფოები შემდგომში უზრუნველყოფენ, რომ ასეთი თხოვნის წარდგენას არ მოჰყვეს არასასურველი შედეგები განმცხადებლის ან მათი ოჯახის წევრებისათვის.

2. ბავშვს, რომლის მშობლებიც სხვადასხვა სახელმწიფოში ცხოვრობენ, უფლება გააჩნია, განსაკუთრებული ვითარების გარდა, რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, პატივს სცემენ ბავშვისა და მისი მშობლების უფლებას დატოვონ ნებისმიერი ქვეყანა, საკუთარი ქვეყნის ჩათვლით, და დაბრუნდნენ თავის ქვეყანაში. ნებისმიერი ქვეყნის დატოვების უფლების მიმართ მოქმედებს მხოლოდ ისეთი შეზღუდვები, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public), მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის და შეთავსებადია წინამდებარე კონვენციაში აღიარებულ სხვა უფლებებთან.

### მუხლი 11

1. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ზომებს ბავშვთა უკანონოდ გადაადგილების ან საზღვარგარეთ მათი უკანონოდ დატოვების წინააღმდეგ საბრძოლველად.

2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ ორმხრივი ან მრავალმხრივი შეთანხმებების დადებას ან მოქმედ შეთანხმებებთან შეერთებას.

### მუხლი 12

1. მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ საკუთარი შეხედულებების ჩამოყალიბების უნარის მქონე ბავშვის უფლებას, თავისუფლად გამოთქვას თავისი შეხედულებები ნებისმიერ საკითხზე, რომელიც მას ეხება, ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.

2. ამ მიზნით ბავშვს, კერძოდ, ეძლევა შესაძლებლობა, მოუსმინონ მას სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც ბავშვს ეხება, როგორც უშუალოდ, ასევე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით გათვალისწინებული წესით.

### მუხლი 13

1. ბავშვს უფლება აქვს თავისუფლად გამოთქვას თავისი აზრი; ეს უფლება მოიცავს თავისუფლებას, საზღვრების არსებობის მიუხედავად მოიძიოს, მიიღოს ან გადასცეს ნებისმიერი სახის ინფორმაცია ან იდეა ზეპირი, წერილობითი თუ ბეჭდური ფორმით, ბავშვის არჩევანისამებრ.
2. ამ უფლების განხორციელება, შესაძლოა, ერთგვარად შეიზღუდოს, მაგრამ ეს შეზღუდვა კანონით გათვალისწინებული და აუცილებელი უნდა იყოს:

ა) სხვა პირთა უფლებებისა და რეპუტაციის პატივისცემისათვის;

ბ) სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public), ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის დაცვისათვის.

### მუხლი 14

1. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ ბავშვის აზრის, სინდისის და რელიგიური რწმენის თავისუფლებას.
2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობელთა და შესაბამის შემთხვევაში კანონიერ მეურვეთა უფლებებსა და მოვალეობებს, უხელმძღვანელონ ბავშვს მისი უფლებების იმ მეთოდით განხორციელებაში, რომელიც შეესატყვისება ბავშვის განვითარებად უნარებს.
3. რელიგიური აღმსარებლობის ან რწმენის თავისუფლება შეიძლება დაექვემდებაროს მხოლოდ იმ შეზღუდვებს, რომლებიც დადგენილია კანონით და აუცილებელია სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ზნეობისა და ჯანმრთელობის ან სხვა პირთა ძირითადი უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

### მუხლი 15

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს ასოციაციებისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებით.
2. მოცემული უფლების განხორციელების მიმართ არ შეიძლება დაწესდეს რაიმე შეზღუდვა, გარდა შეზღუდვებისა, რომლებიც დაწესდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში სახელმწიფო უშიშროების ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების, საზოგადოებრივი წესრიგის (ordre public) ინტერესებისათვის, ან მოსახლეობის ჯანმრთელობის ან ზნეობის, ან სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვისათვის.

### მუხლი 16

1. არც ერთი ბავშვი არ შეიძლება იყოს პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებელი ბინის ხელშეუხებლობის ან კორესპონდენციის საიდუმლოების უფლებათა მის მიერ განხორციელებაში თვითნებური ან უკანონო ჩარევის, ან მისი ღირსებისა და რეპუტაციის უკანონო ხელყოფის ობიექტი.
2. ბავშვს უფლება აქვს, კანონით იყოს დაცული მსგავსი ჩარევის ან ხელყოფისაგან.

### მუხლი 17

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა მნიშვნელოვან როლს და უზრუნველყოფენ ბავშვისათვის სხვადასხვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებით გავრცელებული ინფორმაციისა და მასალების მისაწვდომობას, განსაკუთრებით ისეთი ინფორმაციისა და მასალებისა, რომლებიც მიმართულია ბავშვის სოციალური, სულიერი და მორალური კეთილდღეობისაკენ, აგრეთვე ჯანსაღი ფიზიკური და ფსიქიკური განვითარების ხელშეწყობისაკენ. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები -

ა) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით იმ ინფორმაციისა და მასალების გავრცელების წახალისებას, რომელიც სასარგებლოა ბავშვის სოციალური და კულტურული განვითარების თვალსაზრისით და გამოხატავს 29-ე მუხლის სულისკვეთებას;

ბ) ახდენენ საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისებას სხვადასხვა კულტურული, ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან მოპოვებული ამგვარი ინფორმაციისა და მასალების მომზადების, გაცვლისა და გავრცელების მიზნით;

გ) ახდენენ საბავშვო ლიტერატურის გამოცემისა და გავრცელების წახალისებას.

დ) ახდენენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წახალისებას, რათა მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმ ბავშვის ენობრივ მოთხოვნილებებს, რომელიც მიეკუთვნება რომელიმე უმცირესობის ჯგუფს ან მკვიდრ მოსახლეობას;

ე) ახდენენ იმ სახის ინფორმაციისა და მასალებისაგან ბავშვის დაცვის სათანადო პრინციპების შემუშავების წახალისებას, რომელიც საზიანოა მისი კეთილდღეობისათვის, მე-13 და მე-18 მუხლების დებულებათა გათვალისწინებით.

### მუხლი 18

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველაფერს აკეთებენ, რათა უზრუნველყონ ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე ორივე მშობლის საერთო და თანაბარი პასუხისმგებლობის პრინციპის აღიარება. მშობლებს ან შესაბამის შემთხვევებში კანონიერ მეურვეებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა ბავშვის აღზრდასა და განვითარებაზე, ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები წარმოადგენს მათი ზრუნვის მთავარ საგანს.

2. წინამდებარე კონვენციაში გამოკვეთილ უფლებათა განხორციელების გარანტიის შექმნისა და ხელშეწყობის მიზნით მონაწილე სახელმწიფოები სათანადო დახმარებას უწევენ მშობლებსა და კანონიერ მეურვეებს მათი მოვალეობის შესრულებაში, აღზარდონ ბავშვი და უზრუნველყოფენ საბავშვო დაწესებულებათა ქსელის განვითარებას.

3. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას ღებულობენ იმის უზრუნველსაყოფად, რომ ბავშვებს, რომელთა მშობლებიც მუშაობენ, უფლება ჰქონდეთ ისარგებლონ მათთვის განკუთვნილი სამსახურებითა და დაწესებულებებით, რომელთაც ბავშვთა მოვლა-პატრონობა ეკისრებათ.

### მუხლი 19

1. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, სოციალურ და საგანმანათლებლო ზომას ღებულობენ იმ მიზნით, რათა ბავშვი დაიცვან მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ბავშვზე მზრუნველი ნებისმიერი სხვა პირის მხრიდან ყველანაირი ფორმის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობისაგან, შეურაცხყოფისა თუ ბოროტად გამოყენებისაგან, მზრუნველობის მოკლებისა თუ დაუდევარი მოპყრობისაგან, უხეში მოქცევისა თუ ექსპლუატაციისაგან, სექსუალური ბოროტების ჩათვლით.

2. დაცვის ასეთი ღონისძიებები აუცილებლობის შემთხვევაში მოიცავს ეფექტურ პროცედურებს სოციალური პროგრამების შემუშავებისათვის იმ მიზნით, რათა აუცილებელი მხარდაჭერა აღმოუჩინონ ბავშვს და იმ პირებს, ვინც მასზე ზრუნავს, აგრეთვე ხელი შეუწყონ ბავშვთა მიმართ სასტიკი დამოკიდებულების ზემოთაღნიშნული გამოვლინებების თავიდან აცილების, წინასწარი

გამომჟღავნების, შეტყობინების, განსახილველად გადაცემის, გამოძიების, მკურნალობის და სხვა ღონისძიებების განხორციელებას, აუცილებლობის შემთხვევაში კი - სასამართლო პროცე-დურის აღძვრას.

### მუხლი 20

1. ბავშვს, რომელიც დროებით ან მუდმივად მოკლებულია ოჯახურ გარემოს, ანდა, მისივე ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეიძლება დარჩეს ასეთ გარემოში, უფლება აქვს სახელმწიფოს განსაკუთრებული მფარველობითა და დახმარებით სარგებლობდეს.
2. მონაწილე სახელმწიფოები თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნვე-ლყოფენ ასეთი ბავშვის მიმართ მზრუნველობის ფორმის შეცვლას.
3. ასეთი მზრუნველობა შეიძლება მოიცავდეს, კერძოდ, ბავშვის აღსაზრდელად გადაცემას, მუს-ლიმანური სამართლის "კაფალას", შვილად აყვანას ან აუცილებლობის შემთხვევაში ბავშვთა მოვლა-პატრონობისათვის მოწოდებულ შესაბამის დაწესებულებაში მის მოთავსებას. მზრუნვ-ელობის ფორმის შეცვლის ვარიანტების განხილვისას აუცილებელია სათანადოდ იქნეს გათვალ-ისწინებული ბავშვის აღზრდის მემკვიდრეობითობის სასურველობა და მისი ეთნიკური წარმომა-ვლობა, რელიგიური და კულტურული კუთვნილება და მშობლიური ენა.

### მუხლი 21

მონაწილე სახელმწიფოები, რომლებიც აღიარებენ ან თანხმდებიან შვილად აყვანის სისტემის არსე-ბობას, უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესები გათვალისწინებული იქნეს უწინარეს ყოვლისა, და ისინი:

ა) უზრუნველყოფენ, რომ ბავშვის შვილად აყვანის ნებართვას იძლეოდეს მხოლოდ კომპეტენ-ტური ხელისუფლება, რომელიც სათანადო კანონებისა და პროცედურების შესაბამისად და საქმესთან დაკავშირებული სარწმუნო ინფორმაციის საფუძველზე განსაზღვრავს, რომ შვილად აყვანა დასაშვებია მშობლებთან, ნათესავებთან და კანონიერ მეურვეებთან მიმართებაში ბავშ-ვის სტატუსის გათვალისწინებით და რომ, თუ ეს საჭიროა, დაინტერესებული პირები შეგნებუ-ლად დათანხმდნენ შვილად აყვანას ისეთი კონსულტაციის საფუძველზე, როგორიც შეიძლება აუცილებელი იყოს;

ბ) აღიარებენ, რომ შვილად აყვანა სხვა ქვეყანაში შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ბავშ-ვის მოვლის ალტერნატიული საშუალება, თუ ბავშვი არ შეიძლება აღსაზრდელად გადაეცეს ან შეუერთდეს ოჯახს, რომელიც შეძლებდა უზრუნველეყო მისი აღზრდა ან შვილად აყვანა და თუ იმ ქვეყანაში, სადაც ბავშვი დაიბადა, შეუძლებელია მისი შესაფერისი რამენაირი მოვლა-პატრონო-ბის უზრუნველყოფა;

გ) უზრუნველყოფენ, რომ სხვა ქვეყანაში ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში არსებობდეს ისე-თივე გარანტიები და ნორმები, როგორიც არსებობს ქვეყნის შიგნით შვილად აყვანის დროს;

დ) იღებენ ყველა აუცილებელ ზომას იმის უზრუნველსაყოფად, რომ სხვა ქვეყანაში შვილად აყვა-ნის დროს ამ საქმესთან დაკავშირებულ პირებს არ მიეცეთ გაუმართლებელი ფინანსური მოგების მიღების საშუალება;

ე) აუცილებელ შემთხვევაში ხელს უწყობენ წინამდებარე მუხლის მიზნების მიღწევას ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების გზით და ცდილობენ ამ საფუძ-ველზე უზრუნველყონ, რომ ბავშვის მოწყობა სხვა ქვეყანაში ხორციელდებოდეს კომპეტენტური ხელისუფლების ან ორგანოების მიერ.

### მუხლი 22

1. მონაწილე სახელმწიფოები აუცილებელ ზომებს იღებენ, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვმა, რომელსაც სურს მიიღოს ლტოლვილის სტატუსი ან რომელიც შესატყვისი საერთაშორისო ან საშინაო სამართლისა და პროცედურების ძალით ითვლება ლტოლვილად და რომელსაც თან ახ-

ლავს ან არ ახლავს მშობლები ან ნებისმიერი სხვა პირი, ისარგებლოს სათანადო დაცვითა და ჰუმანიტარული დახმარებით წინამდებარე კონვეცაიაში და ადამიანის უფლებებისადმი მიძღვნილ იმ სხვა საერთაშორისო ან ჰუმანიტარულ დოკუმენტებში აღიარებული უფლებების გამოყენებისას, რომელთა მონაწილენი არიან აღნიშნული სახელმწიფოები.

2. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, როცა ამას აუცილებლად მიიჩნევენ, ხელს უწყობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციისა და იმ სხვა კომპეტენტური სამთავრობათაშორისო ან არასამთავრობო ორგანიზაციების მცდელობას, რომლებიც თანამშრომლობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, დაიცვან ასეთი ბავშვი, დაეხმარონ მას და მოძებნონ ნებისმიერი ლტოლვილი ბავშვის მშობლები თუ ოჯახის სხვა წევრები, რათა მიიღონ მისი ოჯახთან შეერთებისათვის აუცილებელი ინფორმაცია. იმ შემთხვევაში, როცა არ ხერხდება მშობლების ან ოჯახის სხვა წევრების მოძებნა, მაშინ ბავშვი, როგორც ამას ითვალისწინებს წინამდებარე კონვენცია, უზრუნველყოფილია ისეთივე დაცვით, როგორითაც სხვა ნებისმიერი ბავშვი, რომელიც რაიმე მიზეზის გამო მუდმივად ან დროებით მოკლებულია ოჯახურ გარემოს.

### მუხლი 23

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ გონებრივად ან ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვი სრულფასოვნად და ღირსეულად უნდა ცხოვრობდეს იმგვარ პირობებში, რომლებიც უძლიერებს მას ღირსების გრძნობას, საკუთარი თავის რწმენას და უადვილებს საზოგადოების ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას.

2. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის უფლებას, სარგებლობდეს განსაკუთრებული მზრუნველობით და სათანადო რესურსების არსებობის პირობებში, ახალისებენ და უზრუნველყოფენ ამ უფლების მქონე ბავშვისათვის და მის მიმართ მზრუნველობაზე პასუხისმგებელი პირებისათვის ისეთი დახმარების გაწევას, როგორსაც ითხოვდნენ და რომელიც შეესაბამება ბავშვისა და მისი მშობლების, ან იმ სხვა პირთა მდგომარეობას, რომლებიც უზრუნველყოფენ ბავშვზე მზრუნველობას.

3. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვის განსაკუთრებულ საჭიროებათა აღიარების ნიშნად, წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დახმარება, მშობლებისა და ბავშვზე მზრუნველობის უზრუნველმყოფი სხვა პირების ფინანსური რესურსების გათვალისწინებით შეძლებისდაგვარად უფასოა, და მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვს მისცეს იმის ეფექტური შესაძლებლობა, რომ მან ისარგებლოს საგანმანათლებლო, სამედიცინო, ჯანმრთელობის აღმდგენი, პროფესიული და შრომითი საქმიანობისათვის საჭირო მომსახურებით და დასვენების საშუალებებით, რაც ბავშვს მაქსიმალურად სრულად ჩართავს სოციალურ ცხოვრებაში და ხელს შეუწყობს მისი პიროვნების განვითარებას, რაც კულტურული და სულიერი თვალსაზრისით მის ზრდასაც მოიცავს.

4. მონაწილე სახელმწიფოები საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით ხელს უწყობენ ინფორმაციის გავრცელებას შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების პროფილაქტიკური ჯანდაცვისა და სამედიცინო, ფსიქოლოგიური და ფუნქციონალური მკურნალობის დარგში, სათანადო რეაბილიტაციის, ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული მომზადების მეთოდებზე ინფორმაციის გავრცელების ჩათვლით, აგრეთვე ამ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას იმისათვის, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა გაიფართოვონ ამ დარგში თავიანთი შესაძლებლობები, ცოდნა და გამოცდილება. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

### მუხლი 24

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურებით და დაავადებათა მკურნალობისა და ჯანმრთელობის აღდგენის საუკეთესო საშუალებებით. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ უზრუნველყონ, რომ არც ერთ ბავშვს არ ჩამოერთვას უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ასეთი მომსახურებით.

2. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ მიაღწიონ მოცემული უფლების სრულ განხორციელებას და, კერძოდ, აუცილებელ ზომებს იღებენ:

ა) ჩვილთა სიკვდილიანობის დონისა და ბავშვთა სიკვდილიანობის შემცირებისათვის;

ბ) ყველა ბავშვისათვის აუცილებელი სამედიცინო დახმარებისა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფისათვის, იმისათვის, რომ უპირატესი ყურადღება დაეთმოს პირველადი სამედიცინო სანიტარული დახმარების გაწევას;

გ) დაავადებებთან და შიმშილობასთან ბრძოლისათვის, მათ შორის პირველადი სამედიცინო-სანიტარული დახმარების ფარგლებში, ადვილად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიისა და საკმაო სურსათითა და სასმელი წყლით მომარაგების გზით, გარემოს დაბინძურების საშიშროებისა და რისკის გათვალისწინებით;

დ) დედებისათვის მშობიარობამდე და მშობიარობის შემდგომ პერიოდში ჯანმრთელობის დაცვის სათანადო მომსახურების გაწევისათვის;

ე) საზოგადოების ყველა ფენის, კერძოდ, მშობლებისა და ბავშვებისათვის ბავშვთა ჯანმრთელობისა და კვების შესახებ ინფორმაციის მიწოდების, ძუძუთი კვების უპირატესობების გაცნობის უზრუნველყოფისათვის, ჰიგიენის, ბავშვის საცხოვრებელი გარემოს სანიტარიის დაცვისა და უბედური შემთხვევების თავიდან აცილების, აგრეთვე მათთვის განათლების ხელმისაწვდომობისა და ცოდნის გამოყენებაში დახმარების გაწევისათვის;

ვ) პროფილაქტიკური სამედიცინო დახმარების და ოჯახის დაგეგმვის სფეროში საგანმანათლებლო მუშაობის გაშლისა და მომსახურების განვითარებისათვის.

3. მონაწილე სახელმწიფოები ატარებენ ყოველგვარ ეფექტურ და აუცილებელ ზომებს იმ ტრადიციული პრაქტიკის აღმოფხვრისათვის, რომელიც უარყოფითად მოქმედებს ბავშვთა ჯანმრთელობაზე.

4. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ წაახალისონ საერთაშორისო თანამშრომლობა და განავითარონ იგი მოცემულ მუხლში აღიარებული უფლების სრული განხორციელების თანდათანობით მიღწევისათვის. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

#### მუხლი 25

მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ კომპეტენტური ორგანოების მიერ მოვლის მიზნით სამეურვეოდ გამწესებული ბავშვის უფლებას, იყოს დაცული და ისარგებლოს ფიზიკური თუ ფსიქიკური მკურნალობით; აღიარებენ ბავშვის უფლებას, პერიოდულად ხდებოდეს მისთვის გაწეული მკურნალობის და მის მიმართ ასეთ მეურვეობასთან დაკავშირებული სხვა პირობების შეფასება.

#### მუხლი 26

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ყოველი ბავშვის უფლებას, ისარგებლოს სოციალური უზრუნველყოფის ყველა სიკეთით, სოციალური დაზღვევის ჩათვლით, და აუცილებელ ზომებს იღებენ ამ უფლების სრული განხორციელებისათვის თავიანთი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ეს შეღავათები ბავშვს ეძლევა აუცილებლობისამებრ, მისი და მის რჩენაზე პასუხისმგებელ პირთა რესურსებისა და შესაძლებლობების, აგრეთვე ბავშვის მიერ ან მისი სახელით ამ შეღავათების მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა მოსაზრების გათვალისწინებით.

#### მუხლი 27

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, უზრუნველყოფილი იყოს ცხოვრების ისეთი დონით, რომელიც აუცილებელია მისი ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარებისათვის.

2. მშობელს (მშობლებს) ან ბავშვის სხვა აღმზრდელებს ეკისრებათ ძირითადი პასუხისმგებლობა, თავისი უნარისა და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში უზრუნველყონ ბავშვის განვითარებისათვის საჭირო ცხოვრების პირობები.

3. მონაწილე სახელმწიფოები, ეროვნული პირობების შესაბამისად და თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში, აუცილებელ ზომებს იღებენ იმისათვის, რათა დახმარება გაუწიონ მშობლებსა და ბავშვთა აღმზრდელ სხვა პირებს ამ უფლების განხორციელებაში, აუცილებლობის შემთხვევაში მატერიალურად ეხმარებიან და თანადგომას უწევენ პროგრამებს, უწინარესად საკვებით, ტანსაცმლითა და საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით.

4. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას ახორციელებენ იმისათვის, რათა უზრუნველყონ მშობლების, ან ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელ სხვა პირთა მიერ ბავშვის რჩენის აღდგენა, როგორც მონაწილე სახელმწიფოს შიგნით, ისე მის საზღვრებს გარეთ. კერძოდ, თუ ბავშვზე ფინანსურად პასუხისმგებელი პირი და ბავშვი ცხოვრობენ სხვადასხვა სახელმწიფოში, მონაწილე სახელმწიფოები ხელს უწყობენ საერთაშორისო ხელშეკრულებებთან შეერთებას ან ასეთი ხელშეკრულებების დადებას, აგრეთვე სხვა შესაბამისი შეთანხმებების მიღწევას.

### მუხლი 28

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს აქვს განათლების უფლება და თანაბარი შესაძლებლობების საფუძველზე ამ უფლების თანდათანობით განხორციელების მიზნით ისინი, კერძოდ:

ა) აწესებენ უფასო და სავალდებულო დაწყებით განათლებას;

ბ) ხელს უწყობენ როგორც ზოგადი, ისე პროფესიული საშუალო განათლების სხვადასხვა ფორმების განვითარებას, უზრუნველყოფენ ყველა ბავშვისათვის მათ ხელმისაწვდომობას და ღებულობენ ისეთ აუცილებელ ზომებს, როგორიცაა უფასო განათლების შემოღება და აუცილებლობის შემთხვევაში ფინანსური დახმარების გაწევა;

გ) ყველა აუცილებელი საშუალების გამოყენებით უზრუნველყოფენ უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობას ყველასათვის თითოეულის უნარის შესატყვისად;

დ) უზრუნველყოფენ განათლებისა და პროფესიული მომზადების სფეროში ინფორმაციისა და მასალების ხელმისაწვდომობას ყველა ბავშვისათვის;

ე) ღებულობენ ზომებს სკოლებში რეგულარული დასწრების ხელშესაწყობად და სკოლიდან გამოთესილ მოსწავლეთა რიცხვის შესამცირებლად.

2. მონაწილე სახელმწიფოები ყველა აუცილებელ ზომას მიმართავენ, რათა უზრუნველყონ სასკოლო დისციპლინის დაცვა იმ მეთოდებით, რომლებიც ბავშვის ადამიანური ღირსების პატივისცემასა და წინამდებარე კონვენციას ეფუძნება.

3. მონაწილე სახელმწიფოები ახალისებენ და ავითარებენ საერთაშორისო თანამშრომლობას იმ საკითხებში, რომლებიც ეხება განათლებას, კერძოდ, მთელ მსოფლიოში უმეცრებისა და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციისა და სამეცნიერო-ტექნიკური ცოდნისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების მისაწვდომობის ხელშეწყობის მიზნით. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს განვითარებადი ქვეყნების საჭიროებებს.

### მუხლი 29

1. მონაწილე სახელმწიფოები ეთანხმებიან იმას, რომ ბავშვის განათლება მიმართული უნდა იყოს:

ა) ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრული განვითარებისაკენ;

ბ) ბავშვისათვის ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში განცხადებული პრინციპებისადმი პატივისცემის გაღვივებისაკენ;

გ) ბავშვისათვის თავისი მშობლებისადმი, თავისი კულტურული თვითმყოფადობის, ენის და ფასეუ-

ლობების პატივისცემის ჩანერგვისაკენ; ბავშვის აღზრდისაკენ იმ ქვეყნის ეროვნული ფასეულობებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით, რომელშიც ის ცხოვრობს, ასევე იმ ქვეყნისა, საიდანაც იგი არის წარმოშობით; ბავშვის პატივისცემის გაღვივებისაკენ მისი საკუთარი ცივილიზაციისაგან განსხვავებული ცივილიზაციისადმი;

დ) თავისუფალ საზოგადოებაში ურთიერთგაგების, მშვიდობის, შემწყნარებლობის, ქალისა და მამაკაცის, ყველა ხალხის, ეთნიკური, ეროვნული და რელიგიური ჯგუფების, მათ შორის მკვიდრი მოსახლეობის წარმომადგენელთა მიმართ თანასწორობისა და მეგობრობის სულისკვეთებით ბავშვის შეგნებული ცხოვრებისათვის მომზადებისაკენ;

ე) გარემოსადმი პატივისცემის სულისკვეთებით ბავშვის აღზრდისაკენ.

2. წინამდებარე ან 28-ე მუხლის არც ერთი ნაწილი არ ზღუდავს ცალკეული პირებისა და ორგანოების თავისუფლებას, შექმნან სასწავლო დაწესებულებები და უხელმძღვანელონ მათ წინამდებარე მუხლის პირველ პუნქტში მოცემული პრინციპების მუდმივი დაცვისა და იმ მოთხოვნის გათვალისწინებით, რომ ასეთ სასწავლო დაწესებულებებში მიღებული განათლება შეესაბამებოდეს სახელმწიფოს მიერ დადგენილ მინიმალურ ნორმებს.

### მუხლი 30

იმ სახელმწიფოებში, სადაც არსებობენ ეთნიკური, რელიგიური ან ენობრივი უმცირესობები ან პირები, რომლებიც მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნებიან, ბავშვს, რომელიც ასეთ უმცირესობას ან მკვიდრ მოსახლეობას მიეკუთვნება, არ შეიძლება უარი ეთქვას უფლებაზე, რომ თავისი ჯგუფის სხვა წევრებთან ერთად ეზიაროს საკუთარ კულტურას, აღიაროს თავისი რელიგია და შეასრულოს მისი წეს-ჩვეულებები, აგრეთვე გამოიყენოს მშობლიური ენა.

### მუხლი 31

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ, რომ ბავშვს გააჩნია დასვენებისა და თავისუფალი დროის ქონის უფლება, მისი ასაკისათვის შესაფერის თამაშობებსა და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება, აგრეთვე უფლება, თავისუფლად მონაწილეობდეს კულტურულ ცხოვრებაში, ეზიაროს ხელოვნებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და ახალისებენ ბავშვის უფლებას, ყოველმხრივი მონაწილეობა მიიღოს კულტურულ და შემოქმედებით ცხოვრებაში, ხელს უწყობენ მისთვის სათანადო და თანასწორი შესაძლებლობების შექმნას კულტურული და შემოქმედებითი საქმიანობისათვის, თავისუფალი დროით სარგებლობისა და დასვენებისათვის.

### მუხლი 32

1. მონაწილე სახელმწიფოები აღიარებენ ბავშვის უფლებას, დაცული იყოს ეკონომიკური ექსპლუატაციისა და ნებისმიერი ისეთი სამუშაოს შესრულებისაგან, რომელიც შეიძლება ემუქრებოდეს მის ჯანმრთელობას და ხელს უშლიდეს განათლების მიღებაში, ან ზიანს აყენებდეს მის ჯანმრთელობას, ფიზიკურ, გონებრივ, სულიერ, მორალურ და სოციალურ განვითარებას.

2. მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და სოციალურ ზომებს, ატარებენ ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა განხორციელდეს წინამდებარე მუხლი. ამ მიზნით, ხელმძღვანელობენ რა სხვა საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებებით, მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ:

ა) ადგენენ სამუშაოზე მიღების მინიმალურ ასაკს ან მინიმალურ ასაკებს;

ბ) განსაზღვრავენ სამუშაო დღის ხანგრძლივობასა და შრომის პირობებთან დაკავშირებულ აუცილებელ მოთხოვნებს;

გ) ითვალისწინებენ სასჯელის შესაბამის სახეობებს ან სხვა სანქციებს წინამდებარე მუხლის ეფექტური განხორციელების უზრუნველსაყოფად.

### მუხლი 33

მონაწილე სახელმწიფოები ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და სოციალური ზომების ჩათვლით, აგრეთვე ღონისძიებებს განათლების სფეროში, რათა დაიცვან ბავშვები შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრული ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ხმარებისაგან და არ დაუშვან ბავშვების გამოყენება ამ ნივთიერებათა კანონსაწინააღმდეგო წარმოებაში ან ვაჭრობაში.

### მუხლი 34

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ, დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისაგან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, ორმხრივ და მრავალმხრივ ეროვნულ დონეებზე ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ:

ა) ბავშვის დაყოლიება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ ქმედებაზე ან ბავშვის იძულება, მონაწილეობდეს ასეთ ქმედებაში;

ბ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში;

გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში.

### მუხლი 35

მონაწილე სახელმწიფოები ეროვნულ, ორმხრივ და მრავალმხრივ დონეებზე ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ ბავშვთა მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნებით და ნებისმიერი ფორმით.

### მუხლი 36

მონაწილე სახელმწიფოები ბავშვს იცავენ ექსპლუატაციის ყველა სხვა ფორმისაგან, რომელიც ზიანს აყენებს ბავშვის კეთილდღეობის ნებისმიერ ასპექტს.

### მუხლი 37

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ:

ა) არც ერთი ბავშვი არ იყოს წამების, საერთოდ, სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის მსხვერპლი. არც სიკვდილით დასჯა, არც მუდმივი პატიმრობა, რომელიც არ ითვალისწინებს განთავისუფლების შესაძლებლობას, არ შეიძლება შეეფარდოს 18 წლამდე ასაკის პირთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს;

ბ) არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ ან თვითნებურად. ბავშვის დაპატიმრება, დაკავება ან ციხეში მოთავსება ხორციელდება კანონის თანახმად და განიხილება, როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში.

გ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ეპყრობოდნენ ჰუმანურად და პიროვნების განუყრელი ღირსების პატივისცემით, ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებები. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა განცალკევდეს უფროსებისაგან, თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის ამის გაკეთება არ არის საჭირო; ბავშვს ჰქონდეს უფლება, კავშირი იქონიოს თავის ოჯახთან მიმოწერის ან შეხვედრების ფორმით, განსაკუთრებულ გარემოებათა გამოკლებით;

დ) ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს ჰქონდეს უფლება, დაუყონებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, აგრეთვე უფლება, გააპროტესტოს მისი თავისუფლების

ალკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყონებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური ქმედების თაობაზე.

### მუხლი 38

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, პატივი სცენ შეიარაღებული კონფლიქტების დროს მათ მიმართ ძალის მქონე საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის ბავშვებთან დაკავშირებულ ნორმებს და უზრუნველყონ მათი დაცვა.
2. მონაწილე სახელმწიფოები იღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა უზრუნველყონ, რომ 15 წელს მიუღწეველი პირები პირდაპირ არ მონაწილეობდნენ სამხედრო მოქმედებებში.
3. მონაწილე სახელმწიფოები თავს იკავებენ თავიანთ შეიარაღებულ ძალებში ყველა იმ პირის გაწვევისაგან, რომელთაც არ მიუღწევიათ 15 წლის ასაკისათვის. 15 წელს გადაცილებულ იმ პირთა გაწვევისას, რომელთაც ჯერ არ შესრულებიათ 18 წელი, მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ შეარჩიონ უფრო ასაკოვანი პირები.
4. შეიარაღებული კონფლიქტების დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვასთან დაკავშირებული საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წინაშე თავისი ვალდებულებების შესაბამისად, მონაწილე სახელმწიფოები მოვალენი არიან მიიღონ ყველა აუცილებელი ზომა შეიარაღებულ კონფლიქტებში მოხვედრილ ბავშვთა დაცვისა და მოვლა-პატრონობის უზრუნველსაყოფად.

### მუხლი 39

მონაწილე სახელმწიფოები ყველა ზომას იღებენ, რათა ხელი შეუწყონ იმ ბავშვის ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ გაჯანსაღებას და სოციალურ რეინტეგრაციას, რომელიც ნებისმიერი სახის უგულებელყოფის, ექსპლუატაციის ან ბოროტად გამოყენების, წამების, სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის, სასჯელის ან შეიარაღებული კონფლიქტის მსხვერპლია. ასეთი გაჯანსაღება და რეინტეგრაცია უნდა ხორციელდებოდეს ბავშვის ჯანმრთელობის, საკუთარი თავის პატივისცემისა და ღირსების გრძნობის შენარჩუნების უზრუნველმყოფ პირობებში.

### მუხლი 40

1. მონაწილე სახელმწიფოები ცნობენ ყოველი ბავშვის უფლებას, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, რომ მისდამი მოპყრობა ხელს უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას, განუმტკიცებდეს მას ადამიანის უფლებებისადმი და სხვათა ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას, ითვალისწინებდეს ბავშვის ასაკს და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის სასურველობას.
2. ამ მიზნით და საერთაშორისო დოკუმენტების შესაბამისი დებულებების გათვალისწინებით მონაწილე სახელმწიფოები, კერძოდ, უზრუნველყოფენ, რომ:

ა) არც ერთი ბავშვი არ ითვლებოდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად, მას ბრალად არ დაედოს მისი დარღვევა და ის არ იქნეს აღიარებული დამნაშავედ იმ ქმედების ან არქმედების მიზეზით, რომლებიც მათი ჩადენის დროს არ იყო აკრძალული ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით;

ბ) ყოველ ბავშვს, რომელმაც, როგორც თვლიან, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალი ედება მის დარღვევაში, ჰქონდეს, სულ ცოტა, შემდეგი გარანტიები:

I) უდანაშაულობის პრეზუმპცია, სანამ მისი დანაშაული არ იქნება დამტკიცებული კანონის შესაბამისად;

II) მისი დაუყოვნებელი და უშუალო ინფორმირება - აუცილებლობის შემთხვევაში კი ინფორმირება მშობლების ან კანონიერი მეურვეების მეშვეობით - მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ და სამართლებრივი ან სხვა აუცილებელი დახმარების მიღება თავისი დაცვის მომზადებისა და განხორციელებისათვის;

III) კომპეტენტური, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებული ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ სამართლიანი განხილვის შედეგად განსახილველ საკითხზე დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღება კანონის თანახმად, ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის თანდასწრებით და, თუკი ეს არ ეწინააღმდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს, მისი ასაკის ან მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინებით;

IV) იმისაკენ მიმართული ძალდატანებისაგან თავისუფლება, რომ ბავშვმა მოწმის სახით მისცეს ჩვენება ან აღიაროს დანაშაული; ბრალდების მოწმეთა ჩვენებების შესწავლა ან დამოუკიდებლად, ან სხვა პირთა დახმარებით და დაცვის მოწმეთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობისა და მათი ჩვენებების შესწავლის უზრუნველყოფა;

V) თუ ითვლება, რომ ბავშვმა დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ზემდგომი კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებული ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ კანონის თანახმად შესაბამისი გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებით მიღებული ნებისმიერი ღონისძიების ხელახალი განხილვა;

VI) თარჯიმნის უფასო დახმარება, თუ ბავშვს არ ესმის გამოყენებული ენა ან ვერ ლაპარაკობს ამ ენაზე;

VII) მისი პირადი ცხოვრების სრული პატივისცემა საქმის გარჩევის ყველა სტადიაზე.

3. მონაწილე სახელმწიფოები ცდილობენ ხელი შეუწყონ იმ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულების მქონე კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებას, რომლებმაც, როგორც ითვლება, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად და, კერძოდ:

ა) მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის მიღწევამდეც, როგორც ითვლება, ბავშვებს არა აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი;

ბ) როცა ეს აუცილებელი და სასურველია, ასეთი ბავშვების მიმართ ზომების მიღებას სასამართლო განხილვის გარეშე, ადამიანის უფლებათა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვით;

4. აუცილებელია ისეთი სხვადასხვაგვარი ღონისძიებები, როგორიცაა მოვლა, მეურვეობისა და მეთვალყურეობის დებულება, საკონსულტაციო მომსახურება, გამოსაცდელი ვადის დანიშვნა, აღზრდა, სწავლებისა და პროფესიული მომზადების პროგრამები და მოვლის ისეთი ფორმები, რომლებიც დაწესებულებებში მოვლას შეიძლება შეენაცვლოს. ამ ღონისძიებათა მიზანია ბავშვისადმი იმგვარი მოპყრობის უზრუნველყოფა, როგორიც შეესაბამება ბავშვის კეთილდღეობის ინტერესებს, აგრეთვე მის მდგომარეობას და დანაშაულის ხასიათს.

### მუხლი 41

წინამდებარე კონვენცია არ აბრკოლებს იმგვარ დებულებათა განხორციელებას, რომლებიც ყველაზე მეტად უწყობს ხელს ბავშვის უფლებათა რეალიზაციას და შეიძლება დაფიქსირებული იყოს:

ა) მონაწილე სახელმწიფოს კანონში;

ან

ბ) მოცემული სახელმწიფოს მიმართ მოქმედი საერთაშორისო სამართლის ნორმებში.

# ნაწილი II

### მუხლი 42

მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, სათანადო და ქმედითი საშუალებების გამოყენებით ფართო ინფორმაცია მიაწოდონ როგორც მოზრდილებს, ასევე ბავშვებს კონვენციის პრინციპებისა და დებულებების თაობაზე.

### მუხლი 43

1. მონაწილე სახელმწიფოების მიერ წინამდებარე კონვენციის შესაბამისად აღებული ვალდებულებების შესრულებაში მიღწეული პროგრესის განხილვის მიზნით ფუძნდება ბავშვის უფლებების კომიტეტი, რომელიც ასრულებს ქვემოთ მითითებულ ფუნქციებს.
2. კომიტეტი შედგება თვრამეტი ექსპერტისაგან, რომლებსაც აქვთ მაღალი ზნეობრივი თვისებები და კომპეტენტურად არიან აღიარებულნი წინამდებარე კონვენციით მოცულ სფეროში. კომიტეტის წევრებს ირჩევენ მონაწილე სახელმწიფოები თავიანთ მოქალაქეთა შორის და ისინი წარმოდგენილნი არიან დამოუკიდებელ პიროვნებათა სტატუსით, ამასთან, ყურადღება მახვილდება სამართლიან გეოგრაფიულ განაწილებაზე, აგრეთვე ძირითად სამართლებრივ სისტემებზე.
3. კომიტეტის წევრები აირჩევიან მონაწილე სახელმწიფოების მიერ წამოყენებულ, სიაში შეტანილ პირთაგან ფარული კენჭისყრით. ყოველ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წამოაყენოს ერთი პირი თავისი მოქალაქეებიდან.
4. კომიტეტში პირველი არჩევნები ტარდება წინამდებარე კონვენციის ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს ექვსი თვისა, შემდგომ კი - ორ წელიწადში ერთხელ. ყოველ არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე მაინც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი მონაწილე სახელმწიფოებს მიმართავს წერილით და სთავაზობს მათ წამოაყენონ თავიანთი კანდიდატურები ორი თვის ვადაში. შემდეგ გენერალური მდივანი ანბანის რიგის მიხედვით ადგენს ამგვარად დასახელებული ყველა კანდიდატის სიას, მიუთითებს რა მონაწილე სახელმწიფოებს, რომლებმაც წამოაყენეს ეს პირები, და ამ სიას წარუდგენს წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოებს.
5. არჩევნები ტარდება მონაწილე სახელმწიფოთა თათბირზე, რომელიც მოიწვევა გენერალური მდივნის მიერ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში. ამ თათბირზე, სადაც მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედი ქმნის ქვორუმს, კომიტეტის შემადგენლობაში არჩეულად ჩაითვლებიან ის კანდიდატები, რომლებიც მიიღებენ დამსწრე და ხმის მიცემაში მონაწილე სახელმწიფოთა წარმომადგენლების ხმათა აბსოლუტურ უმრავლესობას.
6. კომიტეტის წევრები აირჩევიან ოთხწლიანი ვადით. მათ აქვთ უფლება, ხელახლა იქნენ არჩეული მათი კანდიდატურების განმეორებით დასახელების შემთხვევაში. პირველ არჩევნებში არჩეული ხუთი წევრის უფლებამოსილების ვადა მთავრდება ორწლიანი პერიოდის ბოლოს; პირველი არჩევნებისთანავე ამ ხუთ წევრს წილისყრით განსაზღვრავს თათბირის თავმჯდომარე.
7. კომიტეტის რომელიმე წევრის სიკვდილის ან გადადგომის შემთხვევაში, ან თუ მას რაიმე მიზეზით აღარ შეუძლია შეასრულოს კომიტეტის წევრის მოვალეობები, ამ წევრის წამომყენებელი მონაწილე სახელმწიფო თავის მოქალაქეთაგან დარჩენილი ვადისათვის ნიშნავს სხვა ექსპერტს, კომიტეტის მიერ მისი მოწონების შემთხვევაში.
8. კომიტეტი ადგენს პროცედურის საკუთარ წესებს.
9. კომიტეტი თავის თანამდებობის პირებს ირჩევს ორი წლის ვადით.
10. კომიტეტის სესიები, როგორც წესი, ტარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ცენტრალურ დაწესებულებებში ან კომიტეტის მიერ განსაზღვრულ ნებისმიერ სხვა შესაფერის ადგილას. კომიტეტი, როგორც წესი, თავის სესიებს ატარებს ყოველწლიურად. კომიტეტის სესიების ხანგრძლივობა განისაზღვრება და აუცილებლობის შემთხვევაში იცვლება წინამდებარე კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა თათბირზე გენერალური ასამბლეის თანხმობით.

11. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი გამოყოფს აუცილებელ პერსონალსა და მატერიალურ საშუალებებს, რათა კომიტეტმა, წინამდებარე კონვენციის შესაბამისად, ეფექტურად განახორციელოს თავისი ფუნქციები.

12. წინამდებარე კონვენციის შესაბამისად დაფუძნებული კომიტეტის წევრები გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახსრებიდან ღებულობენ გენერალური ასამბლეის მიერ დაწესებულ ანაზღაურებას გენერალური ასამბლეის მიერ დადგენილი წესითა და პირობებით.

**მუხლი 44**

1. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულებას იღებენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის მეშვეობით კომიტეტს წარუდგინონ მოხსენებები მათ მიერ მიღებული ზომების შესახებ კონვენციით განმტკიცებულ უფლებათა დამკვიდრებისა და ამ სფეროში მიღწეულ პროგრესთან დაკავშირებით:

ა) მონაწილე სახელმწიფოსათვის კონვენციის ძალაში შესვლიდან ორი წლის ვადაში;

ბ) ყოველ მომდევნო ხუთ წელიწადში;

2. წინამდებარე მუხლის მიხედვით წარდგენილ მოხსენებებში მითითებულია ფაქტორები და სირთულეები, თუკი ასეთი არსებობს, რომლებიც ზემოქმედებს ამ კონვენციის ვალდებულებათა შესრულების ხარისხზე. მოხსენებები აგრეთვე შეიცავს საკმარის ინფორმაციას იმისათვის, რათა კომიტეტისათვის სრულიად გასაგები იყოს, როგორ მოქმედებს კონვენცია მოცემულ ქვეყანაში.

3. მონაწილე სახელმწიფოს, რომელიც კომიტეტს წარუდგენს ყოვლისმომცველ პირველად მოხსენებას, არ სჭირდება წინამდებარე მუხლის 1ბ პუნქტის მიხედვით წარდგენილ შემდგომ მოხსენებებში გაიმეოროს ადრე გადმოცემული ძირითადი ინფორმაცია.

4. კომიტეტს შეუძლია მონაწილე სახელმწიფოს მოსთხოვოს დამატებითი ინფორმაცია, რომელიც ეხება წინამდებარე კონვენციის განხორციელებას.

5. მოხსენებები კომიტეტის საქმიანობის შესახებ ეკონომიკური და სოციალური საბჭოს მეშვეობით ორ წელიწადში ერთხელ წარედგინება გენერალურ ასამბლეას.

6. მონაწილე სახელმწიფოები საკუთარ ქვეყნებში უზრუნველყოფენ თავიანთი მოხსენებების ფართო საჯაროობას.

**მუხლი 45**

კონვენციის განხორციელებისათვის ეფექტური ხელშეწყობისა და წინამდებარე კონვენციით მოცულ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის წახალისების მიზნით:

ა) სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს უფლება აქვთ წარმოდგენილნი იყვნენ წინამდებარე კონვენციის ისეთი დებულებების განხორციელების შესახებ საკითხთა განხილვაში, რომლებიც მათ უფლებამოსილებაში შედის. მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებს შესთავაზოს, წარმოადგინონ ექსპერტთა დასკვნა კონვენციის განხორციელების თაობაზე იმ სფეროებში, რომლებიც შედის მათი შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში. კომიტეტს შეუძლია სპეციალიზებულ დაწესებულებებს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხვა ორგანოებს სთხოვოს, წარმოადგინონ მოხსენებები კონვენციის განხორციელების შესახებ იმ დარგებში, რომლებიც მათი საქმიანობის სფეროში შედის;

ბ) მიზანშეწონილად მიჩნევის შემთხვევაში კომიტეტი სპეციალიზებულ დაწესებულებებში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბავშვთა ფონდსა და სხვა კომპეტენტურ ორგანოებში გადაგზავნის მონაწილე სახელმწიფოების ნებისმიერ მოხსენებას, რომელიც შეიცავს თხოვნას ტექნი-

კური კონსულტაციის ან დახმარების შესახებ, ან მიუთითებს მის საჭიროებაზე, აგრეთვე კომიტე-ტის შენიშვნებსა და წინადადებებს მსგავსი თხოვნისა და მითითებების თაობაზე.

გ) კომიტეტს შეუძლია რეკომენდაცია გაუწიოს გენერალურ ასამბლეას, წინადადება მისცეს გენერალურ მდივანს, რათა მან ასამბლეის სახელით ჩაატაროს კვლევა ცალკული საკითხების შესასწავლად, რომლებიც ბავშვთა უფლებებს ეხება.

დ) კომიტეტს შეუძლია წარადგინოს წინამდებარე კონვენციის 44-ე და 45-ე მუხლების შესაბამისად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობილი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები. ასეთი ზოგადი ხასიათის წინადადებები და რეკომენდაციები ეგზავნება ნებისმიერ დაინტერესებულ მონაწილე სახელმწიფოს და ეცნობება გენერალურ ასამბლეას მონაწილე სახელმწიფოთა შენიშვნებთან ერთად, თუკი ასეთი რამ არსებობს.

## ნაწილი III.

### მუხლი 46.

წინამდებარე კონვენცია ღიაა ყველა სახელმწიფოს მიერ ხელმოსაწერად.

### მუხლი 47

წინამდებარე კონვენცია ექვემდებარება რატიფიკაციას. სარატიფიკაციო სიგელები შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

### მუხლი 48.

წინამდებარე კონვენცია ღიაა მასთან ნებისმიერი სახელმწიფოს შეერთებისათვის. დოკუმენტები შეერთების შესახებ ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

### მუხლი 49.

1. წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.
2. ყოველი სახელმწიფოსათვის, რომელიც წინამდებარე კონვენციის რატიფიცირებას მოახდენს ან მას შეუერთდება მეოცე სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარების შემდეგ, წინამდებარე კონვენცია ძალაში შედის ასეთი სახელმწიფოს მიერ მისი სარატიფიკაციო სიგელის ან შეერთების შესახებ დოკუმენტის შესანახად ჩაბარებიდან ოცდამეათე დღეს.

### მუხლი 50.

1. ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია შესწორების შეთავაზება და წარდგენა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის. ამის შემდეგ გენერალური მდივანი შესწორებას წარუდგენს მონაწილე სახელმწიფოებს თხოვნით - მიუთითონ, მხარს უჭერენ თუ არა ამ წინადადების განსახილველად და კენჭის საყრელად მონაწილე სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევას. თუ ასეთი შეტყობინების მიღებიდან ოთხი თვის განმავლობაში მონაწილე სახელმწიფოების თუნდაც ერთი მესამედი მაინც მხარს დაუჭერს ასეთ კონფერენციას, გენერალური მდივანი იწვევს ამ კონფერენციას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეგიდით. ამ კონფერენ-

ციაზე დამსწრე და კენჭისყრაში მონაწილე სახელმწიფოთა უმრავლესობის მიერ მიღებული შესწორება დასამტკიცებლად წარედგინება გენერალურ ასამბლეას.

2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად მიღებული შესწორება ძალაში შედის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მიერ მისი დამტკიცებისა და მონაწილე სახელმწიფოთა ორი მესამედის მომცველი უმრავლესობის მიერ მისი მიღების შემდეგ.
3. შესწორება ძალაში შესვლისთანავე ხდება სავალდებულო იმ მონაწილე სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც იგი მიიღეს, სხვა მონაწილე სახელმწიფოებისათვის კი სავალდებულო რჩება წინამდებარე კონვენციის დებულებები და ნებისმიერი წინა შესწორება, რომელიც მათ მიერ არის მიღებული.

**მუხლი 51.**

1. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ღებულობს და ყველა სახელმწიფოს უგზავნის რატიფიკაციის ან შეერთების მომენტში სახელმწიფოს მიერ გაკეთებული შენიშვნების ტექსტს.
2. არ დაიშვება შენიშვნა, რომელიც შეუთავსებელია წინამდებარე კონვენციის მიზნებთან და ამოცანებთან.
3. შენიშვნების მოხსნა შესაძლებელია ნებისმიერ დროს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის შესაბამისი შეტყობინების გაგზავნის გზით, რომელიც შემდეგ ამის თაობაზე აცნობებს ყველა სახელმწიფოს. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ მისი მიღების დღიდან.

**მუხლი 52.**

ნებისმიერ მონაწილე სახელმწიფოს შეუძლია წინამდებარე კონვენციის დენონსირება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნისათვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით. დენონსირება ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეტყობინების მიღებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ.

**მუხლი 53.**

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ინიშნება წინამდებარე კონვენციის დეპოზიტარად.

**მუხლი 54.**

წინამდებარე კონვენციის დედანი, რომლის ინგლისური, არაბული, ესპანური, ჩინური, რუსული და ფრანგული ტექსტები თანაბრად ავთენტიკურია, შესანახად ბარდება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს.

რის დასამოწმებლადაც ქვემორე ხელისმომწერნი, თავიანთი შესაბამისი მთავრობების მიერ სათანადო რწმუნებით აღჭურვილი სრულუფლებიანი წარმომადგენლები, ხელს აწერენ წინამდებარე კონვენციას.

# გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილ დანაშაულთან დაკავშირებით (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები)*

## I. ძირითადი პრინციპები

1. არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთა წარმოადგენს საზოგადოებაში დანაშაულის აღკვეთის მნიშვნელოვან ნაწილს. კანონიერ, სოციალურად სასარგებლო საქმიანობაში ჩაბმით და საზოგადოებისადმი, ისევე როგორც ცხოვრებისადმი ჰუმანური ორიენტაციით გამსჭვალვით, ახალგაზრდა პირებს შეუძლიათ განივითარონ არადანაშაულებრივი მიდგომები.

2. არასრულწლოვანთა დანაშაულის წარმატებით აღკვეთა მოითხოვს მცდელობების განხორციელებას მთლიანად საზოგადოებისაგან, რათა უზრუნველყოფილ იქნეს მოზარდთა ჰარმონიული განვითარება, ბავშვობიდანვე მათში პიროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობის გზით.

3. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების განმარტების მიზნით, ბავშვობაზე ფოკუსირებული მიდგომა უნდა განხორციელდეს. ახალგაზრდა პირებმა უნდა ითამაშონ აქტიური როლი და გახდნენ პარტნიორები საზოგადოებაში და არა მიჩნეულ იქნენ მხოლოდ სოციალიზაციის და კონტროლის ობიექტებად.

4. ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების განხორციელებისას ნებისმიერი ალმკვეთი პროგრამის ფოკუსირება უნდა მოხდეს ახალგაზრდა პირების კეთილდღეობაზე ბავშვობიდანვე.

5. დანაშაულის პროგრესულად პრევენციის პოლიტიკისა და შესაბამისი ღონისძიებების სისტემის შემუშავების საჭიროება და მნიშვნელობა უნდა იქნეს აღიარებული. ხსენებულის დროს აცილებულ უნდა იქნეს თავიდან ბავშვის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა და მისი დასჯა იმ საქციელისათვის, რომელიც არ აყენებს სერიოზულ ზიანს ბავშვის განვითარებას ან სხვებს. ასეთი პოლიტიკის წარმართვა და ღონისძიებები უნდა მოიცავდეს შემდეგს:

   ა) ისეთი შესაძლებლობების უზრუნველყოფა, კერძოდ კი საგანმანათლებლო შესაძლებლობები, რომლებიც მიმართულია იქითკენ, რომ დაკმაყოფილებულ იქნეს ახალგაზრდა პირების განსხვავებული საჭიროებები და გამოყენებულ იქნეს როგორც მხარდასაჭერი ინსტრუმენტი ახალგაზრდა პირების პირადი განვითარებისათვის, განსაკუთრებით კი იმ ახალგაზრდა პირების, რომლებიც აშკარად საფრთხეში არიან ან ემუქრებათ სოციალური საფრთხე და ესაჭიროებათ სპეციალური ზრუნვა ან დაცვა;

   ბ) სპეციალური დოქტრინა და მიდგომები უნდა იქნეს შემუშავებული დანაშაულის აღსაკვეთად, რაც უნდა განხორციელდეს კანონმდებლობის, პროცესების, დაწესებულებების, შესაბამისი საშუალებებისა და მომსახურების სისტემის საფუძველზე და ყოველივე ზემოხსენებულის მიზანს უნდა წარმოადგენდეს მოტივაციის შესუსტება, საჭიროება და შესაძლებლობა, ან პირობები, რომლებიც ბიძგს აძლევს სამართალდარღვევის ჩადენას;

   გ) ოფიციალური ჩარევა უნდა განხორციელდეს უწინარესად ახალგაზრდა პირის საერთო ინტერესებიდან გამომდინარე და წარიმართოს სამართლიანად და თანასწორ პირობებში;

   დ) ახალგაზრდა პირების კეთილდღეობის, განვითარების, უფლებებისა და ინტერესების დაცვა;

   ე) იმის გათვალისწინება, რომ ახალგაზრდული ქმედებები ან საქციელი, რომლებიც არ შეესაბამება ყველა სოციალურ ნორმას და ღირებულებას, ხშირად წარმოადგენს განვითარებისა და ზრდის პროცესის ნაწილს და სპონტანურად უჩინარდება უმეტეს პირებში ზრდასრული ასაკის მიღწევისას;

---

* მიღებულია გენერალური ასამბლეის 1990 წლის 14 დეკემბრის45/112 რეზოლუციით.

ვ) ცნობიერების ამაღლება იმასთან დაკავშირებით, რომ ექსპერტების მოსაზრებით, ახალგაზრდა პირისათვის ისეთი დამღის მიკერება, როგორებიცაა „ნორმების დამრღვევი“, „დამნაშავე“ ან „პოტენციური დამნაშავე“, ხშირად ხელს უწყობს ახალგაზრდა პირების მიერ არასასურველი საქციელის განმეორებას.

6. საზოგადოებრივი სამსახურები და პროგრამები უნდა იქნეს განვითარებული არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთის მიზნით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სპეციალური სააგენტოები და ორგანოები არ ყოფილა შექმნილი. სოციალური კონტროლის ფორმალური სააგენტოები გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ, როგორც მიმართვის საბოლოო საშუალება.

## II. სახელმძღვანელო პრინციპების მოქმედების სფერო

7. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები განმარტებულ და განხორციელებულ უნდა იქნეს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა საერთაშორისო პაქტის, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის, ბავშვის უფლებათა დეკლარაციისა და ბავშვის უფლებათა კონვენციის ფართო ჩარჩოებში და გაეროს სტანდარტული მინიმალური წესების კონტექსტში, რომელიც ეხება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელებას (პეკინის წესები), ისევე როგორც სხვა სამართლებრივი აქტებისა და ნორმების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება ბავშვებისა და ახალგაზრდა პირების უფლებებს, ინტერესებსა და კეთილდღეობას.

8. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპები განხორციელებულ უნდა იქნეს თითოეულ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების კონტექსტში.

## III. ზოგადი აღკვეთა

9. აღკვეთის ამომწურავი გეგმები უნდა იქნეს შემუშავებული მთავრობის ყველა დონეზე და ისინი უნდა მოიცავდეს:

ა) პრობლემის სიღრმისეულ ანალიზსა და ხელმისაწვდომი პროგრამების, სამსახურების, საშუალებებისა და რესურსების ჩამონათვალს;

ბ) კარგად გაწერილ პასუხისმგებლობებს კომპეტენტური სააგენტოების, დაწესებულებებისა და პერსონალისათვის, რომლებიც ჩაბმული არიან აღკვეთასთან დაკავშირებულ საქმიანობაში;

გ) მექანიზმებს აღკვეთასთან დაკავშირებული საქმიანობების კოორდინაციასთან მიმართებით სამთავრობო და არასამთავრობო სააგენტოებს შორის;

დ) პოლიტიკას, პროგრამებსა და სტრატეგიებს, რომლებიც დაფუძნებული იქნება პროგნოზულ კვლევაზე და მუდმივად მოხდება მათი მონიტორინგი და ჯეროვანი შეფასება განხორციელების პროცესში;

ე) დანაშაულებრივი აქტების ჩადენის შესაძლებლობის ეფექტიანი შემცირების მეთოდები;

ვ) საზოგადოების ჩართულობა მრავალმხრივი სამსახურებისა და პროგრამების მეშვეობით;

ზ) ცენტრალურ და სახელმწიფო მთავრობებთან, ადგილობრივ თვითმმართველობებსა და ადგილობრივ მთავრობებთან მჭიდრო დისციპლინათაშორისი თანამშრომლობა, რომელშიც მონაწილეობას ასევე მიიღებს კერძო სექტორი, საზოგადოების წარმომადგენელი მოქალაქეები, რომლებთან მიმართებითაც უნდა განხორციელდეს მომსახურება, შრომითი, ბავშვებზე მზრუნველი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული განათლების, სოციალური, სამართალდამცავი და მართლმსაჯულების ორგანოები, რომელთა მიზანიც იქნება კონცენტრირებული საქმიანობის განხორციელება არასრულწლოვანთა დანაშაულის აღკვეთასა და ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ჩადენის აღმოფხვრასთან დაკავშირებით;

თ) ახალგაზრდების მონაწილეობა დანაშაულის აღკვეთის პოლიტიკის შემუშავებასა და პროცესში, მათ შორის, საზოგადოებრივი თანხების ხარჯვაში, ახალგაზრდების მიერ საკუთარი პრობლემების გადაჭრასა და მსხვერპლთათვის ანაზღაურების გაცემაში, ისევე როგორც დახმარების პროგრამებში;

ი) კომპეტენტური პერსონალი ყველა დონეზე.

## IV. სოციალიზაციის პროცესი

10. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს აღმკვეთი ღონისძიებები, რომლებიც აადვილებს ყველა ბავშვისა და ახალგაზრდა პირის წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას, კერძოდ, ოჯახების, საზოგადოების, თანატოლების ჯგუფის, სკოლების, პროფესიული ტრენინგებისა და სამუშაოში ჩაბმის თვალსაზრისით, ისევე როგორც მოხალისე ორგანიზაციების საშუალებით. შესაბამისი ყურადღება უნდა გამახვილდეს ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაფერის პიროვნულ განვითარებაზე და ისინი მიჩნეულ უნდა იქნენ სრულყოფილ და თანასწორ პარტნიორებად სოციალიზაციისა და ინტეგრაციის პროცესში.

### ა. ოჯახი

11. ყოველმა საზოგადოებამ დიდი ყურადღება უნდა დაუთმოს ოჯახებისა და მათი წევრების საჭიროებებსა და კეთილდღეობას.

12. გამომდინარე იქიდან, რომ ოჯახი თამაშობს მთავარ როლს ბავშვების სოციალიზაციის პროცესში, მთავრობისა და საზოგადოების მცდელობა ოჯახის, მათ შორის, ოჯახის უფროსი თაობების, შენარჩუნებასთან დაკავშირებით უნდა განხორციელდეს. საზოგადოებას აკისრია პასუხისმგებლობა დახმარება გაუწიოს ოჯახს ბავშვის მოვლასა და დაცვაში, ისევე როგორც ბავშვის ფიზიკური და სულიერი კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. შესაბამისი ღონისძიებები უნდა იქნეს განხორციელებული, მათ შორის, დღის განმავლობაში ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით.

13. მთავრობებმა უნდა განახორციელონ ისეთი პოლიტიკა, რომელიც ხელს უწყობს ბავშვის აღზრდას სტაბილურ და წყნარ ოჯახურ გარემოში. ოჯახებს, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას არასტაბილური ან კონფლიქტური პირობების გადაჭრაში, უნდა გაეწიოთ შესაბამისი დახმარება.

14. როდესაც არ არსებობს სტაბილური ან წყნარი ოჯახური გარემო და საზოგადოების მცდელობა, დახმარება გაუწიოს ოჯახს ხსენებულთან დაკავშირებით, წარუმატებელი აღმოჩნდება, ხოლო ოჯახის უფროსი თაობის წევრებს არ შეუძლიათ შეასრულონ ხსენებული როლი, ალტერნატიული სამყოფელი, მათ შორის, გაშვილება და ბავშვზე მზრუნველობის განხორციელების შესაძლებლობა უნდა იქნეს განხილული. ხსენებული მაქსიმალურად უნდა უქმნიდეს ბავშვს სტაბილურ და წყნარ ოჯახურ გარემოს და ამავე დროს ბავშის მიერ შეჩვევასთან დაკავშირებული გრძნობის მხედველობაში მიღებით, თავიდან უნდა იქნეს აცილებული „გაშვილებასთან" დაკავშირებული პრობლემები.

15. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმ ოჯახების ბავშვებზე, რომლებსაც შეექმნათ პრობლემები სწრაფი და მოულოდნელი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცვლილებების გამო, კერძოდ კი, ადგილობრივ, მიგრანტ და ლტოლვილ ოჯახებს. გამომდინარე იქედან, რომ ასეთ ცვლილებებს შეუძლია დაარღვიოს ოჯახის უნარი განახორციელოს ბავშვის ტრადიციული აღზრდა და მოვლა-პატრონობა, რაც ხშირად ხდება კულტურული კონფლიქტის შედეგად, განხორციელებულ უნდა იქნეს ინოვაციური და სოციალურად კონსტრუქციული მეთოდები ბავშვების სოციალიზაციისათვის.

16. უნდა განხორციელდეს ღონისძიებები და უნდა განვითარდეს პროგრამები, რათა ოჯახებს მიეცეთ შესაძლებლობა აღიქვან ბავშვების განვითარებასა და მოვლასთან, შვილებსა და მშობლებს შორის დადებითი ურთიერთობების ჩამოყალიბებასთან, მშობლების მიერ ბავშვებისა და მოზარდების პრობლემებზე ყურადღების გამახვილებასთან, მათი ოჯახურ და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმის წახალისებასთან დაკავშირებით მშობლის როლისა და ვალდებულებების შესახებ.

17. მთავრობებმა უნდა გადადგან ნაბიჯები, რათა ხელი შეუწყონ ოჯახის ერთიანობასა და ჰარმონიას და ამავე დროს წინაღობები შეუქმნან მშობლებისაგან ბავშვების განცალკევებას, გარდა ისეთი შემთხვევებისა, როდესაც შექმნილი პირობები ზეგავლენას ახდენს ბავშვის კეთილდღეობასა და მომავლაზე და სხვაგვარ შესაძლო გამოსავალს არ იძლევა.

18. მნიშვნელოვანი ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ოჯახისა და ოჯახის დიდი წევრების სოციალიზაციის ფუნქცია; ასევე თანაბრად მნიშვნელოვანია მომავალი როლის, პასუხისმგებლობების, საზოგადოებაში ახალგაზრდა პირების მონაწილეობა და პარტნიორობა.

19. ჯეროვანი სოციალიზაციისას ბავშვის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, მთავრობები და სხვა შესაბამისი ორგანოები უნდა დაეყრდნონ არსებულ სოციალურ და სამართლებრივ ორგანოებზე, მაგრამ, მაშინ როდესაც ტრადიციული ინსტიტუტები და ჩვეულებები აღარ არის ეფექტიანი, მათ ასევე უნდა უზრუნველყონ და ნება დართონ ინოვაციური ღონისძიებების განხორციელება.

### ბ. განათლება

20. მთავრობებს აკისრიათ ვალდებულება ყველა ახალგაზრდასათვის ხელმისაწვდომი გახადონ საჯარო განათლება.

21. საგანმანათლებლო სისტემები აკადემიური და პროფესიული განათლების ღონისძიებების გარდა, განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა უთმობდნენ შემდეგ საკითხებს:

    ა) ძირითადი ფასეულობების სწავლებასა და ბავშვის კულტურული თვითმყოფადობისა და სახეობის განვითარებასა და პატივისცემას იმ ქვეყნის სოციალური ფასეულობების შესაბამისად, რომელშიც ბავშვი ცხოვრობს, ასევე იმ ცივილიზაციების გათვალისწინებით, რომლებიც ბავშვის ცივილიზაციისაგან განსხვავდება და ასევე ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების მხედველობაში მიღებით;

    ბ) პიროვნების განვითარება და პიროვნებად ჩამოყალიბებისათვის ხელშეწყობა, ახალგაზრდა პირების ტალანტების, სულიერი და ფიზიკური შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენას;

    გ) საგანმანათლებლო პროცესში ახალგაზრდა პირების აქტიურად და ეფექტიანად, და არა როგორც მხოლოდ ობიექტის, ჩართვა;

    დ) ღონისძიებების განხორციელება, რომლებიც აღვივებს თვითმყოფადობის გრძნობას სკოლის თუ საზოგადოებისადმი კუთვნილებასთან დაკავშირებით;

    ე) ახალგაზრდა პირების წახალისება, რათა მათ შეიგნონ და პატივი სცენ განსხვავებულ მოსაზრებებსა და შეხედულებებს, ისევე როგორც კულტურულ და სხვაგვარ განსხვავებებს;

    ვ) ინფორმაციისა და მითითებების უზრუნველყოფა პროფესიულ ტრენინგებთან, სამუშაოებისა და კარიერის განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

    ზ) პოზიტიური ემოციური მხარდაჭერის აღმოჩენა ახალგაზრდა პირებისათვის და არასწორი ფსიქოლოგიური მოპყრობის თავიდან აცილება;

    თ) მკაცრი დისციპლინური ღონისძიებების, კერძოდ კი, სხეულებრივი სასჯელის თავიდან აცილება;

22. საგანმანათლებლო სისტემები მიმართული უნდა იყოს იქითკენ, რომ თანამშრომლობა განხორციელდეს მშობლებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და ორგანოებთან ერთად, რომლებიც დაკავებული არიან ახალგაზრდა პირებით.

23. ახალგაზრდა პირები და მათი ოჯახები ინფორმირებულ უნდა იქნენ არსებული კანონმდებლობისა და მათი უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, ისევე როგორც ზოგადი ფასეულობების, მათ შორის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში შემუშავებული საერთაშორისოსამართლებრივი აქტების შესახებ.

24. საგანმანათლებლო სისტემებმა განსაკუთრებული მოვლა უნდა განახორციელონ და ყურადღება გაამახვილონ, იმ ახალგაზრდა პირებთან მიმართებით, რომლებიც სოციალური საფრთხის წინაშე იმყოფებიან. სპეციალური აღმკვეთი პროგრამები და საგანმანათლებლო მასალები, განაწესი, მიდგომები და საშუალებები უნდა იქნეს განვითარებული და სრულად განხორციელებული.

25. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს ამომწურავი პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაზე ახალგაზრდების მიერ ალკოჰოლის, ნარკოტიკებისა და სხვა მავნე ნივთიერებების გამოყენებასთან დაკავშირებით. მასწავლებლები და სხვა შესაბამისი პირები უნდა სათანადოდ გაიწვრთნან, რათა აღკვეთონ და გაუმკლავდნენ ხსენებულ პრობლემებს. ინფორმაცია ნარკოტიკების გამოყენებასა და ბოროტად მოხმარებასთან დაკავშირებით, მათ შორის, ალკოჰოლის ჩათვლით, უნდა მიეწოდოს სტუდენტურ ორგანოს.

26. სკოლები გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც შესაბამისი საშუალება და ცენტრები ახალგაზრდა პირებისათვის სამედიცინო, რჩევა დარიგებებისა და სხვა სახის დახმარების გაწევისათვის. ხსენებული განსაკუთრებით ეხებათ იმ ახალგაზრდებს, რომლებსაც სპეციალური საჭიროებები გააჩნიათ და განიცდიან შეურაცხმყოფას, უყურადღებობას, ჩაგვრასა და ექსპლუატაციას.

27. სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამების, მასწავლებლებისა და სხვა სრულწლოვანი პირებისა და სტუდენტური ორგანოების დახმარებით, გულისყურით მოპყრობა უნდა განხორციელდეს ახალგაზრდა პირების პრობლემებთან, საჭიროებებსა და შეხედულებებთან დაკავშირებით. ხსენებული ეხება განსაკუთრებით იმ ახალგაზრდებს, რომლებიც მიეკუთვნებიან არაპრივილეგირებულ, დაჩაგრულ მდგომარეობაში მყოფთ, მიეკუთვნებიან ეთნიკურ ან სხვა სახის უმცირესობებს, ისევე როგორც დაბალ შემოსავლიან ჯგუფებს.

28. სასკოლო სისტემები უნდა ეცადონ დააკმაყოფილონ და ხელი შეუწყონ უმაღლესი პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების არსებობას, რომლებიც უნდა განხორციელდეს არსებული განაწესის, სწავლებისა და სწავლის მეთოდებისა და მიდგომების შესაბამისად, ისევე როგორც კვალიფიცირებული მასწავლებლების მოწვევისა და მათი ტრენინგის საფუძველზე. უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ახალგაზრდების მოსწრების რეგულარული მონიტორინგი და შეფასება შესაბამისი ორგანიზაციებისა და ხელისუფლების ორგანოების მიერ.

29. სკოლებმა, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად, უნდა დაგეგმონ, განავითარონ და განახორციელონ ახალგაზრდებისათვის საინტერესო განაწესის გარეთ არსებული ღონისძიებები.

30. სპეციალური დახმარება უნდა გაეწიოთ ბავშვებსა და ახალგაზრდა პირებს, რომლებიც აწყდებიან სიძნელეებს დასწრებასთან ან გაცდენებთან დაკავშირებით.

31. სკოლებმა უნდა წაახალისონ ისეთი პოლიტიკისა და წესების განხორციელება, რომლებიც სამართლიანი და ჯეროვანია; სტუდენტები წარმოდგენილ უნდა იქნენ ორგანოებში, რომლებიც აყალიბებენ სკოლის პოლიტიკას, მათ შორის დისციპლინასთან და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებულ პოლიტიკას.

## გ. საზოგადოება

32. უნდა განვითარდეს ან სადაც არსებობს უნდა გაძლიერდეს საზოგადოებაზე დაფუძნებული სამსახურები და პროგრამები, რომლებიც პასუხობს სპეციალურ საჭიროებებს, პრობლემებს, ინტერესებსა და ახალგაზრდა პირების გულისწუხილს და, რომლებიც სთავაზობს ახალგაზრდა პირებსა და მათ ოჯახებს შესაფერის სამართლებრივ დახმარებასა და მითითებების მიცემას.

33. საზოგადოებამ უნდა უზრუნველყოს, ხოლო იქ სადაც არსებობს, გააძლიეროს საზოგადოებრივი მხარდაჭერა და ღონისძიებები ახალგაზრდა პირებისათვის, მათ შორის, საზოგადოებრივი განვითარების ცენტრები, გამაჯანსაღებელი დაწესებულებებისა და მომსახურების არსებობა, რათა გადაჭრილ იქნეს იმ ბავშვების სპეციალური პრობლემები, რომლებსაც ემუქრებათ სოციალური საფრთხე. ხსენებული ღონისძიებების განხორციელებისას უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ინდივიდების პატივისცემა.

34. სპეციალური დაწესებულებები უნდა იქნეს შექმნილი ადეკვატური თავშესაფარის უზრუნველყ-

ოფის მიზნით იმ ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც აღარ შეუძლიათ იცხოვრონ სახლში ან არ აქვთ საცხოვრებელი სახლი.

35. მომსახურებისა და დახმარების ღონისძიებების გარკვეული სახეობები უნდა იქნეს უზრუნველყოფილი, რათა გადაჭრილ იქნეს ის სიძნელეები, რომლებსაც განიცდიან ახალგაზრდა პირები სიყმაწვილეში. ასეთი სახის სამსახურები უნდა მოიცავდეს სპეციალურ პროგრამებს ახალგაზრდა ნარკომანებისათვის, რომლებიც საჭიროებენ მზრუნველობას, სამართლებრივ დახმარებას, თანადგომასა და თერაპიულ ჩარევას.

36. ვოლუნტარული ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ ახალგაზრდა პირების მომსახურებას, უნდა სარგებლობდნენ ფინანსური და სხვა სახის მხარდაჭერით მთავრობების ან სხვა დაწესებულებების მხრიდან.

37. ახალგაზრდული ორგანიზაციები უნდა იქნენ შექმნილი ან გაძლიერებული ადგილობრივ დონეზე და მათ უნდა მიეცეთ სრულფასოვანი მონაწილეობის სტატუსი საზოგადოებრივი საქმიანობის მენეჯმენტში. ხსენებულმა ორგანიზაციებმა ხელი უნდა შეუწყონ ახალგაზრდობას განახორციელონ და მოახდინონ კოლექტიური და ვოლუნტარული პროექტების ორგანიზება, კერძოდ კი, იმ პროექტების, რომელთა მიზანიც არის იმ პირთა დახმარება, რომლებიც ამას საჭიროებენ.

38. სამთავრობო უწყებებმა უნდა განახორციელონ სპეციალური პასუხისმგებლობა და უზრუნველყონ აუცილებელი მომსახურება უსახლკარო ან ქუჩის ბავშვებთან მიმართებით; უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ინფორმაციის გაცემა ადგილობრივ დაწესებულებებთან, საცხოვრებელთან, დასაქმებასთან და დახმარების სხვა წყაროებთან დაკავშირებით ახალგაზრდა პირებისათვის და ისინი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მათთვის.

39. შექმნილი უნდა იქნეს მრავალი გამაჯანსაღებელი დაწესებულება და სამსახური, რომელთა ინტერესიც მიმართული უნდა იყოს ახალგაზრდა პირებზე და ისინი ადვილად უნდა იყოს ხელმისაწვდომი.

## დ. მასმედია

40. მასმედია უნდა იქნეს წახალისებული, რათა მოხდეს იმის უზრუნველყოფა, რომ ახალგაზრდა პირებს ჰქონდეთ ინფორმაციასა და მასალების ხელმისაწვდომობა მრავალმხრივი ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან.

41. მასმედია უნდა იქნეს წახალისებული, რათა აღწერონ ახალგაზრდა პირების მიერ საზოგადოებისათვის გაწეული სასიკეთო საქმიანობა.

42. მასმედია უნდა იქნეს წახალისებული, რომ გაავრცელოს ინფორმაცია საზოგადოებაში ახალგაზრდა პირებისათვის სამსახურების, დაწესებულებებისა და საშუალებების არსებობის შესახებ.

43. ზოგადად მასმედია, ტელევიზია და განსაკუთრებით კინომედია, უნდა იქნეს წახალისებული, რომ შეამცირონ პორნოგრაფიის, ნარკოტიკებისა და ძალადობის ჩვენება და ძალადობა წარმოაჩინონ უარყოფითად, ისევე როგორც თავიდან იქნეს აცილებული დამამცირებელი და ღირსების შემლახველი პრეზენტაცია, განსაკუთრებით ბავშვებთან, ქალებთან და პირთა შორის ურთიერთობასთან მიმართებით, და თანასწორობის პრინციპებთან და როლთან დაკავშირებით.

44. მასმედიამ უნდა იცოდეს მისი მნიშვნელოვანი სოციალური როლისა და პასუხისმგებლობების შესახებ, ისევე როგორც მისი ზეგავლენის შესახებ იმ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ეხება ახალგაზრდების მიერ ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებას. მასმედიამ უნდა გამოიყენოს თავისი ძალა ნარკოტიკების აღკვეთასთან დაკავშირებით სანდო მესიჯებზე დაყრდნობითა და დაბალანსებული მიდგომით. ნარკოტიკებთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამები ყველა დონეზე უნდა იქნეს წახალისებული.

## V. სოციალური პოლიტიკა

45. სამთავრობო სააგენტოებმა მაღალი პრიორიტეტი უნდა მიანიჭონ ახალგაზრდა პირებისათვის განკუთვნილ გეგმებსა და პროგრამებს და უნდა უზრუნველყონ საკმარისი თანხები და სხვა რესურსები, რათა ეფექტიანად განხორციელდეს მომსახურება, იფუნქციონირონ დაწესებულებებმა და სამედიცინო პერსონალი კომპეტენტურად იყოს მომზადებული სამედიცინო და სულიერი მკურნალობის გაწევისათვის, უზრუნველყოფილ იქნეს შესაბამისი კალორიულობის საკვები, საცხოვრებელი და სხვა შესაბამისი მომსახურება, მათ შორის, ნარკოტიკებისა და ალკოჰოლის ბოროტად გამოყენების აღკვეთა და მკურნალობის განხორციელება, იმის უზრუნველყოფა, რომ ასეთმა საშუალებებმა მიაღწიოს ახალგაზრდებამდე და სარგებლობა მოუტანოს მათ.

46. ახალგაზრდა პირების ინსტიტუციონალიზაცია უნდა წარმოადგენდეს მიმართვის საბოლოო საშუალებას და ისიც მინიმალური აუცილებელი პერიოდით და ახალგაზრდა პირის ინტერესები უნდა წარმოადგენდეს უმაღლეს ღირებულებას. კრიტერიუმები, რომლებიც იძლევა ამ სახის ფორმალური ჩარევის ნებართვას, მკაცრად უნდა იქნეს განსაზღვრული და შეზღუდული შემდეგ სიტუაციებთან მიმართებით: ა) როდესაც ბავშვი ან ახალგაზრდა პირი განიცდის ზიანს, რომელიც მას მიაყენეს მშობლებმა ან მზრუნველებმა; ბ) როდესაც ბავშვის ან ახალგაზრდა პირის მიმართ განხორციელდა სექსუალური, ფიზიკური ან ემოციური ძალადობა მშობლების ან მზრუნველების მხრიდან; გ) როდესაც ბავშვი ან ახალგაზრდა პირი უგულებელყოფილ, მიტოვებულ ან ექსპლოატირებულ იქნა მშობლების ან მეურვეების მიერ; დ) როდესაც ბავშვს, ან ახალგაზრდა პირს ემუქრება ფიზიკური ან სულიერი ზიანის მიყენება მათი მშობლების ან მეურვეების საქციელის გამო; დაჟე) როდესაც გამოვლინდება სერიოზული ფიზიკური ან ფსიქოლოგიური საფრთხე ბავშვისათვის ან ახალგაზრდა პირისათვის თვით მისსავე საქციელში და არც მშობლებს, მეურვეებს, ან არასრულწლოვანს თავად და არც არასაცხოვრებელი ტიპის საზოგადოებრივ სამსახურებს შეუძლიათ თავიდან აირიდონ საფრთხე გარდა ინსტიტუციონალიზაციის საშუალებისა.

47. სამთავრობო უწყებებმა უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდა პირები უმაღლეს სასწავლებლებში უფასო სწავლის გაგრძელების შესაძლებლობით, მაშინ როდესაც მშობლებს ან მეურვეებს არ შეუძლიათ დახმარება გაუწიონ მათ, და ასევე სამუშაო გამოცდილების მიღებით.

48. დაგეგმილ და განხორციელებულ უნდა იქნეს დანაშაულის აღკვეთასთან დაკავშირებული პროგრამები სანდო, სამეცნიერო კვლევების შედეგებისა და პერიოდული მონიტორინგის, შეფასებისა და შესაბამისად შესწორების საფუძველზე.

49. სამეცნიერო ინფორმაცია უნდა მიეწოდოს პროფესიულ საზოგადოებასა და ფართო საზოგადოებას იმ სიტუაციის შესახებ, რომელიც მიანიშნებს ან შეიძლება დასრულდეს ახალგაზრდა პირების ფიზიკურ ან ფსიქოლოგიურ მსხვერპლად ჩამოყალიბებით, ზიანით ან ძალადობით, ისევე როგორც ექსპლუატაციით.

50. ზოგადად დაგეგმვასა და პროგრამებში მონაწილეობა უნდა იყოს ნების გამოვლინების საფუძველზე. ახალგაზრდა პირები, თავად უნდა იყვნენ ჩაბმულნი მათ შემუშავებაში, განვითარებასა და განხორციელებაში.

51. მთავრობებმა უნდა დაიწყონ ან გააგრძელონ მიდგომების კვლევა, განვითარება და განხორციელება იმ ღონისძიებებთან და სტრატეგიებთან დაკავშირებით, რომლებიც სისხლის სამართალწარმოებას მიეკუთვნება, ისევე როგორც სცდება მის საზღვრებს და მიზნად ისახავს ოჯახური ძალადობის აღკვეთას, რაც ზეგავლენას ახდენს ახალგაზრდა პირებზე და უზრუნველყოფს სამართლიან მოპყრობას ოჯახური ძალადობის მსხვერპლებთან მიმართებით.

## VI. კანონმდებლობა და არასრულწლოვნებთან დაკავშირებული მართლმსაჯულების განხორციელება

52. მთავრობებმა უნდა მიიღონ და განახორციელონ კონკრეტული კანონები და პროცედურები, რათა ხელი შეუწყონ და დაიცვან ყველა ახალგაზრდა პირის ადამიანის უფლებები და კეთილდღეობა.

53. მიღებულ და ცხოვრებაში გატარებულ უნდა იქნეს კანონმდებლობა, რომელიც კრძალავს

ბავშვებისა და ახალგაზრდა პირების ჩაგვრას, ძალადობას, ექსპლოატაციასა და კრიმინალურ საქმიანობას.

54. არც ერთი ბავშვი ან ახალგაზრდა პირი არ შეიძლება დაექვემდებაროს უხეშ ან ღირსების შემლახველ გამასწორებელ მოპყრობას ან დასჯას სახლში, სკოლაში ან სხვა რომელიმე დაწესებულებაში.

55. განხორციელებულ და დაცულ უნდა იქნეს კანონმდებლობა, რომლის მიზანიც არის ბავშვებისა და ახალგაზრდა პირებისათვის იარაღზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვა;

56. იმისათვის, რომ ალვკვეთოთ ახლაგაზრდა პირების შემდგომი სტიგმატიზაცია, ვიქტიმიზაცია და კრიმინალიზაცია, განხორციელებულ უნდა იქნეს კანონმდებლობა, რათა უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც არ ითვლება დანაშაულად ან არ ისჯება მოზარდის მიერ ჩადენის შემთხვევაში, არ ითვლებოდეს დანაშაულად და არ ისჯებოდეს იმ შემთხვევაში, თუკი იგი ჩადენილ იქნება ახალგაზრდა პირის მიერ.

57. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ომბუდსმენის ოფისის ან ანალოგიური დამოუკიდებელი ორგანოს შექმნის შესაძლებლობა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ახალგაზრდა პირების სტატუსი, უფლებები და ინტერესები დაცული იქნება და შესაფერისი ხელმისაწვდომობა ხელთარსებულ სამსახურებზე განხორციელდება. ომბუდსმენი ან შესაბამისად დანიშნული სხვა ორგანო, ასევე ზედამხედველობას გაუწევდა რიადის სახელმძღვანელო პრინციპების, პეკინის წესებისა და თავისუფლებააღკვეთილ არასრულწოვნებთან დაკავშირებული წესების განხორციელებას. ომბუდსმენი ან სხვა ორგანო რეგულარულ ინტერვალებში გამოაქვეყნებდა მოხსენებას იმ პროგრესის და სიძნელეების შესახებ, რომლებიც წარმოჩინდებოდა აქტის განხორციელების პროცესში. ასევე შექმნილ უნდა იქნეს ბავშვთა დაცვის სამსახურები.

58. სამართალდამცავი და სხვა შესაბამისი ორივე სქესის პერსონალი უნდა იქნეს გაწვრთნილი, რათა ადეკვატურად დააკმაყოფილონ ყველა ის საჭიროება, რომლებიც გააჩნია ახალგაზრდა პირებს და ისინი ასევე გათვითცნობიერებული უნდა იყვნენ პროგრამებსა და შესაბამის საშუალებებთან დაკავშირებით, რომლებიც გამოიყენება ახალგაზრდა პირების მიერ სამართლის სისტემიდან გადახვევის შემთხვევაში.

59. განხორციელებულ და მკაცრად უნდა იქნეს დაცული კანონმდებლობა, რათა დაცულ იქნენ ბავშვები და ახლაგაზრდა პირები ნარკოტიკების ბოროტად გამოყენებისა და ნარკო-ვაჭრებისაგან.

## VII. კვლევა, პოლიტიკის განვითარება და კოორდინაცია

60. მცდელობები უნდა იქნეს განხორციელებული და შესაბამისი მექანიზმები უნდა შეიქმნას, რათა მრავალ დისციპლინურ და შიდა დისციპლინურ საფუძველზე, ურთიერთობა და კოორდინაცია განხორციელდეს ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო და ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სააგენტოებსა და სამსახურებს, მართლმსაჯულების სისტემას, ახალგაზრდებს, საზოგადოებასა და განვითარების სააგენტოებსა და სხვა დაწესებულებებს შორის.

61. ინფორმაციის გაცვლა, გამოცდილება და ექსპერტიზა, რომელიც მიიღწევა პროექტების, პროგრამების, პრაქტიკისა და იმ ინიციატივების საფუძველზე, რომლებიც ეხება არასრულწლოვანთა დანაშაულს, დანაშაულის ალკვეთასა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებას, უნდა გაძლიერდეს ეროვნულ, რეგიონალურ და საერთაშორისო დონეზე.

62. უნდა განვითარდეს და გაძლიერდეს რეგიონალური და საერთაშორისო თანამშრომლობა ახალგაზრდების დანაშაულებთან, დანაშაულის ალკვეთისა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან დაკავშირებით, სადაც ჩართული იქნებიან პრაქტიკოსები, ექსპერტები და გადაწყვეტილების მიმღები პირები.

63. ყველა მთავრობამ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და სხვა შესაბამისმა ორგანიზაციებმა ძლიერი მხარდაჭერა უნდა აღმოუჩინონ ტექნიკურ და მეცნიერულ თანამშრომლობას პრაქტიკულ და შესაბამის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებზე, კერძოდ, ტრენინგებთან, პილოტურ და სადემონსტრაციო პროექტებთან და კონკრეტულ საკითხებთან მიმართებით, რომლებიც ეხება

ახალგაზრდა პირების მიერ ჩადენილი დანაშაულებისა და არასრულწლოვანთა დანაშაულის ალკვეთას.

64. თანამშრომლობა უნდა იქნეს წახალისებული მეცნიერული კვლევის წარმოებასთან მიმართებით, რომელიც უკავშირდება ახალგაზრდების მიერ დანაშაულის ჩადენისა და არასრულწოვნების დანაშაულის ალკვეთის შესახებ ეფექტიანი მიდგომების შემუშავებას, და ასეთი კვლევის შედეგები ფართოდ უნდა იქნეს გავრცელებული და შეფასებული.

65. გაეროს შესაბამისმა ორგანოებმა, ინსტიტუტებმა, სააგენტოებმა და ოფისებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ და კოორდინაცია გაუწიონ ბავშვებთან, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებასთან, ახალგაზრდა პირების დანაშაულსა და არასრულწლოვნების დანაშაულის ალკვეთასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე.

66. წინამდებარე სახელმძღვანელო პრინციპების საფუძველზე, გაეროს სამდივნომ, დაინტერესებულ ინსტიტუტებთან ერთად, უნდა ითამაშონ აქტიური როლი კვლევის წარმოებაში, მეცნიერულ თანამშრომლობაში, პოლიტიკასთან დაკავშირებული შესაძლებლობების ფორმულირებაში და მათ გადასინჯვასა და განხორციელების მონიტორინგში. ხსენებული უნდა წარმოადგენდეს ინფორმაციის სანდო წყაროს დანაშაულის ალკვეთასთან დაკავშირებულ ეფექტიან მიდგომებთან მიმართებით.

# გაერო-ს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ*
## („პეკინური წესები“)

## ნაწილი პირველი

ზოგადი პრინციპები

### 1. ძირითადი მიზნები

1.1 წევრი სახელმწიფოები შეეცდებიან სათანადო ზოგადი ინტერესის შესაბამისად, ხელი შეუწყონ არასრულწლოვანისა და მისი ოჯახის კეთილდღეობას.

1.2 წევრი სახელმწიფოები ძალისხმევას არ დაიშურებენ, რათა განავითარონ პირობები, რომლებიც უზრუნველყოფს არასრულწლოვანის შინაარსიან არსებობას საზოგადოებაში; ასევე ცხოვრების იმ პერიოდში, როდესაც იგი [არასრულწლოვანი] ყველაზე მეტადაა მგრძნობიარე დევიანტური ქმედების მიმართ, ხელს შეუწყობს პირად განვითარებას და განათლებას, რომელიც შეძლებისდაგვარად დამოუკიდებელია დანაშაულისა და სამართალდარღვევისაგან.

1.3 სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს კონკრეტულ ღონისძიებებს, რაც ასევე მოიცავს ყველა შესაძლო რესურსის, მათ შორის ოჯახის, მოხალისეებისა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფების, ასევე სკოლებისა და სხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების მობილიზაციას არასრულწლოვანთა კეთილდღეობის ხელშეწყობის მიზნით, რათა შემცირდეს კანონის გამოყენების აუცილებლობა და სამართალდამრღვევი არასრულწლოვანის მიმართ მოპყრობა იყოს ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური.

1.4 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უნდა ითვლებოდეს თითოეული სახელმწიფოს ეროვნული განვითარების განუყოფელ ნაწილად და იყოს ყველა არასრულწლოვანისათვის სოციალური მართლმსაჯულების ყოვლისმომცველ ჩარჩოში, რაც ერთდროულად ხელს შეუწყობს ახალგაზრდების დაცვას და საზოგადოებაში მართლწესრიგის შენარჩუნებას.

1.5 ეს წესები განხორციელდება თითოეულ წევრ სახელმწიფოში არსებული ეკონომიკური, სოციალური და კულტურული პირობების კონტექსტის შესაბამისად.

1.6 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება უნდა ვითარდებოდეს სისტემატურად და მოხდეს კოორდინირება სათანადო სამსახურებში ჩართული პერსონალის კომპეტენციის, მათი მეთოდების, მიდგომისა და მოსაზრების გაუმჯობესებისა და შენარჩუნების მიზნით.

### *კომენტარი*

ფართო ძირითადი მიზნები შეეხება მთლიან სოციალურ პოლიტიკას და მიმართულია არასრულწლოვანთა კეთილდღეობის მაქსიმალურად ხელშეწყობისაკენ, რაც შეამცირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების გამოყენების აუცილებლობას და შესაბამისად შეამცირებს ზიანს, რაც შეიძლება გამოიწვიოს [მართლმსაჯულების] გამოყენებამ. ახალგაზრდების მიმართ მზრუნველობითი ღონისძიებები სანამ სამართალდარღვევა დაიწყება არის [ამ] წესების გამოყენების თავიდან აცილე-

* მიღებულია გენერალური ასამბლეის 1985 წლის 29 ნოემბრის 40/33 რეზოლუციით.

ბისათვის აუცილებელი წინა პირობა პოლიტიკის დონეზე. 1.1-დან 1.3-მდე წესები მიუთითებს, თუ რა მნიშვნელოვან როლს ასრულებს არასრულწლოვანებზე მიმართული ქმედითი სოციალური პოლიტიკა, *inter alia,* არასრულწლოვანთა დანაშაულისა და სამართალდარღვევების თავიდან აცილებაში. წესი 1.4 განსაზღვრავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება არის არასრულწლოვანთათვის სოციალური სამართლიანობის განუყოფელი ნაწილი, ხოლო წესი 1.6 მიუთითებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მუდმივი გაუმჯობესების აუცილებლობაზე, რაც არ უნდა ჩამორჩებოდეს არასრულწლოვანთათვის პროგრესული სოციალური პოლიტიკის განვითარებას და ყოველთვის ითვალისწინებდეს მომსახურე პერსონალის მუდმივი გაუმჯობესების აუცილებლობას. 1.5 წესი ითვალისწინებს წევრ სახელმწიფოებში არსებულ მდგომარეობას, რისი შედეგიც არის კონკრეტული წესის განსხვავებული იმპლემენტაცია სხვადასხვა სახელმწიფოში.

## 2. წესებისა და გამოყენებული განმარტებების ფარგლები

2.1 შემდეგი მინიმლური წესები გამოიყენება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების მიმართ მიუკერძოებლად, რიმე განსხვავების გარეშე, მაგალითად რასის, ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულებების, ეროვნული ან სოციალური წარმოშობის, ქონების, დაბადებითი ან სხვა სტატუსის ნიშნით.

2.2 ამ წესების მიზნებისათვის წევრი სახელმწიფოები გამოიყენებენ შემდეგ განმარტებებს იმგვარად, რომ შეესაბამებოდეს მათ სამართლებრივ სისტემებსა და კონცეფციებს:

(ა) არასრულწლოვანი არის ბავშვი ან ახალგაზრდა ადამაინი, რომლის მიმართ არსებულ საართლებრივ სისტემაში შეიძლება გამოიყენებოდეს სრულწლოვანისაგან განსხვავებული წესები დანაშაულის ჩადენის დროს;

(ბ) სამართალდარღვევა არის ნებისმიერი ქმედება (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც დასჯადია არსებულ სამართლებრივ სისტემაში.

(გ) არასრულწლოვანი სამართალდამრღვევი არის ბავშვი ან ახალგაზრდა ადამიანი, რომელიც ეჭვმიტანილია სამართალდარღვევის ჩადენაში ან რომელმაც, როგორც დადასტურდა, ჩაიდინა სამართალდარღვევა.

2.3 ყოველი ეროვნული იურისდიქციის ფარგლებში უნდა მოახმარონ სათანადო ძალისხმევა, რათა მიღებულ იქნეს კანონების, წესებისა და დებულებების პაკეტი, რომლებიც ეხება არასრულწლოვან სამართალდამრღვევებს, აგრეთვე იმ ინსტიტუტებსა და ორგანოებს, ვისაც აკისრიათ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების განხორციელება, და მიზნად ისახავს:

(ა) დააკმაყოფილოს არასრულწლოვან სამალთალდამრღვევთა სხვადასხვა მოთხოვნა მათი ძირითადი უფლებების დაცვისას;

(ბ) დააკმაყოფილოს საზოგადოების მოთხოვნები;

(გ) მოახდინოს ამ წესების განხორციელება განუხრელად და სამართლიანად.

### *კომენტარი*

სტანდარტული მინიმალური წესები მიზანმიმართულადაა (განზრახ) ფორმულირებული იმგვარად, რომ შეიძლებოდეს მისი გამოყენება განსხვავებულ სამართლებრივ სისტემებში და ამასთანავე ჩამოაყალიბოს მინიმალური სტანდარტები არასრულწლოვანი სამართალდარღვევების მოპყრობის შესახებ არასრულწლოვანის ნებისმიერი განმარტებისა და არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების შესახებ არსებული ნებისმიერი სამართლებრივი სისტემის პირობებში. წესები ყოველთვის უნდა გამოიყენებოდეს მიუკერძოებლად და რაიმე განსხვავების გარეშე. სწორედ ამიტომ წესი 2.1. ყურადღებას ამახვილებს იმის საჭიროებაზე, რომ წესები ყოვლთვის გამოიყენებოდეს მიუკერძოებლად და ყოველგვარი განსხვავების გარეშე. ეს წესი იმეორებს ბავშვთა უფლებების შესახებ დეკლარაციის მე-2 პრინციპს. წესი 2.2 განმარტავს "არასრულწლოვანსა" და "სამართალდარღვევას", როგორც "არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის" ცნების შემადგენელ ნაწილებს, რომლებიც [არასრულწლოვანი სამართალდამრღვევები] არიან ამ წესების ძირითადი სუბიექტი (თუმცა ასევე იხილეთ წესები 3 და 4). უნდა აღინიშნოს, რომ ასაკობრივი ზღვარი დამოკიდებულია, რაც აშკარადაა მითითებული, თითოეულ სამართლებრივ სისტემაზე, რაც სრულად ითვალისწინებს წევრი სახელმწი-

ფოების ეკონომიკურ, სოციალურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სამართლებრივ სისტემებს. ამის შედეგად, "არასრულწოვანის" ცნება მოიცავს ფართო ასაკობრივ სპექტრს 7-დან 18 წლამდე ან ზემოთ. ასეთი მრავალეროვნება განსხვავებული სამართლებრივი სისტემების განუყოფელი ნაწილია და არ ამცირებს სტანარტული მინიმალური წესების გავლენას. წესი 2.3 შეეხება სპეციფიური ეროვნული კანონდებლობის არსებობის აუცილებლობას, რათა მოხდეს სტანდარტული მინიმალური წესების ოპტიმალური გამოყენება როგორც სამართლებრივად, ისე პრატიკულად.

### 3. წესების გამოყენების სფეროს გაფართოება

3.1 წესების სათანადო დებულებები გამოიყენება არა მხოლოდ არსრულწლოვანი საართალდამრღვევების მიმართ, არამედ იმ არასრულწლოვანთა მიმართაც, რომელთა წინააღმდეგ შეიძლება აღიძრას სისხლის სამართლებრივი დევნა კონკრეტული ქმედებისათვის, თუ ეს უკანასკნელი არ იქნებოდა დასჯადი სრულწლოვანის მიერ ჩადენის შემთხვევაში.

3.2 ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ წესებში ჩამოყალიბებეული პრიცნიპები გავრცელდეს ყველა არასრულწლოვანზე, რომელთა მიმართ მიმდინარეობს სოციალური უზრუნველყოფისა და მეურვეობის საკითხებზე პროცესი.

3.3 ძალისხმევა ასევე მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ წესებში ჩამოყალიბებული პრინციპები გამოიყენებოდეს ახალგაზრდა სრულწლოვანი დამნაშავეების მიმართ.

*კომენტარი*

მე-3 წესის თანახმად, სტანდარტული მინიმალური წესებით გათვალისწინებული დაცვა ვრცელდება აარასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაზეც, რათა მოიცვას:

(ა) ე.წ. "სტატუსიდან გამომდინარე სამართალდარღვევებს", რომელთაც ითვალისწინებს სხვადასხვა ეროვნული სამართლებრივი სისტემა, სადაც სამართალდარღვევად მიჩნეული ქმედებათა რაოდენობა უფრო მაღალია არასრულწოვანებისათვის, ვიდრე სრულწლოვანთათვის (მაგალითად, სკოლის გაცდენა, სკოლისა და ოჯახისათვის დაუმორჩილებლობა, საჯაროდ დათრბა და ა.შ.) (წესი 3.1);

(ბ) არასრულწოვანის მიმართ სოციალური უზრუნველყოფისა და მეურვეობის პროცესს (წესი3.2);

(გ) პროცესს, რომელშიც ჩართულია ახალგაზრდა სრულწლოვანი სამართალდამრღვევი, რაც რა თქმა უნდა, დამოკიდებულია ასაკობრივ ზღვარზე (წესი 3.3).

წესების გამოყენების სფეროს გაფართოება ამ სამ სფეროში გამართლებული უნდა იყოს. წესი 3.1. ითვალისწინებს მინიმალურ გარანტიას ამ სფეროებში, ხოლო წესი 3.2. ჩაითვლება სასურველ ნაბიჯად, რომელიც მიმართული იქნება უფრო სამართლიანი, თანასწორი და ჰუმანური მართლმსაჯულებისაკენ ყველა არასრულწლოვანისათვის, რომლის ქმედება წინააღმდეგობაში მოდის კანონთან.

### 4. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი

4.1 იმ სამართლებრივ სისტემებში, რომლებიც აღიარებს არასრულწლოვანთა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკის ცნებას, ასეთი ასაკის ქვედა ზღვარი არ უნდა დადგინდეს ძალიან ადრეულ ასაკში ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური მოწიფულობის ფაქტის გათვალისწინებით.

*კომენტარი*

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ქედა ზღვარი ძალიან განსხვავდება ისტორიისა და კულტურის გათვალისწინებით. თანამედროვე მიდგომა იქნება, ბავშვი მოქმედებს თუ არა სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის მორალური და ფსიქოლოგიური კომპონენტების შესაბამისად; ანუ, ბავშვი პირადი შემეცნებისა და აღქმის გათვალისწინებით შეიძლება თუ არა მივიჩნიოთ პასუ-

ხისმგებლად არსებითად ანტი-სოციალური ქმედებისათვის. თუ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკი ძალიან დაბალ ზღვარზეა დადგენილი ან თუ საერთოდ არ არსებობს ქვედა ზღვარი, მაშინ პასუხისმგებლობის ცნება მნიშვნელობას კარგავს. ზოგადად, არსებობს ახლო კავშირი დელიქვენტურ ან სისხლის სამართლებრივ ქმედებაზე პასუხისმგებლობის ცნებასა და სხვა სოციალურ უფლებებსა და პასუხისმგებლობას (როგორიცაა ოჯახური მდგომარეობა, სამოქალაქო უმრავლესობა და ა.შ.) შორის. ამიტომ, უნდა მოხდეს შეთანხმება კეთილგონივრულ ასაკობრივ ქვედა ზღვარზე, რომელიც გამოიყენება საერთაშორისო დონეზეც.

## 5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიზნები

5.1 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემა განსაკუთრებულ ყურადღებას უნდა ანიჭებდეს არასრულწლოვანთა კეთილდღეობას და უნდა უზრუნველყოს, რომ არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის მიმართ გამოყენებული ნებისმიერი ღონისძიება ყოველთვის იყოს სამართალდამრღვევისა და სამართალდარღვევის თანაზომიერი.

### *კომენტარი*

მე-5 წესი შეეხება არასრულწლოვანთა მათლმსაჯულების ორ ყველაზე მნივნელოვან მიზანს. პირველი მიზანი არის არასრულწლოვანთა კეთილდღეობის ხელშეწყობა. ეს არის იმ სამართლებრივი სისტემების ძირითადი მიზანი, რომელშიც არასრულწლოვან დამნაშავეების საქმეებს განიხილავს საოჯახო სასამართლოები ან ადმინისტრაციული ორგანოები, მაგრამ არასრულწლოვანთა კეთილდღეობას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ასევე იმ სამართლებრივ სისტემებშიც, რომლებშიც დანერგილია სისხლის სამართლის სასამართლოების მოდელი, რაც ხელს შეუწყობს მხოლოდ დამსჯელი სანქციების გამოყენებას (ასევე იხილეთ წესი 14). მეორე მიზანი არის "პროპორციულობის (თანაზომიერების) პრინციპი". ეს პრინციპი საყოველთაოდ ცნობილია, როგორც დამსჯელობითი სანქციების შემაკავებელი საშუალება, რომელიც ძირითად გამოიხატება სამართლიან მიდგომაში სამართალდარღვევის სიმძიმის გავალისწინებით. ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა ქმედებაზე პასუხი უნდა ემყარებოდეს არა მარტო დანაშაულის სიმძიმეს, არამედ ასევე პირადი მდგომარეობას. სამართალდამრღვევის პირადმა გარემოებებმა (მაგალითად, სოციალური სტატუსი, ოჯახური მდგომარეობა, დანაშაულით გამოწვეული ზიანი ან სხვა ფაქტორები, რაც ზეგავლენას ახდენს პირად გარეომებებზე) უნდა მოახდინოს გავლენა საპასუხო ღონიძიების პროპორციულობაზე (მაგალითად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სამართალდამრღვევის სურვილი კომპენსაცია მისცეს მსხვერპლს, ან საკუთარი სურვილით დაუბრუნდეს შინაარსიან და სასარგებლო ცხოვრებას. არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ საპასუხო ღონისძიება, რომლის მიზანია ახალგაზრდა სამართალდამრღვევის კეთილდღეობა, შეიძლება გასცდეს აუცილებლობის ზღვარს და ამის შედეგად დაარღვიოს ახალგაზრდა პირის ძირითადი უფლებები, როგორც ეს ხდება ზოგიერთ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემებში. ამ დროს ნიშვნელოვანია, დაცულ იქნეს საპასუხო ღონისძიების თანაზომიერება (პროპორციულობა) როგორც სამართალდამრღვევისა და სამართალდარღვევის, ასევე მსხვერპლის მიმართ. ფაქტიურად წესი 5 მოითხოვს არც მეტი და არც ნაკლები სამართლიან საპასუხო რეაქციას არასრულწლოვანის მიერ გადაცდომის ან დანაშაულის ჩადენის ყოველი შეთხვევისათვის. ამ წესში გათვალისწინებულმა საკითხებმა შეიძლება ხელი შეუწყოს ორივე მიმათულების განვითარებას: ახალი და ინოვაციური ტიპის სანქციები არის ისეთივე სასურველი, როგორც სიფრთხილის ღონისძიებები, რათა მეტისმეტად არ გაფართოვდეს არასრულწლოვანთა მიმართ ფორმალური სოციალური კონტროლი.

## 6. დისკრეციული უფლებამოსილების მოცულობა

6.1 არასრულწლოვანთა განსხვავებული მოთხოვნების, აგრეთვე ხელმისაწვდომი ღონისძიებების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, ნებადართული უნდა იყოს სათანადო დისკრეციული ქმედება პროცესის ყველა ეტაპზე და არასრულწლოვანთა მათლმსაჯულების ადმინისტრირების სხვადასხვა დონეზე, მათ შორის გამოძიებისას, მოკვლევისას, სასამართლო განხილვისას და გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ ეტაპზე.

6.2 ამასთან, უნდა უზრუნველყოფილ იქნეს სათანადო ანგარიშგება ასეთი დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების ყველა ეტაპსა და დონეზე.

6.3 დისკრეციული უფლებამოსილების განმახორციელებელ პირებს უნდა ჰქონდეთ შესაბამისი კვალიფიკაცია ან უნდა მოხდეს მათი მომზადება, რათა მათ გამოიყენონ დისკრეციული უფლებამოსილება კეთილგონივრულად მათი ფუნქციებისა და მანდატის გათვალისწინებით.

### *კომენტარი*

წესები 6.1, 6.2 და 6.3 აერთიანებენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეფექტური, სამართლიანი და ჰუმანური ადმინისტრირების რამდენიმე ძირითად მნიშვნელოვან ნიშანს: პრცესის წარმოეის ყველა მნიშვნელოვან ეტაპზე დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების აუცილებლობა, რათა მათ, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს, შეეძლოთ იმ ღონისძიებების გატარება, რომლებიც ყველაზე მეტად მიესადაგება მოცემულ საქმეს; და შემოწმებისა და ბალანსირების სისტემის აუცილებლობა, რათა თავიდან იქნეს აცილებული დისკრეციული უფლებამოსილებით ბოროტად სარგებლობა და დაცულ იქნეს ახალგაზრდა სამართალდამრღვევის უფლებები. ანგარიშვალდებულება და პროფესიონალიზმი არის ფართო დისკრეციის შეკავების საუკეთესო საშუალება. ამგვარად, პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლებასა და საექსპერტო მომზადებას განსაკუთრებული როლი ენიჭება არასრულწლოვანთა საქმეებზე დისკრეციული უფლებამოსილების კეთილგონივრულად გამოყენების უზრუნველყოფისას (აგრეთვე იხილეთ წესები 1.6 და 2.2). ამ კონტექსტში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ ძირითადი დებულების ფორმულირებაზე, ასევე იმ დებულებებზე რომლებიც არეგულირებს გადასინჯვას და გასაჩივრებას. ამ წესში არ არის მითითება ასეთ მექანიზმებზე, ვინაიდან მათი ინკორპორირება საერთაშორისო მინიმალურ სტანდარტებში ძალიან ძნელია, რადგან ეს უკანასკნელი ვერ მოიცავს სამართლებრივი სისტემების ყველა განსხვავებას.

### 7. არასრულწლოვანთა უფლებები

7.1 სამართალწარმოების ყველა ეტპზე გარანტირებული უნდა იყოს ძირითადი პროცესუალური გარანტიები, როგორიცაა, უდანაშაულობის პრეზუმფცია, უფლება გაეცნოს წაყენებულ ბრალდებას, დუმილის უფლება, დაცვით სარგებლობის უფლება, მშობლის ან მეურვის დასწრების უფლება, მოწმეთა დაპირისპირებისა და ჯვარედინი დაკითხვის უფლება და უფრო მაღალ ინსტანციაში გასაჩივრების უფლება.

### *კომენტარი*

წესში 7.1 ყურადღება გამახვილებულია რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე, როლებიც წარმოადგენს მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლოს განუყოფელ ნაწილს და აღიარებულიებულ ადამიანის უფლებების შესახებ დოკუმენტებში (აგრეთვე იხილეთ წესი 14). მაგალითად, უდანაშაულობის პრეზუმფცია ასევე განმტკიცებულია ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის მე-11 მუხლით და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის მე-2 პუნქტით. ამასთან მინიმალური სტანდარტული წესების წესი 14 აკონკრეტებს იმ საკითხებს, რომლებიც აუცილებელია არასრულწლოვანთა საქმეებზე სამართალწარმოებისას მაშინ, როდესაც წესი 7.1 განამტკიცებულია მხოლოდ ყველაზე ძირითად საპროცესო გარანტიებს.

### 8. პირადი ცხოვრების დაცვა

8.1 ყველა ეტაპზე დაცულ უნდა იქნეს არასრულწლოვანის უფლება პირად ცხოვრებაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასათანადო საჯაროობით ან რეპუტაციის შელახვით გამოწვეული ზიანი.

8.2 ზოგადად, არ შეიძლება გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწოვანის პიროვნების დადგენას.

*კომენტარი*

წესი 8 ხაზგასმით აღნიშნავს არასრულწლოვანის პირადი ცხოვრების უფლების მნიშვნელობას. ახალგაზრდა ადამიანები განსაკუთრებით ექვემდებარებიან სტიგმატიზაციას. რეპუტაციის შელახვის (labelling) შესახებ კრიმინოლოგიურმა კვლევამ დაადასტურა, რომ არასრულწლოვანის მუდმივ იდენტიფიკაციას "სამართალდამრღვევად" ან "დამნაშავედ" მოსდევს დამღუპველი შედეგები (სხვადასხვა ხასიათის). წესი 8 ხაზგასმით აღნიშნავს არასრულწლოვნების დაცვის აუცილებლობას საქმესთან დაკავშირებით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში ინფორმაციის (მაგალითად, ეჭვმიტანილი ან მსჯავრდებული ახალგაზრდა სამართალდამრღვევთა სახელების) გამოქვეყნების შედეგებისაგან. ზოგადად, ინდივიდის ინტერესი დაცულ უნდა იქნეს. (მე-8 წესის ზოგადი შინაარსი დაკონკრეტებულია წესში 21).

### 9. გამომრიცხავი დათქმა

9.1 არაფერი ამ წესებში იმგვარად არ უნდა იქნეს განმარტებული, რაც გამორიცხავს გაეროს მიერ მიღებული პატიმათა მოპყრობის შესახებ სტანდარტული მინიმალური წესების ან ახალგაზრდების დაცვისა და მზრუნველობის თაობაზე სხვა ადამიანის უფლებების შესახებ დოკუმენტის და საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სტანდარტების გამოყენებას.

*კომენტარი*

მე-9 წესის მიზანია, თავიდან იქნეს აცილებული ამ წესების განმარტებისას ან გამოყენებისას გაუგებრობა და მოხდეს მისი გამოყენება არსებული ან მომავალში შემუშავებული ადამიანის უფლებების შესახებ საერთაშორისო დოკუმენტების პრინციპების შესაბამისად, მაგალითად, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია; ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, დეკლარაცია ბავშვთა უფლებების შესახებ და ბავშვების უფლებების შესახებ კონვენციის პროექტი. აღანიშნავია, რომ ამ წესების გამოყენება უნდა მოხდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს ისეთი საერთაშორისო სტანდარტების გამოყენებას, რომლებიც შეიცავს უფრო ფართო გამოყენების დებულებებს (ასევე იხილეთ წესი 27).

## ნაწილი ორი

გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

### 10. პირველადი კონტაქტი

10.1 არასრულწლოვანის დაკავებისას მის მშობლებს ან მეურვეს ამის თაობაზე დაუყოვნებლი უნდა ეცნობოთ, ხოლო თუ დაუყოვნებელი ინფორმირება შეუძლებელია, მშობლებს ან მზრუნველს უნდა ეცნობოს მოგვიანებით შეძლებისდაგვარად მოკლე დროში.

10.2 მოსამართლე ანდ სხვა უფლებამოსილი პირი ან ორგანო დაყოვნების გარეშე განიხილავს გათავისუფლების საკითხს.

10.3 ურთიერთობა სამართალდამცავ ორგანოებსა და არასრულწლოვან სამართალდამრღვევს შორის უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ პატივი მიაგონ არასრულწლოვანის სამართლებრივ სტატუსს, ხელი შეეწყოს არასრულწლოვანის კეთილდღეობას და თავიდან იქნეს აცილებული ზიანი საქმის გარემოებების გათვალისწინებით.

*კომენტარი*

10.1 წესი ფაქტიურად შეესაბამება პატიმართა მოპყრობის შესახებ სტანდარტული მინიმალური წესების 92-ე წესს. გათავისუფლების საკითხს (პუნქტი 10.2) დაუყოვნებლივ განიხილავს მოსამართლე ან სხვა უფლებამოსილი პირი. ეს უკანასნელი მოიცავს ნებისმიერ პირს ან ინსტიტუტს ყველაზე ფართო გაგებით, საზოგადოებრივი საბჭოების ან დაკავებული პირის გათავისუფლების უფლებამოსილების პოლიციის ოფიცრის ჩათვლით. (ასევე იხილეთ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი.) წესი 10.3 შეეხება არასრულწლოვანის მიერ დანაშაულს ჩადენისას პოლიციელებისა და სხვა სამართალდამცავი ორგანოების ქმედებისა და პროცედურების ძირითად ასპექტებს. "ზიანის აცილება" აშკარად მოქნილი ფორმულირებაა და მოიცავს შესაძლო ურთიერთობის ბევრ ასპექტს (მაგალითად, უხეში ლექსიკის გამოყენება, ფიზიკური ძალადობა ან გაშიშვლება). არასრულწლოვანის მართლმსაჯულების პროცესში ჩაბმა შეიძლება თავისთავად წარმოადგენდეს "ზიანს" არასრულწლოვანისათვის; ტერმინი "თავიდან იქნეს აცილებული ზიანი" განიმარტება ფართოდ, ანუ პირველ რიგში არასრულწლოვანისათვის შეძლებისდაგვარად ნაკლები ზიანის მიყენება, აგრეთვე რაიმე დამატებითი ან არასათანადო ზიანის მიყენების თავიდან აცილება. ეს განსაკუთრებით ნიშვნელოვანია სამართალდამცავ ორგანოებთან თავდაპირველი კონტაქტის დროს, რამაც შეიძლება ძირეულად შეცვალოს არსრულწლოვანის დამოკიდებულება სახელმწიფოსა და საზოგადოების მიმართ. უფრო მეტიც, შემდგომი ჩარევის წარმატება დიდადაა დამოკიდებული პირველად კონტაქტზე. თანაგრძნობა და კეთილი სიმტკიცე ძალიან მნიშვნელოვანია ასეთ სიტუაციებში.

**11. სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლა ალტერნატიული გამასწორებელი ღონისძიებებით**

11.1 მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის, რომ, სადაც შესაძლებელია, არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა მოხდეს ქვემოთ 14.1 წესით გავალისწინებული უფლებამოსილი პირისათვის ფორმალურად განსახილველად საქმის გადაცემის გარეშე.

11.2 პოლიციას, პროკურატურას და სხვა ორგანოებს, რომლებიც იხილავენ არასრულწლოვანთა საქმეებს, უნდა ჰქონდეთ უფლებამოსილება, საკუთარი დისკრეციის ფარგლებში მიიღონ გადაწყვეტილება ფორმალური განხილვის გარეშე შესაბამის სამართლებრივ სისტემაში ჩამოყალიბებული კრიტერიუმებისა და ამ წესებით გათვალისწინებული პრინციპების შესაბამისად.

11.3 სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლა ალტერნატიული გამასწორებელი ღონისძიებებით, რაც მოიცავს საქმის გადაცემას შესაბამის საზოგადოებრივ ან სხვა სამსახურისათვის, მოითხოვს არასრულწლოვანის ან მისი მშობლის ან მეურვის თანხმობას, თუ ასეთი გადაწყვეტილება საქმის გადაცემის შესახებ, შეიძლება განიხილოს კომპეტენტურმა ორგანომ, გასაჩივრების შემთხვევაში.

11.4 რათა განვითარდეს არასრულწლოვანთა საქმეებზე დისკრეციულად სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლა ალტერნატიული გამოსასწორებელი ღონისძიებებით, უნდა ხელი შეეწყოს საზოგადოებრივი პროგრამების შემუშავებას, როგორიცაა დროებითი ზეამხედველობა და მეურვეობა, მსხვერპლთა სასარგებლოდ რესტიტუცია და კომპენსაცია.

*კომენტარი*

სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლა ალტერნატიული გამასწორებელი ღონისძიებებით, რომელიც მოიცავს სისხლის სამართლებრივი საქმის წარმოების შეწყვეტას და ხშირად გულისხმობს საზოგადოებრივი სამსახურების ჩართვას, გამოიყენება ფორმალური და არაფორმალური საფუძვლით ბევრ სამართლებრივ სისტემაში. ეს პრაქტიკა თავიდან გვაცილებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში გამართული პროცესის უარყოფითი შედეგებს (მაგალითად, ბრალდებითა და სასჯელით გამოწვეული სირცხვილი). ბევრ შემთხვევაში საქმეში ჩაურევლობა იქნება საუკეთესო პასუხი. ამრიგად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შეწყვეტა თავდაპირველ ეტაპზე ალტერნატიული (სოციალური) სამსახურებისათვის საქმის გადაცემის გარეშე შეიძლება ოპტიმალური პასუხი იყოს. ეს განსაკუთრებით ეხება იმ შემთხვევებს, როდესაც დანაშაული

უმნიშვნელო ხასიათისაა და როდესაც ოჯახმა, სკოლამ ან სხვ არაფორმალურმა სოციალური კონტროლის ინსტიტუტებმა მოახდინეს სათანადო და კონსტრუქციული რეაგირება, ან აშკარაა, რომ მოახდენენ ასეთ რეაგირებას. როგორც 11.2 წესი ითვალისწინებს, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება შეიძლება მოხდეს გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ ეტაპზე - პოლიციის, პროკურატურის ან სხვა ორგანოს მიერ, როგორიცაა, სასამართლო, ტრიბუნალი, საბჭო ან კოლეგია. ეს უფლება შეიძლება განახორციელოს მხოლოდ ერთმა ან ყველა ორგანომ შესაბამისი სამართლებრივი სისტემის წესებისა და პოლიტიკის, ასევე ამ წესების შესაბამისად. არ არის აუცილებელი, ასეთი შემთხვევები შემოიფარგლებოდეს წვრილმანი დანაშაულებით, რაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლბას მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გადააქცევს. წესი 11.3 ითვალისწინებს, რომ მნიშვნელოვანია არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის (ან მისი მშობლის ან მეურვის) თანხმობა, თუ [სათანადო ორგანო] რეკომენდაციას უწევს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შეწყვეტას და ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებას. (სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმის შეცვლა საზოგადოებრივად სასარგებლო შრომით სამართალდამრღვევის თანხმობის გარეშე ეწინააღმდეგება იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ კონვენციას). თუმცა ასეთი თანხმობა შეიძლება გასაჩივრდეს, ვინაიდან შეიძლება იგი გამოწვეული იყოს არასრულწლოვანის სრული უიმედობით. წესის თანახმად, ყურადღება უნდა მიექცეს ამ პროცესის ნებისმიერ ეტაპზე დაშინებისა და იძულების შესაძლებლობის შემცირებას. არასრულწლოვანი არ უნდა გრძნობდეს ზეწოლას (მაგალითად, რათა თავიდან აიცილოს სასამართლოში გამოსვლა) ან არ უნდა იყოს ზეწოლის ქვეშ, რომ თანხმობა მისცეს ალტერნატიული იძულებითი ღონისძიებებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლაზე. ამრიგად, აუცილებელია, არსებობდეს დებულება, რომლითაც შეიძლება პასუხისმგებლობის შეცვლის ზომის შესახებ გადაწყვეტილების ობიექტური შეფასება "კომპეტენტური ორგანოს მიერ, გასაჩივრების შემთხვევაში". ("კომპეტენტური ორგანო" შეიძლება განსხვავდებოდეს მე-14 წესში მითითებული კომპეტენტური ორგანოსაგან). წესი 11.4 რეკომენდაციას უწევს ჩამოყალიბდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ქმედითი ალტერნატივა საზოგადოებაზე ორიენტირებული სანქციების სახით. პროგრამები, რომლებიც ითვალისწინებს სიტუაცის მოგვარებას მსხვერპლის სასარგებლოდ რესტიტუციით, ასევე რომლებიც ცდილობს მომავალში კანონსაწინააღმდეგო ქმედების თავიდან აცილებას დროებითი ზედამხედველობით ან ხელმძღვანელობით, განსაკუთრებით რეკომენდირებულია. საქმის არსებითი მხარე შეიძლება ამართლებდესს სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის შეცვლას ალტერნატიული იძულებითი ღონისძიებებით მაშინაც კი, როდესაც ჩადენილია შედარებით სერიოზული დანაშაული (მაგალითად პირველი დანაშაული, იძულებით ჩადენილი დანაშაული და ა.შ.).

## 12. პოლიციის სპეციალიზაცია

12.1 პოლიციის ოფიცრები, რომლებიც ხშირად ან ექსკლუზიურად არიან დაკავებულნი არარსულწლოვნებით ან ძირითდად ჩართულნი არიან არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების აღკვეთაში, უნდა გაიარონ სპეციალური ინსტრუქტაჟი და მოსამზადებელი კურსები მათი ფუნქციების უკეთ შესასრულებლად. დიდ ქალაქებში უნდა შეიქმნას სპეციალური პოლიციის დანაყოფები ამ მიზნით.

### *კომენტარი*

წესი 12 ყურადღებას ამახვილებს, რომ აუცილებელია სპეციალური მომზადება ყველა სამართალდამცავი თანამდებობის პირისათვის, რომლებიც ჩართული არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში. ვინაიდან პოლიცია არის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში პირველად კონტაქტში არასრულწლოვანთან, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მათი ქმდება იყოს სათანადო. მაშინ, როდესაც ურბანიზაციისა და დანაშაულის ურთიერთმიმართება აშკარად რთულია, არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდა ასოცირდება დიდი ქალაქების ზრდასთან, განსაკუთრებით კი დაჩქარებულ და დაუგეგმავ ზრდასთან. შესაბამისად, სპეციალიზებული პოლიციის დანაყოფების არსებობა აუცილებელია არა მარტო ამ დოკუმენტით გათვალისწინებული პრინიცპების დასაცავად (როგორიცაა წესი 1.6), არამედ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის გასაუმჯობესებლად და არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა სამართავად (ჰანდლინგ).

## 13. წინასწარი პატიმრობა

13.1 წინასწარი პატიმრობა გამოიყენება, როგორც უკიდურესი ზომა და შეძლებისადგვარად მოკლე დროით.

13.2 როდესაც შესაძლებელია, წინასწარი პატიმრობა შეიცვლება ალტერნატიული ღონისძიებით, როგორიცაა მუდმივი ზედამხედველობა, ინტენსიური მეურვეობა ან, ოჯახში ან სასწავლო დაწესებულებაში განთავსება.

13.3 წინასწარ პატიმრობაში მყოფ არასრულწლოვანს შეუძლია ისარგებლოს გაეროს მიერ მიღებული პატიმართა მოპყრობის მინიმალური სტანდატრული წესებით დადგენილი უფლებებითა და გარანტიებით.

13.4 წინასწარ პატიმრობაში მყოფი პირები უნდა განცალკევდნენ სრულწლოვანებისაგან და უნდა იმყოფებოდნენ ცალკე შენობაში ან იმ შენობის გამოყოფილ ნაწილში, სადაც სრულწლოვანი ინდივიდებიც არიან განთავსებულნი.

13.5 წინასწარი პატიმრობის განმავლობაში არასრულწლოვანებზე უნდა ზრუნავდნენ, ისინი უნდა იყვნენ დაცულნი და მიიღონ სათანადო ინდივიდუალური დახმარება - სოციალური, საგანმანათლებლო, პროფესიული, ფსიქოლოგიური, სამედიცინო და ფიზიკური - რაც შეიძლება აუცილებელი იყოს მათი ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით.

### *კომენტარი*

წინასწარი პატიმობისას არასრულწლოვანის "დამნაშავეობით დასნებოვნების" საშიშროება სათანადოდ უნდა იქნეს შეფასებული. სწორედ ამიტომაა აუცილებელი განსაკუთრებით აღინიშნოს ალტერნატიული ღონისძიებების აუცილებლობა. პუნქტი 13.1 აღნიშნავს რა ამ აუცილებლობას, მოუწოდებს ახალი და ინოვაციური ღონისძიებების შექმნისაკენ, რათა თავიდან იქნეს აცილებული წინასწარი პატიმრობა არასრულწლოვანის კეთილდღეობის ინტერესის გათვალისწინებით. წინასწარ პატიმრობაში მყოფი არასრულწლოვნები სარგებლობენ ყველა უფლებითა და გარანტიით, რომლებიც გათვალისწინებულია პატიმართა მოპყრობის შესახებ მინიმალური სტანდარტული წესებით, ასევე სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, განსაკუთრებით მისი მე-9 მუხლით და მე-10 მუხლის 2(ბ) და 3 პუნქტებით. წესი 13.4 არ გამორიცხავს, რომ სახელმწიფოებმა გამოიყენონ სხვა ღონისძიებები სრულწლოვანი სამართალდამრღვევების გავლენის წინააღმდეგ, რომლებიც არანაკლებ ეფექტურია, ვიდრე ამ წესებით გათვალისწინებული ღონისძიებები. დახმარების სხვადასხვა ფომრმები ჩამოთვლილია, რათა ყურადღება გამახვილდეს წინასწარ პატიმრობაში მყოფი ახალგაზრდების განსაკუთრებული მოთხოვნების მრავალფეროვნებაზე (მაგალითად ქალები ან კაცები, ნარკომანები, ალკოჰოლიკები, სულიერად ავადმყოფი არასრულწლოვანები, ახალგაზრდები, რომლებსაც აქვთ ტრავმა და ა.შ.). წინასწარ პატიმრობაში მყოფი ახალგაზრდების განსხვავებული ფსიქიკური და ფსიქოლოგიური თვისებების გათვალისწინებით ზოგიერთ მათგანს ათავსებენ განცალკევებით წინასწარი პატიმრობის განმავლობაში, რაც ხელს უწყობს მათ მსხვერპლად გადაქცევის თავიდან აცილებას და სათანადო დახმარების გაწევას. გაეროს მეექვსე კონგრესმა დანაშაულის თავიდან აცილებისა და სამართალდამრღვევთა მოპყრობის შესახებ მე-4 რეზოლუციაში, რომელიც შეეხებოდა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სტანდარტებს, განაცხადა, რომ წინასწარი დაკავება უნდა გამოიყენებოდეს, როგორც უკანასკნელი საშუალება და მცირეწლოვანები უნდა განთავსდნენ ისეთ შენობაში, სადაც ისინი არ დაექვემდებარებიან სრულწლოვანი სამართალდამრღვევების უარყოფით გავლენას; ამასთან, ყოველთვის უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული განვითარების კონკრეტული ეტაპი.

# ნაწილი სამი

## სასამართლო განხილვა და საქმის გადაწყვეტა

### 14. სასამართლო განხილვის კომპეტენტური ორგანო

14.1 როდესაც არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის საქმე არ შეწყდა (წესი 11), მის საქმეს განიხილავს კომპეტენტური ორგანო (სასამართლო, ტრიბუნალი, კოლეგია, საბჭო და ა.შ) მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლოს პრინციპების შესაბამისად.

14.2 სასამართლო განხილვა ხელსაყრელი უნდა იყოს არასრულწლოვანის ინტერესებისათვის და ჩატარდეს ისეთ ატმოსფეროში, რომ არასრულწლოვანმა თავისუფად შესძლოს მონაწილეობის მიღება და აზრის გამოხატვა.

*კომენტარი*

რთულია კომპეტენტური ორგანოს ან პირის განმარტების ფორმულირება იმგვარად, რომ უნივერსალურად განმარტოს სასამართლო განხილვის განმახორციელებელი ორგანოები. "კომპეტენტური ორგანო" მოიცავს იმათაც, ვინც თავმჯდომარეობს სასამართლოებში ან ტრიბუნალებში (რმელიც შეიძლება შდგებოდეს 1 ან რამდენიმე მოსამართლისაგან), პროფესიონალი და მომრიგებელი მაგისტრანტი მოსამართლეების, აგრეთვე ადმინისტრაციული საბჭოების (მაგალითად შოტლანდიუი და სკანდინავიური სისტემები) ჩათვლით ან სხვა არაფორმალური საზოგადოებრივი და დავების მოგვარების სააგენტოები, რომელთა მიზანია სასამართლო განხილვა. არასრულწლოვანთა საქმეების სასამართლო წესით განხილვა ყველა შემთხვევაში უნდა მიმდინარეობდეს იმ მინიმალური წესების შესაბამისად, რომლებიც უნივერსალურად გამოიყენება სისხლის სამართალდამრღვევის მიმართ და ცნობილია, როგორც "სამართლიანი სასამართლო". ამ უკანასკნელის თანახმად, მიუკერძოებელი და სამართლიანი სასამართლო მოიცავს ისეთ ძირითად გარანტიებს, როგორიცაა უდანაშაულობის პრეზუმფცია, მოწმეების გამოძახება და დაკითხვა, ზოგადი სამართლებრივი დაცვა, დუმილის უფლება, სასაართლო განხილვისას ბოლო სიტყვის თქმის უფლება, გასაჩივრების უფლება და ა.შ. (ასევე იხილეთ წესი 7.1).

### 15. ადვოკატი, მშობლები და მეურვეები

15.1 პროცესის მსვლელობისას არასრულწლოვანს უფლება აქვს, წარმოადგინოს ადვოკატმა ან მიმართოს უფასო იურიდიულ დახარებას, თუ დახმარების გაწევა გათვალისწინებულია ქვეყანაში.

15.2 მშობლებს ან მეურვეს უფლება აქვთ მონაწილეობა მიღონ პროცესის მსვლელობისას და კოპეტენტურ ორგანოს შეუძლია მოითხოვოს მათი დასწრება არასრულწლოვანის ინტერესების გათვალისწინებით. თუმცა, კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება უარი უთხრას მათ მონაწილეობაზე, თუ არსებობს საფუძველი ვარაუდისათვის, რომ ეს აუცილებელია არასრულწლოვანის ინტერესებისათვის.

*კომენტარი*

15.1 წესის ტერმინოლოგია ემთხვევა პატიმართა მოპყრობის შესახებ მინიმალური სტანდარტული წესების 93-ე წესს. ადვოკატი და უფასო იურიდიული დამხარება აუცილებელია არასრულწლოვანისათვის იურიდიული დახარების გასაწევად, ხოლო 15.2 პუნქტის თანახმად მშობლებისა და მეურვეების მონაწილობის უფლება განიხილება არასრულწლოვანისათვის ფსიქოლოგიურ და ემოციურ დახარებად - ფუნქციად, რომელიც ვრცელდება მთელი საართალწარმოების განმავლობაში. კომპეტენტური ორგანოს მცდელობა, სათანადოდ გადაწყვიტოს საქე, წარმატებით დაგვირგვინდება არარსრულწლოვანის ადვოკატთან (ან სხვა პირად დამხმარესთან, რომელსაც არასრულწლოვანი ენდობა) თანამშრომლობით. ასეთი მოსაზრების გაქარწყლება შესაძლებელია, თუ მშობლის ან მეურვის დასწრება სასამართლო პროცესზე უარყოფით როლს ასრულებს, მაგალითად, ისინი მტრულად არიან განწყობილნი არასრულწლოვანის მიმართ; შესაბამისად, უნდა არსებობდეს მათთვის დასწრების უფლების შეზღუვის შესაძლებლობა.

## 16. სოციალური მოკვლევის შესახებ ანგარიშები

16.1 ყველა შემთხვევაში, უმნიშვნელო დანაშაულების გამოკლებით, კომპეტენტური ორგანოს მიერ განაჩენის გამოტანის წინსმწრები საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი არასრულწლოვანის ცხოვრების პირობები, რომელშიც ჩაიდინა სამართალდარღვევა, რათა ხელი შეეწყოს კომპეტენტური ორგანოს მიერ გონივრული გადაწყვეტილების მიღებას.

### *კომენტარი*

სოციალური მოკვლევის შესახებ ანგარიშები (სოციალური ანგარიშები ან სასჯელის გამოტანამდე ანგარიშები) წარმოადგენს სავალდებულო დახმარების ფორმას არასრულწლოვანებთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საქმეზე. კომპეტენტრ ორგანოს უნდა აცნობონ არასრულწლოვანის შესახებ სათანადო ფაქტები, როგორიცაა სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, კარიერა სკოლაში, საგანმანათლებლო გამოცდილება და ა.შ. ამ მიზნისათვის, ზოგიერთ იურისიდიქციაში იყენებენ სპეციალურ სოციალურ სერვისს ან სასამართლოსთან ან კოლეგიასთან არსებულ პერსონალს. სხვა პერსონალმა, პრობაციის ოფიცრების ჩათვლით, შეიძლება შეასრულოს იგივე ფუნქცია. შესაბამისად, წესი მოითხოვს, რომ არსებობდეს სათანადო სოციალური სამსახური კვალიფიციური სოციალური ანგარიშების მოსამსადებლად.

## 17. სახელმძღვანელო პრინციპები სასამართლო განხილვისას და გადაწყვეტილების გამოტანისას

17.1 კომპეტენტური ორგანოს გადაწყვტილება უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

(ა) ზემოქმედების ზომა ყოველთვის უნდა იყოს არ მარტო სამართალდარღვევის სიმძიმისა და გარემოებების პროპორციული, არამედ ასევე არასრულწლოვანის მდგომარეობისა და მოთხოვნების, ასევე სზოგადოების მოთხოვნების პროპორცული;

(ბ) არასრულწლოვანის პირადი თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დაწვრილებით განხილვის შედეგ და უნდა შემოიფარგლოს შესაძლო მინიმუმით;

(გ) პირადი თავისუფლების შეზღუდვა არ გამოიყენება, თუ არასრულწლოვანს არ ასამართლებენ სერიოზული ქმედებისათვის სხვა პირის მიმართ ძალადობით ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევების არაერთჯერადი ჩადენისათვის და თუ არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმდების ღონისძიება.

(დ) არასრულწოვანის კეთილდღეობა არის გადამწყვეტი ფაქტორი მისი საქმის განხილვისას.

17.2 სიკვდილით დასჯა არ გამოიყენება არასრულწლოვანის მიერ ნებისმირი დანაშაულის ჩადენისას.

17.3 არასრულწლოვანის მიმართ არ შეიძლება ფიზიკური დასჯის გამოყენება.

17.4 კომპეტენტურ ორგანოს უნდა ჰქონდეს უფლება ნებისმიერ დროს შეწყვიტოს სასამართლო განხილვა.

### *კომენტარი*

არასრულწლოვანის საქმის სასამართლო წესით განხილვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებისას ძირითადი პრობლემა არის ის, რომ არსებობს ფილოსოფიური ხასიათის გადაუჭრელი წინაღმდეგობები, როგორიცაა:

(ა) რეაბილიტაცია სამართლიანი მიდგომის წინააღმდეგ;

(ბ) დახმარება რეპრესიებისა და დასჯის წინაღმდეგ;

(გ) რეაგირების მოხდენა კონკრეტული საქმის არსებითი მხარის გათვალისწინებით vs. რეაგირებისა, რომლის მიზანია მთლიანად საზოგადოების დაცვა;

(დ) ზოგადი შეკავება პირადი შეკავების წინააღდეგ.

კონფლიქტი ამ მიდგომებს შორის უფრო მნიშვნელოვანია არასრულწლოვანის საქმეებზე, ვიდრე სრულწლოვანთა საქმეებზე. არასრულწლოვანთა საქმეების დამახასიათებელი უამრავი მზეზისა და რეაგირების გათვალისწინებით ეს ალტერნატივები ერთმანეთში მეტად ძლიერაა გადახლართული. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულები განხორციელების მინიმალური სტანდარტული წესების ფუნქცია არ არის იმის განსაზღვრა, თუ რომელი მიდგომა უნდა იქნეს გამოყენებული, არამედ მისი ფუნქციაა დააადგინოს ერთ-ერთი მათგანი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება საერთაშორისო დონეზე აღიარებულ პრინციპებს. შესაბამისად 17.1 წესში ჩამოყალიბებული ძირითადი ელემენტები, განსაკუთრებით (ა) და (გ) ქვეპუნქტებში ჩამოყალიბებული პრინციპები უნდა განიმარტოს, როგორც ძირითადი საწყისი წერტილი; თუ კომპეტენტური ორგანოები სათანადო ყურადღებას დაუთმობენ (ასევე იხილეთ წესი 5), ისინი მნიშვნელოვნად უზრუნველყოფენ არასრულწლოვანი სამართალდარღვევების უფლებების დაცვას, განსაკუთრებით პირადი განვითარებისა და განათლების ძირითად უფლებას. წესი 17.1(ბ) გულისხმობს, რომ განხურელად დამსჯელობითი ხასიათის მიდგომა არ არის გამართლებული. სრულწლოვანთა საქმეებზე, ასევე არასრულწლოვანთა მიერ სერიოზული სამართალდარღვევის ჩადენისას სამართლიანი მიდგომას და დამსჯელობითი სანქციების გამოყენებას აქვს გარკვეული მნიშვნელობა, ხოლო არასრულწლოვანთა საქმეებზე ასეთი მოსაზრებას ყოველთვის გადაწონის ახალგაზრდა ადამიანის კეთილდღეობისა და მომავლის უზუნველყოფის ინტერესი. გაეროს მეექვსე კონგრესის მე-8 რეზოლუციის მსგავსად, წესი 17.1(ბ) წაახალისებს პატიმრობის ალტერნატიული ღონისძიებების გამოყენებას შეძლებისდაგვარად ბევრ საქმეზე ახალგაზრდების სპეციფიკური მოთხოვნების გათვალისწინებით. ამრიგად სრულად უნდა გამოიყენებოდეს არსებული ალტერნატიული სანქციები და უნდა შეიქმნას ახალი სანქციები საზოგადოების უსაფრთხოების გათვალისწინებით. პრობაცია უნდა გამოიყენებოდეს შეძლებისდაგვარად ხშირად, კერძოდ პირობითი მსჯავრი, კოლეგიის ბრძანებები და სხვა გადაწყვეტილებები. წესი 17.1(გ) შეესაბამება მეექვსე კონგრესის მე-4 რეზოლუციის ძირითად პრინციპებს, რომლის მიზანია არასრულწლოვანთა ციხეში ჩასმის თავიდან აცილება გარდა იმ შემთხვევებისა, თუ არ არსებობს რეაგირების სხვა ფორმა საზოგადოების უსაფრთხოების დასაცავად. 17.2 წესის დებულება არასრულწლოვანთა მიმართ სიკვდილის დასჯის გაუქმების შესახებ შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6 მუხლის მე-5 პუნქტს. ფიზიკური დასჯის აკრძალვის შესახებ დებულება შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-7 მუხლს და წამებისაგან და სხვა სასტიკი, არაჰუმანური ან დამამცირებელი მოპყრობისაგან ყველა ადამიანის დაცვის შესახებ დეკლარაციას, ასევე წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის წინააღმდეგ კონვენციას და ბავშვების უფლებების შესახებ კონვენციის პროექტს. ნებისმიერ ეტაპზე საქმის წარმოების შეწყვეტის უფლებამოსილება (წესი 17.4) დამახასიათებელია არასრულწლოვანთა საქმეებისათვის სრულწლოვანთა საქმეებისაგან განსხვავებით. ნებისმიერ დროს კომპეტენტურმა ორგანომ შეიძლება მოიპოვოს ინფორმაცია ისეთი გარემოების შესახებ, რომლის საფუძველზეც ჩარევის შეწყვეტა საქმის ყველაზე მართებული მოგვარება იქნება.

## 18. გადაწყვეტილების სხვადასხვა ღონისძიება

18.1 მეტი მოქნილობისა და გამოსასწორებელ დაწესებულებაში განთავსების შეძლებისდაგვარად თავიდან აცილების მიზნით კომპეტენტურ ორგანოს უნდა გააჩნდეს სხვადასხვა ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. ასეთი ღონისძიებები, რომელთაგან ზოგიერთი შეიძლება ერთად იქნეს გამოენებული, მოიცავს:

(ა) ბრძანება მეურვეობის, ხელმძღვანელობისა და ზედამხედველბის შესახებ;

(ბ) პრობაცია;

(გ) ბრძანება საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შესახებ;

(დ) ფინანსური სასჯელები, კომპენსაცია და რესტიტუცია;

(ე) შუალედური ან სხვაგვარი მკურნალობის შესახებ ბრძანება;

(ვ) ჯგუფური ფსიქოთეაპიისა და მსგავს ღონისძიებებში მონაწილეობის შესახებ ბრძანება;

(ზ) ბრძანება სამეურვეოდ გადაცემის, საცხოვრებელი გარემოსა და სხვა საგანმანათლებლო ღონისძიებების შესახებ;

(თ) სხვა სათანადო ბრძანებები.

18.2 არც ერთი არასრულწლოვანი არ შეიძლება მოაცილონ მშობლების ნაწილობრივ ან სრულ მზრუნველობას, თუ ეს არ არის აუცილებელი კონკრეტული საქმის გარემოებებით.

**კომენტარი**

წესი 18.1 ჩამოთვლის ზოგიერთ მნიშვნელოვან იძულების ფორმას და სანქციას, რომლებიც წარმატებით გამოიყენება სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში. მთლიანობაში ისინი წარმოადენენ მოსაზრებებს, რომლებიც საჭიროებს შემდგომ კომენტირებასა და განვითარებას. წესი არ ჩამოთვლის კადრებით დაკომპლექტების მოთხოვნებს, ვინაიდან ზოგიერთ რეგიონში არსებობს კადრების სიმცირე. ასეთ რეგიონებში კადრების სიმცირესთან დაკავშირებული ღონისძიებები უნდა გადაიხედოს და განვითარდეს. 18.1 წესში მოცემულ მაგალითებს საერთო აქვთ ის, რომ ისინი ყველა დამოკიდებულია საზოგადოებაზე ალტერნატიული გადაწყვეტილებების ეფექტურად განსახორციელებლად. საზოგადოებაზე დამყარებული გამოსაწორება ტრადიციული ღონისძიებაა, რომელიც გამოიყენება ბევრ ასპექტში. ამის გამო, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ საზოგადოებაზე ორიენტირებული ღონისძიებები. წესი 18.2 აღნიშნავს ოჯახის მნიშვნელობას, რომელიც ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად არის “საზოგადოების ბუნებრივი და ძირითადი ჯგუფური ერთეული”. ოჯახში მშობლებს აქვთ არა მარტო უფლებები, არამედ მოვალეობაც, იზრუნონ და ზედამხედველობა გაუწიონ ბავშვებს. ამიტომაც წესი 18.2 ადგენს, რომ მშობლებისაგან განცალკევება არის უკიდურესი ზომა. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ მაშინ, როდესაც საქმის გარემოებები მოითხოვს ამ მძიმე ნაბიჯის გადადგმას (მაგალითად ბავშვის არამართლზომიერდ მოპყრობა).

## 19. დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსების შეძლებისდაგვარად იშვითი გამოყენება

19.1 არასრულწლოვანის მოთავსება დახურული ტიპის დაწესებულებაში უნდა იყოს უკიდურესი ღონისძიება და მინიმალური აუცილებელი დროის განმავლობაში.

**კომენტარი**

პროგრესული კრიმინოლოგია მხარს უჭერს არაინსტიტუციონალურ მოპყრობას ინსტიტუციონალურთან შედარებით. დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებისას წარატება ან არ არის ან ძალიან უმნიშვნელოა განსაკუთრებით არაინსტიტუციონალიზაციასთან შედარებით. ინსტიტუციონალიზებულ დაწესებულებაში განთავსებულ პირზე არაპირდაპირი უარყოფითი გავლენა, რომლის თავიდან აცილება შეიძლებელია, ვერ გამოსწორდება მკურნალობის საშუალებით. ეს განსაკუთრებით შეეხება არასრულწლოვანებს, რომლებიც უარყოფითი გავლენის მიმართ მოწყვლადები არიან. უფრო მეტიც, არა მარტო თავისუფლების შეზღუდვა, არამედ ჩვეული სოციალური გარემოსგან განცალკევება უფრო მწვავეა არასრულწლოვანთათვის ვიდრე სრულწლოვანთათვის, ვინაიდან ისინი განვითარების ადრეულ ეტაპზე არიან. მე-19 წესის მიზანია ინსტიტუციონალიზაციის შეზღუდვა ორი მიმართულებით: რაოდენობრივად (“უკიდურესი ზომა) და დროში (“მინიმალურად აუცილებელი დრო”). მე-19 წესი ასახავს მეექვსე გაეროს კონგრესის მე-4 რეზოლუციის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს: არ შეიძლება არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის დაპატიმრება გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არ არსებობს სხვა შესაბამისი ღონისძიება. ამიტომაც წესი აკონკრეტებს, რომ თუ არასრულწლოვანი დაპატიმრებულია, თავისუფლების დაკარგვა უნდა შეიზღუდოს შეძლებისდაგვარად ნაკლებად სპეციალურ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, სადაც მხედველობაშია მიღებული სამართალდამრღვევის, სამართალდარღვევისა და დაწესებულების განსხვავებანი. ფაქტიურად უპირატესობა უნდა მიენიჭოს “ღია ტიპის” დაწესებულებებს “დახურული ტიპის” დაწესებულებებთან შედარებით. უფრო მეტიც, თითოეული მათგანი უნდა იყოს გამასწორებელი ან საგანმანათლებლო ხასიათის და არა ციხის ტიპის.

## 20. გაუმართლებელი დაყოვნების თავიდან აცილება

20.1 ყველა საქმე დასაწყისიდანვე უნდა განიხილებოდეს დაჩქარებულად ყოველგვარი გაუმართლებელი დაყოვნების გარეშე

*კომენტარი*

არასრულწლოვანთა საქმეების დაჩქარებული განხილვა მნიშვნელოვანი საკითხია. სხვაგვარად პროცესის დადებითი შედეგები და გადაწყვეტილება რისკის ქვეშ დგება. დროის გასვლასთან ერთად არასრულწლოვანისათვის უფრო და უფრო ძნელი ხდება, თუ მთლად შეუძლებელი არა პროცესისა და გადაწყვეტილების დაკავშირება სამართალდარღვევასთან როგორც ინტელექტუალურ, ისე ფსიქოლოგიურ დონეზე.

## 21. დოსიე (ოქმები)

21.1 არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა დოსიე უნდა ინახებოდეს სრულიად საიდუმლოდ და დახურული იყოს მესამე მხარეებისათვის. მასალების ხელმისაწვდომობა უნდა შემოიფარგლოს იმ პირებით, რომელთაც პირდაპირ ეხებათ საქმეზე გადაწყვეტილება ან სათანადოდ უფლებამოსილ პირებს.

21.2 არასრულწლოვან სამართალდამრღვევების შესახებ არსებული მასალები არ გამოიყენება სრულწლოვანთა საქმეების, ან თავად ამ სამართალდამრღვევებთან დაკავშირებული საქმეების განხილვისას.

*კომენტარი*

წესი ცდილობს დაადგინოს ბალანსი ჩანაწერთან ან დოსიესთან დაკავშირებულ წინააღმდეგობრივ ინტერესებს შორის: პოლიციის, პროკურატურის ან სხვა ორგანოების ინტერესი კონტროლის გაძლიერებასთან დაკავშირებით არასრულწლოვანი სამართალდამრღვევის ინტერესის წინააღმდეგ. (ასევე იხილე წესი 8.) “სხვა უფლბამოსილი პირები” ასევე მოიცავს მკვლევარებს.

## 22. პროფესიონალიზმისა და მომზადების (ტრეინინგის) აუცილებლობა

22.1 პროფესიული განათლება, მუშაობის პროცესში სწავლება, კვალიფიკაციის ამაღლევა და ინსტრუქტაჟის სხვა სატანადო მოდელები გამოიყენება არასრულწლოვანთა საქმეების განმხილველი მთელი პერსონალის სათანადი პროფესიული კომპეტენტურობის უზრუნველყოფისა და შენარჩუნებისათვის.

22.2 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პერსონალი უნდა აირჩეს იმ არასრულწლოვანთა მრავალფეროვნების გათვალისწინებით, რომლებიც უშუალო კონტაქტში არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემასთან. ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იმისკენ, რომ ქალები და უმცირესობები სამართლიანად იყვნენ წარმოდგენილნი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორგანოებში.

*კომენტარი*

საქმის გადაწყვეტის უფლებამოსილების მქონე პირებს შეიძლება გააჩნდეს განსხვავებული წარსული (გაერთიანებულ სამეფოსა და ჩრდილოეთ ირლანდიაში და რეგიონებში მაგისტრატი მოსამართლეები არიან საერთო სამართლის გავლენის ქვეშ; რომანული სამართლის ქვეყნებში იურიდიული განათლების მქონე მოსამართლეები; ან არჩეული ან დანიშნული მომრიგებელი ან ნაფიცი მსაჯული, საზოგადოებრივი საბჭოების წევრები და ა.შ.). ყველა ამ პირისათვის აუცილებელია მინიალური მომზადება სამართალში, სოციოლოგიაში, ფსიქოლოგიაში, კრიმინოლოგიასა და ქმედების მეცნიერებაში. ეს ითვლება ისევე მნიშვნელოვნად, როგორც კომპეტენტური ორგანოს ორგანიზაციული სპეციალი-

ზაცია და დაოუკიდებლობა. არ არის გამართლებული, რომ სოციალურ მუშაკებისა და პრობაციის ოფიცრებისათვის აუცილებელი მოთხოვნა იყოს პროფესიული სპეციალიზაცია, როგორც არასრულწლოვანთა საქმეების გაძღოლის წინაპირობა. ამრიგად, პროფესიული მომზადება სამსახურში არის მინიმალური მოთხოვნა. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების მიუკერძოებელი და ეფექტური ადმინისტრირების აუცილებელი ელემენტია პროფესიული კვალიფიკაცია. შესაბამისად, აუცილებელია პერსონალის არჩევის, დაწინაურებისა და პროფესიული მომზადების გაუმჯობესება და მათთვის ყველა საშუალების გადაცემა, რათა შესძლონ დაკისრებული ფუნქციების სათანადოდ შესრულება. პოლიტიკური, სოციალური, სექსუალური, რასობრივი, რელიგიური, კულტურული ან სხვა სახის დისკრიმინაცია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პერსონალის არჩევის, დანიშვნის და დაწინაურებისას თავიდან უნდა იქნეს აცილებული, რათა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირება განხორციელდეს მიუკერძოებლად. მეექვსე კონგრესმაც გასწია რეკომენდაცია აღნიშნულის შესახებ. გარდა ამისა, მეექვსე კონგრესმა მოუწოდა წევს სახელმწიფოებს, უზრუნველყონ სამართლიანი და თანაბარი მოპყრობა ქალების მიმართ, როგორც სისხლის სამართალწარმოების მონაწილეების იმართ, და რეკომენდაცია გასცა, რომ სპეციალური ზომები უნდა იქნეს მიღებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში ქალებით დასაქმების, მომზადებისა და დაწინაურების ხელშესაწყობად.

## ნაწილი ოთხი

### არაინსტიტუციონალური მოპყრობა

#### 23. გადაწყვეტილების ეფექტური შესრულება

23.1 სათანადო დებულებები უნდა შემუშავდეს, კომპეტენტური ორგანოს ან სხვა ორგანოს მიერ 14.1 წესში მითითებული ბრძანებების შესასრულებლად გარემოებების შესაბამისად.

23.2 ასეთი დებულებები უნდა ითვალისწინებდეს ბრძანების შეცვლის უფლებას, თუ კომპეტენტური ორგანო აუცილებლად მიიჩნევს, თუ ასეთი ცვლილება განხორციელდება ამ წესებში განმტკიცებული პრინციპების შესაბამისად.

#### *კომენტარი*

არასრულწლოვანთა საქმეებზე გადაწყვეტილებები უფრო მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამართალდამრღვევის სიცოცხლის ხანგრძლივ პერიოდზე, ვიდრე სრულწლოვანთა საქმეებზე. ამრიგად, მნიშვნელოვანია რომ გადაწყვეტილების აღსრულებაზე ზედამხედველობას ახორციელებდეს კომპეტენტური ორგანო ან დამოუკიდებელი ორგანო (შეწყალების კომისია, პრობაციის ოფისი, ახალგაზრდების კეთილდღეობის ინსტიტუტები და სხვა), რომელთა კვალიფიკაცია უტოლდება გადაწყვეტილების გამომტანი კომპეტენტური ორგანოს მომზადებას. ზოგიერთ ქვეყანაში ჯუგე დე ლ'ეხღცუტიონ დეს პეინეს იქნა შემოღებული ამ მიზნით. ორგანოს შემადგენლობა, უფლებამოსილება და ფუნქციები უნდა იყოს მოქნილი, რაც ზოგადად აღწერილია 23-ე წესში ფართო მხარდაწერის მოსაპოვებლად.

#### 24. აუცილებელი მხარდაჭერის მიწოდება (უზრუნველყოფა)

24.1 საქმის წარმოების ყველა ეტაპზე არასრულწლოვანებს უნდა გაეწიოთ აუცილებელი დახმარება, როგორიცაა საცხოვრებელი ფართი, საგანმანათლებლო ან პროფესიული მომზადება, დასაქმება ან სხვაგვარი პრაქტიკული და სასარგებლო დახმარება რაბილიტაციის პროცესის ხელშესაწყობად.

*კომენტარი*

არასრულწლოვანის კეთილდღეობის ხელშეწყობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. ამრიგად, 24-ე წესი მოითხოვს აუცილებელი ნაგებობების არსებობას, მომსახურებისა და სხვა საჭირო დახმარების გაწევას, რაც შეიძლება ყველაზე უკეთ შეესაბამებოდეს არასრულწლოვანის ინტერესებს მთლიანად რეაბილიტაციის პროცესის განმავლობაში

### 25. მოხალისეებისა და სხვა საზოგადოებრივი სამსახურების მობილიზაცია

25.1 უნდა მოხდეს მოხალისეების, მოხალისე ორგანიზაციების, ადგილობრივი ინსტიტუტების ან სხვა საზოგადოებრივი რესურსების მობილიზაცია, რათა ხელი შეუწყონ არასრულწლოვანის რეაბილიტაციას საზოგადოებაში და თუ შესაძლებელია ოჯახში.

*კომენტარი*

ეს წესი ასახავს, რომ არასრულწლოვანთან გაწეული ყველა სამუშაო მისი რეაბილიტაციისაკენ უნდა იყოს მიმართული. კომპეტენტური ორგანოს დირექტივების ეფექტურად განსახორციელებლად საზოგადოებასთან თანამშრომლობა აუცილებელია. მოხალისეები და მოხალისე სამსახურები წარმოდგენს მნიშვნელოვან რესურსს, თუმცა მათი გამოყენება იშვიათად ხდება. ზოგიერთ შემთხვევაში თანამშრომლობა ყოფილ სამართალდამრღვევებთან (ყოფილი ნარკომანების ჩათვლით) შეიძლება მნიშვნელოვანი დახმარება იყოს. წესი 25 გამომდინარეობს 1.1 და 1.6 წესებში ჩამოყალიბებული პრინციპებიდან და იმეორებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის შესაბამის დებულებებს.

## ნაწილი ხუთი

ინსტიტუციონალური მოპყრობა

### 26. ინსტიტუციონალური მოპყრობის მიზნები

26.1 დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვანის მომზადებისა და მოპყრობის მიზანია მეურვეობის, დაცვის, განათლებისა და პროფესიული უნარების უზრუნველყოფა მათთვის საზოგადოებაში სოციალურად სასარგებლო და ნაყოფიერი როლის შესრულებაში დახმარების გაწევის მიზნით.

26.2 დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვანები მიიღებენ მზრუნველობას, დაცვასა და საჭირო დახმარებას - სოციალურს, საგანმანათლებლო, პროფესიულ, ფსიქოლოგიურ, სამედიცინო და ფიზიკურს - რაც შეიძლება აუცილებელი იყოს მათი ასაკის, სქესისა და პიროვნების გათვალისწინებით, აგრეთვე მათი სრულყოფილი განვითარების ინტერესების შესაბამისად.

26.3. არასრულწლოვანები ინსტიტუტში უნდა გამოცალკევდნენ სრულწლოვანთაგან და განთავსდნენ ცალკე დაწესებულებაში ან იმ დაწესებულების გამოყოფილ ნაწილში, სადაც სრულწლოვანებიც არიან.

26.4 ინსტიტუტში განთავსებული ახალგაზრდა სამართალდამრღვევ ქალებს უნდა მიექცეთ განსაკუთრებული ყურადღება მათი პირადი საჭიროებებისა და პრობლემების გათვალისწინებით. მათ არ უნდა მიიღონ იმაზე ნაკლები მზრუნველობა, დაცვა, დახმარება, მკურნალობა და მომზადება, ვიდრე ახალგაზრდა სამართალდამრღვევმა კაცებმა. სამართლიანი მოპყრობა მათ მიმართ იქნება უზრუნველყოფილი.

26.5 დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვანის ინტერესებისა და კეთილდღეობის გათვალისწინებით მშობლებსა და მეურვეებს უნდა ჰქონდეთ ნახვის უფლება.

26.6 სამინისტროთაშორისი და უწყებათაშორისი თანამშრომლობა უნდა განვითარდეს, რათა ხელი შეუწყოს დაკავებული არასრულწლოვანის სათანადო აკადემიური ან სადაც შესაძლებელია პროფესიულ მომზადებას, რათა დაკავების ადგილის დატოვებისას მათ არ ჰქონდეთ განათლებასთან დაკავშირებული პრობლემები.

*კომენტარი*

ინსტიტუციონალური მოპყრობის მიზნები, რომლებიც ჩამოთვლილია 26.1 და 26.2 წესებში მისაღებია ნებისმიერი სისტემისა და კულტურისათვის. თუმცა ეს მიზნები არ არის განხორციელებული ყველგან და უფრო მეტი უნდა გაკეთდეს მათ მისაღწევად. სამედიცინო და ფსიქოლოგიური დახმარება განსაკუთრებით ნიშვნელოვანია დაწესებულებაში განთავსებული ნარკომანებისათვის, მოძალადე და ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისათვის. სრულწლოვანი სამართალდამრღვევების უარყოფითი გავლენის თავიდან აცილება და არასრულწლოვანთა კეთილდღეობის დაცვა დაწესებულების პირობებში, რომელსაც ითვალისწინებს წესი 26.3, სრულად შეესაბამება მეექვსე კონგრესის მე-4 რეზოლუციის ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელო პრინციპს. წესები არ უკრძალავს სახელმწიფოებს, გამოიყენონ სრულწლოვან სამართალდამრღვევთა გავლენის თავიდან ასაცილებლად სხვა ღონისძიებები, რომლებიც ისეთივე ეფექტურია, როგორც წესებით გათვალისწინებული ღონისძიებები. (ასევე იხილეთ წესი 13.4). წესი 26.4 შეეხება იმ ფაქტს, რომ ქალი სამართალდამრღვევების მიმართ იჩენენ ნაკლებ ყურადღებას ვიდრე მამაკაცი სამართალდამრღვევების მიმართ, როგორც აღნიშნა მეექვსე კონგრესმა. კერძოდ მეექვსე კონგერსის მე-9 რეზოლუცია ითვალისწინებს სამართალდამრღვევი ქალებისათვის სამართლიან მოპყრობას სისხლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე და მოუწოდებს, განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს მათ მოთხოვნებსა და პრობლემებს თავისუფლების აღკვეთის პერიოდში. უფრო მეტიც, ეს წესი უნდა განიხილებოდეს მეექვსე კონგრესის კარაკასის ხელშეკრულებასთან ერთად, რომელიც inter alia, ითვალისწინებს სისხლის სამართალწარმოებისას თანაბარ მოპყრობას; ასევე ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ დეკლარაციისა და ქალების წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციასთან ერთად. ნახვის უფლება (წესი 26.5) გამომდინარეობს 7.1, 10.1, 15.2 და 18.2 წესებიდან. უწყებათაშორისი თანამშრომლობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ინსტიტუციონალური მოპყრობისა და მომზადების ხარისხის გასაუმჯობესებლად.

## 27. გაეროს მიერ მიღებული პატიმრების მოპყრობის მინიმალური სტანდარტული წესების გამოყენება

27.1 პატიმრების მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები და მასთან დაკავშირებული რეკომენდაციები მიზანშეწონილობიდან გამომდინარე გამოიყენება დაწესებულებაში განთავსებული არასრულწლოვანი სამართალდამრღვევების, მათ შორის წინასწარ პატიმრობაში მყოფთა მიმართ.

27.2 ძალისხმევა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ პატიმრების მოპყრობის სტანდარტულ მინიმალურ წესებში ჩამოყალიბებული პრინციპების გამოყენება მოხდეს იმგვარად, რომ პასუხობდეს არასრულწლოვანთა განსხვავებულ მოთხოვნებს, რაც დამახასიათებელია მათი ასაკისათვის, სქესისათვის და პიროვნებისათვის.

*კომენტარი*

პატიმრების მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები ერთ-ერთი პირველი დოკუმენტია, რომელიც გაერომ ამ სფეროში მიიღო. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მისი გავლენა მსოფლიო დონისაა. მართალია კიდევ არსებობენ სახელმწიფოები, სადაც ამ წესების შესრულება უფრო მეტად მისწრაფებაა, ვიდრე ფაქტი, მიუხედავად ამისა სტანდარტული მინიმალური წესები კვლავ ახდენს მნიშვნელოვან გავლენას გამოსასწორებელი დაწესებულებების ჰუმანური და სამართლიან ადმინი-

სტრირებაზე. დაწესებულებაში მყოფი არასრულწლოვანის დაცვის მექანიზმები განმტკიცებულია პატიმრების მოპყრობის სტანდარტულ მინიმალურ წესებში (საცხოვრებელი, არქიტექტურა, ლოგინი, ჩაცმა, საჩივრები და თხოვნები, კონტაქტი გარესამყაროსთან, საკვები, სამედიცინო მომსახურება, ღვთისმსახურება, ასაკობრივი დაყოფა, პერსონალის დაკომპლექტება, მუშაობა და ა.შ), რომელშიც ასევე არის დებულებები დასჯისა და დისციპლინის შესახებ და შეზღუდვები საშიშ სამართალდამრღვევებზე. არ არის მიზანშეწონილი მოხდეს ამ სტანდარტული მინიმალური წესების შეცვლა არასრულწლოვან სამართალდამრღვევთა დაწესებულებების თავისებურებების გათVალისწინებით არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების სტანდარტულ მინიმალურ წესებში. წესი 27 ყურადღებას ამახვილებს არასრულწლოვანთა დაწესებულებებისათვის აუცილებელ მოთხოვნებზე (წესი 27.1), ასევე მათი ასაკიდან, სქესიდან და პიროვნებიდან გამომდინარე განსხვავებულ მოთხოვნებზე (27.2). ამრიგად, წესის მიზანი და შინაარსი დაკავშირებულია პატიმრების მოპყრობის სტანდარტულ მინიმალურ წესებთან.

### 28. პირობით განთავისუფლების ხშირი და ადრეულ ეტაპზე გამოყენება

28.1 ხელისუფლების ორგანო შეძლებისდაგვარად ხშირად შეუფარდებს დაწესებულებიდან პირობით გათავისუფლება, რომელიც გამოიყენება ასევე შეძლებისდაგვარად ადრეულ ეტაპზე.

28.2 სათანადო ხელისუფლების ორგანო დახმარებასა და ზედამხედველობას გაუწევს დაწესებულებიდან პირობით განთავისუფლებულ არასრულწლოვანს, რომელმაც უნდა მიიღოს საზოგადოების სრული მხარდაჭერაც.

#### *კომენტარი*

პირობით განთავისუფლების უფლებამოსილება შეიძლება გააჩნდეს 14.1 წესში მითითებულ კომპეტენტურ ორგანოს ან რომელიმე სხვა ორგანოს. სწორედ ამიტომ, მართებულია მითითება მოხდეს “სათანადო” და არა “კომპეტენტურ” ორგანოზე. თუ გარემოებები ამის საშუალებას იძლევა, პირობით გათავისუფლებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სასჯელის სრულ მოხდასთან შედარებით. თუ არსებობს რეაბილიტაციის დამაკმაყოფილებელი პროგრესის მტკიცებულება, თვით ის სამართალდამრღვევებიც კი, რომლებიც საშიშად იქნენ მიჩნეულნი დაწესებულებაში განთავსების დროს, შეიძლება განთავისუფლდნენ. პრობაციის მსგავსად, ასეთ განთავისუფლებას პირობად შეიძლება დაედოს სათანადო ორგაოს მიერ განსაზღვრული პირობების დამაკმაყოფილებელი შესრულება გადაწყვეტილებაში განსაზღვრული დროის განმავლობაში, მაგალითად სამართალდამრღვევის “კარგად მოქცევასთან” დაკავშირებით, საზოგადოებრივი პროგრამების დასწრება, “შუა გზაზე მდებარე სახლებში”** ცხოვრებ და ა.შ. დაწესებულებიდან სამართალდამრღვევის პირობით განთავისუფლების შემთხვევაში პრობაციის ან სხვა (განსაკუთრებით იქ, სადაც პრობაციის სამსახური არ არის შემოღებული) ოფიცერმა უნდა გაუწიოს დახმარება და ზედამხედველობა და უნდა მოხდეს საზოგადოებრივი მხარდაჭერის ხელშეწყობა.

### 29. შერეული ტიპის დაწესებულებები

29.1 ძალისხმევა უნდა იყოს მიმართული იმისაკენ, რომ შეიქმნას შერეული ტიპის დაწესებულებები, როგორიცაა დროებითი თავშესაფრები, საგანმანათლებლო სახლები, დღის მომზადების ცენტრები და სხვა მსგავსი სათანადო დაწესებულებები, რომლებმაც შეიძლება არასრულწლოვანებს ხელი შეუწყოს საზოგადოებაში სრულყოფილ ინტეგრაციაში.

#### *კომენტარი*

სათანადოდ უნდა იქნეს შეფასებული დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომი ზრუნვის მნიშვნელობა. ეს წესი აღნიშნავს შერეული ტიპის დაწესებულებების შექმნის აუცილებლობას. ეს წესი

---

** სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის დაწესებულება.

ასევე აღნიშნავს, რომ აუცილებელია დაწესებულებათა და მომსახურების სხვადასხვა სახეობა, რათა შეესაბამებოდეს არასრულწლოვანთა მრავალფეროვან მოთხოვნებს და გაუწიოს ხელმძღვანელობა და დახმარება საზოგადოებაში წარატებული რეინტეგრაციის პროცესში.

## ნაწილი ექვსი

### კვლევა, დაგეგმვა, პოლიტიკის ფორმულირება და შეფასება

### 30. გამოკვლევა, როგორც დაგეგმვის, პოლიტიკის ფორმირებისა და შეფასების საფუძვლი

30.1 ძალისხმევა უნდა დაეთმოს აუცილებელი გამოკვლევის ორგანიზებასა და ხელშეწყობას, რომელიც წარმოადგენს ეფექტური დაგეგმვისა და პოლიტიკის ფორმულირების საფუძველს.

30.2 ძალისხმევა უნდა დაეთმოს არასრულწლოვანთა გადაცდომებისა და დანაშაულის მიმართულებების, პრობლემებისა და მიზეზების, ასევე თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნების განსხვავებული მოთხოვნების პერიოდულ შესწავლასა და შეფასებას.

30.3 ძალისხმევა უნდა იქნეს მიმართული, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის ადმინისტრირების ფარგლებში შეიქმნა მუდმივი შეფასებითი გამოკვლევის მექანიზმი და შეგროვდეს და გაანალიზდეს სათანადო მონაცემები და ინფორმაცია ადმინისტრირების შეფასების, მომავალში გაუმჯობესებისა და რეფორმირების მიზნით.

30.4 არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას მომსახურების გაწევა უნდა მუდმივად დაიგეგმოს და განხორციელდეს, როგორც ეროვნული განვითარების ღონისძიებების განუყოფელი ნაწილი.

***კომენტარი***

გამოკვლევის გამოყენება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის საფუძვლად საყოველთაოდ აღიარებულია მნიშვნელოვან მექანიზმად, რათა პრაქტიკა შეესაბამებოდეს თეორიაში არსებილ მიღწევებს და მოხდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განვითარება და გაუმჯობესება. მუდმივი კავშირი გამოკვლევასა და პოლიტიკას შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებისათვის. ახალგაზრდების ცხოვრების სტილისა და არასრულწლოვანთა დანაშაულების ფორმისა და სპექტრის სწრაფი და ხშირად სერიოზული ცვლილებების ფონზე საზოგადოებისა და მართლმსაჯულების პასუხი არასრულწლვანთა დანაშაულსა და გადაცდომებზე მალე მოძველდება და ხდება შეუსაბამო. წესი 30 ადგენს სტანდარტს, რათა მოხდეს გამოკვლევის ჩართვა პოლიტიკის ფორმულირების პროცესსა და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში. წესი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს არსებული პროგრამებისა და ღონისძიებების მუდმივ გადახედვასა და შეფასებას და დაგეგმარებას საერთო განვითარების უფრო ფართო ასპექტში. არასრულწლოვანთა მოთხოვნების, ასევე სამართალდარღვევების მიმართულებებისა და პრობლემების მუდმივი შეფასება არის სათანადო პოლიტიკის ფორმულირებისა და ჩარევის ფორმების გაუმჯობესების წინაპირობა როგორც ფორმალურ, ისეარაფორმალურ დონეზე. ამ კონტექსტში პასუხისმგებელმა დაწესებულებებმა ხელი უნდა შეუწყონ დამოუკიდებელი პირებისა და ორგანოების მიერ კვლევის ჩატარებას; შეიძლება ღირებული იყოს თავად არასრულწლოვანთა მოსაზრების გაგება და მხედველობაში მიღება; ამასთან მნიშვნელოვანია არა მარტო იმათი აზრი, ვისაც თავად მოუწია მართლმსაჯულების სისტემის მონაწილედ გადაქცევა. დაგეგმარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს უფო ეფექტურ და სამართლიან სისტემაზე. ამ მიზნით უნდა ჩატარდეს ყოვლისმომცველი და მუდმივი შეფასება არასრულწლოვანთა მოთხოვნებისა და პრობლემებისა და აირჩეს კონკრეტული პრიორიტეტები. ამასთან დაკავშირებით უნდა მოხდესს არსებული რესურსების გამოყენების კოორდინირება, ალტერნატიული ღონისძიებებისა და საზოგადოების მხარდაჭერის ჩათვლით, რაც საკმარისი იქნება არსებული პროგრამების განხორციელებისა და მონიტორინგის სპეციალური პროგრამების შესაქმნელად.

# გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10 მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვის უფლებების შესახებ

## I. შესავალი

1. ბავშვის უფლებათა კომიტეტისათვის (შემდგომში "კომიტეტი") ანგარიშის წარდგენისას, მონაწილე სახელმწიფოები, ხშირად განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ იმ ბავშვების უფლებებს, რომლებმაც, სავარაუდოდ, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებული არიან მის დამრღვევებად და რომლებსაც, ასევე, "კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს" უწოდებენ. კომიტეტის სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, პერიოდულად წარდგენილი ანგარიშების ძირითადი თემაა, მონაწილე სახელმწიფოების მიერ, გაერთიანებული ერების ბავშვის უფლებათა კონვენციის (შემდგომში "კონვენცია") 37-ე და 40-ე მუხლების შესრულება. კომიტეტი მიესალმება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისაკენ გადადგმულ ყოველ ნაბიჯს. თუმცა, ამავე დროს, ნათელია, რომ სახელმწიფოების ნაწილს კიდევ დიდი გზა აქვთ გასავლელი, კონვენციით გათვალისწინებული ყველა პირობის შესასრულებლად. განსაკუთრებით კი ისეთ საკითხებში, რომელიც ეხება პროცესუალურ უფლებებს, სამართლებრივი პროცედურების გარეშე, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მოპყრობის ზომების შემუშავებასა და გატარებას, აგრეთვე, თავისუფლების აღკვეთის, როგორც უკიდურესი ზომის გამოყენებას.

2. კომიტეტი არანაკლებ შეშფოთებულია იმ ინფორმაციის ნაკლებობით, რომელიც ეხება წევრ სახელმწიფოთა მიერ, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისათვის გატარებულ ზომებს. ეს შეიძლება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში ფართო პოლიტიკის არარსებობით იყოს გამოწვეული, რაც თავის მხრივ, ხსნის კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მოპყრობის შესახებ, მრავალი მონაწილე სახელმწიფოს, საკმაოდ მწირ სტატისტიკურ მონაცემებს.

3. წინამდებარე, ზოგადი კომენტარის მიზანი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მონაწილე სახელმწიფოების ანგარიშების განხილვა და მათი საქმიანობის შეფასება გახდა. ამ გზით, კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს, უფრო დეტალურ სახელმძღვანელო პრინციპებსა და რეკომენდაციებს გააცნობს, რომლებიც დაეხმარება მათ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ბავშვის უფლებათა კონვენციის შესაბამისად აღსრულებაში. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, რომელიც სხვათა შორის, გულისხმობს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ, ისეთი ალტერნატიული ზომების გამოყენებას, როგორიცაა მართლმსაჯულების სისტემისაგან განრიდება და აღდგენითი მართლმსაჯულება, საშუალებას მისცემს მონაწილე სახელმწიფოებს, უპასუხონ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საჭიროებებს. ამ გზით, ისინი შეძლებენ არა მხოლოდ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის, არამედ საზოგადოების მოკლე და გრძელვადიანი ინტერესების დაცვასაც.

## II. ზოგადი კომენტარის ამოცანები

4. დასაწყისისთვის, საჭიროა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ კონვენცია მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკის შემუშავებას, რაც არ გულისხმობს მხოლოდ კონვენციის 37-ე და მე-40-ე მუხლებით გათვალისწინებული დებულებების შესრულებას. ამ მუხლების გარდა, საჭიროა აგრეთვე, კონვენციის მე-2, მე-3, მე-6 და მე-12 მუხლებითა და სხვა შესაბამისი მუხლებით (მე-4 და 39-ე) გათვალისწინებული, საერთო სახელმძღვანელო პრინციპების დანერგვა. აქედან გამომდინარე, კომენტარი მიზნად ისახავს:

   - ხელი შეუწყოს მონაწილე სახელმწიფოებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკის შემუშავებასა და გატარებაში, იმისათვის, რომ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებების თანახმად, განხორციელდეს არასრულწლოვნებს შორის დანაშაულის პრევენცია. გარდა ამისა, მონაწილე სახელმწიფოები, შეძლებენ რჩევისა და დახმარებისათვის მიმართონ გაერთიანებული ერების ეკონომიკური და სოციალური საბჭოს 1997/30 რეზოლუციის საფუძველზე შექმნილ, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უწყებათაშორის ჯგუფს, რომლის შემადგენლობაში შედიან გაერთიანებული ერების ადამიანის უფლე-

ბათა დაცვის უმაღლესი კომისარიატის (OHCHR), გაერთიანებული ერების ბავშვთა ფონდის (UNICEF), გაერთიანებული ერების ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურისა (UNODC) და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

- უზრუნველყოს მონაწილე სახელმწიფოები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზემოხსენებული ფართო პოლიტიკის ელემენტების შესახებ რეკომენდაციებით, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა არასრულწლოვანთა მიერ დანაშაულის ჩადენის პრევენციას, ალტერნატიული ზომების შემოღებას, რათა თავიდან იქნეს აცილებული სამართლებრივი პროცედურები. რეკომენდაციები ასევე დაეთმობა, კონვენციის 37-ე და 40-ე მუხლებით გათვალისწინებული სხვა დებულებების ინტერპრეტაციასა და შესრულებას.
- დაეხმაროს მონაწილე სახელმწიფოებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკის ფარგლებში, ისეთი საერთაშორისო სტანდარტების გაერთიანებაში, როგორიცაა, მაგალითად, გაეროს არასწრულწლოვანთა ადმინისტრირების მინიმალური სტანდარტული წესები ("პეკინური წესები"), გაეროს წესები თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვანთა დასაცავად ("ჰავანური წესები") და გაეროს, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელო პრინციპები ("რიადის სახელმძღვანელო პრინციპები").

## III. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: ფართო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

5. კონვენციის მოთხოვნების დეტალურ განხილვამდე, კომიტეტი, თავდაპირველად ხაზს გაუსვამს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკის ძირითად პრინციპებს. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულებისას, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან სისტემატურად დაიცვან ის ზოგადი პრინციპები, რომლებიც გათვალიწინებულია კონვენციის მე-2, მე-3, მე-12 მუხლებით, ხოლო არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფუნდამენტური პრინციპები, კონვენციის 37-ე და 40-ე მუხლებშია მოცემული.

**დისკრიმინაციის დაუშვებლობა (მუხლი 2)**

6. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, დაიცვან კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების თანაბარი მოპყრობის უფლება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დე-ფაქტო დისკრიმინაციას და უთანასწორობას, რომელიც შეიძლება არათანმიმდევრული პოლიტიკიდან გამომდინარეობდეს და განსაკუთრებით შეეხოს ბავშვების ისეთ დაუცველ ჯგუფებს, როგორებიც არიან, მაგალითად, ქუჩის ბავშვები, ბავშვები, რომლებიც მიეკუთვნებიან რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ ან ლინგვისტურ უმცირესობებს, გოგონები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვები და აგრეთვე ის ბავშვები, რომლებიც ხშირად არღვევენ კანონს (რეციდივისტები). ამ კუთხით, მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში მონაწილე ყველა სპეციალისტის მომზადება (იხ. პარაგრაფი 9). გარდა ამისა საჭიროა შემუშავებული და დაცული იქნეს წესები და რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფს კანონდამრღვევი ბავშვის მიმართ თანასწორ მოპყრობას და ასევე უზრუნველყოფს გამოსწორებისა და კომპენსაციის მექანიზმებს.
7. კანონთან კონფლიქტში მყოფი მრავალი ბავშვი ხდება დისკრიმინაციის მსხვერპლი, მაგალითად, მაშინ, როდესაც ცდილობს მიიღოს განათლება ან თავი დაიმკვიდროს შრომის ბაზარზე. საჭიროა შესაბამისი ზომების მიღება, რათა არ მოხდეს ამგვარი დისკრიმინაცია. აქ იგულისხმება, სხვათა შორის, არასრულწლოვანი ყოფილი კანონდამრღვევებისთვის დახმარების გაწევა, საზოგადოებაში რეინტეგრაციის პროცესში, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული აქტივობები, რათა საზოგადოებამ აღიაროს ამგვარი ბავშვების სასარგებლო როლი (მუხლი 40(1)).
8. ხშირია შემთხვევები, როდესაც სისხლის სამართლის კოდექსები შეიცავს დებულებებს, რომლებიც ახდენენ ბავშვების ისეთი ქცევითი პრობლემების კრიმინალიზაციას, როგორიცაა სახლის მიტოვება, გაქცევა, მაწანწალობა, სკოლის გაცდენები და სხვა. ამგვარი პრობლემები ხშირად ფსიქოლოგიურ ან სოციო-ეკონომიკურ ხასიათს ატარებს. განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ის ფაქტი, რომ ყველაზე ხშირად, ამგვარი კრიმინალიზაციის მსხვერპლები, გოგონები და ქუჩის ბავშვები ხდებიან. ამგვარი ქმედებები, რომლებსაც სხვაგვარად სტატუსური დანაშაული ეწოდება, დანაშაულად არ ითვლება, თუ მათი ჩამდენი ზრდასრული პირია. კომიტეტი რეკომენდაციით მიმართავს მონაწილე სახელმწიფოებს, გააუქმონ ამგვარი დანაშაულის დებულებები, რათა უზრუნველყონ ბავშვებისა და მოზრდილების კანონის წინაშე თანასწორობა. ამ საკითხთან დაკავშირებით, კომიტეტი ასახელებს რიადის სახელმძღვანელო პრინციპების 56-ე მუხლს, რომლის მიხედვითაც, "ახალგაზრდების სტიგმატიზაციის, ვიქტიმიზაციისა და კრიმინალიზაციის

თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა კანონმდებლობამ უზრუნველყოს, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ეთვლებათ მოზრდილებს, არასრულწლოვნებზეც არ გავრცელდეს".

9. ამას გარდა, ისეთ ქცევებზე რეაგირება, როგორიცაა საცხოვრებლის მიტოვება და გაქცევა, საჭიროა მოხდეს ბავშვის დაცვის ისეთი ზომების გატარებით, როგორიცაა მაგალითად, მშობლების და/ან მზრუნველების ქმედითი მხარდაჭერა და ასევე ისეთი მიდგომა, რომელიც ორიენტირებულია ამგვარი ქცევის გამომწვევ მიზეზებზე.

**ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი (მუხლი 3)**

10. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში, ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს. უფროსებისგან ბავშვებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარება, აგრეთვე ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები განასხვავებს. სწორედ ეს განსხვავებებია, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის შედარებით მსუბუქი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ეს განსხვავებები წარმოშობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განცალკევებასა და ბავშვების მიმართ განსხვავებული მოპყრობის საჭიროებას. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა, კანონდამრღვევი ბავშვების მიმართ გულისმობს, სისხლის სამართლის ისეთი ტრადიციული ამოცანების ჩანაცვლებას, როგორიცაა რეპრესია/დასჯა — რეაბილიტაციითა და აღდგენითი მართლმსაჯულებით, რაც აუცილებელია განხორციელდეს, საზოგადოების უსაფრთხოების საკითხის გათვალისწინებით.

**სიცოცხლის ხელშეუხებლობის და განვითარების უფლება (მუხლი 6)**

11. სიცოცხლის ხელშეუხებლობის და განვითარების ფუნდამენტურ უფლებას უნდა ეფუძნებოდეს მონაწილე სახელმწიფოების მიერ, არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სახელმწიფო პოლიტიკისა და პროგრამების წარმოება, რადგან, დანაშაული უკიდურესად უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვების განვითარებაზე. გარდა ამისა ძირითადი უფლების დაცვამ, შედეგად უნდა მოიტანოს არასრულწოვანთა მართლმსაჯულების ისეთი პოლიტიკის ამოქმედება, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ბავშვის განვითარების საკითხებს. სიკვდილით დასჯა ან სამუდამო პატიმრობა ვადამდელი გათავისუფლების პირობის გარეშე, მკაცრად იკრძალება კონვენციის 37-ე(ა) მუხლით (იხილეთ ქვემოთ პარაგრაფები 75-77). თავისუფლების აღკვეთა ძალზე უარყოფითად აისახება ბავშვის ჰარმონიულ განივთარებაზე და მნიშვნელოვნად აფერხებს მის საზოგადოებაში რეინტეგრაციას. ამ საკითხს უშუალოდ უკავშირდება კონვენციის 37-ე(ბ) მუხლი, რომელის თანახმად, თავისუფლების აღკვეთა დაპატიმრების, დაკავების ან საპყრობილეში მოთავსების ჩათვლით, ბავშვის განვითარების უფლების სრულად დაცვის მიზნით (იხილეთ პარაგრაფები 78-88 ქვემოთ)*, განიხილება უკიდურეს ზომად და გამოიყენება რაც შეიძლება მცირე პერიოდით.

**მოსმენის უფლება (მუხლი 12)**

12. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ნებისმიერ ეტაპზე, სრულად უნდა იქნეს დაცული ბავშვის მიერ საკუთარი მოსაზრებების თავისუფლად გამოთქმის უფლება იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც უშუალოდ ეხება ბავშვს (იხილეთ პარაგრაფები 43-45 ქვემოთ). კომიტეტის აზრით, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვების მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შენიშვნები, სულ უფრო ხშირად ედება საფუძვლად რეფორმებს, პროცესების გაუმჯობესებას და მათი უფლებების დაცვას.

**ღირსება (მუხლი მე-40 (1))**

13. კონვენცია განსაზღვრავს შემდეგ ფუნდამენტურ პრინციპებს, რომლებიც ეხება კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს:

- *ბავშვთან მოპყრობა ხელს უნდა უწყობდეს მისი ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელოვნების გრძნობის განვითარებას.* ეს პრინციპი ეხმაურება ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაციის პირველ მუხლს, რომლის მიხედვით, ყველა ადამიანი იბადება თავისუფალი და თანაბარი უფლებებითა და ღირსებით. ღირსებისა და ადამიანის მნიშვნელოვნების ეს ფუნდამენტური უფლება, ხაზგასმითაა მოხსენიებული კონვენციის პრეამბულაში. მისი დაცვა აუცილებელია ბავშვთან დაკავშირებული პროცესის მიმდინარეობისას, დაწყებული სამარ-

* შენიშვნა: კონვენციის მიერ აღიარებული თავისუფლებააღკვეთილი ბავშვის უფლებები ეხება კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს, აგრეთვე ინსტიტუციებში სხვადასხვა მიზნით განთავსებულ ბავშვებს, როდესაც განთავსება მიზნად ისახავს ზრუნვას, დაცვას ან მკურნალობას. აქ აგრეთვე იგულისხმება ისეთი მიზნები, რაც უკავშირდება გონებრივ ჯანმრთელობას, განათლებას, ნაროტიკული ნივთიერებების მოხმარებას, ბავშვის დაცვას და საიმიგრაციო ინსტიტუტებში განთავსებას.

თალდამცავ ორგანოებთან მისი პირველი კონტაქტით და დამთავრებული, ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ზომის გატარებით.

- *ბავშვის პატივისცემის განმტკიცება ადამიანის უფლებებისა და სხვა ძირითადი თავისუფლებებისადმი.* ეს პრინციპი გულისხმობს, რომ ბავშვი უნდა აღიზარდოს გაერთიანებული ერების წესდებით გათვალისწინებული იდეალებისადმი პატივისცემით. გარდა ამისა, ეს პრინციპი ასევე გულისხმობს, რომ ბავშვისადმი მოპყრობა და განათლება, რომელსაც ის მართლმსაჯულების სისტემაში ყოფნისას იღებს, მას უნდა განუმტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისადმი პატივისცემას (კონვენციის 29-ე მუხლის (1)(ბ) ქვეპუნქტი და კომიტეტის 1 კომენტარი განათლების მიზნების შესახებ). ცხადია, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეს პრინციპი, მოითხოვს კონვენციის მე-40 მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული უფლების სრულ დაცვას, რომელიც გულისხმობს სამართლიანი სასამართლოს გარანტიის უფლებას (იხილეთ პარაგრაფები 40-67 ქვემოთ). თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პირები: პოლიციის ოფიცრები, პროკურორები, მოსამართლეები და პრობაციის ოფიცრები არ სცემენ პატივს ამ გარანტიებს და არ იცავენ მათ, მაშინ, აზრსმოკლებულია მოვთხოვოთ ბავშვს, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემა.
- *ბავშვის ასაკისა და მისი რეინტეგრაციის, საზოგადოებაში მის მიერ სასარგებლო როლის შესრულებისათვის ხელშეწყობის გათვალისწინება.* ეს პრინციპი დაცული უნდა იქნეს ბავშვთან დაკავშირებული პროცესის მიმდინარეობისას, დაწყებული მისი პირველი კონტაქტით სამართალდამცავ ორგანოებთან და დამთავრებული ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი ზომის გატარებით. პრინციპი იმასაც ითვალისწინებს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე ყველა სპეციალისტი, საფუძვლიანად უნდა ერკვეოდეს ბავშვის განვითარებასა და ზრდასთან დაკავშირებულ საკითხებში, იცოდეს, რა არის მართებული მისი კეთილდღეობისათვის და იცნობდეს ბავშვის მიმართ ძალადობის გავრცელებულ ფორმებს.
- *ბავშვის ღირსებისა და პატივისცემის უფლების დაცვა, მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს არ დაუშვან და აღკვეთონ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ ძალადობრივი მოპყრობა.* კომიტეტისათვის წარდგენილი ანგარიშებიდან ირკვევა, რომ ძალადობას ადგილი აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ყველა ეტაპზე, დაწყებული პოლიციასთან პირველი კონტაქტით, დამთავრებული წინასწარი პატიმრობით, აგრეთვე თავისუფლება აღკვეთილი არასრულწლოვნების შემთხვევაში, ინსტიტუციის შიგნით ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში. კომიტეტი, მონაწილე სახელმწიფოებისაგან მოითხოვს, ყველა ქმედითი ზომის გატარებას ამგვარი ძალადობის თავიდან ასაცილებლად და დამნაშავეთა მართლმსაჯულების წინაშე წარსადგენად. გარდა ამისა, სახელმწიფოებმა კონტროლი უნდა გაუწიონ გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეისთვის 2006 წლის ოქტომბერში (A/61/299) წარდგინილ, ბავშვთა მიმართ ძალადობის შესახებ ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულებას.
- 14. კომიტეტი აღიარებს, რომ საზოგადოების უსაფრთხოების შენარჩუნება მართლმსაჯულების სისტემის ლეგიტიმური მიზანია. თუმცა, აგრეთვე ფიქრობს, რომ ამ მიზნის სრულად მიღწევა შესაძლებელია, კონვენციით გათვალისწინებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპების გატარებითა და განხორციელებით.

## IV. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება: ფართო პოლიტიკის ძირითადი ელემენტები

15. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკა, უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად ელემენტებს: არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია; ინტერვენცია სამართლებრივი პროცედურების კონტექსტში და მის გარეშე; სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზღვრული ასაკი; გარანტიები სამართლიანი სასამართლოსთვის და თავისუფლების აღკვეთა წინასწარი დაკავებისა და სასამართლოს შემდეგომი დაპატიმრების ჩათვლით.

### ა. არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია

16. კონვენციის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიზანია ბავშვის პიროვნულობის, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობების სრული და ჰარმონიული განვითარების ხელშეწყობა (მუხლები მე-6 და 29-ე). ბავშვი მომზადებული უნდა იყოს დამოუკიდებლად ცხოვრებისათვის და თავისუ-

ფალ საზოგადოებაში პასუხისმგებლობების გაზიარებისათვის (პრეამბულა და 29-ე მუხლი), სადაც მას შესაძლებლობა მიეცემა სასარგებლო როლი ითამაშოს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვის კუთხით (მუხლები 29-ე და მე-40). მშობლების პასუხისმგებლობაა, ბავშვს, შესაძლებლობის შესაბამისად, გააცნონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები და უხელმძღვანელონ მათ განხორციელებას. კონვენციის ამ და სხვა დებულებების გათვალისწინებით, ცხადია, რომ თუ ბავშვი, ისეთ გარემოში იზრდება, რომელიც წარმოშობს მისი დანაშაულებრივ ქმედებებში მონაწილეობის რისკს, ეს არ შეესაბამება მის ჭეშმარიტ ინტერესებს. საჭიროა სხვადასხვა ზომის მიღება, რათა სრულად და თანაბრად იქნეს დაცული ცხოვრების სათანადო პირობების უფლება (მუხლი 27-ე), ჯანმრთელობის დაცვის სისტემის ყველაზე უფრო სრულყოფილი მომსახურების მიღების უფლება (მუხლი 24-ე), განათლების უფლება (მუხლები 28-ე და 29-ე), ყველა სახის ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ძალადობის და შეურაცყოფისაგან დაცვის უფლება (მუხლი მე-19), ეკონომიკური და სქესობრივი ექსპლუატაციისგან დაცვის უფლება და ბავშვების დაცვისა და ზრუნვის სხვა სერვისების მიღების უფლება.

17. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენციის ზომების არარსებობა, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პოლიტიკის სერიოზული ხარვეზია. საჭიროა, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ეროვნულ პოლიტიკაში, სრულად მოახდინონ გაერთიანებული ერების არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციის სახელმძღვანელო (რიადის სახელმძღვანელო პრინციპები) პრინციპების ინტეგრირება (მიღებულია 1990 წელს გენერალური ასამბლეის 45/112 რეზოლუციით).

18. კომიტეტი სრულად ეთანხმება რიადის სახელმძღვანელო პრინციპებს და აცხადებს, რომ საჭიროა განსაკუთრებული აქცენტის გაკეთება პრევენციის ისეთ პოლიტიკაზე, რომელიც ხელს უწყობს ბავშვების წარმატებულ სოციალიზაციასა და ინტეგრაციას, განსაკუთრებით ოჯახის, საზოგადოების, თანატოლთა ჯგუფების, სკოლის, პროფესიული ტრენინგებისა და მუშაობის, აგრეთვე მოხალისე ორგანიზაციების მეშვეობითა და დახმარებით. პრევენციის პროგრამების ძირითადი მიმართულება უნდა იყოს, განსაკუთრებით დაუცველი ოჯახების დახმარება, ძირითადი ფასეულობების სწავლების პროცესში სკოლების ჩართულობა (ბავშვებისა და მშობლების კანონით გათვალისწინებული უფლებებისა და მოვალეობების ჩათვლით), რიკის ქვეშ მყოფი ახალგაზრდებისადმი სპეციალური ზრუნვისა და ყურადღების მიმართვა. ამ კუთხით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ ბავშვებს, რომლებმაც მიატოვეს სკოლა ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, ვერ დაასრულეს განათლების მიღება. რეკომენდებულია თანატოლთა ჯგუფების მხარდაჭერისა და მშობლების ჩართულობის მობილიზება. მონაწილე სახელმწიფოებმა ასევე უნდა განავითარონ თემზე დაფუძნებული სერვისები და პროგრამები, რათა შეძლონ რეაგირება მოახდინონ ბავშვების, განსაკუთრებით კი კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების სპეციალურ საჭიროებებზე, პრობლემებსა და ინტერესებზე. აქ ასევე იგულისხმება, მათი ოჯახებისათვის კონსულტაციების უზრუნველყოფა.

19. კონვენციის 18-ე და 27-ე მუხლები, ადასტურებს მშობლების მნიშვნელობას ბავშვების აღზრდაში, მაგრამ, ამავე დროს, პასუხისმგებლობას აკისრებს მონაწილე სახელმწიფოებს, აღმოუჩინონ მშობლებს (და სხვა მზრუნველებს) აუცილებელი დახმარება საკუთარი მოვალეობის შესრულებაში. დახმარების ზომებში არ უნდა იგულისხმებოდეს მხოლოდ უარყოფითი სიტუაციების პრევენცია, ისინი, ძირითადად მიმართული უნდა იყოს მშობლების სოციალური პოტენციის მაქსიმალიზაციისკენ. არსებობს უამრავი, ოჯახზე და სახლზე დაფუძნებული, პრევენციული ხასიათის პროგრამა, როგორიცაა, მაგალითად, მშობლების ტრენინგი, მშობლებისა და ბავშვის ურთიერთობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული პროგრამები, საცხოვრებელ ადგილზე ვიზიტის პროგრამები, რომლებიც ბავშვის დაბადებიდან, მოკლე პერიოდში იწყება. გარდა ამისა, დადასტურებულია, რომ ადრეული ასაკის ბავშვთა განათლება, დადებითად აისახება ძალადობისა და დანაშაულის მაჩვენებელზე. თემის დონეზე, დადებითი შედეგები მოაქვს ისეთი პროგრამების განხორციელებას, როგორიცაა, მაგალითად, *მზრუნველი თემი* (Communities that Care), რომლის უმთავრესი სტრატეგია, რისკის პრევენციაა.

20. მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულები არიან, მხარი დაუჭირონ ბავშვების მონაწილეობას, როგორც ეს, კონვენციის მე-12 მუხლით არის გათვალისწინებული, აგრეთვე მშობლების, თემის ლიდერების და სხვა მნიშვნელოვანი მოთამაშეების (მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პრობაციის სამსახურის თანამშრომლები და სოციალური მუშაკები), აქტიურ ჩართულობას, პრვენციის პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში, რომელთა წარმატების განმაპირობებელი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი, სწორედ ამ პირების მონაწილეობის ხარისხია.

21. პრევენციის ეფექტური პროგრამების განხორციელებისათვის, კომიტეტი, მონაწილე ქვეყნებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების უწყებათაშორის ჯგუფთან აქტიური თანამშრომლობის რეკომენდაციას უწევს.

**ბ. ინტერვენცია/მართლმსაჯულების სისტემისაგან განრიდება (იხილეთ ე ნაწილი ქვემოთ)**

22. იმ ბავშვებთან დაკავშირებით, რომლებმაც, სავარაუდოდ, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულები არიან მის დამრღვევებად, მონაწილე სახელმწიფოებს შეუძლიათ, გამოიყენონ ორი სახის ინტერვენცია: ზომები, რომლებიც არ გულისხმობს ფორმალურ სამართლებრივ პროცედურების გავლას და ზომები, რომლებიც შეიძლება მიღებულ იქნეს სამართლებრივი პროცედურების კონტექსტში. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ უკიდურესად მნიშვნელოვანია ბავშვის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვა და პატივისცემა.

23. კანონთან კონფლიქტში მყოფ ბაშვებს, არასრულწლოვანი რეციდივისტების ჩათვლით, უფლება აქვთ, რომ მათდამი მოპყრობა, ხელს უწყობდეს მათი რეინტეგრაციისა და საზოგადოებაში მათ მიერ სასარგებლო როლის შესრულების სურვილს (კონვენციის მე-40 მუხლის პირველი პუნტქი). ბავშვის დაკავება, დაპატიმრება, ან თავისუფლების აღკვეთა უკიდურეს ზომად უნდა განიხილებოდეს(კონვენციის37-ემუხლისბქვეპუნტქი).აქედანგამომდინარე,არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკის ფარგლებში, აუცილებელია მთელი რიგი ზომების შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვებისადმი შესაბამის მიდგომას მათი კეთილდღეობის, გარემოებებისა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გათვალისწინებით. მოპყრობაში, იგულისხმება ზრუნვა, ხელმძღვანელობა და სუპერვიზია. აგრეთვე, კონსულტაციები, პრობაცია, მზრუნველობაში განთავსება, განათლებისა და ტრენინგის პროგრამები და ინსტიტუციური ზრუნვის სხვა ალტერნატივები.

**ინტერვენციები სამართალწარმოების გარეშე**

24. კონვენციის მეორმოცე მუხლის, მესამე პუნქტის თანახმად, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულები არიან, იმ ბავშვების მიმართ, რომლებმაც, სავარაუდოდ დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულები არიან მის დამრღვევებად, მხარი დაუჭირონ ისეთი ზომების გატარებას, რომლებიც არ ითვალისწინებს ფორმალურ სამართალწარმოებას. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ არასრულწლოვანი კანონდამრღვევების უმეტესობა, ძირითადად მსუბუქ დანაშაულს სჩადის, მათ მიმართ ისეთი ზომების გატარება, რომლებიც გამიჯნულია სისხლის სამართლის/არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულებისგან და რომლებიც გულისხმობს ალტერნატიული (სოციალური) სერვისების გამოყენებას, (მაგალითად, განრიდება), უნდა იყოს რაც შეიძლება ფართოდ დანერგილი და გავრცელდეს საქმეების უმეტესობაზე.

25. კომიტეტის აზრით, მონაწილე სახელმწიფოების ვალდებულება, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ იმგვარი ზომების მიღების თაობაზე, რომლებიც არ ითვალისწინებს სამართლებრივ პროცედურებს, ეხება (მაგრამ არ შემოიფარგლება) ბავშვებს, რომლებმაც ჩაიდინეს მსუბუქი დანაშაული. მაგალითად, მაღაზიაში ქურდობა ან ქონებასთან დაკავშირებული მსუბუქი დანაშაული. ეს ეხება აგრეთვე, იმ ბავშვებს, რომლებმაც პირველად ჩაიდინეს დანაშაული. მონაწილე სახელმწიფოების სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულის უმეტესობა, ხშირად კი აბსოლუტური უმეტესობა, სწორედ ამ კატეგორიებს განეკუთვნება. ამგვარ შემთხვევებზე ფორმალური სამართალწარმოების გარეშე რეაგირება, შეესაბამება კონვენციის მეორმოცე მუხლის, პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პრინციპებს. გარდა იმისა, რომ ამგვარი მიდგომა სტიგმატიზაციას უშლის ხელს, იგი განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე და როგორც გამოცდილებამ დაადასტურა, ხარჯეფექტურიცაა.

26. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ, მონაწილე სახელმწიფოების მიერ მიღებული ზომები, როგორც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკის ნაწილი, სამართლებრივი პროცედურების გარეშე უნდა განიხილებოდეს და უნდა უზრუნველყოფდეს ბავშვის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების სრულ დაცვასა და პატივისცემას (მუხლი 40 (3)(ბ)).

27. მონაწილე სახელმწიფოებმა, თავად უნდა გადაწყვიტონ იმ ღონისძიებების ზუსტი ხასიათი და შინაარსი, რომლებიც სამართლებრივი პროცედურების გვერდის ავლით, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საკითხის მოგვარებას ეხება. მათ განსახორციელებლად, მონაწილე სახელმწიფოები თავად ადგენენ ყველა საკანონმდებლო თუ სხვა სახის ზომებს. თუმცა, კომიტეტისათვის, მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარდგენილ ანგარიშებზე დაყრდნობით ნათელია, რომ შემუშავდა თემზე დაფუძნებული მრავალფეროვანი პროგრამები. მაგალითად, სათემო სერვისები, სუპერვიზია და მონიტორინგი, რომელსაც სოციალური მუშაკები და პრობაციის სამსახურის თანამშრომლები ახორციელებენ, საოჯახო კონფერენცია და აღდგენითი

მართლმსაჯულების სხვა ფორმები, კომპენსაციისა და რესტიტუციის ჩათვლით. სხვა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ისარგებლონ ამ გამოცდილებით. ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვის მიზნით კომიტეტი მიუთითებს კონვენციის მე-40 მუხლზე და აღნიშნავს შემდეგს:

- განრიდება (ანუ იმ ბავშვებისათვის სამართლებრივი პროცედურების გვერდის ავლა, რომლებმაც, სავარაუდოდ დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულნი არიან მის დამრღვევებად) დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ ბავშვმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული, ის სრულად და ძალდატანების გარეშე აღიარებს პაუსიხმგებლობას ჩადენლთან მიმართებით, აღიარებას საფუძვლად არ უდევს ზეწოლა ან იძულება, და ბოლოს, იმ შემთხვევაში, თუ ეს აღიარება არ გამოიყენება მის წინააღმდეგ, საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი განხილვისას.
- ბავშვმა, განრიდებაზე თანხმობა უნდა გამოხატოს წერლობითი ფორმით და ნებაყოფლობით. თანხმობა უნდა ეფუძნებოდეს ღონისძიების ბუნების, შინაარსისა და ხანგრძლივობის შესახებ ზუსტ ინფორმაციას. მასში ნათლად უნდა იყოს გამოხატული ის, თუ რა შედეგები შეიძლება მოყვეს თანამშრომლობაზე უარის თქმას და პირობების შეუსრულებლობას. მშობლების ჩართულობის გააქტიურიების მიზნით, მონაწილე სახელმწიფოებმა, შეიძლება ასევე საჭიროდ ცნონ მშობლების თანხმობაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვს ჯერ არ შესრულებია თექვსმეტი წელი.
- საჭიროა კანონში შეტანილ იქნეს სპეციალური დებულებები, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ რა შემთხვევებშია შესაძლებელი განრიდება. გარდა ამისა, ბავშვის დისკრიმინაციისაგან დაცვის მიზნით, საჭიროა პოლიციის, პროკურატურისა და/ან სხვა უწყებების როლისა და კომპენტენციის გადახედვა და დარეგულირება.
- ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, შესაბამისი უწყებებიდან მიიღოს იურიდიული ან სხვა სახის დახმარება, შეთავაზებული განრიდების შესაბამისობასა და მართებულობასთან დაკავშირებით. აგრეთვე მისი გადახედვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.
- განრიდებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას ბავშვის მიერ, საქმის საბოლოო დახურვა უნდა მოყვეს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია საქმის შენახვა ადმინისტრაციული ან გადასინჯვის მიზნებისთვის, ამგვარი საქმე არ უნდა განიხილებოდეს, როგორც ნასამართლობის დამამტკიცებელი დოკუმენტი. ხოლო ბავშვი, რომელიც დაექვემდებარა განრიდებას, არ უნდა განიხილებოდეს როგორც ნასამართლობის მქონე. თუ საქმე რეგისტრირებულია, მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე და კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მომუშავე პირს უნდა ქონდეს მისი გამოყენების უფლება, ისიც შეზღუდული პერიოდის, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში.

**ინტერვენციები სამართალწარმოების კონტექსტში**

28. როდესაც კომპენტენტური ორგანოს მიერ დაწყებულია სამართლებრივი მოქმედებები (ორგანოებში ძირითადად იგულისხმება პროკურატურა), აუცილებელია დაცული იქნეს სამართლიანობის პრინციპი (იხილეთ D ნაწილი ქვემოთ). ამავე დროს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, საჭიროა არსებობდეს მრავალი ისეთი ალტერნატივა, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებით იძლევა სოციალური და/ან საგანმანათლებლო ღონისძიებების გამოყენების საშუალებას. რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთას, განსაკუთრებით კი წინასწარ პატიმრობას, ეს გამოყენებული უნდა იქნეს უკიდურეს შემთხვევაში. საქმის განხილვის ბოლო სტადიაში, თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს მხოლოდ უკიდურესი ზომა და მხოლოდ უმოკლესი პერიოდის განმავლობაში (კონვენციის ოცდამეჩვიდმეტე მუხლის ბ ქვეპუნქტი). ეს იმას ნიშნავს, რომ მონაწილე სახელმწიფოებში, უნდა არსებობდეს კარგად მომზადებული პრობაციის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს ისეთი ზომების მაქსიმალურ გამოყენებას, როგორიცაა სუპერვიზია, ხელმძღვანელობა, პრობაცია, თემის მონიტორინგი ან ყოველდღიური ანგარიშგების ცენტრები და ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობა.

29. კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს შეახსენებს, რომ კონვენციის მეორმოცე მუხლის, პირველი პუნქტის თანახმად, რეინტეგრაციის მიზნით დაუშვებელია ბავშვის მიმართ ისეთი ქმედებების განხორციელება, რომელიც შეაფერხებს საზოგადოებრივ პროცესებში მის სრულ მონაწილეობას. დაუშვებელია სტიგმატიზება, სოციალური იზოლირება ან ფართო საზოგადოებისთვის ბავშვის ვინაობის გამხელა. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის რეინტეგრაციისათვის, აუცილებელია მისი მხარდაჭერა, რათა იგი, საკუთარი თემის სრულყოფილი და სასარგებლო წევრი გახდეს.

## ზ. ასაკი და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი

### სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი

30. მონაწილე სახელმწიფოების მიერ, კომიტეტისათვის წარდგენილი ანგარიშებიდან ჩანს, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი განსხვავდება ქვეყნების მიხედვით, დაწყებული ძალიან დაბალი - შვიდი ან რვა წლის ასაკიდან, დამთავრებული რეკომენდებული ასაკით – 14 ან 16 წლით. საკმაოდ მრავლადაა ისეთი ქვეყნები, სადაც სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ორი მინიმალური ასაკი მოქმედებს. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი, დანაშაულის ჩადენის მომენტში თუ ქვედა მინიმალურ ასაკს ზემოთ არის, მაგრამ ზედა მინიმალური ასაკის ქვემოთ, მას დაეკისრება პასუხისმგებლობა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შესაბამისად მომწიფებულად ჩაითვლება. სიმწიფის დადგენა სასამართლოს/მოსამართლეს გადაწყვეტილებით, ხშირად ექსპერტი ფსიქოლოგის მონაწილეობის გარეშე ხდება. ამის შედეგად, პრაქტიკაში ქვედა მინიმალური ზღვარი, მხოლოდ მძიმე დანაშაულთან მიმართებაში გამოიყენება. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის ორმაგი ასაკის სისტემა არა მხოლოდ დამაბნეველია, არამედ, ხშირად მთელ უფლებამოსილებას სასამართლოს/მოსამართლეს აკისრებს, რამაც შეიძლება დისკრიმინაციული პრაქტიკა დაამკვიდროს. სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის სხვადასხვა მინიმალური ასაკის არსებობის ფონზე, კომიტეტი მიიჩნევს, რომ მინიმალურ ასაკთან დაკავშირებით, საჭიროა მონაწილე სახელმწიფოების ნათლად ჩამოყალიბებული რეკომენდაციებით უზრუნველყოფა.

31. კონვენციის მეორმოცე მუხლის მესამე პუნქტი მონაწილე სახელმწიფოებისგან, სხვათა შორის, ითხოვს იმ მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის მიღწევამდეც, როგორც ითვლება, ბავშვებს არ აქვთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის უნარი, თუმცა, მუხლი კონკრეტულად არ მიუთითებს მინიმალურ ასაკს. კომიტეტი მიიჩნევს, რომ წინამდებარე დებულება მონაწილე სახელმწიფოებს ავალდებულებს, დაადგინონ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, რაც გულისხმობს შემდეგს:

- ბავშვები, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის მომენტში, არ მიუღწევიათ მინიმალურ ასაკამდე, ვერ გასამართლდებიან სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ძალზე მცირეწლოვან ბავშვებსაც კი, შეუძლიათ დაარღვიონ კანონი, მაგრამ თუ მათი ასაკი ჩამორჩება პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, ისინი ვერ გასამართლდებიან სისხლის სამართლის კანონმდებლობით. ამგვარი ბავშვებისათვის შესაძლებელია სპეციალური დამცავი ზომების მიღება, რაც მათ ჭეშმარიტ ინტერესებს უნდა პასუხობდეს.

- ბავშვებს, რომლებიც გადაცილებულები არიან პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, მაგრამ ჯერ არ შესრულებიათ თვრამეტი წელი დანაშაულის ჩადენის მომენტში (იხილეთ პარაგრაფები 35-38 ქვემოთ), ოფიციალურად შეიძლება ბრალი შეერაცხოთ სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვით. მაგრამ, ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურები, საბოლოო განაჩენის ჩათვლით, სრულად უნდა შეესაბამებოდეს კონვენეციის პრინციპებსა და დებულებებს, რომლებსაც მოცემული კომენტარი განიხილავს.

32. პეკინური წესების მეოთხე წესის მიხედვით, რეკომენდებული არ არის პასუხისმგებლობის ასაკის ქვედა ზღვარი დადგინდეს ძალიან ადრეულ ასაკში ემოციური, გონებრივი და ინტელექტუალური მოწიფულობის ფაქტის გათვალისწინებით ამ წესისშესაბამისად, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, არ განსაზღვრონ მინიმალური ასაკი მცირე ასაკით, არამედ ასწიონ ის, საერთაშორისოდ აღიარებულ ქვედა ზღვრამდე. ამ რეკომენდაციიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი, თორმეტ წელს ქვემოთ, არ არის მისაღები ასაკი. მონაწილე სახელმწიფოებმა სასურველია, გაზარდონ პასუხისმგებლობის აბსოლუტურად მინიმალური ასაკი თორმეტ წლამდე და გააგრძელონ მუშაობა ასაკის კიდევ უფრო გასაზრდელად.

33. ამავე დროს, კომიტეტი მონაწილე ქვეყნებს ურჩევს, არ დაიყვანონ მინიმალური ასაკი თორმეტ წლამდე. პასუხისმგებლობის მაღალი ასაკი, როგორიცაა 14- 16 წელი, ხელს უწყობს სასამართლო პროცედურების გარეშე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულებას და ბავშვის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვას, როგორც ეს კონვენციის მეორმოცე მუხლის, მესამე პუნქტის ბ ქვეპუნქტით არის გათვალისწინებული. მონაწილე სახელმწიფოებმა კომიტეტისათვის წარდგენილ ანგარიშში, დეტალურად უნდა აღწერონ, თუ როგორ ეპყრობიან იმ ბავშვებს, რომელთაც არ მიუღწევიათ შიდა კანონმდებლობით დადგენილ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკისათვის, იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი აღიარებულები არიან სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევებად, ან სავარაუდოდ დაარღვიეს კანონი ან ბრალად ედებათ მისი დარღვევა. ანგარიშში, ასევე მითითებული უნდა იყოს, თუ რა სახის

სამართლებრივი გარანტიები არსებობს იმისათვის, რომ მათ მიმართ მოპყრობა სამართლიანია, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს მიღწეული ბავშვების მსგავსად.

34. კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს მინიმალურ ასაკთან დაკავშირებული გამონაკლისების თაობაზე, რომელიც იძლევა უფრო დაბალი მინიმალური ასაკის გამოყენების საშუალებას იმ შემთხვევებში, როდესაც არასრულწლოვანს ჩადენილი აქვს მძიმე დანაშაული, ან სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის საკმარისად მოწიფულად ითვლება. კომიტეტი ხაზგასმით სთხოვს მონაწილე სახელმწიფოებს, რათა მათ პასუხისმგებლობის ისეთი ასაკი დააწესონ, რომელიც არ ითვალისწინებს გამონაკლისების სახით, უფრო დაბალი ასაკობრივი ზღვარის გამოყენებას.

35. იმ შემთხვევაში, როდესაც ვერ დგინდება, მიაღწია თუ არა ბავშვმა სიხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალურ ასაკს, მას არ უნდა დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა (ამასთან დაკავშირებით იხილეთ პარაგრაფი 39 ქვემოთ).

**არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზემო ასაკობრივი ლიმიტი**

36. კომიტეტს ასევე სურს, მონაწილე სახელმწიფოების ყურადღება იმ ზემო ასაკობრივ ზღვარს მიაპყროს, რომელზეც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წესები ვრცელდება. ეს განსაკუთრებული წესები - იგულისხმება როგორც სპეციალური საპროცესო, ისე განრიდებისა და სპეციალური ზომების წესები (სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკის დადგენის ჩათვლით), უნდა შეეხოს ყველა იმ ბავშვს, რომელმაც, როგორც ფიქრობენ, დაარღვია კანონი (ან ჩაიდინა ნებისმიერი ისეთი ქმედება, რაც ისჯება სისხლის სამართლის კანონმდებლობით) და რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში არ იყო 18 წლის.

37. კომიტეტი შეახსენებს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ ისინი აღიარებენ ყველა იმ ბავშვის უფლებას, რომელმაც, სავარაუდოდ დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, მოეპყრან კონვენციის მე-40 მუხლით გათვალისწინებული დებულებების თანახმად. ეს კი ნიშნავს, რომ სავარაუდო დანაშაულის ჩადენის დროს, 18 წლის ასაკის ქვემოთ მყოფი ნებისმიერი პირი, დაექვემდებარება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების წესებს.

38. აქედან გამომდინარე, კომიტეტი ურჩევს იმ მონაწილე სახელმწიფოებს, სადაც არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება ვრცელდება მხოლოდ 16 წლის, ან 16 წლამდე პირებზე, ან სადაც ვრცელდება გამონაკლისი, რომლის მიხედვითაც, 16 ან 17 წლის ბავშვები მიჩნეულნი არიან მოზრდილებად, შეცვალონ კანონმდებლობა, რათა თვრამეტ წლამდე ასაკის ყველა პირს შეეხოს, არასრულწლოვნათა მართლმსაჯულების არადისკრიმინაციული წესები. კომიტეტი კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ ზოგ წევრ სახელმწიფოში, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება კანონის ან გამონაკლისის წესით, ვრცელდება 18 წლის ან 18 წლამდე ასაკის პირებზე, ხშირად 21 წლამდე,

39. ბოლოს, კომიტეტი, ბავშვის ასაკის დადგენის მიზნით, ხაზს უსვამს დაბადების დაუყოვნებელი რეგისტრაციის აუცილებლობას და მის მნიშვნელობას, კონვენციის მე-7 მუხლის შესრულებისათვის, რაც ყველა წევრ სახელმწიფოს ეხება. ბავშვი, რომელსაც არ გააჩნია დაბადების დამადასტურებელი მოწმობა, განსაკუთრებით დაუცველია, რადგან მას ემუქრება ძალადობის ყველა გამოვლინება - იქნება ეს ოჯახში, სამსახურში, განათლების სისტემაში, დასაქმების ადგილას, განსაკუთრებით კი, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში. საკუთარი ასაკის დასადასტურებლად, ყველა ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს უფასო დაბადების მოწმობით. თუ არ არსებობს ასაკის დამადასტურებელი საბუთი, ბავშვს უნდა ჩაუტარდეს სარწმუნო სამედიცინო ან სოციალური შემოწმება, რომელმაც შეიძლება დაადგინოს მისი ასაკი. იმ შემთხვევაში თუ არსებობს სხვადასხვა ურთიერთსწაინააღმდეგო ინფორმაციის შემცველი საბუთი, ან ამგვარი საბუთის მიხედვით, გადაჭრით ვერ დგინდება ბავშვის ასაკი, ის იყენებს არსებულ ეჭვს მის სასარგებლოდ.

**დ. სამართლიანი სასამართლოს გარანტიები**

40. კონვენციის 40 (2) მუხლი, განსაზღვრავს ყველა იმ უფლებებსა და გარანტიებს, რომელიც, სამართლიან სასამართლოს ყველა იმ ბავშვისთვის უზრუნველყოფს, ვინც, სავარაუდოდ დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა, ან აღიარებულია მის დამრღვევად. ზემოხსენებული გარანტიები, განსაზღვრულია აგრეთვე, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტით, რომელიც ადამიანის უფლებათა კომიტეტმა შეიმუშავა. ამ შეთანხმებას მიეძღვნა, ამავე კომიტეტის 13 კომენტარი (1984 წელი) (მართლმსაჯულების ადმინისტრირება), რაც ამჟამად გადასინჯვის პროცესშია. თუმცა, ბავშვებთან დაკავშირებით, ეს გარანტიები, წინამდებარე ნაწილში განხილულ სპეციფიკურ ასპექტებს იძენს. სანამ

უშუალოდ განხილვაზე გადავიდოდეს, კომიტეტი კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს, რომ ამ უფლებებისა და გარანტიების დაცვაში, განსაკუთრებული როლი ენიჭება, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში ჩართულ სპეციალისტებსა და მოხელეებს. პოლიციის ოფიცრების, პროკურორების, ბავშვის კანონიერი და სხვა წარმომადგენლების, მოსამართლეების, პრობაციის ოფიცრების, სოციალური მუშაკებისა და სხვა სპეციალისტების ტრენინგები, უნდა მიმდინარეობდეს სისტემატურად და უწყვეტად. ეს ადამიანები ზედმიწევნით კარგად უნდა ერკვეოდნენ ბავშვის, განსაკუთრებით კი მოზარდის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, გონებრივი და სოციალური განვითარების საკითხებში. აგრეთვე იმ ბავშვების სპეციალურ საჭიროებებში, რომლებიც, ქვემოთ ჩამოთვლილ კატეგორიებს მიეკუთვნებიან: უნარშეზღუდული, ადგილნაცვალი, ქუჩის, დევნილი და თავშესაფრის მაძიებელი ბავშვები. ასევე ბავშვები, რომლებიც  რასობრივ, ეთნიკურ, რელიგიურ, ლინგვისტურ ან სხვა უმცირესობებს მიეკუთვნებიან (იხილეთ პარაგრაფი 6-9 ზემოთ). გამომდინარე იქიდან, რომ მცირერიცხოვნობის გამო, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი გოგონები, ყურადღების მიღმა რჩებიან, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, სწორედ მათ სპეციფიკურ საჭიროებებს, რომელთა შორისაა განხორციელებული შესაძლო ძალადობა ან ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სპეციალური საჭიროებები. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე სპეციალისტებისა და ამ სისტემის თანამშრომლების ბავშვებთან მოპყრობა, ნებისმიერ შემთხვევაში, ხელს უნდა უწყობდეს ბავშვების ღირსებისა და საკუთარი მნიშვნელობის გრძნობის განვითარებას. უნდა განუმტკიცოს მათ, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემა, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ბავშვების რეინტეგრაციისა და მათ მიერ საზოგადოებაში დადებითი როლის შესრულების შესაძლებლობას.

**არასრულწლოვანთა მიმართ რეტროაქტიული მართლმსაჯულების დაუშვებლობა (მუხლი 40(2)(ა))**

41. კონვენციის მე-40 მუხლის, 2 პუნქტის (ა) ქვეპუნქტი ადასტურებს, რომ ნებისმიერი ადამიანის უფლებაა, არ ითვლებოდეს სისხლის სამართლის კანონმდებლობის დამრღვევად, ბრალად არ დაედოს მისი დარღვევა და არ იქნეს აღიარებული დამნაშავედ, იმ მოქმედების ან უმოქმედობის გამო, რომელიც მისი ჩადენის მომენტისათვის არ იყო აკრძალული ეროვნული ან საერთაშორისო სამართლით. აღნიშნული თანაბრად ვრცელდება ბავშვებზეც (იხილეთ ასევე, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი, მუხლი 15). ეს უფლება გულისხმობს, რომ არც ერთ ბავშვს, ბრალად არ უნდა დაედოს ისეთი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც მისი ჩადენის დროს, არ იკრძალებოდა მოქმედი ეროვნული სისხლის სამართლის ან საერთაშორისო კანონმდებლობით. ბოლო პერიოდში, ბევრმა წევრმა სახელმწიფომ შეცვალა ან გააფართოვა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ტერორიზმის პრევენციის ან მასთან ბრძოლის მიზნით. აქედან გამომიდნარე, კომიტეტი ურჩევს ამ სახელმწიფოებს, გამოიჩინონ სიფრთხილე, რათა ამგვარმა ცვლილებებმა არ გამოიწვიოს ბავშვების უკუქცევითი ან არამიზანმიმართული დასჯა. კომიტეტს ასევე სურს შეახსენოს მონაწილე სახელმწიფოებს, რომ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესი, რომლის მიხედვითაც, არ შეიძლება ადამიანის მიმართ უფრო მძიმე სასჯელის გამოყენება, ვიდრე ამას, დანაშაულის ჩადენის დროს მოქმედი კანონმდებლობა ითვალისწინებდა, კონვენციის 41-ე მუხლის მიხედვით, ვრცელდება ამ შეთანხმების მონაწილე სახელმწიფოებში მცხოვრებ ბავშვებზეც. არც ერთ ბავშვს, არ უნდა მიესაჯოს უფრო მძიმე სასჯელი, ვიდრე ამას ითვალისწინებდა სისხლის სამართლის კანონმდებლობა, მის მიერ კანონის დარღვევის დროს. მაგრამ, თუ კანონში შეტანილი ცვლილებები, უფრო მსუბუქი განაჩენის გამოტანის საშუალებას იძლევა, ბავშვს უფლება აქვს ისარგებლოს ამ შეღავათით.

**უდანაშაულობის პრეზუმფცია (მუხლი 40 (2) (ბ) (i))**

42. უდანაშაულობის პრეზუმფციას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების უფლებების დაცვის თვალსაზრისით. მის მიხედვით, ბავშვის მიმართ წაყენებული ბრალდებების დამტკიცების პასუხისმგებლობა, მთლიანად ბრალდების მხარეს აკისრია. ბავშვს, რომელმაც, სავარაუდოდ დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა ან ბრალი ედება მის დარღვევაში, აქვს საკითხის ეჭვქვეშ დაყენების უფლება და წაყენებულ ბრალდებებში მისი დამნაშავედ ცნობა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებების დამტკიცება ხდება გონივრული ეჭვის ფარგლებს მიღმა. ბავშვს აქვს უფლება, მოეპყრან პრეზუმციის შესაბამისად, ხოლო საქმეში მონაწილე ყველა საჯარო პირი, ვალდებულია საქმის საბოლოოდ დასრულებამდე, არ გააკეთოს წინასწარი დასკვნები შედეგების შესახებ. მონაწილე სახელმწიფოებმა, უნდა უზრუნველყონ ინფორმაცია ბავშვის განვითარების შესახებ, რათა მათი უდანაშაულობის პრეზუმფციის უფლება დაცული იყოს. ხშირად შიშის, მოუმწიფებლობის, გაუგებრობის ან სხვა მიზეზების გამო, ბავშვები საეჭვოდ იქცევიან, მაგრამ შესაბამისმა ორგანოებმა არ უნდა ცნონ ბავშვის ბრალეულობა, თუ მის მიმართ წაყენებული ბრალდებები დადასტურებული არ არის გონივრული ეჭვს მიღმა.

**მოსმენის უფლება (მუხლი 12)**

43. კონვენციის მე-12 მუხლის მიხედვით, ბავშვს აქვს უფლება, ეროვნული კანონმდებლობის პროცესუალური ნორმებით გათვალისწინებული წესით, როგორც უშუალოდ, ისე წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით, მოუსმინონ სასამართლო თუ ადმინისტრაციული წესით ნებისმიერი საქმის განხილვისას, რომელიც მას ეხება.

44. ნათელია, რომ ყველა იმ ბავშვისათვის, რომელმაც, სავარაუდოდ დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამრღვევად, მოსმენის უფლება უდიდეს მნიშვნელობას იძენს, მისი სხვა უფლების – სამართლიანი სასამართლოს – დაცვის თვალსაზრისით. ასევე ცხადია, რომ ბავშვს, თუ კი ეს ემსახურება მის ჭეშმარიტ ინტერესებს, აქვს უფლება მოუსმინონ უშუალოდ და არა მხოლოდ კანონიერი წარმომადგენლის ან შესაბამისი ორგანოს მეშვეობით. აუცილებელია ამ უფლების სრული დაცვა პროცესის ნებისმიერ ეტაპზე, დაწყებული წინასწარი გამოძიებით, როდესაც ბავშვს აქვს დუმილის უფლება, დამთავრებული პოლიციის ოფიცრების, პორკურორებისა და მოსამართლეების პასუხისმგებლობით მოუსმინონ ბავშვს. გარდა ამისა, ეს უფლება ვრცელდება გასამართლებასა და სასჯელის აღსრულებაზეც. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, თავისუფლად გამოთქვას შეხედულებები მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე. ამასთან, ბავშვის შეხედულებებს სათანადო ყურადღება ეთმობა, მისი ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად.

45. ბავშვს უნდა მიეცეს უფლება, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი შეხედულებები მასზე დაკისრებულ (ალტერნატიულ) ზომებთან დაკავშირებით. ასევე, სათანადოდ გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი სურვილები ან არჩევანი. იმ ფაქტის დაშვება, რომ ბავშვს შეიძლება დაეკისროს სისხსლის სამართლის პასუხისმგებლობა, გულისხმობს იმასაც, რომ იგი საკმარისად კომპეტენტურია და უნარი შესწევს მიიღოს სრული მონაწილეობა იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ეხება მის მიმართ, სისხლის სამართლის კანონმდებლობის დაღვევის შედაგად წაყენებულ ბრალდებაზე ყველაზე მართებული ზომების მიღებას (იხილეთ აგრეთვე 46-ე პარაგრაფი ქვემოთ). ცხადია, მოსამართლეებს აკისრიათ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა. მაგრამ, ბავშვთან, როგორც პასიურ ობიექტთან მოპყრობა, არ აღიარებს მის უფლებებს და აფერხებს მის ქცევაზე ეფექტურ რეაგირებას. ეს ეხება აგრეთვე, ბავშვთან დაკავშირებით მისაღებ ზომებსაც. კვლევების შედეგად დადასტურდა, რომ ბავშვის ეფექტურ მონაწილეობას, უმეტეს შემთხვევებში დადებითი შედეგი მოაქვს.

**პროცესში ეფექტური მონაწილეობის უფლება (მუხლი 40 (2) (ბ) (IV))**

46. სამართლიანი სასამართლოს პრინციპი გულისხმობს, რომ ბავშვმა, რომელმაც, სავარაუდოდ დააღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედება მისი დარღვევა ან აღიარებულია მის დამღვევად, უნდა შეძლოს სამართლო პროცესში აქტიური მონაწილეობა. ამისთვის კი, მას კარგად უნდა ესმოდეს მისთვის წაყენებული ბრალდების შინაარსი. აგრეთვე უნდა ესმოდეს მოსალოდნელი შედეგები და სასჯელის ზომა, რათა შეძლოს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით, ეჭვქვეშ დააყენოს მოწმეთა ჩვენებები, გადმოსცეს საქმის არსი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მტკიცებულებების, ჩვენებებისა და მის მიმართ გასატარებელი ზომის (ზომების) შესახებ. პეკინური წესების მე-14 მუხლის მიხედვით, სასამართლო სხდომები უნდა ტარდებოდეს ისეთ გარემოში, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს, მიიღოს მონაწილეობა და ღიად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. ბავშვის ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით, შესაძლებელია ასევე, საჭირო გახდეს სხდომის ჩატარება შესაბამისად მოდიფიცრებული მოსმენის პროცედურებისა და პრაქტიკის მიხედვით.

**დაუყოვნებელი და უშუალო ინფორმირება წაყენებული ბრალდების (ბრალდებების) შესახებ (მუხლი 40 (2) (ბ) (II))**

47. ყველა ბავშვს, რომელმაც, სავარაუდოდ, დაარღვია სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ან ბრალად ედება მისი დარღევევა, აქვს უფლება დაუყოვნებლივ და უშუალოდ მიიღოს ინფორმაცია, მის მიმართ წაყენებული ბრალდებების შესახებ. "დაუყოვნებლივ" და "უშუალოდ", გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას რაც შეიძლება სწრაფად, როგორც კი პროკურორი ან მოსამართლე დაიწყებს საპროცესო მოქმედებებს ბავშვის წინააღმდეგ. თუმცა, მაშინაც კი, როდესაც შესაბამისი ორგანოები გადაწყვეტენ სამართლებრივი პროცედურების გვერდის ავლით შემთხვევაზე რეაგირებას, აუცილებელია ბავშვის ინფორმირება ბრალდების შესახებ, რამაც შეიძლება დაასაბუთოს ეს მიდგომა. ეს არის კონვენციის მე-40 მუხლის, მესამე პუნქტის ბ ქვეპუნქტით გაწერილი ერთ-ერთი მოთხოვნა, რომლის თანახმადაც, სრულად უნდა იყოს დაცული სამართლებრივი გარანტიები. ბავშვის ინფორმირება უნდა მოხდეს მისთვის გასაგებ ენაზე, რაც გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას უცხო ენაზე, აგრეთვე სპეციფიკური იურიდიული ტერმინებიდან"გადათარგმნას", ბავშვისათვის გასაგებ ენაზე.

48. ბავშვისათვის ოფიციალური დოკუმენტის წარდგენა არ არის საკმარისი და ხშირად, საჭიროა ზეპირი განმარტებების გაკეთება. შესაბამისმა ორგანოებმა არ უნდა მიანდონ ეს საქმე მშობლებს, ან მეურვეებს, ან ბავშვის იურიდიულ თუ სხვა დამხმარეებს. ბავშვისათვის მის მიმართ წაყენებული ბრალდებების განმარტება, შესაბამისი ორგანოების (მაგალითად, პოლიციის, პორკურატურის, სასამართლოს) პასუხისმგებლობაა. კომიტეტის აზრით, ამგვარი ინფორმაციის მიწოდება მშობლებისა და კანონიერი მეურვეებისათვის, არ უნდა იყოს ბავშვის უშუალო ინფორმირების ალტერნატივა. ოპტიმალურ შემთხვევაში, ინფორმაცია ბავშვის მიმართ წაყენებული ბრალდებებისა და მათი შედეგების შესახებ, უნდა მიეწოდოს როგორც ბავშვს, ასევე მის მშობლებს ან მეურვეებს, მათთვის გასაგებ ენაზე.

**იურიდიული ან სხვა შესაბამისი დახმარება (მუხლი 40 (2) (ბ) (II))**

49. დაცვის მომზადების პროცესში, ბავშვს უფლება აქვს გამოიყენოს იურიდიული ან სხვა შესაბამისი დახმარება, რაც მკაცრადაა განსაზღვრული კონვენციით. თუმცა ეს არ გულისხმობს მხოლოდ აუცილებელ იურიდიულ დახმარებას. თუმცა, ბავშვისათვის გაწეული ნებისმიერი სახის დახმარება, ყოველთვის უნდა იყოს ადეკვატური. მონაწილე სახელმწიფოები თავად წყვეტენ, თუ როგორ უნდა უზრუნველყონ ბავშვი შესაბამისი დახმარებით. თუმცა დამხარება აუცილებლად უფასო უნდა იყოს. სასურველია, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა, ყველა ზომა მიიღონ იმისათვის, რათა ბავშვმა ისარგებლოს როგორც კვალიფიციური პროფესიონალი იურისტის, ასევე, შესაბამისად მომზადებული თანაშემწეების დახმარებით. შესაძლებელია აგრეთვე, ბავშვს გაეწიოს სხვა სახის დახმარება (მაგალითად, სოციალური მუშაკის დახმარება), მაგრამ ამ შემთხვევაში დახმარების აღმომჩენ პირებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მიმდინარე პროცესებთან და სხვადასხვა იურიდულ ასპექტებთან დაკავშირებით, უნდა გააჩნდეთ საკმარისი ცოდნა. გარდა ამისა, მათ უნდა ქონდეთ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება.

50. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 მუხლის, მესამე პუნტქის ბ ქვეპუნქტის მიხედვით, ბავშვს და მის დამხმარეს, დაცვის მოსამზადებლად უნდა მიეცეთ საკმარისი დრო და შესაძლებლობა. ნებისმიერი სახის კომუნიკაცია ბავშვსა და მის დამხარეს შორის, იქნება ეს წერილობითი თუ ზეპირი, უნდა ხორციელდებოდეს ისეთ გარემოში, რომელიც უზრუნველყოფს მათი კონფიდენციალობის სრულ დაცვას, როგორც ამას ითვალისწინებს კონვენციის მე-40 მუხლის, მეორე პუნტქის ბ ქვეპუნტქის VII ნაწილი და კონვენციის მე-16 მუხლი, რომელთა მიხედვითაც, ყველა ბავშვს აქვს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

ზოგმა წევრმა სახელმწიფომ გააკეთა დათქმა ამ გარანტიასთან დაკავშირებით (ბავშვის უფლებათა კონვენცია მუხლი 40 (2)(ბ)(II)). სავარაუდოდ იგულისხმებოდა ის, რომ ეს უფლება, გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ იურიდულ დახმარებას, რაც მხოლოდ იურიდიული ასისტენტის, ესე იგი იურისტის მეშვეობითაა შესაძლებელი. ეს არ არის მართებული და საჭიროა ამის უარყოფა.

**გადაწყვეტილების დაუყოვნებილივ მიღება და მშობლების მონაწილეობა (მუხლი 40 (2) (ბ) (III))**

51. არსებობს საყოველთაო კონსენსუსი იმის შესახებ, რომ დრო, ბავშვის მიერ დანაშაულის ჩადენასა და მასზე საბოლოო პასუხს შორის, უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე. რაც უფრო დიდია პერიოდი, მით უფრო იმატებს იმის საშიშროება, რომ გამოყენებული ზომა დაკარგავს ეფექტს, ხოლო ბავშვის სტიგმატიზაცია კიდევ უფრო გამძაფრდება. ამ საკითხთან დაკავშირებით, კომიტეტს მოჰყავს კონვენციის 37-ე მუხლის ,,დ" პუნტქი, რომლის მიხედვითაც, თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს აქვს უფლება დაუყოვნებლივ მიიღოს პასუხი მის მიერ გასაჩივრებულ თავისუფლების აღკვეთის კანონიერებსთან დაკავშირებით. ამ შემთხვევაში ტერმინი "დაუყოვნებლივ", კიდევ უფრო მკაცრი ხასიათისაა, ვიდრე ტერმინი "დაყოვნების გარეშე" (კონვენციის მუხლი 40 (2) (ბ) (III)), რაც თავის მხრივ უფრო მკაცრია, ვიდრე ტერმინი "არასაჭირო დაყოვნების გარეშე" (სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ პაქტის მუხლი 14 (3)(გ)), რაც გამართლებულია, თავისუფლების აღკვეთის სერიოზულობის გავითვალისწინებთ (კონვენციის მუხლი 40 (2) (ბ) (III)).

52. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, დააწესონ დროის ლიმიტი ბავშვის მიერ ჩადენილ დანაშაულსა და პოლიციის გამოძიებას, ბავშვის მიმართ ბრალდების წაყენების შესახებ პროკურორატურის (ან სხვა კომპენტენტური ორგანოს) გადაწყვეტილებასა და სასამართლოს (ან სხვა კომპეტენტური ორგანოს) მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებას შორის. დროის ლიმიტი ბავშვებთან მიმართებაში, გაცილებით უფრო მოკლე უნდა იყოს, ვიდრე ეს მოზრდილების შემთხვევაში ხდება. მაგრამ ამავე დროს, დაყოვნების გარეშე გადაწყეეტილების მიღებისას, დაცული უნდა იყოს ბავშვის ადამიანის უფლებები და სამართლებრივი გარანტიები. გადაწყევეტილების მიღების პროცესში, ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იყოს იურიდიული ან სხვა შესაბამისი დახმარებით. დახმარების გამოყენება, ბავშვს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ

სასამართლოში ან სხვა შესაბამის იურიდიულ ორგანოში წარმართული პროცესის დროს, არამედ ყველა სტადიაზე, დაწყებული პოლიციის მიერ ჩატარებული გამოძიების (დაკითხვის) ეტაპიდან.

53. სასურველია მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლების სასამართლო პროცესზე დასწრება, რადგან ისინი ფსიქოლოგიურ და მორალურ მხარდაჭერას უწევენ ბავშვს. მშობლების დასწრება არ გულისხმობს, რომ მათ უნდა იმოქმედონ ბავშვის დასაცავად, ან მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, მოსამართლეს ან კომპეტენტურ პირს შეუძლია, ბავშვის ან მისი კანონიერი ან სხვა დამხმარის თხოვნის საფუძველზე შეამციროს ან შეზღუდოს მშობლების მონაწილეობა ან საერთოდ აუკრძალოს მათ მონაწილეობა, იმ შემთხვევაში, თუ ეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებშია.

54. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, კანონით კონკრეტულად განსაზღვრონ მშობლების ან კანონიერი წარმომადგენლის პროცესში მონაწილეობის ხანგრძლივობის მაქსიმუმი. მონაწილეობა უნდა ემსახურებოდეს, ბავშვის მიერ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევაზე ეფექტურ რეაგირებას. მშობლების მონაწილეობის მხარდაჭერის მიზნით, მათ რაც შეიძლება ადრე უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია სიტუაციის შესახებ.

55. ამავე დროს, კომიტეტი სინანულით აღნიშნავს ზოგ წევრ სახელმწიფოში გავრცელებულ პრაქტიკის შესახებ, რომლის მიხედვით, მშობლები ისჯებიან საკუთარი შვილების მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის. სამოქალაქო პასუხისმგებლობა ზარალისათვის, რომელიც გამოწვეულია ბავშვის (განსაკუთრებით უმცროსი ასაკის ბავშვების შემთხვევაში, რომლებსაც ჯერ არ მიუღწევიათ 16 წლის ასაკამდე) ქმედების შედეგად, ზოგჯერ უპრიანია. მაგრამ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მშობლების კრიმინალიზაცია, სავარაუდოდ ხელს შეუშლის მათ, დადებითი როლი შეასრულონ ბავშვის სოციალურ რეინტეგრაციაში.

**იძულებითი აღიარებისგან გათავისუფლება (მუხლი 40 (2) (ბ) (III))**

56. სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-14 (3) (ზ) მუხლის გათვალისწინებით, კონვენცია განმარტავს, რომ დაუშვებელია ბავშვზე განხორციელდეს ზეწოლა ბრალის აღიარების მიზნით. ეს უპირველეს ყოვლისა იმას ნიშნავს, რომ ბავშვის წამება, სასტიკი და არაადამიანური, ღირსების შემლახველი მოპრობა აღიარების მოპოვების მიზნით, წარმოადგენს კონვენციის 37-ე (ა) მუხლით გათვალისწინებული უფლებების უხეშ დარღვევას და სრულიად მიუღებელია. ამგვარი საშუალებებით მიღებული ინფორმაცია ან აღიარება, არ ჩაითვლება მტკიცებულებად (კონვენცია წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის წინააღმდეგ, მუხლი 15).

57. არსებობს უამრავი, ნაკლებად ძალადობრივი საშუალება ბავშვისგან აღიარების მისაღებად. ტერმინს “იძულება”, აქვს ფართო მნიშვნელობა და ის არ უნდა იქნეს განმარტებული, მხოლოდ როგორც ფიზიკური ზეწოლა ან ადამიანის უფლებების უხეში დარღვევა. ბავშვის ასაკი, მისი განვითარების დონე, დაკითხვის ხანგრძლივობა, აღქმის უნარი, გაურკვეველი შედეგების შიში ან დაპატიმრების შესაძლო საფრთხე, ხშირად აიძულებს მას აღიაროს ის, რაც არ ჩაუდენია. ეს საშიშროება კიდევ უფრო რეალურია, თუ მას პირდებიან, მაგალითად - “როგორც კი სიმართლეს გვეტყვი, სახლში გაგიშვებთ”-ო, ან როდესაც მას აიმედებენ შემსუბუქებული სასჯელით ან გათავისუფლებით.

58. დაკითხვაზე მყოფ ბავშვს უნდა შეეძლოს, იურიდიული ან სხვა სახის შესაბამისი დახმარების გამოყენება. მას აგრეთვე უფლება აქვს, მის დაკითხვას დაესწროს ერთერთი ან ორივე მშობელი. საჭიროა დამოუკიდებელი გამოძიება დაკითხვის მეთოდის შესახებ, რათა დადგინეს, რომ ადგილი არ ქონია ზეწოლას და ჩვენება, გარემოებებიდან გამომდინარე, სანდოა. სასამართლო ან სხვა შესაბამისი იურიდიული ორგანო, ბავშვის მიერ მიცემული ჩვენების ან აღიარების ნებაყოფლობის საკითხის განხილვისას, ვალდებულია მხედველობაში მიიღოს შემდეგი ფაქტორები: ბავშვის ასაკი, პატიმრობაში ყოფნის პერიოდი და დაკითხვის ხანგრძლივობა, ესწრებოდა თუ არა დაკითხვას ბავშვის იურიდიული ან სხვა მრჩეველი, მშობლები ან ბავშვის დამოუკიდებელი წარმომადგენელი. პოლიციის ოფიცრები ან სხვა პირები, რომლებიც დაკითხვას აწარმოებენ, შესაბამისად უნდა იყვნენ მომზადებულები, რათა თავიდან იქნეს აცილებული ისეთი ტექნიკისა და პრაქტიკის გამოყენება, რაც ბავშვს, არასანდო ჩვენებისა ან აღიარების მიცემას აიძულებს.

**მოწმეთა დასწრება და დაკითხვა (მუხლი 40 (2)(ბ)(IV))**

59. კონვენციის მე-40 (2)(ბ)(IV) მუხლი, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებისას, დაცული უნდა იყოს მხარეთა თანასწორობის პრინციპი (თანასწორი პირობები ან დაცვისა და ბრალდების მხარეების თანასწორობა). ტერმინების “დაკითხონ” ან “დაკითხულ იქნენ” განმარტება დამოკიდებულია იმ გარემოებაზე, რომ არსებობს განსხვავება

სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს შორის, განსაკუთრებით კი აკუზაციურ და ინკვიზიციურ პროცესებს შორის. უკანასკნელ შემთხვევაში, ბრალდებულს ხშირად უფლება აქვს თავად დაკითხოს მოწმეები, თუმცა ამ უფლების გამოყენება იშვიათად ხდება და ძირითადად მოწმეების დაკითხვა ადვოკატებს აქვთ მინდობილი ან ბავშვების შემთხვევაში, სხვა შესაბამის პირებს. თუმცა, მნიშვნელოვანია, რომ ადვოკატმა ან სხვა წარმომადგენელმა აცნობოს ბავშვს მისი უფლების შესახებ, თავად დაკითხოს მოწმეები და გამოთქვას საკუთარი შეხედულება, რომელსაც სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის ასაკისა და სიმწიფის შესაბამისად (კონვენცია მუხლი 12).

**გასაჩივრების უფლება (მუხლი 40(2)(ბ)(V))**

60. ბავშვს აქვს უფლება, მოითხოვოს იმ გადაწყვეტილების და მასთან დაკავშირებული ნებისმიერი ღონისძიების ხელახალი განხილვის უფლება, რომლის მიხედვიდაც, იგი ცნეს დამნაშავედ მის მიმართ წაყენებულ ბრალდებაში (ბრალდებებში). ხელახალი განხილვა უნდა აწარმოოს ზემდგომმა, კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ორგანომ, რომელიც პასუხობს ყველა იმ სტანდარტსა და მოთხოვნილებას, რომელსაც პასუხობდა გადაწყვეტილების გამომტანი პირველი ორგანო. ეს გარანტია შეესაბამება სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის 15(4) მუხლს და არ შემოიფარგლება მხოლოდ მძიმე ბრალდებებით.

61. სავარაუდოდ, არასწორი ინტერპრეტაცია უნდა იყოს მიზეზი, ზოგი სახელმწიფოს მიერ დათქმის გამოყენებისა, რომლის მიხედვითაც, ბავშვის მიერ გასაჩივრების უფლების გამოყენება მხოლოდ მძიმე ბრალდების და/ან თავისუფლების აღკვეთის შემთხვევებში ხდება. კომიტეტი შეახსენებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის წევრ სახელმწიფოებს, რომ ეს უფლება გათვალისწინებულია ზემოხსენებული დოკუმენტის 14(5) მუხლითაც. და თუ ამ საკითხს გავნიხილავთ ბავშვის უფლებათა კონვენციის 41-ე მუხლის ჭრილში, ეს უფლება ყველა გასამართლებულ ბავშვს უნდა გავრცელდეს. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე ქვეყნებს, შეცვალონ გადაწყვეტილება 40(2)(ბ)(V) მუხლის დებულებებთან დაკავშირებით.

**თარჯიმნის უფასო დახმარება (მუხლი 40(2)(VI))**

62. თუ ბავშვს არ ესმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში გამოყენებული ენა, მას აქვს თარჯიმნის უფასო დახმარების უფლება. თარჯიმნის დახმარება არ შემოიფარგლება მხოლოდ სასამართლო პროცესებით – ის ასევე გულისხმობს, დახმარებას არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ნებისმიერ ეტაპზე. საჭიროა თარჯიმანი სპეციალურად იყოს მომზადებული ბავშვებთან სამუშაოდ, რადგან მათი ენა და აღქმის უნარი, განსხვავდება უფროსების მეტყველებისაგან. ცოდნის და/ან გამოცდილების ნაკლებობამ, შეიძლება გამოიწვიოს ის, რომ ბავშვმა ვერ გაიაზროს დასმული კითხვა, რაც აფერხებს სამართლიან სასამართლო წარმოებას და ეფექტურ მონაწილეობასთან დაკავშირებულ უფლებათა განხორციელებას. პირობით დამოკიდებული წინადადება, მაგალითად "თუ ბავშვს არ ესმის და ვერ მეტყველებს იმ ენაზე, რომელიც გამოიყენება" ნიშნავს, რომ თუ მაგ. განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის ბავშვი, მშობლიური ენის გარდა მეტყველებს ოფიციალურ ენაზე, არ საჭიროებს თარჯიმნის უფასო დახმარებას.

63. კომიტეტს ასევე სურს, მონაწილე სახელმწიფოების ყურადღება იმ ბავშვების სპეციალური საჭიროებებისკენ მიაპყროს, რომლებსაც მეტყველების დეფექტი ან სხვა სახის უნარშეზღუდულობა აღენიშნებათ. ხელმძღვანელობს რა კონვენციის 40(2)(VI) და 23-ე მუხლებით (რომელიც კონკრეტულად ეხება მეტყველების დეფექტისა და სხვა უნარშეზღუდულობის მქონე ბავშვების დაცვის სპეციალურ ზომებს), კომიტეტი მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილი ასეთი ბავშვები, მომზადებული სპეციალისტების მეშვეობით, უზრუნველყონ შესაბამისი და ეფექტური დახმარებით. მაგალითად, სურდო თარგმანის სპეციალისტები (ამასთან დაკავშირებით ასევე იხილეთ ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი 9 (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების უფლებები).

**პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება (მუხლები 16 და 40 (2)(ბ)(VII))**

64. ბავშვის პირადი ცხოვრების სრული პატივისცემის უფლება პროცესის ყველა ეტაპზე, ასახავს კონვენციის მე-16 მუხლით განსაზღვრულ პირადი ცხოვრების დაცვის უფლებას. "პროცესის ყველა სტადია" გულისხმობს არა მხოლოდ ბავშვის პირველ კონტაქტს სამართალდამცავ ორგანოებთან (მაგალითად, ინფორმაციის მოთხოვნა და პირადობის დადგენა), არამედ სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებულ საბოლოო გადაწყვეტილებას, ან მეთვალყურეობიდან ან პატიმრობიდან გათავისუფლებას. ამ კონკრეტულ კონტექსტში, ეს პრინციპი გულისხმობს ბავშვის დაცვას გახმაურებისა და სტიგმატიზაციისგან (იარლიყის მიწებება). დაუშვებელია იმგვარი ინფორმაციის გამოქვეყნება, რაც მიანიშნებს დამნაშავე ბავშვის ვინაობაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული სტიგმატიზაციის შედეგები და მისი შესაძლო გავლენა განათლების

მიღებისა და მუშაობის შესაძლებლობაზე, აგრეთვე დაბინავებასა და უსაფრთხოებაზე. ამ პრინციპის დაცვა იმას გულისხმობს, რომ საჯარო ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ მედიასთან ურთიერთობისას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ბავშვის შესაძლო ბრალეულობას, ძალზედ იშვიათი გამონაკლისების გარდა. მათ ყველა ზომა უნდა მიიღონ იმისათვის, რათა კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების ვინაობა არ გამჟღავდეს პრეს რელიზების მეშვეობით, ხოლო ჟურნალისტმა, რომელიც გაამჟღავნებს ბავშვის ვინაობას პასუხი უნდა აგოს დისციპლინარული, ხოლო განმეორების შემთხვევაში - სისხლის სამართლის კანონმდებლობის მიხედვითაც კი.

65. ბავშვის პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით, წევრი სახელმწიფოების უმეტესობაში – ზოგ შემთხვევაში გამონაკლისების ჩათვლით – არსებობს კანონდამრღვევი არასრულწლოვნების სასამართლო პროცესის დახურულ კარს მიღმა ჩატარების პრაქტიკა, რომლის მიხედვით სასამართლოზე დასწრების უფლება აქვთ ექსპერტებსა და სხვა სპეციალისტებს მხოლოდ სასამართლოს ნებართვით. საზოგადოების დასწრება არასრულწლოვანთა საქმეების გახინვალზე უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ და მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული შემთხვევებით სასამართლოს წერილობითი გადაწყვეტილების საფუძველზე. ბავშვს უფლება აქვს გააპროტესტოს სასამართლოს მიერ მიღებული ამგვარი გადაწყვეტილება.

66. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს ყველა მონაწილე სახელმწიფოს შემოიღოს წესი, რომლის მიხედვითაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის საქმის განხილვა იწარმოებს დახურულ კარს მიღმა. გამონაკლისები უნდა იყოს უკიდურესად იშვიათი და მხოლოდ კანონის მიერ კონკრეტულად განსაზღრულ შემთხვევებში. განაჩანი იმგვარად უნდა გაეცნოს საზოგადოებას სასამართლო სხდომაზე, რომ ბავშვის ვინაობა არ გამჟღავნდეს. ბავშვის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება (მუხლი 16) ავალდებულებს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ გადაწყვეტილი ღონისძიებების განხორციელებაში მონაწილე ყველა პირს არ გაამხილონ გარეშე პირებთან ისეთი ინფორმაცია, რამაც შეიძლება გამოიწვიოს კანონდამრღვევი ბაშვების ვინაობის გამჟღავნება. უფრო მეტიც, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ასევე გულისხმობს კანონდამრღვევი ბავშვების შესახებ დოკუმენტაციის კონფიდენციალურად შენახვას და მესამე მხარისგან დაცვას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მესამე მხარე უშუალოდ არის ჩართული გამოძიების ან აღსრულების პროცესში. სტიგმატიზაციის თავიდან აცილების მიზნით, სამართალდამღვევი ბავშვების საქმეები არ უნდა იქნეს გამოყენებული მოზრდილების სასამართლო განხილვების დროს, რომელშიც იგივე ბრალდებული ფიგურირებს (იხილეთ პეკინური წესები 21.1 და 21.2).

67. კომიეტეტი ასევე რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს შემოიღონ წესი, რომლის მიხედვიდაც მოხდება ბავშვის სახელის ავტომატურად ამოღება სისხლის სამართლის საქმეთა ჩანაწერებიდან, თუ ბავშვი დანაშაულის ჩადენის მომენტში 18 წლის ასაკზე ქვემოთ იყო. შესაძლებელია გარკვეული შეზღუდვები დაწესდეს განსაკუთრებით სერიოზულ დანაშაულზე, სადაც ბავშვის ვინაობის ამოღება მოხდება ბავშვისავე თხოვნით, მხოლოდ კონკრეტული პირობების დაცვით (მაგალითად, თუ დანაშაულის ჩადენიდან ორი წლის განმავლობაში მას აღარ ჩაუდენია კანონსაწინააღმდეგო ქმედება).

**ე. ზომები (იხილეთ აგრეთვე თავი IV, ნაწილი ბ)**

**ალტერნატივები წინასწარი გამოძიების პროცესში**

68. გადაწყვეტილება წინასწარი გამოძიების დაწყების შესახებ ყოველთვის არ მიუთითებს იმაზე, რომ ეს პროცესი აუცილებლად სასამართლოს მიერ ფორმალური გადაწყვეტილების გამოტანით უნდა დასრულდეს. ბ ნაწილში მოცემულ დაკვირვებებთან დაკავშირებით, კომიტეტს სურს ხაზი გაუსვას, რომ კომპეტენტური ორგანო – სახელმწიფოების უმეტესობაში ეს არის პროკურატურა – ვალდებულია მუდმივად მოიძიოს სასამართლოს მიერ ბრალდების გამოტანის ალტერნატივები. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საჭიროა გაგრძელდეს მცდელობები საქმის ისე დასრულებისთვის, როგორც ეს ბ ნაწილში მითითებული ზომების განხორცილებითაა შესაძლებელი. პროკურატურის მიერ შემოთავაზებული ამგვარი ზომების ბუნება და ხანგრძლივობა შეიძლება მკაცრი იყოს და ამ შემთხვევაში ბავშვს შეიძლება შესაბამისი დახმარება დასჭირდეს. ამ ზომების გაცნობა ბავშვისთვის უნდა გულისხმობდეს, რომ ისინი შეაჩერებენ სისხლის სამართლის/არასრულწლოვანთა შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურებს, რომელთა სრული შეწყვეტა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ეს ზომები დადებითი შედეგით განხორციელდება.

69. სასამართლო ბრალდების ალტერნატიული ზომების შეთავაზების პროცესში, სრულად უნდა იყოს დაცული ბავშვის უფლებები და სამართლებრივი გარანტიები, რასაც სრულად ეხება 27-ე პარაგრაფში განხილული რეკომენდაციები.

## არასრულწლოვანთა სასამართლოს/მოსამართლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები

70. სამართლიანი სასამართლო პროცესის დასრულების შემდეგ, რომელიც ჩატარდება კონვენციის მე-40 მუხლით გათვალისწინებული პრინციპების დაცვით (იხილეთ IV თავის D ნაწილი), ხდება გადაწყვეტილების მიღება იმ ზომების მიხედვით, რომელიც უნდა განხორციელდეს ბავშვის მიმართ, თუ მას დაუმტკიცდა წაყენებული ბრალდება. კანონმა უნდა უზრუნველყოს სასამართლო/მოსამართლე ან სხვა კომპეტენტური, დაუმოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანო იმ ალტერნატივების ფართო ჩამონათვალით, რომელიც უნდა ჩაენაცვლოს ზრუნვის ინსტიტუციურ ფორმას, რათა თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნას როგორც მხოლოდ უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება მოკლე პერიოდის განმავლობაში. ალტერნატიული ზომების არასრული ჩამონათვალი მოცემულია კონვენციის 40(4) მუხლში.

71. კომიტეტს სურს ხაზი გაუსვას, რომ რეაგირება ჩადენილ დანაშაულზე უნდა იყოს არა მხოლოდ დანაშაულის გარემოებებისა და სიმძიმის პროპორციული, არამედ ბავშვის ასაკის, შეზღუდული შესაძლებლობების, მასთან დაკავშირებული გარემოებებისა და საჭიროების პროპორციული. ის ასევე უნდა ითვალისწინებდეს საზოგადოების სხვადასხვა და განსაკუთრებით ხანგრძლივვადიან საჭიროებებს. მკაცრად სადამსჯელო მიდგომა არ შეესაბამება კონვენციის 40(1) მუხლით განსაზღვრულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს (იხილეთ პარაგრაფები 5-14 ზემოთ). კომიტეტი კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ ფიზიკური დასჯა, როგორც სასჯელი არის ამ პრინციპების დარღვევა. გარდა ამისა, ის ეწინააღმდეგება 37-ე მუხლს, რომლიც კრძალავს სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახველ მოპყრობისა და დასჯის ნებისმიერ ფორმას (ამასთან დაკავშირებით იხილეთ ბავშვის უფლებათა კომიტეტის 8 კომენტარი (2006) (ბავშვის ფიზიკური დასჯისა და სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობისგან დაცვის უფლება)). ბავშვების მიერ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, მიღებული ზომა უნდა იყოს დანაშაულის გარემოებებისა და სიმძიმის პროპორციული და ასევე ითვალისწინებდეს საზოგადოებრივი უსაფრთხოების საჭიროებას. ბავშვების შემთხვევაში, მათი კეთილდღეობის, მათი ჭეშმარიტი ინტერესების დაცვისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის საჭიროებას უპირატესობა უნდა მიენიჭოს ამგვარი ფაქტორების გათვალისწინებით.

72. კომიტეტი აღნიშნავს, რომ თუ სისხლის სამართლის სასამართლოს გადაწყვეტილება დაკავშირებულია ბავშვის ასაკთან, და არსებობს ურთიერთსაწინააღმდეგო და არასაკმარისი სამხილი ბავშვის ასაკთან დაკავშირებით, ბავშვს აქვს ეჭვით სარგებლობის უფლება.

73. რაც შეეხება თავისუფლების აღკვეთისა და ინსიტუტციური ზრუნვის ალტერნატივებს, ამ საკითხთან დაკავშირებით არსებობს საკმაოდ დიდი გამოცდილება. მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა ისარგებლონ არსებული გამოცდილებით, შეიმუშაონ და დანერგონ ისინი საკუთარი ქვეყნების კულტურასა და ტრადიციებზე დაყრდნობით. ცხადია, მკაცრად უნდა აღიკვეთოს იძულებითი შრომა, წამება, არაადამიანური ან ღირსების შემლახავ მოპყრობა, ხოლო ამგვარი ქმედებების ჩამდენი  პირები უნდა წარდგნენ მართლმსაჯულების წინაშე.

74. ზემოთ მოყვანილი ზოგადი შენიშვნების შემდეგ, კომიტეტს სურს მონაწილე სახელმწიფოების ყურადღება მიაპყროს იმ ზომებზე, რომლებიც აკრძალულია კონვენციის 37-ე მუხლით და აგრეთვე თავისუფლების აღკვეთის საკითხებზე.

### სიკვდილით დასჯის აკრძალვა

75. კონვენციის 37-ე (ა) მუხლი ხაზს უსვამს საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტს (მაგალითისთვის იხილეთ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-6(5) მუხლი), რომლის მიხედვითაც, სიკვდილით დაჯა არ შეიძლება შეეხოს პირს, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში იყო 18 წელზე ქვემო ასაკის. მიუხედავად მკაფიო ტექსტისა, ზოგი მონაწილე სახელმწიფო ასკვნის, რომ წესი კრძალავს მხოლოდ 18 წელს ქვემოთ ასაკის პირების სიკვიდილით დასჯას. თუმცა, ამ წესის მიხედვით, გადამწყვეტი კრიტერიუმი არის ასაკი დანაშაულის ჩადენის მომენტში, რაც იმას გულისხმობს, რომ სასიკვდილო განაჩენი ვერ შეეხება პირს, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში იყო 18 წლის ქვემოთ მიუხედავად მისი ასაკისა გასამართლების, ან სასჯელის აღსრულების მომენტში.

77. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოების იმ მცირერიცხოვან ჯგუფს, სადაც ჯერ კიდევ მოქმედებს სიკვდილით დასჯა, გააუქმონ ეს ზომა იმ პირებთან მიმართებაში, რომლებსაც დანაშაულის ჩადენის მომენტში არ იყვნენ 18 წლის, და აგრეთვე შეაჩერონ სასიკვიდილო განაჩენის აღსრულება ამ პირებისთვის, სანამ სრულად არ შევა ძალაში ბავშვების მიმართ საკანონმდებლო ცვლილება სასიკვდილო განაჩენის გაუქმების შესახებ.

### ვადამდე გათავისუფლების პირობის გარეშე თავისუფლების უვადო აღკვეთის დაუშვებლობა

77. არც ერთ ბავშვს, რომელიც დანაშაულის ჩადენის მომენტში იყო 18 წლის ქვემოთ, არ უნდა მიესაჯოს უვადო თავისუფლების აღკვეთა გათავისუფლების ან ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის გარეშე. ბავშვის მიმართ გამოტანილ ყველა განაჩენთან დაკავშირებით, გათავისუფლების შესაძლებლობა უნდა იყოს რეალური და რეგულარულად გათვალისწინებული. ამ საკითხთან დაკავშირებით, კომიტეტი განმარტავს, რომ კოვენციის 25-ე მუხლის მიხედვით, ყველა ბავშვს, რომელიც ზრუნვის, მკურნალობის ან დაცვის მიზნით განთავსებული არის ინსტიტუციაში, აქვს უფლება პერიოდულად ხდებოდეს მისი საქმის გადასინჯვა. კომიტეტი შეახსენებს იმ წევრ სახელმწიფოებს, რომელთა კანონმდებლობაც არ კრძალავს ბავშვისთვის უვადო თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას ვადამდე გათავისუფლების ან შეწყალების შესაძლებლობით, რომ ამგვარი ზომა სრულ შესაბამისობაში უნდა იყოს კონვენციის მე-40 (1) მუხლით გაცხადებულ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებთან. ეს პრინციპები, სხვათა შორის, გულისხმობს, პატიმრობის განმავლობაში ბავშვისთვის განათლებისა და მკურნალობის უზრუნველყოფას, მასზე ზრუნვას, რაც მიმართული უნდა იყოს გათავისფულების შემდგომ მის საზოგადოებაში რეინტეგრაციასა და მის მიმართ დადებითი როლის შესრულების შესაძლებლობის ხელშეწყობისკენ. გარდა ამისა, პრინციპი ასევე ითვალისწინებს ბავშვის განვითარებისა და პროგრესის რეგულარულ გადასინჯვას, რათა მოხდეს მისი ვადამდე გათავისუფლების შესაძლებლობის შეფასება. გამომდინარე იმ ფაქტიდან, რომ ბავშვებისთვის უვადო პატიმრობის მისჯა თუნდაც გათავისფულების შესაძლებლობით მნიშვნელოვნად აფერხებს კონვენციით გათვალისწინებული არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ძირითადი პრინციპების დანერგვას, კომიტეტი ხაზს უსვამს უვადო პატიმრობის ყველა ფორმის გაუქმების სასურველობას იმ პირებთან მიმართებაში, რომელთა ასაკი დანაშაულის ჩადენის მომენტში 18 წელზე ქვემოთ იყო.

### ვ. თავისუფლების აღკვეთა წინასწარი და სასამართლოს შემდგომი პატიმრობის ჩათვლით

78. კონვენციის 37-ე მუხლი განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთის ზომის გამოყენების პრინციპებს, თავისუფლებააღკვეთილი ყველა ბავშვის პროცესუალურ უფლებებსა და იმ დებულებებს, რომლებიც ეხება თავისუფლებააღკვეთილი ბავშვის პირობებსა და მისადმი მოპყრობას.

### ძირითადი პრინციპები

79. ქვემოთ მოყვანილია ის ძირითადი პრინციპები, რომელიც ეხება თავისუფლების აღკვეთას ბავშვებთან მიმართებაში: (ა) დაკავება, დაპატიმრება ან თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოთავსება უნდა მოხდეს კანონის შესაბამისად, უნდა იქნეს გამოყენებული მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა და რაც შეიძლება ნაკლები პერიოდის განმავლობაში (ბ) არც ერთ ბავშვს არ უნდა აღეკვეთოს თავისუფლება უკანონოდ და თვითნებურად.

80. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ბევრ ქვეყანაში, ბავშვები ხშირად ხვდებიან წინასწარ პატიმრობის ადგილებში და ეს თვეების, ხანდახან კი წლების განმავლობაშიც გრძლდება, რაც კონვენციის 37-ე (ბ) მუხლის უხეში დარღვევაა.

81. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს გაატარონ შესაბამისი ზომები, რათა უზრუნველყონ ბავშვების რაც შეიძლება დროული გათავისუფლება წინასწარი პატიმრობიდან და თუ საჭირო გახდა ამისთვის სპეციალური პირობებიც კი დააწესონ. გადაწყევეტილება წინასწარი პატიმრობის შესახებ მისი ვადის განსაზღვრის ჩათვლით უნდა მიიღოს შესაბამისმა კომპეტენტურმა, დამოუკიდებელმა და მიუკერძოებელმა ორგანომ ან სამართლებრივმა ორგანომ, ხოლო ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს იურიდიული ან სხვა დახმარებით.

### პროცესუალური უფლებები (მუხლი 37 (დ))

82. ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს აქვს უფლება დაუყოვნებლივ მიიღოს სამართლებრივი და სხვა შესაბამისი დახმარება, აგრეთვე უფლება გააპროტესტოს მისი თავისუფლების აღკვეთის კანონიერება სასამართლოს ან სხვა კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე და რომ მათ დაუყოვნებლივ გამოიტანონ გადაწყვეტილება ნებისმიერი ასეთი პროცესუალური ქმედების თაობაზე.

83. ყოველ თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს აქვს უფლება წარდგეს კომპეტენტური ორგანოს წინაშე, რათა დადგინდეს მისი დაკავების კანონიერება (და პატიმრობის ხანგრძლივობა) თავისუფლების აღკვეთიდან 24 საათის განმავლობაში. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს, გაატარონ მკაცრი სამართლებრივი ზომები, რათა რეგულარულად, სასურველია ორ კვირაში ერთხელ, გადაისინჯოს წინასწარი პატიმრობის კანონიერება. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბავშვის პირობით გათავისუფლება ალტერნატიული ზომების გამოყენების მეშვეობით, მას

ოფიციალურად უნდა წაეყენოს ბრალი იმ დანაშაულისთვის, რომელიც, როგორც ფიქრობენ, მან ჩაიდინა და წარდგენილ იქნას კომპეტენტური, დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს წინაშე დაკავების მომენტიდან არა უგვიანეს 30 დღის განმავლობაში. კომიტეტი, ითვალისწინებს რა სასამართლო პროცესებთან დაკავშირებულ დაყოვნებებს, მოუწოდებს მონაწილე სახელმწიფოებს მიიღონ სამართლებრივი ზომები, რომლის მიხედვითაც სასამართლოს/არასრულწლოვანთა მოსამართლე ან სხვა კომპეტენტური ორგანო ვალდებული იქნება მიიღოს საბოლოო გადაწყვეტილება ბავშვისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ საქმის წარდგენიდან არა უგვიანეს 6 თვის განმავლობაში.

84. თავისუფლების აღკვეთის კანონიერების ეჭვქვეშ დაყენების უფლება არ გულისხმობს მხოლოდ ხელახალი განხილვის უფლებას. ამ პრინციპის მიხედვით ბავშვს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს ან სხვა კომპეტენტურ, დამოუკიდებელ და მიუკერძოებელ ორგანოს იმ შემთხვევაში, თუ მისი თავისუფლების აღკვეთა ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებას წარმოადგენს (მიღებულია მაგალითად, პოლიციის, პროკურორის ან სხვა კომპეტენტური ორგანოს მიერ). დაუყოვნებელი გადაწყვეტილების უფლება გულისხმობს, რომ გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნეს რაც შეიძლება სწრაფად, მაგალითად, მაქსიმუმ ორი კვირის განმავლობაში, ბავშვის მიმართვიდან.

**მოპრყობა და პირობები (მუხლი 37 (გ))**

85. ყველა თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა მოთავსდეს მოზრდილებისგან განცალკევებით. დაუშვებელია თავისუფლებააღკვეთილი ბავშვების მოთავსება მოზრდილთა საპყრობილეში. არსებობს საკმარისზე მეტი დამადატურებელი ინფორმაცია, რომ ბავშვების მოზრიდლებისათვის განკუთვნილ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში განთავსება რისკქვეშ აქენებს მათ უსაფრთხოებას, კეთილდღეობას, მათ გამიჯვნას დანაშაულისგან და რეინტეგრაციის შესაძლებლობას. კონვენციის 37-ე (გ) მუხლით დაშვებული გამონაკლისი (“თუ არ მიიჩნევა, რომ ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტი ინტერესებისათვის ამის გაკეთება საჭირო არ არის”) არ უნდა იქნეს ფართოდ გაგებული. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა არ გულისხმობს იმის განხორციელებას, რაც უფრო მოსახერხებელია მონაწილე სახელმწიფოებისთვის. სახელმწიფოები ვალდებულები არიან გამოყონ სპეციალური შენობა-ნაგებობები თავისუფლებააღკვეთილი ბავშვებისთვის, რომლებსაც ექნებათ ბავშვებზე ორიენტირებული სამუშაო მიმართულება და პრაქტიკა და სადაც იმუშავებს კვალიფიციური პერსონალი.

86. ეს წესი არ გულისხმობს ბავშვების გადაყვანას არასრულწლოვანთა ინსტიტუციებიდან მოზრდილთათვის განკუთვნილ ინსიტიტუციებში, როგორც კი მათ 18 წელი შეუსრულდებათ. ბავშვების უნდა მიეცეთ არასრულწლოვანთა დაწესებულებაში დარჩენის შესაძლებლობა, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არა მხოლოდ მათ, არამედ დაწესებულებაში მყოფი ბავშვების ჭეშმარიტ ინტერესებს.

87. ყველა თავისუფლებააღკვეთილ ბავშვს აქვს უფლება შეინარჩუნოს კონტაქტი ოჯახთან კორესპონდენციის ან ვიზიტების მეშვეობით. ვიზიტების ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა ბავშვის მოთავსება იმ დაწესებულებაში, რომელიც ყველაზე ახლოს მდებარეობს ოჯახის საცხოვრებელთან. შემზღუდველი გარემოებები უნდა მკაცრად იყოს განსაზღვრული კანონში – ის არ უნდა იყოს კომპეტენტური ორგანოების გადასაწყვეტი.

88. კომიტეტს სურს მონაწილე სახელმწიფოების ყურადღება მიაპყროს გაეროს წესებისადმი თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად, რომელიც მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 45/113 რეზულუციით 1990 წლის დეკემბერში. კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს სრულად განახორციელონ ეს წესები და მხედველობაში მიიღონ ასევე პატიმართა მოპყრობის სტანდარტული მინიმალური წესები (იხილეთ აგრეთვე პეკინური წესების მეცხრე წესი). ამ საკითხებთან დაკავშირებით, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს გააერთიანონ ეს წესები ეროვნულ კანონმდებლობაში და უზრუნველყონ მათდამი ხელმისაწვდომობა სახელმწიფო ან რეგიონალურ ენაზე ყველა იმ სპეციალისტის, არასამთავრობო ორგანიზაციისა და მოხალისეებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულებაში.

89. კომიტეტს სურს ხაზი გაუსვას შემდეგი პრინციპებისა და წესების დაცვის აუცილებლობას თავისუფლების აღკვეთის ყველა შემთხვევისას:

- ბავშვების ფიზიკური და საცხოვრებელი გარემო ინსტიტუციაში უნდა ემსახურებოდეს რეაბილიტაციის მიზნებს. შესაბამისი ყურადღება უნდა დაეთმოს პირადი ცხოვრების, სენსორული სტიმულაციის, თანატოლებთან ურთიერთობის, სპორტულ და გამაჯანსაღებელ სავარჯიშოებში მონაწილეობის, აგრეთვე ხელოვნებას და თავისუფალი დროის აქტივობების საჭიროებას.

- სასკოლო ასაკის ყველა ბავშვს აქვს უფლება მიიღოს ის განათლება, რაც შეესაბამება მის საჭიროებებს და შესაძლებლობებს და რომლის მიზანია მოამზადოს ის საზოგადოებაში დაბრუნებისთვის. გარდა ამისა, ყველა ბავშვმა, უნდა გაიაროს პროფესიული მომზადების ტრენინგი, რომელიც სავარუდოდ ხელს შეუწყობს მას სამომავლო დასაქმებაში.

- ყველა ბავშვი ინსტიტუტციაში მიღებისას უნდა შემოწმდეს ექიმის მიერ. მას უფლება აქვს მიიღოს ადეკვატური სამედიცინო დახმარება და ზრუნვა მისი ინსტიტუციაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში, რომელიც უზრუნველყოფილი უნდა იქნეს, შესაძლებლობის შემთხვევაში, სათემო სამედიცინო დაწესებულების ან სერვისების მიერ.

- ინსტიტუციის თანამშრომლებმა ხელი უნდა შეუწყონ ბავშვის ხშირ კონტაქტს ფართო საზოგადოებასთან. აქ იგულისხმება კომუნიკაცია ოჯახთან, მეგობრებთან და მაღალი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა სახლში მოინახულოს ოჯახი.

- შეზღუდვისა და ძალის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ბავშვი ფიზიკური დაზიანების საფრთხის ქვეშ აყენებს საკუთარ თავს ან სხვებს და როდესაც ამგვარ სიტუაციაზე კონტროლის სხვა ყველა მექანიზმის გამოყენება უშედეგოდ დასრულდა.

- ნებისმიერი დისციპლინარული ზომის გამოყენება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ბავშვის ღირსების გრძნობის შენარჩუნებას და ინსტიტუციური ზრუნვის ძირითად ამოცანებს. მკაცრად უნდა აიკრძალოს კონვენციის 37-ე მუხლით განსაზღვურლი ისეთი დისციპლინარული ზომები, როგორიცაა ფიზიკური დასჯა, ბნელ საკანში მოთავსება, დახურულ და შემოსაზღვრულ სივრცეში მარტო მოთავსება. ასევე უნდა აიკრძალოს დასჯის ყველა ის ფორმა, რამაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას ბავშვის გონებრივ ჯანმრთელობას და კეთილდღეობას.

- ბავშვს აქვს უფლება საჩივრით, ცენზურის გარეშე, მიმართოს ცენტრალურ ადმინისტრაციას, სამართლებრივ ან სხვა შესაბამის დამოუკიდებელ ორგანოს და დაყოვნების გარეშე მიიღოს პასუხი. ბავშვებს უნდა ქონდეთ ინფორმაცია, რომ მათ შეუძლიათ ამგვარი მექანიზნების გამოყენება.

- დამოუკიდებელ და კვალიფიციურ ინსპექტორებს უფლება უნდა ქონდეთ რეგულარულად აწარმოონ შემოწმება, მათ შორის წინასწარი გაფრთხილების გარეშე საკუთარი ინიციატივით. შემოწმების დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვებთან საუბარს კონფიდენციალურ გარემოში.

## V. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ორგანიზება

90. წინა პარაგრაფებში განხილული პრინციპებისა და უფლებების სრულად დაცვის მიზნით, საჭიროა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ეფექტური ორგანიზება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო სისტემის შექმნა. როგორც ეს მოცემულია კონვენციის მე-40 (3) მუხლში, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან ხელი შეუწყონ სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან უშუალო დამოკიდებულებაში მყოფი კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების ჩამოყალიბებას.

91. ამ კანონებისა და პროცედურების სავალდებულო ძირითადი დებულებები, წინამდებარე ზოგად კომენტარიშია განმარტებული, თუმცა წევრ სახელმწიფოების პრეროგატივაში უფრო მეტი დებულებების დადგენა რჩება, რაც აგრეთვე ეხება ამგვარი კანონებისა და პროცედურების ფორმას. ისინი შეიძლება შეადგენდნენ საერთო სისხლის სამართლის და საპროცესო კოდექსის სპეციალურ თავს, ან შეიძლება გაერთიანდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ ცალკე კანონში.

92. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო სისტემა ასევე მოითხოვს სპეციალიზებული ერთეულების შექმნას პოლიციის, სამართალდამცავი ორგანოების, სასამართლოს, პროკურატურის, იურიდიული დახმარების, ან მსგავს სისტემებში, რომლებიც იურიდიულ ან სხვა სახის დახმარებას უწევენ ბავშვს

93. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე ქვეყნებს შექმნან არასრულწლოვანთა სასამართლოები, როგორც ცალკე მდგომი ერთეულები ან რეგიონალური/რაიონული სასამართლოს ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილის სტატუსით. თუკი ეს პრაქტიკული თვალსაზრისით ჯერ –ჯერო-

ბით შესაძლებელი არ არის, მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულები არიან დანიშნონ მოსამართლეები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ვიწრო სპეციალიზაციით.

94. გარდა ამისა, ისეთი სპეციალიზებული სერვისები, როგორიცაა პრობაცია, კონსულტაცია ან სუპერვიზია, უნდა განხორციელდეს სპეციალიზებულ დაწესებულებებში, რომლებსაც, მაგალითად, ექნებათ დღის ცენტრის ფუნქცია, ან თუ საჭირო იქნება დაარსდეს ინსტიტუციები დამნაშავე ბავშვებზე ინსტიტუციური ზრუნვის მიზნით.

95. მრავალი წევრი სახელმწიფოს ანგარიშიდან ჩანს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებს შესწევთ უნარი შეასრულონ მნიშვნელოვანი როლი არა მხოლოდ არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციაში, არამედ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაშიც. აქედან გამომდინარე, კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს აქტიურად ჩართონ ამგვარი ორგანიზაციები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ფართო პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში და უზრუნველყონ ისინი მათი მონაწილეობისთვის საჭირო ყველა რესურსით.

## VI. ცნობიერების ამაღლება და ტრენინგი

96. ბავშვები, რომლებიც დანაშაულს ჩადიან, ხშირად ხდებიან ხოლმე მედიის ყურადღების საგანი, რაც იწვევს უარყოფითი საზოგადოებრივი აზრის შექმნას მათ გარშემო და ხელს უწყობს მათ და საერთოდ ბავშვების შესახებ სტერეოტიპების დამკვიდრებას.

97. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების ხარისხისთვის აუცილებელია, რომ ამ პროცესში ჩართული ყველა სპეციალისტს, მათ შორის, სამართალდამცავი და იურიდიული სამსახურების თანამშრომლები ტრენინგების საშუალებით გაეცნონ ზოგადად კონვენციის, კონკრეტულად კი, მისი იმ ნაწილის შინაარსსა და დებულებების მნიშვნელობას, რაც უშუალოდ არის დაკავშირებული მათ ყოველდღიურ პრაქტიკასთან. ტრენინგები უნდა მომზადდეს სიტემატურად და უწყვეტად, ხოლო ინფორმაცია არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ შესაბამისი ეროვნული და საერთაშორისო სამართლებრივი დებულებებით. ტრენინგების დროს მონაწილეებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია, სხვათა შორის, არასწრულწლოვანთა დანაშაულის სოციალურ და სხვა მიზეზებზე, ხოლო განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმ გოგონებსა და ბავშვებს, რომლებიც მიეკუთვნებიან უმცირესობებს ან უმრავლესობას, კულტურას და ტენდენციებს ახალგაზრდების სამყაროში, ჯგუფური აქტივობების დინამიურობას და სისხლის სამართლის კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მუშაობისთვის საჭირო ალტერნატიულ ზომებს, განსაკუთრებით კი იმგვარ ზომებს, რომელიც გვერდს უვლის სამართლებრივ პროცედურებს (იხილეთ IV თავი, ბ ნაწილი)

## VII. მონაცემების შეგროვება, შეფასება და კვლევა

98. კომიტეტი შეშფოთებას გამოთქვამს იმ ძირითადი მონაცემების შესახებ, რომელიც, სხვათა შორის ეხება, ბავშვების მიერ ჩადენილი დანაშაულის რიცხვსა და ბუნებას, წინასწარი პატიმრობის სიხშირესა და საშუალო ხანგრძლივობას, ბავშვების რიცხვს, რომელთა მიმართაც განხორციელებული იქნა მართლმსაჯულების სისტემისაგან განრიდება და მასთან დაკავშირებული ღონისძიებები, მსჯავრდებული ბავშვების რაოდენობასა და მათ მიმართ გამოტანილი განაჩენის ბუნებას. კომიტეტი მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს სისტემატურად შეაგროვონ ცალკეული მონაცემები, რომელიც დაკავშირებულია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულებასთან და რომლებიც საჭიროა არასრულწლოვანთა დანაშაულის პრევენციისა და რეაგირებისკენ მიმართული პოლიტიკისა და პროგრამების შესამუშავებლად კონვენციის პრინციპებისა და დებულებების მიხედვით.

99. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს მონაწილე სახელმწიფოებს რეგულარულად შეაფასონ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პრაქტიკული განხორციელება, განსაკუთრებით კი, გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა დისკრიმინაციის, რეინტეგრაციისა და რეციდივიზმთან მიმართებაში. სასურველია, თუ ამგვარ შეფასებას ჩაატარებენ დამოუკიდებელი აკადემიური ინსტიტუტები. კვლევები, რომლებიც, მაგალითად, შეისწავლის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირებაში არსებულ უთანასწორობებს, რაც შესაძლო დისკრიმინაციაზე მიუთითებს, ან კვლევები რომლებიც ეხება არასრუწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროს განვითარებას განრიდების პროგრამების ან მოზარდთა დანაშაულებრივ აქტვობების კუთხით, მიუთითებს წარმატებულ და წარუმატებელ ასპექტებზე. მნიშვნელოვანია ბავშვების მოანწილეობა შეფასებისა

და კვლევის პროცესში, განსაკუთრებით კი იმ ბავშვებისა, რომლებსაც შეხება ქონდათ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა ნაწილთან. სრულად უნდა იქნეს დაცული ამ ბავშვების ვანაობა და ინფორმაცია მათი თანამშრომლობის შესახებ. კვლევებში ბავშვების მონაწილეობის საკითხთან დაკავშირებით კომიტეტი მონაწილე სახელმწიფოებს ურჩევს მიმართონ არსებულ საერთაშორისო სახელმძღვანელო პრინციპებს.

| ბავშვის უფლებათა კომიტეტი | გაერთიანებული ერების ორგანიზაცია | CRC/C/GC/14 |
|---|---|---|
| | ბავშვის უფლებათა კონვენცია | გავრცელება: საერთო<br>2013 წლის 29 მაისი<br>დედანი: ინგლისურ ენაზე |

**ზოგადი კომენტარი #14 (2013 წ.) ბავშვის უფლების შესახებ, მის საუკეთესო ინტერესს დაეთმოს უპირველესი ყურადღება (მე-3 მუხლის პირველი პუნქტი)[1*]**

1* მიღებულია კომიტეტის მიერ სამოცდამეორე სესიაზე (14 იანვარი – 1 თებერვალი, 2013 წ.).

*„ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომლებიც მუშაობენ სოციალური დაცვის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები - უპირველესი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას."*

ბავშვის უფლებათა კონვენცია (მუხლი 3, პუნქტი 1)

# I. შესავალი

### ა. ბავშვის საუკეთესო [2] ინტერესები: უფლება, პრინციპი და საპროცესო ნორმა

1. ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ბავშვს აძლევს უფლებას, მის მიმართ განხორციელებული ნებისმიერი ქმედებისას ან მასთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, შეფასდეს და უპირველესი ყურადღება დაეთმოს მის საუკეთესო/ჭეშმარიტ ინტერესებს როგორც საზოგადოებრივ, ისე კერძო სფეროში. ამასთან, იგი ასახავს კონვენციის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს. ბავშვის უფლებათა კომიტეტმა („კომიტეტი")მე-3 მუხლის პირველი პუნქტი მიიჩნია კონვენციის ოთხი ზოგადი პრინციპიდან ერთ-ერთად ბავშვის ყველა უფლების განმარტებისა და განხორციელებისათვის[3] და იყენებს მას, როგორც დინამიკურ ცნებას, რომელიც მოითხოვს კონკრეტული კონტექსტის შესატყვის შეფასებას.
2. „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების" ცნება ახალი არ არის. მართლაც, იგი კონვენციამდე წარმოიშვა და უკვე ასახული იყო 1959 წლის ბავშვის უფლებათა დეკლარაციაში (პუნქტი 2), ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციაში (მუხლები 5(ბ) და 161(დ)), ისევე, როგორც რეგიონულ ინსტრუმენტებსა და მრავალ ეროვნულ თუ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში.
3. ამასთან, კონვენცია ცალსახად მიუთითებს ბავშვის საუკეთესო/ჭეშმარიტ ინტერესებზე სხვა მუხლებშიც: მე-9 მუხლში: მშობლებისაგან დაშორება; მე-10 მუხლში: ოჯახის გამთლიანება; მე-18 მუხლში: მშობლის პასუხისმგებლობა; მე-20 მუხლში: ოჯახური გარემოდან ჩამოცილება და ალტერნატიული ზრუნვა; 37(გ) მუხლში: თავისუფლებააღკვეთილი ზრდასრულებისაგან განცალკევება; 40(2)(ბ) (iii) მუხლში: საპროცესო გარანტიები, მათ შორის კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ სისხლის სამართლის წესით განხილულ საქმეთა სასამართლო პროცესებზე მშობელთა დასწრება. გარდა ამისა, კონვენცია მიუთითებს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებზე კონვენციის ფაკულტატურ ოქმში ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ (პრეამბულა და მე-8 მუხლი) და კონვენციის ფაკულტატურ ოქმში კომუნიკაციის პროცედურის შესახებ (პრეამბულა და მე-2 და მე-3 მუხლები).
4. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების მიზანია, უზრუნველყოს როგორც კონვენციით აღიარებული ყველა უფლებით სრული და ეფექტიანი სარგებლობა, ისე ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარება.[4] კომიტეტმა უკვე აღნიშნა, რომ[5] „ზრდასრული ადამიანის მიერ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების აღქმა არ შეიძლება იყოს უპირატესი კონვენციით გათვალისწინებული ბავშვის ყველა უფლების პატივისცემის ვალდებულებასთან შედარებით." კომიტეტი აღნიშნავს, რომ კონვენციაში უფლებათა იერარქია არ არსებობს; მასში უზრუნველყოფილი ყველა უფლება შეესაბამება „ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებს" და დაუშვებელია რომელიმე უფლების შელახვა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების ნეგატიური განმარტებით.
5. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების ცნების სრული გამოყენება მოითხოვს უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის დანერგვას, რომელშიც ჩაერთვება ყველა მონაწილე მხარე, ბავშვის ყოვლისმომცველი ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ფსიქიკური და სულიერი ერთიანობის უზრუნველსაყოფად და მისი ადამიანური ღირსების პატივსაცემად.
6. კომიტეტი ხაზს უსვამს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება სამგანზომილებიანია:

(ა) მატერიალური უფლება: ბავშვის უფლება, მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება, როდესაც ხდება სხვადასხვა ინტერესის განხილვა კონკრეტულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად, და გარანტია, რომ ეს უფლება განხორციელდება ყოველთვის, როდესაც გადაწყვეტილებაა მისაღები ბავშვთან, ბავშვთა დადგენილ თუ

---

2 ქართულ ლიტერატურაში ასევე მოიხსენიებენ, როგორც „ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი"

3 კომიტეტის ზოგადი კომენტარი #5 (2003 წ.) ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისათვის ზოგადი ღონისძიებების შესახებ, პუნქტი 12, და #12 (2009 წ.) ბავშვის უფლების შესახებ, მოუსმინონ, პუნქტი 2.

4 კომიტეტი სახელმწიფოებისაგან მოელის, რომ ისინი განვითარებას განმარტავენ როგორც „ყოვლისმომცველ ცნებას, რომელიც მოიცავს ბავშვის ფიზიკურ, ფსიქიკურ, სულიერ, მორალურ, ფსიქოლოგიურ და სოციალურ განვითარებას" (ზოგადი კომენტარი #5, პუნქტი 12).

5 ზოგადი კომენტარი #13 (2011წ.) ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის შესახებ, პუნქტი 61.

დაუდგენელ ჯგუფთან, ან ზოგადად ბავშვებთან დაკავშირებით. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი აწესებს სახელმწიფოთა არსებით ვალდებულებას, რომელიც პირდაპირ მოქმედებს (თვითაღსრულებადია) და შეიძლება მოხმობილი იქნეს სასამართლოს წინაშე.

(ბ) ძირითადი, სამართლებრივი პრინციპი: თუ სამართლებრივი ნორმა იძლევა ერთზე მეტი განმარტების შესაძლებლობას, გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი განმარტება, რომელიც ყველაზე ეფექტიანად ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმებში ასახული უფლებები ქმნიან ჩარჩოს განმარტებისათვის.

(გ) საპროცესო ნორმა: როდესაც ხდება ისეთი გადაწყვეტილების მიღება, რომელიც შეეხება კონკრეტულ ბავშვს, ბავშვთა დადგენილ თუ დაუდგენელჯგუფს ან ზოგადად ბავშვებს, გადაწყვეტილების მიღების პროცესი უნდა მოიცავდეს ამ გადაწყვეტილების შესაბამის ბავშვზე ან ბავშვებზე შესაძლო ზეგავლენის (დადებითი თუ უარყოფითი) შეფასებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მოითხოვს საპროცესო გარანტიებს. ამასთან, გადაწყვეტილების დასაბუთებაში უნდა ჩანდეს, რომ ეს უფლება ცალსახად იქნა გათვალისწინებული. ამ თვალსაზრისით, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა განმარტონ, თუ როგორ იქნა გათვალისწინებული ეს უფლება გადაწყვეტილებაში, ე.ი. რა იქნა მიჩნეული ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესებად, რა კრიტერიუმებს დაეფუძნა იგი და როგორ შეფასდა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები სხვა მოსაზრებებთან შედარებით, იქნება ეს პოლიტიკის ზოგადი საკითხები თუ ცალკეული შემთხვევები.

7. წინამდებარე ზოგად კომენტარში გამოთქმა „ბავშვისსაუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესები“ მოიცავს ზემოთ განხილულ სამ განზომილებას.

### ბ. სტრუქტურა

8. წინამდებარე ზოგადი კომენტარის მოქმედების სფერო შემოიფარგლება კონვენციის მე-3 მუხლის პირველი პუნქტით და არ მოიცავს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტს, რომელიც შეეხება ბავშვის კეთილდღეობას, და მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს, რომელიც შეეხება მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებას, უზრუნველყონ, რომ ბავშვთა დაწესებულებები, სამსახურები და ორგანოები შეესაბამებოდნენ დაწესებულ სტანდარტებს და რომ არსებობდეს მექანიზმები სტანდარტების გათვალისწინების უზრუნველსაყოფად.

9. კომიტეტი ადგენს წინამდებარე ზოგადი კომენტარის ამოცანებს (თავი II) და განმარტავს მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებების ხასიათსა და მასშტაბს (თავი III). გარდა ამისა, კომიტეტი ახდენს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის სამართლებრივ ანალიზს (თავი IV), მიუთითებს რა კავშირებზე კონვენციის სხვა ზოგად პრინციპებთან. V თავი ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების განხორციელებას პრაქტიკაში, ხოლო VI თავში მოცემულია მითითებები ზოგადი კომენტარის გავრცელების შესახებ.

## II. ამოცანები

10. წინამდებარე ზოგადი კომენტარის მიზანია, უზრუნველყოს ბავშვის საუკეთესოინტერესების გათვალისწინება და პატივისცემა კონვენციის მონაწილე სახელმწიფოთა მიერ. კომენტარში განსაზღვრულია მოთხოვნები, რომლებიც სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული, განსაკუთრებით სასამართლო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების მიღებისას და ბავშვთან, როგორც ინდივიდთან, დაკავშირებული სხვა ქმედებების განხორციელებისას ასევე კანონშემოქმედებითი, პოლიტიკის, სტრატეგიებისა და პროგრამების, გეგმების, ბიუჯეტების, საკანონმდებლო და საბიუჯეტო ინიციატივებისა და სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების პროცესის ყველა ეტაპზე - ე.ი. ზოგადად ბავშვებთან ან ბავშვებთან, როგორც კონკრეტულ ჯგუფთან, დაკავშირებული ნებისმიერი ღონისძიების განხორციელებისას. კომიტეტი მოელის, რომ ყველა ის პირი, რომელსაც შეხება აქვს ბავშვებთან, მათ შორის მშობლები და მზრუნველები, გადაწყვეტილების მიღებისას მისი ზოგადი კომენტარით იხელმძღვანელებს.

11. ბავშვის საუკეთესო ინტერესები დინამიკურ ცნებას წარმოადგენს. იგი მოიცავს სხვადასხვა საკითხს, რომლებიც მუდმივად ვითარდება. წინამდებარე ზოგად კომენტარში წარმოდგენილია ჩარჩო ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისათვის; იგი არ ცდილობს, დაადგინოს, თუ რა არის საუკეთესო ბავშვისათვის კონკრეტულ სიტუაციაში და განსაზღვრულ დროს.

12. წინამდებარე ზოგადი კომენტარის ძირითადი ამოცანაა, გააღრმავოს და გააფართოოს ბავშვის უფლების - მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში უზენაესი პრიორიტეტი მიენიჭოს (იხ. ქვემოთ, 38-ე პუნქტი) - გაცნობიერება და განხორციელება. კომენტარის ზოგადი ამოცანაა, ხელი შეუწყოს რეალურ ცვლილებას დამოკიდებულებაში, რაც საფუძვლად დაედება ბავშვთა, როგორც უფლებების მატარებელთა, მიმართ სრულ პატივისცემას. უფრო კონკრეტულად, კომენტარი ზეგავლენას

მოახდენს:
(ა) მთავრობების მიერ გასატარებელი ყველა ღონისძიების შემუშავებაზე;
(ბ) სასამართლო თუ ადმინისტრაციული ორგანოების ან საჯარო უწყებების მიერ თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით მიღებულ ცალკეულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც შეეხება ერთ ან მეტ განსაზღვრულ ბავშვს;
(გ) სამოქალაქო საზოგადოებისა და კერძო სექტორის ისეთი ორგანიზაციების, მათ შორის კომერციული და არაკომერციული ორგანიზაციების, მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მომსახურებას უწევენ ბავშვებს, ან რომელთა მიერ გაწეული მომსახურება ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე;
(დ) სახელმძღვანელო პრინციპებზე ისეთი ქმედებებისათვის, რომლებსაც ახორციელებენ ბავშვებთან მომუშავე პირები, მათ შორის მშობლები და მზრუნველები.

## III.მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებების ხასიათი და მასშტაბი

13. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს და განახორციელოს ბავშვის უფლება - მისი საუკეთესო ინტერესები შეფასდეს და დაეთმოს უპირველესი ყურადღება - და მას ეკისრება ვალდებულება, განახორციელოს ყველა საჭირო, საგანგებო და კონკრეტული ღონისძიება ამ უფლების სრული რეალიზაციისათვის.

14. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს ჩარჩოს მონაწილე სახელმწიფოთა სამი სხვადასხვა სახის ვალდებულებებისთვის:

(ა) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები **სათანადოდ ინტეგრირებული იყოს და თანმიმდევრულად ხდებოდეს მათი გათვალისწინება** საჯარო უწყების მიერ განხორციელებულ ნებისმიერ ქმედებაში, განსაკუთრებით განხორციელების ყველა ღონისძიებაში, ადმინისტრაციულ და სასამართლო სამართალწარმოებაში, რომელსაც პირდაპირი ზეგავლენა აქვს ბავშვებზე;
(ბ) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ყველა სასამართლო და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებაში, ისევე, როგორც ბავშვებთან დაკავშირებულ კანონმდებლობასა და პოლიტიკაში ნათლად ჩანდეს,, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესს დაეთმო უპირველესი ყურადღება. საჭიროა იმის აღწერაც, თუ როგორ მოხდა საუკეთესოინტერესების შესწავლა და შეფასება და რა მნიშვნელობა მიენიჭა მათ გადაწყვეტილებაში.
(გ) ვალდებულება, უზრუნველყონ, რომ ბავშვის ინტერესები შეფასდა და დაეთმო უპირველესი ყურადღება კერძო სექტორის ყველა გადაწყვეტილებასა და ქმედებაში, მათ შორის მომსახურების მიმწოდებლების ან ნებისმიერი სხვა კერძო ორგანიზაციის ან დაწესებულების მიერ, რომლებიც იღებენ ისეთ გადაწყვეტილებას, რომელიც ზეგავლენას ახდენს ბავშვზე ან შეეხება მას.

15. იმისათვის, რომ შესაბამისობა იქნეს უზრუნველყოფილი, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ რიგი ღონისძიებებისა კონვენციის მე-4 და 42-ე მუხლების და 44-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, რათა ბავშვის საუკეთესოინტერესებს დაეთმოს უპირველესი ყურადღება ყველა ქმედების განხორციელებისას. ამგვარ ღონისძიებებს შორის არის:
(ა) ეროვნული კანონმდებლობისა და სამართლის სხვა წყაროების გადასინჯვა და საჭიროებისამებრ შეცვლა მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჩართვის მიზნით და იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინების მოთხოვნა ასახული და განხორციელებული იყოს ყველა ეროვნულ საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტში, პროვინციის თუ ტერიტორიულ კანონმდებლობაში, ბავშვებისათვის ან ბავშვებზე ზეგავლენის მქონე მომსახურების გამწევი კერძო თუ საჯარო დაწესებულებების მარეგულირებელ წესებში და სასამართლო და ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში ნებისმიერ დონეზე, როგორც მატერიალური უფლება და საპროცესო ნორმა;
(ბ) ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა პოლიტიკის კოორდინაციისა და განხორციელებისას ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ დონეებზე;
(გ) გასაჩივრების, აღდგენის ან ზიანის ანაზღაურების მექანიზმების შექმნა, რათა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების სათანადოდ ინტეგრირების უფლება სრულად იქნეს რეალიზებული და თანმიმდევრულად გატარებული განხორციელების ყველა ღონისძიებაში, ადმინისტრაციულ და სასამართლო სამართალწარმოებაში, რომელიც შეეხება ბავშვს და ზეგავლენას ახდენს მასზე;
(დ) ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა ეროვნული რესურსების გამოყოფისას ისეთი პროგრამებისა და ღონისძიებებისათვის, რომელთა მიზანია ბავშვთა უფლებების განხორციელება, ასევე ისეთი საქმიანობისათვის, რომელიც იღებს საერთაშორისო ან განვითარებისათვის განკუთვნილ დახმარებას;
(ე) მონაცემთა შეგროვების შემოღების, მონიტორინგისა და შეფასებისას იმის უზრუნველყოფა, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები მკაფიოდ იქნეს ჩამოყალიბებული, და, საჭიროების შემთხვევაში, დახმარების გაწევა ბავშვთა საკითხებზე კვლევებისთვის;
(ვ) ინფორმაციის მიწოდება და სწავლება მე-3 მუხლის პირველი პუნქტის, აგრეთვე პრაქტიკაში მისი გამოყენების შესახებ ყველა იმ პირისათვის, ვინც იღებს ისეთ გადაწყვეტილებებს, რომლებიც პირდაპირ თუ ირიბად ახდენს ზეგავლენას ბავშვებზე, მათ შორის პროფესიონალებისათვის და სხვა პირებისათვის, რომლებიც ბავშვებთან მუშაობენ;

(ზ) ბავშვებისთვის, აგრეთვე მათი ოჯახებისა და მზრუნველებისათვის სათანადო ინფორმაციის მიწოდება მათთვის გასაგებ ენაზე, ისე, რომ მათ გააცნობიერონ მე-3 მუხლის პირველი პუნქტით დაცული უფლების მოქმედების სფერო; ამასთან, აუცილებელი პირობების შექმნა ბავშვთათვის, რათა გამოხატონ თავიანთი მოსაზრებები, და მათი მოსაზრებებისათვის სათანადო ყურადღების დათმობის უზრუნველყოფა;

(თ) ყველა იმ უარყოფითი დამოკიდებულებისა და აღქმის აღკვეთა, რომელიც ხელს უშლის ბავშვის საუკეთესო ინტერესის შეფასებისა და მისთვის უპირველესი ყურადღების დათმობის უფლების სრულ რეალიზაციას, საკომუნიკაციო პროგრამების საშუალებით, რომლებიც გავრცელდება მასმედიასა და სოციალურ ქსელებში, ასევე ბავშვებს შორის, რათა ბავშვები აღიარებულნი იქნენ უფლებების მატარებლებად.

16. ბავშვის საუკეთესო ინტერესების სრულად ამოქმედებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი პარამეტრები:

(ა) ბავშვთა უფლებების საყოველთაო, განუყოფელი, ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთდაკავშირებული ბუნება;

(ბ) ბავშვების, როგორც უფლების მატარებლების, აღიარება;

(გ) კონვენციის გლობალური ხასიათი და გავრცელება;

(დ) მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, პატივი სცენ, დაიცვან და განახორციელონ კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლება;

(ე) ბავშვის დროთა განმავლობაში განვითარებასთან დაკავშირებული ქმედებების მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი შედეგები.

## IV. სამართლებრივი ანალიზი და ურთიერთკავშირი კონვენციის ზოგად პრინციპებთან

### A. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის სამართლებრივი ანალიზი

#### 1. „ბავშვებთან დაკავშირებული ნებისმიერი ქმედებისას"

**(ა) „ნებისმიერი ქმედებისას"**

17. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის მიზანია, უზრუნველყოს, რომ უფლება გარანტირებული იყოს ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა გადაწყვეტილებასა და ქმედებაში. ეს ნიშნავს იმას, რომ ნებისმიერი ქმედება, რომელიც უკავშირდება ბავშვს ან ბავშვებს, უნდა ითვალისწინებდეს მათ საუკეთესო ინტერესებს როგორც უპირველეს პრიორიტეტს. სიტყვა „ქმედება" მოიცავს არა მხოლოდ გადაწყვეტილებებს, არამედ მოქმედებებს, ქცევას, წინადადებებს, მომსახურებას, პროცედურებსა და სხვა ღონისძიებებს.

18. უმოქმედობა ან ქმედების განუხორციელებლობა და დაუდევრობა აგრეთვე წარმოადგენენ „ქმედებას", მაგალითად, მაშინ, როდესაც სოციალური დაცვის ორგანოები არ ახორციელებენ ქმედებას ბავშვთა დასაცავად უგულებელყოფის ან ჩაგვრისაგან.

**(ბ)„ დაკავშირებული"**

19. სამართლებრივი ვალდებულება ვრცელდება ყველა გადაწყვეტილებასა და ქმედებაზე, რომელიც პირდაპირ ან არაპირდაპირ შეეხება ბავშვებს. ამდენად, ტერმინი „დაკავშირებული" გულისხმობს, უპირველეს ყოვლისა, იმ ღონისძიებებსა და გადაწყვეტილებებს, რომლებიც პირდაპირ არის დაკავშირებული ბავშვთან, ბაშვებთან, როგორც ჯგუფთან, ან ზოგადად ბავშვებთან, და სხვა ღონისძიებებს, რომლებიც ზეგავლენას ახდენს ცალკეულ ბავშვზე, ბავშვებზე, როგორც ჯგუფზე, ან ზოგადად ბავშვებზე, მაშინაც კი, თუ ისინი ამ ღონისძიების უშუალო სამიზნეს არ წარმოადგენენ. როგორც კომიტეტის #7 ზოგად კომენტარში (2005 წ.) აღინიშნა, ამგვარი ქმედებები მოიცავს ბავშვებზე გამიზნულ ქმედებებს (მაგ. ჯანმრთელობასთან, ზრუნვასთან ან განათლებასთან დაკავშირებით), ისევე, როგორც ქმედებებს, რომლებიც მოიცავს ბავშვებს ან მოსახლეობის სხვა ჯგუფებს (მაგ. ქმედებებს გარემოსთან, განსახლებასთან ან ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით) (პუნქტი 13(ბ)). ამგვარად, „დაკავშირებული" ძალზე ფართო გაგებითუნდა იქნეს განმარტებული.

20. მართლაც, სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება ასე თუ ისე ზეგავლენას ახდენს ბავშვებზე. ეს არ ნიშნავს იმას, რომ სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა მოიცავდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის სრულ და ფორმალურ პროცესს. თუმცა როდესაც გადაწყვეტილებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა ექნება ბავშვზე ან ბავშვებზე, აუცილებელია დაცვის უფრო მაღალი ხარისხი და დეტალური პროცედურები მათი საუკეთესო ინტერესების გასათვალისწინებლად.

ამდენად, ისეთი ღონისძიებების თვალსაზრისით, რომლებიც პირდაპირ არ არის გამიზნული ბავშვზე ან ბავშვებზე, ტერმინი „დაკავშირებული" უნდა იქნეს განმარტებული თითოეული

შემთხვევის გარემოებებიდან გამომდინარე, რათა შესაძლებელი იყოს კონკრეტული ქმედების ბავშვზე ან ბავშვებზე ზეგავლენის გათვალისწინება.

**(გ) „ბავშვები"**

21. ტერმინი „ბავშვები" გულისხმობს 18 წელს მიუღწეველ ყველა პირს მონაწილე სახელმწიფოს იურისდიქციის ფარგლებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, კონვენციის პირველი და მე-2 მუხლების შესაბამისად.

22. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ვრცელდება ბავშვებზე, როგორც ინდივიდებზე, და აკისრებს ვალდებულებას მონაწილე სახელმწიფოებს, შეაფასონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები და დაუთმონ მათ უპირველესი ყურადღება თითოეული გადაწყვეტილების მიღებისას.

23. თუმცა ტერმინი „ბავშვი" გულისხმობს იმას, რომ საუკეთესო ინტერესების სათანადო გათვალისწინების უფლება ვრცელდება ბავშვებზე არა მხოლოდ როგორც ინდივიდებზე, არამედ, აგრეთვე, ზოგადად როგორც ჯგუფზე. შესაბამისად, სახელმწიფოებს აქვთ ვალდებულება, შეაფასონ და უპირველესი ყურადღება დაუთმონ ბავშვების როგორც ზოგადად ჯგუფის საუკეთესო ინტერესებს მათთან დაკავშირებული ყველა ქმედების განხორციელებისას. ეს განსაკუთრებით აშკარაა განხორციელების ყველა ღონისძიებისათვის. კომიტეტი[6] საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები აღიქმება როგორც კოლექტიურ, ისე ინდივიდუალურ უფლებად და რომ ამ უფლების გავრცელება მკვიდრი ხალხების წარმომადგენელ ბავშვებზე, როგორც ჯგუფზე, მოითხოვს იმის გათვალისწინებას, თუ როგორ ურთიერთკავშირშია ეს უფლება კოლექტიურ კულტურულ უფლებებთან.

24. ეს არ გულისხმობს, რომ ცალკეულ ბავშვთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებაში მისი ინტერესი უნდა იქნეს გაგებული როგორც ზოგადად სხვა ბავშვების ინტერესი. მე-3 მუხლის პირველი პუნქტი გულისხმობს იმას, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები ინდივიდუალურად უნდა იქნეს შეფასებული. ბავშვების, როგორც ინდივიდების ან ჯგუფების, საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის პროცედურები განხილულია ქვემოთ, V თავში.

**2. „სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებების, სოციალური დაცვის ორგანოების, სასამართლოების, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოების მიერ"**

25. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულება, სათანადოდ გაითვალისწინონ ბავშვის საუკეთესო ინტერესები წარმოადგენს ყოვლისმომცველ ვალდებულებას, რომელიც მოიცავს ყველა საჯარო და კერძო სოციალური დაცვის ორგანოს, სასამართლოს, ადმინისტრაციულ ორგანოებსა და საკანონმდებლო ორგანოებს, რომლებსაც შეხება აქვთ ან დაკავშირებულნი არიან ბავშვებთან. მიუხედავად იმისა, რომ მშობლები პირდაპირ არ არიან ნახსენები მე-3 მუხლის პირველ პუნქტში, ბავშვის საუკეთესო ინტერესები „უნდა იყოს მათი მთავარი საზრუნავი" (მე-18 მუხლის პირველი პუნქტი).

**(ა) „სოციალური დაცვის საჯარო ან კერძო დაწესებულებები"**

26. ეს ტერმინები არ უნდა განიმარტოს ვიწროდ და არ უნდა შემოიფარგლოს სოციალური ინსტიტუციებით ვიწრო გაგებით. ისინი უნდა განიმარტოს როგორც ყველა დაწესებულება, რომლის საქმიანობა და გადაწყვეტილებები ზეგავლენას ახდენენ ბავშვებზე და მათი უფლებების რეალიზაციაზე. ამგვარი დაწესებულებები მოიცავს არა მხოლოდ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებთან დაკავშირებულ დაწესებულებებს (მაგ. ზრუნვა, ჯანდაცვა, გარემო, განათლება, ბიზნესი, დასვენება და თამაში და სხვ.), არამედ ისეთ დაწესებულებებსაც, რომლებსაც მუშაობენ სამოქალაქო უფლებებისა და თავისუფლებების სფეროში (მაგ. რეგისტრაცია დაბადებისას, ნებისმიერ გარემოში ძალადობისაგან დაცვა და სხვ.). სოციალური დაცვის კერძო დაწესებულებები მოიცავს კერძო სექტორის ორგანიზაციებს - კომერციულს და არაკომერციულს - რომლებიც მონაწილეობენ ბავშვების მიერ თავიანთი უფლებებით სარგებლობისათვის უმნიშვნელოვანესი მომსახურებების მიწოდებაში, და რომლებიც მოქმედებენ სახელმწიფო სამსახურების სახელით, მათთან ერთად ან მათი ალტერნატივის სახით.

**(ბ) „სასამართლოები"**

27. კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სასამართლოები" გულისხმობს ნებისმიერ სასამართლო სამართალწარმოებას ყველა ინსტანციაში, მიუხედავად იმისა, ვინ ახორციელებს მას - პროფესიონალი მოსამართლეები თუ არაპროფესიონალი პირები, და ბავშვებთან დაკავშირებულ ყველა შესაბამის პროცედურას, შეზღუდვის გარეშე, ასევე მორიგების, მედიაციისა და არბიტრაჟის პროცესებს.

28. სისხლის სამართლის საქმეებში საუკეთესო ინტერესების პრინციპი ვრცელდება კანონთან კონფლიქტში მყოფ ყველა ბავშვზე (ე.ი. ეჭვმიტანილ, ბრალდებულ ან მსჯავრდებულ

6 ზოგადი კომენტარი #11 (2009 წ.) მკვიდრი ხალხების წარმომადგენელი ბავშვებისა და კონვენციით განსაზღვრული მათი უფლებების შესახებ, 30-ე პუნქტი.

ბავშვებზე) ან კანონთან შეხებაში მყოფ ყველა ბავშვზე (დაზარალებულ ან მოწმე ბავშვებზე), ისევე, როგორც იმ ბავშვებზე, რომლებსაც შეეხოთ მათი მშობლების კანონთან კონფლიქტის სიტუაცია. კომიტეტი[7] აღნიშნავს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვა ნიშნავს იმას, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების ტრადიციული ამოცანები, როგორიცაა რეპრესია ან დასჯა, ნაკლებ პრიორიტეტულად უნდა იქნეს მიჩნეული, ვიდრე რეაბილიტაციისა და აღდგენითი მართლმსაჯულების ამოცანები, როდესაც საუბარია კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებზე.

29. სამოქალაქო საქმეებში, როგორიც არის მამობის დადგენის, ბავშვზე ძალადობის ან მისი უგულებელყოფის, ოჯახის გაერთიანების, განსახლების და სხვა საქმეები, ბავშვი შესაძლოა იცავდეს თავის ინტერესებს დამოუკიდებლად ან წარმომადგენლის მეშვეობით. სასამართლო პროცესმა, მაგალითად, შვილად აყვანის, განქორწინების, მეურვეობის, საცხოვრისის, მონახულების ან სხვა ისეთ საკითხებთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენა აქვთ ბავშვის სიცოცხლესა და განვითარებაზე, ასევე ბავშვის მიმართ ძალადობასთან ან მის უგულებელყოფასთან დაკავშირებული სამართალწარმოებისას შესაძლოა ბავშვზე ზეგავლენა მოახდინოს. სასამართლოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები გათვალისწინებული იყოს ყველა ამგვარ სიტუაციასა და გადაწყვეტილებაში, მიუხედავად მათი საპროცესო თუ მატერიალური ხასიათისა, და უნდა წარმოაჩინონ, რომ მათ ეს ეფექტიანად განახორციელეს.

**(გ) „ადმინისტრაციული ორგანოები"**

30. კომიტეტი აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ყველა დონეზე მიღებული გადაწყვეტილებების არეალი ძალზე ფართოა, მოიცავს რა ყველა გადაწყვეტილებას განათლებასთან, ზრუნვასთან, ჯანმრთელობასთან, ეკოლოგიასთან, საცხოვრებელ პირობებთან, დაცვასთან, თავშესაფართან, იმიგრაციასთან, მოქალაქეობის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით და ა.შ. ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ამ სფეროებში ცალკეული გადაწყვეტილებების მიღებისას შეფასებული უნდა იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები და გადაწყვეტილებები ამ ინტერესებზე დაყრდნობით უნდა იქნეს მიღებული, ისევე, როგორც განხორციელების ყველა ღონისძიება.

**(დ) „ საკანონმდებლო ორგანოები"**

31. მონაწილე სახელმწიფოთა ვალდებულებების გავრცელება მათ „საკანონმდებლო ორგანოებზე" ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი შეეხება ზოგადად ბავშვებს და არა მხოლოდ ბავშვებს, როგორც ინდივიდებს. ნებისმიერი კანონის ან კანონქვემდებარე აქტის მიღებისას, ისევე, როგორც კოლექტიური ხელშეკრულების - როგორიცაა ორმხრივი ან მრავალმხრივი სავაჭრო ან სამშვიდობო საერთაშორისო ხელშეკრულებები - გაფორმებისას აუცილებელია ხელმძღვანელობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებით. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და მათთვის უპირველესი ყურადღების დათმობის უფლება ცალსახად უნდა განისაზღვროს ყველა შესაბამის საკანონმდებლო აქტში და არა მხოლოდ უშუალოდ ბავშვებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში. ეს ვალდებულება, აგრეთვე, ვრცელდება ბიუჯეტის დამტკიცებაზე, რომლის მომზადება და შედგენა მოითხოვს ბავშვის საუკეთესოინტერესების პერსპექტივის დანერგვას, რათა ბიუჯეტი ითვალისწინებდეს ბავშვის უფლებებს.

### 3. „ბავშვის საუკეთესო ინტერესები"

32. ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება კომპლექსურია და უნდა განისაზღვროს ყოველი ცალკეული საქმის მიხედვით. სწორედ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის კონვენციის სხვა ნორმებთან თანხვედრაში განმარტებით და განხორციელებით შეძლებს კანონმდებელი, მოსამართლე, ადმინისტრაციული, სოციალური თუ საგანმანათლებლო დაწესებულება, განმარტოს ეს ცნება და სათანადოდ გამოიყენოს იგი. შესაბამისად, ბავშვის საუკეთესოინტერესების ცნება მოქნილი და ადაპტირებადია. იგი უნდა მოერგოს და განისაზღვროს ინდივიდუალურად, შესაბამისი ბავშვის თუ ბავშვების კონკრეტული სიტუაციის მიხედვით, მათი პირადი კონტექსტის, მდგომარეობისა და საჭიროებების გათვალისწინებით. თითოეული გადაწყვეტილებისათვის ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა შეფასდეს და განისაზღვროს ცალკეული ბავშვის კონკრეტულ გარემოებებზე დაყრდნობით. კოლექტიური გადაწყვეტილებების შემთხვევაში, როგორიცაა კანონმდებლის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები, ზოგადად ბავშვთა საუკეთესო ინტერესები უნდა შეფასდეს და განისაზღვროს მოცემული ჯგუფის ან/და ზოგადად ბავშვების კონკრეტული გარემოებებიდან გამომდინარე. ორივე შემთხვევაში შეფასება და განსაზღვრა უნდა განხორციელდეს კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმებში განმტკიცებული უფლებების

7 ზოგადი კომენტარი #10 (2007წ.) ბავშვთა უფლებების შესახებ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში, მე-10 პუნქტი.

სრული პატივისცემით.

33. ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა გავრცელდეს ყველა საკითხზე, რომელიც შეეხება ბავშვებს, და უნდა იქნეს გათვალისწინებული კონვენციასა თუ ადამიანის უფლებათა სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ უფლებებს შორის ნებისმიერი შესაძლო წინააღმდეგობის გადასაწყვეტად. ყურადღება უნდა მიექცეს გადაწყვეტის ისეთი შესაძლო გზების განსაზღვრას, რომლებიც შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტრესებს. ეს გულისხმობს იმას, რომ განხორციელების ღონისძიებების შემუშავებისას სახელმწიფოებს ეკისრებათ ვალდებულება, დაადგინონ ყველა ბავშვის, მათ შორის მოწყვლადი ბავშვების, საუკეთესო ინტერესები.

34. ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნების მოქნილობა შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს რეაგირება ყოველი ცალკეული ბავშვის მდგომარეობაზე და განვითარდეს ცოდნა ბავშვის განვითარების შესახებ. თუმცა ამან შესაძლოა დატოვოს მანიპულირების შესაძლებლობაც; მაგალითად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება ბოროტად იქნა გამოყენებული მთავრობებისა და სხვა სახელმწიფო უწყებების მიერ რასისტული პოლიტიკის გასამართლებლად; მშობლების მიერ თავიანთი ინტერესების დასაცავად მეურვეობის შესახებ დავებში; პროფესიონალების მიერ, რომლებსაც თავის შეწუხება არ სურდათ და ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უგულებელყვეს როგორც შეუსაბამო და უმნიშვნელო.

35. რაც შეეხება განხორციელების ღონისძიებებს, ხელისუფლების ყველა დონეზე კანონმდებლობისა და პოლიტიკის შემუშავებისა და აღსრულებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესისათვის უპირველესი ყურადღების დათმობის უზრუნველყოფა საჭიროებს ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასების მუდმივ პროცესს, რათა შესაძლებელი იყოს კანონპროექტის, პოლიტიკის პროექტის ან შეთავაზებული საბიუჯეტო ასიგნებების ბავშვებზე და მათ მიერ უფლებებით სარგებლობაზე ზეგავლენის პროგნოზირება. ამასთან, საჭიროა ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასება განხორციელების რეალური ზემოქმედების შეფასების მიზნით. [8]

## 4. „უნდა მიენიჭოს უპირველესი ყურადღება"

36. განხორციელების ყველა ღონისძიების შემუშავებისას უპირველესი ყურადღება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უნდა მიენიჭოს. სიტყვები „უნდა მიენიჭოს" ძლიერ სამართლებრივ ვალდებულებას აკისრებს სახელმწიფოებს და გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოებს არ შეუძლიათ ისარგებლონ დისკრეციული უფლებამოსილებით იმის განსაზღვრისას, უნდა შეფასდეს თუ არა ბავშვის საუკეთესო ინტერესები და მიენიჭოს თუ არა მათ სათანადო მნიშვნელობა უპირველესი ყურადღების სახით ნებისმიერი განხორციელებული ქმედებისას.

37. გამოთქმა „უპირველესი ყურადღება" ნიშნავს იმას, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესები არ შეიძლება იქნეს გათვალისწინებული იმავე ხარისხით, როგორც სხვა მოსაზრებანი. ეს ძლიერი პოზიცია გამართლებულია ბავშვის განსაკუთრებული მდგომარეობით: დამოკიდებული მდგომარეობთ, სიმწიფით, სამართლებრივი სტატუსით და ხშირად ხმის უფლების უქონლობით. ბავშვებს, ზრდასრულებთან შედარებით, ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, ძლიერად დაიცვან თავიანთი ინტერესები. ამდენად, ის პირები, რომლებიც მონაწილეობენ მათთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებაში, კარგად უნდა იცნობდნენ მათ ინტერესებს. თუ ბავშვთა ინტერესებზე ყურადღება არ არის გამახვილებული, ჩვეულებრივ, ხდება მათი უგულებელყოფა.

38. შვილად აყვანის შემთხვევებისთვის (21-ე მუხლი) საუკეთესო ინტერესების უფლება კიდევ უფრო გაძლიერებულია; მას არა მხოლოდ **„უპირველესი ყურადღება"** უნდა დაეთმოს, არამედ იგი უნდა იყოს „**უზენაესი** პრიორიტეტი". მართლაც, ბავშვის საუკეთესოინტერესები უნდა იყოს გადამწყვეტი ფაქტორი შვილად აყვანის, თუმცა აგრეთვე სხვა საკითხებზეც, გადაწყვეტილების მიღებისას.

39. მაგრამ ვინაიდან მე-3 მუხლის პირველი პუნქტი მოიცავს სიტუაციათა ფართო სპექტრს, კომიტეტი აღიარებს მისი გამოყენებისას გარკვეული ხარისხით მოქნილობის საჭიროებას. ბავშვის საუკეთესო ინტერესები - როდესაც ისინი შეფასდა და განისაზღვრა - შესაძლოა წინააღმდეგობაში მოვიდეს სხვა უფლებებთან (მაგ. სხვა ბავშვების, საზოგადოების, მშობლების და ა.შ. უფლებებთან). ინდივიდუალურად განხილული პოტენციური წინააღმდეგობა ბავშვის საუკეთესო ინტერესებსა და ბავშვთა ჯგუფის ან ზოგადად ბავშვების საუკეთესო ინტერესებს შორის უნდა გადაიჭრას ცალკეული შემთხვევის მიხედვით. ყველა მხარის ინტერესები საგულდაგულოდ უნდა დაბალანსდეს და მომიებული იქნეს სათანადო კომპრომისი. იგივე უნდა გაკეთდეს, თუ სხვა პირთა უფლებები წინააღმდეგობაში მოდის ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან. თუ ჰარმონიზაცია შეუძლებელია, ხელისუფლებამ და გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა უნდა გააანალიზონ და აწონონ-დაწონონ ყველა მონაწილე პირის

8 ზოგადი კომენტარი #5 (2003 წ.) ბავშვის უფლებათა კონვენციის განხორციელებისათვის ზოგადი ღონისძიებების შესახებ, 45-ე პუნქტი.

უფლებები და გაითვალისწინონ, რომ ბავშვის უფლება, მის საუკეთესო ინტერესებს მიენიჭოს უპირველესი ყურადღება ნიშნავს იმას, რომ ბავშვთა ინტერესებს მაღალი პრიორიტეტი აქვთ და ისინი არ წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ სხვა მოსაზრებათაგან ერთ-ერთს. ამდენად, მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს იმას, რაც ბავშვს ყველაზე მეტად წაადგება.

40. ბავშვის საუკეთესო ინტერესების განხილვა როგორც „უპირველესი" მნიშვნელობის მქონე საკითხისა, საჭიროებს ცოდნას იმისა, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს ბავშვის ინტერესებს ყველა ქმედებაში, და ნებას იმისა, რომ პრიორიტეტი მიენიჭოს ამ ინტერესებს ყველა გარემოებაში, მაგრამ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ქმედებას უეჭველად ექნება ზეგავლენა შესაბამის ბავშვებზე.

**ბ. ბავშვის საუკეთესოინტერესების ურთიერთკავშირი კონვენციის სხვა ზოგად პრინციპებთან**

**1. ბავშვის საუკეთესო ინტერესები და დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლება (მე-2 მუხლი )**

41. დისკრიმინაციის დაუშვებლობის უფლების უზრუნველყოფა არ არის პასიური ვალდებულება, კრძალავს რა დისკრიმინაციის ყველა ფორმას კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლებით სარგებლობისას. თუმცა, ამასთან, იგი სახელმწიფოსაგან მოითხოვს სათანადო ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას ყველა ბავშვისათვის ეფექტიანი თანასწორი შესაძლებლობების უზრუნველსაყოფად, რათა ისარგებლონ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებით. ამისათვის შესაძლოა საჭირო იყოს პოზიტიური ღონისძიებების განხორციელება, რომელთა მიზანია უთანასწორობის მდგომარეობის გამოსწორება.

**2. ბავშვის საუკეთესო ინტერესები და სიცოცხლის, სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარების უფლება (მე-6 მუხლი)**

42. სახელმწიფოებმა უნდა შექმნან ისეთი გარემო, რომელშიც პატივისცემით მოეპყრობიან ადამიანის ღირსებას და უზრუნველყოფილი იქნება თითოეული ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარება. ბავშვის საუკეთესოინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მისი სიცოცხლის, სიცოცხლის შენარჩუნებისა და განვითარების ხელშეუვალი უფლების სრული პატივისცემა.

**3. ბავშვის საუკეთესო ინტერესები და უფლება, მოუსმინონ (მე-12 მუხლი)**

43. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნდა მოიცავდეს ბავშვის უფლების პატივისცემას, თავისუფლად გამოხატოს თავისი მოსაზრება ყველა საკითხზე, რომელიც მასზე ზეგავლენას ახდენს, და მის მიერ გამოთქმული მოსაზრებისთვის სათანადო მნიშვნელობის მინიჭებას. ეს ცალსახად არის ჩამოყალიბებული კომიტეტის #12 ზოგად კომენტარში, რომელშიც ყურადღება გამახვილებულია, აგრეთვე, განუყოფელ კავშირებზე მე-3 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-12 მუხლს შორის. ამ ორ ნორმას ურთიერთშემავსებელი როლი აქვს: პირველის მიზანს ბავშვის საუკეთესო ინტერესების რეალიზაცია წარმოადგენს, ხოლო მეორე ადგენს მეთოდოლოგიას ბავშვის ან ბავშვების მოსაზრებების მოსმენისა და მათი ჩართვისათვის ყველა იმ საკითხში, რომელიც მათ შეეხება, მათ შორის მათი საუკეთესო ინტერესების შეფასების პროცესში. მე-3 მუხლის პირველი პუნქტის სათანადო გამოყენება ვერ მოხდება, თუ არ დაკმაყოფილდა მე-12 მუხლის მოთხოვნები. მსგავსად ამისა, მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ამლიერებს მე-12 მუხლის ფუნქციურობას, ყურადღებას ამახვილებს რა ბავშვების არსებით როლზე მათ ცხოვრებაზე ზეგავლენის მომხდენი ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში[9].

44. როდესაც საქმე ეხება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს და უფლებას, მოუსმინონ, გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის განვითარებადი უნარები (მე-5 მუხლი). კომიტეტმა უკვე დაადგინა, რომ რაც უფრო მეტი იცის ბავშვმა, რაც უფრო მეტი გამოცდილება აქვს და მეტი რამ ესმის, მით უფრო მეტად უნდა შეცვალონ მშობლებმა, მეურვეებმა ან ბავშვზე პასუხისმგებელმა სხვა პირებმა მითითებები და დარიგება შეხსენებით და რჩევებით, მოგვიანებით კი აზრთა ურთიერთგაცვლით თანასწორ საფუძვლებზე.[10] შესაბამისად, ბავშვის მომწიფებასთან ერთად მის მოსაზრებებს მეტი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მისი საუკეთესო ინტერესების შეფასებისას. ჩვილებსა და მცირეწლოვან ბავშვებს იგივე უფლებები აქვთ, რაც ყველა ბავშვს, მათი საუკეთესო ინტერესების შეფასების მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ მათ არ შეუძლიათ თავიანთი მოსაზრების გამოხატვა ან საკუთარი თავის წარმოდგენა ისე, როგორც უფრო მოზრდილ ბავშვებს. სახელმწიფოებმა შესაბამისი ზომები უნდა მიიღონ, მათ შორის უზრუნველყონ წარმომადგენლობა შესაბამის შემთხვევებში, ბავშვთა საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის; იგივე ვრცელდება იმ ბავშვებზე, რომლებსაც არ აქვთ მოსაზრების გამოხატვის უნარი ან ნება.

45. კომიტეტი მიუთითებს, რომ კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტი უზრუნველყოფს ბავშვის

9 ზოგადი კომენტარი #12, პუნქტები 70-74.

10 იქვე, 84-ე პუნქტი.

უფლებას, მოუსმინონ პირდაპირ ან წარმომადგენლის საშუალებით ნებისმიერ სასამართლო ან ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, რომელიც მას შეეხება (იხ. დამატებით ქვემოთ, ნაწილი V.ბ).

## V. განხორციელება: ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა

46. როგორც ზემოთ აღინიშნა, „ბავშვისსაუკეთესო ინტერესები" არის უფლება, პრინციპი და საპროცესო ნორმა, რომელსაც საფუძვლად უდევს კონკრეტულ სიტუაციაში ბავშვის ან ბავშვების საუკეთესო ინტერესების ყველა ელემენტის შეფასება. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას, კონკრეტული ღონისძიების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად, უნდა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

(ა) პირველი, საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ კონტექსტში უნდა განისაზღვროს, თუ რომელია შესაბამისი ელემენტები საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის, მიენიჭოს მათ კონკრეტული შინაარსი და პრიორიტეტი ერთმანეთთან მიმართებაში;

(ბ) მეორე, ამისათვის დაცული უნდა იქნეს ისეთი პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს სამართლებრივ გარანტიებსა და უფლების სათანადო გამოყენებას.

47. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა ორი ნაბიჯისაგან შედგება, რომლებიც უნდა გადაიდგას, როდესაც საჭიროა გადაწყვეტილების მიღება. „საუკეთესო ინტერესების შეფასება შედგება ცალკეული კონკრეტული ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფისათვის კონკრეტულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მისაღებად აუცილებელი ყველა ელემენტის შეფასებისა და დაბალანსებისაგან. იგი ხორციელდება გადაწყვეტილების მიმღები პირისა და მისი თანამშრომლების მიერ - თუ შესაძლებელია, მრავალდარგობრივი ჯგუფის მიერ - და საჭიროებს ბავშვის მონაწილეობას. „საუკეთესო ინტერესების განსაზღვრა" წარმოადგენს ოფიციალურ პროცესს მკაცრი საპროცესო გარანტიებით, რომელიც შექმნილია ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსასაზღვრად საუკეთესო ინტერესების შეფასების საფუძველზე.

### ა. საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა

48. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება უნიკალური საქმიანობაა, რომელიც უნდა განხორციელდეს თითოეულ ინდივიდუალურ საქმეში თითოეული ბავშვის, ბავშვთა ჯგუფის ან ზოგადად ბავშვების კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით. ეს გარემოებები შეეხება შესაბამისი ბავშვის ან ბავშვების ინდივიდუალურ მახასიათებლებს, როგორიცაა ასაკი, სქესი, სიმწიფის ხარისხი, გამოცდილება, უმცირესობათა ჯგუფისადმი კუთვნილება, ფიზიკური, სენსორული ან ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის ქონა, ისევე, როგორც სოციალური და კულტურული კონტექსტი, რომელშიც ბავშვი ან ბავშვები აღმოჩნდებიან, როგორიცაა მშობლების არსებობა ან არარსებობა, ცხოვრობს თუ არა ბავშვი მათთან, ბავშვის ურთიერთობების ხარისხი თავის ოჯახთან ან მზრუნველებთან, გარემო უსაფრთხოების თვალსაზრისით, ოჯახისათვის ხელმისაწვდომი ხარისხიანი ალტერნატიული საშუალებების არსებობა, ნათესავები, მზრუნველები და სხვ.

49. იმის განსაზღვრა, თუ რა არის ბავშვის საუკეთესო ინტერესები, უნდა დაიწყოს იმ კონკრეტული გარემოებების შეფასებით, რომლებიც ბავშვს უნიკალურს ხდიან. ეს გულისხმობს იმას, რომ ზოგიერთი ელემენტი გამოყენებული იქნება, ზოგი კი - არა. ამასთან, ეს ზეგავლენას მოახდენს იმაზე, თუ როგორი პრიორიტეტი მიენიჭებათ მათ ერთმანეთთან მიმართებით. ზოგადად ბავშვებისათვის საუკეთესო ინტერესების შეფასება იმავე ელემენტებს მოიცავს.

50. კომიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია ელემენტების ამოუწურავი და არაიერარქიული ნუსხის შედგენა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნეს საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გადაწყვეტილების მიმღები ნებისმიერი პირის მიერ, რომელმაც ბავშვის საუკეთესო ინტერესები უნდა განსაზღვროს. ნუსხაში მოცემული ელემენტების ამოუწურავი ბუნება გულისხმობს იმას, რომ შესაძლებელია გასცდე მათ და გაითვალისწინო სხვა ფაქტორებიც, რომლებიც რელევანტურია ცალკეული ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფისათვის კონკრეტულ გარემოებებში. ნუსხაში მოცემული ყველა ელემენტი გათვალისწინებული უნდა იქნეს და დაბალანსდეს თითოეული სიტუაციის მიხედვით. ნუსხა უნდა იძლეოდეს მიმართულებას, თუმცა ამავდროულად იყოს მოქნილი.

51. ელემენტების ამგვარი ნუსხის შედგენა სახელმწიფოს ან გადაწყვეტილებების მიმღებ პირებს ხელმძღვანელობას გაუწევდა ბავშვებზე ზეგავლენის მომხდენი ისეთი კონკრეტული სფეროების რეგულირებისას, როგორიცაა ოჯახი, შვილად აყვანა და კანონმდებლობა არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში, და შესაძლებელი იქნებოდა სხვა ელემენტების დამატებაც სახელმწიფოს სამართლებრივი ტრადიციის შესაბამისად, თუ ისინი საჭიროდ იქნებოდა მიჩნეული. კომიტეტს სურს საგანგებოდ აღნიშნოს, რომ ამ ნუსხისათვის ელემენტების დამატებისას ბავშვის საუკეთესო ინტერესების მთავარი მიზანი უნდა იყოს კონვენციით აღიარებული უფლებებით სრული და ეფექტიანი სარგებლობისა და ბავშვის

ყოვლისმომცველი განვითარების უზრუნველყოფა. შესაბამისად, ის ელემენტები, რომლებიც ეწინააღმდეგება კონვენციით გასაზღვრულ უფლებებს, ან რომლებსაც ექნება კონვენციით გათვალისწინებული უფლებების საწინააღმდეგო ზეგავლენა, არ შეიძლება იქნეს მიჩნეული მართებულად იმის შეფასებისას, თუ რა არის საუკეთესო ბავშვის თუ ბავშვებისათვის.

**1. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გასათვალისწინებელი ელემენტები**

52. ამ წინასწარი მოსაზრებების საფუძველზე, კომიტეტს მიაჩნია, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას გასათვალისწინებელი ელემენტები, მოცემული სიტუაციის მიხედვით, შემდეგია:

**(ა) ბავშვის მოსაზრებები**

53. კონვენციის მე-12 მუხლი ადგენს ბავშვის უფლებას, გამოხატოს თავისი მოსაზრებები ნებისმიერი იმ გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც მას შეეხება. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც არ ითვალისწინებს ბავშვის მოსაზრებებს ან არ ანიჭებს მის მოსაზრებებს სათანადო მნიშვნელობას ბავშვის ასაკისა და სიმწიფის ხარისხის მიხედვით, არ სცემს პატივს ბავშვის ან ბავშვების შესაძლებლობას, ზეგავლენა მოახდინონ თავიანთი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრაზე.

54. ის ფაქტი, რომ ბავშვი ძალზე მცირეწლოვანია ან მოწყვლად მდგომარეობაშია (მაგ. შეზღუდული შესაძლებლობები, უმცირესობის ჯგუფისადმი კუთვნილება, მიგრანტობა და სხვ.), არ ართმევს მას უფლებას, გამოხატოს თავისი მოსაზრებები და არ ამცირებს იმ მნიშვნელობას, რომელიც უნდა მიენიჭოს ბავშვის მოსაზრებებს მისი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისას. კონკრეტული ღონისძიებების მიღება ამგვარ სიტუაციებში ბავშვებისათვის თანასწორი უფლებების უზრუნველყოფის მიზნით უნდა დაექვემდებაროს ინდივიდუალურ შეფასებას, რომელიც უზრუნველყოფს ბავშვების როლს გადაწყვეტილებების მიღების პროცესში და საჭიროებისამებრ გონივრული ხელშეწყობისა[11] და მხარდაჭერის გაწევას მათი საუკეთესო ინტერესების შეფასებაში მათი სრული მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

**(ბ)ბავშვის იდენტობა**

55. ბავშვები არ წარმოადგენენ ჰომოგენურ ჯგუფს და, ამდენად, მათი საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს მრავალფეროვნება. ბავშვის იდენტობა მოიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა სქესი, სექსუალური ორიენტაცია, რელიგია და რწმენა, კულტურული იდენტობა, პიროვნება. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვებსა და ახალგაზრდებს ძირითადად საერთო საჭიროებები აქვთ, ამ საჭიროებების გამოხატვა დამოკიდებულია პიროვნული, ფიზიკური, სოციალური და კულტურული ასპექტების ფართო სპექტრზე, მათ შორის მათ განვითარებად უნარებზე. ბავშვის უფლება, შეინარჩუნოს თავისი იდენტობა გარანტირებულია კონვენციით (მე-8 მუხლი), ამდენად, მას პატივი უნდა ეცეს და გათვალისწინებული იქნეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას.

56. მაგალითად, რაც შეეხება რელიგიურ და კულტურულ იდენტობას, ბავშვის მინდობით აღზრდის ან განთავსების საკითხის განხილვისას სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის აღზრდაში უცვლელობის ფაქტორის სასურველობა და ბავშვის ეთნიკური, რელიგიური, კულტურული და ენობრივი კონტექსტი (მე-20 მუხლის მე-3 პუნქტი). გადაწყვეტილების მიმღებმა პირმა უნდა გაითვალისწინოს ეს კონკრეტული კონტექსტი ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრისას. იგივე შეეხება შვილად აყვანის, მშობლებისაგან განცალკევების ან მშობელთა განქორწინების შემთხვევებს. ბავშვის საუკეთესო ინტერესების სათანადო გათვალისწინება გულისხმობს იმას, რომ ბავშვებს ხელი მიუწვდებოდეთ თავიანთი წარმოშობის ქვეყნისა და ოჯახის კულტურაზე (და, შეძლებისდაგვარად, ენაზე) და ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია თავიანთი ბიოლოგიური ოჯახის შესახებ მოცემული ქვეყნის სამართლებრივი და პროფესიული რეგულაციების შესაბამისად (იხ. მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი).

57. მიუხედავად იმისა, რომ რელიგიური და კულტურული ღირებულებებისა და ტრადიციების, როგორც ბავშვის იდენტობის ნაწილის, შენარჩუნება გათვალისწინებული უნდა იქნეს, ისეთი პრაქტიკა, რომელიც შეუსაბამო ან შეუთავსებელია კონვენციით დადგენილ უფლებებთან, არ წარმოადგენს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. კულტურულმა იდენტობამ არ შეიძლება გაამართლოს ან შეიწყნაროს გადაწყვეტილებების მიმღები პირებისა და ხელისუფლების მიერ ისეთი ტრადიციებისა და კულტურული ღირებულებების დაშვება, რომლებიც ლახავს ბავშვის ან ბავშვების კონვენციით გარანტირებულ უფლებებს.

---

11 იხ. კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, მე-2 მუხლი : "გონივრული განთავსება" გულისხმობს საჭირო და სათანადო მოდიფიკაციასა და მორგებას არაპროპორციული ან არასათანადო ტვირთის დაკისრების გარეშე, სადაც ეს კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია, [...]ადამიანის ყველა უფლებითა და ძირითადი თავისუფლებით თანასწორ საფუძვლებზე სარგებლობის უზრუნველსაყოფად.

**(გ) ოჯახური გარემოსა და ურთიერთობების შენარჩუნება**

58. კომიტეტი მიუთითებს, რომ სავალდებულოა ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა მშობლებისაგან ბავშვის პოტენციური განცალკევების კონტექსტში (მე-9 , მე-18 და მე-20 მუხლები). ამასთან, კომიტეტი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ზემოაღნიშნული ელემენტები წარმოადგენს კონკრეტულ უფლებებს და არა მხოლოდ უბრალო ელემენტებს ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსაზღვრისათვის.

59. ოჯახი წარმოადგენს საზოგადოების ფუნდამენტურ ერთეულს და მისი წევრების, განსაკუთრებით ბავშვების, ბუნებრივ გარემოს ზრდისა და კეთილდღეობისათვის (კონვენციის პრეამბულა). ბავშვის ოჯახური ცხოვრების უფლება დაცულია კონვენციით (მე-16 მუხლი). ტერმინი „ოჯახი" უნდა განიმარტოს ფართო გაგებით და მოიცავდეს ბიოლოგიურ, შვილად ამყვან, მინდობით მიმღებ მშობლებს, შესაბამის შემთხვევებში, ნათესავებს ან თემის წარმომადგენლებს ადგილობრივი ჩვეულებების შესაბამისად (მე-5 მუხლი).

60. ოჯახის განცალკევების პრევენცია და ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება ბავშვთა დაცვის სისტემის მნიშვნელოვანი კომპონენტებია და ეფუძნება მე-9 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებულ უფლებას, რომელიც მოითხოვს, რომ „ბავშვი არ დაშორდეს თავის მშობლებს მათი სურვილის საწინააღმდეგოდ, გარდა იმ შემთხვევისა, თუ [...] ასეთი დაშორება აუცილებელია და უკეთ ემსახურება ბავშვის ინტერესებს". ამასთან, ერთ ან ორივე მშობელთან დაცილებული ბავშვი უფლებამოსილია, „რეგულარული პირადი ურთიერთობები და პირდაპირი კონტაქტები ჰქონდეს ორივე მშობელთან, იმ შემთხვევის გარდა, როცა ეს ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს" (მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი). ეს აგრეთვე შეეხება ნებისმიერ პირს, რომელსაც აქვს მეურვეობის უფლება, სამართლებრივ ან ჩვეულებით პირველად მზრუნველებს, მინდობით მიმღებ ოჯახს და იმ პირებს, რომლებთანაც ბავშვს ახლო პირადი ურთიერთობა აქვს.

61. ბავშვზე მშობლებთან დაშორების ზეგავლენის სიმძიმიდან გამომდინარე, ამგვარი დაშორება უნდა განხორციელდეს მხოლოდ როგორც უკიდურესი ზომა, როდესაც ბავშვს ემუქრება უშუალო საფრთხე, ან როდესაც ეს სხვაგვარად არის აუცილებელი; დაშორება არ უნდა განხორციელდეს, თუ ნაკლებად მკაცრი ზომებით შესაძლებელია ბავშვის დაცვა. დაშორების განხორციელებამდე სახელმწიფომ უნდა გაუწიოს დახმარება მშობლებს თავიანთი პასუხისმგებლობის შესრულებაში და აღადგინოს ან გააძლიეროს ოჯახის უნარი, იზრუნოს ბავშვზე, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დაშორება აუცილებელია ბავშვის დასაცავად. ეკონომიკური მიზეზები არ შეიძლება იქნეს გამოყენებული გამართლებად ბავშვის მშობლებთან დაშორებისათვის.

62. ბავშვზე ალტერნატიული ზრუნვის სახელმძღვანელო პრინციპების[12] მიზანია, უზრუნველყოს, რომ ბავშვები აუცილებლობის გარეშე არ იქნენ განთავსებულნი ალტერნატიულ ზრუნვაში, ხოლო როდესაც ბავშვი გადაცემულია ალტერნატიული ზრუნვის სისტემაში, ამგვარი ზრუნვა უნდა განხორციელდეს სათანადო პირობებში, რომლებიც შეესატყვისება ბავშვის უფლებებსა და საუკეთესო ინტერესებს. კერძოდ, „ფინანსური და მატერიალური სიღარიბე, ან ამგვარი სიღარიბისათვის პირდაპირ და ექსკლუზიურად დამახასიათებელი პირობები არასოდეს შეიძლება იქნეს გამოყენებული ერთადერთ გამართლებად მშობლის ზრუნვისაგან ბავშვის ჩამოშორებისათვის [...]; აღნიშნული პირობები უნდა განიხილებოდეს, როგორც ოჯახისათვის სათანადო დახმარების გაწევის საჭიროების სიგნალი" (მე-15 პუნქტი).

63. მსგავსად ამისა, დაუშვებელია ბავშვის დაშორება მშობლებთან ბავშვის ან მშობლის შეზღუდული შესაძლებლობების საფუძვლით.[13] დაშორება შეიძლება განხილული იქნეს მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც ოჯახისათვის აუცილებელი დახმარება ოჯახის შესანარჩუნებლად არ არის საკმარისად ეფექტიანი ბავშვის უგულებელყოფის ან მიტოვების რისკის, ან ბავშვის უსაფრთხოების რისკის პრევენციისათვის.

64. დაშორების შემთხვევაში სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვისა და მისი ოჯახის მდგომარეობის შეფასება შეძლებისდაგვარად კვალიფიციური პროფესიონალებისაგან შემდგარი მრავალდარგობრივი ჯგუფის მიერ, სასამართლოს სათანადო მონაწილეობით, კონვენციის მე-9 მუხლის შესაბამისად, იმ პირობით, რომ ვერც ერთი სხვა საშუალება ვერ აკმაყოფილებს ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.

65. როდესაც დაშორება აუცილებელია, გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბავშვმა შეინარჩუნოს კავშირები თავის მშობლებთან და ოჯახთან (და-ძმასთან, ნათესავებთან და იმ პირებთან, ვისთანაც ბავშვს ახლო პირადი ურთიერთობები აქვს), გარდა იმ შემთხვევისა, თუ ეს ეწინააღმდეგება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს. ურთიერთობების ხარისხი და მათი შენარჩუნების საჭიროება გათვალისწინებული უნდა იქნეს მონახულებისა და სხვაგვარი კონტაქტების სიხშირისა და ხანგრძლივობის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, როდესაც ბავშვი ოჯახს გარეთ არის განთავსებული.

12 გენერალური ასამბლეის რეზოლუცია #64/142, დანართი.

13 კონვენცია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ, 23-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

66. როდესაც ბავშვის ურთიერთობები მშობლებთან შეწყვეტილია მიგრაციის გამო (მშობლების მიგრაციის გამო ბავშვის გარეშე ან ბავშვის მიგრაციის გამო მშობლების გარეშე), ოჯახის გამთლიანების შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ოჯახის ერთიანობის შენარჩუნება.

67. კომიტეტს მიაჩნია, რომ, როგორც წესი, მშობელთა პასუხისმგებლობის გადანაწილება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება. თუმცა, მშობლების პასუხისმგებლობების შესახებ გადაწყვეტილებების მიღებისას, ერთადერთი კრიტერიუმი უნდა იყოს ის, თუ რა არის საუკეთესო კონკრეტული ბავშვისათვის. ამ ინტერესებს ეწინააღმდეგება, თუ კანონი ავტომატურად ანიჭებს მშობლის პასუხისმგებლობას ერთ-ერთ ან ორივე მშობელს. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას მოსამართლემ უნდა გაითვალისწინოს ბავშვის უფლება, შეინარჩუნოს ურთიერთობა ორივე მშობელთან, საქმისათვის რელევანტურ სხვა ელემენტებთან ერთად.

68. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებს საერთაშორისო კერძო სამართლის ჰააგის კონფერენციის კონვენციების[14] რატიფიცირებისა და განხორციელებისაკენ. აღნიშნული კონვენციები ხელს უწყობენ ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაკმაყოფილებას და უზრუნველყოფენ გარანტიებს მათი რეალიზაციისათვის იმ შემთხვევაში, თუ მშობლები სხვა ქვეყნებში ცხოვრობენ.

69. იმ შემთხვევებში, როდესაც მშობლები ან ძირითადი მზრუნველები დანაშაულს ჩაიდენენ, ხელმისაწვდომი უნდა იყოს და თითოეული კონკრეტული შემთხვევის მიხედვით უნდა გამოიყენებოდეს პატიმრობის ალტერნატივები, იმ სავარაუდო ზეგავლენის სრული გათვალისწინებით, რომელიც სხვადასხვა სასჯელს შეიძლება ჰქონდეს შესაბამისი ბავშვის ან ბავშვების ჭეშმარიტ ინტერესებზე.[15]

70. ოჯახური გარემოს შენარჩუნება მოიცავს ბავშვის კავშირების შენარჩუნებას უფრო ფართო გაგებით. ეს კავშირები გულისხმობს ნათესავებს - ბებიას და ბაბუას, ბიძებს, დეიდებს/ მამიდებს, ისევე, როგორც მეგობრებს, სკოლას და უფრო ფართო გარემოს, და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ისეთ შემთხვევებში, როდესაც მშობლები დაშორებულნი არიან და სხვადასხვა ადგილას ცხოვრობენ.

**(დ) ბავშვზე ზრუნვა, მისი დაცვა და უსაფრთხოება**

71. ბავშვის ან ზოგადად ბავშვების საუკეთესო ინტერესის შეფასებისა და განსაზღვრისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სახელმწიფოს ვალდებულება, უზრუნველყოს ბავშვის იმგვარი დაცვა და მასზე იმგვარი ზრუნვა, როგორიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის (მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი). ტერმინები „დაცვა და ზრუნვა" აგრეთვე უნდა განიმარტოს ფართო გაგებით, ვინაიდან მათი მიზანი შეზღუდული ან უარყოფითი ფორმით კი არ არის ჩამოყალიბებული (როგორიცაა „ბავშვის დაცვა ზიანისაგან"), არამედ გულისხმობს ბავშვის „კეთილდღეობისა" და განვითარების სრული იდეალის უზრუნველყოფას. ბავშვთა კეთილდღეობა, ფართო გაგებით, გულისხმობს მათ ძირითად მატერიალურ, ფიზიკურ, საგანმანათლებლო და ემოციურ საჭიროებებს, ისევე, როგორც სიყვარულისა და უსაფრთხოების საჭიროებას.

72. ემოციური ზრუნვა ბავშვთა ძირითად საჭიროებას წარმოადგენს; თუ მშობლები ან ძირითადი მზრუნველები ბავშვის ემოციურ საჭიროებებს ვერ აკმაყოფილებენ, მიღებული უნდა იქნეს ზომები, რათა ბავშვს განუვითარდეს უსაფრთხო სიყვარული. ბავშვებს უნდა ჩამოუყალიბდეთ სიყვარული მზრუნველის მიმართ ძალზე ადრეულ ასაკში და ეს სიყვარული, თუ იგი ადეკვატურია, შენარჩუნებული უნდა იქნეს დროთა განმავლობაში ბავშვისათვის სტაბილური გარემოს უზრუნველყოფის მიზნით.

73. ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის უსაფრთხოებაც, ე.ი. ბავშვის უფლება, იყოს დაცული ფიზიკური ან ფსიქიკური ძალადობის ყველა ფორმისაგან, ზიანისა და ჩაგვრისაგან (მე-19 მუხლი), სექსუალური ძალადობისაგან, თანატოლთა მხრიდან ზეწოლისაგან, ჩაგვრისაგან, დამამცირებელი მოპყრობისაგან და სხვ.,[16] ასევე სექსუალური, ეკონომიკური და სხვა სახის ექსპლუატაციისაგან, ნარკოტიკებისაგან, შრომისაგან, შეიარაღებული კონფლიქტისაგან და ა.შ. (მუხლები 32-39).

14 მათ შორის კონვენცია # 28 ბავშვთა გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ, 1980 წ.; კონვენცია #33 შვილად აყვანასთან დაკავშირებით ქვეყნებს შორის ბავშვთა დაცვისა და თანამშრომლობის შესახებ, 1993 წ.; კონვენცია #23 რჩენის ვალდებულებების შესახებ გადაწყვეტილებების აღიარებისა და აღსრულების თაობაზე, 1973 წ.; კონვენცია #24 სამართლის შესახებ, რომელიც რჩენის ვალდებულებებზე ვრცელდება, 1973 წ.

15 იხ. პატიმრობაში მყოფ მშობელთა ბავშვების შესახებ ზოგადი დისკუსიის დღის რეკომენდაციები (2011).

16 ზოგადი კომენტარი #13 (2011წ.) ბავშვის უფლების შესახებ იყოს თავისუფალი ძალადობის ყველა ფორმისაგან.

74. საუკეთესო ინტერესების მიდგომის გამოყენება გადაწყვეტილებების მიღებისას გულისხმობს ბავშვის უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის შეფასებას მოცემულ მომენტში; თუმცა პრევენციული პრინციპი მოითხოვს გადაწყვეტილებით გამოწვეული სამომავლო რისკისა და ზიანის, აგრეთვე, ბავშვის უსაფრთხოებაზე გადაწყვეტილების სხვაგვარი ზეგავლენის ალბათობის შეფასებასაც.

**(ე) დაუცველობა**

75. მნიშვნელოვანია ისეთი ელემენტის გათვალისწინება, როგორიც არის ბავშვის დაუცველობა, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობები, უმცირესობის ჯგუფისადმი, ლტოლვილის ან თავშესაფრის მაძიებლის სტატუსი, ძალადობის მსხვერპლობა, ქუჩაში ცხოვრება და სხვ. მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვის ან ბავშვების საუკეთესო ინტერესების შეფასების მიზანი უნდა იყოს არა მხოლოდ კონვენციით გათვალისწინებული ყველა უფლებით სრული სარგებლობის უზრუნველყოფა, არამედ ყურადღება უნდა მიექცეს ადამიანის უფლებათა სხვა ნორმებსაც, რომლებიც უკავშირდება ამ კონკრეტულ სიტუაციებს, როგორიცაა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების შესახებ კონვენციითა და ლტოლვილთა სტატუსის შესახებ კონვენციით გათვალისწინებული უფლებები.

76. კონკრეტულ მოწყვლად მდგომარეობაში მყოფი ბავშვის საუკეთესო ინტერესები არ იქნება იგივე, რაც ყველა ბავშვისა იმავე მოწყვლად მდგომარეობაში. ხელისუფლებამ და გადაწყვეტილებების მიმღებმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ თითოეული ბავშვის დაუცველობის სხვადასხვა სახე და ხარისხი, ვინაიდან თითოეული ბავშვი უნიკალურია და თითოეული სიტუაცია უნდა შეფასდეს ბავშვის უნიკალურობის მიხედვით. უნდა განხორციელდეს ბავშვის დაბადებიდან მისი ისტორიის ინდივიდუალიზებული შეფასება, რეგულარული გადასინჯვით მრავალდარგობრივი ჯგუფის მიერ და მან უნდა გასცეს რეკომენდაცია გონივრული განთავსების შესახებ ბავშვის განვითარების პროცესის განმავლობაში.

**(ვ) ბავშვის უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვით**

77. ბავშვის უფლება, ისარგებლოს ჯანმრთელობის დაცვით (24-ე მუხლი) და ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობა არსებითია ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის. თუმცა, თუ არსებობს ჯანმრთელობის გარკვეული მდგომარეობის ერთზე მეტი შესაძლო მკურნალობა, ან თუ მკურნალობის შედეგი გაურკვეველია, უნდა აიწონ-დაიწონოს ყველა შესაძლო მკურნალობის დადებითი მხარეები ყველა შესაძლო რისკთან და გვერდით მოვლენასთან მიმართებით და, ამასთან, სათანადოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული ბავშვის მოსაზრება მისი ასაკისა და სიმწიფის ხარისხის მიხედვით. ამ თვალსაზრისით, ბავშვებს უნდა მიეწოდოთ ადეკვატური და სათანადო ინფორმაცია, რათა გააცნობიერონ არსებული სიტუაცია და მათ ინტერესებთან დაკავშირებული ყველა შესაბამისი ასპექტი. ამასთან, მათ შეძლებისდაგვარად უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, გასცენ ინფორმირებული თანხმობა.[17]

78. მაგალითად, მოზარდთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებით კომიტეტმა[18] განაცხადა, რომ მონაწილე სახელმწიფოები ვალდებულნი არიან, უზრუნველყონ, რომ ყველა მოზარდს როგორც სკოლაში, ისე სკოლის გარეთ ხელი მიუწვდებოდეს ადეკვატურ ინფორმაციაზე, რომელიც არსებითია მათი ჯანმრთელობისა და განვითარებისათვის, რათა მათ გააკეთონ ჯანმრთელობის თვალსაზრისით ქცევის სათანადო არჩევანი. ეს უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თამბაქოსა და სხვა ნივთიერებების მოხმარების, კვების შესახებ, სათანადო ინფორმაციას სქესობრივი და რეპროდუქციული საკითხების, ნაადრევი ორსულობის რისკების, აივ/შიდს-ისა და სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების შესახებ. ფსიქოსოციალური აშლილობების მქონე მოზარდებს აქვთ უფლება, ისარგებლონ მკურნალობითა და ზრუნვით იმ თემის მხრიდან, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, რამდენადაც ეს შესაძლებელია. როდესაც აუცილებელია ჰოსპიტალიზაცია ან დაწესებულებაში განთავსება, გადაწყვეტილების მიღებამდე, ბავშვის მოსაზრებების გათვალისწინებით, უნდა შეფასდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესები; იგივე ვრცელდება მცირეწლოვან ბავშვებზეც. ბავშვის ჯანმრთელობა და მკურნალობის შესაძლებლობები შესაძლოა აგრეთვე იყოს საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის ნაწილი სხვა სახის მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებთან მიმართებით (მაგ. ბინადრობის უფლების მინიჭება ჰუმანიტარული საფუძვლით).

**(ზ)ბავშვის განათლების უფლება**

79. ბავშვის საუკეთესო ინტერესს წარმოადგენს ხარისხიანი განათლების, მათ შორის ადრეულ ასაკში ბავშვის განათლების, არაფორმალური ან არაოფიციალური განათლებისა და

17 ზოგადი კომენტარი #15 (2013 წ.) ბავშვის უფლების შესახებ, ისარგებლოს ჯანმრთელობის უმაღლესი შესაძლებელი სტანდარტით (24-ე მუხლი), 31-ე პუნქტი.

18 ზოგადი კომენტარი #4 (2003 წ.) მოზარდთა ჯანმრთელობისა და განვითარების შესახებ ბავშვის უფლებათა კონვენციის კონტექსტში.

დაკავშირებული აქტივობების უფასო ხელმისაწვდომობა. კონკრეტული ბავშვის ან ბავშვთა ჯგუფის მიმართ განსახორციელებელი ღონისძიებებისა და ქმედებების შესახებ ყველა გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ან ბავშვების საუკეთესო ინტერესებს განათლების თვალსაზრისით. იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ მეტი ბავშვის მიერ განათლების ან უფრო მაღალი ხარისხის განათლების მიღებას, მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ სხვადასხვა სასწავლო დაწესებულებაში მუშაობდნენ კვალიფიციური მასწავლებლები და სხვა პროფესიონალები, არსებობდეს ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემო და სწავლებისა და სწავლის სათანადო მეთოდები. მონაწილე სახელმწიფოებმა ისიც უნდა გაითვალისწინონ, რომ განათლება არა მხოლოდ მომავალში ინვესტიციას წარმოადგენს, არამედ სახალისო საქმიანობის, პატივისცემისა და ამბიციების დაკმაყოფილების შესაძლებლობასაც. ამ საჭიროების დაკმაყოფილება და ბავშვთა პასუხისმგებლობის გაძლიერება, რათა მათ გადალახონ ნებისმიერი სახის მოწყვლადობით გამოწვეული შეზღუდვები, მათ საუკეთესო ინტერესებს შეესაბამება.

**2. საუკეთესო ინტერესების შეფასებისას ელემენტების დაბალანსება**

80. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ საუკეთესო ინტერესების საბაზისო შეფასება ბავშვის საუკეთესო ინტერესების ყველა შესაბამისი ელემენტის ზოგად შეფასებას წარმოადგენს, რომელშიც თითოეული ელემენტის მნიშვნელობა დამოკიდებულია დანარჩენ ელემენტებზე. ყველა ელემენტი არ იქნება შესაფერისი ყველა შემთხვევისათვის და შესაძლებელია სხვადასხვა ელემენტის სხვადასხვა ფორმით გამოყენება სხვადასხვა შემთხვევაში. თითოეული ელემენტის შინაარსი აუცილებლად განსხვავებული იქნება თითოეული ბავშვის და შემთხვევის მიხედვით და იგი დამოკიდებულია გადაწყვეტილების ტიპსა და კონკრეტულ გარემოებებზე. ამასთან, განსხვავებული იქნება თითოეული ელემენტის მნიშვნელობაც მთლიანად შეფასებაში.

81. საუკეთესო ინტერესების შეფასების ელემენტები შესაძლოა ერთმანეთს ეწინააღმდეგებოდეს კონკრეტული შემთხვევისა და მისი გარემოებების განხილვის დროს. მაგალითად, ოჯახური გარემოს შენარჩუნება შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს მშობლების მხრიდან ძალადობის ან ჩაგვრის რისკისაგან ბავშვის დაცვის საჭიროებას. ამგვარ სიტუაციებში ელემენტები ერთმანეთთან მიმართებით უნდა აიწონ-დაიწონოს, რათა მოძიებული იქნეს ისეთი გადაწყვეტის გზა, რომელიც ბავშვის ან ბავშვების საუკეთესოინტერესებს შეესაბამება.

82. სხვადასხვა ელემენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის მიზანია კონვენციით და მისი ფაკულტატური ოქმებით გათვალისწინებული უფლებებით სრული და ეფექტიანი სარგებლობისა და ბავშვის ყოვლისმომცველი განვითარების უზრუნველყოფა.

83. შეიძლება არსებობდეს შემთხვევები, რომლებშიც ბავშვთან დაკავშირებული „დაცვის" ფაქტორები (მაგ. რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს უფლებების შეზღუდვას ან შეჩერებას) უნდა შეფასდეს „შესაძლებლობების მინიჭების" ღონისძიებებთან მიმართებით (რაც გულისხმობს უფლებებით სრულ სარგებლობას, შეზღუდვების გარეშე). ასეთ შემთხვევებში ელემენტების დაბალანსებისას არსებითი უნდა იყოს ბავშვის ასაკი და სიმწიფის ხარისხი. ბავშვის სიმწიფის ხარისხის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ბავშვის ფიზიკური, ემოციური, შემეცნებითი და სოციალური განვითარება.

84. საუკეთესო ინტერესების შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს, რომ ბავშვის უნარები განვითარდება. ამიტომ გადაწყვეტილების მიმღებმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ ისეთი ღონისძიებების მიღება, რომელთა შესაბამისად გადასინჯვა ან მორგება იქნება შესაძლებელი, და არ მიიღონ საბოლოო და შეუქცევადი გადაწყვეტილებები. ამისათვის მათ უნდა შეაფასონ არა მხოლოდ ფიზიკური, ემოციური, საგანმანათლებლო და სხვა საჭიროებები გადაწყვეტილების მიღების კონკრეტულ მომენტში, არამედ ბავშვის განვითარების შესაძლო ვარიანტებიც და გააანალიზონ ისინი მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში. ამ თვალსაზრისით გადაწყვეტილებები უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის არსებული და სამომავლო სიტუაციის განგრძობადობასა და სტაბილურობას.

**ბ. საპროცესო გარანტიები ბავშვის საუკეთესო ინტერესების განხორციელების უზრუნველსაყოფად**

85. ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის უპირველესი ყურადღების მინიჭების უფლების სათანადო განხორციელების უზრუნველსაყოფად უნდა დაინერგოს და ამოქმედდეს გარკვეული, ბავშვისადმი კეთილგანწყობილი საპროცესო გარანტიები. ამდენად, ბავშვის საუკეთესო ინტერესების ცნება საპროცესო ნორმას წარმოადგენს (იხ. პუნქტი 6(ბ) ზემოთ).

86. მაშინ, როდესაც საჯარო ხელისუფლებამ და ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიმღებმა ორგანიზაციებმა უნდა იმოქმედონ ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის ვალდებულების შესაბამისად, იმ პირებისგან, რომლებიც ყოველდღიურად იღებენ ბავშვებთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს (მაგ. მშობლები, მეურვეები, მასწავლებლები და სხვ.), არავინ მოელის, რომ ისინი მკაცრად და ნაბიჯ-ნაბიჯ დაიცავენ

პროცედურას, მიუხედავად იმისა, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში გადაწყვეტილებების მიღებისასაც უნდა ხდებოდეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება და პატივისცემა.

87. სახელმწიფოებმა უნდა დანერგონ ოფიციალური პროცესები მკაცრი საპროცესო გარანტიებით, რომელთა დანიშნულება იქნება ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასება და განსაზღვრა ბავშვთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, ასევე უნდა დანერგონ შედეგების შეფასების მექანიზმები. სახელმწიფოებმა უნდა შეიმუშაონ გამჭვირვალე და ობიექტური პროცედურები კანონმდებლების, მოსამართლეების თუ ადმინისტრაციული ორგანოების მიერ მიღებული ყველა გადაწყვეტილებისათვის, განსაკუთრებით იმ სფეროებში, რომლებიც უშუალოდ შეეხება ბავშვს ან ბავშვებს.

88. კომიტეტი მოუწოდებს სახელმწიფოებსა და ყველა პირს, რომელსაც აქვს ბავშვის საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის უფლებამოსილება, განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ბავშვების დაცვის შემდეგ ზომებსა და გარანტიებს:

**(ა) ბავშვის უფლება, გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები**

89. ამ პროცესის არსებითი ნაწილია ბავშვებთან კომუნიკაცია, ბავშვის ჯეროვანი მონაწილეობის ხელშეწყობისა და მისი საუკეთესო ინტერესების განსაზღვრის მიზნით. ამგვარი კომუნიკაცია უნდა მოიცავდეს ბავშვების ინფორმირებას პროცესისა და შესაძლო გადაჭრის გზების და მომსახურების შესახებ, ისევე, როგორც ბავშვებისაგან ინფორმაციის მოძიებასა და მათი მოსაზრებების გამორკვევას.

90. როდესაც ბავშვს სურს თავისი მოსაზრების გამოხატვა და როდესაც იგი ამ უფლების რეალიზაციას წარმომადგენლის საშუალებით ახდენს, ეს უკანასკნელი ვალდებულია, ზუსტად გადმოსცეს ბავშვის მოსაზრებები. ისეთ შემთხვევაში, როდესაც ბავშვის მოსაზრებები ეწინააღმდეგება მისი წარმომადგენლის მოსაზრებებს, უნდა დაინერგოს პროცედურა, რომელიც ბავშვს შესაძლებლობას მისცემს, საჭიროებისამებრ მიმართოს ხელისუფლების ორგანოს მისთვის დამოუკიდებელი წარმომადგენლის (მაგ. სასამართლოს მიერ დანიშნული მეურვე) დანიშვნის მიზნით.

91. ბავშვების,როგორცჯგუფის,საუკეთესოინტერესებისშეფასებისადაგანსაზღვრისპროცედურა გარკვეულწილად განსხვავდება ცალკეული ბავშვის შემთხვევაში განსახორციელებელი პროცედურისაგან. როდესაც საუბარია დიდი რაოდენობით ბავშვების ინტერესებზე, სახელმწიფო უწყებებმა უნდა მოიძიონ გზები, რათა მოისმინონ ბავშვების წარმომადგენლების მოსაზრებები და სათანადოდ გაითვალისწინონ ისინი ისეთი ღონისძიებების დაგეგმვისას ან საკანონმდებლო გადაწყვეტილებების მიღებისას, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად შეეხება ამ ჯგუფს, რათა უზრუნველყონ, რომ ბავშვთა ყველა კატეგორია მოცულია. არსებობს მრავალი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა გაკეთდეს ეს, მათ შორის ბავშვების მონაწილეობით მოსმენების, ბავშვთა პარლამენტების, ბავშვების მიერ მართული ორგანიზაციების, ბავშვთა გაერთიანებების ან სხვა წარმომადგენლობითი ორგანოების, სკოლაში დისკუსიების, სოციალური ქსელების მეშვეობით და სხვ.

**(ბ)ფაქტების დადგენა**

92. კონკრეტული შემთხვევისათვის რელევანტური ფაქტები და ინფორმაცია მოძიებული უნდა იქნეს კვალიფიციური პროფესიონალების მიერ საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის ყველა აუცილებელი ელემენტის შესადგენად. ეს შესაძლოა მოიცავდეს ბავშვის ახლობელი პირების და იმ სხვა პირების გამოკითხვას, რომელთაც ბავშვთან ყოველდღიური შეხება აქვთ, აგრეთვე გარკვეული ინციდენტების მოწმეების გამოკითხვას. მოძიებული ინფორმაცია და მონაცემები უნდა გადამოწმდეს და გაანალიზდეს მანამ, სანამ გამოყენებული იქნება ბავშვის ან ბავშვების საუკეთესო ინტერესების შეფასებისათვის.

**(გ) დროის აღქმა**

93. ბავშვები და ზრდასრული ადამიანები დროის მსვლელობას ერთნაირად არ აღიქვამენ. გადაწყვეტილებების მიღების გაჭიანურებას განსაკუთრებით უარყოფითი გავლენა აქვს ბავშვებზე მათი განვითარების პროცესში. ამდენად, მიზანშეწონილია, არსებობდეს პროცედურებიანპროცესები,რომელთასაშუალებითმოხდებოდაბავშვებთანდაკავშირებული საკითხებისათვის პრიორიტეტის მინიჭება, რათა ისინი რაც შეიძლება მოკლე ვადაში დასრულდეს. გადაწყვეტილების მიღების მომენტი შეძლებისდაგვარად უნდა შეესაბამებოდეს ბავშვის მიერ იმის აღქმას, თუ რამდენად სასარგებლო იქნება ის მისთვის და მიღებული გადაწყვეტილებები უნდა გადაისინჯოს გონივრული ინტერვალებით, ბავშვის და აზრის გამოხატვის მისი უნარის განვითარებასთან ერთად. ზრუნვის, მკურნალობის, განთავსების და ბავშვთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებების შესახებ ყველა გადაწყვეტილება პერიოდულად უნდა გადაისინჯოს დროის ბავშვისეული აღქმის, ბავშვის და მისი უნარების განვითარების გათვალისწინებით (25-ე მუხლი).

**(დ) კვალიფიციური პროფესიონალები**

94. ბავშვები მრავალფეროვანი ჯგუფია და თითოეულ ბავშვს თავისი თავისებურებები და საჭიროებები აქვს, რომლებიც ადეკვატურად შეიძლება მხოლოდ ისეთი პროფესიონალების მიერ შეფასდეს, რომელთაც აქვთ გამოცდილება ბავშვთა და მოზარდთა განვითარების საკითხებში. შეფასების ოფიციალური პროცესი სწორედ ამიტომ უნდა განხორციელდეს კეთილგანწყობილ და უსაფრთხო ატმოსფეროში ისეთი პროფესიონალების მიერ, რომელთაც გავლილი აქვთ სწავლება ბავშვთა ფსიქოლოგიაში, ბავშვთა განვითარებასა და ადამიანისა და სოციალური განვითარების სხვა შესაბამის სფეროებში, აქვთ ბავშვებთან მუშაობის გამოცდილება და მიღებულ ინფორმაციას ობიექტურად განიხილავენ. ბავშვის საუკეთესოინტერესების შეფასებაში შეძლებისდაგვარად უნდა მონაწილეობდეს პროფესიონალთა მრავალდარგობრივი ჯგუფი.

95. ალტერნატიული გადაწყვეტილებების შედეგების შეფასება უნდა ეფუძნებოდეს ბავშვისათვის თითოეული შესაძლო ალტერნატივის სავარაუდო შედეგების შესახებ ზოგად ცოდნას (ე.ი. ცოდნას სამართლის, სოციოლოგიის, განათლების, სოციალური მუშაობის, ფსიქოლოგიის, ჯანდაცვისა და სხვა სფეროებში), ბავშვის ინდივიდუალური თავისებურებებისა და წარსული გამოცდილების გათვალისწინებით.

**(ე) წარმომადგენლობა**

96. ბავშვს ესაჭიროება სათანადო წარმომადგებლობა, როდესაც ხდება მისი საუკეთესო ინტერესების ოფიციალური შეფასება და განსაზღვრა სასამართლოსა და შესაბამისი ორგანოების მიერ. კერძოდ, ისეთ შემთხვევებში, როდესაც ბავშვის მიმართ უნდა განხორციელდეს ადმინისტრაციული ან სასამართლო პროცედურა, რომელიც მისი საუკეთესოინტერესების განსაზღვრას მოიცავს, ბავშვი უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სამართლებრივი წარმომადგენლით მეურვესთან ან მისი მოსაზრებების წარმომადგენელთან ერთად, როდესაც არსებობს პოტენციური კონფლიქტი მხარეებს შორის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

**(ვ) სამართლებრივი არგუმენტაცია**

97. იმის დემონსტრირებისათვის, რომ ბავშვის უფლება, მისი საუკეთესო ინტერესები გათვალისწინებული იქნეს უპირველესი მოსაზრების სახით, დაცულია, ბავშვთან დაკავშირებული ნებისმიერი გადაწყვეტილება მოტივირებული, დასაბუთებული და განმარტებული უნდა იყოს. მოტივაცია ცალსახად უნდა ასახავდეს ბავშვთან დაკავშირებულ ყველა ფაქტობრივ გარემოებას, უნდა აღინიშნოს, თუ რომელი ელემენტები ჩაითვალა რელევანტურად საუკეთესო ინტერესების შეფასებისას და თითოეულ შემთხვევაში მითითებული იყოს ელემენტების შინაარსი და როგორ აიწონ-დაიწონა ისინი ბავშვის საუკეთესო ინტერესების განსასაზღვრად. თუ გადაწყვეტილება განსხვავდება ბავშვის მოსაზრებისაგან, საამისო მიზეზი გასაგებად უნდა განიმარტოს. თუ, გამონაკლის შემთხვევებში, შერჩეული გადაწყვეტილება არ შეესაბამება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს, განმარტებული უნდა იქნეს შესაბამისი საფუძვლები იმის საჩვენებლად, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესებს უპირველესი ყურადღება მიენიჭა, მიუხედავად დამდგარი შედეგისა. არ არის საკმარისი ზოგადად მითითება, რომ სხვა მოსაზრებანი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესები; ყველა მოსაზრება მკაფიოდ უნდა დაკონკრეტდეს განხილულ საქმესთან დაკავშირებით და უნდა განიმარტოს მიზეზი, თუ რატომ მიენიჭა მას უფრო დიდი მნიშვნელობა მოცემულ საქმეში. არგუმენტაციაში, აგრეთვე, უნდა ჩანდეს სარწმუნოდ, თუ რატომ არ იქნა მიჩნეული ბავშვის საუკეთესო ინტერესები საკმარისად ძლიერ არგუმენტად იმისათვის, რომ გადაეწონა სხვა მოსაზრებები. გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებანი, რომლებშიც ბავშვის საუკეთესო ინტერესები გადამწყვეტი მოსაზრება იქნება (იხ. 38-ე პუნქტი ზემოთ).

**(ზ) გადაწყვეტილებების განხილვისა და გადასინჯვის მექანიზმები**

98. სახელმწიფოებმა თავიანთი სამართლებრივი სისტემების ფარგლებში უნდა შექმნან მექანიზმები ბავშვებთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების გასაჩივრების ან შეცვლისათვის, როდესაც გადაწყვეტილება შესაძლოა არ შეესაბამებოდეს ბავშვის ან ბავშვების საუკეთესო ინტერესების შეფასებისა და განსაზღვრის სათანადო პროცედურას. ეროვნულ დონეზე ყოველთვის უნდა არსებობდეს ამგვარი გადაწყვეტილების გადასინჯვის ან გასაჩივრების შესაძლებლობა. ბავშვს უნდა ეცნობოს ამ მექანიზმების შესახებ და ისინი ხელმისაწვდომი უნდა იყოს მისთვის უშუალოდ ან მისი სამართლებრივი წარმომადგენლის საშუალებით, თუ მიიჩნევა, რომ საპროცესო გარანტიები არ იქნა უზრუნველყოფილი, ფაქტები იყო მცდარი, საუკეთესო ინტერესების შეფასება ჯეროვნად არ განხორციელდა, ან რომ საწინააღმდეგო მოსაზრებებს ზედმეტი მნიშნელობა მიენიჭა. განმხილველმა ორგანომ ყველა ეს ასპექტი უნდა შეაფასოს.

**(თ) ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასება**

99. როგორც ზემოთ აღინიშნა, განხორციელების ყველა ღონისძიების შემუშავება აგრეთვე უნდა შეესაბამებოდეს ისეთ პროცედურას, რომელიც უზრუნველყოფს, რომ ბავშვის საუკეთესო ინტერესი გათვალისწინებული იყოს როგორც უპირველესი მოსაზრება. ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასებას შეუძლია ნებისმიერი ისეთი შემოთავაზებული პოლიტიკური, საკანონმდებლო, მარეგულირებელი, საბიუჯეტო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების ზეგავლენის პროგნოზირება, რომელიც შეეხება ბავშვებს და მათი უფლებებით სარგებლობას, და იგი თან უნდა სდევდეს ბავშვთა უფლებებზე ღონისძიებების ზეგავლენის მონიტორინგსა და შეფასებას.[19] ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასება უნდა დაინერგოს სამთავრობო პროცესებში ყველა დონეზე და განვითარების პოლიტიკისა და სხვა ზოგადი ღონისძიებების შემუშავების რაც შეიძლება ადრეულ ეტაპზე, რათა უზრუნველყოფილი იქნეს სათანადო მმართველობა ბავშვთა უფლებებისათვის. შესაძლოა შემუშავდეს სხვადასხვა მეთოდოლოგია და პრაქტიკა ბავშვის უფლებებზე ზეგავლენის შეფასების განხორციელებისათვის. როგორც მინიმუმ, ისინი უნდა იყენებდნენ კონვენციასა და მის ფაკულტატურ ოქმებს ჩარჩოს სახით, კერძოდ, იმის უზრუნველსაყოფად, რომ შეფასებები ემყარება ზოგად პრინციპებს და განსაკუთრებით დიდ ყურადღებას უთმობს განსახილველი ღონისძიების (ღონისძიებების) სხვადასხვა ზეგავლენას ბავშვებზე. თვით ზეგავლენის შეფასება შეიძლება დაეფუძნოს ბავშვებისგან, სამოქალაქო საზოგადოებისა და ექსპერტებისგან, ასევე მთავრობის შესაბამისი დეპარტამენტებიდან მოწოდებულ ინფორმაციას და მოცემულ ან ნებისმიერ სხვა ქვეყანაში ოფიციალურად ჩატარებული აკადემიური კვლევების შედეგებს. ანალიზის შედეგად უნდა შემუშავდეს რეკომენდაციები ცვლილებების, ალტერნატივებისა და გაუმჯობესების ღონისძიებების შესახებ, რომლებიც საჯაროდ ხელმისაწვდომი უნდა იყოს.[20]

## VI. გავრცელება

100. კომიტეტი რეკომენდაციას უწევს სახელმწიფოებს, ფართოდ გაავრცელონ წინამდებარე ზოგადი კომენტარი პარლამენტებში, მთავრობებსა და სასამართლო კორპუსებში ეროვნულ და ადგილობრივ დონეებზე. მის შესახებ აგრეთვე უნდა ეცნობოთ ბავშვებს - მათ შორის გარიყულ ბავშვებს, ბავშვებთან მომუშავე ყველა პროფესიონალს (მათ შორის მოსამართლეებს, ადვოკატებს, მასწავლებლებს, მეურვეებს, სოციალურ მუშაკებს, სოციალური დაცვის საჯარო თუ კერძო დაწესებულებების მუშაკებს, ჯანდაცვის სექტორის მუშაკებს და სხვ.) და ზოგადად სამოქალაქო საზოგადოებას. ამისათვის ზოგადი კომენტარი უნდა ითარგმნოს შესაბამის ენებზე და ხელმისაწვდომი იყოს, აგრეთვე, ბავშვისადმი კეთილგანწყობილი/ადაპტირებული ვერსიები. ამასთან, უნდა გაიმართოს კონფერენციები, სემინარები, სამუშაო შეხვედრები და სხვა ღონისძიებები ზოგადი კომენტარის განხორციელების საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით. გარდა ამისა, იგი შეტანილი უნდა იქნეს ოფიციალურ საწყის და განგრძობად სწავლებაში ყველა შესაბამისი პროფესიონალისა და ტექნიკური პერსონალისათვის.

101. კომიტეტისთვის წარსადგენ თავიანთ პერიოდულ ანგარიშებში სახელმწიფოებმა უნდა მიუთითონ ინფორმაცია მათ წინაშე მდგომი გამოწვევების შესახებ, ასევე იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც მათ განახორციელეს ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებისა და დაცვისათვის ყველა იმ სასამართლო და ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებაში თუ სხვა ქმედებაში, რომელიც შეეხება ბავშვს როგორც ინდივიდს, ისევე, როგორც ზოგადად ბავშვებთან ან ბავშვთა კონკრეტულ ჯგუფთან დაკავშირებული განხორციელების ღონისძიებების შემუშავების და გატარების ყველა ეტაპზე.

19 ზოგადი კომენტარი #16 (2013 წ.) ბავშვთა უფლებებზე ბიზნეს-სექტორის ზეგავლენასთან დაკავშირებული სახელმწიფოთა ვალდებულებების შესახებ, პუნქტები 78-81.

20 სახელმწიფოებს შეუძლიათ იხელმძღვანელონ საკვებზე უფლების შესახებ სპეციალური მომხსენებლის ანგარიშით სავაჭრო და საინვესტიციო შეთანხმებების ადამიანის უფლებებზე ზეგავლენის შეფასების სახელმძღვანელო პრინციპებთან დაკავშირებით (A/HRC/19/59/Add.5).

# ბავშვები მართლმსაჯულების სისტემაში

## სასწავლო მოდული ადვოკატებისათვის

(სამართლებრივი ნაწილი)

2011 წელი

მასალა მომზადებულია ნიდერლანდების სამეფოს მხარდაჭერით

მასალა მომზადებულია „იუნისეფის" კონსულტანტის ჩარლზ ბოლანდის მიერ

მასალაში გამოხატული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრისს

# ბავშვები მართლმსაჯულების სისტემაში

## სახელმძღვანელო ადვოკატებისათვის

I. ***ძირითადი საერთაშორისო სტანდარტების და ნორმების მიმოხილვა:*** (i)საერთაშორისო ინსტრუმენტები(ii) საუკეთესო ინტერესის პრინციპი;

II. ***დაზარალებული და მოწმე ბავშვები:*** (i) ძირითადი საკითხები; (ii) ბავშვები სასამართლო დარბაზში;

III. ***კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები:*** (i) ძირითადი საკითხები; (ii) განმარტებები; (iii) CUBAC (ბავშვები, რომელთაც ზრდასრულები იყენებენ დანაშაულის ჩასადენად); (iv)წარმომადგენლობა სასამართლოში.

IV.

I. ***მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებული საერთაშორისო სტანდარტები და ნორმები***

***(ი)საერთაშორისო ინსტრუმენტები***

ამ მასალებში საუბარია მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებთან დაკავშირებულსაერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებზე, რომლებიცასახულია ისეთ საერთაშორისო ინსტრუმენტებში, როგორებიცაა კონვენციები (ხელშეკრულებები), სახელმძღვანელო პრინციპები და წესები.

საქართველოს კონსტიტუცია აღიარებს საერთაშორისო სამართლით და ხელშეკრულებებით აღებულ ვალდებულებებს.

საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებას ან შეთანხმებას, თუ იგი არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას, კონსტიტუციურ შეთანხმებას (30.03.2001, □826) აქვს უპირატესი იურიდიული ძალა შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ.[1]

კონსტიტუცია ასევე აღიარებს ადამიანის უფლებათა ფუნდამენტურ პრინციპებს და ავალდებულებს სახელმწიფოს, იმოქმედოს ამ ვალდებულების ფარგლებში:

სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით.[2]

საქართველო არის ადამიანის უფლებათა ამსახველი მრავალი საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე; მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტისა (ICCPR), რომელიც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო ინსტრუმენტია ადამიანის უფლებათა თვალსაზრისით. როგორც ევროპის საბჭოს წევრი, საქართველო ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მონაწილეც არის.[3]

საქართველო არის ბავშვის უფლებათა კონვენციის (შემდგომში კონვენცია) წევრი სახელმწიფო. კონვენცია მიღებულია გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1989 წელს და თითქმის ყველა სახელმწიფოს მიერ არის რატიფიცირებული. კონვენცია არის ძირითადი ინსტრუმენტი, რომელიც კონკრეტულად ბავშვის უფლებებს

1 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 6.2.

2 საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 7.

3 წევრი სახელმწიფოების წინააღმდეგ ინდივიდუალური სარჩელები ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებებისდარღვევისთვის განიხილება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ (თუ შესაბამისად არ არის გადაწყვეტილი ეროვნული სასამართლოს მიერ). ამ მასალებში განხილული იქნება ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება, დაკავშირებული სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში არსებულ ბავშვებთან.

იცავს. ვინაიდან ბავშვები არიან საზოგადოების ყველაზე მოწყვლადი წევრები, ისინი საჭიროებენ დაცვის მაღალ ხარისხს მართლმსაჯულების ეროვნულ სისტემებში.[4] ეს გარემოება უნდა იყოს გათვალისწინებული სამართლებრივი იერარქიის დროს როგორც საერთაშორისო, ისე ქართულ კანონმდებლობაში და მათ შორის ურთიერთქმედებისას. მიუხედავად იმისა, რომ კონვენცია გვთავაზობს ბავშვის უფლებების დაცვის ფართო სპექტრს, ამ მასალებში განხილული იქნება მხოლოდ რამდენიმე დებულება, რომლებიც ეხება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მოხვედრილ ბავშვებს.

კონვენციის გარდა, არსებობს სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტებიც, რომლებიც ასევე ეხება სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში მყოფ ბავშვებთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებსა და ნორმებს.

ეს ინსტრუმენტებია:

- ბავშვის უფლებათა კომიტეტის ზოგადი კომენტარი №10- „ბავშვის უფლებები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში";
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სახელმძღვანელო პრინციპები არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულის პრევენციასთან დაკავშირებით („რიადის სახელმძღვანელო პრინციპები");
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ(„პეკინის წესები");
- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესები თავისუფლებააღკვეთილ არასრულწლოვანთა დასაცავად(„ჰავანის წესები");
- მართლმსაჯულების განხორციელება იმ საქმეებზე, რომლებიც ეხება დანაშაულით დაზარალებულ და მოწმე ბავშვებს – კანონის მოდელი და შესაბამისი კომენტარი.

ბავშვის უფლებათა კომიტეტი არის დამოუკიდებელი ექსპერტებისგან შემდგარი ორგანო გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისში, რომელიც ზედამხედველობას უწევს ბავშვის უფლებათა კონვენციის შესრულებას ხელშემკვრელი სახელმწიფოების მიერ.[5]

პეკინის წესები, რიადის სახელმძღვანელო პრინციპები და ჰავანის წესები ერთად განიხილება როგორც გაეროს სტანდარტები და ნორმები არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შესახებ.[6] მართლმსაჯულების განხორციელება იმ საქმეებზე, რომლებიც ეხება დანაშაულით დაზარალებულ და მოწმე ბავშვებს –კანონის მოდელი და შესაბამისი კომენტარი – ეფუძნება ეკონომიკური და სოციალური საბჭოს №2005/20 რეზოლუციას: მართლმსაჯულების სახელმძღვანელო პრინციპები დანაშაულითდაზარალებული და მოწმე ბავშვების საქმეებზე; აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპები შეადგენს დანაშაულის პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემის თაობაზე გაეროს სტანდარტებისა და ნორმების ნაწილს, რომლებიც წარმოადგენს საერთაშორისო მასშტაბით აღიარებულ, საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ამ სფეროში შექმნილ ნორმატიულ პრინციპებს.[7]

მაშინ, როდესაც კონვენციით გათვალისწინებული დამცავი მექანიზმები სავალდებულოა იმ ქვეყნებისთვის, რომლებმაც მოახდინეს კონვენციის რატიფიცირება, დანარჩენი ზემოაღნიშნული ინსტრუმენტებით გათვალისწინებული დამცავი მექანიზმები არ არის სავალდებულო. მიუხედავად ამისა, ეს დოკუმენტები სარგებლობს საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით და წარმოადგენს საერთაშორისო სამართლით დადგენილ პრინციპებს. მათი უფრო დეტალური დებულებები შეიძლება გამოყენებული იყოს სამართლებრივად სავალდებულო ინსტრუმენტების მხარდასაჭერად, როგორიცაა კონვენცია და საქართველოს კანონმდებლობა. ყველა ამ დოკუმენტში არსებული დამცავი მექანიზმები ურთიერთკავშირშია და სწორედ ეს კავშირი

4 Mónica Feria Tinta, `The Landmark Rulings of the Inter-American Court of Human Rights on the Rights of the Child: Protecting the Most Vulnerable at the Edge',*International Studies in Human Rights*, Volume 96, 32-33; The 1959 Declaration of the Rights of the Child (1959), preamble, G.A. res. 1386 (XIV), 14 U.N. GAOR Supp. (No. 16) at 19, U.N. Doc. A/4354. "[T]he child, by reason of his physical and mental immaturity, needs special safeguards and care, including appropriate legal protection[.]"

5 დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ: gaeros adamianis uflebaTa umaRlesi komisris samsaxuris vebgverdi http://www2.ohchr.org/english/bodies/crc/

6 Guidelines for Action on Children in the Criminal Justice System* Economic and Social Council resolution 1997/30, para 3.

7 Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime – Model law and Related Commentary, para 1.

ქმნის სრულყოფილ სისტემას სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში ბავშვთა უფლებების დაცვისთვის.[8] შესაბამისად, წინამდებარე მასალაში განხილული იქნება ყველა ეს ინსტრუმენტი.

### *(ii). ბავშვის საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპი*

ბავშვები, მათი განვითარების გამო, საჭიროებენ განსაკუთრებულ დაცვას და ამიტომ არ შეიძლება, მათ ისევე მოეპყრან, როგორც ზრდასრულებს. გაეროს გენერალური ასამბლეის №1386რეზოლუცია, რომელიც მიღებულია 1959 წელს და რომელიც ცნობილია „ბავშვის უფლებათა დეკლარაციის" სახელით, ამბობს შემდეგს:

> ***„ბავშვი უნდა სარგებლობდეს განსაკუთრებული დაცვით. Mმას, კანონით და სხვა საშუალებით, უნდა მიეცეს სოციალურად ჯანმრთელ, ნორმალურ გარემოში და თავისუფალ და ღირსეულ პირობებში ფიზიკური, გონებრივი, მორალური და სულიერი განვითარების შესაძლებლობა".[9]***

როდესაც ბავშვები ხვდებიან მართლმსაჯულების სისტემაში, ქვეყნის შიდა სასამართლოებმა და სამართლის სპეციალისტებმა უნდა გაათვითცნობიერონ, რომ ბავშვები განსხვავდებიან ზრდასრული პირებისგან – მიუხედავად მათი სტატუსისა – იქნება ეს დაზარალებული, მოწმე, ბრალდებული თუ მსჯავრდებული ბავშვი – და მისი დაცვა და განვითარება უნდა იყოს მთავარი პრიორიტეტი მართლმსაჯულების სისტემაში მონაწილეობის მთლიან პროცესში.ამის უზრუნველსაყოფად მართლმსაჯულების მრავალი სისტემა იყენებს ***საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპს.*** ეს პრინციპი მოითხოვს, რომ მართლმსაჯულების პროცესის ყველა ეტაპზე, რომელშიც მონაწილეობს ბავშვი, უპირველესად იყოს გათვალისწინებული ბავშვის საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესები. კონვენცია ითვალისწინებს საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპს:

> ***„ბავშვთან დაკავშირებულ ყველა ქმედებაში, რომელიც განხორციელებულია სახელმწიფო ან კერძო სოციალური კეთილდღეობის სამსახურის, სასამართლოს, ადმინისტრაციული უწყების ან საკანონმდებლო ორგანოს მიერ, ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს უპირატესად გათვალიწინებული."[10]***

საუკეთესო ინტერესის პრინციპის გამოყენება მოითხოვს საკითხის განხილვას არსებითი სამართლებრივი და საპროცესო ნორმების მიღმა, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვის კავშირები საზოგადოებასთან, ბავშვის ოჯახის სტაბილურობა და ბავშვის განვითარების საერთო დონე. ამასთანავე, ამ პრინციპის გამოყენება საჭიროებს არამხოლოდ მართლმსაჯულების სფეროს სპეციალისტების, არამედ სხვა მონაწილეების ჩართვასაც. სოციალური და კეთილდღეობის პროფესიონალები, ფსიქოლოგები და ბავშვის ადვოკატები არიან ისინი, ვინც აქტიურად უნდა ჩაერთოსამ პროცესში. მათი მონაწილეობა უნდა დაიწყოს სწორედ იმ მომენტიდან, როდესაც მოხდება ბავშვის პირველი შეხება მართლმსაჯულების სისტემასთან. პრაქტიკაში ბავშვის საუკეთესო ინტერესებმა შეიძლება გადაწონოს მშობლის ინტერესებიც და შეიძლება მოითხოვოს ოჯახური ავტონომიის დაშლაც.[11]

ინგლისის ბავშვთა უფლებების აქტი მოითხოვს, ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი იყოს უპირველესი განხილვის საგანი ყველა საქმეში, რომელშიც ბავშვები მონაწილეობენ.

> აქტი შეიცავს საკითხების ჩამონათვალს, ე.წ.„ბავშვის კეთილდღეობის განმსაზღვრელი ფაქტორების ნუსხას," რომელიც სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს ასეთ შემთხვევებში
>
> (ა) ბავშვის სურვილები და გრძნობები (განხილული მის ასაკობრივ ჭრილში და აღქმის უნარის გათვალისწინებით);
>
> (ბ) ბავშვის ფიზიკური, ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები;

8 Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime - Model Law - commentary

9 The 1959 Declaration of the Rights of the Child (1959), principle 2, G.A. res. 1386 (XIV), 14 U.N. GAOR Supp. (No. 16) at 19, U.N. D oc. A/4354.

10 ბავშვის უფლებათა კონვენცია მუხლი 3(1).

11 Frank Bates, `Evidence, Child Sexual Abuse and the High Court of Australia', *International and Comparative Law Quarterly*, Vol 39, 413.

(გ) ბავშვის პირობებში ნებისმიერი ცვლილების შესაძლო გავლენა მის პიროვნებაზე;

(დ) ბავშვის ასაკი, სქესი, წარსული და ნებისმიერი მისი მახასიათებელი, რომლებსაც სასამართლო მიიჩნევს მნიშვნელოვნად;

(ე) ნებისმიერი ზიანი, რომელიც ბავშვს მიადგა ან შეიძლება მიადგეს;

(ვ) რამდენად შესწევთ ბავშვის მშობლებს ან სხვა პირს, რომელსაც სასამართლო მიიჩნევს შესაბამისად, უნარი, დააკმაყოფილონ ბავშვის საჭიროებები;

(ზ) სასამართლოს უფლებამოსილების სფერო მოცემულ პროცესში.[12]

საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპი ვრცელდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაშიც. ბავშვის უფლებათა კომიტეტითავის №10 ზოგად კომენტარში (აღნიშნულია ზემოთ) ამ პრინციპს მიმოიხილავს შემდეგ კონტექსტში:

„არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების აღსრულების პროცესში მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება უნდა ითვალისწინებდეს ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს. ზრდასრული ადამიანებისგან ბავშვებს ფიზიკური და ფსიქოლოგიური განვითარება, აგრეთვე ემოციური და საგანმანათლებლო საჭიროებები განასხვავებს. სწორედ ეს განსხვავებებია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისათვის შედარებით მსუბუქი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. ეს განსხვავებები წარმოშობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის განცალკევებისა და ბავშვების მიმართ განსხვავებული მოპყრობის საჭიროებას. ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესების დაცვა კანონდამრღვევი ბავშვების შემთხვევაში გულისმობს სისხლის სამართლის ისეთი ტრადიციული ამოცანების ჩანაცვლებას, როგორიცაა რეპრესია/დასჯა, რეაბილიტაციითა და აღდგენითი მართლმსაჯულებით, რაც უნდა განხორციელდეს საზოგადოების უსაფრთხოების მაქსიმალურად ეფექტიანად დაცვის მიზნის გათვალისწინებით“.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 316-ე მუხლი შეიცავს ***ბავშვის ღირსების დაცვის მოთხოვნას.***აღნიშნული მუხლი სავალდებულოდ მიიჩნევს არასრულწლოვანთა საქმეებზე საერთაშორისო გარანტიების სრულ დაცვას, რაშიც ჭეშმარიტი ინტერესის გათვალისწინების პრინციპიც მოიაზრება:

არასრულწლოვანს პროცესის ყველა სტადიაზე ეპყრობიან განსაკუთრებული ყურადღებით. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მისი ასაკი და რესოციალიზაციის განსაკუთრებული საზოგადოებრივი ინტერესი, ასევე მისი ხელახალი აღზრდისათვის ხელის შეწყობის აუცილებლობა. არასრულწლოვნის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის განმავლობაში ***სავალდებულოა არასრულწლოვნის უფლებათა საერთაშორისო გარანტიების სრული დაცვა.***[13]

### *II. დაზარალებული და მოწმე ბავშვები*

მართლმსაჯულების სისტემა არის ფორმალური სისტემა, რომელიც თავისი ბუნებით შეჯიბრებითია. ეს არის სისტემა, რომელიც არ შექმნილა ბავშვის საჭიროებების გათვალისწინებით – განსაკუთრებით კი პატარა ბავშვებისა. მიუხედავად ამისა, პატარა ბავშვები ხშირად არიან დანაშაულის მოწმე ან დაზარალებული. ეს ბავშვები კიდევ უფრო მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან, როდესაც მართლმსაჯულების სისტემაში არიან ჩართულნი. ბავშვებს არ ესმით ან ცუდად ერკვევიან მართლმსაჯულების სისტემაში, მის პროცედურებსა და მიზნებში.პატარა ბავშვების უმეტესობა მართლმსაჯულების სისტემას მიიჩნევს ადგილად, სადაც „ცუდი" ადამიანები ხვდებიან, და ასევე მიიჩნევენ, რომ ისინი შეიძლება ჩასვან ციხეში, თუ მათ ნათქვამს არ დაიჯერებენ.[14]გარდატეხის ასაკამდე ბავშვები ვერ იაზრებენ იურიდიული პროფესიის წარმომადგენელთა

12 England's Children's Act (1989); section 1(1), available at <http://www.opsi.gov.uk/acts/acts1989/ukpga_19890041_en_2#pt1-l1g1>.

13 საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 2009.

14 Children in the Courtroom, Challenges for lawyers and Judges, 2nd Ed., p. 123, citing Rhona H. Flin et al., Children's Knowledge of Court proceedings, 80 Brit. J. Psychol. 285 (1989).

როლს და ამის შემდეგაც მათი აღქმა შეზღუდულია.[15]

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები „მართლმსაჯულების განხორციელება იმ საქმეებზე, რომლებიც ეხება დაზარალებულ და მოწმე ბავშვებს", ქმნის გაეროს სტანდარტებს და ნორმებს დანაშაულის პრევენციის და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სფეროში და ასევე წარმოადგენს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ ნორმატიულ პრინციპებს.[16]

კანონის მოდელი შეიქმნა სახელმძღვანელო პრინციპების მიხედვით და შემუშავებული იყო გაეროს ნარკოტიკებთან და დანაშაულთან ბრძოლის ოფისის(UNODC) მიერ „იუნისეფთან" და ბავშვის უფლებათა საერთაშორისო ბიუროსთან თანამშრომლობით – და განხილული იყო ექსპერტების მიერ, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებს და შეხება ჰქონდათ განსხვავებულ სამართლებრივ ტრადიციებთან.[17]

*(ი)ძირითადი საკითხები*

კანონის მოდელის მუხლი 1(ა) განსაზღვრავს ***დაზარალებულ ან მოწმე ბავშვს:***

> ***„18 წლამდე პირი, რომელიც არის დაზარალებული ან დანაშაულის მოწმე, მიუხედავად მისი როლისა დანაშაულში ან დამნაშავის ან დამნაშავეთა ჯგუფის ბრალდების პროცესში."***

კანონის მოდელი თანაბრად იცავს ყველა მოწმე და დაზარალებულ ბავშვს, მათ შორის მათაც, რომლებიც კონფლიქტში არიან კანონთან. კანონის მოდელი აღიარებს, რომ ბევრი ბრალდებული და მოძალადე ბავშვი დაშინების ან სხვა ზემოქმედების შედეგად იძულებული იყო, ემოქმედა კანონის საწინააღმდეგოდ. ამ შემთხვევაში ისინი განხილულნი უნდა იყვნენ როგორც მსხვერპლები და მათ უნდა მოეპყრან შესაბამისად.[18] ამ ინსტრუმენტით შემოთავაზებული დაცვის მექანიზმები ასევე ვრცელდება ბავშვებზე, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არ აქვთ სურვილი, მისცენ ჩვენება.[19]ეს მიდგომა შესაბამისობაშია კონვენციასთან.

კანონისმოდელის პირველი მუხლი ასევე შეიცავს საუკეთესო ინტერესის პრინციპს:

„ყველა ბავშვს, განსაკუთრებით კი დაზარალებულ და მოწმე ბავშვებს, აქვთ უფლება, რომ მათი საუკეთესო ინტერესი იყოს უპირატესი მნიშვნელობის საგანი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის უფლებების დაცვის პარალელურად."

„უნდა აღინიშნოს, რომ სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემაში „ბავშვის საუკეთესო ინტერესის" პრინციპი უნდა იყოს უპირველესი მნიშვნელობის საგანი, მაგრამ ეჭვქვეშ არ უნდა დააყენოს ბრალდებულის ან განსასჯელის უფლებები; ბალანსი უნდა იყოს დაცული დანაშაულის მოწმე ან დაზარალებული ბავშვის დაცვასა და ბრალდებულის უფლებების დაცვას შორის."[20]

მე-2 მუხლი ადგენს ზოგად მიდგომას დანაშაულის მოწმე და დაზარალებული ბავშვის მიმართ:

> ***„დანაშაულის მოწმე ან დაზარალებულ ბავშვზე მზრუნველობა უნდა განხორციელდეს ბავშვის ღირსების დაცვით და მისდამი პატივისცემით, სამართლებრივი პროცედურების დაცვით, ბავშვის პირადი მდგომარეობის და სპეციალური მოთხოვნების და საჭიროებების, ასაკის, სქესის, უნარებისა და სიმწიფის გათვალისწინებით"[.][21]***

ექსპერტები მიიჩნევენ, რომ საკუთარი თავის დადანაშაულება არის დამახასიათებელი რეაქცია ნებისმიერი მსხვერპლისთვის. მოწმე და დაზარალებული ბავშვები უნდა დაარწმუნონ მათ მიერ ავტორიტეტებად მიჩნეულმა ადამიანებმა, რომ დანაშაული, რომელიც მათ ან მათ მეგობრებს/ოჯახის წევრებს დაატყდათ თავს, არის მიზეზი იმისა, რომ ისინი აღმოჩნდნენ ჩართულნი მართლმსაჯულების სისტემაში. ეს ბავშვები

15 Children in the Courtroom, Challenges for lawyers and Judges, 2nd Ed., p. 123, citing Susan R. Hall & Bruce D. Sales, Courtroom Modifications for Child Witnesses: Law and science in forensic Evaluations (2008).

16 UNODC, Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, Model Law and Related Commentary, preface. Available at <http://www.unodc.org/documents/justice-and-prison reform/UNODC_UNICEF_Model_Law_on_Children.pdf>.

17 UNODC, Model Law, *ibid.*, preface.

18 Model Law, commentary art 1; UNODC, Model Law, *supra* note 123, Introduction.

19 UNODC, Model Law, *supra* note 123, Introduction.

20 Commentary, para 5 – Model Law.

21 Model law.

არ უნდა გრძნობდნენ პასუხისმგებლობას მომხდარის გამო. ისინი უნდა დაარწმუნონ იმაში, რომ კანონით ისჯება მხოლოდ ის ადამიანი/ები, ვინც ეს დანაშაული ჩაიდინა.[22]

მოწმე და დაზარალებული ბავშვის კონტაქტის შეზღუდვა მართლმსაჯულების სისტემასთან წარმოადგენს მათთვის სტრესული გარემოს და უხერხულობის შემცირების საშუალებას. ზოგიერთ შემთხვევაში ბავშვს შეიძლება მოუწიოს ერთი და იმავე განცხადების რამდენჯერმე გამეორება სამართალდამცველი ორგანოებისათვის, სოციალური მუშაკებისათვის, ფსიქოლოგებისთვის, პროკურორებისთვის, ადვოკატისა და მოსამართლისათვის. განცხადების გამეორება არა მხოლოდ ზრდის სტრესს, არამედ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვში იმის ეჭვი, რომ პროცესი არაფრის მომტანია და რომ მის მიერ ადრე ნათქვამი საკმარისად მოსაწონი არ არის. ბავშვმა ეს შეიძლება აღიქვას ისე, რომ მისი არ ესმით ან არ სჯერათ და ამან შეიძლება იქონიოს ნეგატიური ფსიქოლოგიური გავლენა მასზე.

ზოგადი საკითხების გარდა, კანონის მოდელში ასახულია სპეციალური უფლებები დაზარალებული და მოწმე ბავშვებისათვის. ამ უფლებებს შორისაა:

***პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა***

მე-2 მუხლი ბავშვისთვის ზოგად საკითხებთან ერთად ასევე უზრუნველყოფს:

> ***„დაზარალებული ან მოწმე ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა უნდა იყოს დაცული.“***
>
> ***„ინფორმაცია, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ბავშვის იდენტიფიცირება როგორც მოწმის ან დაზარალებულისა, არ უნდა იყოს გამოქვეყნებული სასამართლოს თანხმობის გარეშე.”***[23]

მე-7 მუხლი უზრუნველყოფს ყველანაირი ინფორმაციის კონფიდენციალურობას, მათ შორის იმ დოკუმენტებისა, რომლებიც მოპოვებულია დაზარალებული ან მოწმე ბავშვების შესახებ იმ პირთა მიერ, ვინც მუშაობს ამ ბავშვებთან. კანონის მოდელი ასევე ადგენს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას ასეთი ინფორმაციის გამჟღავნებისთვის. კანონის მოდელის ავტორები ხაზს უსვამენ კონფიდენციალურობის მნიშვნელობას ბავშვის უსაფრთხოების და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაცავად და მხარს უჭერენ დამოუკიდებელი საკანონმდებლო აქტის შექმნას, სადაც ჩამოთვლილი იქნება ყველა სახის ინფორმაცია და ის პირები, ვისაც ეკისრება კონფიდენციალურობის დაცვა.[24]დაცვის ეს მექანიზმები უნდა გავრცელდეს ასევე მედიაზე (დამოუკიდებელი აქტის ან მედიის ან ახალგაზრდობის შესახებ არსებული კანონების ფარგლებში).[25]

***ინფორმაციის ხელმისაწვდომობა***

კანონის მოდელის მე-9 მუხლი აყალიბებს მოწმე/დაზარალებული ბავშვების უფლებებს სისხლის სამართლის მართლმსაჯულების პროცესში, მათ შორის უფლებას, ფლობდნენ ინფორმაციას შემდეგზე:

> ***მათი როლი როგორც მოწმის ან დაზარალებულისა, მათ შორის ჩვენების მნიშვნელობა, დრო და ფორმა; ასევე ის ფორმები, რა ფორმითაც ჩატარდება დაკითხვა გამოძიების და სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას;***
>
> ***მხარდამჭერი მექანიზმები, რომლებიც ხელმისაწვდომია დაზარალებული და მოწმე ბავშვისთვის;***
>
> ***ბავშვისთვის დამცავი საშუალებების ხელმისაწვდომობა;***
>
> ***დაზარალებული და მოწმე ბავშვების შესაბამისი უფლებები ეროვნული კანონმდებლობის, ბავშვის უფლებათა კონვენციის და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების მიხედვით;***
>
> ***ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიური, სოციალური და სხვა შესაბამისი მომსახურებების ხელმისაწვდომობა და მომსახურების ამ ფორმების ხელმისაწვდომობის საშუალებები, ასევე სამართლებრივი და სხვა რჩევების ხელმისაწვდომობა ან წარმომადგენლობა და გადაუდებელი ფინანსური მხარდაჭერა - სადაც საჭიროა;***

---

22 UNODC handbook, pp. 17-18.
23 Model law.
24 Model Law, commentary, Art. 7
25 Model Law, commentary, Art. 7

*საქმის სტატუსი და შედეგი და ბრალდებულის ან მსჯავრდებულის პატიმრობის სტატუსი.*

### *მონაწილეობა*

ბავშვის უფლებათა კონვენციის მე-12 მუხლი ბავშვებს აძლევს უფლებას, გამოხატონ საკუთარი აზრები ყველა საკითხზე, რაც მათზე ახდენს გავლენას (მათ შორის მართლმსაჯულების პროცედურებზე), და აძლევს გარანტიას, რომ ეს მოსაზრებები იქნება მოსმენილი და გაზიარებული „ბავშვის ასაკის და სიმწიფის გათვალისწინებით".

კანონის მოდელი, კონვენციის მსგავსად, უზრუნველყოფს, რომ ბავშვს, მიუხედავად იმისა, მისცემს თუ არა იგი ჩვენებას, უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა:

> ***გამოხატოს საკუთარი მოსაზრებები და შეხედულებები, რომლებიც დაკავშირებულია საქმესთან, მის მონაწილეობასთან მართლმსაჯულების პროცესში, განსაკუთრებით კი მის უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ბრალდებულთან მიმართებით; ასევე, დააფიქსიროს თავისი არჩევანი, მისცეს თუ არა ჩვენება და რა ფორმით, აგრეთვე სხვა საკითხები, რომლებიც მასზე ახდენს გავლენას. თუ ბავშვის მოსაზრებები არ იქნა გათვალისწინებული, მაშინ ბავშვმა უნდა მიიღოს კარგი განმარტება იმ მიზეზებისა, თუ რატომ არ მოხდა მათი გათვალსიწინება.***[26]

დაზარალებულ ან მოწმე ბავშვებს ხშირად აქვთ საკუთარი შეხედულებები დანაშაულის ან საკუთარი ჩვენების კონკრეტული ასპექტების მნიშვნელობაზე. ბავშვს მისთვის გასაგებ ენაზე უნდა განემარტოს, თუ რატომ ხდება კონკრეტული გადაწყვეტილებების მიღება ან რატომ არ ხდება კონკრეტული ფაქტების განხილვა ან არგანხილვა ან კითხვების დასმა სასამართლოში კონკრეტულ ფაქტებზე. ასევე აუცილებელია პატივისცემის გამოხატვა იმ საკითხებთან და ფაქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ბავშვს მნიშვნელოვნად მიაჩნია, მიუხედავად იმისა, რომ ეს ფაქტები, შესაძლოა, სრულიად არ გამოგვადგეს მტკიცებულებად ან არ იყოს ამ კუთხით მნიშვნელოვანი.[27]

> გაეროს სახელმძღვანელო პრინციპები მართლმსაჯულების პროცესში ჩართული დანაშაულის მოწმე და დაზარალებული ბავშვების თაობაზე გამოქვეყნებულია „ბავშვისათვის გასაგებ" ენაზე. ეს ვერსია ბავშვებისათვის არის სპეციალურად ილუსტრირებული და სახელმძღვანელო პრინციპებს და ინფორმაციას გადმოსცემს მარტივი ენით – ძირითადი ტერმინების და ცნებების განმარტებებით.
>
> დაზარალებული არის პირი, რომელმაც განიცადა გარკვეული ზიანი ან ტკივილი სხვა პირის მიერ კანონის დარღვევის შედეგად. მოწმე არის პირი, რომელიც მიდის სასამართლოში და ამბობს იმას, თუ რა დაინახა ან რა მოხდა. მონაწილეობა კი ნიშნავს რაღაცაში მონაწილეობას, ჩართვას ან აზრის გამოთქმას.[28]

### *დაცვა*

კანონის მოდელის მე-11 მუხლი ეხება დამცავ მექანიზმებს, რომლებიც უნდა იქნეს გამოყენებული მაშინ, როდესაც მოწმე ან დაზარალებული ბავშვის უსაფრთხოება რისკის ქვეშ დგება. მათ შორის შეიძლება იყოს: ბავშვსა და ბრალდებულს შორის პირდაპირი კონტაქტის აკრძალვა, მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე შემაკავებელი ორდერის გამოცემა, ბრალდებულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდება, ბავშვის ადგილსამყოფელის გასაიდუმლოება ან „სხვა ნებადართული დამცავი საშუალებების გამოყენება."[29]დამცავი დებულებების უმეტესობა გამოიყენება სასამართლო პროცედურების დროს (და აღწერილია ქვემოთ).

### *მხარდაჭერა*

კანონის მოდელი გარკვეულ დებულებებს უთმობს „დამხმარე პირის" როლს მართლმსაჯულების მთელ პროცესში. დამხმარე პირის გამოყოფა არის საშუალება, რომელსაც პროკურორი ან, შესაბამის შემთხვევებში, ბავშვის ადვოკატი ითხოვს.[30]დამხმარე პირი შეიძლება იყოს პირი:

26 Model Law, Art. 20(4).
27 UNODC handbook, p.43
28 Located at: http://www.unodc.org/pdf/criminal_justice/Guidelines_E.pdf .
29 Model law
30 Model Law, Art. 15, para 3.

*რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური სწავლება და ფლობს ბავშვთან ურთიერთობის პროფესიულ უნარებს. მას უნდა შესწევდეს უნარი, დაეხმაროს სხვადასხვა ასაკის და წარსულის მქონე ბავშვებს, რათა თავიდან იქნეს აცილებული განმეორებითი და მეორადი ვიქტიმიზაცია და ძალადობა.*[31]

დამხმარე პირის გამოყოფა პროცესში

დამხმარე პირის გამოყოფა სხვადასხვა ფორმით ხდება. სხვადასხვა სამართლებრივ სისტემაში მათ განმარტავენ როგორც „ბავშვის მიერ არჩეული პირს"; „სანდო პირს"; „ზრდასრულს"; ეს შეიძლება იყოს ბავშვის მშობელი ან წარმომადგენელი, ანდა ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც „დამტკიცებულია სასამართლოს მიერ". კანონის მოდელი ადგენს, რომ დამხმარე პირი უნდა იყოს პირი, რომელსაც გავლილი აქვს ტრენინგი და ფლობს პროფესიულ უნარებს. ზოგადად კი იმის შეფასებისას, თუ ვინ შეიძლება იყოს დამხმარე პირი, მნიშვნელოვანია, პატივი ვცეთ ბავშვის არჩევანს. ამ პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ არ მოხდეს ბავშვის არჩევანით მანიპულირება. კანონიასევე ადგენს, რომ სანამ მოხდება დამხმარე პირის განსაზღვრა, ბავშვს უნდა გაეწიოს კონსულტაცია დამხმარე პირის სქესის თაობაზე და გამორკვეული იქნეს, თუ რომელი სქესის წარმომადგენელს ანიჭებს ის უპირატესობას.[32]

დამხმარე პირი უნდა დაეხმაროს დაზარალებულ ან მოწმე ბავშვს საკუთარი უფლებების გააზრებაში. დამხმარე პირი ასევე უნდა დაეხმაროს ბავშვს, გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები და მხარი დაუჭიროს ბავშვის მონაწილეობას პროცესში.

დამხმარე პირი: ბავშვს უზრუნველყოფს ემოციური მხარდაჭერით, აძლევს რჩევას, თუ ბავშვი საჭიროებს კონსულტაციას ან თერაპიას, ურთიერთობს ბავშვის მშობლებთან ან წარმომადგენელთან, ოჯახთან, მეგობრებთან და, საჭიროების შემთხვევაში, ადვოკატთან, შეიმუშავებს მტკიცებულების წარდგენის სხვადასხვა საშუალებას, როგორიცაა ვიდეოჩანაწერი ან სხვა საშუალებები, რათა დაცული იყოს ბავშვის საუკეთესო ინტერესები. დამხმარე პირის ფუნქციებში ასევე შედის ბავშვისთვის დამცავი მექანიზმების თაობაზე რჩევის მიცემა ან დამცავი მექანიზმის გამოყენების თაობაზე მოთხოვნის წარდგენა და, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური დამხმარე მექანიზმის მოთხოვნა.[33]

დამხმარე პირის როლის მნიშვნელოვანი ასპექტი მდგომარეობს მისი მხარდაჭერის განგრძობადობაში. იმისათვის, რომ დამხმარე პირმა განახორციელოს ემოციური და ფსიქოლოგიური დახმარება, უნდა ჩამოყალიბდეს ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა მასსა და ბავშვს შორის.ეს კი შეიძლება მიღწეული იქნეს დამხმარე პირის დანიშვნით მართლმსაჯულების პროცედურების საწყის ეტაპზე (მაგალითად, დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შემოსვლის მომენტიდან) იმის უზრუნველყოფით, რომ ერთმა და იმავე პირმა წარმოადგინოს ბავშვი მთელი პროცესის მანძილზე.[34]

ბევრი სამართლებრივი სისტემა ახდენს დაზარალებულის და მოწმის დაცვის მექანიზმების გაერთიანებას დამოუკიდებელ სამართლებრივ აქტში, რომელიც, როგორც წესი, ცნობილია როგორც „დაზარალებულის უფლებათა" აქტი.

### *(ii) მოწმე და დაზარალებული ბავშვის დაკითხვა/გამოკითხვა*[35]

დაზარალებულის, მოწმის ან ბრალდებულის დაკითხვა წარმოადგენს საგამოძიებო ან სასამართლო პროცესის მნიშვნელოვან ნაწილს. სწორედ დაკითხვის ხარისხი და სამართლიანობა განსაზღვრავს, მიღწეული იქნება თუ არა მართლმსაჯულება.

კანონის მოდელიმიუთითებს სპეციალურად მომზადებული გამომძიებლების როლზე დანაშაულის მოწმე ანდაზარალებული ბავშვის დაკითხვისას – ამის მიზანია ბავშვის მეორადი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება.[36]

---

31 Model Law, Art. 15

32 Model law, commentary, Art. 16, para 3.

33 See Model Law, Articles 15, 16, and 17.

34 Model Law, commentary, art 15, para 4.

35 ეს ნაწილი გაცილებით რელევანტურია გამომძიებლებისა და პროკურორებისათვის, თუმცა ჩავთვალეთ, რომ მოწმე და დაზარალებულ ბავშვთა დაკითხვასთან დაკავშირებული ძირითადი სტანდარტების გაზიარება ადვოკატებისთვისაც საინტერესოიქნებოდა.

36 Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime - Model law, Art. 13

***იმისათვის, რომ ბავშვისთვის უსაფუძვლო სტრესი მინიმუმამდე იყოს დაყვანილი, საჭიროა, რომ მოწმე და დაზარალებულ ბავშვთან პირველივე დაკითხვაზე მაქსიმალურად ამოიწუროს ყველა საკითხი. ეს დაკითხვა/გამოკითხვა ტარდება საგამოძიებო ეტაპზე. მნიშვნელოვანია, რომ ამ პირველი და ერთადერთი დაკითხვა/გამოკითხვისას მტკიცებულებების შესახებ ზუსტი ჩანაწერები გაკეთდეს. ზოგიერთი ქვეყანა სექსუალური დანაშაულის დროს ახდენს ბავშვის პირველი დაკითხვის აუდიო და ვიდეო ჩაწერას, თუ ამაზე არის ბავშვის ან მისი წარმომადგენლის თანხმობა [.]***[37]

„განმეორებითი ვიქტიმიზაცია" გულისხმობს ადამიანის ჩაყენებას მსხვერპლის მდგომარეობაში, რაც ხდება არა დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, არამედ დაზარალებულის მიმართ უწყებების და სისტემას წარმომადგენლებისმხრიდან საპასუხო ქმედებების შედეგად[.][38]

***წინასწარი მიმოხილვა***

დაკითხვის/გამოკითხვის მიზანია, მოახდინოს ჰიპოთეზის ტესტირება და არა დანაშაულის დადგენა. დაკითხვის დროს ინტერვიუერი ახდენს ალტერნატიული ჰიპოთეზების ტესტირებას: პირველი-დანაშაული მოხდა; მეორე-დანაშაული არ მომხდარა. ინტერვიუერს უნდა ახსოვდეს, რომ ის ახორციელებს არა მხოლოდ დანაშაულის მოწმე ან დაზარალებული ბავშვის დაკითხვას, არამედ ბავშვისა, რომელსაც ცუდად მოეპყრნენ (ან რომელიც დანაშაულებრივი ქმედების მოწმე გახდა).

ხშირად პროფესიონალებმა, რომლებიც ატარებენ შესაძლო დაზარალებული/მოწმე ბავშვის დაკითხვას, არ იციან, თუ როგორ იმოქმედეს ბავშვთან წინა დაკითხვის დროს (ასეთის არსებობისას). ამიტომ დაკითხვის მწარმოებელმა პირმა უნდა აწარმოოს წინასწარი მოკვლევა, დაუკავშირდეს ყველას, ვინც ადრე ჩაატარა დაკითხვა, და დაადგინოს, თუ რა მოხდა და რა ითქვა დაკითხვის მიმდინარეობისას.

ბავშვზე მზრუნველები (მაგ: მშობლები, დამხმარე პირები) ატყობინებენ ბავშვებს, რომ მოხდება მათი დაკითხვა და მათთან გასაუბრება და ასევე განუმარტავენ ამ პროცესში თანამშრომლობის მნიშვნელობას. სხვები უბრალოდ ეუბნებიან ბავშვს, რომ მათ ექნებათ „შეხვედრა". ასე რომ დაკითხვის მწარმოებელმა პირმა უნდა დაადგინოს წინასწარ, თუ რა ფორმით შეატყობინეს ბავშვს დაკითხვის თაობაზე - არსებობდა თუ არა დაძაბულობა.ეს დაკითხვის მწარმოებელ პირს შეუქმნის უკეთეს წარმოდგენას იმის თაობაზე, თუ რას მოელის ბავშვი და როგორ შეიძლება უკეთესი პირობების შექმნა ბავშვის დაკითხვისას

თუ ბავშვი თამაშობს სათამაშოებით მოსაცდელ ოთახში და არ უნდა წამოსვლა, არ მისცეთ ბავშვს საშუალება, თან წამოიღოს სათამაშოები დაკითხვის ოთახში. ამის დაშვება შეიძლება მოხდეს უკიდურეს შემთხვევაში. სათამაშოები, რომლებიც არ წარმოადგენს დამხმარე საშუალებას, დაკითხვის დროს ბავშვის მიერ ყურადღების გადატანის საშუალებად შეიძლება იქნეს გამოყენებული. ეს ყურადღების გამფანტველი სათამაშოები შეიძლება იქცეს დაკითხვის მწარმოებელ პირსა და ბავშვს შორის დაპირისპირების მიზეზად. აუხსენით ბავშვს, რომ სათამაშოები მას დახვდება მოსაცდელ ოთახში, როცა დაბრუნდება. თუ ეს განმარტება არ არის საკმარისი, შეუთანხმდით ბავშვს, რომ დამალავთ სათამაშოებს უსაფრთხო ადგილას, სანამ არ დაასრულებთ დაკითხვას. დაკითხვის მწარმოებელი პირი მზად უნდა იყოს, რომ ბავშვი შესაძლოა შეეხოს მას, დაარღვიოს მისი პირადი საზღვრები ან ჩაუჯდეს კალთაში. როდესაც ეს მოხდება, დაკითხვის მწარმოებელი პირი უნდა მოერიდოს მკაცრად მოქცევას და ბავშვისათვის შენიშვნის მიცემას. მან რაც შეიძლება კორექტულად უნდა მიუთითოს ბავშვს: მე მიჭირს შენთან საუბარი, როდესაც შენ ასე ახლოს ხარ ჩემთან; გთხოვ, აქ დაჯექი, რომ კარგად დაგინახო". მეორე პოტენციური კონფლიქტი კი შეიძლება მოხდეს თამაშის დაწყებისას. ბავშვის თამაშში/წარმოსახვით აქტივობაში ჩართვამ შეიძლება გამოიწვიოს დაკითხვის სანდოობის შემცირება. გასართობი აქტივობები ბავშვისთვის თავის დაღწევის საშუალებადშეიძლება იქცეს.[39]

არსებობს თანხმობა პროფესიონალებს შორის ბავშვთა დაკითხვის წარმოების თაობაზე. პროფესიონალები ერთხმად თანხმდებიან, რომ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვმა საკუთარი სიტყვებით გადმოსცეს ის, რაც მოხდა. ყველაზე სანდო ინფორმაცია ბავშვისგან მაშინმოიპოვება, როდესაც დაკითხვის მწარმოებელი პირი იყენებს შეკითხვებს ღია დაბოლოებით, როგორიცაა, მაგალითად:„მომიყევი, რა მოხდა" და „მომიყევი დამატებით ამ შემთხვევის თაობაზე". ლაბორატორიულმა და საველე გამოკვლევებმა დაამტკიცა, რომ ღია დაბოლოების მქონე შეკითხვებზე პასუხები სამჯერ ან ხუთჯერ უფრო მეტად ინფორმაციულია, ვიდრე ფოკუსირებული შეკითხვები, და უფრო სანდოც.[40]

---

37 UNODC Handbook for Professionals and Policymakers on Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime, pp. 80-81

38 Justice in Matters involving Child Victims and Witnesses of Crime - Model Law, Art. 1(h).

39 Lawrence W. Daly, MSc

40 Structured forensic interview protocols improve the quality and informativeness of investigative interviews with children: A review of research using the NICHD Investigative Interview Protocol, Michael E. Lamb, Yael Orbach, Irit Hershkowitz, Phillip W. Esplin, and Dvora Horowitz

***აუდიო/ვიდეო ჩაწერა:*** პროფესიონალები თანხმდებიან, რომ ბავშვის დაკითხვის პროცესის მთლიანი აუდიო ან ვიდეო ჩაწერა მნიშვნელოვანია შემდეგი მიზეზების გამო: სრულყოფილი და ზუსტი ჩანაწერის გაკეთება, დაკითხვის არასწორად ჩატარების ბრალდების თავიდან აცილება, არასწორი განცხადების ან ფაქტების არასწორად გადმოცემის ბრალდების თავიდან აცილება და ბავშვის დაკითხვის ტექნიკის სამომავლო კვლევის განხორციელება.[41]რა თქმა უნდა,ასეთი ჩანაწერები უსაფრთხოების მაქსიმალური ზომებითუნდა იყოსდაცული.

## ბავშვის დაკითხვის ფართოდ შეთანხმებული ნაბიჯები/ეტაპები:

## ურთიერთობის დამყარება

დაკითხვის მწარმოებელმა პირმა პირველ რიგში უნდა დაამყაროს ურთიერთობა ბავშვთან იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამარტივდეს მათ შორის შემდგომი ურთიერთობა. ეს ასევე აძლევს საშუალებას დაკითხვის მწარმოებელ პირს, შეისწავლოს ბავშვის უნარები, მისი მზაობა და სურვილი, დაამყაროს ურთიერთობა. ძირითადად უნდა ლაპარაკობდეს ბავშვი, იქნება ეს პირადი ინფორმაცია თუ სხვა საკითხები, რომლებიც ბავშვისთვის დაშვებულია. დაკითხვის მწარმოებელმა პირმა უნდა გამოხატოს გულწრფელი ინტერესი ბავშვის ყოველდღიური აქტივობების მიმართ და შემდეგი საშუალებებით უნდა დაუმტკიცოს ბავშვს, რომ ის არის კარგი მსმენელი: ბავშვის სიტყვებზე რეაგირება, შესაბამისი შეკითხვების დასმა, განმარტებების მოთხოვნა და ყურადღებით ყოფნა. ურთიერთობის დამყარება უნდა მოხდეს თხრობის მიდგომის გამოყენებით

თხრობისკენ მოწოდება წარმოადგენს ღია დაბოლოების შეკითხვის დასმას და მოთხოვნას, მოყვეს ან გააგრძელოს თხრობა: „მომიყევი კიდევ ამ შემთხვევის შესახებ". ეს ინიციატივა ემსახურება იმას, რომ ბავშვმა თავისუფლად ილაპარაკოს გარკვეული დროის განმავლობაში ნეიტრალურ საკითხებზე ისე, რომ დაკითხვის მწარმოებელი პირი პროცესში არ ჩაერიოს, შეკითხვები არ დასვას და თემა არ შეცვალოს.

დაკითხვის მწარმოებელმა პირმა ბავშვი უნდა მიიჩნიოს ექსპერტად ან „ინფორმაციის მფლობელად". საუბრის ეს ფორმა უცნობია ბავშვისთვის. როგორც წესი, ბავშვების უმეტესობას არ შესწევს უნარი,თავისუფალი თხრობის რეჟიმში გადმოსცეს ინფორმაცია ახლად მომხდარი ფაქტების შესახებ. დაკითხვის მწარმოებელი პირის მიზანია, დაამკვიდროს საუბრის ახალი ფორმა და მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვს საუბრის სხვადასხვა ფორმის შესახებ, ასევე განუმარტოსბავშვს, როგორ საუბრობენ ისინი ამ ოთახში. ბავშვისთვის უფლების მიცემით, რომ მან ჩამოაყალიბოს და აღწეროს მოვლენების მთავარი ელემენტები, დაკითხვის მწარმოებელი პირი შესაძლებლობას აძლევს ბავშვს, უკეთ გაიაზროს, თუ რას გულისხმობს ის, როდესაც სთხოვს მას, თავიდან ბოლომდე მოუყვეს ყველაფერი: „დაიწყე თავიდან და მომიყევი ყველაფერი;"[42]

> „პასუხი მშობლის და გამომძიებლის მიერ დასმულ ერთსა დაიმავე შეკითხვაზე - „რა გააკეთე დღეს?" - როგორც წესი, განსხვავდება. ბავშვები მშობლებს ამ შეკითხვაზე, ჩვეულებრივ, პასუხობენ „არაფერი", ვინაიდან ბავშვები მიჩვეულები არიან მინიმალური ინფორმაციის გაცემას, მაგრამ ისინი უფრო დეტალურ პასუხს იძლევიან, თუ პირი (ოჯახის წევრი, მშობელი ან მასწავლებელი), რომელმაც შეკითხვა დასვა, უფრო მეტ ინფორმაციას ითხოვს, ვიდრე მან პირველად გასცა . . . ასეთი სახის „მიმანიშნებელმა" ჩარევამ შეიძლება გამოიწვიოს გამოძიების და ბრალდების არასწორი მიმართულებით განვითარება."[43]

ბავშვების შესაძლებლობები, გააფართოონ თავიანთი თხრობის ფარგლები ძალიან განსხვავდება. ეს გამოწვეულია მათი განვითარების დონით, ოჯახური მდგომარეობით და კულტურული თავისებურებით, ბავშვის წინა გამოცდილებით, ესაუბროს ზრდასრულს ან თანამდებობის პირს. ამ საკითხში დიდ როლს თამაშობს ბავშვის თავდაჯერებულობა და ტემპერამენტი, ასევე ბავშვის კავშირი ტრავმულ მოვლენებთან. დაკითხვის მწარმოებელმა პირმა უნდა ჩამოაყალიბოს ლინგვისტური წესები თითოეულ ბავშვთან სასაუბროდ.

თავისუფალი თხრობის მეთოდი აძლევს ბავშვს შესაძლებლობას, მოახდინოს ისეთი უნარების დემონსტრირება, როგორიცაა თანმიმდევრულობა, ცნებების ჩამოყალიბება (როგორიცაა, მაგალითად,„შიგნით" ან „ზემოდან"), რაც საშუალებას აძლევს ინტერვიუს მწარმოებელ პირს, უკეთ დაინახოს ბავშვის განვითარების დონე და უნარები (Poole & Lamb, 1998). დაბოლოს, დაკითხვის მწარმოებელ პირს აქვს საშუალება, ისე ჩამოაყალიბოს შეკითხვა, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მიიღოს ბავშვისგან თავისუფალი თხრობის რეჟიმში.

---

41 Children in the Courtroom, Challenges for Lawyers and Judges, 2nd ed., p.86, Sherrie Bourg Carter; IPT Journal Volume 9 1997, Interviewing methods and Hearsay Testimony in suspected Child Sexual Abuse Cases: Questions of Accuracy, Judith K. Adams.

42 Lawrence W. Daly, MSc

43 Children in the Courtroom, Challenges for Lawyers and Judges, 2nd Ed, p. 37, Sherrie Bourg Carter.

ზოგიერთ ბავშვს, განსაკუთრებით კი შედარებით დიდი ასაკისას, შეუძლია რეაგირება მოახდინოს ისეთ მითითებებზე, როგორიცაა „დაიწყე თავიდან, მომიყევი ყველაფერი, რაც მოხდა, და არ გამოტოვო არაფერი" და „რა მოხდა შემდეგ?" მაგრამ უფრო პატარა ბავშვებს გაუჭირდებათ ასეთი ფართო ცნების ინტერპრეტირება და ამიტომ უკეთესი იქნება, თუ დაუსვამთ შემდეგი სახის შეკითხვებს:„ვინ, რა, სად, როდის"; შეკითხვა შეიძლება ფორმულირებული იყოს ამგვარად:„რა გააკეთე ზოოპარკში?" და „რა ნახე ზოოპარკში?" და არა „მომიყევი ყველაფერი ზოოპარკის შესახებ."[44]

### *ძირითადი წესები*

ძირითადი წესების არსებობა ბავშვებს უადვილებს დაკითხვის პროცესს და ისინი უფრო კარგად აღიქვამენ მის მიზანს. ძირითადი წესების თაობაზე ყველაზე ფართოდ გავრცელებული ინსტრუქციები მოიცავს შემდეგს: (ა) მოყევი მხოლოდ ის, რაც მოხდა; (ბ) სჯობს, აღიარო, რომ არ იცი რა მოხდა, ვიდრე მოიგონო რამე; (გ) გახსოვდეს, რომ დაკითხვის მწარმოებელი პირი არ იყო შემთხვევის ადგილას; (დ) გაუსწორე დაკითხვის მწარმოებელ პირს, თუ ის არასწორად მოახდენს ფაქტების ინტერპრეტირებას; (ე) ნუ იფიქრებ, რომ რამე შეგეშალა, თუ დაკითხვის მწარმოებელი პირი ერთსა დაიმავე შეკითხვას ორჯერ დაგისვამს; და (ვ) ისაუბრე ყველა დეტალზე, იმ საკითხზეც კი, რომელიც შენ შეიძლება უმნიშვნელოდ მიგაჩნდეს.[45]

### *სიმართლის თქმა*

დაკითხვის მწარმოებელმა პირმა უნდა განუმარტოს ბავშვს სიმართლის თქმის მნიშვნელობა.

დაკითხვის მწარმოებელ პირს ხშირად შეუძლია დაკითხვის დაწყებამდეც შეაფასოს ბავშვის უნარი, გაარჩიოს ერთმანეთისგან „სიმართლე" და „ტყუილი". საწყისი დისკუსია ახდენს ბავშვის კომპეტენციის დემონსტრირებას და შეიძლება გაზარდოს მისი ჩვენების სანდოობა სასამართლოში. რეკომენდებულია, რომ ბავშვს წინასწარ ვკითხოთ, უთქვამს თუ არა როდისმე ტყუილი და რა შედეგი მოჰყვება ტყუილის თქმას.

შემდეგ ბავშვებს უნდა ვკითხოთ, თუ შეუძლიათ მოგვცენ პირობა, რომ მხოლოდ სიმართლეს ილაპარაკებენ და არ დამალავენ არაფერს. სკოლის ასაკის ბავშვებს აქვთ უნარი, გაათვითცნობიერონ დაპირების მნიშვნელობა და ბავშვებს ესმით, რომ თუ ვინმე ამბობს, რომ გააკეთებს რაღაცას, ის მართლა გააკეთებს ამას. ფიზიკური ძალადობის მსხვერპლ ბავშვებსა და ასევე იმ ბავშვებში ჩატარებულმა კვლევამ, რომლებიც ძალადობის მსხვერპლნი არ ყოფილან, დაადგინა, რომ მათგან წინასწარი პირობის მიღება ზრდის მათ გულწრფელობას.[46]

ბავშვებს ასევე უნდა დავუსვათ შეკითხვები, რომლებითაც შევამოწმებთ მათ სანდოობას. ამის საუკეთესო და ყველაზე ეფექტიანი საშუალებაა, დავუსვათ ბავშვებს ისეთი შეკითხვა, რომელზეც მათ პასუხი არ იციან. მაგალითად: „იცი, რა ჰქვია ჩემს კატას?/იცი ჩემი კატის სახელი?" თუ ბავშვი გიპასუხებთ „კი," ესეიგი, იგი ცდილობს, გამოიცნოს და აშკარაა, რომ დამატებითი შეკითხვის დასმაა საჭირო. სწორად ნათქვამი „არ ვიცი" პასუხები დაგეხმარებათ ბავშვის სანდოობის და კომპეტენტურობის დადგენაში – რაც მომავალში სასამართლოშიდაგეხმარებათ.

> ექსპერტების უმეტესობას სჯერა, რომ პატარა ბავშვები იშვიათად იტყუებიან საკუთარი ინიციატივით ძალადობის თაობაზე. როგორც წესი, გამიზნულად ტყუილს უფრო დიდი ასაკის ბავშვები ამბობენ ან ის ბავშვები, რომელთაც მშობლები აქეზებენ ტყუილის თქმას საკუთარი მოტივაციის გამო. პატარა ბავშვების მიერ ნათქვამი გამიზნული ტყუილი ადვილად გამოსაცნობია – ან სხეულის ენით, ან ტონით, ან სახის გამომეტყველებით, ან მათი უფრო სწორად დაკითხვის გზით.[47]

### *დაკითხვის არსებითი ნაწილი: შეკითხვები ღია დაბოლოებით*

დაკითხვის ამ ეტაპის მიზანია, მაქსიმალურად მოახდინოს ბავშვის მიერ მოვლენების აღწერა – უფრო პირდაპირი და სპეციფიკური შეკითხვები ბავშვს შედარებით გვიან ეტაპზე უნდა დაესვას.[48]

კითხვები არ უნდა იყოს მიმანიშნებელი და უნდა ჩამოყალიბდეს ისე, რომ რაღაცის არცოდნა ან ვერგახსენება

44 Lawrence W. Daly, MSc
45 Lawrence W. Daly, MSc
46 Lawrence W. Daly, MSc , citing Lyon (2000).
47 Children in the Courtroom, Challenges for Lawyers and Judges, 2nd Ed, p. 39, Sherrie Bourg Carter.
48 Lawrence W. Daly, MSc

დაშვებული იყოს („შენ თქვი…. . . შეგიძლია კიდევ რამე მითხრა ამის თაობაზე?"). თუ ბავშვი გადაიღლება კონკრეტულ საკითხზე საუბრისას, მაშინ საუბრის თემა უნდა გახდეს ბავშვისთვის ნაკლებად სტრესული. როდესაც ბავშვი დაწყნარდება, მაშინ უნდა დაუბრუნდეთ რთულ საკითხს. ამ პროცედურის გამეორება შეიძლება საჭირო გახდეს რამდენიმეჯერ-ანუ რთული საკითხიდან მარტივ საკითხზე გადასვლა საუბრის მსვლელობისას და პირიქით, სანამ ბავშვი არ იქნება მზად საუბრისთვის. მაგრამ, ამავე დროს, გახსოვდეთ: ბავშვის მხრიდან საუბრის პრობლემის არსებობა შეიძლება დაკავშირებული იყოს მის მიერ გარკვეული გარემოებების არცოდნასთან.

შეკითხვები უნდა ეფუძნებოდეს მხოლოდ ბავშვის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას და უნდა იყენებდეს ბავშვის ტერმინოლოგიას. რათქმა უნდა, ბავშვები ტერმინოლოგიას არ იყენებენ ინფორმირებულად, ამიტომ დაკითხვის მწარმოებელმა პირმა უნდა განსაზღვროს, თუ რას გულისხმობს ბავშვი მის მიერ კონკრეტული ტერმინების გამოყენებისას. ამავე დროს, ბავშვი შეიძლება იყენებდეს კოდურ სიტყვებს გარკვეული მოქმედებისათვის – ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ბავშვთან წინასწარ მოხდეს ტერმინების შეთანხმება.

მაშინ, როდესაც პატარა ბავშვებს უფრო ნაკლები ინფორმაცია ახსოვთ და უფრო მოკლე ინფორმაციას იძლევიან, ვიდრე უფრო დიდი ასაკის ბავშვები, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია ნაკლებად მნიშვნელოვანი არ არის – თუ მიღებულია სწორი ღია დაბოლოების შეკითხვებით. ოთხი წლის ბავშვებს აქვთ სწორი და საჭირო ინფორმაციის გადმოცემის უნარი, როდესაც მათი დაკითხვა სწორად მიმდინარეობს.[49]

პატარა ბავშვებისთვის უფრო რთულია ზოგადი ინფორმაციის გადმოცემა, ამიტომ შემუშავებულია სპეციალური მინიშნებები – დროებითი, მონაწილეობითი, მოქმედებითი და სასაუბრო მინიშნებები. მოქმედებაზე დაფუძნებული მითითებები (მაგალითად: „მითხარი მეტი დარტყმასთან დაკავშირებით") ყველაზე ეფექტიანია.[50]ასევე ეფექტიანია მოვლენის დროის პატარა მონაკვეთებად დაყოფა.[51]

მე ბავშვს ვაძლევ საშუალებას, იფიქროს საკუთარ გარემოზე, ოჯახზე და მეგობრებზე და სწორედ ამ ეტაპიდან გადავდივარ თავისუფალი თხრობის რეჟიმზე.მე ვეკითხები მას, რამდენად ახლოს იყვნენ ისინი ერთმანეთთან და როგორ ეპყრობოდენ მას და რა გრძნობას იწვევდა ეს მასში. თუ ბავშვი არის ძალადობის მსხვერპლი, სწორედ ამ ეტაპზე ხდება მისი სახის გამომეტყველების და დამოკიდებულების შეცვლა, სხეულის ენა გამოხატავს შიშს და აღელვებას და იწყებენ ლაპარაკს„არ მომწონს იგი". მან რაღაც გამიკეთა და სწორედ ამ დროს დგება ინტერვიუს ძირითადი მომენტი და მიმანიშნებელი და წამყვანი კომენტარი გარდაუვალი ხდება. მე ვამხნევებ ბავშვს, რომ მომიყვეს ყველაფერი:„მითხარი ყველაფერი" ან „მომეცი საშუალება, რომ კარგად გავიგო, რას გულისხმობ". თუ შესაძლო მსხვერპლი არ ამბობს მეტს, მაშინ ვთხოვ მას, განმარტოს საკუთარი ქმედება. განმარტება არ უნდა შეიცავდეს დამატებითი ინფორმაციის გაცემას, მაგრამ ეს მაძლევს მე საშუალებას, გავიგო მეტი ბავშვის შიშის წარმომავლობის თაობაზე და არის თუ არა ეს ემოცია გულწრფელი. მე არასდროს ვცდილობ ბავშვის მოქრთამვას ასეთ მდგომარეობაში და არ შევთავაზებ მას რაიმე გარიგებას ან კომპენსაციას, როგორიცაა, მაგალითად:„თუ სწრაფად მეტყვი,შეგიძლია შენი სათამაშო აიღო და დედასთან წახვიდე". მე ბავშვს ვუსვამ შეკითხვებს ღია დაბოლოებით და ვინარჩუნებ სახის ნეიტრალურ გამომეტყველებას. ინტერვიუს მსვლელობისას მე მუდმივად ვიყენებ „ნულოვან ჰიპოთეზას" –ანუ დამოკიდებულებას, რომ არაფერი მომხდარა. მე ვცდილობ, ინტერვიუს დროს შევიტყო შემთხვევის (შესაძლო სექსუალური ძალადობის) შემდეგი ელემენტები: მოძალადის გარეგნული მახასიათებლები, ადგილი, სადაც მოხდა ძალადობა, სექსუალური კონტაქტის ხარისხი, სხეულის პოზიცია და კონკრეტული ინციდენტის ხანგრძლივობა, ტკივილის ან დისკომფორტის აღქმა, ფიზიკური ძალის გამოყენება, ძალადობის დროს გამოყენებული სიტყვები, ძალადობის ხანგრძლივობა, შესაძლო მსხვერპლის მიერ გამოყენებული წინააღმდეგობის მექანიზმები, არსებული გარემოებები, ხელის შემშლელი მომენტები, რამაც გამოიწვია ძალადობის დასრულება, და სხვ.[52]

49 Structured forensic interview protocols improve the quality and informativeness of investigative interviews with children: A review of research using the NICHD Investigative Interview Protocol, Michael E. Lamb, Yael Orbach, Irit Hershkowitz, Phillip W. Esplin, and Dvora Horowitz.

50 Structured forensic interview protocols improve the quality and informativeness of investigative interviews with children: A review of research using the NICHD Investigative Interview Protocol, Michael E. Lamb, Yael Orbach, Irit Hershkowitz, Phillip W. Esplin, and Dvora Horowitz.

51 Structured forensic interview protocols improve the quality and informativeness of investigative interviews with children: A review of research using the NICHD Investigative Interview Protocol, Michael E. Lamb, Yael Orbach, Irit Hershkowitz, Phillip W. Esplin, and Dvora Horowitz.

52 The Bridge of Reason and Logic in Interviewing and Investigating Child Sexual Abuse Allegations, Lawrence W. Daly, Msc

*ფოკუსირებული შეკითხვები*

მას შემდეგ, რაც ბავშვები საკუთარი სიტყვებით აღწერენ, თუ რა მოხდა, დაკითხვის მწარმოებელმა პირმა უნდა დაუსვას მათ დამატებითი ფოკუსირებული შეკითხვები, რომლებიც იწყება შემდეგი სიტყვებით:„ვინ, რა, როდის, სად". ეს შეკითხვები უნდა ეხებოდეს კონკრეტულ ელემენტებს, რომლებიც ბავშვმა უკვე ახსენა, მაგალითად:„მომიყევი ყველაფერი, რაც გახსოვს იმის თაობაზე, თუ როგორ გამოიყურებოდა იგი".

კარგი სტრატეგიაა, დაკითხვა დაიწყოთ ისეთი საკითხებით, რომლებიც ბავშვისთვის სირთულეს არ წარმოადგენს. ამიტომ ფოკუსირებული შეკითხვები თავიდან შეიძლება დაუსვათ და-ძმასთან, დედასთან და ბოლოს შესაძლო მოძალადესთან დაკავშირებით. მოძალადესთან დაკავშირებული შეკითხვების სერია შეიძლება შემდეგნაირად იყოს ჩამოყალიბებული: „სად ცხოვრობს დედის მეგობარი დავითი? რას უკეთებს ის ოჯახს?" „არის რამე განსაკუთრებული, რასაც ის შენ გიკეთებს?" „არის ისეთი რამე, რასაც დავითი აკეთებს და შენ მოგწონს?" „არის ისეთი რამე, რასაც დავითი აკეთებს და შენ არ მოგწონს?" „არის ისეთი რამე, რასაც დავითი დედაშენს უკეთებს და შენ არ მოგწონს?

დახურული/იდენტიფიცირებადი შეკითხვები

> გაითვალისწინეთ განსხვავება თავისუფალ თხრობას და დადასტურებას/დამოწმებას შორის. თავისუფალი თხრობისას დაკითხვის მწარმოებელი პირი უბრალოდ ეკითხება ბავშვს „რა მოხდა?" და ბავშვი ყვება დეტალებს. მეორე შემთხვევაში კი დაკითხვის მწარმოებელი პირი აწვდის ბავშვს სხვადასხვა არჩევანს და ბავშვი აკეთებს სწორ არჩევანს. შესაბამისად, დაკითხვის მწარმოებელი პირი აწვდის ბავშვს დეტალებს, რომლებსაც ბავშვი უბრალოდ ან ადასტურებს, ან უარყოფს.[53]

ყველაზე პირდაპირი დახურული ტიპის შეკითხვა არის ისეთი შეკითხვა, რომელზეც პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ „კი"/„არა". მაგალითად, ისეთი კითხვებისგან განსხვავებით, როგორიცაა ვინ/რა/როდის, შეკითხვები, რომლებიც მოითხოვს კი/არა პასუხს, შეიძლება იყოს ზოგადი (გითხრა მან რამე?) ან კონკრეტული (გითხრა მან, რომ საიდუმლო შეგენახა?). შეკითხვები, რომლებიც მოითხოვს კი/არა პასუხს, შეიძლება გამოყენებული იყოს იმისათვის, რომ მოხდეს ბავშვისთვის გარკვეული მინიშნების მიცემა კონკრეტულ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რომელიც არ ყოფილა განხილული (მაგალითად: რამე გითხრა მან?), ან იმისთვის, რომ გადამოწმდეს, მართლა აქვს თუ არა ბავშვს რაიმე სახის ინფორმაცია (იცი მისი სახელი?).[54]კიშეკითხვები, რომლებიც მოითხოვს კი/არა პასუხს არ წარმოადგენს თავისთავად მიმანიშნებელ შეკითხვებს, მაგრამ ეს კითხვები შეიძლება იყოს პრობლემური, თუ ბავშვს აქვს გარკვეული პრობლემები პასუხის გაცემისას (მაგალითად, მიდრეკილია, ყველა შეკითხვაზე გასცეს კი/არა პასუხი) ან საერთოდ არ სურს პასუხების გაცემა შეკითხვებზე.

> შეკითხვები, რომლებიც მოითხოვს კი/არა პასუხს, თავის მხრივ, პრობლემურია, ვინაიდან ბავშვი შეიძლება დასმულ შეკითხვებს სცემდეს დადებით პასუხს, მიაჩნდეს რა, რომ დადებითი პასუხი მისაღები და სასურველია. ან ბავშვს შეიძლება არ ესმოდეს შეკითხვა, მაგრამ მაინც სცემდეს დადებით პასუხს. კვლევები შერეულ შედეგს იძლევა იმის თაობაზე, ბავშვები მართლაც ამჟღავნებენ თუ არა მიკერძოებას პასუხის გაცემისას შეკითხვებზე, რომლებიც მოითხოვს კი/არა პასუხს. ზოგადად, დადასტურებულია, რომ ბავშვებს არ უყვართ „არ ვიცი" პასუხის გაცემა შეკითხვებზე, რომლებიც მოითხოვს კი/არა პასუხს. ლაბორატორიული კვლევებისას დადგინდა, რომ ბავშვების პასუხები ამგვარ კითხვებზე ნაკლებად სწორია, ვიდრე შეკითხვებზე ღია დაბოლოებით.[55]

კიდევ ერთი შეკითხვა, რომელიც პოტენციურად პრობლემას წარმოადგენს, არის ძალდატანებითი არჩევანის შეკითხვა, ანუ როდესაც ინტერვიუს მწარმოებელი პირი ბავშვს აძლევს გარკვეულ პასუხებს და ბავშვმა უნდა აირჩიოს „სწორი" პასუხი (მაგალითად: „პერანგი წითელი თუ იყო ლურჯი?"). ისევე, როგორც შეკითხვები, რომლებიც მოითხოვს კი/არა პასუხს, ძალდატანებითი არჩევანის შეკითხვებიც ეხმარება ბავშვს დეტალების გახსენებაში, მაგრამ ასევე შეიძლება მიაწოდოს არასწორი ინფორმაცია. როგორც შეკითხვებისას, რომლებიც მოითხოვს კი/არა პასუხს, ასევე იმის გამო, რომ ბავშვებს არ უყვართ „არ ვიცის" თქმა, მათ შეიძლება იგრძნონ, რომ მათ ძალას ატანენ და უბიძგებენ არჩევანის გაკეთებისკენ იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათ არ იციან სწორი პასუხი და მაშინაც, თუ არცერთი პასუხი სწორი არ არის. ამავე დროს, გახსოვდეთ, რომ როდესაც ბავშვებს არეულად ვთავაზობთ ჩამონათვალს და ამ ჩამონათვალიდან რაღაცის არჩევას,

53 Lawrence W. Daly, MSc
54 Lawrence W. Daly, MSc
55 Lawrence W. Daly, MSc

როგორც წესი, ისინი ბოლო ვარიანტს ირჩევენ.[56]

სექსუალური ძალადობის შესაძლო შემთხვევების დროს დაკითხვის მწარმოებელმა პირმა ფოკუსირებული შეკითხვების ორი ტიპი შეიძლება გამოიყენოს. „არსებობს რაიმე საიდუმლო შენს ოჯახში?" „როდისმე შენთან უთამაშია თამაშები . . . (სახელი)?" ეს არის ფართოდ გამოყენებული შეკითხვები, ვინაიდან ბავშვებს ხშირად ეუბნებიან, რომ სექსუალური ძალადობა არის სპეციალური საიდუმლო ბავშვსა და მოძალადეს შორის. მოძალადემ შეიძლება იძულებით მოიპოვოს ბავშვისგან თანამშრომლობა ძალადობრივ ქმედებაში და ეს გაამართლოს თამაშით.

სახელმძღვანელოების უმეტესობაში მითითებულია, რომ თუ აუცილებელია ისეთი შეკითხვების დასმა, რომლებიც კი/არა პასუხს მოითხოვს, მაშინ კითხვას თან უნდა მოჰყვეს ღია დაბოლოების მინიშნებები; მაგალითად, თუ დაკითხვის მწარმოებელი პირი დასვამს კონკრეტულ შეკითხვას, რომელიც კი/არა პასუხს მოითხოვს, ან ძალდატანებითი არჩევანის შეკითხვას, დაკითხვის მწარმოებელმა პირმა უნდა მოაყოლოს ღია დაბოლოების შეკითხვა იმისათვის, რომ მოახდინოს კონკრეტული შეკითხვით შეთავაზებული სავარაუდო პასუხის მინიმალიზაცია. თუ ბავშვის პასუხი შეკითხვაზე „გითხრა მან, თუ რას მოიმოქმედებდა, თუ შენ ვინმეს გაუნდობდი ამ ამბავს?" არის „კი", მაშინ დაკითხვის მწარმოებელი პირის მომდევნო შეკითხვა უნდა იყოს „რა გითხრა მან?"[57]

### *მიმანიშნებელი შეკითხვები და სავარაუდო პასუხის შემცველი შეკითხვები*

ბავშვებს არ უნდა დავუსვათ შეკითხვა, სადაც უკვე სწორი სავრაუდო პასუხია მითითებული ან რომელიც შეიცავს ინფორმაციას ისეთ მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებზეც ბავშვს ჯერ არულაპარაკია. თუ დაკითხვის მწარმოებელი პირი მიაწოდებს დეტალებს, ბევრი დეტალი შეიძლება არ იყოს სწორი – ისინი შეიძლება წამოადგენდნენ დაკითხვის მწარმოებელი პირის მიკერძოებულ მოსაზრებას ან ვარაუდს. და თუ ბავშვი ავლენს, რომ ის ეთანხმება მინიშნებებს, ვინაიდან იგი ენდობა დაკითხვის მწარმოებელ პირს, რადგან სურს, დააკმაყოფილოს დაკითხვის მწარმოებელი პირის სურვილები ან ეჭვი ეპარება საკუთარ მეხსიერებაში, მაშინ დაკითხვის მწარმოებელი პირის მიერ ნახსენებმა დეტალებმა შეიძლება დააზიანოს ბავშვის მეხსიერება ან კონკრეტული მოვლენის აღქმა ბავშვის მიერ.[58]

***შთაგონებადობა/ჩაგონება:*** სკოლამდელ ასაკში ბავშვებს უვითარდებათ ცოდნის შეძენის უნარები და იაზრებენ იმას, რომ რწმენა შეიძლება იყოს მცდარი. ისინი უკეთესად ანსხვავებენ მოვლენებს, რომლებიც მათ პირადად გადახდათ, და მოვლენებს, რომელთა შესახებაც მათ მოუყვნენ ან რომელთა თაობაზეც მოისმინეს ან რომლებიც წარმოიდგინეს – ამ პროცესს ***წყაროს მონიტორინგი*** ეწოდება. მკვლევარებმა დაადგინეს კავშირები ასაკსა და ჩაგონებას და წყაროს მონიტორინგის უნარების შეძენას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ინდივიდუალური განსხვავებები ჩაგონებისკენ მიდრეკილებაში არსებობს ყველა ასაკში, ზოგადად, პატარა ბავშვებზე ჩაგონებითი ზეწოლა განსაკუთრებულ გავლენას ახდენს. ამავე დროს, პატარა ბავშვებს სწამთ, რომ უფროსებმა ყველაფერი იციან. ასე რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვების დარწმუნება უფრო ადვილია, როდესაც მათ დაკითხვას აწარმოებს უფროსი, ვიდრე როდესაც მათ კითხვებს ბავშვი უსვამს.[59]

გარკვეული კვლევები ადგენს, რომ ბავშვისთვის ერთი და იმავე შეკითხვის დასმა რამდენიმეჯერ დაკითხვის პროცესში ხშირად იწვევს ბავშვის მიერ პასუხის შეცვლას.[60] სკოლამდელი ასაკის ბავშვები განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან განმეორებითი დაკითხვის უარყოფითი ეფექტის მიმართ - ბავშვები ფიქრობენ: „პირველი პასუხი, რომელიც მე გავეცი, შეიძლება არ იყო სწორი და ამიტომ მეკითხებიან ისინი თავიდან და ამიტომ უნდა შევცვალო პასუხი ამ შეკითხვაზე."[61] კვლევები ამტკიცებს, რომ ბავშვები ცვლიან საკუთარ პასუხს და ერგებიან დაკითხვის მწარმოებელი პირის მიერ დასმულ შეკითხვაში სავარაუდოდ შეთავაზებული პასუხის ვერსიას, თუ მათ განმეორებით უსვამენ ერთსა და იმავე შეკითხვას. პირველი დაკითხვისას ჩანერგილი სავარაუდო პასუხები ბავშვებმა გამოიყენეს მეორე დაკითხვის წარმოებისას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუ ბავშვის დაკითხვა თავდაპირველად არასწორი მეთოდების გამოყენებით მოხდება, მაშინ ამ ბავშვის „ჩვენება" სავსე იქნება არასწორი ინფორმაციით მთელი დაკითხვის პროცესში.[62]

56 The Bridge of Reason and Logic in Interviewing and Investigating Child Sexual Abuse Allegations, Lawrence W. Daly, MSc., citing Walker et al., (1996).

57 Lawrence W. Daly, MSc

58 Ceci & Bruck, (2006).

59 Ceci, Ross, & Toglia, (1987).

60 Ceci & Bruck, (1995); Poole & White, (1991)

61 Bruck and Ceci (1995), p. 279

62 IPT Journal Volume 9 – 1997, Interviewing Methods and Hearsay Testimony in Suspected Child Sexual Abuse Cases: Questions of Accuracy, Judith K. Adams

გამომძიებელმა, რომელიც უახლოვდება დანაშაულის ადგილს, იცის, რომ ხელი არ უნდა შეახოს საგნებს, იარაღს ან იქვე არსებულ სხვა ნივთებს, ვინაიდან არსებობს მტკიცებულების განადგურების რისკი. მაგრამ გამომძიებლებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ ბავშვზე ძალადობის საქმეებში, არ იციან დაკითხვის საკუთარი მეთოდების პოტენციური ზიანის თაობაზე, ანუ რამდენად ანადგურებს ეს საქმისთვის მნიშვნელოვან მტკიცებულებას – ბავშვის ჩვენებას.[63]

***დაკითხვის არასწორი ტექნიკა:*** ჯილდოს დაპირება ან დასჯის მუქარა; სოციალური ზემოქმედება – ბავშვისთვის იმის თქმა, რომ სხვები ასე ამბობენ; მიმანიშნებელი ან წამყვანი შეკითხვების დასმა; ისეთი ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც ბავშვს არ გაუმხელია; სპეკულირების წახალისება – შეკითხვა იმის თაობაზე, თუ რა შეიძლება მომხდარიყო; თამაშის წახალისება.

ბავშვმა შეიძლება გამოავლინოს წინააღმდეგობა დაკითხვის წარმოებისას – მაგალითად, მოიტყუოს, რომ რაღაც არ ახსოვს, არ ახსენოს რაიმე, შეცვალოს საკითხი, გააზვიადოს გარემოებები, გამოიყენოს განსხვავებული ტაქტიკა (გახუმრება ან საჭირო ოთახში გასვლის მოთხოვნა იმისათვის, რომ უბრალოდ ხელი შეუშალოს დაკითხვის პროცესს) და ა.შ.[64]ბავშვი ამ მეთოდებს იმისათვის იყენებს, რომ თავი აარიდოს გარკვეული ინფორმაციის გაცემას სხვადასხვა მიზეზის გამო. მას შეიძლება არ მოსწონდეს დაკითხვის მწარმოებელი პირი, მისთვის საკითხი შეიძლება ძალიან მგძნობიარე იყოს, შეიძლება მას ჰქონდეს კრიტიკის ან პასუხისმგებლობის შიში ან შეიძლება უბრალოდ ბრაზის გამო იმოქმედოს ბავშვმა ამგვარად. სამწუხაროდ, არ არსებობს სრული გარანტია იმისა, რომ ბავშვის დაკითხვა იქნება მიზნობრივი. ერთადერთი, რაც დაკითხვის მწარმოებელ პირს შეუძლია გააკეთოს, არის ის, რომ დაკითხვის პროცესი მაქსიმალურად აზრიანად აქციოს დაკითხვის სწორი მეთოდების გამოყენებით.

„რამდენიმე თვის წინ მე დამეწერა საქმე, სადაც პოლიციის ოფიცერმა გამოავლინა საკუთარი სულსწრაფობა, შესთავაზა ბავშვს პასუხები მიმანიშნებელი, ძალდატანებითი შეკითხვების განმეორებით დასმით, როგორიცაა, მაგალითად:

კ: ასე რომ შენ ამბობ, რომ რაღაც ბინძური რაღაცეები მოხდა. სად, აქ მოხდა?

პ: აჰ . . .

კ: მის საძინებელ ოთახში?

როდესაც მე დავკითხე პოლიციის ოფიცერი, შევეკითხე, თუ რატომ არ შეწყვიტა მან დაკითხვის პროცესი და არ განაახლა დაკითხვა მომდევნო დღეს. მან კი მიპასუხა, რომ ბავშვმა და დედამისმა შორი გზა გამოიარეს მანქანით, რომ დაკითხვაზე მოსულიყვნენ და სწორედ ამიტომ მიიჩნია მან საჭიროდ ბავშვზე ზეწოლა. აქვე მოგაწოდებთ რამდენიმე მაგალითს:

კ: კარგი, მაგრამ საჭიროა, რომ დამელაპარაკო და მომიყვე, თუ რა მოხდა.

კ: რატომ არ მომიყვები იმას, რაც დედაშენს უთხარი; ასე არ მოგიწევს ბევრ რამეზე ფიქრი; უბრალოდ იგივე მითხარი, რაც დედას უთხარი იმ დღეს.

ამასთანავე, მე ვკითხე დაკითხვის მწარმოებელ პირს, თუ რატომ არ გადაიღო ვიდეოზე ბავშვის დაკითხვის პროცესი.მან კიდევ ბევრი გამამართლებელი არგუმენტი მოიტანა, მაგრამ ძალზე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ პოლიციის ოფიცერი თავად ვერ აცნობიერებს, თუ რამდენად უხეშად და ცუდად განახორციელა დაკითხვის პროცედურა. აუცილებელია, რომ განისაზღვროს და აღმოიფხვრას ის მიზეზი, რაც იწვევს ბავშვში წინააღმდეგობას ისაუბროს, მაგრამ ამისთვის არსებობს სწორი და არასწორი მეთოდები. ჩემი აზრით, პროცესის მწარმოებლები თვლიან, რომ მათ უნდა მოიპოვონ აღიარება ბავშვისგან – მიუხედავად ყველაფრისა. მაგალითში, რომელიც მე ახლა მოვიყვანე, პოლიციის ოფიცერმა დაკითხვის პროცესი რამდენიმეჯერ მიკერძოებით აწარმოა; ამის მაგალითებია:

1. ინტერვიუს ვიდეოჩანაწერის არგაკეთება, აუდიოჩანაწერის შერჩევით გაკეთება იმისათვის, რომ თავი აარიდო დაკითხვის მიმდინარეობის დემონსტრირებას;

2. დაკითხვის პროცესში მიმანიშნებელი პასუხის შემცველი შეკითხვების რამდენიმეჯერ გამოყენება, რაც ცვლის დაკითხვის ბუნებას;

3. ძალაუფლების გადაჭარბება და დაკითხვის პროცესის ძალით გაგრძელება იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბავშვი პირდაპირ ამბობს, რომ მას იქ ყოფნა აღარ უნდა;

63 IPT Journal Volume 9 – 1997, Interviewing Methods and Hearsay Testimony in Suspected Child Sexual Abuse Cases: Questions of Accuracy, Judith K. Adams

64 Lawrence W. Daly, MSc, citing Morrison, J., (2008), p.189.

4. დედის დასწრება დაკითხვაზე- ეს შეიძლება სწორედ ის მიზეზიიყო, რატომაც არ სურდა ბავშვს საუბარი.[65]

***ბავშვთა ჯანმრთელობის და კაცობრიობის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD) ოქმი:***

ბავშვთა ჯანმრთელობის და კაცობრიობის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის (NICHD)[66] სტრუქტურირებული დაკითხვის ოქმი პირველად 2000 წელს გამოქვეყნდა იმისათვის, რომ ძალადობის მსხვერპლი ბავშვის დაკითხვის პროცესში პრაქტიკაში ასახულიყო პროფესიული რეკომენდაციები. ესოქმი შემუშავებული იყოს იელ ორბაქის, მაიკლ ლამბის და მათი კოლეგების მიერ და ეფუძნებოდა დაკითხვის ეფექტიანი მეთოდების ინტენსიურ კვლევას. ექსპერტების უმეტესობას მიაჩნია, რომ ოქმი წარმოადგენს „ოქროს სტანდარტს" დაკითხვის პროცესში, ვინაიდან იგი ეფუძნება სერიოზულ კვლევას, რაც არ ყოფილა გამოყენებული წარსულში სხვა ოქმების შემუშავებისას.[67]დამოუკიდებელი კვლევებისას ინფორმაცია მოპოვებული იყო ოთხ სხვადასხვა ქვეყანაში (აშშ; გაერთიანებული სამეფო; ისრაელი და კანადა); ამ კვლევებისას დადგინდა, რომ ბავშვთა ჯანმრთელობის და კაცობრიობის განვითარების ეროვნული ინსტიტუტის ოქმის გამოყენებისას დაკითხვის შედეგად ხდება უფრო კარგი ინფორმაციის მოპოვება, ვიდრე მაშინ, როდესაც ეს ოქმი არ გამოიყენება.[68]კვლევებმა დაადგინა, რომ ოქმის გამოყენებით წარმოებული დაკითხვისას მიღებული ინფომრაცია არის სწორი, დეტალური, სანდო და უფრო მარტივია, პროცესში განსაზღვრო ძალადობის არსებული და შესაძლო სცენარები. ერთ-ერთი კვლევის დროს დადგინდა, რომ ბრალდების წაყენების მაჩვენებელი 1.52-ჯერ მაღალი იყო, როდესაც დაკითხვის დროს გამოიყენებოდა NICHD ოქმი.[69]

„სტრუქტურირებულიNICHD ოქმი ხელმძღვანელობას უწევს დაკითხვის მწარმოებელ პირს დაკითხვის ყველა ეტაპზე, ახდენს თავისუფალი აზროვნების ილუსტრირებას, რითაც ხდება დაკითხვის დროს მაქსიმალური ინფორმაციის მოპოვება."[70]

NICHD სტანდარტული ოქმი პირველად შეიქმნა იმ ბავშვების დაკითხვისთვის, რომლებიც სავარაუდოდ იყვნენ სექსუალური ძალადობის მსხვერპლები – მაგრამ მისი სტრუქტურა და პრინციპები შეიძლება გამოყენებული იყოს ნებისმიერი დანაშაულის შედეგად დაზარალებული ბავშვის დასაკითხად,ასევე იმ ბავშვების შემთხვევაში, რომლებიც არიან დანაშაულის მოწმეები – მათ შორის მეუღლეებს შორის მომხდარი დანაშაულისა.[71]ოქმის კიდევ ერთი ვერსია იქნა შემუშავებული, რომელიც გამოიყენება იმ ბავშვებისათვის, რომლებმაც სავარაუდოდ ჩაიდინეს დანაშაული.[72]

ოქმის ქართული ვერსია, რომელიც მოწოდებულია არასამთავრობო ორგანიზაცია – საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ, თან ერთვის მასალებს.

---

65 IPT Volume 18 – 2009, The Bridge of Reason and Logic in Interviewing and Investigating Child Sexual Abuse Allegations, Lawrence W. Daly, MSc

66 NICHD is a USA-based research institution originally established to investigate broad aspects of human development as a means of understanding developmental disabilities. Currently, the NICHD conducts and supports research on all stages of human development to better understand child, adult, family, and community health. More information is available at: http://www.nichd.nih.gov/about/overview/

67 Cite – Daly – and others.

68 Structured forensic interview protocols improve the quality and informativeness of investigative interviews with children: A review of research using the NICHD Investigative Interview Protocol, Michael E. Lamb, Yael Orbach, Irit Hershkowitz, Phillip W. Esplin, and Dvora Horowitz

69 NICHD Protocol: Cutting Edge Practice for Investigative Interviews with Children Mireille Cyr, Ph.D., Professor, Department of Psychology, Université de Montréal Presentation given at the Child Advocacy Centres Knowledge Exchange 2011, Ottawa, February 28, 2011, p.3

70 Structured forensic interview protocols improve the quality and informativeness of investigative interviews with children: A review of research using the NICHD Investigative Interview Protocol, Michael E. Lamb, Yael Orbach, Irit Hershkowitz, Phillip W. Esplin, and Dvora Horowitz

71 NICHD Protocol: Cutting Edge Practice for Investigative Interviews with Children Mireille Cyr, Ph.D., Professor, Department of Psychology, Université de Montréal Presentation given at the Child Advocacy Centres Knowledge Exchange 2011, Ottawa, February 28, 2011, p.2

72 Structured forensic interview protocols improve the quality and informativeness of investigative interviews with children: A review of research using the NICHD Investigative Interview Protocol, Michael E. Lamb, Yael Orbach, Irit Hershkowitz, Phillip W. Esplin, and Dvora Horowitz

### *(iii) ბავშვები სასამართლოში*

სასამართლო ბევრი ზრდასრული ადამიანისთვისაც კი საშიშ გარემოსწარმოადგენს. ბავშვებისათვის ეს კიდევ უფრო საშიში ადგილია. ამას ემატება ისიც, რომ სასამართლოში ბავშვებს უწევთ იმ ადამიანებთან დაპირისპირება, ვინც მათ ტკივილი მიაყენა ან ჩაიდინა დანაშაული, რომლის მოწმეც გახდა ბავშვი. ამავე დროს, დაზარალებული ან მოწმე ბავშვი, რომელიც გამოძახებულია სასამართლოში, იძულებულია ოფიციალურად ჩაცმული ზრდასრული ადამიანების წინაშე მოყვეს საშიში ან უხერხული დეტალები ძალადობრივი ან სექსუალური აქტის შესახებ, რომელიც მან განიცადა ან რომლის მოწმეც გახდა. ოფიციალურად გამოწყობილი ზრდასრული ადამიანები უსვამენ მას შეკითხვებს და ამ ადამიანებს, როგორც წესი, არ აქვთ გავლილი სპეციალური სწავლება ბავშვის სწორად დაკითხვის ტექნიკაში.[73]სწორედ ამ რეალობას ეხება კანონის მოდელის სპეციალური დებულებები სასამართლო დარბაზის და ბავშვის ჩვენების თაობაზე.

### *სასამართლო*

ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება გაკეთდეს ბავშვისთვის სასამართლო სხდომისთვისმის მოსამზადებლად, არის ბავშვისთვის სასამართლო დარბაზის გაცნობა პროცედურების დაწყებამდე. ბავშვისთვის ცარიელი სასამართლო დარბაზის ჩვენება და მითითება, თუ სად ისხდებიან სხვები, ასევე ამ სხვების ფუნქციების განმარტებაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასევესაჭიროა მშობლების და დამხმარე პირების სავარაუდო ადგილების მითითება. ბავშვს უნდა განემარტოს მოსამართლის როლი და მისი ადგილი სასამართლო დარბაზში. დაზარალებულმა და მოწმე ბავშვმა მოსამართლე შეიძლება შეადაროს მასწავლებელს, რომელიც ყურადღებას აქცევს სასამართლო დარბაზში ქცევის წესებს. ბავშვს ასევე უნდა განემარტოს ადვოკატების ფუნქცია, ისიც უნდა მიეთითოს, რომ ადვოკატებმა და სხვა პირებმა შეიძლება ერთმანეთს საუბარი გააწყვეტინონ, თუ ჩათვლიან,რომ შეკითხვა ან კომენტარი იყო უსამართლო და შემდეგ მოსამართლემ უნდა გადაწყვიტოს, იყო თუ არა ეს სამართლიანი.[74]ამ გზით ბავშვი კარგად იქნება მომზადებული პროცესისათვის და არ დაიბნევა და არ შეშინდება, თუ მისი ჩვენება გახდება ადვოკატის მხრიდან პროტესტის გამოხატვის ან კამათის საგანი. თუ სასამართლო პროცესში მონაწილეობენ ნაფიცი მსაჯულები,ბავშვებს უნდა განემარტოთ მათი ძირითადი ფუნქციები და მიეთითოთ ადგილი, სადაც ისინი ისხდებიან.

> „ცარიელი სასამართლო დარბაზი აძლევს ბავშვს საშუალებას, გაეცნოს დარბაზის წყობას მაშინ, როდესაც ეს გარემო არ არის დამთრგუნველი (არ არიან განსასჯელი და მოსამართლე და ბავშვს აქვს საშუალება, დაჯდეს მოწმის სკამზე და ილაპარაკოს მიკროფონში აუდიტორიის გარეშე).”[75]

მოწმე და დაზარალებულ ბავშვსშეიძლება მისთვის გასაგები ფორმით მიეწოდოს ინფორმაცია პროცესის შესახებ, სანამ ის სასამართლოს წინაშე წარდგება.ეს ინფორმაცია ეხება სასამართლო პროცესს, მთავარ მონაწილე პირებს და სასამართლო დარბაზში ქცევის ძირითად წესებს.

> ჰონგ-კონგში, ჩინეთში, მოწმის მხარდაჭერის პროგრამაში 1997 წელს გამოქვეყნდა „მოწმე ბავშვის კრებული,” რათა შემცირებულიყო ბავშვის მღელვარება სასამართლო პროცესთან დაკავშირებით. გაერთიანებულ სამეფოში ბავშვის მიმართ ძალადობის აღმოფხვრის ეროვნულმა საზოგადოებამ ბავშვის დაცვაზე მომუშავე სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სხვა წარმომადგენლებთან ერთად გამოაქვეყნა მასალები სათაურით „ახალგაზრდა მოწმის სახელმძღვანელო”.ეს დოკუმენტი ხელს უწყობს მოწმე ბავშვს და ახალგაზრდა მოწმეებს, მოემზადონ სასამართლოში მოწმედ გამოსასვლელად. ეს მასალები ასევე მოიცავს მოწმე ბავშვებისთვის ბუკლეტებს ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ბუკლეტს მშობლებისთვის, სახელმძღვანელოს იმ ადამიანებისთვის, ვინც ამზადებს მოწმე ბავშვებს სასამართლოში გამოსასვლელად, და ასევე ვიდეომასალას ბავშვებისათვის, რომელსაც ჰქვია „ჩვენების მიცემა: როგორ ხდება ეს?”[76]

სასამართლოპროცესის მონაწილეებს ხშირად დიდი ხნის განმავლობაში უწევთ ლოდინი და ეს განსაკუთრებით ეხება მოწმეებს და დაზარალებულებს. ხანგრძლივი ლოდინი შეიძლება განსაკუთრებით რთული იყოს ბავშვისთვის. იმისათვის, რომ შევამციროთ მოწმე და დაზარალებული ბავშვის სტრესი და დისკომფორტი, კანონის მოდელის 24-ე მუხლი ადგენს სპეციალური მოსაცდელი ოთახების მოწყობის აუცილებლობას, სადაც ბავშვების დანახვა შეუძლებელია ბრალდებულის ან განსასჯელის მიერ და სადაც ისინი იმყოფებიან უფროსი მოწმეებისგან განცალკევებით. ამ ოთახებში უნდა იყოს შექმნილი ბავშვისადმი კეთილგანწყობილი გარემო, ისინი აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი ავეჯით, დამოუკიდებელი აბაზანით და სტრესის დამთრგუნველი თამაშებით და სათამაშოებით. ასევე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის დაგეგმვას ისე, რომ ხელი არ შეეშალოს ბავშვის სწავლის, კვების და ძილის განრიგს.

73 Children in the Courtroom, Challenges for Lawyers and Judges, 2nd Ed. P., 124 (2009).

74 Bourg carter, p. 139

75 Bourg Carter p. 139

76 UNODC handbook, p.72.

კანონისმოდელის 26-ე მუხლი ადგენს:

> ***კომპეტენტური მაგისტრატი მოსამართლე ან მოსამართლე ვალდებულია, დარწმუნდეს, რომ ყველა შესაბამისი ზომა იქნა მიღებული მოწმე და დაზარალებული ბავშვისათვის, რათა მათ სასამართლო დარბაზში თავი კომფორტულად იგრძნონ, როგორიცაა, მაგალითად, ისეთი სავარძლით უზრუნველყოფა, რომლის სკამი იწევა ზევით/ქვევით, ან გარკვეული ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვისთვის სპეციალური პირობების შექმნა და სხვ.***
>
> ***სასამართლო დარბაზში სკამები უნდა განლაგდეს ისე, რომ ბავშვი რაც შეიძლება ახლოს იჯდეს მშობლებთან ან წარმომადგენელთან თუ ადვოკატთან მთელი პროცესის განმავლობაში.***

სასამართლოპროცესის ოფიციალური გარემო შეიძლება ბავშვს აშინებდეს. მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მოსაზრება, რომ ასეთმა ოფიციალურმაგარემომ შეიძლება გამოიწვიოს პატივისცემა მართლმსაჯულების სისტემის მიმართ, ბავშვებისთვის ეს გარემო მაინც დამთრგუნველია და შეიძლება შეზღუდოს საუბრის სურვილი.ბავშვზე ორიენტირებული პირობების ნაკლებობამ(როგორიცაა, მაგალითად, შესაბამისი სავარძელი, მოწმის ადგილას სწორ სიმაღლეზე განთავსებული მიკროფონი, ისე, რომ ბავშვის ლაპარაკი დარბაზში ყველასთვის გასაგები იყოს, განსაკუთრებით კი მოსამართლისთვის და ნაფიცი მსაჯულებისთვის), ასევე ასეთი პირობების არარსებობამ შეიძლება გამოიწვიოს ბავშვის მიერ საუკეთესო მტკიცებულების მიცემისგან თავის შეკავება. ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მოსამართლეების და პროცესის სხვა წარმოამდგენლების ოფიციალური ჩაცმულობითაც.[77]

რეკომენდებულია სასამართლო დარბაზის ოფიციალურიმახასიათებლების შემსუბუქება ბავშვისთვის. მაგალითად, მონაწილეები (მათ შორის მოსამართლე და მოწმე ბავშვი) ერთ დონეზე უნდა ისხდნენ, მანტიები შეიძლება შეიცვალოს ნაკლებად ოფიციალური ჩაცმულობით.

***ჩვენება***

კანონის მოდელი სასამართლოსგან ასევე მოითხოვს, რომ:

მოწმე ან დაზარალებული ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის პროცედურა განხორციელდეს ბავშვისათვის ადვილად გასაგებ ენაზე.[78]

შეკითხვები, რომლებსაც ბავშვს დაუსვამენ დაკითხვის დროს, უნდა ჩამოყალიბდეს ბავშვის ასაკის და განვითარების დონის გათვალისწინებით, მისთვის გასაგებ და მისაღებ ენაზე.

> ***ბავშვს არ უნდა მოსთხოვონ მისი ნების საწინააღმდეგოდ ან მისი მშობლების ან წარმომადგენლის ინფორმირების გარეშე ჩვენების მიცემა. ბავშვის მშობლები და წარმომადგენელი უნდა იყვნენ ბავშვთან ერთად, გარდა შემდეგი შემთხვევებისა: თუ ისინი არიან მოძალადეები ან დანაშაულის ჩამდენი პირები, ან თუ ბავშვი გამოხატავს გარკვეულ მღელვარებას მათ მონაწილეობასთან დაკავშირებით, ან სასამართლო მიიჩნევს, რომ მშობლების არყოფნა მნიშვნელოვანია ბავშვის საუკეთესო ინტერესებისთვის.[79]***

ბავშვმა ჩვენება უნდა მისცეს ემოციურად კომფორტულ გარემოში.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, კონვენციის მე-12 მუხლის მე-2 პუნქტით გარანტირებულია მოსმენის უფლება. მაგრამ ეს უფლება არ არის შეუზღუდავი: მე-12 მუხლი განმარტავს, რომ ეს უფლება გამოყენებული უნდა იყოს „ეროვნული კანონმდებლობის პროცედურების შესაბამისად".[80]ესეს მითითება უზრუნველყოფს, რომ ეროვნული კანონმდებლობით მხოლოდ კომპეტენტური ჩვენების დაშვება მოხდეს სასამართლოში მტკიცებულებად.[81]

იმისათვის, რომ ჩვენება კომპეტენტურად ჩაითვალოს, მოწმეს, როგორც წესი, მოეთხოვება შემდეგი: ადეკვატური ცოდნა და უნარი, დაიმახსოვროს ინფორმაცია; მოვლენების ადეკვატურად შეფასება და ამ მოვლენებთან დაკავშირებული ინფორმაციის სწორად გადმოცემა; სიმართლესა და ტყუილს შორის განსხვავების ცოდნა; სიმართლის თქმის დანაპირების მნიშვნელობის გააზრება; და ტყუილის თქმის პოტენციური შედეგების აღქმა.[82]თუ ბავშვის დაკითხვის მწარმოებელი პირი სწორად აფასებს ბავშვის უნარებს დაკითხვის პროცესში, მაშინ ბავშვის გამოსვლა სასამართლო პროცესზე იქნება კომპეტენტური.

77 Commentary – Model Law, art. 26, para 2.
78 Model law, Article 12.
79 Model Law, Art. 20(5).
80 Model Law, commentary to Art. 20, para 1.
81 Model law, Art 20, commentary, paras 2-4.
82 See: Children in the Courtroom: Challenges for Lawyers and Judges, 2nd. Ed. Sherrie Bourg Carter, p. 3 (2009).

დაკითხვის პროცესის კვლევებმა დაადგინა, რომ ოთხი წლის და მეტი ასაკის ბავშვებს აქვთ უნარი, იყვნენ კომპეტენტური მოწმეები იმ შემთხვევაში, თუ „მათი დაკითხვა ხდება მათი განვითარების შესაფერისი მეთოდებით".[83]

ჩვეულებრივ, მოწმეს სასამართლოში მოეთხოვება დადოს ფიცი რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს. ფიცის დადების პროცედურა ხაზს უსვამს პროცედურის სერიოზულობას, სიმართლის მნიშვნელობას და განსაზღვრავს რომ ტყუილის თქმა დასჯადი ქმედებაა. კანონის მოდელი მოსამართლეს ანიჭებს დისკრეციულ უფლებას, ფიცის დადების მოთხოვნა გააუქმოს ბავშვი მოწმისთვის, თუ აშკარად ჩანს, რომ მას არ ესმის ფიცის დადების მნიშვნელობა. ფიცის დადების ნაცვლად ბავშვმა შეიძლება მოგვცეს დაპირება, რომ იტყვის სიმართლეს. შესაბამისად, ბავშვის წინააღმდეგ სისხლის სამართლებრივი დევნა არ უნდა დაიწყოს, თუ იგი მცდარ ჩვენებას მისცემს.[84]

უსაფუძვლო იქნება, გვჯეროდეს, რომ ბავშვს შეიძლება ესმოდეს ტყუილი ჩვენების მიცემის შედეგები. მაგრამ არ არის უსაფუძვლო, რომ კომპეტენტურმა ბავშვმა გამოავლინოს ასაკის შესაბამისი ცოდნა, თუ რა შედეგი შეიძლება დადგეს ბავშვისთვის და ასევე იმ პირისთვის, ვის თაობაზეც იქნება ტყუილი ჩვენება მიცემული და თუ ის იტყვის, რომ მოხდა რაღაც, რაც არ შეესაბამება სიმართლეს. ბავშვებმა უნდა მოახდინონ იმის დემონსტრირება, რომ მათ ესმით, რომ ის ადამიანები, რომლებიც იტყუებიან, ისჯებიან და პრობლემები ექმნებათ და რომ ტყუილმა შეიძლება დააზარალოს სხვა ადამიანი. მოდელური შეკითხვები, რომლებიც ეხება ამ საკითხის, მოიცავს შემდეგს:

- ტყუილის თქმა სწორია თუ არასწორი?
- რა ემართებათ იმ ადამიანებს, ვისაც ტყუილის თქმაში გამოიჭერენ?
- რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ შენი მასწავლებელი გამოიჭერს შენს თანაკლასელს ტყუილის თქმაში სკოლაში?[85]

მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ბავშვი იძლევა მტკიცებულებას ფიცის გარეშე, მაგრამ ამას არ უნდა ჰქონდეს გავლენა იმაზე, თუ როგორ გაითვალისწინებს ამას სასამართლო. . . მაგრამ ფაქტი, რომ ბავშვს შეიძლება სრულად არ ჰქონდეს გააზრებული სიმართლის თქმის პასუხისმგებლობა, რომელიც ფიცის დადებაში დევს, შეიძლება გამოყენებული იყოს მხარეების მიერ როგორც ბავშვის სიმწიფის განმსაზღვრელი და აქედან განისაზღვროს ის წონა, რა წონაც მიენიჭება მსგავს მტკიცებულებას.[86]

„დაკითხვის მწარმოებელი პირი, როგორც წესი, ეკითხება ბავშვს, თუ იცის მან განსხვავება სიმართლესა და ტყუილს შორის. მაგრამ ბავშვისათვის თხოვნა, რომ მან ჩამოაყალიბოს განსხვავება ორ კონცეფციას შორის, უფრო რთული ამოცანაა, ვიდრე შეკითხვა იმისა, თუ რას ნიშნავს ეს ორი ტერმინი დამოუკიდებლად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ,ასეთი ფორმით ჩამოყალიბებული შეკითხვა: „რას ნიშნავს სიმართლის თქმა?" და„რას ნიშნავს ტყუილის თქმა?"უფრო მისაღები შეკითხვებია ბავშვის განვითარების დონისთვის, ვიდრე შეკითხვა: „რა განსხვავებაა სიმართლესა და ტყუილს შორის?"[87]

კანონის მოდელის მუხლი 20(1) ამბობს, რომ ბავშვი ითვლება უნარიან მოწმედ, თუ სხვა რამ არ არის დამტკიცებული შესაბამისი გამოკვლევით.

ბავშვის ჩვენება არ უნდა იყოს მიჩნეული უსაფუძვლოდ ან არასანდოდ მხოლოდ მისი ასაკის გამო.აქ უნდა მოხდეს იმის გამოკვლევა, თუ რამდენად აძლევს მისი ასაკი და სიმწიფე მას საშუალებას, მისცეს კომპეტენტური და სანდო ჩვენება".[88]

21-ე მუხლი ადგენს:

1. ბავშვის კომპეტენციის შემოწმება შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სასამართლო დაადგენს, რომ ამისათვის გარდაუვალი მიზეზი არსებობს. ასეთი გადაწყვეტილების მიღების მიზეზი უნდა დასაბუთდეს და ჩაიწეროს სასამართლოს მიერ. იმის გადაწყვეტისას, უნდა ჩაუტარდეს თუ არა ბავშვს კომპეტენტურობის გამოკვლევა, ბავშვის საუკეთესო ინტერესი უნდა იყოს უპირველესად გათვალისწინებული.

83 Bourg Carter, p. 4-5.
84 Model Law, Article 22.
85 Bourg Carter, p. 11-12.
86 Model Law, Article 22, para. 3
87 Bourg Carter, p. 7
88 Model Law, Art. 20(1).

2. კომპეტენციის შემოწმება ემსახურება იმის დადგენას, ესმის თუ არა ბავშვს მისთვის დასმული შეკითხვები ენაზე, რომელიც ბავშვისთვის გასაგებია, და ასევე სიმართლის თქმის მნიშვნელობა. მხოლოდ ბავშვის ასაკი არ არის ის მიზეზი, რომლის საფუძველზეც შეიძლება მოთხოვნილი იყოს კომპეტენციის შემოწმება.

> როდესაც ჩვენების მისაცემად სასამართლოში გამოძახებული მოწმე პირის, არა მხოლოდ ბავშვის, კომპეტენციის საკითხი დგება მხარის მიერ, მიუხედავად იმისა, ამ პირს დადებული აქვს თუ არა ფიცი და ნებისმიერ შემთხვევაში როდესაც 12 წელზე ქვემოთ ასაკის ბავშვის ჩვენება არის დაშვებული, შეიძლება დაინიშნოს ექსპერტი იმისათვის, რომ მან მისცეს ჩვენება ბავშვის ან პირის ინტელექტუალურ და ემოციურ მზადყოფნაზე, არა აქვს მნიშვნელობა, ეს ჩვენება ფიცის ქვეშ არის მიცემული თუ არა. ექსპერტს შეიძლება განესაზღვროს სხვადასხვა დავალება: შეაფასოს ბავშვის უნარი, მისცეს ჩვენება ან შეაფასოს მის მიერ მიცემული ჩვენების სანდოობა. სექსუალური ძალადობის შემთხვევებში ექსპერტმა შეიძლება მისცეს ჩვენება იმის თაობაზე, თუ რამდენად შეესაბამება ბავშვის ქცევა და ემოციური მდგომარეობა შესაძლო შეურაცხყოფას. ექსპერტი შეიძლება მოწვეული იყოს იმისათვის, რომ შეაფასოს ბავშვის ინტელექტუალური მიღწევები, გონებრივი უნარები და ემოციური სიმწიფე, ბავშვის ზოგადი განვითარების დონე სხვა იმავე ასაკის ბავშვებთან შედარებით, ბავშვის ქცევის შესაბამისობა სექსუალური ძალადობის მსხვერპლი იმავე ასაკის ბავშვის ქცევასთან, სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის სიმპტომატიკა, შეურაცხყოფის ბრალდების სანდოობა, გამხელის და უარის თქმის ფორმები, ბავშვის კომპეტენცია, მისცეს ჩვენება სასამართლოში და შეურაცხმყოფელი ინციდენტის აღქმა ან მახსოვრობა[...] როდესაც ექსპერტი დანიშნულია ერთი მხარის მიერ, არსებობს რისკი, რომ სხვა ექსპერტი იქნება დანიშნული მეორე მხარის მიერ, რაც კიდევ უფრო ზრდის ბავშვის დაკითხვათა რაოდენობას. რეკომენდებულია სასამართლოს მიერ დანიშნული ექსპერტის გამოყენება, რათა ასეთი რისკი თავიდან იქნეს აცილებული.[89]

***დამცავი ღონისძიებები***

კანონისმოდელის 28-ე მუხლი ადგენს, რომ ბავშვის ან მისი წარმომადგენლის მოთხოვნის შემთხვევაში სასამართლომ უნდა გამოიყენოს ღონისძიებები, „რომლებიც დაიცავს ბავშვის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და მის ფიზიკურ და ფსიქიკურ ჯანმრთელობას და მოახდენს მეორადი ვიქტიმიზაციის პრევენციას[.]"

ამ ღონისძიებებში შეიძლება შევიდეს:

საჯარო ჩანაწერიდან ბავშვის ვინაობის ან იდენტიფიცირების სხვა საშუალების ამოშლა;

ადვოკატისათვის ბავშვის ვინაობის გამხელის აკრძალვა, ასევე ნებისმიერი ინფორმაციის ან მასალების გამჟღავნება, რომლებითაც შესაძლებელია ბავშვის იდენტიფიცირება;

ბავშვის მაიდენტიფიცირებელი ნებისმიერი ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა;

ბავშვისთვის ფსევდონიმის ან ნომრის მინიჭება;

ბავშვის ფიზიკური აღწერის ან მახასიათებლების გაუმჟღავნებლობა, მათ შორის ჩვენების მიცემისას: დაბურული დამცავის უკან ჩვენების მიცემა; გამოკვლევის ჩატარება სხვა ადგილას და პირდაპირი ტრანსლირება სასამართლო დარბაზში შესაბამისი ტექნიკური საშუალებებით; მოწმე ბავშვის ვიდეოდაკითხვა სასამართლო პროცესამდე, რომელსაც ესწრება ბრალდებულის ადვოკატი, რომელსაც ჰქონდა საშუალება, მონაწილეობა მიეღო ბავშვის გამოკითხვაში;

დახურული სასამართლო მოსმენის ჩატარება;

ბრძანების გაცემა ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან დროებით გაყვანის თაობაზე, თუ ბავშვი უარს ამბობს მისი თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე ან თუ გარემოებები მიუთითებს, რომ ბავშვმა შესაძლოა არ თქვას სიმართლე ამ პირის დარბაზში ყოფნის შემთხვევაში. ასეთდროსბრალდებულის ადვოკატი უნდა დარჩეს სასამართლო დარბაზში და დაკითხოს ბავშვი;

შესვენების დაშვება ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის პროცესში;

სასამართლო სხდომის ბავშვის ასაკის და სიმწიფის შესაბამის დროს დანიშვნა;

89 UNODC Handbook, p. 27, (d)

ნებისმიერი სხვა ღონისძიებების გატარება, რომლებსაც სასამართლო მიიჩნევს საჭიროდ, ზოგიერთ შემთხვევაში, თუ საჭიროება მოითხოვს, ანონიმურობა, თუ ეს შესაბამისობაშია ბავშვის საუკეთესო ინტერესებთან და ბრალდებულის უფლებებთან.[90]

> ბავშვსა და ბრალდებულს შორის ეკრანის გამოყენება ხშირად უფრო იაფი ჯდება, ვიდრე დაკითხვის პროცესის დისტანციური სატელევიზიო საშუალებებით ტრანსლირება. სხვადასხვა იურისდიქციაში სხვადასხვა სახის ეკრანები გამოიყენება, მაგალითად, მოსახსნელი, დაბურული ბარიერი, რომელიც ხელს შეუშლის ბავშვის და ბრალდებულის კომუნიკაციას, ცალმხრივი სარკე, რომელიც საშუალებას აძლევს ბრალდებულს, დაინახოს ბავშვი, ბავშვმა კი ის ვერ დაინახოს, ან მოსახსნელი დაბურული ბარიერი ვიდეოკამერით, რომელიც გადასცემს ბავშვის გამოსახულებას ტელევიზორში, რომელსაც ხედავს ბრალდებული[...]; მოსამართლეებმა შეიძლება დაუშვან ისეთი საშუალება, როგორიცაა ბავშვის, მისი მშობლის ან კანონიერი წარმომადგენლის მოთხოვნის საფუძველზე ბრალდებულის სასამართლო დარბაზიდან გაყვანა მაშინ, როდესაც ბავშვი იძლევა ჩვენებას.ასეთ შემთხვევაში ბრალდებულს, როგორც წესი, აძლევენ საშუალებას, თვალი მიადევნოს ბავშვის ჩვენებას მონიტორზე სხვა ოთახიდან.[91]

ადვოკატი უნდა იცნობდეს საერთაშორისო კანონმდებლობით განსაზღვრულ დამცავ მექანიზმებს – კონვენციით და კანონის მოდელით დადგენილ ნორმებს. შუამდგომლობა, რომელიც ადვოკატმა შეიძლება წარადგინოსდაზარალებული და მოწმე ბავშვების მონაწილეობით საქმის წარმოებისას, მოიცავს შემდეგს:

- შუამდგომლობა ფიცის დადების გაუქმების თაობაზე იმის დაპირებით, რომ იტყვის მხოლოდ სიმართლეს;
- სასამართლო დარბაზის მოდიფიცირების შუამდგომლობა იმისათვის, რომ ბავშვის საჭიროებები იყოს დაკმაყოფილებული, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვის ზომის მაგიდა და სკამები, ბავშვის სკამის ისე დადგმა, რომ პირდაპირ არ ხედავდეს განსასჯელს, ან ჩვენების მიცემა ეკრანის და წინაღობის მიღმა;
- დამხმარე პირის სასამართლო დარბაზში დაშვება ბავშვის მიერ ჩვენების მიცემის პროცესში;
- საზოგადოებისათვის სასამართლო სხდომის დახურულად გამოცხადება.[92]

ნორმალურ პირობებში, როდესაც მოწმე იძლევა ჩვენებას, მას ექნება პირდაპირი ვიზუალური კონტაქტი განსასჯელთან.ბავშვი მოწმისათვის, განსაკუთრებით კი ბავშვზე სავარაუდო ძალადობის შემთხვევებში, ასეთი ვიზუალური კონტაქტის დამყარება შეიძლება ტრავმის მომგვრელი იყოს.

> ბავშვსა და შესაძლო მოძალადეს შორის ვიზუალური კონტაქტის პრევენცია წარმოშობს სასამართლოში ბრალდებულის იდენტიფიცირების საკითხს.სასამართლოში იდენტიფიცირება ბევრ სამართლებრივ სისტემაში წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის განმტკიცებას.ასე რომ ეს არის სტანდარტული პროცედურა, რომ მოწმე, რომელიც გარკვეულ ბრალს უყენებს ბრალდებულს, ვალდებულია, მოახდინოს მისი იდენტიფიცირება სასამართლო დარბაზში. იდენტიფიცირების ყველაზე მიღებული ფორმა ვიზუალურია. მოწმეს ეკითხებიან, თუ ხედავს იგი იმ პირსსასამართლო დარბაზში, ვისზეც საუბრობს, და თუ მოწმე დადებით პასუხს იძლევა, მაშინ მას სთხოვენ, მიუთითოს ამ პირზე. იმისათვის, რომ მოხდეს ასეთი დრამატული გავლენის და შესაძლო ტრავმის თავიდან აცილება, რეკომენდებულია, რომ ბრალდებულის იდენტიფიცირება ბავშვის მიერ მოხდეს მას შემდეგ, რაც ის დაასრულებს ჩვენების მიცემას.ბავშვს არ უნდა მოსთხოვონ, რომ ჩვენების მიცემის შემდეგ დარჩეს დარბაზში, სადაც ბრალდებულიც იმყოფება, თუ ეს აუცილებელი არ არის საქმისათვის.[93]

***ჯვარედინი დაკითხვა:***

სადაც ეს შესაძლებელია, და შესაბამისი წესების დაცვით, მაგისტრატმა მოსამართლემ ან მოსამართლემ არ უნდა დაუშვას ბავშვი მოწმის ან დაზარალებულის ჯვარედინი დაკითხვა განსასჯელის მიერ. ასეთი ჯვარედინი დაკითხვა უნდა განხორციელდეს ადვოკატის მიერ მაგისტრატი მოსამართლის ან მოსამართლის ზედამხედველობის ქვეშ, რომელსაც ექნება უფლება, შეწყვიტოს დაკითხვა, თუ დასმული შეკითხვები იწვევს ბავშვის დაშინებას, უსიამოვნო მდგომარეობაში ჩაგდებას ან უსაფუძვლო მღელვარებას.[94]

---

90 Model Law, Art. 28 (excerpted).
91 Commentary – Model Law, Article 28, paras 4-5
92 See Bourg Carter, pp. 137-138
93 UNODC handbook, p. 82 (citing Australian law).
94 Model Law, Art. 27

ჯვარედინი დაკითხვა, როგორც წესი, ტარდება ბრალდებულის წარმომადგენლის მიერ. მაგრამ თუ ბრალდებული უარს ამბობს, მოიწვიოს წარმომადგენელი და სურს, საკუთარი თავი თვითონ დაიცვას, მაშინ ისეთი მოწყვლადი მოწმეების ჯვარედინი დაკითხვა, როგორებიც არიან ბავშვები, პრობლემა ხდება.[95]ზოგიერთი ეროვნული კანონმდებლობა უკრძალავს წარმომადგენლის გარეშე მყოფ ბრალდებულს ბავშვის ჯვარედინ დაკითხვას, განსაკუთრებით კი სექსუალური ძალადობის საქმეებში. ასეთ შემთხვევაში მოსამართლემ შეიძლება დანიშნოს წარმომადგენელი ბრალდებულისთვის კონკრეტული მიზნის – ჯვარედინი დაკითხვის განხორციელებისთვის.როდესაც წარმომადგენელი სვამს შეკითხვას, მაშინ ბავშვის პირდაპირი კონტაქტი ბრალდებულთან და, შესაბამისად, შიში თავიდან არის აცილებული.[96]

### *III. კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები*

#### *(ი).ძირითადი საკითხები*

ბავშვებს, რომლებიც ჩადიან სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დანაშაულს ან ბრალდებულნი ან მსჯავრდებულნი არიან დანაშაულის ჩადენაში, უწოდებენ ***კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს.*** ამ ტერმინის გამოყენება მიანიშნებს იმაზე, რომ ბავშვები, რომლებიც ბრალდებულები არიან დანაშაულის ჩადენაში, არ უნდა იყვნენ განხილულნი როგორც ზრდასრული ადამიანები და მათ არ უნდა მოექცენ ისევე, როგორც ზრდასრულებს.ეს განპირობებულიაბავშვების შეზღუდული ინტელექტუალური უნარებით, ფსიქოლოგიური, ემოციური, მორალური და სოციალური განვითარების დონით.

შესაბამისად, ბავშვის უფლებათა კონვენცია შეიცავს დამცავ მექანიზმებს, რომლებიც ასევე ასახულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის დებულებებში. ბავშვის უფლებათა კონვენციის ორი მუხლი პირდაპირ ეხება კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს: მე-40 და 37-ე მუხლები (პრაქტიკული თანმიმდევრობით) განხილულია აქ სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტების შესაბამის დებულებებთან ერთად. როგორც დაზარალებული ან მოწმე ბავშვების შემთხვევაში, ისევე კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების შემთხვევაში არსებობს გარკვეული პრინციპები:

## ვადები და მშობლების/წარმომადგენლების მონაწილეობა

მე-40მუხლი შეიცავს ბავშვის უფლებას:

იყოს ინფორმირებული დაუყოვნებლივ და უშუალოდ მის წინააღმდეგ არსებული ბრალდებებისა და თუ საჭიროა მშობლების ან წარმომადგენლის საშუალებით[97].

***დაუყოვნებლივ*** ნიშნავს რაც შეიძლება სწრაფად - და ეს არის დრო, როდესაც პროკურორი ან მოსამართლე ახორციელებს პირველ საპროცესო მოქმედებებს ბავშვის წინააღმდეგ. არსებობს საერთაშორისო შეთანხმება იმის თაობაზე, რომ ბავშვის მიერ შესაძლო სამართალდარღვევის ჩადენის მომენტსა და ამ ქმედებაზე საბოლოო რეაგირებას შორის უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე ვადა. რაც უფრო ხანგრძლივია ეს პერიოდი, მით უფრო მეტად კარგავს ბავშვის ქმედებაზე რეაქცია მის სასურველ პოზიტიურ, სასწავლო გავლენას და ამით კიდევ უფრო მეტად ხდება ბავშვის სტიგმატიზაცია.[98]

***უშუალოდ*** ნიშნავს, რომ ბავშვი უნდა იყოს ინფორმირებული პირადად და იმ ენაზე, რომელიც მას ესმის. ამაში კი შეიძლება იგულისხმებოდეს ოფიციალური სამართლებრივი ტერმინების ბავშვისთვის გასაგებ ენაზე გადმოცემა. პასუხისმგებელი ორგანოების ვალდებულებაა, უზრუნველყონ, რომ ბავშვმა სრულყოფილად გაიგოს მის მიმართ წაყენებული ყველა ბრალდება. ბავშვისთვის ოფიციალური დოკუმენტის გადაცემა არ არის საკმარისი – როგორც წესი, აუცილებელია სიტყვიერი განმარტება[99]. საუკეთესო შემთხვევაა, როდესაც ბავშვი და მშობლები ან წარმომადგენელი მიიღებენ ინფორმაციას ისე, რომ წაყენებული ბრალდებები და შესაძლო შედეგები[100] ყველასთვის თანაბრად იქნება გასაგები.

95 Model Law, commentary, article 27.
96 Model law, commentary, Article 27, para 2.
97 Convention, Art 40(2)(b)(ii), emphasis added.
98 General Comment No. 10, para 51
99 General Comment No. 10. paras 47-8.
100 General Comment No. 10. paras 47-8.

კონვენციის მე-5 მუხლი ხაზს უსვამს მშობლის პასუხისმგებლობის მნიშვნელობას ბავშვის განვითარების პროცესში:

„მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ მშობლებისა და შესაბამის შემთხვევებში ადგილობრივი ადათ-წესების შესატყვისად ფართოდ გაგებული ოჯახის წევრების ან თემის, მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, რომლებიც კანონის მიხედვით პასუხისმგებელნი არიან ბავშვზე, იმაზე, რომ სათანადოდ ხელმძღვანელობდნენ ბავშვს წინამდებარე კონვენციით აღიარებულ უფლებათა განხორციელებაში და აკეთებდნენ ამას ბავშვის უნართა განვითარების გათვალისწინებით."

პეკინის წესები (არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ადმინისტრირების შესახებ) განსაზღვრავს, რომ მშობელი ან მეურვე უნდა იყოს უფლებამოსილი, მონაწილეობა მიიღოს პროცესში და ასევე შესაძლოა დაესწროს სხვადასხვა პროცედურას, თუ ეს ბავშვის საუკეთესო ინტერესებშიშედის.[101]მშობლისა და მზრუნველის უფლება, მონაწილეობა მიიღონპროცესში, განხილულიუნდა იყოს როგორც ზოგადი „ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერა"[102]. წესებში აღნიშნულია, რომ მშობლების ან მეურვის დასწრებამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს ბავშვზე, მაგალითად, თუ ისინი ამჟღავნებენ მტრულ დამოკიდებულებას ბავშვის მიმართ, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უზრუნველყოფილიიყოს მათი ჩამოცილება პროცესიდან.[103]

ბავშვის უფლებათა კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ ხელშემკვრელმა სახელმწიფოებმა მაქსიმალურად ჩართონ და მონაწილეობა მიაღებინონ მშობლებს და მეურვეებს ბავშვის წინააღმდეგ წარმართულ სამართლებრივ პროცედურებში. მშობლის მონაწილეობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია, რომ ***დაუყოვნებლივ მოხდეს მშობლების ინფორმირება ბავშვის დაკავების თაობაზე.***[104]

მე-40 მუხლი ადგენს კანონის დამრღვევი ყველა ბავშვის უფლებას, ჰქონდეს შემდეგი გარანტიები:

„კომპეტენტური, დამოუკიდებელი ან მიუკერძოებული ორგანოს ან სასამართლო ორგანოს მიერ სამართლიანი განხილვის შედეგად განსახილველ საკითხზე დაუყოვნებელი გადაწყვეტილების მიღება კანონის თანახმად, ადვოკატის ან სხვა შესაბამისი პირის თანდასწრებით და, თუკი ეს არ ეწინააღდეგება ბავშვის ყველაზე ჭეშმარიტ ინტერესებს, მისი ასაკის ან მისი მშობლების ან კანონიერი მეურვეების მდგომარეობის გათვალისწინებით".[105]

ეს დებულება ეხება პერიოდს ბავშვისთვის ბრალდების ოფიციალურად წაყენების მომენტიდან სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების გამოტანამდე.

ტერმინი„დაყოვნების გარეშე" უფრო ძლიერი ტერმინია, ვიდრე „უსაფუძვლო დაყოვნების გარეშე," რომელიც აღნიშნულიასამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტის14(3)(გ) მუხლში – შესაბამისი გარანტია სრულწლოვნებისთვის. ეს განსხვავება გულისხმობს ბავშვის შემთხვევაში უფრო შემსუბუქებული პროცედურების განხორციელებას მართლმსაჯულების სისტემაში. ეს შეიძლება გახდეს საფუძველი იმისა, რომ არასრულწლოვანთა საქმეებს პრიორიტეტი მიენიჭოს სრულწლოვანთა საქმეებთან შედარებით.[106]

კომიტეტი იძლევა რეკომენდაციას, რომ წევრმა სახელმწიფოებმა თავად დაადგინონ და დაიცვან ვადები დანაშაულის ჩადენის მომენტიდან გამოძიების დასრულებამდე, პროკურორის (ან სხვა შესაბამისი ორგანოს) გადაწყვეტილებამდე, წაუყენოს ბრალი ბავშვს, და საბოლოოდ სასამართლოს ან მართლმსაჯულების სხვა ორგანოს გადაწყვეტილებამდე. ეს ვადები ბევრად უფრო მოკლე უნდა იყოს, ვიდრე სრულწლოვნებისთვის დაწესებული ვადები[107]. . .

***ბავშვის მონაწილეობა***

მშობლის და მზრუნველის მონაწილეობის გარდა, კონვენციის მე-40 მუხლი ადგენს, რომ ბავშვს, რომელსაც ბრალად ედება სისხლის სამართლის კანონის დარღვევა, უფლება აქვს, ეფექტურად მიიღოს მონაწილეობა სასამართლო პროცესში.

ბავშვს აგრეთვე უნდა ესმოდეს მოსალოდნელი შედეგები და სასჯელის ზომა, რათა შეძლოს კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით ეჭვქვეშ დააყენოს მოწმეთა ჩვენებები, გადმოსცეს საქმის არსი და მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება მტკიცებულებების, ჩვენებებისა და მის მიმართ გასატარებელი ზომის (ზომების)

101 Beijing Rules, 15.2
102 Beijing Rules, 15.2, commentary
103 Beijing Rules, 15.2, commentary
104 General comment No. 10, para 54 (emphasis added)
105 Article 40(2)(b)(iii)
106 General Comment No. 10, para 51
107 General Comment No. 10, para 52

შესახებ[108].

ბავშვის უფლება, მიიღოს მონაწილეობა პროცესში, პირველ რიგში, გამოიხატება მის უფლებაში, იყოს დაუყოვნებლივ და უშუალოდ ინფორმირებული მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდების თაობაზე. პეკინის წესების მე-14 მუხლის მიხედვით, სასამართლო სხდომები უნდა ტარდებოდეს ისეთ გარემოში, რომელიც საშუალებას აძლევს ბავშვს, მიიღოს მონაწილეობა და ღიად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები. ბავშვის ასაკისა და სიმწიფის გათვალისწინებით, შესაძლებელია, ასევე, საჭირო გახდეს სხდომის ჩატარება შესაბამისად მოდიფიცირებული მოსმენის პროცედურებისა და პრაქტიკის მიხედვით[109].

***პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა***

მე-40 მუხლით გარანტირებულია ბავშვის უფლება მისი პირადი ცხოვრების პატივისცემისა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ ეტაპზე[110]. პეკინის წესების კომენტარი განმარტავს, რომ ბავშვები განსაკუთრებით მგრძნობიარენი არიან სტიგმატიზაციის მიმართ. სტიგმატიზაციის კვლევამ გამოავლინა ახალგაზრდა პირებისთვის „დამნაშავის" იარლიყის მიწებების ზიანის მომტანი შედეგი[111]. პეკინის წესები თავად ადგენს:

„ყველა ეტაპზე დაცული უნდა იქნეს არასრულწლოვნის უფლება პირად ცხოვრებაზე, რათა თავიდან იქნეს აცილებული არასათანადო საჯაროობით ან რეპუტაციის შელახვით გამოწვეული ზიანი.

ზოგადად, არ შეიძლება გამოქვეყნდეს ინფორმაცია, რომელიც ხელს შეუწყობს არასრულწოვანის პირის იდენტიფიცირებას[112].

კომიტეტი რეკომენდაციას უწევს ყველა მონაწილე სახელმწიფოს, შემოიღოს წესი, რომლის მიხედვითაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის საქმის განხილვა მოხდება დახურულ კარს მიღმა. უფრო მეტიც, პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლება ასევე გულისხმობს კანონდამრღვევი ბავშვების შესახებ დოკუმენტაციის კონფიდენციალურად შენახვას პროცესის ყველა მონაწილის მიერ. არასრულწლოვნის სისხლის სამართლის საქმე უნდა იყოს დაცული[113].

***სოციალური მოკვლევის ანგარიში/წინასასამართლო მოკვლევა***

კომპეტენტური ორგანოს მიერ განაჩენის გამოტანამდე ბავშვის საქმეში „გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი არასრულწლოვნის ცხოვრების პირობები, რომლებშიც ჩაიდინა სამართალდარღვევა".[114]

სოციალური მოკვლევის ანგარიშები წარმოადგენს მნიშვნელოვან დახმარებას სისხლის სამართლის პროცესში, რომლებშიც მონაწილეობს არასრულწლოვანი. კომპეტენტური ორგანო ინფორმირებული უნდა იყოს არასრულწლოვნის შესახებ შესაბამისი ფაქტების თაობაზე, როგორიცაა, მაგალითად, სოციალური და ოჯახური მდგომარეობა, სკოლაში ყოფაქცევა, განათლება და ა.შ. ამ მიზნისთვის ზოგიერთ იურისდიქციაში გამოიყენება სპეციალური სოციალური სამსახურები ან თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ სასამართლოში; ამავე ფუნქციას შეიძლება ასრულებდნენ სხვა პირები, მათ შორის პრობაციის ოფიცერი. წესი მოითხოვს, რომ უნდა არსებობდეს ადეკვატური სოციალური სამსახურები, რათა სოციალური მოკვლევის ანგარიშები კომპეტენტურადშეადგინონ.[115]

ადვოკატები კარგად უნდა იცნობდნენ ყველა სახის სოციალური მოკვლევის რესურსებს, რომლებიც ხელმისაწვდომია კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის. ადვოკატებმა სასამართლოს უნდა მოსთხოვონ სპეციალური ანგარიშის შედგენა, როდესაც ეს შესაძლებელია.

ბავშვის უფლებათა „კონვენციის მე-40 მუხლი ადგენს, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები არ უნდა აიძულონ, მისცენ ჩვენება ან აღიარონ დანაშაული.[116]

---

108 General Comment No. 10, para 46
109 General Comment No. 10, para 46
110 CRC, Art. 40(2)(b)(vii)
111 Beijing Rules,*supra* note 130, Rule 8 commentary.
112 Beijing Rules, 8.1;8.2
113 General Comment No. 10, paras. 65-66.
114 Beijing Rules, 16.1
115 Beijing Rules
116 CRC, Art. 40(2)(b)(iv). Also included is the right to "examine or have examined adverse witnesses and to obtain the participation and examination of witnesses on his or her behalf under conditions of equality[.]"

### *37-ე მუხლი*

კონვენციის 37-ე მუხლი ადგენს დამცავ მექანიზმებს თავისუფლებააღკვეთილი ბავშვებისათვის[117], იქნება ეს წინასწარი პატიმრობა თუ მსჯავრდების შემდგომი პატიმრობა. 37-ე მუხლი მოიცავს: წამების და სასტიკი ან არაადამიანური მოპყრობის აკრძალვას, სიკვდილით დასჯის აკრძალვას-ანუ იმ დამცავ მექანიზმებს, რომლებიც მსგავსია სრულწლოვნებისთვის ევროპული კონვენციით და სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებათა საერთაშორისო პაქტითგათვალისწინებული დამცავი მექანიზმებისა. კონვენციის როგორც მე-40 მუხლი, ისევე 37-ე მუხლი ადგენს დამატებით დამცავ მექანიზმებს ბავშვებისთვის.

ადვოკატმა უნდა შეახსენოს მოსამართლეებს, რომ ის წარმოადგენს საზოგადოებას, მათ შორის კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს. მათ კარგად უნდა ესმოდეთ, თუ რა გავლენა შეიძლება იქონიოს ბავშვზე მათ მიერ შეფარდებულმა ზომამ თუ სასჯელმა.

### *37-ე მუხლი ადგენს:*

არც ერთ ბავშვს არ აღეკვეთოს თვისუფლება უკანონო ან ნებისმიერი სახით. დაპატიმრება, დაკავება ან დატუსაღება ხორციელდება კანონის თანახმად და გამოიყენება მხოლოდ უკიდურეს ზომად და დროის რაც შეიძლება შესაბამისი მოკლე პერიოდის განმავლობაში. [118]

წინასწარი პატიმრობა შეიძლება გამოყენებული იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არის ერთადერთი საშუალება სასამართლოზე ბავშვის დასწრების უზრუნველსაყოფად ან თუ ბავშვი საფრთხეს წარმოადგენს საკუთარი თავისთვის ან სხვებისთვის. წინასწარი პატიმრობა არასდროს არ უნდა იყოს გამოყენებული როგორც დასჯის ზომა, ვინაიდან ეს წარმოადგენს უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევას.[119]

37-ე მუხლი მოითხოვს, რომ თავისუფლებაშეზღუდული ყველა ბავშვის მიმართ მოპყრობა იყოს „ჰუმანური და ღირსეული" და შეესაბამებოდეს ბავშვის ასაკს და საჭიროებებს. 37-ე მუხლი ასევე მოითხოვს, რომ საპატიმროში მყოფი ყველა ბავშვი განცალკევებული იყოს სრულწლოვნებისგან (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს არ შედის ბავშვის საუკეთესო ინტერესებში) და რომ ბავშვმა შეინარჩუნოს კონტაქტი საკუთარ ოჯახთან მიმოწერის და შეხვედრების საშუალებით — გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.[120]

ჰავანას წესების მიხედვით„არასრულწლოვანთა დაპატიმრებას ადგილი უნდა ჰქონდეს მხოლოდ იმ პირობებში, როცა სრულად იქნება მხედველობაში მიღებული მათი კონკრეტული მოთხოვნები, სტატუსი და სპეციალური მოთხოვნილებები მათი ასაკის, პიროვნულობის, სქესისა და დანაშაულის ტიპის, ისევე როგორც გონებრივი და ფიზიკური ჯანმრთელობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს მათ დაცვას მავნე ზეგავლენისა და სარისკო სიტუაციებისაგან".[121]ბავშვები თავად დაყოფილები უნდა იყვნენ სხვადასხვა კატეგორიის მიხედვით და„პრინციპული კრიტერიუმი კატეგორიებად მათ დასაყოფადუნდა იყოს მათი კონკრეტული მოთხოვნებისათვის შესაბამისი მოპყრობის ტიპის უზრუნველყოფა და მათი ფიზიკური, გონებრივი და მორალური მთლიანობისა და კეთილდღეობის დაცვა".[122]

როგორც კი მოხდება ბავშვის საპატიმროში შესვლა, აუცილებელია, რომ თითოეული არასრულწლოვანი გამოიკითხოს და შედგეს ფსიქოლოგიური და სოციალური ანგარიშები, სადაც გამოვლენილი იქნება ფაქტორები, რომლებიც დაგვეხმარება სპეციალური საჭიროების და შესაბამისი პროგრამის შემუშავებასა და განხორციელებაში. ეს ანგარიში, სამედიცინო პერსონალის მიერ არასრულწლოვნის საპატიმროში შემოსვლისას ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის ანგარიშთან ერთად, ეგზავნება დაწესებულების ხელმძღვანელს, რათა შეირჩეს ბავშვისთვის ყველაზე შესაფერისი გარემო და მოვლის და მზრუნველობის პროგრამა. როდესაც სპეციალური სარეაბილიტაციო მკურნალობა არის საჭირო და ამის საშუალებას იძლევა დაწესებულებაში ყოფნის ვადა, მაშინ სპეციალურად მომზადებული თანამშრომლები ამზადებენ წერილობით გეგმას - ინდივიდუალური მიდგომისგეგმას, სადაც განსაზღვრულია გეგმის მიზნები, ვადები და მეთოდები, ეტაპები და ის საშუალებები, რომლებითაც მიზანი იქნება მიღწეული.[123]

---

117 The Havana Rules define the deprivation of liberty as:any form of detention or imprisonment or the placement of a person in a public or private custodial setting, from which this person is not permitted to leave at will, by order of any judicial, administrative or other public authority. (Rule 11(b))

118 CRC Art 37(2)(b) (emphasis added)

119 General Comment no. 10, para 80.

120 Havana Rules, 11(c)

121 Havana Rules, 28

122 Havana Rules, 28

123 Havana Rules, 27

***კონვენციის 37-ე მუხლი განსაზღვრავს:***

„ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი უნდა სარგებლობდეს ჰუმანური მოპყრობით და მისი პიროვნების განუყოფელი ღირსების პატივისცემით მისი ასაკის პირთა მოთხოვნილებების გათვალისწინებით. კერძოდ, ყოველი თავისუფლებააღკვეთილი ბავშვი განცალკევებული უნდა იყოს უფროსებისგან, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მიჩნეულია, რომ ამის გაკეთება არ ღირს ბავშვის საუკეთესო ინტერესებისათვის, და ჰქონდეს უფლება კავშირი იქონიოს თვის ოჯახთან მიმოწერის და პაემნის მეშვეობით, გარდა განსაკუთრებული გარემოებებისა.[124]

ზოგადი კომენტარი №10 განსაზღვრავს კონკრეტულ ვადას, რომლის განმავლობაშიც ბავშვი შეიძლება იმყოფებოდეს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემაში.ნებისმიერი ბავშვი მისი თავისუფლების აღკვეთის მომენტიდან 24 საათის განმავლობაში უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე იმისათვის, რომ დადგინდეს მისი დაკავების კანონიერება – ამის შემდეგ ხშირად უნდა ხდებოდეს ზომის გამოყენების გადახედვა.[125]იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ბავშვის მიმართ ალტერნატიული ზომების გამოყენება, მას ოფიციალურად უნდა წაეყენოს ბრალი იმ დანაშაულისთვის, რომელიც, როგორც ფიქრობენ, მან ჩაიდინა, და იგი წარდგენილიუნდა იქნეს კომპეტენტური და დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე დაკავების მომენტიდან არა უგვიანეს 30 დღის განმავლობაში.[126]სასამართლომ ან სხვა კომპეტენტურმა ორგანომ გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ბავშვისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ საქმის წარდგენიდან არა უგვიანეს 6 თვის განმავლობაში.[127]

მარტივად რომ ვთქვათ, არასრულწლოვანთა საქმე მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალების პრიორიტეტი უნდა იყოს.

### *(ii). სანქციები*

სანქციები კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვებისთვის წარმოადგენს მუდმივი დებატების სგანს:

არასრულწლოვნის საქმის სასამართლო წესით განხილვის სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავებისას ძირითადი პრობლემა არის ის, რომ არსებობს ფილოსოფიური ხასიათის გადაუჭრელი წინააღმდეგობები, როგორიცაა:

(ა) რეაბილიტაცია სამართლიანი მიდგომის წინააღმდეგ;

(ბ) დახმარება რეპრესიებისა და დასჯის წინაღმდეგ;

(გ) რეაგირების მოხდენა კონკრეტული საქმის არსებითი მხარის გათვალისწინებითისეთი რეაგირების წინააღმდეგ, რომლის მიზანია მთლიანად საზოგადოების დაცვა.

კონფლიქტი ამ მიდგომებს შორის უფრო მნიშვნელოვანია არასრულწლოვანთა საქმეებზე, ვიდრე სრულწლოვანთა საქმეებზე. არასრულწლოვანთა საქმეების დამახასიათებელი უამრავი მიზეზისა და რეაგირების გათვალისწინებით ეს ალტერნატივები ერთმანეთში მეტად ძლიერაა გადახლართული.[128]

პეკინის წესები შეიცავს სახელმძღვანელო პრინციპებს ბავშვის საქმეზე გამოსატანი გადაწყვეტილების კუთხით:

კომპეტენტური ორგანოს გადაწყვტილება უნდა ემყარებოდეს შემდეგ პრინციპებს:

(ა) ზემოქმედების ზომა ყოველთვის უნდა იყოს არა მარტო სამართალდარღვევის სიმძიმისა და გარემოებების პროპორციული, არამედ ასევე არასრულწლოვნის მდგომარეობისა და საჭიროებების, ასევე საზოგადოების საჭიროებების პროპორციული;

(ბ) არასრულწლოვნის თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება გამოყენებული იქნეს მხოლოდ დაწვრილებით განხილვის შემდეგ და უნდა შემოიფარგლოს შესაძლო მინიმუმით;

***(გ) თავისუფლების შეზღუდვა არ გამოიყენება, თუ არასრულწლოვანს არ ასამართლებენ სერიოზული ქმედებისათვის სხვა პირის მიმართ ძალადობით ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევების არაერთჯერადი***

124 CRC Art. 37(d), emphasis added
125 General Comment No. 10, para 83
126 General Comment No. 10, para 83
127 General Comment No. 10, para 83
128 Beijing Rules, 17.4, commentary

***ჩადენისათვის და თუ არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმდების ღონისძიება.***

(დ) არასრულწოვნის კეთილდღეობა არის გადამწყვეტი ფაქტორი მისი საქმისგანხილვისას.[129]

ეს პრინციპები შესაბამისობაშია კონვენციის 37(ბ) მუხლთან, რომელიც ზემოთ იყო განხილული და რომლითაც დადგენილია, რომ ბავშვის პატიმრობა შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც უკიდურესი ზომა და უმოკლესი ვადით. მოსამართლემ, როდესაც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვისთვის სანქციაზე მსჯელობს, ამ საკითხზე ფიქრი უნდა დაიწყოს საწყისი მომენტიდან. მოსამართლემ უნდა იცოდეს რესურსები, რომლებიც თავისუფლების აღკვეთის ადგილებშია ხელმისაწვდომი: მიიღებს თუ არა შესაბამის მზრუნველობას მენტალური პრობლემების მქონე ბავშვი? შეძლებს თუ არა ალკოჰოლზე ან ნარკოტიკზე დამოკიდებული ბავშვი გაიაროს სარეაბილიტაციო პროგრამა პატიმრობისას? სთავაზობს თუ არა დაკავების ადგილები ბავშვებს შესაბამის კეთილდღეობას?[130]ბავშვისთვის პატიმრობის შეფარდებას საფუძვლად უნდა დაედოს ბავშვის ჩადენილი სერიოზული ძალადობრივი ქმედება ან განმეორებითი სერიოზული დანაშაულები.

პეკინის წესების მიხედვით, მეტი მოქნილობისა და „გამოსასწორებელ დაწესებულებაში განთავსების შეძლებისდაგვარად თავიდან აცილების მიზნით" კომპეტენტურ ორგანოს უნდა გააჩნდეს სხვადასხვა ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა. ეს ღონისძიებები მოიცავს: მზრუნველობას, ხელმძღვანელობისა და ზედამხედველობის ღონისძიებებს; პრობაციას; ბრძანებას საზოგადოებრივად სასარგებლო შრომის შესახებ; ფინანსურ სასჯელებს, კომპენსაციას და რესტიტუციას; შუალედური ან სხვაგვარი მკურნალობის შესახებ ბრძანებას; ბრძანებას სამეურვეოდ გადაცემის, საცხოვრებელი გარემოს შესახებ და სხვ.[131]

მოცემულ მაგალითებს საერთო აქვთ ის, რომ ყველა მათგანი დამოკიდებულია საზოგადოებაზე ალტერნატიული გადაწყვეტილებების ეფექტიანად განსახორციელებლად. საზოგადოებაზე დამყარებული გამოსწორება ტრადიციული ღონისძიებაა, რომელიც გამოიყენება ბევრ ასპექტში. ამის გამო კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა გამოიყენონ საზოგადოებაზე ორიენტირებული ღონისძიებები.[132]

ბავშვს უნდა მიეცეს უფლება, თავისუფლად გამოთქვას საკუთარი შეხედულებები მასზე დაკისრებულ (ალტერნატიულ) ზომებთან დაკავშირებით. ასევე, სათანადოდ გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი სურვილები ან არჩევანი. იმ ფაქტის დაშვება, რომ ბავშვს შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა, გულისხმობს იმასაც, რომ იგი საკმარისად კომპეტენტურია და შესწევს უნარი, მიიღოს სრული მონაწილეობა იმ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ეხება მის მიმართ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევის შედეგად წაყენებულ ბრალდებაზე ყველაზე მართებული ზომის მიღებას. ცხადია, გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა მოსამართლეებს აკისრიათ, მაგრამ ბავშვის როგორც პასიური ობიექტის მიმართ მოპყრობა არ აღიარებს მის უფლებებს და აფერხებს მის ქცევაზე ეფექტიან რეაგირებას. ეს ეხება, აგრეთვე, ბავშვთან დაკავშირებით მისაღებ ზომებსაც. კვლევების შედეგად დადასტურდა, რომ ბავშვის ეფექტიან მონაწილეობას უმეტეს შემთხვევებში დადებითი შედეგი მოაქვს.[133]

ადვოკატები არიან ის ადამიანები, ვისაც ყველაზე კარგად შეუძლიათ კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის მოსაზრებების გადმოცემა.

## ალტერნატიული ზომები:

### *მართლმსაჯულების სისტემიდან განრიდება*

განრიდება სტიგმატიზაციას უშლის ხელს, იგი განსაკუთრებით დადებითად მოქმედებს საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე და, როგორც გამოცდილებამ დაადასტურა, ხარჯეფექტურიცაა. განრიდების ფორმები მოიცავს თემზე დაფუძნებულ პროგრამებს, როგორიცაა საზოგადოებისათვის სასარგებლო აქტივობები, ზედამხედველობა და ხელმძღვანელობა სოციალური მუშაკის ან პრობაციის ოფიცრის მხრიდან, საოჯახო კონფერენციები და აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ფორმები, კომპენსაციისა და რესტიტუციის ჩათვლით.[134]

---

129 Beijing Rules, rule 17.1 (emphasis added)

130 Havana Rules, rules 83-85

131 Beijing Rule 18.1

132 Beijing Rule 18.1, commentary

133 General Comment No. 10, para. 45

134 **U.N. Doc. No.**CRC/C/GC/10, *supra* note 129,unofficial summary, taken from: UNICEF, Implementation handbook for the Convention on the Rights of the Child, 2007, 604-606.

მონაწილე სახელმწიფოებმა თავად უნდა გადაწყვიტონ იმ ღონისძიებების ზუსტი ხასიათი და შინაარსი, რომლებიც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების საკითხის სამართლებრივი პროცედურების გვერდის ავლით მოგვარებას ეხება. მათ განსახორციელებლად მონაწილე სახელმწიფოები თავად ადგენენ ყველა საკანონმდებლო თუ სხვა სახის ზომას. თუმცა კომიტეტისათვის, მონაწილე სახელმწიფოების მიერ წარდგენილ ანგარიშებზე დაყრდნობით, ნათელია, რომ შემუშავდა თემზე დაფუძნებული მრავალფეროვანი პროგრამები. მაგალითად, სათემო სერვისები, ზედამხედველობა და მონიტორინგი, რომელსაც სოციალური მუშაკები და პრობაციის სამსახურის თანამშრომლები ახორციელებენ, საოჯახო კონფერენცია და აღდგენითი მართლმსაჯულების სხვა ფორმები, კომპენსაციისა და რესტიტუციის ჩათვლით. სხვა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ისარგებლონ ამ გამოცდილებით. ადამიანის უფლებათა პატივისცემისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვის მიზნით კომიტეტი მიუთითებს კონვენციის მე-40 მუხლზე და აღნიშნავს შემდეგს:

- განრიდება (ანუ იმ ბავშვებისათვის სამართლებრივი პროცედურების გვერდის ავლა, რომლებმაც, სავარაუდოდ, დაარღვიეს სისხლის სამართლის კანონმდებლობა, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან აღიარებულნი არიან მის დამრღვევებად) დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს იმის უტყუარი მტკიცებულება, რომ ბავშვმა ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული, ის სრულად და ძალდატანების გარეშე აღიარებს პასუხისმგებლობას ჩადენილთან მიმართებით, აღიარებას საფუძვლად არ უდევს ზეწოლა ან იძულება და ბოლოს, იმ შემთხვევაში, თუ ეს აღიარება არ გამოიყენება მის წინააღმდეგ საქმესთან დაკავშირებული ნებისმიერი სამართლებრივი განხილვისას.

- ბავშვმა განრიდებაზე თანხმობა უნდა გამოხატოს წერილობითი ფორმით და ნებაყოფლობით. თანხმობა უნდა ეფუძნებოდეს ღონისძიების ბუნების, შინაარსისა და ხანგრძლივობის შესახებ ზუსტ ინფორმაციას. მასში ნათლად უნდა იყოს გამოხატული ის, თუ რა შედეგები შეიძლება მოჰყვეს თანამშრომლობაზე უარის თქმას და პირობების შეუსრულებლობას. მშობლების ჩართულობის გააქტიურების მიზნით მონაწილე სახელმწიფოებმა შეიძლება ასევე საჭიროდ ცნონ მშობლების თანხმობაც, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც ბავშვს ჯერ არ შესრულებია თექვსმეტი წელი.

- საჭიროა კანონში შეტანილი იქნეს სპეციალური დებულებები, რომლებიც განსაზღვრავს, თუ რა შემთხვევებშია შესაძლებელი განრიდება. გარდა ამისა, დისკრიმინაციისაგან ბავშვის დაცვის მიზნით საჭიროა პოლიციის, პროკურატურისა და/ან სხვა უწყებების როლისა და კომპეტენციის გადახედვა და დარეგულირება.

- ბავშვს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, შესაბამისი უწყებებიდან მიიღოს იურიდიული ან სხვა სახის დახმარება შეთავაზებული განრიდების შესაბამისობასა და მართებულობასთან, აგრეთვე მისი გადახედვის შესაძლებლობასთან დაკავშირებით.

- განრიდებით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელებას ბავშვის მიერ საქმის საბოლოო დახურვა უნდა მოჰყვეს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია საქმის შენახვა ადმინისტრაციული ან გადასინჯვის მიზნებისთვის, ამგვარი საქმე არ უნდა განიხილებოდეს როგორც ნასამართლობის დამამტკიცებელი დოკუმენტი, ხოლო ბავშვი, რომელიც დაექვემდებარა განრიდებას, არ უნდა განიხილებოდეს როგორც ნასამართლობის მქონე. თუ საქმე რეგისტრირებულია, მხოლოდ შესაბამისი ნებართვის მქონე და კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან მომუშავე პირს უნდა ჰქონდეს მისი გამოყენების უფლება, ისიც შეზღუდული პერიოდის, მაგალითად, ერთი წლის განმავლობაში.[135]

2010 წლის ბოლოს საქართველოში დაიწყო არასრულწლოვანთა განრიდების პროგრამის განხორციელება.

***აღდგენითი მართლმსაჯულება***

როდესაც ეს აუცილებელი და სასურველია, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების მიმართ შეიძლება გამოყენებული იყოს აღდგენითი მართლმსაჯულების მეთოდები მართლმსაჯულების პროცედურების გავლით და ადამიანის უფლებების და სამართლებრივი დაცვის მექანიზმების სრული დაცვით.

„მონაწილე სახელმწიფოები ესწრაფვიან, ხელი შეუწყონ ისეთ ბავშვებთან უშუალოდ დაკავშირებული კანონების, პროცედურების, ორგანოებისა და დაწესებულებების დადგენას, რომლებმაც, როგორც მიჩნეულია, დაარღვიეს სისხლის სამართლის კოდექსი, ბრალად ედებათ მისი დარღვევა ან ბრალეულად არიან მიჩნეული მის დარღვევაში, და კერძოდ:

135 CRC – Committee on the Rights of the Child General Comment No. 10

ა) მინიმალური ასაკის დადგენას, რომლის ქვემოთაც მიჩნეულია, რომ ბავშვებს არ შეუძლიათ სისხლის სამართლის კანონმდებლობის დარღვევა;

ბ) თუ აუცილებელია და სასურველი, ასეთი ბავშვებისადმი მიიღონ ზომები სასამართლო გარჩევის გამოუყენებლად ადამიანის უფლებების და სამართლებრივი გარანტიების სრული დაცვის პირობით".[136]

აღდგენითი მართლმსაჯულება ეხება პროცესს, რომლითაც ხდება დანაშაულის შედეგების მოგვარება დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების, დამნაშავის მიერსაკუთარი ქმედებისთვის პასუხისმგებლობის შეგრძნების და კონფლიქტის გადაწყვეტაში საზოგადოების ჩართვის გზით. აღდგენითი პროცესი არის ნებისმიერი პროცესი, სადაც დაზარალებული და დამნაშავე და, თუ საჭიროა, ნებისმიერი სხვა პირი ან საზოგადოების წარმომადგენელი, რომელზეც დანაშაულმა იქონია გავლენა, იღებენ აქტიურ მონაწილეობას იმ საკითხების მოგვარებაში, რომლებიც წარმოიშვა დანაშაულის შედეგად. როგორც წესი, ეს ხდება ფასილიტატორის დახმარებით

აღდგენითი მართლმსაჯულების მახასიათებლებია:

- დანაშაულის, დამნაშავისა და დაზარალებულის გარემოებებზე მოქნილი რეაგირება, რომელიც საშუალებას იძლევა, განხილული იყოს დამოუკიდებლად, რეაგირება, რომელიც პატივს სცემს თითოეული ადამიანის ღირსებას და თანასწორობას, ადგენს ურთიერთგაგებას და მხარს უჭერს სოციალურ ჰარმონიას. . .
- მიდგომა, რომელიც შეიძლება გამოყენებული იყოს ტრადიციულ სისხლისსამართლებრივ პროცედურებთან და სანქციებთან ერთად;
- მიდგომა, რომელიც მოიცავს პრობლემის მოგვარებას და კონფლიქტის გამომწვევ მიზეზებს;
- მიდგომა, რომელიც ეხმიანება დაზარალებულისათვის მიყენებულ ზიანს და მის საჭიროებებს;
- პასუხი, რომელიც აღიარებს საზოგადოების როლს როგორც წამყვან საშუალებას დანაშაულის პრევენციის და მასზე რეაგირების კუთხით და საზოგადოებრივი წესრიგის დამყარების მიზნით.[137]

. . . როდესაც ეს საჭიროა,ბავშვის მონაწილეობით ჩადენილი დანაშაულის არაფორმალური გზით გადაწყვეტისას გამოყენებული უნდა იყოს მედიაციის და აღდგენითი მართლმსაჯულების პრაქტიკა, განსაკუთრებით კი იმ შემთხვევაში, თუ არსებობს დანაშაულის შედეგად დაზარალებული. ამ პროცესში ჩართული უნდა იყოს ოჯახი, თუ ეს ემსახურება ბავშვის საუკეთესო ინტერესებს.[138]

### *(iii)*CUBAC ***(ბავშვები, რომელსაც იყენებენ ზრდასრული ადამიანები დანაშაულის ჩასადენად)***[139]

1990 წელს გაეროს გენერალურ ასამბლეაზე აღიარებული იყო, რომ ზრდასრული ადამიანების მიერ დანაშაულებრივი საქმიანობისთვის ბავშვების გამოყენება უდიდეს პრობლემადიქცა. გაეროს 45/115რეზოლუციით[140] გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა გაეროს წევრ სახელმწიფოებს, მიეხედათ ზრდასრული ადამიანების მიერ არასრულწლოვნების დანაშაულებრივ ქმედებაში– მათ შორის ნარკოტიკულ დანაშაულში, პროსტიტუციაში, პორნოგრაფიაში, ქურდობასა და მათხოვრობაში – ჩართვისთვის. რეზოლუციამ დაადგინა, რომ ასეთი ექსპლუატაცია ართმევს ბავშვებს უფლებას, განვითარდნენ, მიიღონ განათლება და აღიზარდონ, ართმევს ბავშვებს მომავალს და საშუალებას,გახდნენ საზოგადოების სრულუფლებიანი წევრები. რეზოლუციაში ასევე აღნიშნულია, რომ ქუჩაში მცხოვრები და მომუშავე ბავშვები (ე.წ. „ქუჩის ბავშვები") განსაკუთრებით მოწყვლადნი არიან უფროსის მხრიდან ექსპლუატაციის მიმართ. რეზოლუცია მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს, ებრძოლონ ასეთ მანკიერ ქმედებებს და არ მოახდინონ ბავშვების განმეორებითი ვიქტიმიზაცია, ვინაიდან ისინი თავად უკვე არიან დანაშაულის მსხვერპლნი. გენერალურმა ასამბლეამ მოუწოდა წევრ სახელმწიფოებს, გაზარდონ ინფორმირებულობა სამართალდამცველი ორგანოების და მართლმსაჯულების სისტემის წარმომადგენელთა შორის სოციალური რისკის თაობაზე, რაც იწვევს ზრდასრული ადამიანებისმიერ ბავშვებით მანიპულირებას და მათ არაკანონიერ საქმიანობაში ჩართვას, და

---

136 CRC Article 40(3)(b)

137 UNODC *Handbook on Restorative Justice Programmes* (United Nations publication, Sales No. E.06.V.15), pp.5-8.

138 Guidelines for Action

139 The acronym CUBAC was coined by the Community Law Centre of the Western Cape (South Africa) as an abbreviation for the term 'children used by adults to commit crime.' Cheryl Frank, 'Abuse of a Different Kind: Adults using children to commit crime`, Institute for Security Studies.

140 A/RES/45/115, 68th plenary meeting, 14 December 1990.

დაადგინონ შესაბამისი სანქციები იმ პირების მიმართ, ვინც ახორციელებს ბავშვების ექსპლუატაციას, ანუ მათ მიმართ, „ვინც არის დანაშაულის ავტორი და გამომწვევი, და არა ბავშვების მიმართ".

2005 წელს სამხრეთ აფრიკაში დასავლეთ კეიპის უნივერსიტეტის საზოგადოებრივი სამართლის ცენტრში დაიწყო იმ ბავშვების შესწავლა, ვისაც იყენებენ ზრდასრული ადამიანები დანაშაულის ჩასადენად (CUBAC).[141] კვლევა იყო ნაწილი უფრო ფართო პროგრამისა: ბავშვის საქმიანობის უკიდურესი ფორმების აღმოფხვრის წინააღმდეგ მიმართული სასწავლო პროექტისა, რომელიც შეიქმნა გაეროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ, რომელიც ცდილობს დასაქმებაში ბავშვების ჩართვის აღმოფხვრას. კვლევა განხორციელდა იმ ბავშვების პირდაპირი მონაწილეობით, რომლებიც მოხვდნენ მართლმსაჯულების სისტემაში მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო. კვლევაში გათვალისწინებული იყო ბავშვების პირდაპირი მონაწილეობა (ინტერვიუს და კვლევის საშუალებით) როგორც მეთოდოლოგიის ძირითადი ასპექტი.

კვლევისას დანაშაულში ჩართულ ბავშვებს დაესვათ ზოგადი შეკითხვა: რა ფაქტორებმა გამოიწვია დანაშაულში თქვენი ჩართვა? მიღებული პასუხებიდან გამომდინარე განისაზღვრა ძირითადი ფაქტორები: მძიმე ოჯახური მდგომარეობა, ნარკოტიკის გამოყენება, თანატოლების ზეწოლა და დაჯგუფებებში მონაწილეობა. ოჯახური მდგომარეობა, რომელიც არასრულწლოვნისთვის რისკფაქტორს წარმოადგენს, მოიცავს: სიღარიბეს, ძალადობას, დაუდევრობას, ოჯახის მიერ იგნორირებას ან ბავშვის დანაშაულებრივი ქმედების პატიებას, მზრუნველობის სიმწირეს ან სწორი მაგალითის ნაკლებობას და, ასევე, ოჯახის მიერ ბავშვისთვის დანაშაულის გრძნობის გაღვივებას, როდესაც ეს მის საჭიროებებს გამოხატავს.[142]

ამ კვლევის დროს ბავშვებს კონკრეტულად დაესვათ შეკითხვა უფროსის გავლენის თაობაზე მათ გადაწყვეტილებაზე, ჩართულიყვნენ დანაშაულებრივ ქმედებაში. ბავშვებმა ილაპარაკეს როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ ზეწოლაზე:

ბავშვის პირდაპირ ჩართვა დანაშაულებრივ ქმედებაში უფროსის მიერ გამოიხატებოდა დანაშაულის ჩადენისას ბავშვის თანამონაწილედ ყოლაში, ეს მოიცავს შემდეგს: დანაშაულის ერთად ჩადენა, ბავშვის მეთვალყურედ გამოყენება, უფროსის მიერ ბავშვის დანაშაულის ადგილას მიყვანა სადაც შემდეგ ბავშვისგან მოითხოვდნენ დანაშაულის ჩადენას, უფროსის მიერ დანაშუალის ჩადენის პროცესის ზედამხედველობა, უფროსის მიერ ბავშვისთვის ანაზღაურების მიცემა დანაშაულის ჩადენისთვის. ბავშვებმა ასევე აღწერეს, თუ როგორ მონაწილეობდნენ უფროსები არაპირდაპირ დანაშაულებრივ ქმედებაში ბავშვის ჩართვაში; აქ შედის მოპარული ნივთების შეძენა, ბავშვისთვის იმის ჩვენება, თუ როგორ უნდა ჩაიდინოს დანაშაული და დანაშაულის ჩადენის საშუალებებით (როგორიცაა, მაგალითად, იარაღი) ბავშვის უზრუნველყოფა. სხვა შემთხვევაში უფროსები უბრალოდ არწმუნებდნენ ბავშვებს, რომ დანაშაულის ჩადენა მარტივია და აჩვენებდნენ მათ, თუ რა სახის საჩუქარი შეიძლება მიიღონ დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში და ზოგადად უქმნიდნენ მათ შთაბეჭდილებას, რომ დანაშაული არის მიმზიდველი და პოზიტიური ქმედება.[143]

დანაშაულებრივ ქმედებაში ბავშვის ჩასართავად უფროსების მიერ გამოყენებული მეთოდებიდან ყველაზე ფართოდ გამოყენებადია: „ქრთამის" ან საჩუქრის შეთავაზება (როგორიცაა ფული, ნარკოტიკები, იარაღი, ტანსაცმელი, პატივისცემა და აღიარება); ნარკოტიკებზე დამოკიდებულების ხელშეწყობა (უფროსების მიერ ნარკოტიკების გამოყენების ძალდატანება და ნარკოტიკებით უზრუნველყოფა იმისათვის, რომ მოიპოვოს კონტროლი ბავშვზე მას შემდეგ, რაც დამოკიდებულება ნარკოტიკზე გაიზრდება); ფიზიკური ძალადობა ან ძალადობის მუქარა და ასე შემდეგ".[144]

ექსპლუატირებულ ბავშვებზე შესაბამისი მზრუნველობა წარმოადგენს მნიშვნელოვან ფაქტორს. თუ მართლმსაჯულების სისტემაში ასეთი ბავშვები ვერ იქნებიან განხილულნი როგორც მსხვერპლები დავერ ისარგებლებენ მსხვერპლის უფლებებით, მაშინ ზრდასრულის მიერ მათი ექსპლუატაცია უნდა იყოს შემამსუბუქებელი გარემოება და ეს ბავშვები უნდა იქცნენ ალტერნატიული მართლმსაჯულების სუბიექტებად ისეთ მომსახურებაზე აქცენტით,რომლის მეშვეობით მოხდება მათთვის ექსპლუატაციის შედეგად მიყენებული ტრავმების მკურნალობა.

### (iv) *კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების წარმომადგენლობა სასამართლოში*

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის წარმომადგენელ ადვოკატს ორმაგი როლი აკისრია: ბავშვის უფლებების დაცვა და საქმის თითოეულ ეტაპზე ბავშვის გამოკვეთილი ინტერესების ადვოკატირება. სწორედ ადვოკატის მეშვეობით ახდენს კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვი ყველა თავისი უფლების რეალიზებას,

141 Frank, 'Abuse of a Different Kind', *ibid.*, citing throughout,C Frank and L Muntingh, *Children Used by Adults to Commit Crime (CUBAC): Children's Perceptions*, International Labour Organisation, 2005.

142 *Ibid.*

143 *Ibid.*

144 *Ibid.*

მათ შორის უფლებისა, იყოს ინფორმირებული, მოუსმინონ და მიიღოს მონაწილეობა პროცესში. ადვოკატის როლი ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია ნებისმიერი მოლაპარაკებისას და სასამართლოში ჩვენების მიცემის საკითხის განხილვისას. ამასთანავე, ადვოკატმა უნდა იცოდეს და უნდა იცავდეს კლიენტი ბავშვის „პასიურ" უფლებებს, როგორიცაა ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესი და მისი კონფიდენციალურობის უფლება. გარდა ამისა, ვინაიდან კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების წარმომადგენელ ადვოკატებს უნიკალური ცოდნა გააჩნიათ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სისტემის საჭიროებების შესახებ, მათი როლი უნდა გასცდეს მხოლოდ ცალკეული ბავშვების ინტერესების დაცვას და მოიცვას ზოგადად თემის ადვოკატირება და პოლიტიკის შემუშავებაში მონაწილეობა.

ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპის და კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვების დამატებითი დაცვის საჭიროების თვალსაზრისით, ბავშვის დამცველმა ადვოკატმა უნდა გაითვალისწინოს ყველა ეტაპზე ისეთი სხვა პროფესიონალების მონაწილეობის საკითხი, როგორებიც არიან ბავშვთა განვითარების სპეციალისტი, სოციალური მუშაკი და პედაგოგი. ადვოკატი კარგად უნდა იყოს გათვითცნობიერებული კანონმდებლობაში იმ ხარისხით, რა რესურსებიც არის ხელმისაწვდომი კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვისათვის. შუამდგომლობები ექსპერტიზის ან სპეციალისტის დანიშვნის შესახებ დაყენებული უნდა იქნეს საჭიროებისამებრ და უნდა დასაბუთდეს როგორც საქართველოს კანონმდებლობით, ისე არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში არსებული საერთაშორისო სტანდარტებითა და ნორმებით.

ზოგადად, კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვები თავიანთ ადვოკტთან უფრო ხშირ კონტაქტს საჭიროებენ, ვიდრე ზრდასრულები (განსაკუთრებით მაშინ, თუ ისინი პატიმრობაში იმყოფებიან). ამ ბავშვებს უფრო მაღალი ალბათობით ავიწყდებათ სასამართლო პროცესების თარიღები და სხვა ვალდებულებები. კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს აქვს უფლება, იყოს ინფორმირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ სამართალწარმოების ყველა ეტაპზე. ამასთანავე, ბავშვის კონფიდენციალურობის უფლება ძლიერ დაცვას საჭიროებს. კონფიდენციალური ინფორმაცია (რომელიც ბავშვის შემთხვევაში თითქმის ყველაფერს მოიცავს) დაცული უნდა იქნეს შემთხვევითი გამჟღავნებისაგან სამკურნალო დაწესებულებების ან სხვა სპეციალისტებისათვის სამართლებრივი უფლებამოსილებისა და კონფიდენციალურობის სათანადო გარანტიების გარეშე.

***სადისკუსიო შეკითხვები:***

• ყოველთვის შეესაბამება თუ არა საუკეთესო შესაძლო შედეგი ბავშვის ჭეშმარიტ ინტერესს?

• რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ კლიენტ ბავშვს სურს ჩვენების მიცემა, თუმცა თქვენ იცით, რომ ეს საქმეს სავარაუდოდ ზიანს მოუტანს?

• არც ერთი გონიერი ადამიანი, რომელსაც დანაშაულის ჩადენაში ედება ბრალი, აშკარად არ დაიქირავებდა 15 წლის ასაკის ადვოკატს. რას ნიშნავს ეს ბავშვის უფლების - მიიღოს მონაწილეობა და იქნეს მოსმენილი -თვალსაზრისით? როგორია ბავშვის უფლების, იქნეს მოსმენილი და მიიღოს მონაწილეობა - პრაქტიკული შეზღუდვები, თუ ასეთები არსებობს?

პროფესიული დაკვირვება: ერთხელ ვიცავდი თექვსმეტი წლის ბავშვის ინტერესებს, რომელიც ზოგჯერ საკმაოდ გახსნილი იყო და მონაწილეობდა ჩვენს კომუნიკაციაში. თუმცა ხშირად იკეტებოდა და მორიდებული იყო. ეს მაშინ შევნიშნე, როდესაც მისი საქაღალდე გავხსენი. მისი ქცევა შეიცვალა და მან საქაღალდისაკენ თვალი გააპარა. ამას მივხვდი და საქაღალდე მაგიდაზე დავდე (იმ მომენტში სასამართლოში ვიყავით) და მთელი საქაღალდე მასთან ერთად გავიარე. მოკლედ ავუხსენი თითოეული საბუთის დანიშნულება მიუხედავად იმისა, თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო იგი ჩემთვის (სასამართლო სხდომის დანიშვნის ბრძანებები, შუამდგომლობები, ანგარიშები და სხვ.). ამ მომენტიდან მე და ჩემს კლიენტს შორის ბევრად უფრო ახლო ურთიერთობა დამყარდა. მას შემდეგ ყოველთვის ვაცნობ საქმის მასალებს ახალგაზრდა და ბავშვ კლიენტებს.

***კომუნიკაცია ადვოკატსა და კლიენტს შორის***

ბუნებრივია, ადვოკატსა და კლიენტ ბავშვს შორის პირველი კომუნიკაცია გაცნობითი ხასიათისაა. ამ დროს თქვენ უხსნით მას, თუ ვინ ხართ და რას გააკეთებთ მისთვის. მნიშვნელოვანია, გახსოვდეთ, რომ კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს მაღალი ალბათობით სტრესული ურთიერთობა ექნებოდა ზრდასრულ პროფესიონალებთან, როგორებიც არიან პოლიციელები, პროკურორები, მოსამართლეები და მტრულად განწყობილი მშობლები ან მეურვეები. ამასთანავე, კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვს უფრო მაღალი ალბათობით ექნება განცდილი გარკვეული სახის ძალადობა ზრდასრულის მხრიდან / ან უგულებელყოფა

გადატვირთული სოციალური დაცვის სისტემის მხრიდან. შედეგად, თქვენი კლიენტი ბავშვი სავარაუდოდ ზრდასრულების მიმართ ნდობით აღჭურვილი არ იქნება და მათ თავისი საჭიროებების მიმართ ანტაგონისტურად განწყობილებად მიიჩნევს. აუცილებელია, აუხსნათ მას ბავშვისათვის გასაგებ ენაზე, რომ თქვენ ბავშვის მხარეს ხართ და განუმარტოთ, რომ ყველაფერი, რასაც ამბობთ და წერთ, კონფიდენციალურია თქვენსა და მას შორის. ამასთან, უთხარით, რომ თქვენ ამ ინფორმაციას მხოლოდ ბავშვის ნებართვით გაამჟღავნებთ. ხაზი გაუსვით, რომ:

- თქვენ მუშაობთ ბავშვისთვის და არა მისი მშობლების ან მოსამართლისათვის;
- თქვენ მის მხარეს ხართ;
- ყველა საუბარი (და ჩანაწერი) კონფიდენციალურია („საიდუმლოა“).

„ოდესმე გყოლია ადვოკატი? არა? მოდი, აგიხსნი რაღაცას... მე ვმუშაობ შენთვის და არა შენი დედის, მამის, სასამართლოს ან ნებისმიერი სხვა პირისთვის. ჩემი მოვალეობაა, რომ შენ დაგეხმარო იმის გაგებაში, თუ რა ხდება სასამართლოში და დაგეხმარო იმის გადაწყვეტაში, თუ რისი გაკეთება გსურს.”

„ყველაფერი ის, რასაც შენ მეტყვი, საიდუმლოა, გესმის? - მითხარი შენი სიტყვებით, თუ რას ნიშნავს ეს ... კანონის თანახმად, ვერავინ მაიძულებს, მათქმევინოს ის, რაც შენ მე გამანდე, და მე სერიოზული პრობლემა შემექმნება, თუ ამას ვინმეს ვეტყვი. ამიტომ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ ნებისმიერ საკითხზე და შენ შეგიძლია არ იდარდო. შენს ნათქვამს მხოლოდ შენი ნებართვით გავიმეორებ.”

ამ მომენტისათვის, თუ საუბარს მშობელი ან მეურვე ესწრება, სთხოვეთ მას, დაგტოვოთ და თქვენი კლიენტის მარტოობა უზრუნველყოს. კიდევ ერთხელ განუმარტეთ ადვოკატსა და კლიენტს შორის კონფიდენციალურობის ვალდებულება და თქვენი, როგორც ადვოკატის, როლი. საჭიროებისამებრ, აუხსენით მშობელს, რომ ეს წესი მშობლებს იცავს მათი შესაძლო ჩართვისაგან საქმეში მოწმის სახით. ამასთანავე, იგი იცავს ბავშვს და მშობელს ბრალის აღიარების ან სხვა მამხილებელი ინფორმაციის გამჟღავნების ცრუ ბრალდებისაგან მშობელთან დაკავშირებული პირის მიერ.

მას შემდეგ, რაც ნდობის გარკვეული ხარისხი მიღწეულია, შეეკითხეთ ბავშვს ძირითადი პირადი ინფორმაციის შესახებ, როგორიცაა ნიშნები, ზოგადი გამოცდილება სკოლაში, სპორტის საყვარელი სახეობა / ჰობი, სიტუაცია სახლში, თუ რა მოსწონს ბავშვს და რა არა. აღნიშნულის მიზანს წარმოადგენს როგორც ინფორმაციის მოგროვება, ისე ბავშვის შემეცნებითი და კომუნიკაციის უნარების შეფასება (და კომუნიკაციის შესაბამისად მორგება). სთხოვეთ ბავშვს ნებართვა, რომ გააკეთოთ ჩანაწერები, ხელახლა გაუსვამთ რა ხაზს კონფიდენციალურობის ვალდებულებას.

### *სოციალური გარემოს მოკვლევა*

პირადი და ოჯახური ცხოვრების შესახებ დაწვრილებითი ინფორმაცია: ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის პრობლემები; კრიზისი ოჯახში; ძალადობა ოჯახში; უგულებელყოფა; ალკოჰოლის / ნარკოტიკების მოხმარება; ურთიერთობა მშობლებთან / მეურვეებთან; ცხოვრობს თუ არა ბავშვი ოჯახში / სურს თუ არა ოჯახში ცხოვრება? დაესწრება თუ არა სასამართლო პროცესებს მშობელი, ნებისმიერი სხვა ნათესავი / ზრდასრული, რომელსაც შეუძლია დახმარება გაუწიოს ბავშვს? გადის თუ არა ბავშვი რაიმე სახის თერაპიას, კონსულტაციას, იღებს სპეციალურ განათლებას?

დაწვრილებითი ინოფრმაცია სკოლისა და სამსახურის შესახებ: ნიშნები, დისციპლინა; ჯილდოები; საქმიანობა; მასწავლებლები / მწვრთნელები, რომლებიც შესაძლოა ბავშვს დაეხმარონ; რეკომენდაციები.

შემდეგ განუმარტეთ ბავშვს მისი მდგომარეობა მართლმსაჯულების პროცესში. ეს განმარტება უნდა მოიცავდეს მთლიანი პროცესის მოკლე მიმოხილვას და ხაზს უსვამდეს პროცესის იმ ეტაპს, რომელზეც ბავშვი ამჟამად იმყოფება (მაგ. ბრალის წაყენება). ამასთანავე, აუხსენით თქვენს კლიენტს ყველა მისი, როგორც კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის, უფლება და ვალდებულება. ეს საუბარი განსხვავებულია ზრდასრულ კლიენტთან ჩვეულებრივ წარმოებული საუბრისაგან, ვინაიდან ბავშვის შემთხვევაში აუცილებელია გამარტივებული ენის გამოყენება. ყოველთვის უმჯობესია, რომ ბავშვს თქვენი ნათქვამის გამეორება სთხოვოთ მონაწილეობისა და გაგების უზრუნველყოფის მიზნით. განუმარტეთ ბავშვს, ზუსტად რა საკითხზე მუშაობთ ამ მომენტში ბავშვისათვის (მაგ. წინასასამართლო პატიმრობიდან გათავისუფლების პირობებისათვის არგუმენტების მოძიება) და რატომ.

კანონთან კონფლიქტში მყოფი ბავშვის ადვოკატს ეკისრება ვალდებულება, უზრუნველყოს ბავშვის მონაწილეობა. ეს შესაძლებელია გაკეთდეს საქმეში ბავშვის ჩართვით, რაც აუცილებლად არ გულისხმობს ტექნიკურ საკითხებს, არამედ უფრო ზოგად საკითხებს. შეეკითხეთ ბავშვს, თუ როგორ შეუძლია მას

დაგეხმაროთ საქმეზე. ჰკითხეთ მას, თუ, მისი აზრით, რას მიაქცევს ყურადღებას მოსამართლე. თქვენს კლიენტთან განიხილეთ სტრატეგიები სკოლაში და სახლში ქცევის გაუმჯობესებისათვის. როდესაც თქვენ პროცესში ბავშვთან ერთად მონაწილეობთ, დაუბრუნდით ბავშვის იდეებსა და მოსაზრებებს.

შემდეგ მოიპოვეთ აუცილებელი ნებართვა თქვენი კლიენტისაგან, როგორიცაა წერილობითი ნებართვა სასკოლო ჩანაწერების / ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შესახებ ჩანაწერების გამჟღავნების შესახებ. აუხსენით მას, თუ რისთვის გჭირდებათ ეს ინფორმაცია და დაარწმუნეთ ბავშვი, რომ ამ ინფორმაციას მხოლოდ ბავშვის ნებართვით გაავრცელებთ.

როგორც ნებისმიერი სხვა კლიენტის შემთხვევაში, გამოარკვიეთ, აქვს თუ არა ბავშვს ნასამართლობა ან წარსულში ნებისმიერი სხვა შეხება მართლმსაჯულების სისტემასთან (მაგ. დაკავება, მსჯავრი, განრიდება და სხვ.). იყავით თანმიმდევრული, ვინაიდან ბავშვმა შესაძლოა გაიძულოთ, დასვათ სწორი შეკითხვა ზრდასრულებთან მისი კომუნიკაციის ჩვეული მოდელის საფუძველზე (ინფორმაციის გამჟღავნება მხოლოდ ზედმიწევნით კონკრეტული შეკითხვების საპასუხოდ).

დაბოლოს, დაუბრუნდით ბავშვის ცხოვრებას, გამოავლინეთ ინტერესი მის განვითარებასა და მომავალში. სად გინდა, რომ იყო ხუთ / ათ წელიწადში? როგორია შენი იმედები და ოცნებები ცხოვრებაში, კარიერაში? დაასრულეთ პოზიტიური, მომავალზე ორიენტირებული ნოტით. შეახსენეთ თქვენს კლიენტს, რომ მისი ამჟამინდელი მდგომარეობა ვერ შეუშლის ხელს მის იმედებსა და ოცნებებს, მთავარია ის, თუ როგორ გაუმკლავდება იგი ამ მდგომარეობას. მართეთ საუბარი, ურჩიეთ თქვენს კლიენტს, მოერიდოს დამატებით პრობლემებს, არა მხოლოდ დანაშაულებრივ სიტუაციებს, არამედ ნებისმიერ ისეთ სიტუაციას, რომელშიც არსებობს პოლიციასთან შეხების რისკი, როგორიცაა ქუჩაში ცუდ „კომპანიასთან" ერთად დროის ხარჯვა. მიუთითეთ თქვენს კლიენტს, რომ იაროს სკოლაში და კონცენტრაცია გააკეთის სწავლაზე და კლასგარეშე საქმიანობაზე; მოერიდოს ჩხუბს ან მავნე ქცევას. დაბოლოს, უთხარით თქვენს კლიენტს, რომ რაც შეიძლება კარგად მოიქცეს შინ.

„მართლაც ძალზე მნიშვნელოვანია, რომ რაიმე პრობლემა არ შეგემთხვეს განსაკუთრებით მანამ, სანამ ეს საქმე მიმდინარეობს. თუ შეგექმნა, მოსამართლე ამას განიხილავს როგორც ნიშანს იმისა, რომ შენ სასამართლო ხუმრობა გგონია. ეს მოსამართლეს ძალიან გააბრაზებს."

„ფრთხილად შეარჩიე ისინი, ვისთანაც დროს ატარებ, ყურადღებით იყავი, თუ რას აკეთებენ ისინი. არ ეცადო მათ გადარწმუნებას, უბრალოდ გაეცალე. თუ შენი მეგობრები მანქანით მოვლენ და შენ არ ხარ დარწმუნებული, რომ ეს მანქანა მათ ეკუთვნის, ხოლო ისინი წაყვანას გთავაზობენ, დიდი მადლობა და უარი უთხარი."

„მოსამართლეები ითვალისწინებენ იმას, რაც სახლში ხდება. ეცადე, დაიცვა წესები, კარგი ურთიერთობა გქონდეს და-ძმასთან. შენს მშობლებს სხვა გზა არ აქვთ, გარდა სიმართლის თქმისა მოსამართლისათვის იმის შესახებ, თუ რა ხდება სახლში. გაუმარტივე მათ იმის თქმა, რომ ყველაფერი კარგადაა."

ტექნიკა „მოსამართლე" საშუალებას გაძლევთ, გაექცეთ ავტორიტარული როლის თამაშს, როდესაც ბავშვის პრობლემურ ქცევაზე გიწევთ საუბარი.

### *მშობლები / მეურვეები*

უმეტეს შემთხვევაში ბავშვს თან მშობელი ან მეურვე ახლავს. მიუხედავად იმისა, რომ ეს კარგია, ამ ზრდასრულს ერთი რამ უნდა განუმარტოთ: თქვენ, როგორც ბავშვის ადვოკატი, მუშაობთ ბავშვისათვის და არა ზრდასრულისათვის. ამავდროულად, მნიშვნელოვანია, უზრუნველყოთ თანამშრომლობა მშობლის ან მეურვის მხრიდან. განუმარტეთ მათ, თუ როგორ შეუძლია „მოკავშირე" მშობელს ან მეურვეს მიიღოს მონაწილეობა, თუმცა ასევე განუმარტეთ შეზღუდვები.

ისევე, როგორც აუცილებელია ბავშვთან განცალკევებით საუბარი, თქვენ მშობელსაც ცალკე უნდა გაესაუბროთ ბავშვის ინფორმირებით და მისი თანხმობით. მშობელს იგივე შეკითხვები დაუსვით, რაც ბავშვს – ბავშვის შეხების შესახებ მართლმსაჯულების სისტემასთან, სკოლისა და ოჯახური ცხოვრების შესახებ. ეს შეავსებს ბავშვის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას ან წარმოაჩენს შეუსაბამობებს. შეეკითხეთ მშობლებს, თუ რა სურთ მათ, რომ მოსამართლემ იცოდეს. შეეკითხეთ მშობელს, თუ რა მოსაზრებები აქვს საქმესთან დაკავშირებით. ჰკითხეთ მშობელს აზრი, თუ როგორ უნდა მოხდეს ბავშვის კარგი საქციელის წაქეზება. გაიგეთ, დაესწრება თუ არა მშობელი სასამართლო პროცესს და ხაზი გაუსვით მისი დასწრების მნიშვნელობას. საჭიროებისამებრ, შეარჩიეთ ოჯახის სხვა წევრი ან სხვა შესაბამისი ზრდასრული პროცესზე დასასწრებად. განუმარტეთ, რომ მოსამართლეები ბევრად უფრო მოქნილნი არიან ხოლმე კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებთან, როდესაც ოჯახისაგან აშკარა მხარდაჭერას აქვს ადგილი.

გახსოვდეთ: განიხილეთ მშობელთან / მეურვესთან, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სასამართლო პროცესზე ბავშვის შესახებ დადებითად ლაპარაკი და მოსამართლის (და სხვა პირების) მიმართ პატივისცემა.

მშობელი ან მეურვე შესაძლოა ფიქრობდეს, რომ ბავშვს დაეხმარება სასამართლოსათვის ბავშვის ცუდ ქცევაზე მითითებით. თუმცა პირიქით, ამან შესაძლოა ბავშვს საქმე გაუუარესოს და პატიმრობაც კი გამოიწვიოს. უთხარით მშობელს, რომ სასამართლო არ არის ის ადგილი, სადაც ამგვარი საკითხების გამომზეურება უნდა მოხდეს. ამისათვის განკუთვნილია ბავშვისა და ოჯახის კონსულტაცია / თერაპია - მიუთითეთ ამ მომსახურებაზე. აცნობეთ მშობელს ან მეურვეს, რომ პატიმრობა მცირე პერიოდითაც კი შესაძლოა ტრავმის მომგვრელი და სახიფათო იყოს. თუ მშობელს ან მეურვეს ეჭვი ეპარება ბავშვის უნარში, დაიცვას წესები სახლში და კარგად მოიქცეს:

- ეცადეთ მიაღწიოთ კომპრომისს (თუ მშობელს არ სურს ბავშვის სახლში გაჩერება, შესთავაზეთ პირობები (ბავშვის თანხმობით), როგორიცაა კომენდანტის საათი, სავალდებულო საოჯახო კონსულტაცია, სკოლაში დასწრება);

- ხაზი გაუსვით იმას, რომ ეს ბავშვის უკანასკნელი შანსია და რომ მშობელს მოკავშირეები ეყოლება თქვენი და მოსამართლის (როგორც პროფესიონალების) სახით;

- ურჩიეთ მშობელს (და ბავშვს), დაგეკონტაქტოთ, თუ სახლში რაიმე პრობლემა წარმოიშვება.

მართლმსაჯულების სისტემის მიმართ მტრულად განწყობილმა მშობელმა ან მშობელმა, რომელსაც უსაფუძვლოდ მიაჩნია, რომ მის შვილს „უსამართლოდ" სდებენ ბრალს, შესაძლოა მოსამართლე და სხვა ორგანოები გააღიზიანოს ბავშვის საზიანოდ. საჭიროებისამებრ, მოერიდეთ ამას. გახსოვდეთ, რომ ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესის პრინციპმა შესაძლოა ისიც კი მოითხოვოს, რომ მშობელი ან მეურვე სამართალწარმოების პროცესს საერთოდ ჩამოაშოროთ.

მოზარდი მართლმსაჯულების სისტემაში

სასწავლო მოდული ადვოკატებისთვის

(ფსიქოლოგიური ნაწილი)

*2011 წელი*
*მასალა მომზადებულია ნიდერლანდების სამეფოს მხარდაჭერით*

მასალა მომზადებულია „იუნისეფის" კონსულტანტის მაია ცირამუას მიერ
მასალაში გამოხატული მოსაზრებები შეიძლება არ ასახავდეს
გაეროს ბავშვთა ფონდის ოფიციალურ თვალსაზრი

## შესავალი

მოზარდთა შორის აგრესია და ძალადობა ჩვენი საზოგადოებისათვის ერთ-ერთ მწვავე პრობლემას წარმოადგენს. საკითხი აქტუალურია როგორც სახელმწიფო სისტემისათვის, ისე მასმედიისა და სხვა სოციალური სტრუქტურებისათვის. აგრესია და ძალადობა, ხშირ შემთხვევაში, არა მხოლოდ მორალური, არამედ იურიდიული ნორმების დარღვევითაც მთავრდება და მოზარდების სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემით სრულდება.თუ მხედველობაში მივიღებთ იმ ფაქტორებსაც, რომ აგრესია და ძალადობა ყოველთვის არ იღებს დანაშაულის სახეს, ხოლო არარეგისტრირებულ დანაშაულთა მაჩვენებელი ჩვენთვის უცნობია, მოზარდთა მიერ აგრესიისა და ძალადობის გამოვლენის ფაქტები, სავარაუდოდ, ბევრად მეტი შეიძლება იყოს, ვიდრე ოფიციალურად რეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა.

წინამდებარე სასწავლო მოდული შესაძლებლობას მისცემს არასრულწლოვან მოზარდებთან მომუშავე ადვოკატებს, გაეცნონ ბავშვის/მოზარდის ფსიქოლოგიურ მახასიათებლებს. ასევე, როგორია პენიტენციური სისტემის გავლენა მოზარდის მე-იდენტობის ფორმირების პროცესზე. განხილული იქნება მოზარდის ფსიქოსოციალური და მორალური განვითარების თავისებურებები, განვითარების დარღვევის რამდენიმე ფორმა.

სპეციალისტებისათვის მიწოდებული ინფორმაცია დაეყრდნობა საერთაშორისო პრაქტიკაში დამკვიდრებულ საუკეთესო გამოცდილებას, თეორიულ მიდგომებს და გაითვალისწინებს იმ პრობლემებს, რომლებსაც სამართლის ექსპერტები აწყდებიან არასრულწლოვნებთან მუშაობისას, იქნება ეს მათთან კომუნიკაცია თუ მათი ასაკობრივი თავისებურებების, მოთხოვნილებებისა და მოტივების სწორად აღქმა და გააზრება.

საკითხისადმი ამგვარი - სისტემური - მიდგომა საშუალებას მოგვცემს, მოზარდის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქცევა აღვიქვათ არა როგორც ერთი კონკრეტული ეპიზოდი მისი ცხოვრებიდან, არამედ გავიაზროთ და დავინახოთ სრული სოციალური და ფსიქოლოგიური კონტექსტი, რაც საბოლოოდ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებაში დაგვეხმარება.

სასწავლო მოდულში განხილული იქნება საკითხები შემდეგი თანმიმდევრობით:

- **რა არის განვითარება?**
- **ერიქსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორია**
- **მშობლების მიერ გამოყენებული აღზრდის სტილი და დადგენილი ქცევის წესები**
- **მოზარდობის ასაკი (12 -18 წწ)**
  - ფიზიკური მახასიათებლები – პუბერტატი
  - სექსუალური განწყობა და ქცევა
  - კოგნიტური განვითარება
  - ფსიქოსოციალური განვითარება

- **განვითარების დარღვევები**
  - რა არის გონებრივი ჩამორჩენა?
  - დასწავლის უნარის დარღვევა
  - ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერქტივობის სინდრომი

- **დევიაციური ქცევა. შესაძლო გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები**
- **ფსიქოტრავმა და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე**
- **კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარების დარღვევები**
- **რა არის პენიტენციური სტრესი და როგორია მისი გავლენა მოზარდზე?**
- **ეფექტიანი კომუნიკაცია მოზარდებთან**

## 1. რა არის განვითარება?

ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე უამრავ ცვლილებას განიცდის. ჩვენი ცხოვრება ცვლილებების ერთი დიდი ნაკრებია და ალბათ სწორედ ამითაა იგი საინტერესო.

განვითარება ცვლილებებს ნიშნავს, მაგრამ ცვლილებები ხომ სხვადასხვაგვარია?! თუ ადამიანურ ცხოვრებას, არც თუ ისე უხეშად, სფეროებად დავყოფთ, სამი სფეროს გამოყოფას შევძლებთ: **ფიზიკურის, ფსიქიკურისა და სოციალურის**. სამივე მათგანი ურთიერთგადაჯაჭვულია და ერთმანეთზე დიდ გავლენას ახდენს.

გარემოს მართლაც დიდი როლი აკისრია ადამიანის განვითარებაში. მისი მნიშვნელობა თუნდაც მხოლოდ იქიდან ჩანს, რომ აღზრდა, რომლის გარეშეც ახალშობილი თავს ვერ გაიტანდა, სრულიად სოციალური ფენომენია. და მართლაც – ადამიანის განვითარება სოციალურ გარემოში მიმდინარეობს; ეს გარემო ჯერ ვიწრო – ოჯახური წრით იწყება და შემდეგ უფრო ფართო სოციალური სისტემების – მეგობრების, სკოლის, სამსახურის, ქალაქის, ქვეყნის, საზოგადოების და ა.შ. – სახით მოქმედებს ადამიანზე. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ განვითარების ფსიქოლოგიაში არსებული პოპულარული პოლემიკა საკმაოდ დიდ ხანს სკეპტიკურად უყურებდა აღზრდის (გარემოს) როლს, მეტიც – ეს საკითხი დილემადაც კი იქცა: მეცნიერთა ერთი რადიკალური ჯგუფი (მაგალითად, მე-18 საუკუნის ფრანგი ფილოსოფოსი ჟან-ჟაკ რუსო) ამბობდა, რომ **განვითარება არც მეტი, არც ნაკლები მემკვიდრეობის,ბუნების შედეგია, ანუ ადამიანის განვითარებაზე მხოლოდ მემკვიდრეობა ახდენს გავლენას;** მეორე ჯგუფი (მაგალითად, მე-17 საუკუნის ბრიტანელი ფილოსოფოსი ჯონ ლოკი) კი მიიჩნევდა, რომ **ადამიანის განვითარება მთლიანად გარემოზე, აღზრდასა და სწავლაზეა დამოკიდებული და მემკვიდრეობა მასზე გავლენას არ ახდენს.** მოკლედ, პოლემიკამ დაახლოებით ასეთი სახე მიიღო: თანდაყოლილი შეძენილის წინააღმდეგ, სხვა სიტყვებით, მემკვიდრეობისადა აღზრდის დაპირისპირება.

ასე იყო თუ ისე, დღეს მეცნიერები პრაქტიკულად თანხმდებიან, რომ **ადამიანის განვითარებაზე მემკვიდრეობასა და გარემოს, პრაქტიკულად, თანაბარი წილი მიუძღვით.** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მემკვიდრეობა უზრუნველყოფს პოტენციალს, ხოლო გამოცდილება ამ პოტენციალის განხორციელების მიმართულებას განსაზღვრავს. აქედან გამომდინარე კი არასწორია საზოგადოებაში დამკვიდრებული სტერეოტიპები იმასათან დაკავშირებით, რომ „ადამიანის გამოსწორება შეუძლებელია!“ ეს მიდგომა, ხშირ შემთხვევაში, სხვადასხვა სოციალური ჯგუფისადმი დისკრიმინაციულ დამოკიდებულებაში ვლინდება, მათ შორის იმ ადამიანებისადმი, რომლებსაც კანონთან კონფლიქტი აქვთ. მათ ხშირად მთელი ცხოვრება უწევთ „დამნაშავის” იმიჯით ცხოვრება, რაც, თუ კარგად დავფიქრდებით, ხშირად დანაშაულის რეციდივის მიზეზი ხდება.

მაშასადამე, ძირითად საკითხს რომ დავუბრუნდეთ, ***განვითარების* ფსიქოლოგია** ადამიანის სიცოცხლის მანძილზე მიმდინარე ფიზიკურ და ფსიქიკურ ცვლილებებს შეისწავლის.

რას ნიშნავს **ფიზიკური ცვლილებები?** ეს იგივე ადამიანის ბიოლოგიური ზრდაა: სხეულის სიდიდის, ფორმების, ტვინის სტრუქტურების ცვლა, შეგრძნებებისა და მოტორული (მოძრაობითი) უნარების განვითარება.

რას ნიშნავს **ფსიქიკურ ცვლილებები?** აქ იგულისხმება ადამიანის ა) კოგნიტური (შემეცნებითი) განვითარება ანუ გონებრივი უნარების – აღქმის, მეხსიერების, აზროვნების, მეტყველების, წარმოსახვის – განვითარება და ბ) ფსიქოსოციალური განვითარება –პიროვნების თვისებების, სოციალური უნარების, ქცევის სტილისა და ემოციური რეაგირების უნარის განვითარება.

გარდა ამისა, ფსიქოლოგები მსჯელობენ, თუ როგორ შეიძლება ადამიანის განვითარების დაყოფა ასაკობრივ პერიოდებად, რა კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ დაყოფის დროს და, შესაბამისად, მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ასაკობრივ პერიოდიზაციებს გვთავაზობენ, თუმცა მაინც შესაძლებელია გარკვეული შეჯერებული ვერსიის მიღება:

1. **ჩვილობა** – *0–2 წელი*
2. **ადრეული ბავშვობა** – *2–6 წელი*
3. **საშუალო ბავშვობა** – *6–12 წელი*
4. **მოზარდობა** – *12–18 წელი*

გამომდინარე იქედან, რომ ჩვენს სახელმწიფოში ბავშვი/მოზარდი კანონის წინაშე პასუხისმგებელი 14 წლის ასაკიდან ხდება, ჩვენს სამიზნე ჯგუფს უფრო მოზარდები შეადგენენ, ამიტომ მათი კოგნიტური, ფსიქოსოციალური განვითარების თავისებურებებზე უფრო დეტალურად მოგვიანებით შევჩერდებით, მანამდე კი წარმოგიდგენთ პიროვნების ფსიქოსოციალური და მორალური განვითარების თეორიებს.

## 2. განვითარების თეორიები

**ერიკ ერიქსონის ფსიქოსოციალური განვითარების თეორია:**

*ერიკ ერიქსონი, ფსიქოანალიტიკოსი (1902-1994 წწ), პიროვნების ფსიქოსოციალური განვითარების ფაზებს გვთავაზობს, სადაც გათვალისწინებულია ადამიანის ასაკობრივი, ფიზიოლოგიური და სოციალური თავისებურებები. ის განვითარების ცალკეულ ფაზას განიხილავს პიროვნების*

*ფსიქოლოგიურ და სოციალურ სფეროში მიმდინარე კრიზისის ფონზე, რაც გამოიხატება იმაში, რომ ადამიანმა თავისი განვითარების ამ ეტაპზე გარკვეული უნარი უნდა შეიძინოს, რაც დამოკიდებულია ამ ადამიანის გარშემო არსებულ ოჯახურ და სოციალურ სიტუაციაზე. მაგალითად, ასაკობრივი კრიზისი ნდობა -უნდობლობის წინააღმდეგ გულისხმობს, რომ თუ ადამიანი კრიზისს დაძლევს, მოიპოვებს ნდობას გარე სამყაროსადმი, ხოლო კრიზისის ვერდაძლევის შემთხვევაში – უნდობლობას.*

**ერიკ ერიქსონის პიროვნების ფსიქოსოციალური განვითარების ფაზები:**

1) **დაბადებიდან 1 წლამდე: ნდობა თუ უნდობლობა? –** იმის მიხედვით, თუ როგორ ვზრუნავთ პატარაზე ჩვილობაში, ბავშვები იგებენ, იმსახურებს თუ არა გარე სამყარო ნდობას. თუ მათი მოთხოვნილებები კმაყოფილდება, თუ მათ ყურადღებით, მზრუნველობითა და თანმიმდევრულად ვეპყრობით, მაშინ ბავშვებს სამყაროს შესახებ ისეთი შთაბეჭდილება უყალიბდებათ, რომ ის უსაფრთხო და ნდობის ღირსი ადგილია. მეორე მხრივ, თუ პატარების სამყარო წინააღმდეგობრივია, მათ ტკივილს, სტრესს აყენებს და მათ უსაფრთხოებას ემუქრება, მაშინ ბავშვები სწორედ ასეთ რამეებს მოელიან ცხოვრებისგან და თვლიან, რომ ის მოულოდნელობებითაა აღსავსე და ნდობას არ იმსახურებს. ერთი სიტყვით, ბავშვი გარემოს იმდენად ენდობა, რამდენადაც ენდობა დედას, უშუალო აღმზრდელს.

2) **2-დან 3 წლამდე: ავტონომია (დამოუკიდებლობა) თუ ეჭვები და სირცხვილი? –** სიარულის დაწყებასთან ერთად, ბავშვები საკუთარ სხეულსა და მისი მართვის შესაძლებლობებს აღმოაჩენენ. ისინი ჭამას, ჩაცმასა და ტუალეტის მოხმარებას სწავლობენ და გადაადგილების ახალ საშუალებებს ითავისებენ. როცა ბავშვი რაიმეს დამოუკიდებლად გაკეთებას ახერხებს, ის თვითკონტროლისა და თავდაჯერებულობის გრძნობას იძენს. მაგრამ თუ ბავშვი მუდმივად წარუმატებლობებს აწყდება და ამის გამო მას სჯიან ან დაბდურას, ჭუჭყიანს, სულელს, მოკლედ, ცუდს ეძახიან, ის საკუთარ ძალებში ეჭვის შეტანას ეჩვევა და სირცხვილსაც განიცდის. სხვა სიტყვებით, ამ ასაკისთვის დამახასიათებელი ფორმულა შეგვიძლია ასე ჩამოვაყალიბოთ: „მე ვარ ის, რაც შემიძლია."

3) **ინიციატივა თუ დანაშაულის განცდა?**

– სკოლამდელებს საკუთარი „კვლევითი" აქტივობები საკუთარი სხეულის ფარგლებს გარეთ გააქვთ. ისინი იგებენ, როგორ არის სამყარო მოწყობილი და როგორ შეიძლება მასზე ზემოქმედების მოხდენა. სამყარო მათთვის როგორც რეალური, ისე წარმოსახვითი ადამიანებისა და საგნებისგან შედგება. თუ მათი „კვლევითი" აქტიურობა, ზოგადად, ეფექტიანია, ისინი სწავლობენ ადამიანებსა და საგნებთან კონსტრუქციულ ურთიერთობას და ინიციატივის ძლიერ განცდასაც იძენენ. თუმცა, თუ მათ მკაცრად აკრიტიკებენ ან სჯიან, მათ თავიანთი ქცევების გამო დანაშაულის განცდა უმუშავდებათ.

4) **შრომისმოყვარეობა თუ არასრულფასოვნების განცდა? –** საშუალო ბავშვობაში ბავშვები უამრავ ჩვევასა და უნარს იძენენ სკოლაში, სახლში თუ თანატოლებთან ურთიერთობით. ერიქსონის აზრით, „მე"-განცდას მნიშვნელოვნად ამდიდრებს სხვადასხვა სფეროში ბავშვის კომპეტენციების რეალური ზრდა. სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს საკუთარი თავის თანატოლებთან შედარება. ამ ეტაპზე განსაკუთრებული ზიანი სწორედ იმ უარყოფით შეფასებას მოაქვს, რომელიც ბავშვს საკუთარი თავის სხვებთან შედარებისას ექმნება.

**შენიშვნა:** ამ ასაკისათვის საფრთხეს წარმოადგენს არასრულფასოვნების განცდის ჩამოყალიბების შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით ხშირად რისკჯგუფს ქმნიან ისეთი ბავშვები, რომლებიც აცნობიერებენ, რომ მათი სოციალური სტატუსი დაბალია, განსაკუთრებით, თუ ისინი მიეკუთვნებიან ისეთ სოციალურ ჯგუფებს, როგორებიცაა უსახლკარო, მიტოვებული ბავშვები, დევნილები, ღატაკი ოჯახების შვილები და სხვ. ისინი სოცილურ და კულტურულ ველში საკუთარ თავს ვერ აღიქვამენ თანატოლთა თანასწორ პიროვნებებად, კარგავენ სწავლის, შრომის და სოციალური აქტივობის მოტივაციას. **საკუთარი თავისადმი ამგვარი დამოკიდებულება კი კომპენსირდება აგრესიული ან სოციალურად პასიური, ზოგ შემთხვევაში დანაშაულებრივი ქცევებითაც კი, რის წყაროსაც წარმოადგენს ბავშვის მიერ საკუთარი თავის აღქმა როგორც დაბალი კომპეტენციის მატარებელი სუბიექტისა.**

5) **იდენტობა[1] თუ როლთა აღრევა? –** მოზარდობის (12-18 წელი) ასაკში მნიშვნელოვანი ხდება პიროვნების მიერ წარსულში საკუთარი თავის შესახებ დაგროვილი ინფორმაციის, გამოცდილების განზოგადება და ჩამოყალიბება საკუთარ თავზე შეხედულებების, კონცეფციის სახით, რასაც ერიქსონი მე-კონცეფციას უწოდებდა. მაგალითად - მე ვარ მოსწავლე, შვილი, ფეხბურთის გუნდის

[1] პიროვნული თვითგამორკვევა, საკუთარი როლის, ფუნქციის განსაზღვრა. პასუხი შეკითხვაზე – ვინ ვარ მე? რა შემიძლია და რას წარმოვადგენ ამ სამყაროში?

წევრი და, ამასთანავე, მე ვარ კარგი, ბეჯითი, პატიოსანი და. ა.შ. ამგვარი შეხედულებების არსებობა თავისთავად გულისხმობს თვითშეფასების ელემენტებსაც, მაგალითად, თუ ადამიანი ამბობს - მე ვარ საწყალი, ცხადია, რა დამოკიდებულება აქვს მას საკუთარი პიროვნებისადმი.

**შეიძლება ითქვას, რომ 12-18 წლამდე ასაკი არის ყველაზე უფრო საპასუხისმგებლო ეტაპი ადამიანის ცხოვრებაში, რადგან სწორედ ახლა უნდა მოიპოვოს მოზარდმა მე-იდენტობა, დაიმკვიდროს თავი სოციუმში და უპასუხოს შეკითხვას – ვინ ვარ მე?**

ცხადია, სიცოცხლის ამ ეტაპზე გადამწყვეტ როლს თამაშობს ისიც, თუ როგორ დაძლია მოზარდმა თავისი განვითარების წინა პერიოდების კრიზისები, ანუ რა ცოდნა, რა ინფორმაცია მიიღო საკუთარი მე-ს შესახებ: მოიპოვა ნდობა გარე სამყაროსადმი ერთ წლამდე ასაკში? მოიპოვა დამოუკიდებლობა 2-3 წლის ასაკში? და ა.შ. კიდევ ერთხელ ხაზს ვუსვამთ, ***რომ 12-18 წლის ასაკი არის გარკვეული შეჯამება ადრეულ ეტაპზე მიღებული გამოცდილებებისა.*** ამ ასაკისათვის დამახასიათებელი კრიზისი შეიძლება წარმატებით დაძლეულად ჩაითვალოს, თუ გამოსავალი არის მე-იდენტობის მოპოვება, თვითდამკვიდრება, და წარუმატებლად, თუ პიროვნებას არა აქვს იდენტობის განცდა, რაც, საბოლოო ჯამში, როლურ აღრევაში გამოიხატება - ანუ ადამიანმა არ იცის ზუსტად, რა უნდა, რა შეუძლია და რომელ სოციალურ ჯგუფს განეკუთვნება, უფრო მარტივად - ვერ პოულობს საკუთარ თავს სამყაროში.

**12-18 წლის ასაკი ემთხვევა გარდატეხის ასაკს, ამ დროს მოზარდის ორგანიზმში გარკვეული ჰორმონალური ცვლილებებიც ხდება, ის სქესობრივად უნდა მომწიფდეს, შეიძინოს გარკვეული იდენტობაც ამ მიმართულებით. ეს ფიზიოლოგიური პროცესები კი საკმაოდ მტკივნეულად მიმდინარეობს, მოზარდი მეტად აგრესიულია, აღგზნებულია, ფეთქებადია, რაც სწორედ ჰორმონალურ დისბალანსთანაა დაკავშირებული. ამას ემატება გარკვეული სირთულეებიც სოციალური ურთიერთობების სფეროში.**

მოზარდისათვის სამი რამ არის ძალიან მნიშვნელოვანი:

**1. იცოდეს, ვინ არის (მე-იდენტობა)**

**2. იცოდეს, როგორ აღიქვამენ მას სხვები (იგულისხმება თანატოლები, უფროსები, მთლიანად სოციუმი)**

**3. იცოდეს ისიც, რამდენად მოდის წინააღმდეგობაში გარემოსთან მისი ცოდნა საკუთარი თავის შესახებ** (მაგალითად, ზოგჯერ მოზარდს აქვს განცდა, რომ ის მიუღებელია სოციუმისათვის, როგორც გარკვეული სოციალური წარმომავლობის პიროვნება – ღარიბი, დევნილი, მიუსაფარი, შეზღუდული შესაძლებლობის, არასრული, განქორწინებული ოჯახის შვილი და ა.შ.)

იმასთან ერთად, რომ ამ ასაკში ხდება მთელი ადრეული გამოცდილების განზოგადება, შეჯამება, ხდება მათი ***გადასინჯვაც, მოზარდი აღარ იღებს უკრიტიკოდ იმ ცოდნასა და შეხედულებებს, რაც მასში უფროსებმა ჩადეს. მეტიც, უპირისპირდება და ცდილობს, შემოიტანოს ახალი, თავისებური წესები, ასე ჩნდება მოზარდული თეორიები - რა საჭიროა სწავლა? რატომ უნდა მჯეროდეს ადამიანების? რატომ უნდა ვიშრომო? და სხვ.*** ასეთი მეტამორფოზა ძალიან ბუნებრივი და ნორმალურია გარდატეხის ასაკისათვის. სხვაგვარად პიროვნება ვერ მოიპოვებს მე-იდენტობას, ჯერ მან უარი უნდა თქვას ყველაფერზე, რაც მასში ჩადეს აღზრდის პროცესში, და თვითონ, „საკუთარი ხელებით" შექმნას ახალი რეალობა. ხოლო როგორი იქნება ეს ახალი რეალობა და რამდენად დაემთხვევა საბოლოო ჯამში კულტურულ, საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს, დიდადაა დამოკიდებული მის უახლოეს სოციალურ ველზე, კერძოდ, ვინ არიან მისი მშობლები (ახლობლები) და როგორ აღიქვამენ მის ასაკობრივ პრობლემებს, ვინ არიან მისთვის „მნიშვნელოვანი სხვები" - წარმატებული თანაკლასელი, ქუჩის ავტორიტეტი თუ კრიმინალური ავტორიტეტი? რა ღირებულებებისა და ნორმების მატარებელია ეს სოციალური ველი - ანუ რა არის პრიორიტეტული ოჯახისათვის, მეგობართა წრისათვის, სკოლისათვის, მთლიანად საზოგადოებისათვის. თუ ოჯახი არ არსებობს, ან არაადეკვატურად აღიქვამს მოზარდის პრობლემებს და მხარში კი არ უდგას და კი არ ეხმარება, არამედ სჯის, ღირსებას ულახავს, შეურაცხყოფს მოზარდს, თუ სოციუმი მკაცრია და ემიჯნება მას (არ იღებს იმიტომ, რომ მიუსაფარია, შეზღუდული შესაძლებლობისაა, დამნაშავეა და ა.შ.), მოზარდს სხვა გზა აღარ რჩება - ის საკუთარ თავში ან „თავისნაირთა" ვიწრო წრეში იკეტება და საბოლოოდ კარგავს იდენტობას - მან უკვე აღარ იცის, ვინ არის, საით მიდის და ვინ უნდა იყოს მომავალში. სწორედ ეს არის ის, რასაც შეიძლება როლური აღრევა ვუწოდოთ.

პოზიტური გამოსავალი კი ამ ასაკის ფსიქოსოციალური კრიზისიდან, როგორც ადრეც აღვნიშნეთ, არის მე-იდენტობის მოპოვება – თვითდამკვიდრება, რაც იმას ნიშნავს, რომ პიროვნებამ უკვე იცის თავისი შესაძლებლობებისა და უნარების შესახებ, იცის, ვინ არის და რა შეუძლია, იცის, რომ ის

აღიარებულია სხვების მიერ და მზად არის, იყოს საზოგადოების სრულუფლებიანი, სოციალურად აქტიური წევრი.

ერიკ ერიქსონი აღნიშნავდა, რომ ადამიანი იდენტობის **პრობლემას ეხება მოზარდობის ასაკში** და ამ დროს დაწყებული პროცესი მიჰყვება მას მთელი ცხოვრება. ზრდასრულ ასაკში განვითარების ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლა გულისხმობს იდენტობის პრობლემის გააქტიურებას. იდენტობის მოპოვება რთული და ხანგრძლივი პროცესია ეს არ არის ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი დოგმები და ადამიანს ცხოვრების განმავლობაში კორექცია შეაქვს საკუთარ იდენტობაში.

ერიკ ერიქსონის შემდეგ იდენტობის პრობლემაზე ჯეიმს მარსია მუშაობდა. კვლევებზე დაყრდნობით მან აღწერა იდენტობის პრობლემის გადაჭრის ოთხი ვარიანტი, სადაც გადამწყვეტი როლი ორ ფაქტორს ენიჭება:

I. გაიარა თუ არა მოზარდმა საკუთარი გადაწყვეტილებების მიღების პერიოდი, რომელსაც „იდენტობის კრიზისს" ვეძახით; და

II. აიღო თუ არა პასუხისმგებლობა არჩეულ ღირებულებათა სისტემაზე და მომავალ პროფესიულ გზაზე.

ჯეიმს მარსია კვლევების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ არსებობს იდენტობის ოთხი სტატუსი:

- **მიღწეული იდენტობა** – ადამიანმა გამოიარა შეკითხვების დასმისა და თვითგამორკვევის პერიოდი, მან ისეთი ღირებულებითი და იდეური საფუძველი/პლატფორმა შეიქმნა, **რომელიც თავად აირჩია, და მომავალი პროფესიაც თავად განსაზღვრა.** ასეთი მოზარდი თავის თავზე როგორც მომავალ ექიმზე ფიქრობს, და არა როგორც სტუდენტზე, რომელიც ქიმიას, ფიზიკას და ა.შ. შეისწავლის. მათ მოახდინეს თავიანთი მშობლების ღირებულებების, რელიგიური თუ პოლიტიკური წარმოდგენების გადაფასება და უარი თქვეს ზოგიერთ მათგანზე, რომლებიც მათ საკუთარ იდენტობას არ შეესაბამებოდნენ.
- **წინასწარ განსაზღვრული იდენტობა –** ამ სტატუსში მყოფმა ადამიანმაც აირჩია თავისი მომავალი პროფესია და ღირებულებითი იდეური პოზიცია, მაგრამ **მას არ გაუვლია იდენტობის კრიზისი. მან შეკითხვების, გააზრების გარეშე, მექანიკურად მიიღო თავისი მშობლების შეხედულებები და ღირებულებითი სისტემები** (მაგალითად, მეთევზის შვილი მეთევზე გახდა).
- **დიფუზური იდენტობა –** ზოგიერთს ამ კატეგორიიდან გამოვლილი აქვს იდენტობის კრიზისი, ზოგს – არა. მაგრამ მათ **ჯერ კიდევ არ აქვთ საკუთარი თავის გამთლიანებული აღქმა ჩამოყალიბებული.** ისინი ამბობენ, რომ საინტერესო იქნებოდა იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა, მაგრამ არაფერს აკეთებენ ამ მიზნის მისაღწევად.
- **მორატორიუმი –** (იდენტობის საბოლოო მიღების გადავადება) ეს სტატუსი გულისხმობს, რომ ადამიანი იდენტობის კრიზისის კულმინაციას გადის. ის ეძებს შეკითხვებზე პასუხს, მაგრამ პოულობს ჯერ მხოლოდ შეუსაბამობებსა და კონფლიქტებს საკუთარ ინტერესებსა და მისი წინაპრების, მშობლების ინტერესებს, გეგმებს, შეხედულებებს შორის. ასეთი ადამიანი ან მგრძნობიარეა, ეთიკური, გახსნილი გონებით, ან თვითკმაყოფილი, გაუბედავი, მაღალი შფოთვით ან დათრგუნულობის განცდით.

შესაძლოა, ერიქსონმა გადააჭარბა, როცა გამოიყენა ტერმინი „კრიზისი" საკუთარი თავის ძიების, ანუ იდენტობის მოპოვების გამოსახატად, ვინაიდან მოზარდები, რომლებიც იმყოფებიან მორატორიუმის სტატუსში, სულაც არ გამოიყურებიან დათრგუნულად. ჯ.მარსია და მისი კოლეგები თვლიან, რომ ის მოზარდები, რომლებიც აქტიურად ეძებენ იდენტობას, გაცილებით უკეთესად გრძნობენ თავს, ვიდრე მათი თანატოლები დიფუზური და მოუმწიფებელი სტატუსით. მაგრამ ერიქსონი იყო აბსოლუტურად მართალი, როცა ხაზგასმით აღნიშნავდა იდენტობის მოპოვების უაღრესად დიდ მნიშვნელობას ადამიანის განვითარებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობისათვის.

ერიქსონი ვარაუდობდა, რომ ადამიანები ჩამოუყალიბებელი, დიფუზური იდენტობით საბოლოო ჯამში ხშირად დეპრესიულ პიროვნებებად და თავის თავში დაურწმუნებელ ადამიანებად ყალიბდებიან. ხშირად ასეთი მოზარდები კომპენსაციის მიზნით ირჩევენ უარყოფით იდენტობას, უპირისპირდებიან გარე სამყაროს, **უყალიბდებათ დელიქვენტური ქცევა, ვინაიდან გარიყულის პოზიციას უარყოფითი იდენტობა ურჩევნიათ.**

მართლაც, მოზარდები, რომლებიც იჭედებიან დიფუზურ იდენტობაში, ხასიათდებიან ინერტულობით, პასიურობით, მომავალთან დაკავშირებით უიმედობით, სხვები კი დელიქვენტურ ქცევას ამოეფარებიან თვითპატივისცემის, თვითშეფასების გაზრდის იმედით.

**რა ფაქტორები განსაზღვრავს იდენტობის ჩამოყალიბებას?**

**კოგნიტური ფაქტორები**

მოზარდებს, რომლებიც დაეუფლნენ ფორმალურ ლოგიკურ ოპერაციებს და აქვთ ლოგიკური აზროვნების უნარი, აქვთ პერსპექტივა, თავიანთი მომავალი იდენტობა სწორად გაიაზრონ,

შესაბამისად, მათ ნაკლებად აშინებთ იდენტობის მოსაპოვებლად გასავლელი გზა, ვიდრე იმ მოზარდებს, რომლებსაც ჩამოუყალიბებელი ინტელექტი აქვთ.

**აღზრდის სტილი**

ასევე მნიშვნელოვანი განმსაზღვრელი ფაქტორია მოზარდების ურთიერთობა მშობლებთან (markstom-adams, 1992 Waterman, 1982). კვლევებმა აჩვენა, რომ დიფუზური სტატუსის მქონე მოზარდები ხშირად არიან მშობლების მხრიდან უგულებელყოფილები, გაუცხოებულები (Archer, 1994). მეორე მხრივ, მოზარდები მოუმწიფარი იდენტობით ზედმეტად მიჯაჭვულები ხდებიან თავიანთ მშობლებზე. ასეთმა მოზარდებმა შესაძლოა არასდროს ეჭვქვეშ არ დააყენონ მშობლების ძალაუფლება და არ ჰქონდეთ დამოუკიდებელი იდენტობის მოპოვების მოთხოვნილება.

მოსიყვარულე და დემოკრატიული აღზრდის სტილი ეხმარება ბავშვს, ჰქონდეს თვითპატივისცემა და მოზარდობის პერიოდში ჩამოუყალიბდეს ჯანსაღი და ადაპტაციური იდენტობა.

**სასწავლო გარემო**

სასწავლო გარემო კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც განსაზღვრავს იდენტობის მოპოვების პროცესს. ბავშვის სასკოლო ცხოვრება მის ცხოვრებაში სოციალიზაციის პროცესის დაწყებას ნიშნავს. სკოლა მხოლოდ საგანმანათლებლო დაწესებულება არ არის, მას აღმზრდელობითი ფუნქციაც აკისრია, ამდენად ის, რაც ზემოთ აღზრდის სტილზე ითქვა, სამართლიანია სასწავლო გარემოს კონტექსტშიც: მზრუნველი და დემოკრატიული სტილის ურთიერთობები ეხმარება ბავშვებსა და მოზარდებს, წარმატებით გაიარონ იდენტობის მოპოვების რთული გზა. სკოლის მნიშვნელობას კიდევ უფრო ზრდის ის გარემოება, რომ ყველა ბავშვს ოჯახში არ აქვს სათანადო, ჯანსაღი ატმოსფერო, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ბავშვის განვითარებაზე, და სკოლას აქვს საშუალება, ასეთ ბავშვებსა და მოზარდებს დაეხმაროს იდენტობის მოპოვებასთან დაკავშირებული სირთულეების წარმატებით დაძლევაში.

**სოციალურ-კულტურული ფაქტორები**

იდენტობის ფორმირება დიდადაა დამოკიდებული სოციალურ და კულტურულ კონტექსტზე. თავად იდეა, რომ მოზარდებმა თვითონ უნდა აირჩიონ თავიანთი იდენტობა, არის XX-XXI საუკუნეების ინდუსტრიული საზოგადოების მახასიათებელი. თანამედროვე არაინდუსტრიული საზოგადოებების ბავშვები მექანიკურად ღებულობენ იმ როლებს, რომლებსაც მათგან გარემო ელოდება, ყოველგვარი საკუთარი თავის ძიებისა და ექსპერიმენტების გარეშე.

დასავლური კულტურები კი აძლევენ მოზარდებს საკუთარი არჩევანის გაკეთების საშუალებას, აქეზებენ, საკუთარ თავს დაუსვან საკუთარ „მესთან" დაკავშირებული შეკითხვები. ერიქსონი მართლი იყო, როდესაც ამბობდა, რომ ინდივიდი იდენტობის მოპოვებით დიდ სარგებელს იღებს, მიუხედავად იმისა, თუ როგორ საზოგადოებაში ცხოვრობს. იდენტობის პორბლემებს ადამიანი მთელი ცხოვრების განმავლობაში ეხება, ფაქტობრივად, ერთი სტადიიდან მეორეზე გადასვლა ყოველთვის ხასიათდება კრიზისით, რომლის დროსაც ადამიანმა ისევ და ისევ შეიძლება დაუსვას თავის თავს კითხვა „ვინ ვარ მე?". ეს ეხება იმ ადამიანებსაც, რომლებმაც მოზარდობის ასაკში ჩამოუყალიბდათ პოზიტიური იდენტობა. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდამ შესაძლებელია ეჭვქვეშ დააყენოს მისი პროფესიასთან დაკავშირებული არჩევანი და ა.შ.

***აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდები, რომლებიც იდენტობის მოპოვების ეტაპს (ქართულ სინამდვილეში 14-დან 18 წლამდე) სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გადიან, სერიოზული საფრთხის წინაშე დგებიან იმ თვალსაზრისით, რომ სასჯელის ამოწურვის შემდეგ, როცა ისინი თავისუფლებას უბრუნდებიან, ვერ ახერხებენ გარემოსთან ადაპტაციას იმის გამო, რომ მათი იდენტობა მთლიანად ციხის გარემოსთან არის დაკავშირებული. „მე-დამნაშავე", „მე-ყოფილი პატიმარი", ეს ე.წ. სტიგმატიზებული იმიჯი, მათ ხელს უშლის ახალი იდენტობის მოპოვებაში. შეიძლება ითქვას, რომ ისინი იდენტობის გარეშე რჩებიან, ამიტომ არაცნობიერად ისინი უბრუნდებიან ჩვეულ იდენტობას, რაც დანაშაულის რეციდივში გამოიხატება. საფრთხე კიდევ უფრო სერიოზულ სახეს იძენს საზოგადოებაში, სადაც რესოციალიზაციისა და რეინტეგრაციის რესურსი მაღალი არ არის.*** *(მოდულის ავტორის შენიშვნა)*

### 3. მშობლების მიერ გამოყენებული აღზრდის სტილი და დადგენილი ქცევის წესები

ცნობილია, რომ თითოეული ბავშვი საკუთარი ტემპერამენტის შესაბამისად იქცევა მშობლებთან ურთიერთობისას. მშობლები ხშირად აღნიშნავენ, თუ რამდენად განსხვავდებიან მათი შვილები ერთმანეთისგან ჯერ კიდევ ადრეული ასაკიდან. ბავშვის ამა თუ იმ ტემპერამენტმა მშობლების საუკეთესო ან უარესი მცდელობები შეიძლება მოულოდნელ შედეგებამდე მიიყვანოს. მკვლევარები აღიარებენ, რომ ბავშვის ტემპერამენტი და მშობლის ქცევა გავლენას ახდენენ ერთმანეთზე, რაც, თავის მხრივ, აისახება ბავშვის განვითარებაზე.

და მაინც, ტემპერამენტული სხვაობების ფონზე, დადგინდა მშობლის მიერ გამოყენებული აღზრდის სტილის გავლენა ბავშვის განვითარებაზე და ქცევაზე.

**აღზრდის სტილი** – მეთოდი, რომლითაც მშობლები ზრდიან შვილებს. ყველაზე ეფექტიანად ითვლება ავტორიტეტული, და არა ავტორიტარული, სტილი, რომელიც თანაბრად მოიაზრებს მომთხოვნელობას (კონტროლს) და გულისხმიერებას (ზრუნვას).

კონტროლში (მომთხოვნელობაში) იგულისხმება მშობლის სურვილი, შეასრულოს საზოგადოების წარმომადგენლისა და ამ საზოგადოებაში მიღებული ნორმების, წესების ბავშვისათვის გადამცემის როლი, გულისხმიერებაში (ზრუნვაში) კი – მშობლის მიერ ბავშვის ინდივიდუალობის აღიარება.

**აღზრდის ავტორიტეტული სტილი** (მაღალი კონტროლი/მომთხოვნელობა – მაღალი ზრუნვა/გულისხმიერება): ასეთი მშობლები სათანადო მოთხოვნებს უყენებენ თავიანთ შვილებს: ისინი მათგან მოითხოვენ ქცევის მიღებული ნორმების აღიარებას, შესატყვის მოქმედებას, თავად კი გულისხმიერად ეპყრობიან მათ – ისინი ყოველთვის უტოვებენ ბავშვებს ურთიერთობის ინიცირების შესაძლებლობას, რითაც ხელს უწყობენ თვითრეგულაციის უნარის განვითარებას. ასეთი ავტორიტეტული სტილი ყველაზე მეტად აყალიბებს მშობელი-შვილის ეფექტიან კავშირს.

**აღზრდის ავტორიტარული სტილის**(მაღალი კონტროლი/დაბალი ზრუნვა) შემთხვევაში კი მშობლები ბავშვებისგან დისციპლინირებულობას ითხოვენ და ნაკლებად უთმობენ ყურადღებას მათ დამოუკიდებლობას, ნაკლებად ითვალისწინებენ ბავშვის ინდივიდუალურ თავისებურებებს, ინტერესებს, სურვილებს, მათთვის მთავარია წესრიგი და მორჩილება, ისინი ძნელად ეგუებიან ბავშვის მხრიდან წამოსულ ინიციატივებს, დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს. ხშირად ასეთი მშობლები დასჯის არაეფექტიან მეთოდებსაც იყენებენ, მეტიც, ძალადობენ ბავშვებზე (ფიზიკური, ემოციური ძალადობა: დაშინება, მუქარა, პირადი ღირსების შელახვა და სხვ.). ასეთი ტიპის მშობლები მიიჩნევენ, რომ მიზანი (საზოგადოებრივი წესებისამი ბავშვის დამორჩილება) ამართლებს საშუალებას (ამ წესების ძალით და ძალადობრივი დამოკიდებულებით აღიარება), რაც უმეტეს შემთხვევაში ცუდი შედეგით მთავრდება: იზრდება ბავშვის ნეგატივიზმი, ოპოზიციური ქცევა, არ ხდება საზოგადოებრივი წესების აღიარება, პირიქით, რაც უფრო ძალადობრივია მისდამი დამოკიდებულება, მით მეტია წესების არაღიარებისა და ძალადობრივი ქცევის დასწავლის შანსი.

**აღზრდის მომთმენი სტილი** (დაბალი კონტროლი/მაღალი ზრუნვა) გულისხმობს ბავშვისადმი გულისხმიერ, ზრუნვით დამოკიდებულებას, თუმცა კონტროლი და მომთხოვნელობა დაბალია. ასეთი ტიპის მშობლები ხშირად გადაჭარბებულ ზრუნვასაც კი იჩენენ შვილების მიმართ, მზად არიან, მათ მაგივრად აკეთონ ყველაფერი, მაგალითად, ხატოვნად რომ ვთქვათ, ისინი ასწავლიან ბავშვებს არა თევზის დაჭერას, არამედ პირდაპირ თევზს სთავაზობენ. თავისთავად ცხადია, აღზრდის ეს სტილიც ნაკლებად აღიარებს ბავშვის ინდივიდუალობას, ინიციატივას და ამით შესაძლოა ის რაღაცით ჰგავდეს ბავშვისადმი ძალადობრივ დამოკიდებულებას, რომელიც შენიღბულია ზრუნვითა და გულისხმიერებით. ამიტომ აღზრდის ასეთი სტილის შედეგებიც ზოგჯერ სავალალოა – ბავშვები ვერ ახერხებენ საზოგადოებრივი წესების სტრუქტურების სწავლას, რომლებითაც უნდა იცხოვრონ მომავალში, ისინი მეტწილად უუნაროები და უპასუხისმგებლოები გამოდიან და თავად ნაკლებად მიიჩნევენ საკუთარ ვალდებულებად სხვაზე ზრუნვას, სხვის მხარდაჭერას.

**აღზრდის უყურადღებო სტილი** (დაბალი კონტროლი/დაბალი ზრუნვა) გულისხმობს, რომ მშობლები არც დისციპლინირებულობას მოითხოვენ შვილებისგან და არც მათი ინდივიდუალურობისადმი იჩენენ ყურადღებას, არც აკონტროლებენ და არც ზრუნავენ, ანუ უგულებელყოფენ ბავშვის ინტერესებს, იქამდე, რომ ზოგჯერ მათი სასიცოცხლო მოთხოვნილებებიც კი დაუკმაყოფილებელია, რაც, შესაბამისად, საზოგადოებრივი წესების გაშინაგანებასაც უშლის ხელს და ბავშვს სხვადასხვა ტიპის ქცევით ან ემოციურ პრობლემებს უქმნის.




როდესაც აღზრდაზე ვსაუბრობთ, აღზრდის სტილის გარდა კიდევ მნიშვნელოვანი ხდება მეორე განზომილება – **მშობლების მიერ დადგენილი ქცევის წესები**[2], რომლებიც მომდინარეობს მკაფიოდ დასახული მიზნებიდან. აქედან გამომდინარე, ავტორიტეტული მშობლები, რომლებსაც სურთ, რომ ბავშვებმა კარგად ისწავლონ სკოლაში, სახლში ქმნიან გარემოს, რომელიც კარგად აჩვენებს ბავშვს, თუ რატომ ისწრაფვიან მშობლები ამ მიზნისაკენ. ბავშვები ცდილობენ კარგად სწავლას სკოლაში, რადგან ამ მიზნისათვის მათმა მშობლებმა ეფექტიანად განაწყვეს, თუმცა ყველა ავტორიტეტული მშობლისათვის არ არის ხოლმე სწავლა ასეთი პრიორიტეტული, შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვახდენთ მათი შვილების სწავლაში წარმატების პროგნოზირებას. აქედან გამომდინარე, ის, თუ რა შედეგი ექნება ბავშვს საზოგადოებაში, სწორედ ამ ორ პარამეტრზეა დამოკიდებული: **აღზრდის სტილზე და მშობლების მიერ დადგენილ ქცევის წესებზე.**

### 4. მოზარდობის ასაკი (12 -18 წწ)

საკმარისია, თუნდაც საკუთარი მოზარდობა, იგივე გარდამავალი ან გარდატეხის ასაკი გავიხსენოთ, რომ თვალწინ დაგვიდგება დრამატული ცვლილებებით, სირთულეებითა და ინტენსიური ემოციებით სავსე ცხოვრების პერიოდი. შემთხვევითი არ არის, რომ *სტენლი ჰოლმა* (ამერიკელი ფსიქოლოგი და განმანათლებელი,1844–1924) მოზარდობას „მძვინვარებისა და იერიშის" პერიოდი უწოდა.

მოზარდობაში ერთბაშად უამრავი - ბიოლოგიური, ფსიქოსოციალური - ცვლილება ხდება და მოზარდები საკუთარ თავში მიმდინარე ამ პროცესის შემყურე ხშირად სიხარულსაც და ტკივილსაც განიცდიან. ამ ცვლილებებს ერთდროულად ინტერესის, აღფრთოვანებისა და შოკის თვალით აკვირდებიან და გაოცებულები, დამორცხვებულები და საკუთარ თავში დაურწმუნებლები, თავს გამუდმებით სხვებს ადარებენ და მე-ხატს მუდმივ რევიზიას უწყობენ. საკუთარ თავს ამ ეტაპზე მოზარდები ყველაზე ხშირად იდეალს ადარებენ. ეს კი – რეალობასა და იდეალს შორის სხვაობის დაბალანსება – გარდამავალი ასაკის ერთ-ერთ პრობლემად გვევლინება.

**ფიზიკური განვითარება – პუბერტატი**

გარდამავალი პერიოდი ბავშვობასა და სიმწიფეს შორის, ანუ მოზარდობა, ისეთი უსწრაფესი ბიოლოგიური ცვლილებებით და განვითარების ტემპით ხასიათდება, რომ ამ მხრივ მხოლოდ ემბრიონულ და ჩვილობის პერიოდს თუ შეედრება.

ბავშვობიდან მოზარდობაში გადასვლის კრიტერიუმად *სქესობრივი მომწიფება* მიიჩნევა, რომელიც დაკავშირებულია რეპროდუქციული ფუნქციის მომწიფებასთან. ამასვე ემთხვევა ბიოლოგიური სიმწიფის პერიოდი.

მოზარდობის პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანია *ფსიქოსექსუალური განვითარების* თვალსაზრისით. პირველი ფსიქოლოგიური ამოცანა, რომელსაც მოზარდის წინაშე სქესობრივი მომწიფება აყენებს, არის სქესობრივი მიკუთვნებულობის გაცნობიერება და საბოლოოდ ამ ორიენტაციის შესაბამისი ფსიქოსექსუალური ქცევის განხორციელება. ბიოლოგიური სქესი ჯერ კიდევ არ აყალიბებს ბავშვს ქალად და მამაკაცად. ეს რომ მოხდეს, საჭიროა ბავშვმა

---

[2]მშობლების მიერ დადგენილი ქცევის წესები – კონკრეტული აღმზრდელობითი ქცევა, რომელიც კონკრეტული აღმზრდელობითი მიზნების შესაბამისად ყალიბდება.

გააცნობიეროს მისი სქესობრივი მიკუთვნებულობა და შეითვისოს შესაბამისად ქალისა თუ მამაკაცის როლი.
მოზარდობა იწყება *პუბერტატით* – სქესობრივი სიმწიფის პერიოდით, რაც ჰორმონების დონის მატებას და შემდეგ რეპროდუქციული ორგანოებისა და მეორადი სასქესო ნიშნების გამოჩენას გულისხმობს. პუბერტატის დადგომა ინდივიდუალურია, მაგრამ საშუალოდ გოგონებში ეს პროცესი 10,5 წლიდან, ხოლო ბიჭებში 12-13 წლიდან იწყება. პუბერტატის დადგომა გოგონებში *მენარქეს* – პირველ მენსტრუაციას, ხოლო ბიჭებში – *პირველი სპერმის გამოყოფას* მოასწავებს. მენარქეს დადგომა შეიძლება, 9,5 წლიდან 16,5 წლამდე მერყეობდეს. პირველი სპერმის გამოყოფაც ბიჭებში შეიძლება 11 წლიდან 16 წლამდე ვარირებდეს.

**ჰორმონები და მორფოფიზიოლოგიური ცვლილებები**
პუბერტატის დადგომაზე *ჰორმონები* აგებენ პასუხს. ჰორმონები ბიოქიმიური ნივთიერებებია, რომლებსაც ენდოკრინული ჯირკვლები გამოიმუშავებს და რომლებიც სისხლისა თუ სხვა ორგანიზმული სითხის საშუალებით კონკრეტულ ორგანოსა თუ ქსოვილს გადაეცემა და სტიმულატორისა თუ აქსელერატორის როლს ასრულებს.
„ქალური'' და „კაცური'' ჰორმონები ორივე სქესს გააჩნია, თუმცა მამრობით სქესში უფრო მეტი *ანდროგენია* (რომელთაგან ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანს *ტესტოსტერონი* ეწოდება), ქალებს კი უფრო მეტი *პროგესტერონი* და *ესტროგენები* აქვთ. ანდროგენები მამაკაცის ფიზიკურ ზრდაზე (მხრების გაგანიერება, თმების ზრდა გენიტალიებსა და სახეზე), მისი სასქესო ორგანოების განვითარებასა და ფუნქციონირებაზე აგებს პასუხს, ესტროგენები კი ქალების საშვილოსნოს, სარძევე ჯირკვლების ზრდაზე, მენჯის გაგანიერებაზეა პასუხისმგებელი. აღსანიშნავია, რომ ჰორმონები არამარტო ფიზიკურ, არამედ ემოციურ ცვლილებებსაც იწვევს მოზარდებში.

**ტიპური მორფოფუნქციონალური ცვლილებები მოზარდებში:**

*გოგონებში:*
1. მკერდის ზრდა;
2. ბოქვენზე თმის ზრდა;
3. იღლიებში თმის ზრდა;
4. სხეულის ზრდა;
5. მენარქე (უნდა აღინიშნოს, რომ პირველი მენსტრუალური ციკლი ხშირად არარეგულარულია და თან ახლავს ფიზიკური და ემოციური პრობლემები);
6. ცხიმოვანი და საოფლე ჯირკვლების მოქმედების გააქტიურება.

*ბიჭებში:*
1. კვერცხებისა და სათესლე ჯირკვლების ზრდა;
2. ბოქვენზე თმის ზრდა;
3. იღლიებში და სახეზე თმის ზრდა;
4. სხეულის ზრდა;
5. პენისის ზრდა;
6. ხმის შეცვლა;
7. პირველი ეაკულაცია (სპერმის გამოყოფა);
8. ცხიმოვანი და საოფლე ჯირკვლების მოქმედების გააქტიურება.

ბუნებრივია, *სხეულის ამდენი რადიკალური ცვლილება მოზარდზე ემოციურად ძალიან დიდ გავლენას ახდენს, მას ახალ „ვიზუალურ მე''-სთან უწევს შეგუება.* ორივე სქესში ხშირია საკუთარი სხეულით უკმაყოფილება და ამის გამო – რაიმეს შეცვლის სურვილი. მოზარდები ძალიან კრიტიკულნი არიან საკუთარი თავის მიმართ – ღირსებასაც და ნაკლსაც ძალიან მკაცრად განსჯიან. სიმაღლე, წონა და აღნაგობა მე-10 კლასელებისათვის მღელვარების მთავარ მიზეზს წარმოადგენს. ბიჭები, ძირითადად, საკუთარი ფიზიკური სიძლიერით არიან დაინტერესებულნი, გოგონები კი უფრო წონით და აღნაგობით.
ადრე მომწიფებულ ბიჭებს თანატოლებს შორის ხშირად გარკვეული უპირატესობები აქვთ. რაც შეეხება გოგონებს, ნაადრევი სქესობრივი მომწიფება არ შეძლება, ერთმნიშვნელოვნად დადებით მომენტად ჩაითვალოს; შედარებით დაგვიანებული მომწიფება შეიძლება უფრო სასურველიც კი იყოს, რადგან გოგონას სიმწიფე მისი თანატოლი ბიჭების სქესობრივი სიმწიფის პერიოდს დაემთხვევა.

**სექსუალური განწყობა და ქცევა**
მოზარდობის ასაკში ბუნებრივია საპირისპირო სქესისადმი და ზოგადად სქესობრივი ცხოვრებისადმი ინტერესის ზრდა. მოზარდები აქტიურად იწყებენ ამ სფეროს შესახებ ინფორმაციის მოპოვებას (თანატოლებთან საუბრებით, ტელევიზიითა თუ ინტერნეტით). და მართლაც –

ადეკვატური ინფორმირებულობა ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ინფორმაციის ნაკლებობამ (რასაც ხშირად მშობლების არასათანადო დამოკიდებულება განაპირობებს) მოზარდები ისეთ არასასურველ შედეგებამდე შეიძლება მიიყვანოს, როგორიცაა არასასურველი ორსულობა, აბორტი და სხვ.

პირველი სქესობრივი კავშირის ასაკი დამოკიდებულია სქესზე და იმაზეც, რა ინტერესები აქვს მოზარდს და რამდენადაა ორიენტირებული სწავლაზე; ბიჭებში შედარებით ადრეული სექსუალური აქტიურობა შეინიშნება, ვიდრე გოგონებში, რაც გარკვეულწილად სოციალურ და კულტურალურ ნორმებთან არის დაკავშირებული.

**კოგნიტური განვითარება პიაჟეს მიხედვით**

მოზარდობაში კონკრეტული ოპერაციები ადგილს ფორმალურ ოპერაციებს უთმობს, სხვა სიტყვებით – აბსტრაქტულ აზროვნებას – აზროვნების ტიპს, რომელიც მოზრდილ ადამიანებს სიცოცხლის ბოლომდე მიჰყვებათ.

ფორმალური ოპერაციების სტადიაზე აზროვნება საბოლოოდ თავისუფლდება „აქ და ამჟამად”-ს ტყვეობიდან. მოზარდი უკვე იწყებს ფიქრს შესაძლო ვარიანტებზე – იმაზე, რაც შეიძლება მომხდარიყო ან არ მომხდარიყო. მოზარდებს უჩნდებათ დაგეგმვისა და შორს განჭვრეტის უნარი. აზროვნება ხდება ჰიპოთეტური – მოზარდებს შეუძლიათ ჰიპოთეზების ფორმულირება, შემოწმება და შეფასება.

ამგვარად, ფორმალური ოპერაციების სტადიისთვის დამახასიათებელ აზროვნებას შეგვიძლია მეორე რიგის აზროვნება ვუწოდოთ. პირველი რიგის აზროვნება ობიექტებს შორის ავლენს კავშირებს, მაშინ, როცა მეორე რიგის აზროვნება გულისხმობს აზრებს აზრების შესახებ, კავშირებს შორის კავშირების დამყარებას ცდილობს და აქვს უნარი, რეალობასა და შესაძლო ვარიანტებს შორის მანევრირება მოახდინოს.

მაშასადამე, ამ ტიპის აზროვნება შეგვიძლია სამი თავისებურებით დავახასიათოთ:

1) პრობლემის გადაჭრის ძიებისას ცვლადების ყველანაირი კომბინაციის გათვალისწინების უნარი;
2) იმის ვარაუდის უნარი, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ერთ ცვლადს მეორეზე;
3) ჰიპოთეტურ-დედუქციური გზით ცვლადების გაერთიანებისა და დანაწევრების უნარი.

ითვლება, რომ ფორმალური ოპერაციების დონეზე აზროვნების უნარი ყველას არ შესწევს. მეტიც – ბევრი ადამიანი მისთვის ახალ პრობლემასა თუ სიტუაციასთან შეჯახებისას ხშირად მსჯელობის უფრო კონკრეტულ ფორმებს უბრუნდება. სავარაუდოა, რომ ფორმალურ-ოპერაციული აზროვნებისთვის ინტელექტის გარკვეული დონეა საჭირო; კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებიც, განსაკუთრებით კი საგანმანათლებლო დონე, დიდ როლს თამაშობს ამ ტიპის აზროვნების ჩამოყალიბებაში.

პიაჟე ხაზს უსვამს, რომ ფორმალურ-ოპერაციული აზროვნების ელემენტები უმნიშვნელოვანესია მეცნიერებებისა და მათემატიკის დაუფლებაში.

**ფსიქოსოციალური განვითარება**

ისევე, როგორ განვითარების ყველა ეტაპს, მოზარდობასაც აქვს თავისი სირთულეები, რომლებიც საჭიროებს ახალ უნარებს. მოზარდობასაც აქვს თავისი ამოცანა, „მიზანი“, რომელსაც ის ემსახურება. აქ ორი ასეთი მიზანი უნდა გამოვყოთ: *1. მშობლებისგან გამოყოფა, დამოუკიდებლობის და ავტონომიის მიღწევა* და *2. იდენტურობის ჩამოყალიბება, რაც ნიშნავს შემოქმედ და დამოუკიდებელ მე-ს, რომელშიც ჰარმონიულადაა შერწყმული მოცემული პიროვნების სხვადასხვა ელემენტი* (დაწვრილებით იხილეთ ერიქსონის თეორია).

**ამდენად, ყველაზე მთავარი**: ამ პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, მშობლებმა გონივრულად მართონ წონასწორობა მოზარდის გაკონტროლებასა და მის დამოუკიდებლობას შორის.

***შენიშვნა: ჩვენ შეგვიძლია თავი მოვუყაროთ მთელ ზემოთ მოწოდებულ ინფორმაციას და მივცეთ სქემატური სახე, რომელიც პრაქტიკული საქმიანობისას, საჭიროების შემთხვევაში, შეგვიძლია გამოვიყენოთ როგორც სახელმძღვანელო, სადაც წარმოდგენილია განვითარების ეტაპები ასაკთან და განვითარების თავისებურებებთან მიმართებაში. იხ. დანართი 1, 2, 3.***

## 5. განვითარების დარღვევები

განვითარების დარღვევები **ზოგ შემთხვევაში** მოზარდის ანტისოციალური ქცევის წინაპირობა ხდება, მაგალითად, პრაქტიკოსები ხშირად აღნიშნავენ, რომ დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვები „სწავლაში ჩამორჩენილის“ იმიჯს - „ამრევის“, „მეამბოხის“ იმიჯს ამჯობინებენ და სასწავლო პროცესს ნაკლებად ემორჩილებიან, ჰიპერაქტივობისა და ყურადღების დეფიციტის მქონე ბავშვები კი არასათანადო ინტერვენციის (სპეციალისტის, ფსიქოლოგის ჩარევა) პირობებში საბოლოოდ იღებებენ საზოგადოების მხრიდან „გამოუსწორებელის“ იარლიყს, რაც მთელ მათ მომავალს საფრთხეს უქმნის.

საჭიროდ მივიჩნევთ, შემოგთავაზოთ გარკვეული ინფორმაცია ამ სფეროდან, რაც მართლმსაჯულების სისტემაში მომუშავე პროფესიონალებს შესაძლებლობას მისცემს, საჭიროების შემთხვევაში, მოახდინონ დარღვევის იდენტიფიცირება და შესაბამისი რეაგირება (მაგ. შესაბამისი

პროფესიონალის ჩართვა), ასევე შეძლონ განვითარების დეფიციტის მქონე მოზარდებთან ადეკვატური კომუნიკაცია.

**გონებრივი ჩამორჩენა**
გონებრივი ჩამორჩენა ფსიქიკური განვითარების დარღვევის ფორმაა, რაც ვლინდება ადრეულ ასაკში და მთელი სიცოცხლის მანძილზე ახდენს გავლენას ადამიანის ფუნქციონირებაზე.
გონებრივი ჩამორჩენა იწვევს შეზღუდვებს ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.
იგი ხასიათდება:
I. საშუალოზე მნიშვნელოვნად დაბალი ინტელექტით (ინდივიდუალური ტესტირების დროს 70-ზე დაბალი IQ)
II. თანმხლები შეზღუდვებით ადაპტაციურ ჩვევებში შემდეგი ორი ან მეტი სფეროდან:
- კომუნიკაცია
- თვითმომსახურება
- სახლის მოვლა
- სოციალური ჩვევები
- საზოგადოებასთან ურთიერთობის ჩვევები
- თვითრეგულაცია
- აკადემიური ფუნქციონირების ჩვევები
- ჯანმრთელობა და უსაფრთხოება
- შრომითი საქმიანობა
- დასვენება

გამოყოფენ გონებრივი ჩამორჩენილობის სხვადასხვა ხარისხს ინტელექტის ტესტში მიღებული ქულების მიხედვით:
- მსუბუქი გონებრივი ჩამორჩენილობა IQ 50/55-70
- საშუალო გონებრივი ჩამორჩენილობა IQ 35/40-50/55
- ძლიერი გონებრივი ჩამორჩენილობა IQ 20/25-35/40
- მძიმე გონებრივი ჩამორჩენილობა IQ 20/25-ზე დაბალი
- დაუზუსტებელი გონებრივი ჩამორჩენილობა: როდესაც არსებობს ვარაუდი გონებრივი ჩამორჩენილობის შესახებ, მაგრამ ინტელექტის შეფასება შეუძლებელია სტანდარტული ტესტით.

**შენიშვნა:** თუ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების სფეროში მომუშავე სპეციალისტს (პროკურორი, მოსამართლე, ადვოკატი) უჩნდება ეჭვი ეჭვმიტანილი/ბრალდებული არასრულწლოვნის გონებრივი უნარების შესახებ, მან შესაძლოა მიმართოს ბავშვის ფსიქოლოგს (კონკრეტულად განვითარების სპეციალისტს) და IQ კოეფიციენტის განსაზღვრის შემდეგ მიიღოს შესაბამისი გადაწყვეტილება.

**რით ხასიათდება გონებრივი ჩამორჩენილობა?**
გონებრივი ჩამორჩენილობა ბავშვის ფსიქიკური განვითარების შეუქცევად დარღვევას გულისხმობს და ეს არ ნიშნავს იმას, რომ ბავშვს არ შეუძლია მიიღოს განათლება და განვითარდეს, არამედ გულისხმობს გონებრივად ჩამორჩენილი ბავშვის განვითარების განსხვავებულ კანონზომიერებასა და ტემპს.
გონებრივი ჩამორჩენილობის დასახასიათებლად უნდა გავითვალისწინოთ, რომ ბავშვის ფსიქიკური განვითარება მოიცავს შემდეგ სფეროებს:
- შემეცნებითი უნარები
- მეტყველებისა და კომუნიკაციის უნარი
- მსხვილი და ნატიფი მოტორული უნარები
- სოციალურ-ემოციური განვითარება

**გონებრივი ჩამორჩენილობისთვის დამახასიათებელი თავისებურებები განვითარების სფეროების მიხედვით:**

**შემეცნებითი სფერო**
- აზროვნების კონკრეტულობა, სიტუაციურობა, განზოგადების სიძნელეები: ერთ კონკრეტულ სიტუაციაში მიღებული ცოდნის ან ათვისებული ჩვევის სხვა სიტუაციაში გამოყენების სიძნელე (მაგ. მსგავსების პოვნა თაგვსა და სპილოს შორის; ბავშვი ვერ პოულობს საერთოს, რადგან მისი ყურადღება ზომაში განსხვავებაზეა კონცენტრირებული);
- აბსტრაქტული აზროვნების პრობლემები: უჭირთ მიმართებების გაგება, მიზეზ-შედეგობრივი მიმართებების წვდომა, შინაარსიდან აზრის გამოტანა და სხვ. ასევე აქვთ:

1. დასწავლის ნელი ტემპი
2. ყურადღების დარღვევა – მათთვის დიდ სირთულეს წარმოადგენს ნებითი ყურადღების მართვა და ახალ მოქმედებაზე მისი გადანაცვლება;

3. პრობლემის გადაწყვეტის სირთულე – უჭირთ პრობლემის ხასიათის გარკვევა, გადაჭრის გზის პოვნა, ხოლო გადაწყვეტის დასწავლის შემთხვევაში უჭირთ ამ ცოდნის მსგავს სიტუაციაში გამოყენება.

- მეტყველების განვითარების დარღვევები: უჭირთ სიტყვების სწორად წარმოთქმა, ახასიათებთ არტიკულაციის პრობლემები, ლექსიკურ მარაგის სიმწირე, ვერ ახერხებენ სინტაქსის სწორად გამოყენებას, ამბის მოყოლას და ადეკვატურად გადმოცემას.

**მოტორული სფერო**

- მსხვილი მოტორული უნარების განვითარებაში ჩამორჩენა: გვიან სწავლობენ ჯდომას, დგომას, სიარულს.
- ნატიფი მოტორული უნარების განვითარებაში პრობლემები: ხელებით, თითებით ნატიფი, მოქნილი მოძრაობების სიძნელეები. შესაბამისად, უჭირთ ხელით სხვადასხვა ობიექტით მანიპულირება: ფანქრის ხმარება, მაკრატლით გამოჭრა და ა.შ.
- თანმიმდევრული და შეთანხმებული მოძრაობების განხორციელებაში პრობლემები. შესაბამისად, უჭირთ თვითმომსახურების ჩვევების (ჭამა, ჩაცმა, დაბანა, ტუალეტი) ათვისება, სჭირდებათ ხანგრძლივი ვარჯიში მათ შესაძენად.

**სოციალურ-ემოციური სფერო**

- სოციალურ ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემები: ძნელად და გვიან ითვისებენ სოციალურ ჩვევებს, მაგალითად, როგორ მოიქცნენ ამა თუ იმ გარემოში, საზოგადოებაში, ტრანსპორტში და ა.შ.
- ემოციური მოუმწიფებლობა, პრობლემები ემოციურ რეგულაციაში: უჭირთ ემოციების კონტროლი და არიან იმპულსურები, ისინი ძალიან მგრძნობიარეები არიან გარემოს დამოკიდებულებისადმი, როდესაც ვერ გრძნობენ მხარდაჭერას და სითბოს, აქვთ მწვავე რეაქციები, მაგალითად, ბრაზის შემოტევა, განწირული ტირილი და სხვ.

**დასწავლის უნარის დაღვევა**

ტერმინით „დასწავლის უნარის დარღვევა“ აღიწერება ინფორმაციის შენახვის, გადამუშავებისა და ახალი ინფორმაციის პროდუცირების სხვადასხვა ხარისხის დარკოლებები.

დასწავლის უნარის დარღვევა გულისხმობს შემდეგს:

- ბავშვს დარღვევა აქვს ერთ ან რამდენიმე ბაზისურ ფსიქიკურ პროცესში, რომელიც საფუძვლად უდევს ზეპირი და წერითი მეტყველების გაგებას და გამოყენებას და ვლინდება მოსმენის, აზრის გაგებისა და გამოთქმის, წერის, კითხვის, არტიკულაციის, თვლის სიძნელეებში;
- ბავშვს აქვს სირთულეები სწავლაში, კერძოდ, უჭირს წერა-კითხვა და მათემატიკის ათვისება;
- სწავლის პრობლემის მიზეზს არ წარმოადგენს სენსორული დეფიციტი – სმენის ან მხედველობის დაქვეითება, მოტორული ნაკლი, გონებრივი ჩამორჩენილობა, ემოციური აშლილობა, ეკონომიკური, გარემოსა და სოციალურ-კულტურული არახელსაყრელი პირობები;
- უნდა გვახსოვდეს, რომ სწავლის უნარის დარღვევა არ არის ბავშვის დაბალი ინტელექტის ან გონებრივი ჩამორჩენის შედეგი;
- დიდი განსხვავებაა ბავშვის სწავლის პოტენციალსა და მისი მიღწევის დაბალ დონეს შორის;
- დასწავლის უნარის დარღვევა უკავშირდება ცენტრალური ნერვული სისტემის დისფუნქციას;
- დასწავლის უნარის დარღვევა შეიძლება არსებობდეს სხვა დარღვევებთან ერთად (ემოციური აშლილობა, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი);
- ამ დროს ბავშვის ფსიქიკური განვითარება მოზაიკურ ხასიათს ატარებს, რაც ფსიქიკური ფუნქციების არათანაბარ განვითარებას გულისხმობს, მაგალითად, შესაძლოა ბავშვი, რომელმაც ვერ ისწავლა წერა-კითხვა, არაჩვეულებრივი მათემატიკური ან სხვა უნარებით გამოირჩეოდეს;
- პრობლემა შესაძლოა არსებობდეს მთელი ცხოვრების მანძილზე

გამოიყოფა სწავლის უნარის დარღვევების სამი ძირითადი სახე, რომლებიც შეიძლება გამოვლინდეს როგორც დამოუკიდებელი სახით, ისე ერთმანეთთან კომბინაციაში:

- კითხვის უნარის დარღვევა;
- წერის უნარის დარღვევა;
- მათემატიკური უნარის დარღვევა.

**კითხვის უნარის დარღვევა** გულისხმობს ბავშვის მხრიდან სიტყვების ცნობისა და გააზრების, თავისუფლად კითხვისა და წაკითხულის გაგების სირთულეს. კითხვის უნარის დარღვევა ცნობილია როგორც **დისლექსია.**

- ბავშვის კითხვის დონე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ეს მის ქრონოლოგიურ ასაკს, ინტელექტის დონესა და ასაკის შესაფერის განათლების დონეს შეესაბამება;
- დარღვევა ხელს უშლის ბავშვს აკადემიურ მიღწევებში და ყოველდღიური ცხოვრების იმ აქტივობებში, რომლებიც მოითხოვს კითხვის უნარებს;

- კითხვის უნარის დარღვევის დიაგნოზის დასმა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ კითხვის პრობლემები მხედველობის მწვავე აშლილობით არის გამოწვეული.

სწავლის უნარის დარღვევებს შორის ყველაზე მეტად გავრცელებული კითხვის უნარის დარღვევაა. იგი, როგორც წესი, პირველ კლასში ვლინდება და ბავშვს სწავლისას ექმნება ისეთი პრობლემები, როგორიცაა: ანბანის ათვისება, ასოების გარჩევა და მათი ერთ სიტყვად გაერთიანება. კითხვის უნარის დარღვევას ხშირად თან ახლავს მეტყველებისა და კომუნიკაციის მნიშვნელოვანი პრობლემები. კითხვითი უნარის დარღვევა შესაძლოა მოზარდობისა და მოზრდილობის ასაკშიც შეგვხვდეს. კითხვითი უნარის დარღვევა ხშირად გვხვდება წერისა და მათემატიკური უნარის დარღვევებთან ერთად.

**წერის უნარის დარღვევა**

წერის უნარის დარღვევის შემთხვევაში ბავშვს აქვს სირთულეები წერაში, სიტყვების დამარცვლაში. წერის უნარის დარღვევა ცნობილია როგორც **დისგრაფია.**

- ბავშვის წერითი უნარის დონე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ეს მის ქრონოლოგიურ ასაკს, ინტელექტის დონესა და ასაკის შესაფერისი განათლების დონეს შეესაბამება;
- დარღვევა ხელს უშლის ბავშვს აკადემიურ მიღწევებში და ყოველდღიური ცხოვრების იმ აქტივობებში, რომლებიც მოითხოვს წერილობითი ტექსტის შედგენას;
- წერითი უნარის დარღვევის დიაგნოზის დასმა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა გამოწვეულია მოტორული კოორდინაციის დარღვევის შედეგად. დიაგნოზი ასევე არ ისმება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გვაქვს მხოლოდ ცუდ კალიგრაფიასთან.

წერითი უნარის დარღვევა, როგორც წესი, სხვადასხვა სახით ვლინდება:

- წერილობითი ტექსტის შედგენის სირთულე წინადადებებში გრამატიკული ან პუნქტუაციური შეცდომების არსებობის გამო;
- მართლწერის მრავალჯერადი შეცდომები;
- აბზაცების დაცვის სირთულე.

წერითი უნარის დარღვევა, როგორც წესი, ვლინდება მაშინ, როდესაც ბავშვები იწყებენ წერის სწავლას. ეს უმთავრესად ხდება პირველ კლასში, თუმცა უფრო აშკარად იგი მეორე კლასში ვლინდება. ბავშვები იწყებენ შეუსაბამო ზომისა და ფორმის ასოების წერას ან არასწორად წერენ სიტყვებს მითითების მიუხედავად. წერითი უნარის დარღვევა შესაძლოა მოზარდობისა და მოზრდილობის ასაკშიც შეგვხვდეს. წერითი უნარის დარღვევა ხშირად გვხვდება კითხვისა და მათემატიკური უნარის დარღვევებთან ერთად კომბინაციაში.

**მათემატიკური უნარის დარღვევა**

მათემატიკური უნარის დარღვევის შემთხვევაში ბავშვს აქვს ძირითადი მათემატიკური ოპერაციების (მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა) და მათემატიკური ამოცანების გადაჭრის სირთულე. მათემატიკური უნარის დარღვევა ცნობილია როგორც **დისკალკულია.**

- ბავშვის მათემატიკური უნარების დონე ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე ეს მის ქრონოლოგიურ ასაკს, ინტელექტის დონესა და ასაკის შესაფერის განათლების დონეს შეესაბამება;
- დარღვევა ხელს უშლის ბავშვს აკადემიურ მიღწევებში და ყოველდღიური ცხოვრების იმ აქტივობებში, რომლებიც მოითხოვს მათემატიკურ უნარებს;
- მათემატიკური უნარის დარღვევის დიაგნოზის დასმა არ ხდება იმ შემთხვევაში, თუ პრობლემა გამოწვეულია მხედველობითი, სმენითი ან სხვა ნევროლოგიური ფუნქციის დარღვევის შედეგად.

მათემატიკური უნარის დარღვევა, როგორც წესი, ვლინდება მეორე ან მესამე კლასში, როდესაც მათემატიკური ინსტრუქციების შესრულება სწავლების მნიშვნელოვანი ნაწილი ხდება. თუმცა იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს მაღალი ინტელექტი აქვს, ბავშვს შეუძლია ქვედა კლასებში განვითარების საფეხურების შესაფერისად ფუნქციონირება, მათემატიკური უნარის დარღვევა შესაძლოა არ გამოვლინდეს მე-5 ან უფრო ზედა კლასამდე. მათემატიკური უნარის დარღვევა ხშირად ვლინდება კითხვითი უნარის დარღვევასა და წერითი უნარის დარღვევასთან ერთად.

მათემატიკური უნარის დარღვევების არსებობის შემთხვევაში პრობლემები შეიძლება სხვადასხვა სახით გამოვლინდეს:

- ციფრებისა და არითმეტიკული ნიშნების ცნობისა და წაკითხვის სირთულე;
- მათემატიკური ტერმინების, ოპერაციების ან ცნებების გაგებისა და დასახელების სირთულე;
- არითმეტიკული სიმბოლოების წერის პრობლემა;
- სტანდარტული რიცხვითი ოპერაციების განხორციელების სირთულე;
- ცხრილებში გარკვევის სირთულე;
- გამოთვლის დროს სიმბოლოების სწორად ჩასმის სირთულე;
- ობიექტების დათვლის სირთულე;
- ციფრების გადაწერის სირთულე.

**ADHD – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი**

ADHD – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი წარმოადგენს ცენტრალური ნერვული სისტემის ფუნქციონირების, ანუ ნეირობიოლოგიური დარღვევით გამოწვეული სიმპტომების ერთობლიობას, რომელიც გულისხმობს:

- ყურადღების კონცენტრაციის დეფიციტს (გონებაგაფანტულობა, უყურადღებობა)
- იმპულსურობას (უნებლიე ქცევის კონტროლის სირთულეს)
- ჰიპერაქტივობას (მოტორული მოუსვენრობა, მოძრაობათა სიჭარბე), რასაც თან ერთვის ემოციური უმწიფარობა, აგრესიულობა, დაბალი აკადემიური მოსწრება.

არის შემთხვევები, როცა ყურდღების პრობლემები არსებობს დამოუკიდებლად იმპულსურობისა და ჰიპერაქტივობის გარეშე.

ADHD სინდრომში ერთიანდება ინდივიდების 2 ჯგუფი:

1. **ყურადღების დეფიციტი ჰიპერაქტივობის გარეშე** – ასეთი ბავშვები მეტწილად აპათიურები, ინერტულები, მეოცნებეები, ზანტები არიან. გამოირჩევიან სიმორცხვით. აქვთ სწავლის პრობლემები და მათი ოჯახის ისტორიაში ხშირია სწავლის პრობლემები თუ ემოციური აშლილობა.
2. **ყურადღების დეფიციტი იმპულსურობისა და ჰიპერაქტივობის თანხლებით –** ამ ჯგუფში გაერთიანებული ბავშვები ხასიათდებიან იმპულსურიბით, ძლიერი აქტივობით, მოუსვენრობით, ხშირად აგრესიული ქცევით. სკოლის პრობლემებიდან წამყვანია ქცევითი პრობლემები. მათი ოჯახის ისტორიები დატვირთულია ანტისოციალური პრობლემებით (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი, დამნაშავეობა).

ADHD – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომის დიაგნოსტირება საკმაოდ რთულია, ხშირად სომპტომები თითქმის შეუმჩნეველია ან ქრება ახალ, ბავშვებისათვის საინტერესო სიტუაციაში, ხშირი წახალისებისა და ინტენსიური მეთვალყურეობის ქვეშ, შესაბამისად, შესაძლებელია კლინიკური დაკვირვების ან ტესტირების პროცესში ეს სიმპტომები არ ჩანდეს. ამიტომ **გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მშობლებისა და პედაგოგების ინფორმაციას.**

თუმცა დაკვირვებული თვალისათვის ADHD-ის სიმპტომები თვალშისაცემია ადრეული ბავშვობიდან, ჩვილობის ასაკიდანვე შეუძლებელი ხდება ასეთი ბავშვის ქცევის პროგნოზირება – ერთ წამში ტირის და მოუსვენრობს, მეორე წამში კი მშვიდადაა, ხშირად გაღიზიანებული, დაძაბულია, მომთხოვნი და მოუსვენარია, სამი წლის ასაკიდან რთული ხდება მისი ქცევის მართვა, ხშირად ეცვლება გუნება-განწყობა, უჭირს ტუალეტის ჩვევის გამომუშავება. პრობლემა მთელი სიმძაფრით თავს იჩენს სკოლაში შესვლის პირველ წლებში. ADHD-ის დადგენის ოპტიმალური პერიოდია სკოლამდელი ასაკი ან სკოლის პირველი წელი (7 წლამდე ასაკი).

**რით ხასიათდება ADHD სინდრომი?**

ADHD სინდრომის მქონე ბავშვებისათვის ყველაზე მეტად დამახასიათებელია უყურადღებობა, იოლი გადართვადობა, დეზორგანიზებულობა, იმპულსურობა, ჰიპერაქტიულობა. ასეთი ბავშვის ქცევა შეიძლება შემდეგნაირად აღიწეროს:

- არ ასრულებს დაწყებულს, ერთი დაუმთავრებელი ამოცანიდან ხტება მეორეზე
- ხშირად ტოვებს შთაბეჭდილებას, რომ სხვებს არ უსმენს
- ადვილად ეფანტება ყურადღება
- უჭირს ყურადღების კონცენტრაცია ისეთ დავალებებზე, რაც მის ინტერესს არ იწვევს, თუმცა შეუძლია საათობით უყუროს ტელევიზორს ან ითამაშოს კომპიუტერზე
- ვერ ახერხებს სამუშაოს ორგანიზებას
- ხშირად იცვლის საქმიანობას
- უჭირს მითითების შესრულება
- საჭიროებს მუდმივ მეთვალყურეობას
- ხშირად კარგავს ნივთებს
- არ შეუძლია ლოდინი
- ვერ ემორჩილება განრიგს
- უჭირს ერთ ადგილზე ჯდომა
- ხელებსა და ფეხებს გამუდმებით ამოძრავებს, ცქმუტავს სკამზე
- ბევრს დარბის, მოუსვენრობს
- უჭირს საკუთარი ჯერის დალოდება
- ყოველთვის მზადაა გასაქცევად
- ხშირად უმიზეზოდ ტოვებს მერხს, საკლასო ოთახს
- მოქმედებს დაუფიქრებლად
- ერევა საუბარში, იჭრება სხვა ბავშვების თამაში

- ხშირად გადაჭარბებულად ბევრს ლაპარაკობს, ერთვება ფიზიკურად საშიშ ქმედებებში და არ ფიქრობს შედეგებზე
- ზოგ შემთხვევაში აგრესიული და შემტევია

ADHD – ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი განსხვავებულია სირთულის მიხედვით. განასხვავებენ შემდეგ ფორმებს:

- **სუსტი** – უმნიშვნელოდ გამოხატული სიმპტომები, არანაირი ან მხოლოდ მინიმალური ჩამორჩენა სასკოლო საქმიანობაში.
- **საშუალო** – გამოხატულია სიმპტომები ან ფუნქციონალური ჩამორჩენა „სუსტსა" და „მძიმე" შემთხვევებს შორის.
- **მძიმე** – ჩამოთვლილი სიმპტომების გარდა ვლინდება მრავალი სხვა სიმპტომიც, მნიშვნელოვანია ჩამორჩენა საშინაო და სასკოლო საქმიანობებსა და თანატოლებთან ურთიერთობაში.

**ADHD-ის კლასიფიკაცია და კლინიკური ნიშნები**

ქვემოთ ჩამოთვლილიდან ექვსი ან მეტი სიმპტომი უნდა ვლინდებოდეს ექვსი თვის მანძილზე იმ ხარისხით, რომ ხელს უშლიდეს ბავშვს გარემოსთან შეგუებაში.

ა. უყურადღებობა:

- უჭირს ყურადღების გამახვილება დეტალებზე, შეცდომებს უშვებს საშინაო სამუშაოში
- უჭირს ყურადღების შენარჩუნება დავალების შესრულების ან თამაშის დროს
- თითქმის არ გისმენს, როცა ელაპარაკები
- ხშირად ვერ მისდევს მითითებებს
- უჭირს დავალების ბოლომდე მიყვანა
- უჭირს დავალებებისა და ზოგადად მოქმედების ორგანიზება
- არ უყვარს დავალებები, სადაც ძალისხმევაა საჭირო
- გარეშე სტიმულები ადვილად უფანტავს ყურადღებას
- ყოველდღიურ ცხოვრებაში გულმავიწყია

ბ. ჰიპერაქტივობა:

- ხშირად ცქმუტავს და ვერ ისვენებს
- ხშირად ტოვებს საკუთარ ადგილს კლასში
- სიტუაციისათვის შეუსაბამოდ დარბის და დაძვრება ყველგან
- სირთულეები აქვს თამაშისა და დასვენების დროს
- სულ მოძრაობაშია, თითქოს მუდმივი ძრავა ამოქმედებს
- ხშირად ძალიან ბევრს ლაპარაკობს

**იმპულსურობა:**

- პასუხს ხშირად შეკითხვის დასმამდე წამოიძახებს
- უჭირს საკუთარი ჯერის დალოდება
- ხშირად იჭრება სხვების აქტივობაში ან აწყვეტინებს თამაშსა და საუბარს

გ. უყურადღებობის და ჰიპერაქტივობა-იმპულსურობის ზოგიერთი სიმპტომი 7 წლის ასაკამდე ვლინდება

**დ.** ამ სიმპტომების უმეტესობა ორ ან მეტ სხვადასხვა გარემოში ვლინდება.

მნიშვნელოვანი კლინიკური ცვლილებები წარმოჩინდება სოციალურ, აკადემიურ, შრომით აქტივობებში და სირთულეები კავშირში არაა სხვა დაავადებებთან.

**რა ძირითადი პრობლემები გვხვდებაADHD-ისშემთხვევაში?**

ამ სინდრომის ძირითადი პრობლემებია ყურადღების დეფიციტი, იმპულსურობა, ჰიპერაქტივობა. მათთან დაკავშირებული სირთულეებია:

- ჩამორჩენა აკადემიურ მოსწრებაში, პრობლემები თანატოლებთან ურთიერთობაში
- დაბალი თვითშეფასება და უპატივცემლობა საკუთარი თავის მიმართ
- ქცევის პრობლემები
- ნეგატიური დამოკიდებულება მშობლებთან
- ნეგატიური დამოკიდებულება მასწავლებლებთან
- აგრესიულობა

**ყურადღების დეფიციტი ვლინდება:**

- თანატოლებთან შედარებით ყურადღების კონცენტრაციის უნარის ხანგრძლივობის სიმცირეში;
- ყურადღების შერჩევითობისა და ფოკუსირების დარღვევაში; სელექციური ყურადღების სიმწირეში; სტიმულების აღქმისა და გაგების შეზღუდვის უნარში;
- ხელისშემშლელი სტიმულისადმი ზედმეტ მგრძნობელობაში (ასეთ ბავშვებს ყურადღება ძალზე ადვილად გადააქვთ ხელისშემშლელ სტიმულებზე; მათ არ შეუძლიათ იმპულსური რეაქციების შეჩერება ისეთ სიტუაციებში, რომლებიც მოითხოვს მიზანმიმართულ მოქმედებას).

**იმპულსურობა ვლინდება:**

- დავალებაზე პასუხის გაცემისას შეჩერებისა და დაფიქრების უუნარობაში
- საკუთარი ჯერის დალოდების უუნარობაში
- თანმიმდევრული მოქმედების დაგეგმვისა და კონტროლის პრობლემებში
- დაუფიქრებელ მოქმედებაში

**ჰიპერაქტივობა** ვლინდება ჭარბ მოტორულ აქტივობაში. აქტივობის ზრდა ნაკლებად შესამჩნევია თავისუფალი თამაშის დროს, მაგრამ აშკარა ხდება წესებით შეზღუდული თამაშების და აქტივობებისას.

**ჩამორჩენა აკადემიურ მოსწრებაში:**
პირველ-მეორე კლასში ADHD-ის მქონე ბავშვების აკადემიური მოსწრებისა და მიღწევის ტესტების მაჩვენებლები არ განსხვავდება იმავე ასაკის ჩვეულებრივი ბავშვების მონაცემებისაგან; მე-3 კლასიდან კი მათი მაჩვენებლები გაცილებით დაბალი და ცვალებადია ნორმასთან შედარებით. დამტკიცებულია, რომ მცირეწლოვან ბავშვებთან შედარებით უფროსი ასაკის ADHD-ის მქონე ბავშვებს მეტი პრობლემები უჩნდებათ სწავლასა და ემოციურ განვითარებაში. ისინი პატარებთან შედარებით უფრო დეპრესიულნი და აგრესიულნი არიან, უჭირთ კომუნიკაცია. აღსანიშნავია, რომ აგრესიულ ADHD-ის მქონე ბავშვებს გაცილებით მეტად უჭირთ კითხვის სწავლა, ვიდრე უბრალოდ აგრესიულ ან მხოლოდ ADHD-ის მქონე ბავშვებს.

**აგრესიულობისა და ქცევის პრობლემები** – ADHD-ის მქონე ბავშვებს ასევე უჭირთ სოციალური ურთიერთობების დამყარება. ისინი ხშირად არაპოპულარულები და გარიყულები არიან თანატოლების მიერ. მათი უმრავლესობა არ არის დარწმუნებული საკუთარ შესაძლებლობებში და თითქმის დაკარგული აქვს თვითპატივისცემა. ასაკის მატებასთან ერთად ეს პრობლემები მძაფრდება. ADHD-ის მიზეზით გამოწვეული ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემაა აგრესიული და ასოციალური ქცევა (ჩხუბი, ტყუილი). **მსგავსი ქცევები ამ სინდრომის მქონე ბავშვების 70%-ს ახასიათებს.**

**რა უნდა გავითვალისწინოთ ADHD-ის მქონე ბავშვებთან ურთიერთობისას?**

- ➢ მათ არ შეუძლიათ ყურადღების დიდი ხნით კონცენტრირება, ერთ ადგილზე ჯდომა, მოსმენა და საუბარი, ამიტომ დაკითხვის პროცესში საჭიროა მათთან კომუნიკაცია დაიწყოს ცალკეულ მცირეხნიან ეტაპებად, დროის ინტერვალები უნდა შევარჩიოთ ინდივიდუალურად, სხვადასხვა შემთხვევაში ისინი შეიძლება მერყეობდეს 5 - 15 წუთს შორის;
- ➢ საუბრის პროცესში მოზარდი შესაძლოა ვერ ისვენებდეს, გამუდმებით მოძრაობდეს, იყურებოდეს აქეთ-იქით, ეს არ უნდა აღვიქვათ, როგორც პროცესისადმი უპატივცემლობა და დაბალი კულტურის გამოვლინება, არამედ უნდა გვესმოდეს, რომ ბავშვს არ შეუძლია სხვაგვარად მოქცევა, ის ვერ მართავს საკუთარ ქცევას და ემოციას;
- ➢ შეხვედრის დაგეგმვისას სპეციალისტმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს, რომ ADHD-ის მქონე ბავშვებს არ აქვთ უნარი, დაელოდონ საკუთარ ჯერს;
- ➢ დაკითხვის პროცესში ADHD-ის მქონე ბავშვმა შესაძლოა პასუხი იმპულსურად, დაუფიქრებლად გაგვცეს, რაც შესაძლოა არ ასახავდეს სინამდვილეს;
- ➢ ADHD-ის მქონე ბავშვებს ხშირად ახასიათებთ ე.წ. ემოციური ამოფრქვევები, ამ დროს მათ უნდა მივცეთ ემოციის მხარდამჭერ და დაცულ გარემოში გამოხატვის შესაძლებლობა და სასურველია, შევწყვიტოთ დაკითხვის პროცესი.

## 6. დევიაციური ქცევა. გამომწვევი მიზეზები და ფაქტორები

პირველ ყოვლისა, განვმარტოთ, რა არის დევიაციური (ნორმიდან გადახრილი) ქცევა. განიხილავენ დევიაციური ქცევის ორ ფორმას:

1. ქცევა, რომელიც ფსიქიკური ნორმის ფარგლებს სცილდება. აქ იგულისხმება სხვადასხვა ფორმის ფარული ან ღია ფსიქოპათოლოგიები – ასთენიური, შიზოიდური, ეპილეპტოიდური ტიპები და სხვ.

2. **ქცევა, რომელიც თავისი ბუნებითა და შინაარსით ეწინააღმდეგება საზოგადოებაში მიღებულ წესებს, კანონებს, ტრადიციებსა და ნორმებს**, რაც ხშირად აღიქმება, როგორც წესებისადმი და კანონებისადმი დაუმორჩილებლობა. ქცევის ასეთ ფორმას **დელიქვენტურს** უწოდებენ (წესებისადმი, ნორმებისადმი დაუმორჩილებლობა). არსებობს დევიაციური ქცევის კიდევ ერთი ფორმა, რომელიც გულისხმობს ქცევის ისეთ ტიპს, როცა ადამიანი ცდილობს, შექმნას განსხვავებული რეალობა მძაფრი და ინტენსიური ემოციების ხელოვნური გამოწვევით და საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობის შეცვლით, რასაც ადამიანები ახერეხებენ სხვადასხვა ნივთიერების – ალკოჰოლის, ნარკოტიკის, მედიკამენტების, ტოქსიკური ნივთიერებების (მაგალითად, წებოს ჩასუნთქვა) – გამოყენების საშუალებით და სხვ. ქცევის ამ ფორმას **ადიქციურს** უწოდებენ.

**დელიქვენტური და ადიქციური** ქცევები საზოგადოების მხრიდან ყოველთვის აღიქმება და ფასდება როგორც მიუღებელი და საზოგადოება ასეთი ტიპის ქცევების მიმართ ხდება შეუწყნარებელი, ის აწესებს სხვადასხვა სახის სანქციებს, მათ შორის კანონით დასჯასაც. საზოგადოების ამგვარი რეაქცია დევიაციურ ქცევაზე, ერთი მხრივ, პრევენციული ხასიათისაა (ცდილობს, გამოასწოროს და დაიცვას დანარჩენი საზოგადოება), თუმცა ხშირად ის უარყოფით როლსაც თამაშობს – საზოგადოება ემიჯნება დევიაციური ქცევის ადამიანებს, ახდენს მათ სტიგმატიზაციას.
ზემოთ თქმულიდან გამომდინარე ორი სახის პრობლემა იკვეთება:
1. ნორმიდან გადახრილი ქცევის არსებობა საზოგადოებაში;
2. საზოგადოების მტრული დამოკიდებულება ნორმიდან გადახრილი ქცევების მიმართ, მათი მიუღებლობა და გარიყვა.

იმისათვის, რომ საზოგადოებამ შეძლოს გახდეს შემწყნარებელი დევიაციური ქცევების მიმართ, მან ძალიან კარგად უნდა იცოდეს და აცნობიერებდეს იმ მიზეზებს, რომლებსაც ადამიანი მიჰყავს ასეთი ტიპის ქცევამდე.

**დევიაციური ქცევის მიზეზები:**
რატომ ხდება მოზარდი დევიანტი? ანუ რატომ ირჩევს ის გარემოსთან ურთიერთობისათვის ასეთი ტიპის ქცევას?
**სტატისტიკურად, არასრულწლოვნები/მოზარდები შეადგენენ მოსახლეობის ყველაზე კრიმინალურ სეგმენტს, თუმცა საბოლოოდ მათი უმრავლესობა წყვეტს კრიმინალურ და დევიაციურ ქმედებას სწორი და ადეკვატური პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად. "Statistically young people constitute the most criminally active segment of the population, although eventually most young people will desist from criminal and deviant activity"**

***United Nations World Youth Report, 2005***

ბავშვებისა და მოზარდების ქცევითი პრობლემები არის არა მხოლოდ აღზრდის (როგორც ოჯახში, ისე სკოლაში) დეფიციტის შედეგი, არამედ განპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით, მათ შორის:
***ინდივიდუალური ფაქტორებით*** - ადრეული ანტისოციალური ქცევა, მაღალი ქცევითი აქტივობა და ქცევის შეკავების მექანიზმების სისუსტე, დაბალი კოგნიტური განვითარება, დაბალი ინტელექტი, ჰიპერაქტივობა, დაბალი მორალური განვითარება, სოციალური უნარ-ჩვევების დეფიციტი, კონცენტრაციის პრობლემები, მოუსვენრობა, აგრესია, გარისკვა და სხვ.;
***ოჯახური ფაქტორებით*** - მშობელსა და ბავშვს შორის ურთიერთობის ნაკლებობა (ჩარევის, კონტროლის უქონლობა), ძალადობა ან ქრონიკული უყურადღებობა ბავშვის მიმართ, ძალადობა და კონფლიქტური სიტუაცია ოჯახში, მშობლების გაშორება, მძიმე ფინანსური მდგომარეობა ოჯახში, მშობლების ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები, ანტისოციალური ქცევები ოჯახში.
ცხადია, უმნიშვნელოვანესი როლი ეკისრება აღზრდის სტილს - ქართული ოჯახის აღზრდის სტრატეგია, ხშირ შემთხვევაში, ეფუძნება ფორმულას – „ბავშვი მტრად გაზარდე, მოყვრად გამოგადგებაო", რაც გულისხმობს აღზრდის სტრატეგიად ძალადობრივი ქცევის არჩევას - ბავშვის ფიზიკურ დასჯას, ზეკონტროლს, კრიტიკას, მუდმივ თვალთვალს, იძულებას და ა.შ. თავისთავად ცხადია, აღზრდის ეს ფორმა შედეგად აუცილებლად მოიტანს მოზარდის მიერ ძალადობრივი ქცევის კარგად დასწავლას და შემდგომში მის გამოყენებას სოციალური ურთიერთობებისათვის.
***სკოლისა და საზოგადოების ფაქტორები*** - მოზარდივერ ამყარებს ახლო ურთიერთობებს სკოლაში, ხშირად აცდენს სკოლას, გარიცხეს სკოლიდან, დაბალი აკადემიური მოსწრება, დაბალი აკადემიური მოტივაცია და მისწრაფებები, დეზორგანიზებული სკოლა, დეზორგანიზებული უბანი, დელიქვენტი ჯგუფების სიმრავლე, იარაღის/ნარკოტიკების ხელმისაწვდომობა;
***გარემო ფაქტორები (მაკრო დონეზე)*** - სიღარიბე, ძალადობის მედიით გაშუქება, ზოგადად, „ღარიბი" სამოქალაქო გარემო ახალგაზრდებისთვის.

შეგვიძლია კიდევ უფრო დავაკონკრეტოთ მიზეზები, რომლებიც ზოგ შემთხვევაში სწორედ გარდატეხის, მოზარდობის ასაკში ხდება დევიაციური ქცევის წინაპირობა:

პიროვნულ დონეზე:
- ემოციური სფეროს კონტროლის დაბალი დონე;
- მომატებული აღგზნებადობა, თვითკონტროლის დარღვევა;
- მძაფრი შთაბეჭდილებების მიღების მოთხოვნილება;
- ბავშვის საკუთარ თავში ნაკლებად დარწმუნებულობა, დაბალი თვითშეფასება;
- ჰიპერაქტივობა, კონცენტრაციის პრობლემები, მოუსვენრობა, აგრესია, გარისკვა;
- თავისუფლებისაკენ და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა;
- ინტელექტუალური სფეროს სისუსტე;
- მარტოობა, მიტოვებულობის განცდა;
- ფსიქოფიზიკური და სქესობრივი მომწიფების შეუსაბამობა;
- დიდი ოდენობით თავისუფალი დრო;
- მოწყენილობა.

სოციალურ დონეზე
ოჯახი:
- არასახარბიელო სიტუაცია ოჯახში;
- სტრესული სიტუაციები ოჯახში: მშობლების განქორწინება, ოჯახური კონფლიქტები, მშობლის გამგზავრება სხვა ქვეყანაში და სხვ.;
- დაძაბული სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია ბავშვის ოჯახში ან სოციალურ გარემოში;
- ძალადობის, სისასტიკის მაგალითები ოჯახში ან უახლოეს სოციალურ ველში;
- ანტისოციალური ქცევები ოჯახში (ალკოჰოლიზმი, ნარკომანია);
- მშობლებთან, ოჯახის სხვა წევრებთან კონფლიქტები;
- უფროსი და-ძმის ცუდი გავლენა;
- მიტოვებულია მშობლების მიერ და აღიზარდა ქუჩაში, თავშესაფარში, ბავშვთა სახლში;
- უფროსების მხრიდან ყურადღების ნაკლებობა, ბავშვის პრობლემების იგნორირება;
- გარდატეხის ასაკის თავისებურებების გამო აკრძალვებისა და სანქციების (დასჯის მეთოდები) გაძლიერება უფროსების მხრიდან;
- ზეკონტროლი, მშობელთა ავტორიტარიზმი;
- მშობლებს ან ოჯახის სხვა წევრებს არა აქვთ საკმარისი ცოდნა და ჩვევები, რათა გაუმკლავდნენ მოზარდების ასაკობრივ პრობლემებს;
- ბავშვების შესაძლებლობებისა და კარგი მხარეების არაღიარება უფროსების მხრიდან.

სკოლისა და საზოგადოების ფაქტორები
- ვერ ამყარებს ახლო ურთიერთობებს სკოლაში;
- ხშირად აცდენს სკოლას, გარიცხეს სკოლიდან;
- დაბალი აკადემიური მოსწრება;
- დაბალი აკადემიური მოტივაცია, მისწრაფებები;
- უარყოფითი იარლიყი სასკოლო გარემოში;
- დეზორგანიზებული სკოლა;
- არახელსაყრელი უბანი;
- დეზორგანიზებული უბანი;
- დელიქვენტი ჯგუფების სიმრავლე უბანში;
- იარაღზე/ნარკოტიკებზე ხელმისაწვდომობა.

თანატოლების ფაქტორები
- ურთიერთობა დევიანტურ თანატოლებთან;
- თანატოლებისაგან უარყოფა/გარიყვა;
- დევნა თანატოლების მხრიდან;
- გაწევრიანება კრიმინალურ დაჯგუფებაში;
- კრიმინოგენული ღირებულებები უბანში;
- ქუჩა, ქუჩის ავტორიტეტების ზეგავლენა.

ზოგადი გარემო ფაქტორები ქვეყანაში

- სიღარიბე;
- ძალადობის მედიით გაშუქება;
- ზოგადად „ღარიბი" სამოქალაქო გარემო ახალგაზრდებისთვის.

დევიაციური ქცევის დროს მოზარდებს ახასიათებთ:

✓ **ნეგატივიზმი** – უპირისპირდებიან უფროსებს – მშობლებს, მასწავლებლებს, უპირობოდ აპროტესტებენ ყველაფერს, ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ შავი თეთრია ან პირიქით;
✓ **რისკისადმი სწრაფვა** – ხშირად იგდებენ თავს ხიფათში, ეძებენ სარისკო და ხიფათის შემცველ სიტუაციებს იმისათვის, რომ გამოსცადონ საკუთარი თავი, დაუმტკიცონ საკუთარ თავს და სხვებსაც, რომ ძლიერები არიან. აქვთ ტენდენცია, წაართვან სხვა ადამიანებს (უფროსებს, თანატოლებს) კონტროლი სიტუაციაზე და თვითონ აიღონ ხელში;
✓ **ფსიქიკური რიგიდულობა** – უჭირთ მიღებული გადაწყვეტილებების შეცვლა, რთულია მათი გადარწმუნება, ფიქრობენ, რომ მხოლოდ თვითონ იციან ერთადერთი ჭეშმარიტება;
✓ **ქცევის არაპროგნოზირებადობა** – რთულია, წინასწარ განჭვრიტო, რას მოიმოქმედებს, რა გადაწყვეტილებას მიიღებს;
✓ **მაღალი აგრესიულობა;**
✓ **მძაფრი შთაბეჭდილებების მიღების მოთხოვნილება;**
✓ **თავისუფლებისაკენ და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა;**
✓ **მომატებული აგზნებადობა, თვითკონტროლის დარღვევა;**
✓ **შეიძლება გაჩნდეს ნიკოტინისა და ალკოჰოლის მოხმარების საშიშროება.**

## 7. ფსიქოტრავმა და მისი გავლენა ბავშვის განვითარებაზე

**ფსიქოტრავმის მიმდინარეობის თავისებურებები ბავშვებში და მათი ასაკობრივი დიფერენციაცია**

ადამიანის თავის ტვინი შეიცავს უძველეს სტრუქტურებს, რომლებსაც პიტერ ლევინი[3] (Э. Х. Давыдова, 2008) „რეპტილიის ტვინს" უწოდებდა. ტვინის ეს უძველესი კონსტრუქტები განსაზღვრავს ევოლუციის სხვადასხვა საფეხურზე მყოფი ცოცხალი არსებების მყისიერ (გაქცევის, შებრძოლების) რეაქციას საფრთხის შემცველ სიტუაციებზე. ადამიანის თავის ტვინი გაცილებით რთულია და ამ უძველესი კონსტრუქტების გარდა, ახალ სტრუქტურებსაც შეიცავს, რომლებიც პასუხს აგებენ მეტყველების, ლოგიკური აზროვნების და შემოქმედებით უნარებზე. შესაძლოა კრიტიკულ სიტუაციაში ადამიანმა თავს, ცხოველისგან განსხვავებით, გაქცევით სულაც ვერ უშველოს, ამიტომ გამოიწვევს თუ არა ტრავმას საფრთხის შემცველი სიტუაცია, დიდადაა დამოკიდებული ადამიანის ინდივიდუალურ თავისებურებებზე.

თუკი სიცოცხლისათვის საშიშ სიტუაციაში ცხოველი ახერხებს მთელი თავისი სასიცოცხლო ძალების მობილიზებას და თვითგადარჩენას, ადამიანმა, სხვადასხვა მიზეზის გამო, შეიძლება ეს ვერ შეძლოს და, შესაბამისად, დიდია ფსიქოტრავმის განვითარების შანსი.
ბავშვები გაცილებით უფრო მოწყვლადები არიან მატრავმირებელი სიტუაციების მიმართ. როგორც პიტერ ლევინი აღნიშნავდა, ნებისმიერმა, ბავშვისთვის უცნაურმა, უცხო სიტუაციამ, რომელიც შინაარსობრივად მუქარის შემცველია, შესაძლოა გამოიწვიოს ტრავმული რეაქცია, რაც შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოიხატოს: ბრაზის შემოტევებით, ჰიპერაქტიული ქცევით, აგრესიული ქცევით, შიშებით, ძილის დარღვევით, ღამის კოშმარებით, ენურეზით, ყურადღების კონცენტრაციის დარღვევით, იზოლაციით, სიმორცხვით და სხვ.[4]
სიტუაციები, რომლებიც ბავშვის ტრავმატიზაციას განაპირობებს, შეიძლება დავყოთ ორ ჯგუფად:

I. **პიროვნული ურთიერთობებით განპირობებული**
II. **გლობალური პრობლემებით პროვოცირებული**

***პირველ*** ჯგუფში ერთიანდება შემდეგი სახის სიტუაციები: ადრეული სეპარაცია - მშობლებთან დიდი ხნით განშორება, მშობლებისა და უფროსების მხრიდან სითბოს დეპრივაცია (შიმშილი),

---

[3]პიტერ ლევინი – ამერიკელი ფსიქოლოგი, ფსიქოთერაპევტი, ბავშვთა ფსიქორტავმის ერთ-ერთი თვალსაჩინო სპეციალისტი.
[4]არის თუ არა ბავშვის უცნაური ქცევა პასუხი მატრავმირებელ სიტუაციაზე, კარგად ჩანს საფრთხის შემცველი ეპიზოდების გახსენებისას. ამ დროს ისინი ან გაურბიან ლაპარაკს, ან პირიქით, აღიგზნებიან და ბევრს ლაპარაკობენ, ან გამოხატავენ შიშის რეაქციას. მატრავმირებელი ეპიზოდის გახსენება ახდენს იმ ნეგატიური გრძნობების პროვიცირებას, რომლებიც თავის დროზე სტრესულ სიტუაციაში ვერ გამოიხატა.

უგულებელყოფა, ასევე სხვადასხვა ფორმის ძალადობრივი დამოკიდებულებები (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური);

**მეორე** ჯგუფში კი ისეთი მოვლენები ერთიანდება, როგორიცაა ბუნებრივი კატასტროფები, ხანძარი, საომარი მოქმედებები და სხვ.

გამომდინარე იქიდან, რომ ბავშვებს ყველაზე მეტად სჭირდებათ სიყვარული, დაცულობის შეგრძნება და მუდმივად იმის განცდა, რომ მათზე ზრუნავენ, როცა ეს ბაზისური მოთხოვნილებები ბლოკირებულია, ბავშვები იძულებულნი ხდებიან, შეიმუშაონ დაცვითი სტრატეგია, რომლის საშუალებითაც მოხდება როგორც პიროვნული ურთიერთობების ოპტიმიზაცია, ასევე შფოთვისა და განგაშის განცდის შემცირება. გთავაზობთ ყველაზე გავრცელებულ დაცვის მექანიზმებს, რომლებსაც ბავშვები არაცნობიერად იყენებენ (და რომელთაც ადამიანები ზოგჯერ ზრადასრულ ასაკშიც მიმართავენ):
***იდენტიფიკაცია*** – ბავშვები მშობლების ღირებულებებს ითვისებენ იმისათვის, რომ უფრო მიმზიდველები და გავლენიანები გახდნენ. ეს ეხმარება მათ შფოთვის დაძლევაში.
***უარყოფა*** – ბავშვი იგნორირებას უკეთებს მომხდარ სიტუაციას. მაგალითად: ბავშვს უკვდება საყვარელი ცხოველი, ის კი აგრძელებს ისე მოქცევას, თითქოს ეს არც მომხდარიყო, ეთამაშება მას.
***ჩანაცვლება*** – როცა ერთი ობიექტით გამოწვეული აგრესია სხვა ობიექტზე გადადის. მაგალითად: ბავშვი გაბრაზებულია დაზე, არ შეუძლია მას დაარტყას და „სანაცვლოდ'' აწვალებს ძაღლს.
***პროექცია*** – ბავშვი თავის აზრებსა და ქცევებს მიაწერს სხვას. „მას უნდა ზიანი მომაყენოს''. ეს საფუძვლად ედება თვითდაცვის დამახინჯებულ მექანიზმს: „რადგანაც მას უნდა ზიანი მე მომაყენოს, სჯობია, მე მივაყენო მას ზიანი".
***რაციონალიზაცია*** – თავის დარწმუნება იმაში, რომ არ გინდა ის, რისი ფლობაც არ შეგიძლია. მაგალითად: თუ ბავშვი არ დაპატიჟეს წვეულებაზე, ის ამას ხსნის იმით, რომ მას არ მოსწონს წვეულებებზე სიარული.
***რეაქტიულობა*** – სასურველის საწინააღმდეგოდ ქცევა. მაგალითად: ბავშვს აქვს სურვილი, ჩაეხუტოს მშობელს, ამის მაგივრად გაზვიადებული დამოუკიდებლობის დემონსტრირებას ახდენს.
***რეგრესია*** – როცა ბავშვი სტრესულ სიტუაციაში მისი ასაკისთვის შეუფერებელი ქცევის დემონსტრირებას ახდენს. მაგალითად: 4 წლის ასაკში ეხვევა საბანში და წოვს თითს.
***განდევნა*** – ცნობიერებიდან არასასიამოვნო მოვლენების „წაშლა''. ბავშვი ივიწყებს მოვლენას, ის ქრება, თითქოს არასოდეს მომხდარიყოს.
***განრიდება*** – თავდაცვის ყველაზე მარტივი და პირდაპირი მექანიზმია, რომელსაც მიმართავენ სკოლამდელები. თუ სიტუაცია რთულდება, ისინი ფიზიკურად ან აზრობრივად განერიდებიან მას.

დამცავი სტრატეგიების მოქმედების შედეგად ბავშვებს ასევე უყალიბდებათ:
1) უსუსურობის, სხვაზე დამოკიდებულებისა და გაუბედაობის განცდების დაძლევა ფორმულით – „თუ დამთმობი ვიქნები, ხელს აღარ მახლებენ!"
2) იზოლაცია, საკუთარ თავში ჩაკეტვა, დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა მცდარი ფორმულით - „თუ ყველა თავს დამანებებს, ვერავინ მომერევა".
3) დომინანტობისკენ სწრაფვა, აგრესიული, ძალადობრივი ქცევის სტილის შემუშავება ფორმულით - „თუ მექნება ძალაუფლება, ხელსაც ვერავინ მახლებს".

იმ შემთხვევაში კი, როცა უფროსების მხრიდან ბავშვი **ჰიპერმზრუნველობას** და მუდმივ კონტროლს გრძნობს, რომელიც გაჯერებულია კატეგორიული იმპერატივებითა და აკრძალვებით, ის უფროსებზე ძალიან დამოკიდებული და მიჯაჭვული ხდება და ყალიბდება პიროვნებად, რომელსაც აქვს პასუხისმგებლობის საკუთარ თავზე აღების პანიკური შიში, საკუთარ ძალებში დაურწმუნებლობა და დაბალი თვითშეფასება.
საბოლოო ჯამში კი, როცა ბავშვები უფროსების მხრიდან ვერ გრძნობენ ემოციურ მხარდაჭერას, სახეზეა განვითარების შეფერხება პიროვნების სამივე დონეზე:
1) აფექტურ (ემოციების) დონეზე - ემოციური გახევება, მაღალი შფოთვა, ნევროტული შიშები და სხვ.;
2) კოგნიტურ (აზროვნების) დონეზე - ინტელექტუალური განვითარების შეფერხება, ყურადღებისა და მეხსიერების პრობლემები;
3) ქცევის დონეზე – დელიქვენტური და დევიაციური ქცევა, აგრესიული ქცევა, თანატოლთაგან იზოლაცია.
სამწუხაროდ, სამყაროში არსებობს მოვლენები, რომლებიც სიცოცხლისათვის საშიშ ინფორმაციას ატარებენ და რომლებთან შეხებაც პირველ რიგში არღვევს ბაზისურ რწმენას სამყაროს უსაფრთხოების შესახებ. ასეთი მოვლენებია ავტოკატასტროფები, ხანძარი, წყალდიდობები, ოჯახის წევრის მოულოდნელი გარდაცვალება, მძიმე ავადმყოფობა, საომარი მოქმედებები და სხვ.

როგორ უპასუხებს ბავშვი ასეთ მოვლენას, დამოკიდებულია მთელ რიგ ფაქტორებზე - ასაკზე, განვითარების დონეზე, აღზრდის კულტურაზე. ჩვეულებრივ, მცირეწლოვანი ბავშვები ვერ ახერხებენ გააზრებას, რა მოხდა რეალურად. მათ ეშინიათ და ამ შიშის წყაროს წარმოადგენს უფროსების უცნაური რეაქციები. მატრავმირებელი მოვლენის ზეგავლენის შემდეგ უფროსები ხშირად ცდილობენ, გამოკეტონ ბავშვები ე.წ. „უსაფრთხო ოთახში", სადაც ყველაფერი ძველებურად გამოიყურება, რაც იმთავითვე არასწორია და ხშირად ხდება მიზეზი იმისა, რომ ბავშვმა მატრავმირებელ მოვლენას კიდევ უფრო სასტიკი ინტერპრეტაცია მისცეს

**სკოლამდელი ასაკის ბავშვის რეაქცია ტრავმაზე:**
მატრავმირებელი მოვლენა ამ ასაკის ბავშვებში შემდეგი სახის რეაქციებს იწვევს:
– ძილის დარღვევები (უჭირს ჩაძინება, ღამის კოშმარები)
– ცვლილებები კვებაში (მოჭარბებული მადიანობა ან უმადობა)
– ადრეული ასაკის ჩვევებთან მიბრუნება (მაგ. საწოვარის ან თითის წოვა)
– რისხვის, სიჯიუტის შემოტევები
– მშობლებისაგან სეპარაციის (განშორების) ძლიერი შიში
– კონფლიქტები ოჯახის წევრებთან (მშობლები, და-ძმა)
– ტრავმული მოვლენის ჩართვა თამაშში

**უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვების რეაქცია ტრავმაზე:**
– ძილის პრობლემები
– სიმპტომური ჩივილები - თავის ან მუცლის ტკივილი
– უარს ამბობენ სკოლაში სიარულზე
– ქცევითი პრობლემები სკოლაში
– აკადემიური მოსწრების დაქვეითება
– მანიპულატორული ქცევის სტილის შემუშავება
– „საყოველთაო ომის გამოცხადება" - იზოლირება, საკუთარ თავში ჩაკეტვა

**მოზარდების რეაქცია ტრავმაზე**
– მუდმივი საფრთხის განცდა
– ნეგატივიზმი
– მომავლისადმი შფოთვითი დამოკიდებულება
– ძილის დარღვევები
– სიმპტომური ჩივილები – თავის ან მუცლის ტკივილი
– დეპრესია
– ოჯახისგან და მეგობრებისგან იზოლირება
– მანიპულატორული ქცევის სტილის შემუშავება
– ადიქციური ქცევა[5]
– აკვიატებული სექსუალური თამაშები

**ფსიქოტრავმის სახეები:**
**ბავშვისადმი ძალადობრივი დამოკიდებულება**:
ძალადობა, როგორც ტრავმა, თითქმის მთლიანად არღვევს პიროვნების სოციალური ადაპტაციის უნარს და იწვევს სხვადასხვა სახის ფსიქიკურ დარღვევებს.
გამოყოფენ ძალადობის რამდენიმე ფორმას:
**ფიზიკური ძალადობა**: ბავშვისთვის ფიზიკური ზიანის განზრახ მიყენება, ცემა, მოხრჩობა, დაწვა და სხვ.
**ემოციური ძალადობა**: ბავშვისადმი ღირსების შემლახველი დამოკიდებულება, დაცინვა, დაშინება, მუქარა, სხვადასხვა სახის მანიპულატორული ქცევები, რომლებიც იწვევს ბავშვის ემოციური განვითარების სერიოზულ შეფერხებას. ბავშვს აქვს მუდმივი შიშისა და საფრთხის შეგრძნება.
**უგულებელყოფა**: შემთხვევა, როცა ბავშვის ფიზიკურ, ემოციურ დაცვაზე არავინ ზრუნავს. მისი ყველა დონის მოთხოვნილება დაუკმაყოფილებელია, საკვებიდან დაწყებული ემოციური მხარდაჭერით დამთავრებული.
**სექსუალური ძალადობა**: გაუპატიურება ან სექსუალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ბავშვის ბოროტად გამოყენება. ძალადობის ეს ფორმა ყველაზე მეტად არყევს სამყაროსა და საკუთარი თავისადმი ნდობის ბაზისურ რწმენას. სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ბავშვებისათვის დამახასიათებელია აკვიატებული სექსუალური თამაშები.

[5] ადიქციური ქცევა – დესტრუქციული ქცევის ტიპი, რეალობისგან გაქცევა ალკოჰოლის, ნარკოტიკის, ტოქსიკური ნივთიერებების მიღების საშუალებით. მოზარდები ხელოვნურად ცვლიან თავიანთ ფსიქიკურ მდგომარეობას, რითაც ილუზორულად იბრუნებენ უსაფრთხოების, დაცულობის შეგრძნებას

ხშირად ხდება ძალადობრივი დამოკიდებულების სხვადასხვა ფორმის შერევა, მაგალითად, ფიზიკურ ან თუნდაც სექსუალურ ძალადობას თან სდევს მუქარა, დაშინება, დაცინვა. თუ ფიზიკური დასჯა იწვევს ფიზიკური ჯანმრთელობის გაუარესებას, ძალადობის შერეული ფორმების გამოყენება ბავშვის პიროვნების ზოგადი ტრავმატიზაციის წინაპირობა ხდება. ძალადობის ნებისმიერი ფორმის საფუძველს ემოციური ძალადობა, უარყოფა ან დეპრივაცია წარმოადგენს, რომელსაც შეიძლება „განსაკუთრებით სასტიკი" დამოკიდებულება ვუწოდოთ.
**ოჯახური ძალადობა** – ბავშვები ხშირად ხდებიან ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი, რაც გულისხმობს მათდამი ან ოჯახის სხვა წევრისადმი (დედა, და-ძმა, იშვიათ შემთხვევაში მამა) ძალადობრივ დამოკიდებულებას (ფიზიკური, ემოციური, სექსუალური ძალადობა, უგულებელყოფა). ძალადობა ოჯახში ბავშვის ტრავმატიზაციის მნიშვნელოვანი წყარო ხდება და შემდეგი სახის გართულებებს იწვევს:
– 6 თვემდე ასაკის ბავშვები თითქმის არ იღიმიან, არიან ინდიფერენტულნი გარშემო მყოფებისადმი, აქვთ შეზღუდული მოძრაობები და გარეშე გამღიზიანებლებზე ნაკლებად რეაგირებენ.
– წლინახევრიდან 3 წლამდე ასაკის ბავშვებს აქვთ შიშის გამოხატული რეაქციები, როგორც ოჯახის წევრებთან, ასევე უცხო პირებთან კონტაქტის დროს, ამასთანავე, არიან ზედმეტად ჭირვეულნიც.
– სკოლამდელი ასაკის ბავშვები (3-6 წელი) უფროსებთან „ცრუ დამჯერები და დამთმობები" არიან, ხშირად იტყუებიან. გამოირჩევიან აგრესიულობითა და სასტიკი დამოკიდებულებით თანატოლებისა და შინაური ცხოველების მიმართ, შეინიშნება ქურდობის შემთხვევებიც.
– უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის მტკივნეულია საკუთარ ოჯახში დაბრუნება გაკვეთილების შემდეგ. არიან ჩაკეტილები და თითქმის არ ჰყავთ მეგობრები. ისინი არასოდეს აღიარებენ თავიანთი ტრავმის ნამდვილ მიზეზს.

---

შემთხვევის მაგალითი: 7 წლის გოგონა გაკვეთილების შემდეგ თავისი საცხოვრებელი **სახლის სარდაფში იმალებოდა, იყო შემთხვევები, როცა დაბნელებამდე არ ბრუნდებოდა შინ. გაირკვა, რომ ამის მიზეზი მოძალადე მამასთან ურთიერთობის შიში იყო.**
– მოზარდობის ასაკში ხშირია სახლიდან გაქცევის, სუიციდის მცდელობის შემთხვევები, ასევე, ამ ასაკის ბავშვები ადიქციური და კრიმინალური ქცევებისადმი მიდრეკილები ხდებიან.

---

ბუნებრივი აღდგენის პროცესი
**ფსიქოლოგიური ტრავმის მიღების შემდეგ ყველა ადამიანში და მათ შორის ბავშვებშიც ბუნებრივი აღდგენის პროცესი იწყება და გადის გზას ტრავმის უარყოფიდან ინტეგრაციამდე:**
***უარყოფა – აღიარება – მიღება – გამოგლოვება – ინტეგრაცია***

I ფაზა - შოკი და უარყოფა
II ფაზა - ბრაზი, განრისხება
III ფაზა – გლოვა და დეპრესია
IV ფაზა - დაძლევა

**I. შოკის ფაზა:**
შოკის მთავარი ფუნქციაა თვითანესთეზია, გრძნობების ჩახშობა. ამ ფაზის ამოცანაა: ინდივიდმა ამოხეთქოს ის (ტკივილი), რასაც ვერ იტევს ფსიქიკა, ეს არის განმუხტვის, ტრავმული ენერგიისგან დაცლის ერთადერთი საშუალება.
შოკში მყოფ ადამიანს ეუფლება სიცარიელის, არარეალურობის შეგრძნება, ამ დროს დამახასიათებელია მომხდარის უარყოფა, გაშეშება, ან პირიქით – ზეაქტივაცია, აჟიტაცია, ყვირილი, მოთქმა – ამით ადამიანი ცდილობს, ჩაახშოს განცდები.
შოკის ფაზის დასრულება – მომხდარის რეალურ ფაქტად **აღიარება.**

**II. ბრაზის, განრისხების ფაზა:**
ბრაზის მთავარი ფუნქციაა ფორმალური აღიარებიდან შინაგან **მიღებამდე** (ფაქტთან შერიგებამდე).
აღიარება ბადებს ბრაზს, იწვევს პროტესტს – ამ ფაზაში ხდება ენერგიის განმუხტვა შინაგანი მიღების გარეშე.
*ბრაზის გამოხატვის არხები:*
ა) აგრესია მომხდარის წყაროს მიმართ, პოტენციური დამნაშავენი მომხდარში – ადამიანი ან მოვლენა
ბ) აგრესია იმათ მიმართ, ვისაც შეეძლო ამის თავიდან აცილება ან დახმარება
გ) აგრესია საკუთარი თავის მიმართ (ბრალეულობის და სირცხვილის განცდა)
დ) აგრესია დაკარგული ობიექტის მიმართ – ბრაზის ფაზა დასასრულს უახლოვდება

ე) აგრესია უზენაესი ძალების მიმართ, ბედის, ღმერთის („რატომ დაუშვა, ეს მომხდარიყო“) – ესეც ფაზის დასრულებაზე მიუთითებს
**ამ ფაზის სხვა განცდები:**
- მწვავე დარდი (სასოწარკვეთა) და დანაკარგის ძიება – მისი „მოლანდება“ – პროტესტი და მიუღებლობა
- შფოთვა და შიში – კიდევ ხომ არ განმეორდება ინციდენტი
ამ ფაზის მთავარი კრიტერიუმია აქტიური ქმედება. მიღება აქრობს აგზნებას.

**III. დეპრესიის და გლოვის ფაზა:**
ფაზის მთავარი ფუნქციაა გამოგლოვება.
ამ ფაზას ახასიათებს მწუხარება, ტირილი (და არა მოთქმა) ენერგიის გარეშე – *დაუსრულებლობის ილუზია.*
განცდების ფორმები:
- იზოლაცია, იდენტურობის დაკარგვა, თვითშეფასების დაქვეითება – წყდება სამყაროსთან კავშირი და იკარგება საკუთარი თავის შეგრძნება – საკუთარი უსუსურობის და უვარგისობის, ბრალეულობის განცდები, აპათია
- საზრისის დაკარგვა (რწმენა და მიზნები) – უნებისყოფობა და აპათია
- ფიზიკური კონტაქტის დაკარგვა – ვეღარ შეიგრძნობს საკუთარ თავს
ფაზის დასასრული – ენერგიის თანდათან მომატება, სიმპტომების ნელ-ნელა ჩაქრობა

**IV. დაძლევის ფაზა:**
ფაზის მთავარი ფუნქციაა სტრესული გამოცდილების ინტეგრაცია – იგი ხდება ცხოვრების ნაწილი და მას ინდივიდის გამოცდილებაში მიეჩინება საკუთარი ადგილი.
ყველა ადამიანს აქვს თავისი რესურსი და ენერგია ტრავმასთან გასამკლავებლად, ამიტომაც ტრავმირებული ადამიანის მხარდაჭერა პირველ ეტაპზე გულისხმობს მხოლოდ მის გვერდით ყოფნას, ყურადღების მიქცევას, უსაფრთხოების უზრუნველყოფას, ვინაიდან აქტიურმა ჩარევამ შეიძლება დათრგუნოს პიროვნული რესურსები. ადამიანი, რომელიც ტრავმას გაუმკლავდება და დაძლევს ტრავმის შედეგებს, პიროვნულად უფრო გაძლიერებული და გაზრდილია. ფსიქოლოგიაში ასეთი ტერმინიც არსებობს – პოსტტრავმატული პიროვნული ზრდა. თუმცა ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი დამოუკიდებლად ვერ უმკლავდება ტრავმას და მას სპეციალისტის დახმარება სჭირდება. ზემოთ მოყვანილ ბუნებრივი დაძლევის რომელიმე ფაზაში ადამიანი შეიძლება „გაიჭედოს“, რაც აბრკოლებს აღდგენის პროცესს. განსაკუთრებით ხშირად ეს ბრაზის ან გლოვის ფაზაა, რაც შესაბამისად ადამიანის გახშირებულ აგრესიულ ქმედებებში გამოიხატება ან პირიქით, მის დათრგუნულ და აპათიურ მდგომარეობაში.

განვიხილოთ ფსიქოლოგიური ტრავმის შედეგები:
1. მწვავე რეაქცია სტრესზე;
2. პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა;
3. ადაპტაციის დარღვევები;
4. დეპრესია;
5. შფოთვითი აშლილობები;
6. ფსიქოაქტიურ ნივთიერებებზე დამოკიდებულება;
7. პიროვნების მყარი ცვლილებები.

ზემოაღნიშნული შედეგებიდან ჩვენ განვიხილავთ მხოლოდ მწვავე სტრესულ რეაქციას და პოსტტრავმატულ სტრესულ აშლილობას, ვინაიდან დანაშაულებრივი ინციდენტის შედეგად შეიძლება ინციდენტში ჩართულ პირებს სწორედ ეს რეაქციები აღენიშნებოდეთ.

**მწვავე სტრესული რეაქცია.** დანაშაულებრივი ინციდენტი სწორედ ის ფაქტორია, რომელმაც შეიძლება ადამიანში გამოიწვიოს მწვავე რეაქცია სტრესზე.
სიმპტომები მრავალფეროვანი, შერეული და ცვალებადია. დასაწყისში გამოხატულია „გარინდების, გაშეშების“ მდგომარეობა ცნობიერების ველის შევიწროებით, ყურადღების დაქვეითება, გარე სტიმულებზე ადეკვატური რეაგირების შეუძლებლობა, შესაძლოა განვითარდეს აჟიტაცია და ჰიპერაქტიულობა. ხშირად გამოვლინდება პანიკური განგაშის ვეგეტატიური სიმპტომები (ტაქიკარდია, ოფლიანობა, გაწითლება). როგორც წესი, კლინიკური ნიშნები ვითარდება მატრავმირებელი მოვლენიდან უახლოეს წუთებში და ქრება რამდენიმე დღის - ოთხი კვირის ინტერვალში.

**PTSD -** პოსტრავმატული სტრესული აშლილობა

სტრესული ფაქტორები: ბუნებრივი და ხელოვნური კატასტროფები, სერიოზული უბედური შემთხვევები, **სხვა ადამიანის ძალადობრივი სიკვდილის ნახვა, წამების, ტერორიზმის, გაუპატიურების და სხვა დანაშაულებრივი ქმედების მსხვერპლის როლში ყოფნა ან შესწრება.**

**PTSD - პოსტრავმატული სტრესული აშლილობის - სიმპტომთა თავისებურებები ბავშვებში:**
**გადატანილ მოვლენასთან დაკავშირებული ხატების, აზრების და წარმოდგენების თვითნებური შემოჭრა ცნობიერებაში -** ბავშვების შემთხვევაში ეს სიმპტომი ვლინდება ე.წ. ტრავმულ თამაშებში, სადაც ჩართულია მონოტონური, რიტუალური ქცევითი აქტები. ტრავმული თამაში ჩვეულებრივისაგან განსხვავდება იმით, რომ აქ საერთოდ არ არის კათარზისული მომენტი. თამაში არ იწვევს შვებას. თამაშის შინაარსი (დასაფლავება, დატირება) ხშირად შემზარავი და დამთრგუნველია, რაც უფროსების სერიოზულ შეშფოთებას იწვევს. **განმეორებადი კოშმარული სიზმრები** – თუ მოზრდილი ადამიანებისათვის მარტივია სიზმრის შინაარსის დაკავშირება ტრავმულ მოვლენასთან, ბავშვები ვერაფრით ხსნიან თავიანთი სიზმრების სისასტიკესა და შემზარავ ბუნებას, მით უმეტეს, ვერ აკავშირებენ გადატანილ მოვლენასთან. ბავშვის სიზმარში ფიგურირებენ საშიში ზღაპრული პერსონაჟები – ურჩხულები, დევები, და ისინი შიშის შეგრძნებით იღვიძებენ. შიში იმდენად ინტენსიურია, რომ ბავშვის ჩვეულ აქტივობებზეც აისახება. ისინი ხშირ შემთხვევაში უარს ამბობენ ბნელ ოთახში ან სულაც მარტო დაძინებაზე.

**ტრავმული ინციდენტის დროს განხორციელებული ქმედებებისა და განცდების უნებლიე გაცოცხლება** – ბავშვებში, ისევე, როგორც დიდებში, ხშირია ჰალუცინაციები, ილუზიები და ე.წ. "flashbacks", ანუ როცა ტრავმული ეპიზოდი ცოცხლდება და ისე განიცდება, თითქოს აქ და ამჟამად ხდებოდეს.

**ტრავმულ ინცინდენტთან ასოცირებული მოვლენების უარყოფითი ზეგავლენა ბავშვის ფსიქიკაზე**– თუკი რაიმე გარეგანი გამღიზიანებელი სიმბოლურად უკავშირდება ტრავმას (მაგ. ავტუბუსით მგზავრობა, ექიმთან ვიზიტი და სხვ.), ბავშვებს ხშირად აქვთ მწვავე სომატური რეაქციები – კუჭის სპაზმი, თავის ტკივილი. ნიშანდობლივია ტრავმული მოვლენის ცალკეული ეპიზოდების ამნეზია. ისინი ხშირად უარს ამბობენ და ძლიერ ბრაზს გამოხატავენ განცდილზე საუბრისას.

**ემოციური სიჩლუნგე** – ბავშვები კარგავენ ძლიერი ემოციების განცდისა და გამოხატვის უნარს, როგორც ვერბალურად, ასევე არავერბალურად.

**ძილის დარღვევა** – ბავშვებს უჭირთ ჩაძინება, მათ აფრთხობთ კოშმარული სიზმრების განმეორების შესაძლებლობა. ასევე უძილობა უკავშირდება მაღალ შფოთვასა და ზესიფხიზლეს.

**მაღალი გაღიზიანებადობა და ბრაზის შემოტევები** – იმატებს კონფლიქტური სიტუაციები როგორც ოჯახის წევრებთან, ასევე თანატოლებთან. მშობლები ხშირად უჩივიან, რომ ბრაზის შემოტევა უმართავია და უცნაურიც კი. ბავშვის თამაშებში, ნახატებში ჩართულია აგრესიული შინაარსით დატვირთული სიმბოლოები.

**მეხსიერებისა და კონცენტრაციის უნარის დაქვეითება** – მნიშვნელოვნად ზარალდება ბავშვის აკადემიური სტატუსი სკოლაში, რაც ფსიქოლოგთან კონსულტაციის დროს ერთ-ერთი წამყვანი ჩივილია მშობლების მხრიდან. ბავშვები კარგავენ ინტერესს სასწავლო პროცესისადმი კონცენტრაციის, მასალის შეთვისებისა და ანალიზის უნარის დაქვეითების გამო. ეს სიმპტომები განსაკუთრებით ყურადსაღებია მოსამართლეებისთვის, გამომძიებლებისთვის, პროკურორებისა და ადვოკატებისათვის, ვინაიდან გამოძიების და სასამართლო პროცესები დაინტერესებულია მოზარდისგან ინფორმაციის მიღებაში, რაც შეიძლება გართულებული იყოს სწორედ მოზარდის მეხსიერებისა და კონცენტრაციის უნარის დაქვეითების გამო.

**ზესიფხიზლე** – ბავშვი ფიზიკურად მუდმივად დაძაბულია და განუწყვეტლივ არასასურველი ტრავმატული შთაბეჭდილებების გავლენის ქვეშაა. ფიზიკური დაძაბულობა ზოგჯერ დაცვით ფუნქციასაც ატარებს, იქამდე, სანამ არ შემცირდება განცდების სიღრმე და ინტენსივობა.

---

დაბოლოს, თუ შევეცდებით ყველა ზემოთ განხილული საკითხის განზოგადებას, აღმოვაჩენთ, რომ ბავშვებს იმდენად არ აშინებთ ჯერაც შეუცნობელი სამყარო, რამდენადაც მათი მშობლების, ახლობლების „უცნაური" რეაქციები. ისინი სამყაროს ატრიბუციას უფროსებისაგან შეთავაზებული მოდელის შესაბამისად ახდენენ. ეშინიათ, სტკივათ, განიცდიან ორჯერ უფრო მეტად, ვიდრე ჩვენ. ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, ზუსტად ვიცოდეთ, როგორ აღიქვამენ ისინი საფრთხის შემცველ რეალობას და რა რისკისა და გამოცდის წინაშე აყენებს მატრავმირებელი მოვლენა მათ

ცხოვრებას. განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო იმ შემთხვევაში, თუ ტრავმირებული ბავშვი, როგორც დაზარალებული, მოწმე ან დამნაშავე, ჩართულია საგამოძიებო და სასამართლო პროცესში. მოზარდის მხრიდან ზოგიერთი რეაქცია (ოფლიანობა, გაწითლება, ემოციური გახევება) შეიძლება მცდარად იყოს გაშიფრული როგორც მოზარდის მხრიდან ტყუილის თქმის მცდელობა ან როგორც მისი ბრალეულობის დამამტკიცებელი. მოსამართლეები, პროკურორები და ადვოკატები ძნელი ამოცანის წინაშე დგანან, ვინაიდან უნდა შეეძლოთ გაარჩიონ, სიმპტომის უკან რა დგას: რეაქცია სტრესზე თუ პასუხისმგებლობის თავიდან არიდების, ტყუილის თქმის მცდელობა.

### 8. კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდის ფსიქოლოგიური და სოციალური განვითარების დარღვევები

ანტისოციალური საქციელის მქონე ახალგაზრდების <u>**გარკვეული ნაწილისათვის**</u> დამახასიათებელია განვითარების შემდეგი სახის პრობლემები, რომლებსაც სხვაგვარად 3 სოციალურად **პრობლემური „დ"** შეგვიძლია ვუწოდოთ: სოციალური უნარ-ჩვევების **დეფიციტი**, სოციალურ-მორალური განვითარების **დაყოვნება** და სოციალურ-შემეცნებითი **დამახინჯება** (ე.წ. აზროვნების შეცდომები).

*1. სოციალური უნარ-ჩვევების დეფიციტი* გულისხმობს შემდეგს - ამ ახალგაზრდებს არ შესწევთ უნარი, იყვნენ კონსტრუქციულები კრიტიკულ სიტუაციებში, კონსტრუქციულად გამოხატონ უკმაყოფილება, მართონ ბრაზი, თავიდან აიცილონ თანატოლთა უარყოფითი ზეგავლენა, თქვან უარი ისე, რომ არ გაანაწყენონ სხვა ადამიანები. სწორედ ამ უნარების დეფიციტის გამო მათი ცხოვრება სავსეა კონფლიქტებით. საილუსტრაციოდ შეგვიძლია ასეთი მაგალითი მოვიტანოთ - 15 წლის მოზარდი ბიჭი, რომელიც ქალაქის ძველ და ღარიბ უბანში ცხოვრობს, მეგობართან ერთად შედის ბიბლიოთეკაში და ითხოვს წიგნს „სუტენიორის ავტობიოგრაფია", რაზეც ბიბლიოთეკარი გაკვირვებული და აღშფოთებული საკმაოდ უხეშად პასუხობს, რომ მსგავსი რამ არა აქვთ და არც შეიძლება ჰქონდეთ. ბიჭი ამაზე ბრაზდება, იწყებს ბიბლიოთეკარის ლანძღვას, ბოლოს კი გაიჯახუნებს კარს შეძახილით - „ჯანდაბამდე გზა ჰქონია თქვენს ბიბლიოთეკას". როგორც ვხედავთ, მოტანილი სიტუაციიდან აშკარად ჩანს, რომ ბიჭს არ გააჩნია საჭირო უნარი, კონსტრუქციულად გაუმკლავდეს ბიბლიოთეკარის სიბრაზეს.

*2. სოციალურ-მორალური განვითარების დაყოვნება* - ხშირ შემთხვევაში მოზარდის ანტისოციალური საქციელი განპირობებულია სოციალურ-მორალური განვითარების დაყოვნებით. ადრეული ბავშვობის გავლის შემდეგ შემორჩენილია არაზრდასრული, ანუ ზედაპირული მორალური განსჯა და გამოხატული ეგოცენტრიზმი.
ჩვენ უკვე ვიცნობთ ქოლბერგის მორალური განვითარების თეორიას, რომლის მიხედვითაც მორალური განვითარება არის კონსტრუქციული პროცესი და გულისხმობს ზრდასრული მორალური ფასეულობების ჩამოყალიბებას, თუმცა ადამიანები ზოგჯერ სხვადასხვა მიზეზის გამო ჩამორჩებიან მორალური განვითარების თვალსაზრისით. ნეოქოლბელგიანელებმა - გიბსმა, ბესინჯერმა და ფულერმა - მორალური განვითარების 4 სტადია შემოგვთავაზეს. 1-ლი და მე-2 სტადიებისათვის დამახასიათებელია არაზრდასრული, ზედაპირული მორალური განსჯა. თუ ადამიანის ღირებულებებსა და მორალურ განსჯებში ამ სტადიების თავისებურებები სჭარბობს, შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი იმყოფება მორალური განსჯის დაყოვნების დონეზე.
მე-3 და მე-4 სტადიებისათვის კი დამახასიათებელია ზრდასრული, სიღრმისეული მორალური განსჯები. ადამიანები, რომლებიც მორალური განვითარების ამ საფეხურზე იმყოფებიან, აღიარებენ საყოველთაო, ყველა კულტურისათვის მიღებულ ღირებულებებს.
კიდევ ერთხელ მოკლედ შემოგთავაზებთ მორალური განვითარების სტადიების ნეოქოლბელგიანელების მიერ შემუშავებულ აღწერას:

**1-ლი საფეხური: ძალაუფლება - „ძალა სიმართლეა!" (0-5 წელი)**
მორალი: თუ შენ დიდი და ძლევამოსილი ხარ, ყველაფერი, რასაც ამბობ და აკეთებ, არის სამართლიანი, გეკუთვნის ყველაფერი, რისი მიღებაც და მიღწევაც გსურს, ასევე შენ ვალდებული ხარ, გააკეთო, რასაც ძალაუფლების მქონე ადამიანები შენგან მოითხოვენ.
შენი საქციელი არასწორია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაისჯე (თუ იმან, ვისაც ძალაუფლება აქვს, არ დაგსაჯა, ე.ი. მართალი ხარ და ცუდიც არაფერი ჩაგიდენია).
ადამიანებს არ ესმით ის მორალური მიზეზები, რაც საფუძვლად უდევს კანონებს.
რა არის სამართლიანი და რა უსამართლო, ამას შენზე ფიზიკურად ძლიერი განსაზღვრავს.
**მე-2 საფეხური: გარიგება (5-10 წელი)**
მორალი: ყოველთვის უნდა იცოდე - რა სარგებელი გექნება აქედან? მხოლოდ ამის შემდეგ დაემორჩილე ან დაეხმარე სხვას. დარტყმას დარტყმით უნდა უპასუხო. სანამ აქეთ დაგარტყამენ, უნდა დაასწრო. არ უნდა მოიპარო და დააშავო, იმიტომ, რომ ამისათვის დაგიჭერენ.
ამ ეტაპზე ადამიანებს არ ესმით ორმხრივი ურთიერთობების აზრი, ისინი ძირითადად თვითცენტრირებულები არიან.
**მე-3 საფეხური: ორმხრივობა (10-15 წელი)**

მორალი: „მოექეცი სხვას ისე, როგორც გინდა, რომ შენ მოგექცნენ“: ზრუნვა ორმხრივ ურთიერთობებზე, მნიშვნელოვანია როგორ აღგიქვამენ და რას ფიქრობენ შენზე შენი მეგობრები, გააკეთე ყველაფერი მათთვის, თუნდაც ამისთვის რისკზე წასვლაც დაგჭირდეს.

**მე-4 საფეხური: წვლილი საზოგადოებაში (15 წლის ზემოთ)**
მორალი: საზოგადოება ვერ იარსებებს, თუ მისი წევრები პატივს არ სცემენ ერთმანეთის უფლებებს, არ აღიარებენ კანონებს და წესებს და არ აქვთ პასუხისმგებლობის გრძნობა.
კანონდაუმორჩილებლობა ნიშნავს უწესრიგობას და ქაოსს საზოგადოებაში.
მოზარდებში მორალური განვითარების შეფერხების მიზეზი ხშირად ხდება გარემო, სადაც მას უწევს აღზრდა და განვითარება, ანუ მის გარშემო არსებული სოციალური, მატერიალური და ფსიქოლოგიური კლიმატი.

**როგორც კვლევები აჩვენებს, ანტისოციალური ქცევის ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს ახასიათებს თვითცენტრირებულობა თავიანთ მორალურ განსჯებში და ისინი მეტწილად მორალური განვითარების მე-2 საფეხურზე იმყოფებიან.**

*3. სოციალურ-შემეცნებითი დამახინჯება (ე.წ. აზროვნების შეცდომები).* ანტისოციალური ქცევის მოზარდებს ახასითებთ გარკვეული შეცდომები აზროვნებაში, ეგოცენტრული მიკერძოება და თვითკონტროლის დაბალი დონე.
ჩვენთვის ცნობილია, რომ ადრეულ ასაკში ბავშვები:
- იმპულსურები არიან
- ხშირად მოქმედებენ დაუფიქრებლად
- რეაგირებენ „აქ და ამჟამად“ პრინციპით
- არ ფიქრობენ შედეგზე

თუ სურვილის დაკმაყოფილება შეყოვნებულია და მოცდა უწევთ, იწყებენ ტირილს და კივილს.
მოზარდები, რომლებსაც თვითკონტროლი არ დაუსწავლიათ, სურვილის დაყოვნების და წინააღმდეგობის შემთხვევაში ასევე ვარდებიან „ისტერიკაში“, ხდებიან აგრესიულები და უჭირთ ბრაზის მართვა.
იმპულსურობა და თვითცენტრირებულობა შეიძლება სულაც არ გახდეს ანტისოციალური ქცევის მიზეზი, თუ მას თან არ ახლავს ე. წ. აზროვნების შეცდომები.
აზროვნების შეცდომად მიიჩნევა არასწორი დასკვნები და წარმოდგენები საკუთარი ან სხვისი სოციალური ქმედების შეფასებისას.
არსებობს აზროვნების შეცდომების 4 ფორმა:

1. *საკუთარ თავზე ორიენტაცია (თვითცენტრირებულობა)*
2. *უარესის მოლოდინი*
3. *სხვისი დადანაშაულება*
4. *მინიმალიზაცია/იარლიყის შეცვლა*

ვნახოთ, თუ რას გულისხმობს აზროვნების შეცდომების თითოეული ფორმა:
*1. საკუთარ თავზე ორიენტაცია (თვითცენტრირებულობა)*
არის აზროვნების ძირითადი შეცდომა, რომლის ამოსავალი წერტილია ეგოცენტრული მიკერძოებულობა. ამ დროს საკუთარი მოთხოვნილებების, სურვილების, საჭიროებების, განცდების ისეთ რანგში აყვანა ხდება, რომ სხვისი კანონიერი შეხედულებები და უფლებები არც კი განიხილება.
საკუთარ თავზე ორიენტირებულ მოზარდს აქვს შეგრძნება, რომ ის უფლებამოსილია, ჰქონდეს ყველაფერი, რაც უნდა, და ნებისმიერი წინააღმდეგობა განიხილება როგორც სასტიკი უსამართლობა და ძლიერი ფრუსტრაციის საფუძველი ხდება.
*2. უარესის მოლოდინი* - სხვისგან მტრული განზრახვის მოლოდინი ყოველგვარი საფუძვლის გარეშე; ყველაზე ცუდი სცენარის დაშვება; განსაკუთრებით საყურადღებოა ის შემთხვევები, როცა ახალგაზრდას აქვს უარესის მოლოდინი საკუთარ თავზე (შესაძლებლობებზე, მომავალზე), რის შედეგადაც მისი ქცევა დესტრუქციულია, უფრო საკუთარი თავისთვის, ვიდრე სხვებისთვის.
*3. სხვისი დადანაშაულება* - ანტისოციალური ქმედებისას დანაშაულის სხვა წყაროსათვის მიწერა, განსაკუთრებით სხვა პიროვნებისათვის, ჯგუფისათვის, ან დანაშაულის მიზეზად საკუთარი უხასიათობის, სიბრაზის, თუნდაც სიმთვრალის მიჩნევა. სხვისი დადანაშაულება შეიძლება იქამდეც კი მივიდეს, რომ მსხვერპლი ძალადობის ღირსად და ლეგიტიმურ სამიზნედ ჩაითვალოს - „ყველა ადამიანი თვითონ იკლავს საკუთარ თავს“ ან „ერთი კვირის წინ მეც დამაყაჩაღეს“ და სხვ.
სხვაზე გადაბრალებით ადამიანს აქვს განცდა, რომ ამით მისი ბრალეულობა მცირდება. არასრულწლოვანი დამნაშავე მზად არის, თავი აღიქვას არა მოძალადედ, არამედ მსხვერპლად, ხშირად დამნაშავეები ჩადენილ დანაშაულს აღიქვამენ როგორც მათ მიმართ ჩადენილი „უსამართლობის“ გამოსწორებას.

*4. მინიმალიზაცია/იარლიყის შეცვლა* - მოზარდები ხშირად მათ მიერ ჩადენილის მინიმალიზაციას ცდილობენ, მაგალითად, ვანდალიზმი ფასდება როგორც „ცუღლუტობა“, „ბავშვური სიცელქე“ და სხვ. აზროვნების ამ ტიპის შეცდომა თითქოს ეხმარება ადამიანს, გაანეიტრალოს სინდისის ქენჯნა, შეამციროს ბრალეულობის განცდა და თვითგვემა: „ისეთი არაფერი მომხდარა, კი არ მოვიპარე მანქანა, უბრალოდ გავისეირნე“, „დიდი რამე - ყველა იპარავს!“

იმისათვის, რომ უფრო გასაგები გახდეს, თუ როგორ ერთვება აზროვნების შეცდომები ადამიანის ცხოვრებაში და როგორ მიჰყავს ის საბედისწერო ნაბიჯებამდე, განვიხილოთ ქცევის ბიჰევიორისტული მოდელი, რომელიც შედგება შემდეგი 4 კომპონენტისგან:

**A M B C,** სადაც:

**A (activating event)** – გულისხმობს ქცევისათვის ბიძგის მიმცემ მოვლენას, ქცევის წინაპირობას (უხასიათობა, ქუჩაში უცნობის დაჯახება და სხვ.)

**M (mind activity)** – გულისხმობს გონების აქტივობას, ანუ იმას, თუ როგორ აღიქვა ადამიანმა მომხდარი, რა ინტერპრეტაცია მისცა მას, აღიქვა ის, როგორც საფრთხე და მუქარა, თუ უფრო მსუბუქად შეხედა, მაგალითად, ქუჩაში უცნობის დაჯახება ერთმა ადამიანმა შეიძლება აღიქვას როგორც მიზანმიმართული საქციელი და გაბრაზდეს: „როგორ გამიბედა!“, სხვამ კი შეიძლება აღიქვას როგორც უნებლიე შეცდომა და სრულებითაც არ გაბრაზდეს.

**B (body reaction)** – გულისხმობს სხეულის რეაქციას, რომელიც, ცხადია, დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ აღიქვა და შეაფასა ადამიანმა ქცევის წინაპირობა. თუ ის გაბრაზდა, დაჯახებაზე, მაშინ სხეული უფრო აგრესიულ პოზას იღებს, ხოლო თუ არ აღიქვა დაჯახება როგორც მიზანდასახული აქტი, უფრო თავდაცვის პოზას იღებს.

**C (consequences)** - გულისხმობს შედეგს. თუ ადამიანმა ქცევის წინაპირობა აღიქვა უარყოფითად, ის ჩხუბს იწყებს, ხოლო თუ უნებლე შეცდომად შეაფასა, შესაძლოა გაუღიმოს და გაატაროს „დამჯახებელი“.

როგორც ამ სქემიდან ვხედავთ, გონების აქტივობა **(mind activity)** გადამწყვეტ როლს თამაშობს, სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, ვიცოდეთ მოზარდებისთვის დამახასიათებელი აზროვნების შეცდომების 4 ფორმა, რომ უფრო გასაგები გახდეს მათი დანაშაულებრივი ქმედების ნამდვილი მიზეზი. სამწუხაროდ, კანონთან კონფლიქტში მყოფი მოზარდების დიდ ნაწილს აქვთ თვითკონტროლის, ბრაზის მართვის პრობლემები, ისინი ვერ ფლობენ საჭირო სოციალურ უნარებს და მათი მორალური განვითარება ხშირ შემთხვევაში შეფერხებულია. ეს მენტალური პრობლემებია და, აქედან გამომდინარე, ამ ადამიანებს ჩვენი დახმარება სჭირდებათ, რომ ჯერ გააცნობიერონ, ხოლო შემდგომ გადალახონ და გაუმკლავდნენ პრობლემებს.

### 9. რა არის პენიტენციური სტრესი და როგორია მისი გავლენა მოზარდზე?

*მოულოდნელი, ბუნებრივი და ჩვეული მოვლენებისგან განსხვავებული სიტუაცია, რომელიც ზოგჯერ თავისი შინაარსით დადებითიც კი შეიძლება იყოს, ადამიანისათვის სტრესის წყარო ხდება. სტრესული სიტუაცია ზემოქმედებს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე, ადამიანის სოციალურ ცხოვრებაზე და პირად მიღწევებზე.*

*არსებობს შემდეგი სახის სტრესორები ანუ სტრესის გამომწვევები: ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სოციალური, ეგზისტენციალური, რაც ადამიანის ფიზიკურ, სოციალურ გარემოს, მის თვითაღქმას, პირად ბიოგრაფიას და ცხოვრების საზრისსაც კი უკავშირდება. ადამიანისათვის სტრესის წყაროდ შეიძლება იქცეს როგორც წარუმატებლობა, ისე წარმატება. ამბობენ, რომ ადამიანი გამუდმებით სტრესის ქვეშაა (ეუსტრესი – ცხოვრების ყოველდღიური რიტმი, ხმაური, ფუსფუსი და ა.შ.), მაგრამ განსაკუთრებით ძლიერი სტრესორი ადამიანში დისტრესს იწვევს და ზოგჯერ რადიკალურად ცვლის მის ფიზიკურ და სულიერ მდგომარეობას.*

*ასევე ადამიანები ერთმანეთისგან განსხვავდებიან სტრესის ამტანობით, ზოგი ძალიან მოწყვლადია და იოლად „ისტრესება“, ზოგი კი მეტ სიძლიერეს იჩენს.*

პენიტენციურ სისტემაში მყოფი მოზარდი ორი სახის სტრესის ზემოქმედების ქვეშაა:

- გაურკვევლობის სტრესი (სასჯელის ზომის განსაზღვრამდე)
- პენიტენციური სტრესი

გაურკვევლობის სტრესი თავისი შინაარსით დაკავშირებულია მოზარდის, როგორც მსჯავრდებულის, სტატუსის და მოზარდის, როგორც ადამიანის, საბოლოო ბედის განსაზღვრასთან. როგორი იქნება სასჯელის ზომა? სად და რა პირობებში მოუწევს მას სასჯელის მოხდა და სხვ. შეიძლება ითქვას, რომ პენიტენციურ სისტემაში მოხვედრის პირველ ეტაპზე გაურკვევლობის სტრესი უფრო აქტუალურია. აქედან გამომდინარე, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არასრულწლოვან ბრალდებულებთან მომუშავე სპეციალისტების სენსიტიურობას ამ საკითხისადმი, კერძოდ, რამდენად სწორად იღებს მოზარდი ინფორმაციას ადვოკატისგან მოსალოდნელი მსჯავრის შესახებ. ცრუ დაპირებები, რომლებსაც ზოგჯერ არასრულწლოვნის დასამშვიდებლად იყენებენ, შესაძლოა მომავალში (როცა განაჩენი გამოტანილია) ძლიერი სასოწარკვეთისა და ფრუსტრაციის

მიზეზი გახდეს. გაჭიანურებული სასამართლო პროცესი მოზარდს სტრესის ქვეშ ამყოფებს, რაც შესაძლოა ქრონიკული დაავადების ჩამოყალიბების საფუძვლად იქცეს

**სტრესფაქტორები, რომლებიც მოზარდებზე ზემოქმედებს პენიტენციურ სისტემაში:**
ფიზიკური და სოციალური იზოლაცია გულისხმობს ადამიანის იძულებით ხანგრძლივ ყოფნას სივრცეში, სადაც შეზღუდულია ფიზიკური სივრცე და სოციალური ურთიერთობები. მოზარდი, რომელიც თავისი ასაკობრივი თავისებურებებიდან გამომდინარე აქტიურია, მოძრავია, ენერგიულია, განსაკუთრებით ძნელად ეგუება ასეთ შეზღუდვას, ის ძლიერ სენსორულ დეპრივაციას განიცდის, ნაკლებს ხედავს, ნაკლები ესმის და ზოგადად ნაკლებს აღიქვამს. უცვლელი გარემო, ერთი და იგივე ადამიანები მისი ინტერაქტიული კომუნიკაციური ქმედებების გაიშვიათებას იწვევს. ასეთ გარემოში ყოფნა კი იწვევს კონფლიქტების სიხშირის ზრდას, ტოლერანტობის დაქვეითებას და არაადეკვატური რეაქციების გახშირებას
ამ გარემოებებმა ადამიანი შესაძლოა ტრაგიკულ ფინალამდე მიიყავნოს. პენიტენციურ სისტემაში მოხვედრის პირველ ეტაპზე სტატისტიკურად ხშირია თვითდაზიანებებისა და სუიციდალური ქმედებების რიცხვი.
დახურულ სივრცეში, საკანში ყოფნა ადამიანისათვის განსაკუთრებით მძიმე ხდება, რადგან:

1. ის მუდმივად ხელისგულზეა;
2. მუდმივად დაძაბულია ემოციურად;
3. მუდმივად ერთსა და იმავე როლშია;
4. მუდმივად სტანჯავს სხვებისგან განმარტოების სურვილი, რომლის დაუკმაყოფილებლობასაც ადამიანი მიჰყავს ე.წ. ფსიქოლოგიურ სტრიპტიზამდე, ადამიანი კარგავს უნარს, დაფაროს საკუთარი განცდები, მოსაზრებები, რაც გარკვეულწილად თავდაცვით რეაქციასაც წარმოადგენს;
5. მისი განცდები პერსონიფიცირებულია და „აზრები გახსნილია, საჯაროა," რაც იწვევს ხშირ კონფლიქტებსა და აუტიზაციას (ჩაკეტვას);
6. ის იძულებულია, გახდეს კონფორმისტი, დაჰყვეს ჯგუფის ნებას და აღიაროს ის, რაც ადრე მისთვის მიუღებელი იყო;
7. შეზღუდულია რეჟიმით და ჯგუფის წესებით;
8. მისთვის მძიმეა ერთსქესობრივი სოციალური სივრცე.

პენიტენციური სტრესი სხვადასხვა ფსიქოსომატურ, ემოციურ და ქცევით ცვლილებებში ვლინდება, განსაკუთრებით მოზარდებში ხშირია:

- იმუნური სისტემის დასუსტება
- ენდოკრინული ცვლილებები
- ნერვული და გულსისხლძარღვთა მიმოქცევის პრობლემები
- ძილის და სიფხიზლის ფაზების დესინქრონიზაცია
- ალერგიული რეაქციების გახშირება
- მწვავე სტრესული აშლილობა
- განგაშის განცდა
- კოგნიტური ფუნქციონირების შესუსტება
- დეპრესიული გამოვლინებები
- აფექტური არამდგრადობა
- ტოლერანტობის დარღვევა
- დისოციაციური დარღვევები
- რთული PTSD (პოსტტრავმატული სტრესული აშლილობა)
- საზრისის დაკარგვა
- **ციხის გარემოსთან ადაპტაცია - ცნობიერების კრიმინალიზაცია**

ჯანმრთელობის საჭიროებათა კვლევამ, რომელიც 2010 წელს არასრულწლოვანთა სპეციალურ დაწესებულებაში ევროკავშირის მხარდაჭერით ჩატარდა (ორგანიზაციების GIP და GCRT მიერ), აჩვენა, რომ კვლევაში მონაწილე 91 მსჯავრდებულის 70%-ს აღენიშნება პოსტტრავმული სტრესის სიმპტომები, 61%-ს - ქცევითი და ანტისოციალური პერსონოლოგიური აშლილობები, 36%-ს - მაღალი შფოთვა, 36%-ს - დეპრესიული ეპიზოდები, 27%-ს – თვითდაზიანებ.

## 10. ეფექტიანი კომუნიკაცია მოზარდებთანურთიერთობისას

## ბავშვებთან და მოზარდებთან ურთიერთობის ზოგადი პრინციპები

როცა პროფესიონალს გაცნობიერებული და გაშინაგანებული აქვს მოზარდებთან ურთიერთობის მთავარი პრინციპები, ის ნებისმიერ რთულ ვითარებაში ეფექტიან გამოსავალს იპოვის.

**ბავშვებთან და მოზარდებთან ურთიერთობის პრინციპებია:**

- პარიტეტულობა
- ემპათიური მოსმენა
- ეკოლოგია
- დისტანციის შენარჩუნება

**პარიტეტულობა** - გულისხმობს ორ ადამიანს შორის თანასწორ ურთიერთობას, სადაც თითოეული ცნობს და აღიარებს ერთმანეთის უფლებებს, უნიკალურობასა და ღირსებას.
**ემპათიური მოსმენა** - ეს ნიშნავს იმას, რომ რესპონდენტს/არასრულწლოვანს ვუსმენთ თანაგრძნობითა და ყურადღებით. შესაძლოა გამოვიყენოთ პერიფრაზირების ტექნიკა - გავიმეოროთ მის მიერ წარმოთქმული წინადადება, რითაც ვუდასტურებთ, რომ ვუსმენთ გულისყურით და ინტერესით. ეს ხელს უწყობს არასრულწლოვანს, ისაუბროს უფრო იოლად და გულღიად მოგვაწოდოს საჭირო ინფორმაცია
**ეკოლოგია** – არასრულწლოვნისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა მუშაობის პროცესში, პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა, მაგ. **დაცული უნდა იყოს პრინციპი - „არ ავნო."** უნდა გახსოვდეთ: დაკითხვის პროცესში თქვენ ავტორიტეტი ხართ და გარკვეულ ძალაუფლებას ფლობთ, ამიტომ სიფრთხილე გმართებთ, რათა ეს „ძალა" თქვენდაუნებურად რესპონდენტის საზიანოდ არ იყოს გამოყენებული, ანუ არ იყოთ ზედმეტად დირექტიულები. ასევე გასათვალისწინებელია, რომ **არასრულწლოვანს უნდა ვესაუბროთ მისთვის გასაგებ ენაზე,** პროფესიული ტერმინოლოგიის ჭარბი გამოყენება, თანაც აუხსნელად, ხელს შეუშლის ნდობითი ურთიერთობების ჩამოყალიბებას, კიდევ უფრო დაწევს არასრულწლოვნის თვითშეფასებას და ა.შ.
**დისტანციის დაცვა არასრულწლოვანსა და პროფესიონალს შორის** – ინტერვიუერის წინაშე დგას რთული ამოცანა: ერთი მხრივ, წაახალისოს არასრულწლოვანი, თავისუფლად მოგვითხროს ინციდენტის შესახებ, შექმნას მოზარდისთვის კომფორტული, თბილი, ემპათიური გარემო და, ამავე დროს, შეინარჩუნოს მასთან გარკვეული დისტანცია. **აქედან გამომდინარე, დაკითხვის პროცესი ძალიან ფაქიზი სამუშაოა, სპეციალისტმა უნდა გაიაროს „ბეწვის ხიდზე" და წონასწორობა შეინარჩუნოს.**

## ასერტიული ქცევა

**ადამიანის ქცევა შეიძლება იყოს პასიური და აქტიური/ასერტიული**
**რა არის ასერტიული ქცევა? ასერტიულობა** ნიშნავს, იცოდე ძლიერი და სუსტი მხარეები და გადაწყვიტო, როგორ მართო შენი და სხვისი გრძნობები საკუთარი თავისა და სხვების ღირსების დაფასებით. ასერტიული ქცევა არის რეალობის „ზრდასრული" შეფასება, ეს არის „აქ და ამჟამად" მდგომარეობა, როდესაც ადამიანს შეუძლია ადეკვატურად შეაფასოს მის გარშემო მიმდინარე მოვლენები, არსებული პრობლემა, აიღოს პასუხისმგებლობა, გააკეთოს არჩევანი, განახორციელოს ეს არჩევანი და საკითხი გადაჭრას. ასერტიულობა ასევე გულისხმობს საკუთარი თავისა და სხვების მიმართ პატივისცემას
ტერმინი „ასერტიულობა" მომდინარეობს ინგლისური სიტყვიდან "assert" – რაც ნიშნავს „მტკიცებას" და გულისხმობს საკუთარ შეხედულებებზე მყარად, მტკიცედ დგომას, მათ დაცვას.
**ასერტიული ქცევის განხორციელებისათვის:**

- კარგად განსაზღვრეთ მიზანი;
- იყავით კონკრეტული;
- თავი აარიდეთ ბუნდოვან გამონათქვამებს;
- საუბარი დადებით ტონალობაში წარმართეთ;
- გადაამოწმეთ და დარწმუნდით, რომ თქვენ სწორედ გაგიგეს, კითხვების დასმა, ისევე როგორც აქტიური მოსმენა, არასოდეს არის ზედმეტი.

ასერტიული ქცევის დაუფლებისთვის ადამიანი უნდა ფლობდეს გარკვეულ უნარ-ჩვევებს, როგორიცაა:

- არავერბალური კომუნიკაციის უნარი, რომელიც გულისხმობს სხეულის ენის ფლობას;
- ეფექტიანი მოსმენის უნარი – წარმატებული ასერტიული ქცევის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია სწორედ მოსმენის უნარი.

**არავერბალური კომუნიკაცია**

სწორად გაგებული სხეულის ენა საკმაოდ დიდ ინფორმაციას გვაწვდის ადამიანის გრძნობების შესახებ, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს იმას, რომ ადამიანებმა ადეკვატურად და სიღრმისეულად გაუგონ ერთმანეთს. არავერბალური კომუნიკაცია არაცნობიერ დონეზე ყალიბდება და მუშაობს როგორ გამოიხატება არავერბალურად ზოგიერთი გრძნობა:

**გულახდილობა, ნდობა**

- გაშლილი ხელები, ხელისგულები ზემოთ
- ჟაკეტის ან პიჯაკის გახდა
- თვალის გასწორება
- ღიმილი, მოსაუბრისკენ გადახრა
- ადამიანი დგას გამართულად, ფეხები ოდნავ დაშორებით ერთმანეთისგან, მხრები გაშლილი

**თანამშრომლობა, მზაობა**

- დგომის დროს ხელები თეძოებზე, ფეხები გაშლილი, თავი ოდნავ წინ დახრილი
- ფეხები არ არის გადაჯვარედინებული
- თვალების მოჭუტვა და ხამხამი
- გაშლილი ხელები და ხელისგულები ზემოთ
- მისალმება ხელის ჩამორთმევით
- ღიმილი
- თვალების კონტაქტი
- ხელების ერთმანეთზე გახახუნება რაიმე კარგის მოლოდინში

**ინდიფერენტულობა, მობეზრება**

- რიტმული კაკუნი
- გადაჯვარედინებული ფეხები
- ერთი ფეხის ქანაობა(ქალებში)
- გასასვლელისკენ გახედვა, სხეულის შებრუნება
- საათზე დახედვა
- გაუნძრევლად ჯდომა და თვალის გაშტერება
- მთქნარება
- სკამზე ქანაობა

**ინტერესი**

- როდენის „მოაზროვნის" პოზა, ხელი ლოყასთან
- თვალების ხამხამი და მოჭუტვა
- ნიკაპის მოსრესვა
- ზედა ტუჩზე ხელით შეხება
- წინ (პოზიტიური ინტერესი) ან უკან (ნეგატიური ინტერესი) გადახრა
- თავის დახრა და ყურის „მოშვერა"
- აწეული წარბები
- თმებში ხელების ჩარგვა

**მერყეობა**

- ხელი აფარებული ცხვირზე
- დახუჭული თვალები
- აწეული წარბები
- შეჭმუხნული შუბლი
- მოღუშვა

**ეჭვი და გულჩათხრობილობა**

- მოსაუბრისაგან უკან გაწევა
- ხელების მკერდზე დაწყობა
- ცხვირის მოფხანა
- თვალის არიდება
- ხელების აფარება პირზე
- მოღუშვა
- გვერდზე ყურება
- იატაკის თვალიერება
- ტუჩების დასველება
- ჩახველება
- ნერწყვის ხშირი გადაყლაპვა

შფოთვა
- ფრჩხილების კვნეტა
- თითების მოძრაობა
- ხვნეშა
- ხელების დაგრეხვა
- სწრაფი და ნერვული მოძრაობები
- ჩახველება
- მძიმე სუნთქვა
- ხმის დაძაბვა
- თვალების სწრაფი მოძრაობა
- რაიმეს ღეჭვა
- თითების გადაჯვარედინება

**გაწბილება და რისხვა**
- მუშტების შეკვრა
- ხელების შემოდება თეძოებზე, ფეხების ბაკუნი
- სკამის კიდეზე ჯდომა
- წინ წაწეული ნიკაპი
- ფეხსაცმლის წვერის იატაკზე მირტყმა
- ტუჩები მოკუმული, ყბების კუნთები დაძაბული
- კისრის უკანა ნაწილის მოსრესვა
- ხელები ჯიბეებში
- სიგარეტის ამოღება და მისი თითებში სრესვა და ტრიალი
- სახეზე ფერის ცვალებადობა
- მტრული გამოხედვა

**დომინირება**
- საკუთარი თავის ამაღლება (დგომა, როდესაც სხვები სხედან)
- ჯგუფში ყოფნისას განსხვავებული პოზის მიღება
- ხელები გადატანილი სკამის უკან
- ხმამაღალი საუბარი
- ხმადაბალი, მაგრამ უაღრესად მკაფიო საუბარი

*აღსანიშნავია, რომ ზემოთ ჩამოთვლილი ჟესტების ინტერპრეტაციას სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, რადგან ყველა შემთხვევაში ცალსახა დასკვნის გაკეთება მართებული შეიძლება არ იყოს.*

**არავერბალური ილეთები კომუნიკაციის დროს.**

არავერბალური ილეთების ცოდნა და გამოყენება ხელს უწყობს ეფექტიან ასერტიულ კომუნიკაციას.

- საუბრისას კომფორტულად მოეწყეთ, არც ძალიან ახლოს, არც ძალიან შორს მოსაუბრისგან. მოიხსენით დაძაბულობა და მოიკრიბეთ ყურადღება. შეგიძლიათ ოდნავ წინ გადაიხაროთ. ნუ მოიხრებით მხრებში და ნუ გაშეშდებით უმოძრაოდ;
- შეეცადეთ, შეინარჩუნოთ მოსაუბრესთან ვიზუალური კონტაქტი, მაგრამ ნუ მიაპყრობთ მას დაჟინებულ მზერას, ასევე ნუ დაიწყებთ გვერდზე ყურებას;
- ეცადეთ, თქვენი ჟესტები არ იყოს უფრო აქცენტირებული, ვიდრე თქვენი საუბარი;
- სანამ თქვენი პარტნიორი ლაპარაკობს, შეეცადეთ, არავერბალური შეტყობინება მიაწოდოთ – საკმარისია, უბრალოდ თავი დაუქნიოთ თანხმობის ნიშნად;
- თქვენი საუბრის სიჩქარე საშუალო ან საშუალოზე ოდნავ ნელი უნდა იყოს;
- თქვენს საუბარში არ უნდა იკვეთებოდეს მოუთმენლობა, გააკონტროლეთ ხმის ტონი. მეტყველება იყოს არც ძალიან ხმამაღალი, არც ძალიან ხმადაბალი. გაიღიმეთ, როდესაც ეს საჭიროა, მოიქეცით ბუნებრივად, საუბრის დროს შეინარჩუნეთ სიფხიზლე, თვალების დახუჭვა ან მთქნარება აფერხებს კომუნიკაციას.

მოსმენა

კომუნიკაცია გულისხმობს მინიმუმ ორ ადამიანს შორის ინფორმაციისა და გრძნობების, ემოციების გაცვლას, ინტერაქციას. კომუნიკაციის განმავლობაში ადამიანს უწევს მსმენელის და მოსაუბრის როლში ყოფნა. პრაქტიკა და გამოცდილება აჩვენებს, რომ მოსმენის უნარი ადამიანებს გაცილებით ცუდად აქვთ განვითარებული, ვიდრე მოსაუბრის უნარები

**არარეფლექსური და რეფლექსური მოსმენა**
მოსმენის ორი სახე არსებობს - არარეფლექსური და რეფლექსური.
არარეფლექსური მოსმენა არის ეფექტიანი მოსმენის უნარების დაუფლების პირველი ეტაპი, როდესაც მოსაუბრეს უსმენთ ჩუმად, მინიმალური ჩარევებით, ამ დროს ვიყენებთ თავის დაქნევას, „დიახ", „მესმის" და ა.შ. ხშირად არარეფლექსური მოსმენა სავსებით საკმარისია, ვინაიდან ადამიანების უმეტესობისთვის მთავარია, მათ უსმინონ, ჰქონდეთ საშუალება, ბოლომდე გამოხატონ თავიანთი ფიქრები და გრძნობები.
რეფლექსური მოსმენა გულისხმობს ისეთ მოსმენას, როდესაც მსმენელი ცდილობს, სიღრმისეულად ჩასწვდეს მოსაუბრის სათქმელს, მიხვდეს, რა დევს მოსაუბრის ნაამბობს უკან, რას გულისხმობს ის.
რეფლექსიური მოსმენის დროს ვიყენებთ შემდეგ ინსტრუმენტებს:

**დაზუსტება, ჩაღრმავება:**
- ✓ თუ შეიძლება, კიდევ ერთხელ გაიმეორეთ
- ✓ რას გულისხმობთ?
- ✓ თუ შეიძლება, ამიხსენით

**პარაფრაზი** - როდესაც მსმენელი თავისი სიტყვებით იმეორებს მოსაუბრის ნათქვამს, იმისათვის, რომ ორივე დარწმუნდეს, რომ ნათქვამი ადეკვატურად იქნა გაგებული.
**გრძნობები არკევლა:**
- ✓ მე მგონია, თქვენ გრძნობთ . . .
- ✓ მე ვხედავ, თქვენ განრისხებული ხართ

**შეჯამება, რეზიუმე:**
- ✓ თქვენი ნათქვამიდან გამომდინარეობს . . . .
- ✓ მაშასადამე, თქვენ . . . .
- ✓ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ . . .

**კომუნიკაციის დეფორმირება/დამახინჯება**
**ნებისმიერი გზავნილი, ინფორმაცია გადის 4 სტადიას:**
1. ის, რისი თქმაც უნდოდა მთქმელს/მოსაუბრეს, მისი აზრები
2. ის, რაც თქვა მოსაუბრემ
3. ის, რაც გაიგონა მსმენელმა
4. ის, რაც დაიმახსოვრა მსმენელმა

ინფორმაციის გაცემისას ძალიან ხშირად ხდება მისი დეფორმირება/დამახინჯება, ანუ ძალიან ხშირად ჩვენ „გაფუჭებული" ტელეფონის პრინციპით ვამყარებთ კომუნიკაციას.
რა ფაქტორები უწყობს ხელს კომუნიკაციის დამახინჯებას?

**ფაქტორები, რომლებიც არ არის დამოკიდებული მოსაუბრეებზე:**
- ყოველდღიურად ადამიანს უწევს ძალიან დიდი მოცულობის ინფორმაციის მიღება, საშუალოდ, თითოეული მომუშავე ადამიანი დღეში 5 საათი უსმენს თავის კოლეგებს, ოჯახის წევრებს, მოკლედ, სხვა ადამიანებს. თუ ამას დაუმატებთ იმ დროს, რომელსაც ვატარებთ ტელევიზორთან, რადიოსთან, დავინახავთ, რომ შეუძლებელია ამდენი ხნის განმავლობაში ადამიანის ყურადღება ერთნაირად მობილიზებული იყოს, შესაბამისად, ვისმენთ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ვიმახსოვრებთ ნაწყვეტ-ნაწყვეტ, ანუ ინფორმაცია მახინჯდება.

**მოსაუბრეების თავისებურებები:**
- გაფანტულობა, ერთზე ლაპარაკი და სხვაზე ფიქრი.
- ეგოიზმი, როდესაც ადამიანს მხოლოდ საკუთარი თავი იანტერესებს.

**გადმოცემული ინფორმაციის შინაარსთან დაკავშირებული ფაქტორები**
- თუკი ინფორმაცია საფრთხის შემცველია, მოსაუბრე აღელვებულია და მშფოთვარე, მისი ეს მდგომარეობა გადაეცემა მსმენელს და ეს კიდევ უფრო უწყობს ხელს ინფორმაციის დამახინჯებით მიღებას.

**სხვა ფაქტორები:**
- გრძელი ინფორმაციის გადაცემა ხელს უწყობს მის დეფორმირებას;
- ინფორმაციის გადაცემისას ყველაზე კარგად დასაწყისი და ბოლო ნაწილი ამახსოვრდებათ;
- ზედმეტად რთული ტექსტი ასევე ხელს უწყობს ინფორმაციის დამახინჯებას.

**როგორ მოვუსმინოთ ეფექტიანად?**
- ნუ განსჯით სხვა ადამიანს, ყოველთვის გამიჯნეთ ერთმანეთისგან ადამიანის ქცევა და ის თავად, ჩვენთვის შეიძლება მიუღებელი იყოს კონკრეტული ქცევა და არა თავად ადამიანი, ყოველთვის აგრძნობინეთ მოსაუბრეს, რომ ის როგორც პიროვნება ერთმნიშვნელოვნად მისაღებია ჩვენთვის, ეს არის მისდამი პატივისცემის გამომხატველი, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონფლიქტური ურთიერთობების დარეგულირებისას;
- საუბრის დაწყებამდე მოიკრიფეთ ყურადღება;

- ნუ გააწყვეტინებთ მოსაუბრეს, მიეცით მას გამოთქმის საშუალება;
- თუკი მოსაუბრე ძალიან ემოციურად ყვება, კონცენტრაცია გააკეთეთ არსზე, არ აჰყვეთ მის ემოციებს;
- მართვის სადავეები არ გაუშვათ ხელიდან, არ მისცეთ საშუალება მოსაუბრეს, ინიციატივა საკუთარ ხელში ჩაიგდოს;
- გამოიყენეთ რეფლექსური მოსმენის ინსტრუმენტები;
- გამოიყენეთ არავერბალური კომუნიკაციის უნარები.

**მე-უწყებებით კომუნიკაცია, როგორც ეფექტიანი კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა**

ეფექტიანი კომუნიკაციისათვის ძალიან მნიშვნელოვანია, ქცევის პარტნიორს ზუსტად და ცხადად მივაწოდოთ ინფორმაცია ჩვენი შინაგანი მდგომარეობის შესახებ. ადამიანები ხშირად ზუსტად ვერ გამოხატავენ იმას, რასაც რეალურად განიცდიან, რის გამოც ხშირია პარტნიორის ემოციების არასწორი აღქმა და, აქედან გამომდინარე, შესაძლოა საქმე კონფლიქტამდეც კი მივიდეს. მაგალითად, იყო შემთხვევა, როცა 15 წლის მოზარდის უმოძრაო, „გაქვავებული" სახე გარშემო მყოფების მიერ აღიქმებოდა, როგორც ქედმაღლობის და უკადრისობის გამოვლინება, თუმცა შემდეგ გაირკვა, რომ ამგვარი რეაქცია მხოლოდ ბიჭის შიშს და დაძაბულობას გამოხატავდა.

გრძნობათა კომუნიკაციაში გაწაფვა გვეხმარება ისე გადავცეთ საკუთარი უწყება, რომ ჩვენი გრძნობები სწორად იქნეს აღქმული და გაგებული. ეფექტიანი „კომუნიკატორი" საკუთარ გრძნობებზე საუბრისას იყენებს ნაცვალსახელებს „მე", „ჩემი", ის არ გამოხატავს გრძნობებს ბუნდოვნად, არ ურევს ერთმანეთში განცდებსა და შეფასებებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომუნიკაცია – შეფასებისა და „იარლიყების" გარეშე, დაფუძნებული დაკვირვებაზე და იმ ქცევის აღწერაზე, რომელმაც შესაბამისი განცდა გამოიწვია – ყველაზე ნაკლებად იწვევს პარტნიორის ფსიქოლოგიურ თავდაცვას, ის განმუხტავს დაძაბულობას და ქმნის ეფექტიანი ურთიერთობის ფონს. მაგალითად, „ვაჟა, როგორი უყურადღებო ყოფილხარ!" შეიცავს შეფასებას და შეურაცხყოფას, ხოლო „შენ ახლა ყურადღების სხვა რამეზე გადატანას ცდილობ" - უკვე ქცევის აღწერაა.

მე-უწყებების შედარებით გაშლილი ფორმულა ასე გამოიყურება:

<u>I ნაბიჯი</u>: კომუნიკაცია დაიწყეთ პირველი პირის ნაცვალსახელით:
„მე" ან „მე ვგრძნობ"
<u>II ნაბიჯი</u>: დაუმატეთ სიტყვა, რომელიც აღწერს თქვენს ემოციებს: „გული მწყდება", „ვბრაზდები", „აღელვებული ვარ"
<u>III ნაბიჯი</u>: აღწერეთ სიტუაცია ან ქცევა, რომელმაც ემოცია გამოიწვია:
„როცა დავინახე, რომ დღესაც ცუდად მისმენ და არ მპასუხობ"
<u>IV ნაბიჯი</u>: დაასახელეთ მატერიალური ან ემოციური ზემოქმედება - „და ამის გამო მთელი ნახევარი საათი დავკარგეთ"
<u>V ნაბიჯი</u>: აღწერეთ, რას ნიშნავს თქვენთვის მეორე ადამიანის ქცევა: „და ეს ჩემი შრომისა და დროის უგულებელყოფად მიმაჩნია"

ამგვარი კომუნიკაცია, რომელიც საკუთარ განცდებაზე ახდენს აპელირებას და არ შეიცავს სხვისი ქცევის შეფასებას (უფრო აღწერს ქცევას), გაცილებით ეფექტიანია და ნაკლებად იწვევს დაძაბულობასა და კონფლიქტებს. ზუსტად აწვდის ინფორმაციას პარტნიორს ჩვენი შინაგანი მდგომარეობის შესახებ, არ იწვევს თავდაცვას და გაღიზიანებას მისი მხრიდან.

დანართი №1
ფსიქოსოციალური განვითარება

| ასაკი | კრიზისის შინაარსი | რა უწყობს ხელს განვითარებას VSრა უშლის ხელს განვითარებას | ფსიქოსოციალური შედეგი |
|---|---|---|---|
| 0-1 წლამდე | შემიძლია ვენდო სამყაროს? | სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაკმაყოფილება, ყურადღება, თანმიმდევრულობა<br>VS<br>თანადგომის არარსებობა, დეპრივაცია (სასიცოცხლო მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა), უყურადღებობა, არათანმიმდევრულობა | ნდობა<br>VS<br>უნდობლობა |
| 2-3 წელი | შემიძლია ვმართო საკუთარი ქცევა ? | გონივრული ნებადართულობა, თანადგომა<br>VS<br>ჭარბი მზრუნველობა, თანადგომისა და ნდობის არარსებობა | ავტონომია<br>VS<br>ეჭვები |
| სკოლამდელი ასაკი | შემიძლია გავხდე მშობლებისგან დამოუკიდებელი და გავარკვიო, რა შემიძლია? | აქტიურობის წაქეზება, შესაძლებლობების არსებობა<br>VS<br>შესაძლებლობების არარსებობა, აქტიურობის დაბლოკვა უფროსების მხრიდან | ინიციატივა<br>VS<br>დანაშაული |
| 6-12 წლამდე | შემიძლია თუ არა გავხდე იმდენად უნარიანი, რომ გადავრჩე და შევეგუო სამყაროს? | სისტემატური სწავლება და აღზრდა, მისაბაძად დადებითი ნიმუშების არსებობა<br>VS<br>ცუდი სწავლება,ზედამხედველობისა და თანადგომის არარსებობა | შრომისმოყვარეობა<br>VS<br>არასრულფასოვნების განცდა |
| 12 -18 წლამდე | ვინ ვარ მე? როგორია ჩემი შეხედულებები, ფასებულობები და პოზიციები? | შინაგანი მდგრადობა და თანმიმდევრულობა, მკვეთრად განსაზღვრული სქესობრივი მოდელების არსებობა მისაბაძად და დადებითიუკუკავშირი<br>VS<br>გაურკვეველი მიზნები, არაცალსახა უკუკავშირი, განუსაზღვრელი მოლოდინები | იდენტობა<br>VS<br>როლთა აღრევა |

დანართი №2
მორალური განვითარება

| ასაკი | მორალური განვითარების თავისებურებები |
|---|---|
| 0 – 5 წლამდე – თვითცენტრირებული მორალი<br>ძალაუფლება და მორჩილება | ბავშვები მორალს აღიარებენ იმისთვის, რომ არ გაანაწყენონ უფროსები, რათა არ დაისაჯონ და, შესაბამისად, ცხადია, რომ ეს წესები არ არის გაშინაგანებული და გააზრებული. |
| 5-10 წლამდე - თვითცენტრირებული მორალი<br>გარიგება | ცუდი ქცევისთვის სასჯელი ერთგვარი საფრთხეა, რომელიც შეიძლება თავიდან აიცილო კიდეც, თუ „სარფიან გარიგებას“ დადებ. |
| 10 -15 წლამდე - კარგი ურთიერთობები | მორალური განსჯები ადამიანთა ვიწრო წრეშია ჩაკეტილი - მეგობარები, თანატოლები, ოჯახის წევრები და სხვ. თუმცა მათი მორალი მაინც ზედაპირულია, ჯერ კიდევ არ ჩანს მთლიანად საზოგადოების ინტერესები. |
| 15 წლიდან ზემოთ –<br>• სოციალური წესრიგის შენარჩუნება<br>• ადამიანის უფლებები და სოციალური წესრიგი<br>• საზოგადოებრივი ღირებულებები და ადამიანის უფლებები | • კანონები და წესები უნდა დაიცვა იმიტომ, რომ არ შექმნა ქაოსი და უწესრიგობა საზოგადოებაში<br>• მნიშვნელოვანია საყოველთაო ღირებულებებისა და ნორმების დაცვა<br>• შეხედე სამყაროს სხვა ადამიანის თვალით |

დანართი №3
მოზარდობის ასაკი 12 -18წწ

| ფიზიკური განვითარება | კოგნიტური განვითარება | ფსიქოსოციალური განვითარება | მორალური განვითარება |
|---|---|---|---|
| *გოგონებში:*<br>• მკერდის ზრდა;<br>• ბოქვენზე თმის ზრდა;<br>• იღლიებში თმის ზრდა;<br>• სხეულის ზრდა;<br>• მენარქე;<br>• ცხიმოვანი და საოფლე ჯირკვლების მოქმედების გააქტიურება.<br><br>*ბიჭებში:*<br>• კვერცხებისა და სათესლე ჯირკვლების ზრდა;<br>• ბოქვენზე თმის ზრდა;<br>• იღლიებში და სახეზე თმის ზრდა;<br>• სხეულის ზრდა;<br>• პენისის ზრდა;<br>• ხმის შეცვლა;<br>• პირველი ეაკულაცია;<br>• ცხიმოვანი და საოფლე ჯირკვლების მოქმედების გააქტიურება. | **აბსტრაქტული აზროვნების უნარის ჩამოყალიბება:**<br><br>1. პრობლემის გადაჭრის ძიებისას ცვლადების ყველანაირი კომბინაციის გათვალისწინება.<br><br>2. უნარი, ივარაუდოს, თუ რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ერთ ცვლადს მეორეზე<br><br>3. უნარი, გააერთიანოს და დაანაწევროს ცვლადები. | **იდენტობის პრობლემა:**<br><br>**ვინ ვარ მე?**<br><br>როგორია ჩემი:<br><br>შეხედულებები,<br><br>ფასებულობები,<br><br>პოზიციები,<br><br>ადგილი,<br><br>როლი<br><br>საზოგადოებაში ? | 12-დან 15 წლამდე წამყვანია თანატოლთა, ახლობელთა წრეში გაბატონებული მორალი.<br><br>15 წლის ზემოთ შემოდის ზრდასრული მორალი – საზოგადოებრივი ინტერესების, კანონების, წესების აღიარება. |

გამოყენებული ლიტერატურა:


- ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები. თამარ გაგოშიძე. 2007.
- ზ. ბებერაშვილი, ნ. ზაზაშვილი. ნ. კილაძე, მ. ცირამუა, ნ. ძნელაძე, ხ. ჭყოიძე, ფსიქოტრავმატოლოგიის საფუძვლები, 2010.
- ნ. სარჯველაძე, ზ.ბებერაშვილი, დ. ჯავახიშვილი, ნ. მახაშვილი, ნ. სარჯველაძე – „ტრავმა და ფსიქოლოგიური დახმარება“, 2000.
- „ფსიქოლოგია და ცხოვრება” – რიჩარდ გერიგი, ფილიპ ზიმბარდო, 2009.
- *Abnormal Child and Adolescent Psychology. J.E.Dumas, W.J.Nilsen. 2003*
- *The Behavior Disorder IEP companion. Molly Lyle Brown 2003*
- *Functional Assessment and Program Development for Problem Behavior. O'Neill, Horner, Albin, Sprague, Storey, Newton. 1997*
- *Granville Bud Potter, John C. Gibbs, Arnold P. Goldstein, The EQUIP program, 1995.*
- *Бартол К. Психология криминального поведения, 2004*
- *Пирожков В.Ф. Законы преступного мира молодежи, 2000*
- *Рабочая книга пенитенциарного психолога, 2005.*
- *Кейт Кинан, управление стрессом, 2003*
- *Эрик Эриксон, Идентичность. Юность и кризис, 2004*
- *Жан Пиаже, психология интеллекта, 1998*
- *Джонатан Хилл, Барбара Моен, Расстройства поведения детского и подросткового возраста, 2005*
- *Дэвид Шеффер, «Дети и подростки». Психология развития, 6-ое издание*
- *Spenser Eth, M.D. – PTSD in children and adolescants, 2003.*
- *PH-International - Conferencing Handbook, The New Real Justice training manual.*

## ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NICHD) ოქმი (პროტოკოლი):

დაკითხვის სტრუქტურული პროტოკოლის მეშვეობით ბავშვთან გასაუბრება
უფრო შედეგიანი და ეფექტური ხდება
**http://nichdprotocol.com**

ექსპერტები:
პროფესორი მაიკლ ე. ლემბი, კემბრიჯის უნივერსიტეტი, დიდი ბრიტანეთი;
დოქტორი დევიდ ლა როი, აბერტაის უნივერსიტეტი, შოტლანდია, დიდი ბრიტანეთი.

დანართი 1 - დაკითხვა/გამოკითხვის ოქმი
დანართი 2 - ჩატარებული გამოკითხვის ნიმუში

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდის მიერ, პროექტის „თანამშრომლობა ბავშვზე სექსუალური ძალადობის წინააღმდეგ“ ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

პუბლიკაციაში წარმოდგენილი მასალა არ გამოხატავს ევროკავშირის ოფიციალურ თვალსაზრისს. პასუხისმგებლობა პუბლიკაციის შინაარსზე ეკისრება საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდს

დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ

PHF

პროექტს ახორციელებს საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი

DEFENCE for CHILDREN

პროექტის პარტნიორია Defence for Children International

## დანართი 1

## ბავშვის ჯანმრთელობისა და ადამიანის განვითარების ეროვნული ინსტიტუტი (NICHD) ოქმი:

## დაკითხვის გზამკვლევი

1. შესავალი

1. „გამარჯობა, მე ვარ პოლიციის ოფიცერი/გამომძიებელი ____________ *(სახელი). {გააცანით სხვა დამსწრე პირებიც; საუკეთესო შემთხვევაში, ოთახშისხვა არავინ უნდა იმყოფებოდეს].* დღეს არის ____________ და ახლა ____________ საათია. გამოკითხვას ვუტარებ ____________-ს ____________-ში."
„როგორც ხედავ, ამ ოთახში არის ვიდეოკამერა და მიკროფონები. იმისათვის, რომ ყველაფერი მახსოვდეს, რასაც მეტყვი, მათი საშუალებით ჩვენს საუბარს ჩავიწერთ. ზოგჯერ რაღაცები მავიწყდება, ხოლო ჩანაწერი საშუალებას მაძლევს მოგისმინო და არ ვიყო იძულებული, ყველაფერი ხელით დავწერო"
„ ჩემი სამუშაოს ნაწილია გავესაუბრო ბავშვებს [მოზარდებს]იმაზე, რაც მათ თავს გადახდათ. მე ბევრ ბავშვს [მოზარდს] ვხვდები იმისათვის, რომ მათ შეძლონ ჩემთვის სიმართლის თქმა იმის შესახებ, თუ რა გადახდათ თავს. სანამ დავიწყებთ, მინდა დავრწმუნდე, რომ კარგად გესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სიმართლის თქმა." [მცირეწლოვან ბავშვებს აუხსენით, თუ რა არის სიმართლე და რა - არ არის სიმართლე].
„თუ მე ვიტყვი, რომ ჩემი ფეხსაცმელები წითელია (ან მწვანე); ეს სიმართლე იქნება თუ არ იქნება სიმართლე?"
[დაელოდეთ პასუხს, შემდეგ თქვით:]

2. „ ეს არ იქნება სიმართლე, რადგანაც ჩემი ფეხსაცმელები სინამდვილეში არის [შავი, ლურჯი და ასე შემდეგ] თუ მე ვიტყვი, რომ ახლა ვზივარ, ეს იქნება სიმართლე თუ არ იქნება სიმართლე [სწორი თუ არასწორი]
[დაელოდეთ პასუხს]

3. „ეს იქნება [მართალი/სწორი], რადგანაც, როგორც ხედავ, მე მართლაც ვზივარ."
„დავრწმუნდი, რომ კარგად გესმის, თუ რას ნიშნავს სიმართლის თქმა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს მხოლოდ სიმართლე მითხრა. შენ უნდა მომიყვე მხოლოდ ის, რაც ნამდვილად შეგემთხვა"
[პაუზა]

4. „თუ ისეთ რამეს გკითხავ, რასაც ვერ გაიგებ, უბრალოდ თქვი: ვერ გავიგე. კარგი?"
[პაუზა]

„თუ მე ვერ გავიგებ შენს ნათქვამს, მაშინ გთხოვ, რომ განმარტო"
[პაუზა]

5. „თუ ისეთ შეკითხვას დაგისვამ, რომელზეც პასუხი არ იცი, უბრალოდ მითხარი: არ ვიცი.
„თუ მე გკითხავ: „რა ჰქვია ჩემს ძაღლს?" [ან შვილს] , რას მიპასუხებ?"
[დაელოდეთ პასუხს]
[თუ ბავშვი იტყვის „არ ვიცი"; თქვით]

6. „სწორია. არ იცი, ხომ ასეა?"
[თუ ბავშვი გამოცნობას შეეცდება, თქვით]

„არა, შენ ეს არ იცი, რადგანაც არ მიცნობ. როცა პასუხი არ იცი, თქვი, რომ არ იცი, ნუ შეეცდები გამოცნობას"
[პაუზა]

7. „ თუ მე ისეთ რაღაცას ვიტყვი, რაც არასწორი იქნება, უნდა მითხრა. კარგი?"
[დაელოდეთ პასუხს]

8. „ თუ მე ვიტყვი, რომ შენ ორი წლის გოგონა ხარ [როცა გამოკითხვას უტარებთ, მაგალითად, 5 წლის ბიჭს], რას მეტყვი?“
[თუ ბავშვი არ შეგისწორებთ, თქვით]

„ რას მეტყვი, თუ მე შეცდომით ორი წლის გოგონას დაგიძახებ [როცა გამოკითხვას უტარებთ, მაგალითად, 5 წლის ბიჭს]?
[დაელოდეთ პასუხს]

9. „სწორია. ახლა იცი, რომ უნდა მითხრა, თუ შეცდომას დავუშვებ ან თუ ვიტყვი ისეთ რაღაცას, რაც სწორი არ იქნება.“
[პაუზა]

10. „ თუ მე ვიტყვი, რომ შენ დგახარ, რას მეტყვი?“
[დაელოდეთ პასუხს]

კარგი.

## II. ურთიერთგაგების დამყარება

**„მინდა, რომ უკეთესად გაგიცნო“.**

1. **„ მითხარი რისი კეთება გიყვარს“**
[დაელოდეთ ბავშვის პასუხს]
[თუ ბავშვი დაწვრილებით გიპასუხებთ, გადადით მესამე შეკითხვაზე]
[თუ ბავშვი არ ან ვერ გიპასუხებთ, შეგიძლიათ სთხოვოთ]

2. **„მართლა ძალიან მინდა შენი უკეთ გაცნობა. კარგი იქნება თუ მეტყვი, რისი კეთება გიყვარს“**
[დაელოდეთ პასუხს]

3. **მომიყევი უფრო მეტი** [აქტივობების შესახებ, რომლებიც ბავშვმა დაასახელა]. *მოერიდეთ ფოკუსირებას ტელევიზიაზე, ვიდეოზე, ფანტაზიებზე.*
[დაელოდეთ პასუხს]

## III. ეპიზოდური მეხსიერების ვარჯიში

**ღირშესანიშნავი მოვლენა**
[შენიშვნა: ეს ნაწილი იცვლება შემთხვევის შესაბამისად]
[დაკითხვის დაწყებამდე, ბავშვისთვის ღირშესანიშნავი მოვლენა მოიძიეთ მისი უახლოესი წარსულიდან: სკოლის პირველი დღე, დაბადებისდღის წვეულება, დღესასწაულის აღნიშვნა და ასე შემდეგ; დაუსვით ბავშვს მოცემული კითხვები მოვლენის შესახებ. თუ შესაძლებელია, აირჩიეთ ისეთი ღირშესანიშნავი მოვლენა, რომელიც სავარაუდოან საეჭვო ძალადობას მიახლოებით ემთხვეოდა დროში. თუ სავარაუდო ძალადობა ზუსტად ღირშესანიშნავი მოვლენის დროს მოხდა, აირჩიეთ სხვა მოვლენა]

**„მინდა, უფრო მეტი გავიგო შენი და შენი ქმედებების შესახებ“.**

1. **„ამ რამდენიმე** [დღის/კვირის]**წინ იყო** [დღესასწაული/დაბადების დღე/ სკოლის პირველი დღე/ სხვა მოვლენა]. **მომიყევი ყველაფერი, რაც მაშინ** [შენი დაბადების დღე, აღდგომა, სხვა] **მოხდა.**
[დაელოდეთ პასუხს]

**1a. „კარგად გაიხსენე** [აქტივობა ან მოვლენა] **და ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა გაღვიძებიდან** [ბავშვის მიერ წინა კითხვის პასუხში ნახსენებ ნაწილი] **- დე.**
[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

**1b. „რა მოხდა ამის შემდეგ?“**
[დაელოდეთ პასუხს]
[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

**1c. „ყველაფერი მომიყევი, რაც** მოხდა [ბავშვის მიერ ნახსენები მოვლენის ნაწილი] **-დან დაძინებამდე”.**
[დაელოდეთ პასუხს]
[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

**1d. „უფრო მეტი მომიყევი / კიდევ რისი თქმა შეგიძლია?** [ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობის შესახებ]“
[დაელოდეთ პასუხს]
[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

**1e. „წეღან ახსენე** [ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]. **ყველაფერი მომიყევიმის შესახებ“.**
[დაელოდეთ პასუხს]
[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება].
[თუ ბავშვი უნიათოდ აღწერს მოვლენას, განაგრძეთ 2-2e შეკითხვებით].
[შენიშვნა: თუ ბავშვი დეტალურად აღწერს მოვლენას, თქვით:]

**„მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი მითხრა, რაც გახსოვს, იმის შესახებ, რაც შეგემთხვა. შეგიძლია მითხრა კარგი რამეებიც და ცუდი რამეებიც.“**

გუშინ

**2. „ მე ძალიან მინდა ვიცოდე, რა გადაგხდა თავს. მომიყევი, რა გადაგხდა გუშინ თავს, გაღვიძებიდან დაძინებამდე“.**
[დაელოდეთ პასუხს]

**2a. „არ მინდა, რომ რამე გამოგრჩეს. ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა მოხდა გაღვიძებიდან** [ბავშვის მიერ წინა კითხვის პასუხში ნახსენები აქტივობა] - **დე”.**
[დაელოდეთ პასუხს]

**2b. „რა მოხდა შემდეგ?“**
[დაელოდეთ პასუხს]
[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

**2c. „ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა** [ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა] **-დან დაძინებამდე“.**
[დაელოდეთ პასუხს]

**2d. „უფრო მეტი მომიყევი** [ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]“
[დაელოდეთ პასუხს]
[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

**2e. „წეღან ახსენე** [ ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]. **ყველაფერი მომიყევიმის შესახებ“.**
[დაელოდეთ პასუხს]
[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

დღეს

თუ ბავშვი არ გაწვდით ადექვატურ და დეტალურ ინფორმაციას გუშინდელი დღის შესახებ, გაიმეორეთ შეკითხები 2-2e დღევანდელი დღის შესახებ. გამოიყენეთ „აქ მოსვლის დრო", როგორც ორიენტირი/ბოლო მოვლენა..
**„ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მომიყვე ყველაფერი, რაც მართლა შეგემთხვა".**

**დაკითხვის არსებითი ნაწილი**

**IV. არსებით ნაწილზე გადასვლა**

**„ახლა, როცა უფრო უკეთ გაგიცანი, მინდი იმის შესახებ გესაუბრო, რის გამოც შენ დღეს აქ ხარ".**

[თუ ბავშვი პასუხის გაცემას დაიწყებს, დაელოდეთ]

[თუ ბავშვი მოკლედ აღწერს სავარაუდო შემთხვევას (მაგალითად: „დავითი ჩემს კუტუს შეეხო" ან „მამაჩემი მირტყამს), გადადით მე-10 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი არ აკეთებს განაცხადს შემთხვევის შესახებ, განაგრძეთ შეკითხვა 1-ით.]

1. **„მესმის, რომ რაღაც შეგემთხვა. ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა, თავიდან ბოლომდე".**

   [დაელოდეთ პასუხს]

   [თუ ბავშვი განაცხადს აკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

   [თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10a-ზე]

   [თუ ბავშვი არ აკეთებს განაცხადს, განაგრძეთ შეკითხვით 2-ით]

2. **„როგორც გითხარი, ჩემი საქმეა, ბავშვებს ვესაუბრო ისეთ რაღაცეებზე, რაც მათ შეიძლება თავს გადახდენოდათ. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მითხრა რატომ** [ხარ აქ/მოხვედი აქ/ვარ აქ]. **შენი აზრით, რატომ მოგიყვანა** [დედა, მამა, ბებია]-მ **დღეს** [ან: „შენი აზრით რატომ მოვედი შენთან სასაუბროდ]?"

   [დაელოდეთ პასუხს]

   [თუ ბავშვი განაცხადს აკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

   [თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10a-ზე]

   [თუ ბავშვი საერთოდ არ მოგაწვდით ინფორმაციას და თქვენ არ იცით, ესაუბრა თუ არა ბავშვი რომელიმე სპეციალისტს, გადადით მე-4 ან მე-5 შეკითხვაზე]

   [თუ ბავშვი არ გააკეთებს განაცხადს და იცით, რომ ის უკვე გაესაუბრა რომელიმე სპეციალისტს, გადადით მე-3 შეკითხვაზე]

3. **„გავიგე, რომ შენ** ესაუბრე [ექიმს/მასწავლებელს/სოციალურ მუშაკს/ან სხვა] [ადგილი/დრო]. **მომიყევი, რაზე ილაპარაკეთ."**

   [დაელოდეთ პასუხს]

   [თუ ბავშვი განაცხადს აკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

   [თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10a-ზე]

   [თუ ბავშვი არ აკეთებს განაცხადს და ხილული არ იქნება ძალადობის ფიზიკური კვალი, გადადით მე-5 შეკითხვაზე]

   [თუ ფიზიკური ნიშნები ხილულია, გამომძიებელს ფოტოებზე აქვს ნანახი ან ვიღაცამ უთხრა, ან თუ დაკითხვის ადგილი საავადმყოფოა ან გამოკითხვა უშუალოდ სამედიცინო შემოწმების შემდეგ მიმდინარეობს, თქვით:]

4. **„ვხედავ,** [გავიგე] **რომ გაქვს** [ძალადობის ფიზიკური ნიშნები/დაზიანებები/სისხლჩაქცევები] **შენს ____________-ზე**

   [დაელოდეთ პასუხს]

   [თუ ბავშვი განაცხადს აკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]

   [თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10a-ზე]

   [თუ ბავშვი არ აკეთებს განაცხადს, განაგრძეთ მე-5 შეკითხვით]

5. „ვინმე ხომ არ გაწუხებს?“
[დაელოდეთ პასუხს]
[თუ ბავშვი დაადასტურებს ან განაცხადს გააკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]
[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10a-ზე]
[თუ ბავშვი არ დაადასტურებს და არც განაცხადს გააკეთებს. გადადით მე-6 შეკითხვაზე]

6. „შეგემთხვა რამე [ადგილი/სავარაუდო ძალადობის დრო]?“
[შენიშვნა: არ ახსენოთ ეჭვმიტანილის სახელი ან განაცხადის რომელიმე დეტალი]
[დაელოდეთ პასუხს]
[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10a-ზე]
[თუ ბავშვი დაადასტურებს ან განაცხადს გააკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]
[თუ ბავშვი არც დაადასტურებს და არც განაცხადს გააკეთებს. გადადით განაგრძეთ მე-7 შეკითხვით]

7. „ვინმემ რამე ისეთი გაგიკეთა, რაც, შენი აზრით, არასწორია?“
[დაელოდეთ პასუხს]
[თუ ბავშვი დაადასტურებს ან განაცხადს გააკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]
[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10a-ზე]
[თუ ბავშვი არც დაადასტურებს და არც განაცხადს გააკეთებს. განაგრძეთ მე-8 შეკითხვით]

**პაუზა. რამდენად მზად ხართ გასაგრძელებლად? ხომ არ სჯობს, რომ გაგრძელებამდე შეისვენოთ?**
თუ თქვენ გაგრძელებას გადაწყვეტთ, თქვენს ხელთ არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით, მკაფიოდ უნდა გქონდეთ ჩამოყალიბებული მე-8 და მე-9 შეკითხვები. დაკითხვის დაწყებამდე დარწმუნდით, რომ ბავშვს ეს შეკითხვები დეტალებს მინიმალურად მიაწვდიან. თუ არ გექნებათ ეს შეკითხვები ჩამოყალიბებული, შეისვენეთ და დრო ამ კითხვების ჩამოსაყალიბებლად გამოიყენეთ.

**8a. „ვინმემ** [შეაჯამეთ ვარაუდები ან ეჭვები, ისე, რომ არ ახსენოთ სავარაუდო დამნაშავეთა სახელები. მოერიდეთ დეტალიზაციას] (მაგალითად: „ვინმემ დაგარტყა?“ ან „ვინმე შენს კუტუს შეეხო [სხეულის ინტიმური ადგილები])?”
[დაელოდეთ პასუხს]
[თუ ბავშვი დაადასტურებს ან განაცხადს გააკეთბს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]
[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10a-ზე]
[თუ ბავშვი არც დაადასტურებს და არც განაცხადს გააკეთებს. განაგრძეთ მე-9 შეკითხვით]

**9a. „შენმა მასწავლებელმა** [ექიმი/ფსიქოლოგი/მეზობელი] **მითხრა/მაჩვენა** [„რომ შენ სხვა ბავშვების კუტუებს ეხებოდი“/“შენი ნახატი“] **და მინდა გავიგო, თუ შეგემთხვა რამე. ვინმემ** [შეაჯამეთ ვარაუდები ან ეჭვები, ისე, რომ არ ახსენოთ დამნაშავეთა სახელები. მოერიდეთ დეტალიზაციას](მაგალითად: „ვინმემ, შენი ოჯახის წევრებიდან დაგარტყა?“ ან „ვინმე შენ კუტუს ან სხეულის სხვა ინტიმურ ადგილებს შეეხო)]?“
[დაელოდეთ პასუხს]
[თუ ბავშვი დაადასტურებს ან განაცხადს გააკეთებს, გადადით მე-10 შეკითხვაზე]
[თუ ბავშვი დეტალურ აღწერას მოგაწვდით, გადადით შეკითხვა 10a-ზე]
[თუ ბავშვი არც დაადასტურებს და არც განაცხადს გააკეთებს. გადადით XIნაწილზე]

## V. შემთხვევათა გამოძიება

ღია კითხვები

10. [თუ ბავშვი ექვს წლამდე ასაკისაა, გაიმეორეთ განაცხადი ბავშვის სიტყვებით; არ ახსენოთ ისეთი დეტალები ან სახელები, რომელთა შესახებაც ბავშვს არაფერი უთქვამს,]
[შემდეგ უთხარით:]

**„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**
[დაელოდეთ პასუხს]
[თუ ბავშვი ექვს წელზე მეტისაა, უბრალოდ თქვით:]

„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“

[დაელოდეთ პასუხს]

**10a. „შემდეგ რა მოხდა?“** ან **„უფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ“.**

[დაელოდეთ პასუხს]

[განცხადებული შემთხვევის სრული აღწერის მისაღებად, დასვით ეს შეკითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

[შენიშვნა: თუ ბავშვის აღწერა ძალიან ზოგადია, გადადით მე-12 შეკითხვაზე (შემთხვევათა გამიჯვნა). თუ ბავშვი კონკრეტულ ინციდენტს აღწერს, განაგრძეთ 10b შეკითხვით]

**10b. „გაიხსენე ის** [დღე/ღამე] **და ყველაფერი მომიყევი, რაც მოხდა** [ბავშვის მიერ ნახსენები, რომელიმე წინმსწრები მოვლენა]**-დან** [ბავშვის მიერ განცხადებული ძალადობის აქტი]**-მდე“.**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: შემთხვევის დეტალური აღწერისათვის, გამოიყენეთ ეს მიმართვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

**10c. „მომიყევი** [ადამიანი/ნივთი/ ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]**-ის შესახებ“**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

10d. **შენ ახსენე** [ადამიანი/ნივთი/ ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა], **მითხარი ყველაფერი მის შესახებ.**

[დაელოდეთ პასუხს]

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

[თუ თქვენთვის რამე გაურკვეველი დარჩება (მაგალითად, მოვლენათა თანმიმდევრობა), თქვით:]

**„შენ ბევრი გამოსადეგი რამ მითხარი, მაგრამ ცოტა დავიბენი. მინდა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი სწორად გავიგე, თავიდან მომიყევი [როგორ დაიწყო/ კონკრეტულად რა მოხდა/ როგორ დასრულდა/ასე შემდეგ].“**

**ფოკუსირებული კითხვები ბავშვის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე**

[თუ ღია კითხვების ამოწურვის შემდეგ, განაცხადს მნიშვნელოვანი დეტალები მაინც აკლია ან მიღებული ინფორმაცია ბუნდოვანია, გამოიყენეთ დამაზუსტებელი კითხვები. მნიშვნელოვანია, რომ დამაზუსტებელი კითხვები შეძლებისდაგვარად შეუხამოთ ღია კითხვებს ].

[შენიშვნა: უპირველესად, მოახდინეთ ბავშვის კონცენტრირება ნახსენებ დეტალზე და შემდეგ დასვით დამაზუსტებელი კითხვა].

შემდეგ მოდის დამაზუსტებელი კითხვების ზოგადი ფორმატი

11. „**შენ ახსენე** [ადამიანი/ნივთი/აქტივობა], [დამაზუსტებელი შეკითხვის გაგრძელება]“.

*მაგალითები:*

1. **„შენ თქვი, რომ მაღაზიაში იყავი. კონკრეტულად სად იყავი?** „[დაელოდეთ პასუხს] **„მომიყევი რამე ამ მაღაზიის შესახებ“**
2. **„შენ თქვი, რომ დედამ „ჩაგარტყა გრძელი რაღაც“. მომიყევი ამ რაღაცის შესახებ“.**
3. **„შენ ახსენე მეზობელი. მისი სახელი იცი?“** [დაელოდეთ პასუხს]. **„მომიყევი რამე მაგ მეზობელზე“** [არ სთხოვოთ აღწერა]
4. **„შენ თქვი, რომ ერთ-ერთმა შენმა კლასელმა დაინახა. რა ჰქვია მას?“** [დაელოდეთ პასუხს] **„მომიყევი,რას აკეთებდა იქ“.**

შემთხვევათა გამიჯვნა

12. **„ეს ერთხელ მოხდა თუ ერთზე მეტჯერ განმეორდა?“**

[თუ შემთხვევა მხოლოდ ერთხელ მოხდა, შეისვენეთ]

[თუ შემთხვევა განმეორდა, განაგრძეთ მე-13 შეკითხვით. გახსოვდეთ: თითოეული შემთხვევა დეტალურად გამოიკვლიეთ, ისე, როგორც აქ არის მითითებული]

13. **„მომიყევი ყველაფერი, რაც მოხდა ბოლოჯერ** [პირველად / იმ ადგილზე ყოფნისას / კონკრეტული აქტივობის დროს/ სხვა დროს, რომელიც კარგად გახსოვს]**“**
[დაელოდეთ პასუხს]

13a. **„შემდეგ რა მოხდა?“** ან **„უფრო მეტი მომიყევი / კიდევ რისი თქმა შეგიძლია?“**
[დაელოდეთ პასუხს]
[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება].

13b.**„გაიხსენე ის** [დღე/ღამე] **და მომიყევი ყველაფერი, რაც მოხდა** [ბავშვის მიერ ნახსენები წინმსწრები მოვლენა]-**დან** [განცხადებული ძალადობრივი შემთხვევა]-**მდე.**
[დაელოდეთ პასუხს]
[შენიშვნა: ამ მიმართვის ვარიაციები გამოიყენეთ იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

13c. **“მომიყევი** [ადამიანი/ნივთი/ ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]-**ის შესახებ“.**
[დაელოდეთ პასუხს]
[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

13d. **„შენ ახსენე** [ ბავშვის მიერ ნახსენები აქტივობა]. **ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**
[დაელოდეთ პასუხს]
[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება].

### კითხვები ბავშვის მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე

[თუ ღია კითხვების ამოწურვის შემდეგ, განაცხადს მნიშვნელოვანი დეტალები მაინც აკლია ან ბურუსითაა მოცული, გამოიყენეთ დამაზუსტებელი კითხვები. მნიშვნელოვანია, რომ დამაზუსტებელი კითხვები შეძლებისდაგვარად შეუხამოთ ღია კითხვებს].

[შენიშვნა: უპირველესად, მოახდინეთ ბავშვის კონცენტრირება ნახსენებ დეტალზე და შემდეგ დასვით დამაზუსტებელი კითხვა] .

### შემდეგ მოდის დამაზუსტებელი კითხვების ზოგადი ფორმატი

14. **„შენ ახსენე** [ადამიანი/ნივთი/აქტივობა], [დამაზუსტებელი შეკითხვის გაგრძელება]“

*მაგალითები:*
1. **„შენ თქვი, რომ ტელევიზორს უყურებდი. ტელევიზორში რას უყურებდი?**
[დაელოდეთ პასუხს]

**„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**

2. **„წეღან თქვი, რომ მამაშენმა „წაგითაქა“. ზუსტად მითხარი, რა გააკეთა.“**
3. **„შენ თქვი, რომ იქ შენი მეგობარიც იყო. რა ჰქვია მას?“**
[დაელოდეთ პასუხს]

**„მომიყევი, რას აკეთებდა ის იქ“.**

4. **„შენ თქვი, რომ ბიძაშენი თითით შეგეხო** [„გეზასავა“/“შენთან სექსი ჰქონდა“/ ასე შემდეგ]. **ზუსტად მითხარი, რა გააკეთა“.**

გაიმეორეთ ეს ნაწილი იმდენჯერ, რამდენი შემთხვევის შესახებაც იტყვის ბავშვი, რათა მოიპოვოთ სასურველი აღწერა. თუ ბავშვი ორზე მეტ შემთხვევას დააკონკრეტებს, თავდაპირველად ჰკითხეთ, რა მოხდა „ბოლოს“, შემდეგ „ პირველად“, ბოლოს კი - „სხვა დროს, რომელიც კარგად ახსოვს“.

## VI. შესვენება

[ბავშვს უთხარით:]

**„ახლა მინდა დავრწმუნდე, რომ ყველაფერი გავიგე და გავარკვიო, -არის თუ არა კიდევ რამე, რის შესახებაც უნდა გკითხო.** მე[ვიფიქრებ შენს ნაამბობზე/ჩანიშვნებს გადავხედავ/გავარკვევ].

[შესვენების დროს განიხილეთ ბავშვის მიერ მოწოდებული ინფორმაცია. შეავსეთ დაკითხვის ოქმი. შეამოწმეთ, გაკლიათ თუ არა ინფორმაცია. დაგეგმეთ დაკითხვის დარჩენილი ნაწილი. დამაზუსტებელი კითხვები აუცილებლად წერილობითი ფორმით ჩამოაყალიბეთ].

**შესვენების შემდეგ**

[იმისათვის, რომ მოიპოვოთ დამატებითი ინფორმაცია, რაზეც ბავშვს არაფერი უთქვამს, დამატებით დასვით ზემოთ აღწერილი პირდაპირი და ღია კითხვები. დაუბრუნდით ღია კითხვებს („მითხარი უფრო მეტი...“) ყოველი პირდაპირი კითხვის შემდეგ. ამ კითხვების ამოწურვის შემდეგ გადადით VII ნაწილზე].

## VII. ბავშვის მიერ გაუმხელელი ინფორმაციის მოპოვება

[ფოკუსირებული კითხვები მხოლოდ მაშინ უნდა დასვათ, თუკი უკვე გამოიყენეთ სხვა მიდგომები და მაინც გაკლიათ სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია]. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ გამოიყენოთ ღია „გამოსაწვევი“ მიმართვები („მომიყევი ყველაფერი ამის შესახებ“) , ყოველ შესაძლო შემთხვევაში.

[შენიშვნა: მრავალჯერადი შემთხვევის დროს, მიმართეთ ბავშვი რელევანტური შემთხვევისაკენ მისივე სიტყვების გამოყენებით. მიეცით ბავშვს საშუალება, მოგაწოდოთ მნიშვნელოვანი დეტალები და მხოლოდ შემდეგ დასვით ფოკუსირებული კითხვები]

[მხოლოდ მაშინ გადადით მომდევნო შემთხვევაზე, როცა დარწმუნდებით, რომ კონკრეტული შემთხვევის შესახებ ყველა დეტალი მოგროვებული გაქვთ]

### კითხვების ზოგადი ფორმატი ფოკუსირებული ბავშვის მიერ გაუმხელელი ინფორმაციის შესახებ

**„როდესაც მიყვებოდი** [კონკრეტული შემთხვევა, რომლის დრო ან ადგილი ცნობილია], **შენ ახსენე** [ადამიანი/ნივთი/აქტივობა]. **იყო** [ფოკუსირებული კითხვა]

[დაელოდეთ პასუხს]

[როცა მართებული იქნება, გააკეთეთ „მოწვევა“; თქვით]

**„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**

*მაგალითები:*

1. „როდესაც შენ ბინაში ყოფნის შესახებ მიყვებოდი, შენ თქვი, რომ მან შარვალი გაიხადა. შენს ტანსაცმელს რამე მოუვიდა?“

   [დაელოდეთ პასუხს]

   [ბავშვის პასუხის შემდეგ თქვით]

   **„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.**

   [დაელოდეთ პასუხს]

2. „როდესაც ბოლო შემთხვევის შესახებ მიყვებოდი, შენ თქვი, რომ ის შეგეხო. ის ტანსაცმლის ზემოდან შეგეხო?

   [დაელოდეთ პასუხს]

[ბავშვის პასუხის შემდეგ თქვით]

„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.
[დაელოდეთ პასუხს]

3. „ის ტანსაცმლის ქვეშ შეგეხო?“
[დაელოდეთ პასუხს]
[ბავშვის პასუხის შემდეგ თქვით]

„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.

4. „შენ მე მითხარი იმის შესახებ, რაც ეზოშიმოხდა.. ვინმემ დაინახა რაც მოხდა?“
[დაელოდეთ პასუხს]
[როცა მართებული იქნება, თქვით]
„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“

5. „ხომ არ იცი, შეემთხვათ თუ არა მსგავსი რამ სხვა ბავშვებს?“
[დაელოდეთ პასუხს]
[როცა მართებული იქნება თქვით]

„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“

6. „შენ მითხარი იმის შესახებ, რაც ფარდულში მოხდა. იცი, როდის მოხდა ეს?“

## VIII. თუ ბავშვი სრულყოფილ ინფორმაციას არ გაწვდით

გამოიყენეთ მხოლოდ რელევანტური მიმართვები.
თუ თვენთვის ცნობილია, რომ შედგა საუბარი, რომლის დროსაც ბავშვმა ინფორმაცია გააჟღერა, თქვით:

1. „როგორც გავიგე, შენ ესაუბრე [] [დრო/ადგილი]. მომიყევი, რაზე ისაუბრეთ.
[თუ ბავშვი არ მოგაწვდით ინფორმაციას, დასვით მე-2 შეკითხვა; თუ ბავშვი რაიმე ინფორმაციას მაინც მოგაწვდით, თქვით:]

„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.
[საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები, როგორიცაა „მომიყევი ამის შესახებ“].

თუ თქვენ იცით ბავშვის სხვასთან შემდგარი საუბრის დეტალები, მაგრამ ინფორმაცია თქვენთვის ბავშვს არ გაუმხელია, თქვით:

2. „როგორც გავიგე [______-მ მითხრა], შენ ილაპარაკე [შეაჯამეთ განაცხადი, შეძლებისდაგვარად მოერიდეთ ბრალდების შემცველი დეტალების ხსენებას], ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“
[საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები,როგორიცაა „მომიყევი ამის შესახებ“ და ასე შემდეგ]

3. თუ რაიმე ინფორმაცია დაკვირვების საფუძველზეა მოპოვებული, თქვით:
a. „როგორც გავიგე, ვიღაცამ დაინახა []. ყველაფერი მომიყევი ამისშესახებ“.
[საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები, როგორიცაა „მომიყევი ამის შესახებ“ და ასე შემდეგ].

თუ ბავშვი უარჰყოფს, გადადით შეკითხვა 3b-ზე

b. „რამე შეგემთხვა [დრო/ადგილი]? ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ“.
[საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები, როგორიცაა „მომიყევი ამის შესახებ“ ].

თუ ბავშვს აქვს/ჰქონდა ტრავმები და ძალადობის ფიზიკური ნიშნები, თქვით:

4. **„ვხედავ** [გავიგე],**რომ შენ გაქვს** [ნიშნები/სისხლჩაქცევები] **შენს** []**-ზე". „ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ".**

[საჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები, როგორიცაა**„მომიყევი ამის შესახებ**" ].

5. **„ვინმემ** [გააკეთეთ შეჯამება მოძალადის დასახელების გარეშე (თუ ბავშვმა თავად არ დაასახელა ის) ან ბრალდების დეტალების გარეშე]?"

**თუ ბავშვი უარჰყოფს, გადადით შემდეგ ნაწილზე**

**თუ ბავშვი რამე იტყვის, თქვით:**
**„ყველაფერი მომიყევი ამის შესახებ"**
[აჭიროებისამებრ, შეგიძლიათ გამოიყენოთ ღია მიმართვები, როგორიცაა **„მომიყევი ამის შესახებ"** ]

## IX. ინფორმაცია გამჟღავნების შესახებ

**„შენ მე მითხარი, თუ რატომ მოხვედი დღეს ჩემთან სასაუბროდ. შენ მიერ მოწოდებული ინფრომაცია ძალიან მეხმარება მომხდარის უკეთ გაგებაში".**

[თუ ბავშვმა ახსენა, რომ შემთხვევის/შემთხვევათა შესახებ ვინმეს მოუყვა, გადადით მე-6 შეკითხვაზე. თუ ბავშვმა მსგავსი არაფერი თქვა, უმალვე შეამოწმეთ მომხდარის გამჟღავნების შესაძლებლობა. თქვით:]

1. **„მომიყევი, რა მოხდა**[ბოლო ინციდენტი]**-ის შემდეგ?**

[დაელოდეთ პასუხს]

2. **„და შემდეგ რა მოხდა?"**

[შენიშვნა: ამ ნაწილის განმავლობაში დასვით ეს კითხვა იმდენჯერ, რამდენჯერაც საჭირო იქნება]

[თუ ბავშვი ვინმესთვის გამჟღავნების შესახებ გეტყვით, გადადით მე-6 შეკითხვაზე. თუ, არა - განაგრძეთ]

3. **„კიდევ ვინმემ იცის მომხდარის შესახებ?**

[დაელოდეთ პასუხს. თუ ბავშვი ვინმეს დაასახელებს, გადადით მე-6 შეკითხვაზე]

[თუ ბავშვი დაადასტურებს, მაგრამ არავის ახსენებს, ჰკითხეთ]

**ვინ?**

[დაელოდეთ პასუხს. თუ ბავშვი ვინმეს დაასახელებს, გადადით მე-6 შეკითხვაზე].

4. **„ახლა მინდა გავიგო, სხვა ადამიანებმა როგორ გაიგეს** [ბოლო შემთხვევა] **შესახებ?**

[დაელოდეთ პასუხს. თუ ბავშვი ვინმეს დაასახელებს, გადადით მე-6 შეკითხვაზე].

[თუ ინფრომაცია გაკლიათ, დასვით მომდევნო შეკითხვები].

5. **„ვინ იყო პირველი, შენი და** [დამნაშევე]**-ს გარდა, ვინც გაიგო** [ბავშვის მიერ განცხადებული ძალადობა]**-ს შესახებ?**

[დაელოდეთ პასუხს.]

6. **„მომიყევი ყველაფერი, რაც შეგიძლია, თუ როგორ გაიგო** {ბავშვის მიერ ნახსენები „პირველი გამგები"]**-მა მომხდარის შესახებ?**

[დაელოდეთ პასუხს]

[შემდეგ თქვით]

**„უფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ"**

[დაელოდეთ პასუხს]

[თუ ბავში საუბარს აღგიგწერთ, თქვით:]

**„ყველაფერი მითხარი, რის შესახებაც ისაუბრეთ“.**
[დაელოდეთ პასუხს]

7. **„კიდევ ვინმემ იცის** [ბავშვის მიერ აღწერილი განცხადებული ძალადობა]-**ს შესახებ?“**
[დაელოდეთ პასუხს]
[შემდეგ თქვით]

**„მომიყევი უფრო მეტი ამის შესახებ“.**
[თუ ბავში საუბარს აღგიგწერთ, თქვით]

**„ყველაფერი მითხარი, რის შესახებაც ისაუბრეთ“.**
[დაელოდეთ პასუხს]
[თუ ბავშვის თქმით, მას არავისთვის უთქვამს, ჰკითხეთ:]

**ეს ნაწილი საჭიროებისამებრ მთლიანად გაიმეორეთ ბავშვის მიერ ნახსენები თითოეული შემთხვევისათვის**

## X.დასრულება

[თქვით:]
**„დღეს შენ ბევრი რამ მითხარი და მე მინდა, დახმარებისათვის მადლობა გადაგიხადო“.**

1. **„არის კიდევ ისეთ რამ, რის შესახებაც შენ ფიქრობ, რომ უნდა ვიცოდე?“**
[დაელოდეთ პასუხს]

2. **„არის ისეთი რამ, რის თქმაც გინდა ჩემთვის?“**
[დაელოდეთ პასუხს]

3. **„არის რაიმე კითხვები, რომლებიც გინდა, რომ მე მკითხო?“**
[დაელოდეთ პასუხს]

4. **„თუ ჩემთან დალაპარაკება ისევ მოგინდება, შეგიძლია ამ ნომერზე დამირეკო“** [გადაეცით ბავშვს ბარათი, თქვენი სახელით, გვარით და ტელეფონის ნომრით].

## XI. ნეიტრალური სასაუბრო თემა

**„დღეს, აქედან წასვლის შემდეგ, რის გაკეთებას აპირებ?“**
[რამდენიმე წუთი ბავშვს ნეიტრალურ თემაზე ესაუბრეთ].
**„ახლა არის** [კონკრეტული დრო] **და ეს ინტერვიუ დასრულებულია“**

**დანართი 2**

სოლთ ლეიქის ოლქის ბავშვთა მართლმსაჯულების ცენტრი 8282 South 2200 West, უესტ ჯორდანი, UT 84088ტელეფონი: (801) 566-3868 ფაქსი: (801) 566-6261დეტექტივი დ.ქ.(DC), xxxx პოლიციის განყოფილება (დეპარტამენტი)გამოკითხვა უტარდება მ.ს.( MS)-ს xxxxx ოლქის ბავშვთა მართლმსაჯულების ცენტრში, 2007 წლის 9 აპრილს

*<u>გასაღები</u>*
*//დიალოგი//*. . . . . სხვა ადამიანის ჩარევა*(გაურკვეველი)* . . დიალოგის გაგება შეუძლებელია
*?დიალოგი?* . . . . .არა 100%-ით დარწმუნებული, რომ ეს ისაა, რაც ნათქვამი იყო.
მე=დეტექტივი (Detective) (მამრ.)ბ=ბავშვი (მდედრ.)

(დეტექტივი ) შედის ოთახში)

მე ხოო, მე ვარ დ.ქ.. მე xxxx პოლიციის განყოფილების დეტექტივი ვარ. დღეს 2007 წლის 9 აპრილია და ახლა არის შუადღისდაახლოებით 2:20 და მე აქ ვარ, რათა ვესაუბრო - მ.ს.-ს?ბ (არ არის გასაგონი პასუხი).

მე რამდენი წლის ხარ, მ.?

ბ ცხრის.

მე 9 წლის ხარ, კარგი.რომელი სკოლაში დადიხარ?

ბ XXXX

მე XXXX, რომელ კლასში?

ბ მეოთხე კლასში ვარ.

მე კარგი. ჩემი სამუშაოა გავესაუბრო ბავშვებს იმაზე, რაც მათ თავს გადახდათ. მე ყოველდღიურად უამრავ ბავშვას ვესაუბრები მათ თავს გადახდენილ რაღაცებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს მხოლოდ სიმართლე მითხრა, კარგი?

ბ კარგი.

მე შენ უნდა მომიყვე მხოლოდ ის, რაც ნამდვილად შეგემთხვა.

ბ კარგი.

მე თუ მე შეკითხვას დაგისვამ და შენ არ გეცოდინება, რას ვგულისხმობ, მითხარი, რომ არ იცი რას ვგულისხმობ და მე სხვანაირად გკითხავ. კარგი?

ბ კარგი

მე თუ ისეთ შეკითხვას დაგისვამ, რომელზეც პასუხი არ იცი, ნუ შეეცდები გამოცნობას, უბრალოდ მითხარი, რომ არ იცი..

ბ კარგი.

მე გასაგებია. მაშ, თუ მე გკითხავ: რა ჰქვია ჩემს ძაღლს, რას მიპასუხებ?

ბ „არ ვიცი"-ს

მე სწორია, შენ მე არ მიცნობ და არც ჩემს ძაღლს იცნობ;და თუ ისეთ რაღაცას ვიტყვი, რაც არასწორი იქნება, მინდა, რომ შემისწორო,კარგი?

ბ კარგი

მე თუ მე ვიტყვი, რომ ათი წლის ბიჭი ხარ, რას მიპასუხებ?

ბ მე ცხრა წლის გოგო ვარ.

მე სწორია. ახლა, როცა უკვე იცი, როგორ უნდა შემისწორო,მინდა, რომ უკეთ გაგიცნო. მითხარი, რისი კეთება გიყვარს?

ბ ველოსიპედით სიარული და ცურვა მიყვარს.

მე აჰა.

ბ მე საცოც დარბაზში სიარული მიყვარს და ბევრსაც ვცოცავ. მე მიყვარს ოჯახის წევრებთან სტუმრობა, რომლებიც შორს ცხოვრობენ, მაგალითად, ბებია-ბაბუასთან წასვლა;ისინი ლოს ანჯელესში ცხოვრობენ. მიყვარს ლურჯის ტონალობები დაძალიან მომწონს „შოპინგობა".

მე კარგი. შენ მითხარი, რომ მოგწონს საცოც ადგილზე სიარული, ყველაფერი მომიყევი მის შესახებ.

ბ კარგი გასართობია. ვიცი, როგორ ავცოცდე კუთხეში, ჯერ ასე მიდის, მერე იხრება, მერე. მაგეებზე ცოცვა ვიცი. ვცდლობ, დავჯდე და ისე ავცოცდე სულ ზემოთ.ვცდილობ, რომ უფრო მაგარი გავხდე და უფრო ზემოთაც ავცოცდე. ახლა უფრო მაგარი ვარ, ვიდრე სულ თავიდან, როცა დავიწყე.

მე კარგია. ცოცვისას სპეციალური ტანსაცმელი უნდა გეცვას?

ბ მშობლებს უნდათ, რომ მეცვას რბილი შორტები და შარვალი და უმკლავებო ან მოკლემკლავიანი მაისური.

მე რამე სპეციალურ ფეხსაცმელს იცვამ?

ბ არა, ჩემს ფეხსაცმელებს ვიცვამ. ზოგჯერ მამა ნებას გვაძლევს, რომ გავიხადოთ და ისე ვიყოთ.

მე კარგი გასართობი ჩანს. ისეთ რაღაცაზე მომიყევი, რამაც ამ კვირაში გაგახარა.

ბ როცა „საშოპინგოდ" ვიყავით, დედამ ნება მომცა, რომ კიდევ მეყიდა მაისურები, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს დას ეს არ შეეძლო.დედამ ნება მომცა, მათი სიიაფის გამო, რამდენიმე მეყიდა.

მე კარგი. ესე იგი, რამდენიმე ახალი ტანსაცმლის საყიდლად იყავი. მომიყევი ამის შესახებ.

ბ კარგი იყო. ბევრი რაღაც მერგებოდა, ხოდა მომიწია ჩემი დის მიერ მოსინჯული რაღაცების გაზომება, რომლებიც კარგად არ მქონდა. ზოგიერთი მაისური ძალიან მოკლე კაბად გამოდგებოდა. მე დავბორიალობდი, როცა დედაჩემი ჩემს დას რაღაცებს აჩვენებდა. მე დავბორიალობდი და კაი მაისურები ვიპოვე, რომელთა ყიდვის ნებართვაც დედაჩემმა მომცა, რადგან ისინი 10 დოლარის ფარგლებში იყო. ფასი, ასე, 10 დოლარი იყო ან ნაკლები.

მე კარგი. შენ ისეთ რაღაცებზე მომიყევი, რისი კეთებაც მოგწონს. ახლა ისეთ რაღაცაზე მომიყევი, რაც ამ ბოლო თვეში მოხდა და რამაც ცუდ ხასიათზე დაგაყენა.

ბ რაღაც იყო მათემატიკაში, ჩვენ ვასწორებდით და მე ბევრი მქონდა არასწორად. დიდად არ მიყვარს მათემატიკა. პრინციპში, გააჩნია რა არის. ქვეშმიწერით გაყოფა მიყვარს; ჩემი საყვარელი რაღაცაა.

მე უფრო მეტი მომიყევი დავალებაზე, რომლის გასწორებაც მოგიწია.

ბ ბევრი რაღაც იყო და ვერ ვიგებდი, სანამ ერთ ღამეს თავიდან არ გავაკეთე. მამაჩემმა ამიხსნასავით და გავიგე და უკეთ მესმის.

მე კარგი, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისეთ რაღაცებზე მომიყვე, რაც ნამდვილად შეგემთხვა.შეგიძლია, კარგი რაღაცებიც მომიყვე და ცუდიც, კარგი?

ბ კარგი.

მე მინდა, რომ ცოტა უფრო მეტი გავიგო იმის შესახებ, თუ რას აკეთებ. გასულ კვირას იყო აღდგომა. მომიყევი ყველაფერი, რაც აღდგომას მოხდა, შენი ადგომიდან დაძინებამდე.

ბ კარგი.ჩვენ ავდექით -- ქვემოთ გვძინავს, რადგან ჩვენს ოთახს არემონტებენ. ღებავენ. როცა სააბაზანოში მივდიოდი, თვალებს ვხუჭავდი და ვცდილობდი, რომ არაფერი დამენახა და საზამთროების სუნი იდგა. როცა შეგვეძლო - როცა ვნახეთ, საერთოდ არ გამკვირვებია რომ მე მივიღე ბევრი„პიპსი" (ტკბილეულის ნაირგვარობა)და ბევრი კანფეტი. რამაც გამაკვირვა, ეს იყო ნაჩუქარი 4 დოლარი.

მე ვაა.

ბ მერე მშობლებმა გვითხრეს, რომ ჩვენ უნდა მოგვესინჯა და ეს იყო თევზი - ეს იყო მეთევზის ჟილეტი, რადგანაც ჩვენ ჩვენი საკუთარი ანკესები გვაქვს.

მე კარგი.

ბ ძალიან მესიამოვნა.

მე კარგია, კარგი. კარგად გაიხსენე აღდგომის ამბები. შემდეგ რა მოხდა?

ბ ვარდები დავკრიფე

მე მომიყევი მაგის შესახებ.

ბ თავიდან მეგონა, რომ მხოლოდ რამდენიმე იყო და უცებ დავკრეფდი.ასე, საათნახევარი დასჭირდა დამთავრებას. რავი, ასე ერთი საათი, ჩვენ ვარდის დიდი ბუჩქები გვაქვს დარგული, და ჩემი მშობლები ჭრიდნენ, ხოდა ბევრი დრო დამჭირდა, რადგანაც ბევრი იყო და გამიჭირდა. ცოტათი მეზარებოდა.

მე კარგი. შემდეგ რა მოხდა?

ბ მაგის მერე მამას სანახაობა მოვუწყვეთ, ჩვენ ვხტუნაობდით. ჩვენ ლახტით ტრიუკებს ვაკეთებდით და ტანვარჯიშის ტრიუკებსაც და სკუტერითაც ვაკეთებდით ტრიუკებს. მოგვიანებით ცოტა წავიხემსეთ, მერე რამდენიმე საათით წავუძინეთ.

მე კარგი. შენ თქვი, რომ მამას სანახოაბა მოუწყვეთ. სად იყო ეს?

ბ სად იყო და - სად და, სად იყო და, ძირითადად ეზოში, გარაჟის წინ და მაგარი იყო. მამაჩემმა ბევრი იხალისა, რადგანაც როცა „ბორბალს" ან რაღაცას ვაკეთებდი, სულ ვიქცეოდი, იმიტომ რომ დაღლილი ვიყავი.

მე კარგი. და მაგის შემდეგ რა მოხდა?

ბ მას მერე, რაც ბევრჯერ წავიქეცი, შიგნით შევედით და პიურე და პასტა ვჭამეთ, წავუძინეთ და თამაშებიც ვითამაშეთ.

მე კარგი. ახლა, როცა ცოტა უფრო უკეთ გაგიცანი, მინდა იმის შესახებ გესაუბრო, რის გამოც შენ დღეს აქ ხარ. შეგიძლია მითხრა, რატომ ხარ დღეს აქ?

ბ კი. ბაბუაჩემი მე და ჩემ დას ისე გვეხება, როგორც ჩვენ არ მოგვწონს.

მე მომიყევი ამის შესახებ.

ბ რავი, ეს ასე რაღაცნაირად რთული ასახსნელია, მაგრამ...

მე კარგი, ეს ერთხელ მოხდა თუ ერთზე მეტჯერ?

ბ ერთზე მეტჯერ.

მე კარგი, ბოლო შემთხვევა გაიხსენე.

ბ კარგი.

მე და მომიყევი მის შესახებ.

ბ ღამით დავრჩით იქ;მას ძალიან მოსწონს მისი დიდი სავარძელი და დიდი გადასაფარებელი, და როცა კი არ უნდა ეჯდე კალთაში, ის გადასაფარებელს გაფარებს და შენ ასე გადაფარებული (მიუთითებს) ხარ, სადღაც აქამდე. მერე გადასაფარებლის ქვეშ ხელს შეჰყოფს და ისე გეხება, როგორც ნამდვილად არ მოგწონს.

მე მომიყევი ამის შესახებ.

ბ რავი, ანუ ის – ზაფხულში როგორც მოხდა. ძალიან საშიში იყო. ანუ - რავი რთული ასახსნელია. არ ვიცი როგორ ავხსნა.

მე შენ მითხარი, რომ მას დიდი სავარძელი აქვს. დიდი სავარძლის შესახებ მომიყევი.
ბ საკმაოდ დიდია, ასე, რავი, მასზე ოდნავ დაბალია, საკმაოდ დიდიადამალიან უკან თუ გადაიხრები, მერე საწოლივითაა.
მე რა ფერისაა სავარძელი?
ბ შავია. ტყავისაა. შავია და ტყავისაა.
მე სად დგას ეგ სავარძელი?
ბ მისაღებ ოთახში, დიდი ტელევიზორი სადაცაა.
მე შენ თქვი, რომ მას დიდი გადასაფარებელი აქვს. მომიყევი მაგ გადსაფარებლის შესახებ.
ბ კარგი, მას ბევრი დიდი გადასაფარებელი აქვს, ანუ რომელიც უფრო ახლოსაა, იმას იღებს. ყველაზე დიდი რომელიცაა, ოფლში გაგწურავს, ზამთარშიც კი ძალიან გაოფლიანდები, მოწაბლისფროა და პატარა გაფორმებებიც აქვს. მიხაკისფერია და წაბლისფერია. კარგა ხანია, არ მინახავს და ცოტა არ იყოს, მიჭირს გახსენება.
მე კარგი, ბოლო შემთხვევა გაიხსენე. ბოლოს სად იყავი?
ბ მათ სახლში დავრჩით ღამით და იქ ვსადილობდით. მშობლებმა გვითხრეს, რომ შეგვეძლო დავრჩენილიყავით, რადგანაც მაგისთვის ვიყავით ისედაც, ხოდა თქვეს, რომ შეგვეძლო ღამე დავრჩენილიყავით.
მე ყველაფერი მომიყევი ღამისთევაზე შენი მისვლიდან შენს წამოსვლამდე.
ბ კარგი. როცა შევედით, ბებია ამბობდა "ვაა, მოდით, მოდით." გაუხარდა ჩვენი ნახვა და გვეხუტებოდა, რადგანაც იშვიათად ვნახულობთ, დაკავებულები ვართ ფეხბურთით. დავდიოდი აქეთ-იქით მათ სახლში და ბაბუამ მითხრა: "მოდი ჩემთან", მე ვუთხარი - "არა." არ მიყვარს მის ახლოს ყოფნა.
მე შემდეგ რა მოხდა?
ბ თავისი კალთისკენ მიმიზიდა, გადასაფარებლის გარეშე. სასადილო მაგიდასთან იჯდა და დანარჩენები სხვა რაღაცებს აკეთებდნენ,- ლაპარკობდნენ და სადილს ამზადებდნენ. ჩემი მშობლებიც იმ ოთახში იყვნენ და დანარჩენებს ელაპარკებდნენ და არავის დაუნახავს, როგორ მიმიზიდა (ციტირება) კალთისკენდა შემეხო. მერე კი მოვახერხე გამოსხლტომა და სიარულის გაგრძელება.
მე კარგი. შენ ამბობ, რომ ის არასწორად შეგეხო. მომიყევი ამის შესახებ.
ბ კარგი, ის ხელს ქვემოთ ჩაუცურებდა და ფეხებს შორის შეგეხებოდა.
მე გასაგებია. როცა ამბობ, რომ ფეხებს შორის შეგეხო (ციტირება)მომიყევი ამის შესახებ.
ბ კარგი, მან ჯერ ფეხები გამიფარჩხა, ანუ ცერა თითი - ამ ფეხზე და ნეკა - ამ ფეხზე და დანარჩენი თითები - შუაში.
მე კარგი. როცა ამბობ „შუაში", შუაში - სად?
ბ ზუსტად შუაში.
მე კარგი. გახსოვს, თავიდან რომ გითხარი, თუ რამეს ვერ გავიგებ, სხვა შეკითხვებს დაგისვამ, რომ გავიგო რა მოხდა-მეთქი?
ბ კი.
მე არ მინდა, რომ რაღაცები ჩემით დავასკვნა ან ვივარაუდო იმაზე, რასაც შენ ამბობ. მნიშვნელოვანია, რომ სწორად გავიგო და არ შემეშალოს, კარგი?
ბ კარგი.
მე როცა ეს იყო "შუაში", შეგიძლია მითხრა, სად - „შუაში"?
ბ აქ (მიუთითებს).
მე კარგი. ეგ სად არის?
ბ აი, პრინციპში აქ (მიუთითებს).
მე კარგი, რას უწოდებ – რა ჰქვია – რას უწოდებ სხეულის მაგ ნაწილს?
ბ არ ვიცი. მე მხოლოდ – ჩემი მშობლები – ანუ ჩემმა მშობლებმა იციან, რადგანაც მათ ვაჩვენებ.
მე კარგი.
ბ ჩემზე.
მე რას აკეთებს სხეულის ეგ ნაწილი?
ბ შარდის ბუშტს აცარიელებს.
მე კარგი. როცა შენ ფეხებს შორის ხელი დაგადო, ეს ტანსაცმლის ზემოდან მოხდა თუ ტანსაცმლის შიგნიდან?
ბ ტანსაცმლის ზემოდან.
მე კარგი. რას გეუბნებოდა?
ბ არაფერს ამბობდა. თუ დაიკლანებოდი, პრობლემა არ ჰქონდა, და გაგიშვებდა,ანუ საკმარისად თუ დაიკლაკნე, რაც არ მოწონდა.
მე კარგი. შენ რა უთხარი მას?

ბ “გამიშვი. არ მინდა შენს კალთაში ჯდომა.”
მე კარგი. შემდეგ რა გააკეთე?
ბ მერე დავიკლაკნე – მერე ვიკლაკნებოდი, სანამ არ გამიშვა.
მე კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ მერე ან გავიქცეოდი, ან სხვა ოთახში გავიდოდი.
მე კარგი. კარგად გაიხსენე – ეგ ბოლო დარჩენა წვეულებაზე და რა მოხდა მათ სახლში, მას შემდეგ, რაც ბაბუაშენს თავი დააღწიე?
ბ ვისადილეთ და მერე მშობლები წავიდნენ. როცა ვემშვიდობებოდით, კომპიუტერულ თამაშებს ვთამაშობდით.
მე კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ შემდეგ ბებიამ თქვა, შხაპის მიღების დროაო.მერე ჩემმა დამ თქვა:„პირველი მე შევალ“. ის იქ ბანაობს ხოლმე და მერე ბებია რომ აბაზანიდან გადის ხოლმე, ის *(გულისხმობს ბაბუას)* ყოველთვის შემოდის.
მე კარგი. მაგ დღეს მაქ იყავი?
ბ არა. გავიგე ჩემი და მამას როგორ ეუბნებოდა და მაქედან ვიცი.
მე კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ მერე თქვა:„გავედი” და მე შევედი საშხაპეში. მერე ბებიაც გავიდა, მარტო დამტოვა და კარიც გაიხურა, მაგრამ ის არ მოსულა.
მე კარგი. ბანაობის შემდეგ რა მოხდა?
ბ პიჟამოები ჩავიცვით და დასაძინებლად გავემზადეთ.
მე კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ გავიღვიძეთ და ვნახეთ, რომ თოვდა. მერე ის (ბაბუა) მოვიდა და მე ვთქვი:„ვაა, თოვლი". მასე ვთქვი, „მაგარია.” მაგან თქვა, „თოვლისგან უნდა გავწმინდო.” ხალათი ეცვა და საწოლზე ამოცოცდა და ის, ის,ჩემ დასმივარდა – ანუ საწოლზე ამოვიდა და ჩემ დას მივარდა, ხოდა ჩემი და მოდის და ცდილობს საწოლიდან გადამოგდოს.
მე ააა.
ბ მეც გამოვიწიე იქედან.
მე შემდეგ რა მოხდა?
ბ მერე მაგან -„წავალ, თოვლისგან გავწმენდ“.მერე გარეთ გავიდა. როცა თითქოს ფანჯრიდან ვიყურებით, ის ყოველთვის მიდის (მიუთითებს).
მე კარგი. შენ თქვი, რომ როცა შემოვიდა და თქვა, რომ თოვლისგან უნდა გაეწმინდა, ხალათი ეცვა?
ბ კი
მე სააბაზანოს ხალათის შესახებ მომიყევი.
ბ აუ რავი, ვერ ვიხსენებ. მართლა.
მე კარგი. შენ თქვი, რომ ის იმ ოთახში შემოვიდა, სადაც შენ იყავი. რომელ ოთახში იყავი?
ბ კარგი. ანუ ასე კიბეებია, მერე აქ არის პატარა დერეფანივით და კარებია აქ და მაქ (მიუთითებს) გვძინავს ხოლმე ჩვენ, აქ არის კარი.
მე კიბეები ახსენე, ზემოთმიმავალი კიბეები თუ ქვემოთ მიმავალი?
ბ ზემოთ.
მე კარგი. შენ თქვი, რომ შენი იმავე საწოლში იყო, რომელშიც შენ?
ბ კი.
მე კარგი. შენ თქვი, რომ ბაბუა მოვიდა და საწოლზე ამოვიდა?
ბ აჰა.
მე საწოლში რა გააკეთა?
ბ უმ, უბრალოდ იწვა.
მე გადასაფარებელზე თუ გადასაფარბლის ქვეშ?
ბ ქვეშ.
მე კარგი. რა თქვა, როცა გადასაფარებლის ქვეშ შეძვრა?
ბ ჩემმა დამ კივილი მორთო:„გადი, გადი.” მერე მაგან თქვა - “ოოო, მოდი, მოდი, გთხოვ.” მან უპასუხა:„არა“,და კივილი დაიწყო და საწოლიდან გაიქცა და...
მე კარგი. შენმა დამ თქვა, რატომ კიოდა?
ბ რავი, არ მოსწონს, როცა საწოლში მოდის.
მე კარგი. ის საწოლში ერთხელ ამოვიდა თუ ერთზე უფრო მეტჯერ?
ბ მხოლოდ ერთხელ.
მე შენ რომ მომიყევი, მაშინ?
ბ (გაურკვეველი)

მე	კარგი. შენ თქვი, რომ ის ერთზე უფრო მეტჯერ ისე შეგეხო, რომ თავი უხერხულად იგრძენი.
ბ აჰა.
მე	პირველი შემთხვევა გაიხსენე.
ბ	რვა წლის, რომ ვიყავი მაგ დროს, ეგ მახსოვს, სხვა არაფერი.რვა წლის ვიყავი და ყოველთვის ვტყუვდებოდი, როცა მეუბნებოდა:„მოდი კალთაში ჩამიჯექი" მე ყოველთვის ვტყუვდებოდი და...
მე	შენ ამბობ, რომ ტყუვდებოდი?
ბ აჰა.
მე	მომიყევი ამის შესახებ.
ბ ესე მიგიტყუებდა თავისთან კალთაში – და მერე ხელს ჩაგიცურებდა და შეგეხებოდა.
მე	კარგი. მომიყევი ამის შესახებ.
ბ არაა ადვილი, არ ვარ დარწმუნებული, რას გულისხმობ, ამიხსენი.
მე	შენ, როცა პირველი შემთხვევა გაიხსენე, თქვი, რომ მან კალთაში მიგიტყუა?
ბ კი.
მე	რა ხდებოდა, როცა მის მუხლებზე იჯექი?
ბ გადასაფარებელს გადაგაფარებდა, ისე რომ ტანსაცმელები მთლიანად დაეფარა და ხელს გადასაფარებლის ქვემოთ ჩააცურებდა და გეხებოდა.
მე	კარგი. და სად გეხებოდა?
ბ	პირველად ანუ? აი, ქვემოთ (მიუთითებს).
მე	კარგი. ეს ტანსაცმელების ზემოდან ხდებოდა თუ შიგნიდან?
ბ	ყოველთვის ზემოდან.
მე	კარგი. რას ამბობდა, როცა ამას აკეთებდა?
ბ	არაფერსაც არ ამბობდა. ის უბრალოდ აგრძელებდა, სანამ არ გამოსხლტებოდი.
მე	კარგი. პირველად რა გააკეთე? რა გააკეთე მას შემდეგ რაც შეგეხო?
ბ	ვიხვაცუნე.
მე	კიდევ იყო ვინმე ოთახში?
ბ	ანუ პირველად – პირველ ჯერზე – არა. რავი, ისე იყვნენ, მაგრამ ვერ ამჩნევდნენ და ფიქრობდნენ „უი, არ უნდა მის კალთაში ჯდომა".
მე	კარგი. გახსოვს კიდე ვინ იყო ოთახში?
ბ	ბებო, დეიდა ჰითერი, მეთი ბიძია, გრეგორი ბიძიადა ბაბუ;დედაჩემი, მამაჩემი და ჩემი და.
მე	აა, კარგი. ვინ – შენ ამბობდი, რვა წლის როცა იყავი, მაგ დროზე. გახსოვს რა მოხდა როცა რვა წლის იყავი?
ბ	ზუსტად არა. მახსოვს, რომ რვა წლის ვიყავი და იქ სასადილოდ და სააღდგომოდ მივდიოდი.
მე	ეს აღდგომას იყო?
ბ	კი, აღდგომა იყო, როცა იქ მივედი.
მე	კარგი. როცა რვა წლის იყავი?
ბ	აჰა.
მე	კარგი. მომიყევი მაშინდელზე, როცა ბოლო  ღამით დარჩენით წვეულება გქონდა
ბ	აჰა.
მე	როდის იყო ეგ?
ბ	რავი. ან იანვარი იყო ან თებერვალი.
მე	წლევანდელი?
ბ	კი, წლევანდელი და...
მე	მას შემდეგ  ღამით დარჩენით წვეულებაზე ყოფილხარ?
ბ	არა.
მე	ეს შენი ბოლო ღამით დარჩენით წვეულება იყო?
ბ	კი.
მე	მომხდარის შესახებ პირველად ვის მოუყევი?
ბ	ჩემმა დამ მოუყვა ოჯახს. დედაჩემმა თქვა, -„აბა, უკვე თითქმის წასვლის დროა." და ჩემმა დამ უპასუხა:„მე არ მინდა წამოსვლა"; დედამ ჰკითხა, რატოო და ჩემმა დამ ყველაფერი მოუყვა.
მე	კარგი. მაგის შესახებ შენ ვის უთხარი პირველად?
ბ	მამას და დედას.
მე	კარგი. რა უთხარი მათ?
ბ	ანუ  როგორ მეხებოდა და მერე გადაწყვიტეს, რომ იქ აღარასოდეს წავსულიყავით.
მე	ეგ ვინ გადაწყვიტა?
ბ	მამაჩემმა. დედაჩემი დაეთანხმა, რადგან მას არ უნდა, რომ ვინმე მასე გვეხებოდეს.

მე	კარგი. პირველი და ბოლო ჯერის გარდა, სხვა მსგავსი შემთხვევებიც ყოფილა?
ბ	კი, მათ შორის.
მე	შეგიძლია მათ შესახებ მომიყვე?
ბ	ეგ შემთხვევები ზუსტად არ მახსოვს. არ ვიცი, იქ რატომ მივედი. ცხრა წლის რომ ვიყავი და რვა წლის, მაგრამ ყველა შემთხვევა არ მახსოვს, მაგრამ უმრავლესობა მახსოვს.
მე	კარგი. შენ ახსენე შენი და,შენს დას შენთვის მოუყოლია არასწორი შეხების შესახებ?
ბ	კი. იმიტომ, რომ ეს ორივეს შეგვემთხვა.
მე	რა გითხრა შენმა დამ?
ბ	ანუ, ესე არაფერი უთქვამს, მამას მოუყვა.
მე	კარგი. მანამდე გინახავს, როგორ ეხებოდნენ ვინმეს ისეთ ადგილებზე, რომლებზეც შეხება არასწორია.
ბ	არა, მხოლოდ სერიალებში.
მე	კარგი. რომელ სერიალებში?
ბ	რავი, მაგალითად, CSI და„კანონი და წესრიგი“.
მე	კარგი. გაიხსენე ის შემთხვევები, როცა ბაბუა არასწორად გეხებოდა. შეგიძლია გაიხსენო, რას ეუბნებოდი მას, გარდა იმისა, რომ გამოსხლტომას ცდილობდი?
ბ	ერთხელ მითხრა:„მ., მოდი აქ.” მე კალთაში ჩავუჯექი და იმან მითხრა:„ისევ გიყვარვარ?” მე კიდე ვუპასუხე:„კი.” ანუ მთლად დარწმუნებული არ ვარ, ისევ მიყვარს თუ არა. მერე ერთი ხელი მომხვია და მეორე ხელი იქ წაიღო. მერე ავდექი და ვუთხარი:„ისევ მიყვარხარ” და მერე ჩემს დასთან ვთამაშობდი.
მე	კარგი. სად მოხდა ეგ?
ბ	მისაღებ ოთახში, სადაც დიდი ტელევიზორია. შუქი ჩამქრალი იყო, მაგრამ ტელევიზორი - არა.
მე	კარგი. შენ ამბობ, რომ ის შენი ბაბუაა,-რანაირი ბაბუა?
ბ	ბაბუაა დედაჩემის მხრიდან. ჰ. ბაბუ.
მე	ჰ. ბაბუ, კარგი. შენ ამბობ, რომ ყოველივე მის სახლში ხდებოდა. სად არის მისი სახლი?
ბ	ფეფერვუდის ქუჩა, უანდერვუდი. მისამართი ზუსტად არ ვიცი. ვიცი, რომ არის უანდერვუდი, რაღაც, რაღაც.
მე	კარგი. კარგი, ახლა ცოტა ხნით უნდა გავიდე და შევისვენო და სანამ დავბრუნდები, მინდა, რომ დაფიქრდე, კიდევ ხომ არ არის ისეთი რამ, რისი თქმაც დაგავიწყდა. კარგი?
ბ	კარგი.

**(დეტექტივი გადის ოთახიდან).**
**(დეტექტივიშედის ოთახში)**
მე	კარგი. მადლობა რომ დამელოდე.
ბ	არაფრის.
მე	სანამ გასული ვიყავი, რამე გაგახსენდა?
ბ	არა.
მე	კარგი. კიდევ რამდენიმე შეკთხვა მაქვს. მსგავსი რამ მანამდეც მომხდარა?
ბ	არა. მხოლოდ ის, მხოლოდ ის აკეთებდა ამას. სხვა არავინ მახსენდება.
მე	კარგი. ვინმემ გითხრა, დღეს ჩემთვის რა უნდა გელაპარაკა?
ბ	კი, მამაჩემი.მან თქვა. „არ მოიტყუო. მოინდომე და რა შეიძლება მეტი გაიხსენე.”
მე	კიდევ რამე?
ბ	მან მითხრა, რომ ყველაფერი მომეყოლა, რაც ვიცი.
მე	კარგი. მასე მოიქეცი?
ბ	კი.
მე	ყველაფერი რაც გახსოვს? კარგი. იცი კიდევ ვინმე, ვისაც რაიმე არასწორი გადახდა თავს?
ბ	არა.
მე	კარგი. გინდა რამის თქმა? ან რამის შეკითხვა ხომ არ გინდა?
ბ	არა.
მე	კარგი. მაშინ, თუ რამის თქმა მოგინდება ან შეკითხვა გექნება, შენს მშობლებს ბარათს მივცემ და შეგიძლიათ, რომ დამირეკოთ, კარგი?
ბ	კარგი.მე	ახლა შეგვიძლია დავბრუნდეთ.
(ინტერვიუ მთავრდება შუადღის 2:50-ზე.)

# სცენარი

9 წლისსალომეხელოვნებისსკოლაშისწავლობს. რამდენიმე დღის წინ, შესვენების დროს, თავისკლასელზარზარესთანერთადტუალეტშიშესვლისას,იქდახვდათუცნობიმამაკაცი, რომელმაცკარიჩაკეტადაგოგონები დანისმუქარითაიძულასაცვლებიჩაეხადათ. მამაკაციხელითშეეხომათსასქესოორგანოებს. შემდეგმანშარვალიჩაიხადადაგოგონებსმოსთხოვა, მისსასქესოორგანოზემოეკიდათხელი. ის ჯერ სალომეს მიუახლოვდა. ამდროსზარზარემ, რომელიც კართან ახლოს იდგა, გაქცევამოახერხადაკივილითუხმომშველელს. მამაკაცმა ტუალეტის ფანჯარა გამოაღო, მეორე სართულიდან გადახტა და გაიქცა.

ინტერვიუერი ქეთევან თ., საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონდი
გამოკითხვა უტარდება სალომე ზ.-ს, თბილისის ბავშვთა დახმარების ცენტრში,
2013 წლის 21 ოქტომბერს

***<u>აღნიშვნები/გასაღები</u>***

მე=ინტერვიუერი (მდედრ.)
ბ=ბავშვი (მდედრ.)

**(ინტერვიუერი შედის ოთახში)**

მე: გამარჯობა, სალომე. მე ბავშვთა დახმარების ცენტრის ფსიქოლოგი ვარ, ქეთი მქვია. დღეს 2013 წლის 21 ოქტომბერია. ახლა არის 11:00 და მე აქ ვარ, რათა გაგესაუბრო. კარგი?
ბ:უჰუ.
მე: როგორც ხედავ, ამ ოთახში არის ვიდეოკამერა და ჩვენ საუბარს ჩავიწერთ. .ეს იმისთვისაა, რომ რასაც მეტყვი, ყველაფერი მახსოვდეს. ზოგჯერ შეიძლება დამავიწყდეს რაღაცები. ვიდეოჩანაწერის საშუალებით გავიხსენებ. კარგი?
ბ: კარგი.
მე: რამდენი წლის ხარ, სალომე?
ბ:ცხრის.
მე:9 წლის ხარ, კარგი.რომელ სკოლაში დადიხარ?
ბ:ხელოვნების სკოლაში.
მე:ხელოვნების სკოლაში,რომელ კლასში ხარ?
ბ: მეოთხეში.
მე:კარგი. ჩემი სამუშაოს ნაწილია, გავესაუბრო ბავშვებს იმაზე, რაც მათ თავს გადახდათ. მე ყოველდღიურად უამრავ ბავშვს ვესაუბრები მათ თავს გადახდენილ რაღაცებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს მხოლოდ სიმართლე მითხრა, კარგი?
ბ:კარგი.
მე:შენ უნდა მომიყვე მხოლოდ ის, რაც ნამდვილად შეგემთხვა.
ბ: კარგი.
მე: თუ მე შეკითხვას დაგისვამ და შენ არ გეცოდინება, რას ვგულისხმობ, მითხარი, რომ არ იცი, რას ვგულისხმობ და მე სხვანაირად გკითხავ. კარგი?
ბ: კარგი
მე თუ ისეთ შეკითხვას დაგისვამ, რომელზეც პასუხი არ იცი, ნუ შეეცდები გამოცნობას, უბრალოდ მითხარი, რომ არ იცი..
ბ კარგი.
მე გასაგებია. მაშ, თუ მე გკითხავ: რა ჰქვია ჩემს კატას, რას მიპასუხებ?
ბ „არ ვიცი“-ს
მე სწორია, შენ მე არ მიცნობ და არც ჩემს კატას იცნობ;და თუ ისეთ რაღაცას ვიტყვი, რაც არასწორი იქნება, მინდა, რომ შემისწორო,კარგი?
ბ კარგი
მე თუ მე ვიტყვი, რომ 12 წლის ბიჭი ხარ, რას მიპასუხებ?
ბ მე ცხრა წლის გოგო ვარ.
მე სწორია. ახლა, როცა უკვე იცი, როგორ უნდა შემისწორო,მინდა, რომ უკეთ გაგიცნო. მითხარი, რისი კეთება გიყვარს?

ბ სიმღერადა ცეკვა მიყვარს.
მე აჰა.
ბ ნაყინი მიყვარს. ერთი სანაყინე მომწონს ყველაზე უფრო, „ლუკა პოლარე". იქ ხშირად დავდივარ.მე მიყვარს, როცა ჩემი მეგობრები ჩემთან სახლში სტუმრად მოდიან. ხატვა მიყვარს, ფერებიდან მიყვარს ნარინჯისფერი დაძალიან მიყვარს ზღვაზე დასვენება.
მე კარგი. შენ მითხარი, რომ მოგწონს „„ლუკა პოლარე". ყველაფერი მომიყევი მის შესახებ.
ბ კარგი სანაყინეა. სხვადასხვანაირი გემრიელი ნაყინი აქვთ. თან იქ თითქმის სულ ერთი და იგივე ბავშვები დადიან, ბევრი ვინმე გავიცანი, ჩემხელები. იქ რომ შევდივართ, დედიკოები ცალკე ჯდებიან და ბავშვები ცალკე მაგიდასთან ვჯდებით. ბევრს ვლაპარაკობთ, ვიცინით, ერთმანეთის ნაყინებს ვსინჯავთ. ადრე მაქედან არავის ვიცნობდი, ახლა სამ-ოთხ გოგოს სახლშიც ვპატიჟებ და მეც მპატიჟებენ.
მე კარგია. შენ რომელი ნაყინი გიყვარს ყველაზე მეტად?
ბ „ტარტუფო". ისეთია, შოკოლადისფერი და შიგნით ნიგვზებია, წვრილად დაჭრილი. შემიძლია უამრავი ვჭამო, მაგრამ დედიკოს არ უნდა, რომ ყელი გამიცივდეს და ავად გავხდე და ბევრი ნაყინის ჭამას მიშლის ხოლმე.
მე სანაყინეში გაცნობილ მეგობრებზე მომიყევი.
ბ ოთხი გოგოა - ანი, სალი, თამთა და ნინო. როცა ჩვენთან სახლში მოდიან, დედიკო ნამცხვარს გვიცხობს, მამიკოს ბევრი სხვადასხვა ხილი მოაქვს. ჩვენ ვთამაშობთ, ხან „ბარბის სახლით", ხან - კარაოკეს ვაწყობთ და ვმღერით, ხან - ისე, ამბებს ვყვებით, „ვჭორაობთ". ზოგჯერ დედა ნებას გვაძლევს, რომ ეზოში ჩავიდეთ და „წრეში ბურთი" ვითამაშოთ.
მე კარგად ერთობით, როგორც ჩანს. ისეთ რაღაცაზე მომიყევი, რამაც გასულ კვირაში გაგახარა.
ბ როცა სიმღერის რეპეტიციაზე ვიყავი, მასწავლებელმა 2 სოლო სიმღერა მომცა. ადრე სულ გუნდში ვმღეროდი და ჩემი ხმა კარგად არ ისმოდა. ძალიან გამიხარდა.
მე კარგი. ესე იგი, 2 სოლო სიმღერა მოგცეს. მომიყევი ამის შესახებ.
ბ ორივე ეს სიმღერა მიყვარს, „ორი რეზო" და „გაიღვიძებს ია". სახლშიც სულ ამ სიმღერებს ვღიღინებ. მე და სალიმ „ორი რეზო" ჩვენს სახელებზე გადავაკეთეთ, კარგი გამოვიდა. ახლა ამ სიმღერებს კონცერტზე რომ ვიმღერებ, მიკროფონთან მარტო უნდა ვიდგე სცენაზე და მე ამაზე სულ ვოცნებობდი.
მე კარგი. შენ ისეთ რაღაცებზე მომიყევი, რისი კეთებაც მოგწონს. ახლა ისეთ რაღაცაზე მომიყევი, რაც ამ ბოლო თვეში მოხდა და რამაც ცუდ ხასიათზე დაგაყენა.
ბ რაღაც იყო ხატვაზე, მასწავლებელმა მოგვიტანა ნახატი, ვაშლის ხე და ჩვენ უნდა გადაგვეხატა გუაშის საღებავებით. მანამდე ფანქრებით ვხატავდი და კარგად გამომდიოდა. ძალიან ვეცადე, მაგრამ ფუნჯებით ხის დახატვა არ გამომივიდა. ხატვა ძალიან მიყვარს პრინციპში, გააჩნია, რას ვხატავ. უფრო ადამიანების ხატვა მიყვარს; ჩემი საყვარელი რაღაცაა.
მე უფრო მეტი მომიყევი ნახატზე, რომელიც არ გამოგივიდა.
ბ სიმწვანეში იყო დახატული ვაშლებიანი ხე, წითელი ვაშლებით. ხესთან ბიჭი იდგა და ზემოთ იყურებოდა, ვაშლებს უყურებდა. უკან ღობე ჩანდა და პატარა სახლი. ბევრი ვიწვალე და ხე ვერ დავხატე, ცუდად გამომდიოდა, სანამ ერთ საღამოს დედამ თვითონ არ ამიხსნა და გავიგე და კარგად დავხატე.
მე კარგი, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისეთ რაღაცებზე მომიყვე, რაც ნამდვილად შეგემთხვა.შეგიძლია, კარგი რაღაცებიც მომიყვე და ცუდიც, კარგი?
ბ კარგი.
მე მინდა, რომ ცოტა უფრო მეტი გავიგო იმის შესახებ, თუ რას აკეთებ. ამ თვეში იყო შენი დაბადების დღე.მომიყევი ყველაფერი, რაც შენს დაბადების დღეზე მოხდა, შენი ადგომიდან დაძინებამდე.
ბ კარგი.დილას დედიკომ კოცნით გამაღვიძა. თვალები რომ გავახილე, ოთახი სულ ბუშტებით იყო მორთული. მამიკოც იქ იყო, მომილოცეს და მამიკომ მითხრა, რომ სახლის ერთ-ერთ კუთხეში საჩუქარი მელოდებოდა და მე თვითონ უნდა მომეძებნა. ფეხშიშველი გავვარდი, ყველა ოთახში შევვარდი და სამზარეულოში ვიპოვე ნარინჯისფერი ყუთი და თავი რომ ავხადე, სიხარულისგან კინაღამ გავგიჟდი, შიგნით ზუსტად ისეთი ლეკვი იწვა, როგორიც სულ მინდოდა, თეთრი. მაშინვე დავარქვი სახელად ბობო. ასეთ საჩუქარს არ ველოდებოდი, იმიტომ რომ მანამდე სულ ვთხოვდი მშობლებს ლეკვის მოყვანას, მაგრამ უარს მეუბნებოდნენ.
მე ვაა.
ბ მერე მე და მამამ ბობო ეზოში ჩავიყვანეთ. ერთი სული მქონდა, სანამ ბავშვებს ვაჩვენებდი. ყველას ძალიან მოეწონა და ეფერებოდნენ.
მე კარგია, კარგი. კარგად გაიხსენე დაბადების დღის ამბები. შემდეგ რა მოხდა?
ბ დაბადების დღის ცენტრში წასასვლელად მოვემზადეთ.
მე მომიყევი მაგის შესახებ.

ბ მე ცოტა გრძელი, ფრიალა, ყვითელი კაბა მეცვა; კიდევ - ახალი თეთრი ფეხსაცმელები. დედიკომ ლამაზად დამვარცხნა. მერე მაგრად გაწვიმდა და ასე ერთი საათი ტორტის მოტანას ველოდებოდით. ამასობაში მე ბობოს ვეთამაშებოდი. როგორც იქნა, მოიტანეს ტორტი, დიდი ჭიამაიას ტორტი იყო, წითელი, შავკოპლებიანი.

მე კარგი. შემდეგ რა მოხდა?

ბ მაგის მერე დაბადების დღის ცენტრში წავედით. მე, დედა, მამა და დეიდა მანქანაში ჩავსხედით, ბობოც წავიყვანეთ. მამიკოს დიდი ქოლგა ეჭირა და ისე წვიმდა, რომ სათითაოდ მივყავდით სადარბაზოდან მანქანამდე. მერე მთელი გზა ყველანი ერთად ვმღეროდით „რა ლამაზი დღეა"-ს. ბობოც კი აგვყვა ყეფით.

მე კარგი. შენ თქვი, რომ დაბადების დღის ცენტრში წახვედით. სად იყო ეს?

ბ სად იყო და - სად და, სად იყო და, აი, ჩემს სახლთან ახლოს სტადიონი როა, იმის გვერდითაა დაბადების დღის ცენტრი, „თათოს ზღაპარი" ქვია.

მე კარგი. მომიყევი, რა ხდებოდა „თათოს ზღაპარში".

ბ ყველანი ტაშით შემხვდნენ, საჩუქრები მაჩუქეს; რავი, თოჯინა, პატარა ჩანთა, ლამაზი თმის სამაგრები, ბევრი საჩუქარი მივიღე. იქ... თათო ვარდისფერ ბაჭიას ქვია, ძალიან სასაცილო და საყვარელი ვინმეა. თავისი პატარა სახლი აქვს, სადაც ბავშვები შევდიოდით. ჯერ სპექტაკლი ვნახეთ, ბევრი ვიცინეთ. მერე გამოცანები გამოვიცანით, მერე - ბევრი ვიცეკვეთ, ვიმღერეთ, ლექსები ვთქვით; მერე ზევიდან ბუშტების წვიმა წამოვიდა და ყველანი დავრბოდით და ბუშტებს ვხეთქავდით და ვიცინოდით. მერე მე სურვილი ჩავიფიქრე და ჭიამაიას ტორტზე სანთლები ჩავაქრე, ერთი შებერვით.

მე კარგი. ახლა, როცა ცოტა უფრო უკეთ გაგიცანი, მინდა იმის შესახებ გესაუბრო, რის გამოც შენ დღეს აქ ხარ. შეგიძლია მითხრა, რატომ ხარ დღეს აქ?

ბ კი. ერთხელ ვიღაც კაცმა მე და ბარბარეს ხელი „იქ" მოგვადო და მე თავის „იმაზეც" მაძალებდა, რომ მომეკიდებინა.

მე მომიყევი ამის შესახებ.

ბ რავი, ეს... ასე... რაღაცნაირად ძნელი მოსაყოლია, არ ვიცი, როგორ ვთქვა...

მე კარგი, ის ვიღაც კაცი ნაცნობი იყო თუ უცნობი?

ბ უცნობი იყო... ოღონდ... მანამდე სკოლის წინ რომ სკვერია, იქ მყავდა დანახული. სკამზე იჯდა.

მე ამის შესახებ მომიყევი.

ბ რავი... ის... ის...სკამზე იჯდა ხოლმე ... მარტო იყო... მზესუმზირას ჭამდა და ბავშვებს უყურებდა.

მე უფრო მეტი მითხარი ამის შესახებ.

ბ მეტი არ ვიცი. იმდენად არ დავკვირვებივარ.

მე კარგი. შენ მითხარი, რომ ის კაცი სკოლის წინ რომ სკვერია, იქ გყავდა დანახული. სკვერის შესახებ მომიყევი.

ბ იქ... იქ... მოწითალო პატარა კენჭები ყრია, შუაში შადრევანია და სკამები. კიდევ, სასრიალოა, საქანელები, ასაძრომი კიბეები.

მე სად არის ეს სკვერი?

ბ ხელოვნების სკოლასთან ახლოს. სკოლიდან რომ გამოდიხარ, პატარა დაღმართია, მერე იქეთ უნდა გაუხვიო და უკვე იქ ხარ, სკვერში.

მე შენ თქვი, რომ ის კაცი სკოლის წინ რომ სკვერია, იქ გყავდა დანახული. ეს ერთხელ მოხდა თუ ერთზე მეტჯერ?

ბ ერთზე მეტჯერ.

მეკარგი, ბოლო შემთხვევა გაიხსენე.

ბ კარგი.

მედა მომიყევი მის შესახებ.

ბ მე და ბარბარე და კიდევ ჩვენი ერთი მეგობარი, მარი, გაკვეთილები რომ დაგვიმთავრდა, ხელოვნების სკოლიდან გამოვედით, დედიკოებიც გვახლდნენ. ჩვენ სამნი ყოველთვის ერთად გამოვდივართ, იმიტომ რომ ერთ უბანში ვცხოვრობთ, და ცოტა ხნით ვრჩებით ხოლმე სკვერში (პაუზა).

მე აჰა, გავიგე. შემდეგ რა მოხდა?

ბ ის კაცი სკამზე იჯდა, შადრევანთან ახლოს და ბავშვებს უყურებდა. მერე ნაყინის გამყიდველმა ჩამოიარა და იმან 2 ნაყინი იყიდა, ვიღაც ბავშვებს დაუძახა, ორ გოგოს და ნაყინები მისცა. მერე იმ გოგოებს ელაპარაკებოდა რაღაცას, ერთი მუხლებზე დაისვა.

მეუფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ.

ბ რავი, იმათ მშობლები არ ახლდათ, მგონი; და ის,ბოლოს როგორც იყო, რაღაცნაირად არ მომეწონა. ვერ ავხსნი. თან მარის დედამ თქვა, ამ ბავშვებს პატრონი არ ჰყავთო? მერე მალე წამოვედით. ანუ - რავი რთული ასახსნელია. არ ვიცი როგორ ავხსნა.

მე შენ მითხარი, რომ ის კაცი ორივეს ეხუტებოდა. ამის შესახებ მომიყევი.

ბ ორივე მუხლებზე დაისვა. ერთს გრძელი თმები აქვს, გაშლილი და თმებზე ეფერებოდა. ის გოგონებივინ არიან, არ ვიცი. ისე, იქ ხშირად არიან. მეტი არ ვიცი, რა ვთქვა.
მე იმ კაცს, როცა ბოლოს სკვერში ნახე, რა ეცვა?
ბ ლურჯი მაისური და შავი ჯინსები და მგონი, მუქი ბოტასები. მე მგონი, სულ ეს აცვია. ტუალეტშიც რომ დაგვხვდა, მაშინაც ეს ეცვა.
მე უფრო მეტი მომიყევი მის შესახებ.
ბ რაღაცნაირი მუწუკებიანი სახე აქვს. თმები თითქოს ჩამომხობილი აქვს, „ჩოლკასავით“ აქვს შუბლზე. კიდევ, ერთ ხელზე ტატუ ჰქონდა, ოღონდ ეს მერე დავინახე, იქ, ტუალეტში.
მე რა ფერის ტატუ ჰქონდა?
ბ ლურჯი. აი ასეთი, მოგრძო.
მე სად ჰქონდა ტატუ?
ბ ხელზე, აქ (აჩვენებს ადგილს წინამხარზე) ჯაჭვივით რაღაც ეხატა.
მე რომელ ხელზე ჰქონდა ტატუ?
ბ მგონი, ამაზე (მარჯვენა ხელს აჩვენებს). ზუსტად არ მახსოვს.
მე შენ თქვი, რომ ჯაჭვივით რაღაც ეხატა. მომიყევი მაგ ნახატის შესახებ.
ბ კარგი, ჯაჭვივით იყო ჩახლართული, გრძელი. მგონი, ერთ ბოლოში რიცხვები ეწერა, ან ასოები, ზუსტად არ მახსოვს. ვერ ვიხსენებ ზუსტად.
მე გაკვეთილები რომელ საათზე დაგიმთავრდათ იმ დღეს?
ბ ასე, 2 საათისთვის. საერთოდ, 9-ზე გვეწყება და 2-ისთვის გვიმთავრდება. ოღონდ ტუალეტში რომ დაგვხვდა, მაშინ გაკვეთილები დამთავრებული არ იყო.
მე როდის იყო ეგ, ტუალეტში როცა დაგხვდათ?
ბ 17 ოქტომბერს იყო, ამ კვირაში.
მე კარგი, ახლა ტუალეტის შემთხვევა გაიხსენე.
ბ 2 გაკვეთილის შემდეგ, შესვენებაზე მე და ბარბარე ტუალეტში წავედით. მშობლები სულ გვეუბნებიან, რომ ტუალეტში მარტოები არ წავიდეთ და ამიტომ ერთად წავედით. რომ შევედით, ის კაცი არ ჩანდა, კარის უკან იყო და ჩვენ რომ შევედით, კარი ჩაკეტა. ხელში დანა ეჭირა. გული კინაღამ გამისკდა...
მე ყველაფერი მომიყევი ტუალეტში შენი შესვლიდან შენს გამოსვლამდე.
ბ კარგი. როცა მე და ბარბარე შევედით და კარი მივხურეთ, ის კაცი მაშინ დავინახე დანით ხელში. იმან გვითხრა, არ იყვიროთ, თორემ მოგკლავთო, მე არაფერს დაგიშავებთ, თუ დამიჯერებთო. მერე კარი ჩაკეტა და გვითხრა, ტრუსიკები ჩაიხადეთო. ჩვენ ორივემ ვუთხარით - "არა." მერე მე კისერზე, აი აქ (აჩვენებს) დანა მომადო (პაუზა)
მე შემდეგ რა მოხდა?
ბ ორივემ ჩავიხადეთ ტრუსიკები და იმან თითები დაინერწყვა და ჯერ ბარბარეს და მერე მე „იქ“ შეგვეხო.
მე კარგი. შენ ამბობ, რომ ის კაცი „იქ“ შეგეხო. მომიყევი ამის შესახებ.
ბ კარგი, მან მითხრა, ფეხები გაფარჩხეო და დანერწყვილი ერთი ხელით ფეხებს შორის შემეხო.დანა მეორე ხელში ეჭირა.
მე გასაგებია. როცა ამბობ „ფეხებს შორის“, ფეხებს შორის - სად?
ბ ზუსტად ფეხები რომ იწყება, იქ, შუაში.
მე კარგი. გახსოვს, თავიდან რომ გითხარი, თუ რამეს ვერ გავიგებ, სხვა შეკითხვებს დაგისვამ, რომ გავიგო რა მოხდა-მეთქი?
ბ კი.
მე არ მინდა, რომ რაღაცები ჩემით დავასკვნა ან ვივარაუდო იმაზე, რასაც შენ ამბობ. მნიშვნელოვანია, რომ სწორად გავიგო და არ შემეშალოს, კარგი?
ბ კარგი.
მე შენ ამბობ, რომ "ფეხები რომ იწყება, იქ, შუაში“ შეგეხო. შეგიძლია მითხრა, სად - „შუაში“?
ბ აქ (მიუთითებს).
მე კარგი. ეგ სად არის?
ბ აი, ზუსტად აქ (მიუთითებს).
მე კარგი, რა ჰქვიასხეულის მაგ ნაწილს?
ბ ვერ ვიტყვი, უზრდელობაა, სირცხვილია.
მე კარგი. რას აკეთებს სხეულის ეგ ნაწილი?
ბ ფისებს.
მე კარგი. ის კაცი რას გეუბნებოდა?
ბ ჭკვიანი გოგოები ხართ, რომ მიჯერებთო. მე ავტირდი, რაც არ მოეწონა და მითხრა, თუ არ გაჩუმდები, მოგკლავო.

მე კარგი. შენ რა უთხარი მას?
ბ არაფერი. შევეცადე არ მეტირა და ჩუმად ვტიროდი.
მე კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ მე და ბარბარე ერთად ვიდექით და მერე ბარბარესაც იგივე გაუკეთა.
მე უფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ.
ბ იგივე, რა, რაც მე. ხომ ვთქვი, აღარ მინდა.
მე კარგი. შენ დანა ახსენე. მაგ დანის შესახებ მომიყევი.
ბ აუ რავი, ვერ ვიხსენებ. მართლა. რაღაცნაირი წვრილი დანა იყო, საქსოვი ჩხირივით; და იმან შარვალი რომ ჩაიხადა, ის დანა ფანჯრის რაფაზე დადო, ასე მახსოვს. ხელში აღარ ჰქონდა.
მე კარგი. შენ თქვი, რომ შენ და ბარბარე ერთად იდექით. რომელ ადგილზე იდექით?
ბ იმ ტუალეტში 3 კაბინაა და შუასთან ვიდექით. ბარბარე გასასვლელ კართან უფრო ახლოს იდგა.
მე კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ მერე გვითხრა, ახლა აიწიეთ ტრუსები და შარვლებიო; რომ ავიწიეთ, მერე ჩემთან მოვიდა და ხელი თავის „იმაზე“ დამადებინა და მითხრა, ასე, - ზევით-ქვევით გააკეთეო. მერე ბარბარე ჩუმად კარისკენ წავიდა და გაიქცა და კივილი დაიწყო. მერე ის კაცი ფანჯრიდან გადახტა.
მე უფრო მეტი მომიყევი ამის შესახებ.
ბ მეტი არაფერი ყოფილა, ვერ ვხვდები, რა მოვყვე, ძნელია.
მე კარგი. იმ კაცმა კიდევ რა გააკეთა,, როცა ბარბარე გაიქცა?
ბ არაფერიც არ გაუკეთებია. მარტო შარვალი აიწია, შეიგინა და ფანჯრიდან გადახტა და გაქრა.
მეკარგი. შენ რა გააკეთე, როცა ხელი მოგაკიდებინა?
ბარ მოვკიდე, ასე, მუშტი შევკარი და ამასობაში ბარბარეც გაიქცა.
მე კარგი. კარგად გაიხსენე, რა მოხდა მას შემდეგ, რაც ის კაცი ფანჯრიდან გადახტა?
ბ იმან გამოაღო ფანჯარა და გადახტა. ბარბარეს კივილი მესმოდა. მე ვტიროდი. მერე ზაზა მასწავლებელი შემოვარდა, ნუ გეშინიაო, მითხრა და გავარდა. მერე ბარბარემ მითხრა, ზაზა იმ კაცს გაეკიდაო, მაგრამ ვერ დაიჭირა. მეტი არ ვიცი.
მე კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ მერე ზაზა მასწავლებელმა ხატვის ოთახში შეგვიყვანა მე და ბარბარე. მერე დედიკო მოვიდა და თქვა:„რა მოხდა?“და მე ჩავეხუტე და ისევ ავტირდი. მალე ბარბარეს დედიკოც მოვიდა და მერე პოლიცია მოვიდა. ის ვერ იპოვეს.
მე კარგი. პოლიციის მოსვლის შემდეგ რა მოხდა?
ბ პოლიციაში წაგვიყვანეს მე, ბარბარე, ჩვენი დედიკოები და ზაზა მასწავლებელი.
მე კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ იმდენს გვეკითხებოდნენ, რომ უკვე დაღამებული იყო, იქედან რომ წამოვედით, იქ კიდევ სხვებიც იყვნენ, პოლიციელებიც და კიდევ ვიღაცები, რომლებიც გვიყურებდნენ. მე მეშინოდა და კიდევ მრცხვენოდა. მერე ბარბარემაც მითხრა, მეცო. (პაუზა). ეს ამბავი კიდევ ბევრჯერ უნდა მოვყვე? ჩემი არ გჯერათ, თუ ამდენჯერ რატომ მაყოლებთ?
მე შენი მჯერა. იცი რა, როცა შენ ეს სხვებს მოუყევი, მე ხომ იქ არ ვიყავი. ამიტომ მინდოდა, რომ შენგან მომესმინა, რაც მოხდა.კარგი. გახსოვს, ტუალეტიდან რომ გამოხვედი, კიდევ ვინ იყო დერეფანში?
ბ არ მახსოვს. შეიძლება ვინმეები იყვნენ, ბავშვებს დერეფანში ელოდებიან ხოლმე მშობლები. მე არ მახსოვს.
მე კარგი. შენ თქვი, რომ ეს ამ კვირაში, 17 ოქტომბერს მოხდა.
ბ აჰა.
მემას შემდეგ სკოლაში ყოფილხარ?.
ბ არა. რა ვიცი, დედიკომ და მამიკომ თქვეს, ერთხანს აღარ გატარებთო.
მე ეგ ვინ გადაწყვიტა?
ბ მამიკომ, დედაც დაეთანხმა და მეც ცოტა ხანს არ მინდა, რომ ვიარო.
მე კარგი. მომხდარის შესახებ პირველად ვის მოუყევი?
ბ დედას, მერე პოლიციას და მერე დედიკომ მამას უთხრა, ოღონდ არ ვიცი, რა უთხრა. მე კიდევ პოლიციაში ყველაფერი არ მოვუყევი; ხომ გითხარით, მრცხვენოდა.
მე კარგი. რა უთხარი დედას?
მე ყველაფერი მოვუყევი, რასაც თქვენ გეუბნებით.
მე რა გითხრა დედამ?
ბ ანუ, ესე არაფერი უთქვამს, იტირა და მერე ვიცი, რომ მამას მოუყვა.
მე კარგი. მანამდე გინახავს, როგორ ეხებოდნენ ვინმეს ისეთ ადგილებზე, რომლებზეც შეხება არ შეიძლება?

ბ     არა, არ მინახავს.
მე    კარგი. კარგი, ახლა ცოტა ხნით უნდა გავიდე და სანამ დავბრუნდები, მინდა, რომ დაფიქრდე, კიდევ ხომ არ არის ისეთი რამ, რისი თქმაც დაგავიწყდა. კარგი?
ბ     კარგი.

**(ინტერვიუერი გადის ოთახიდან)(ინტერვიუერიშედის ოთახში)**
მე    კარგი. მადლობა, რომ დამელოდე.
ბ     არაფრის.
მე    სანამ გასული ვიყავი, რამე გაგახსენდა?
ბ     არა.
მე    კარგი. კიდევ რამდენიმე შეკითხვა მაქვს. მსგავსი რამ მანამდეც მომხდარა?
ბ     არა.. მხოლოდ იმან გააკეთა, სხვამ არავინ.
მე    კარგი. ვინმემ გითხრა, დღეს ჩემთვის რა უნდა გელაპარაკა?
ბ     კი, დედიკომ. მან თქვა. „არ მოიტყუო. მოინდომე და რაც შეიძლება მეტი გაიხსენე“.
მე    კიდევ რამე?
ბ     მან მითხრა, რომ ყველაფერი მომეყოლა, რაც ვიცი.
მე    კარგი. მასე მოიქეცი?
ბ     კი.
მე    კარგი. გინდა კიდევ რამის თქმა?
ბ     არა, მეტი არაფრის.
მე    ჩემთვის  რამის შეკითხვა გინდა?
ბ     ისა, იმ კაცს დაიჭერენ?
მე    იმედი მაქვს, რომ დაიჭერენ. ყველაფერს გააკეთებენ, რომ დაიჭირონ.
ბ     კარგია. მეტი არაფერი კითხვა არ მაქვს.
მე    კარგი. მაშინ, თუ ჩემთან დალაპარაკება მოგინდება ან რამის თქმა გენდომება  ან შეკითხვა გექნება, ბარათს მოგცემ, ჩემი ტელეფონი წერია.  შენს მშობლებსაც მივცემ ასეთივე  ბარათს,  და შეგიძლიათ, რომ დამირეკოთ, კარგი?
ბ     კარგი.
მე    მადლობა, რომ ამდენი დრო დამითმე, ბევრი რამე მითხარი და ყურადღებიანი იყავი.
ბ     არაფრის.
მე    დღეს აქედან რომ წახვალ, რის გაკეთებას აპირებ?
ბ    ბობოს საყელური გაუწყდა და ის უნდა ვუყიდოთ, უკვე შერჩეული მაქვს. მერე მე და დედა ბობოს გავასეირნებთ. მერე დედა შემპირდა, ნამცხვარს გამოგიცხობო. მერე მამიკოც მოვა. მერე, რა ვიცი, რამეს ვითამაშებ.
მე    კარგი  გეგმები გქონია. აბა, ნახვამდის, წარმატებები!
(ინტერვიუ მთავრდება 2013 წლის 21 ოქტომბერს, შუადღის 12:30)

სოლთ ლეიქის ოლქის ბავშვთა მართლმსაჯულების ცენტრი 8282 South 2200 West, უესტ ჯორდანი, UT 84088ტელეფონი: (801) 566-3868     ფაქსი: (801) 566-6261დეტექტივი დ.ქ.(DC), xxxx პოლიციის განყოფილება (დეპარტამენტი)გამოკითხვა უტარდება მ.ს.( MS)-ს  xxxxx ოლქის ბავშვთა მართლმსაჯულების ცენტრში, 2007 წლის 9 აპრილს

*გასაღები*

*//დიალოგი//*. . . . . სხვა ადამიანის ჩარევა(*გაურკვეველი)* . . დიალოგის გაგება შეუძლებელია

*?დიალოგი?* . . . . .არა 100%-ით დარწმუნებული, რომ ეს ისაა, რაც ნათქვამი იყო.

მე=დეტექტივი (Detective) (მამრ.)ბ=ბავშვი (მდედრ.)

(დეტექტივი ) შედის ოთახში)

მე ხოო, მე ვარ დ.ქ.. მე xxxx პოლიციის განყოფილების დეტექტივი ვარ. დღეს 2007 წლის 9 აპრილია და ახლა არის შუადღისდაახლოებით 2:20 და მე აქ ვარ, რათა ვესაუბრო - მ.ს.-ს?ბ (არ არის გასაგონი პასუხი).

მე რამდენი წლის ხარ, მ.?

ბ ცხრის.

მე 9 წლის ხარ, კარგი.რომელი სკოლაში დადიხარ?

ბ XXXX

მე XXXX, რომელ კლასში?

ბ მეოთხე კლასში ვარ.

მე კარგი. ჩემი სამუშაოა გავესაუბრო ბავშვებს იმაზე, რაც მათ თავს გადახდათ. მე ყოველდღიურად უამრავ ბავშვას ვესაუბრები მათ თავს გადახდენილ რაღაცეებზე. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დღეს მხოლოდ სიმართლე მითხრა, კარგი?

ბ კარგი.

მე შენ უნდა მომიყვე მხოლოდ ის, რაც ნამდვილად შეგემთხვა.

ბ კარგი.

მე თუ მე შეკითხვას დაგისვამ და შენ არ გეცოდინება, რას ვგულისხმობ, მითხარი, რომ არ იცი რას ვგულისხმობ და მე სხვანაირად გკითხავ. კარგი?

ბ კარგი

მე თუ ისეთ შეკითხვას დაგისვამ, რომელზეც პასუხი არ იცი, ნუ შეეცდები გამოცნობას, უბრალოდ მითხარი, რომ არ იცი..

ბ კარგი.

მე გასაგებია. მაშ, თუ მე გკითხავ: რა ჰქვია ჩემს ძაღლს, რას მიპასუხებ?

ბ „არ ვიცი"-ს

მე სწორია, შენ მე არ მიცნობ და არც ჩემს ძაღლს იცნობ;და თუ ისეთ რაღაცას ვიტყვი, რაც არასწორი იქნება, მინდა, რომ შემისწორო,კარგი?

ბ კარგი

მე თუ მე ვიტყვი, რომ ათი წლის ბიჭი ხარ, რას მიპასუხებ?

ბ მე ცხრა წლის გოგო ვარ.

მე სწორია. ახლა, როცა უკვე იცი, როგორ უნდა შემისწორო,მინდა, რომ უკეთ გაგიცნო. მითხარი, რისი კეთება გიყვარს?

ბ ველოსიპედით სიარული და ცურვა მიყვარს.

მე აჰა.

ბ მე საცოც დარბაზში სიარული მიყვარს და ბევრსაც ვცოცავ. მე მიყვარს ოჯახის წევრებთან სტუმრობა, რომლებიც შორს ცხოვრობენ, მაგალითად, ბებია-ბაბუასთან წასვლა;ისინი ლოს ანჯელესში ცხოვრობენ. მიყვარს ლურჯის ტონალობები დაძალიან მომწონს „შოპინგობა".

მე კარგი. შენ მითხარი, რომ მოგწონს საცოც ადგილზე სიარული, ყველაფერი მომიყევი მის შესახებ.

ბ კარგი გასართობია. ვიცი, როგორ ავცოცდე კუთხეში, ჯერ ასე მიდის, მერე იხრება, მერე. მაგეებზე ცოცვა ვიცი. ვცდლობ, დავჯდე და ისე ავცოცდე სულ ზემოთ.ვცდილობ, რომ უფრო მაგარი გავხდე და უფრო ზემოთაც ავცოცდე. ახლა უფრო მაგარი ვარ, ვიდრე სულ თავიდან, როცა დავიწყე.

მე კარგია. ცოცვისას სპეციალური ტანსაცმელი უნდა გეცვას?

ბ მშობლებს უნდათ, რომ მეცვას რბილი შორტები და შარვალი და უმკლავებო ან მოკლემკლავიანი მაისური.

მე რამე სპეციალურ ფეხსაცმელს იცვამ?

ბ არა, ჩემს ფეხსაცმელებს ვიცვამ. ზოგჯერ მამა ნებას გვაძლევს, რომ გავიხადოთ და ისე ვიყოთ.

მე კარგი გასართობი ჩანს. ისეთ რაღაცაზე მომიყევი, რამაც ამ კვირაში გაგახარა.

ბ როცა „საშოპინგოდ" ვიყავით, დედამ ნება მომცა, რომ კიდევ მეყიდა მაისურები, მიუხედავად იმისა, რომ ჩემს დას ეს არ შეეძლო.დედამ ნება მომცა, მათი სიიაფის გამო, რამდენიმე მეყიდა.

მე კარგი. ესე იგი, რამდენიმე ახალი ტანსაცმლის საყიდლად იყავი. მომიყევი ამის შესახებ.

ბ კარგი იყო. ბევრი რაღაც მერგებოდა, ხოდა მომიწია ჩემი დის მიერ მოსინჯული რაღაცების გაზომება, რომლებიც კარგად არ მქონდა. ზოგიერთი მაისური ძალიან მოკლე კაბად გამოდგებოდა. მე დავბორიალობდი, როცა დედაჩემი ჩემს დას რაღაცებს აჩვენებდა. მე დავბორიალობდი და კაი მაისურები ვიპოვე, რომელთა ყიდვის ნებართვაც დედაჩემმა მომცა, რადგან ისინი 10 დოლარის ფარგლებში იყო. ფასი, ასე, 10 დოლარი იყო ან ნაკლები.

მე კარგი. შენ ისეთ რაღაცებზე მომიყევი, რისი კეთებაც მოგწონს. ახლა ისეთ რაღაცაზე მომიყევი, რაც ამ ბოლო თვეში მოხდა და რამაც ცუდ ხასიათზე დაგაყენა.

ბ რაღაც იყო მათემატიკაში, ჩვენ ვასწორებდით და მე ბევრი მქონდა არასწორად. დიდად არ მიყვარს მათემატიკა. პრინციპში, გააჩნია რა არის. ქვეშმიწერით გაყოფა მიყვარს; ჩემი საყვარელი რაღაცაა.

მე უფრო მეტი მომიყევი დავალებაზე, რომლის გასწორებაც მოგიწია.

ბ ბევრი რაღაც იყო და ვერ ვიგებდი, სანამ ერთ ღამეს თავიდან არ გავაკეთე. მამაჩემმა ამიხსნასავით და გავიგე და უკეთ მესმის.

მე კარგი, მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისეთ რაღაცებზე მომიყვე, რაც ნამდვილად შეგემთხვა.შეგიძლია, კარგი რაღაცებიც მომიყვე და ცუდიც, კარგი?

ბ კარგი.

მე მინდა, რომ ცოტა უფრო მეტი გავიგო იმის შესახებ, თუ რას აკეთებ. გასულ კვირას იყო აღდგომა. მომიყევი ყველაფერი, რაც აღდგომას მოხდა, შენი ადგომიდან დაძინებამდე.

ბ კარგი.ჩვენ ავდექით -- ქვემოთ გვძინავს, რადგან ჩვენს ოთახს არემონტებენ. ღებავენ. როცა სააბაზანოში მივდიოდი, თვალებს ვხუჭავდი და ვცდილობდი, რომ არაფერი დამენახა და საზამთროების სუნი იდგა. როცა შეგვეძლო - როცა ვნახეთ, საერთოდ არ გამკვირვებია რომ მე მივიღე ბევრი„პიპსი“ (ტკბილეულის ნაირგვარობა)და ბევრი კანფეტი. რამაც გამაკვირვა, ეს იყო ნაჩუქარი 4 დოლარი.

მე ვაა.

ბ მერე მშობლებმა გვითხრეს, რომ ჩვენ უნდა მოგვესინჯა და ეს იყო თევზი - ეს იყო მეთევზის ჟილეტი, რადგანაც ჩვენ ჩვენი საკუთარი ანკესები გვაქვს.

მე კარგი.

ბ ძალიან მესიამოვნა.

მე კარგია, კარგი. კარგად გაიხსენე აღდგომის ამბები. შემდეგ რა მოხდა?

ბ ვარდები დავკრიფე

მე მომიყევი მაგის შესახებ.

ბ თავიდან მეგონა, რომ მხოლოდ რამდენიმე იყო და უცებ დავკრეფდი.ასე, საათნახევარი დასჭირდა დამთავრებას. რავი, ასე ერთი საათი, ჩვენ ვარდის დიდი ბუჩქები გვაქვს დარგული, და ჩემი მშობლები ჭრიდნენ, ხოდა ბევრი დრო დამჭირდა, რადგანაც ბევრი იყო და გამიჭირდა. ცოტათი მეზარებოდა.

მე კარგი. შემდეგ რა მოხდა?

ბ მაგის მერე მამას სანახაობა მოვუწყვეთ, ჩვენ ვხტუნაობდით. ჩვენ ლახტით ტრიუკებს ვაკეთებდით და ტანვარჯიშის ტრიუკებსაც და სკუტერითაც ვაკეთებდით ტრიუკებს. მოგვიანებით ცოტა წავიხემსეთ, მერე რამდენიმე საათით წავუძინეთ.

მე კარგი. შენ თქვი, რომ მამას სანახოაბა მოუწყვეთ. სად იყო ეს?

ბ სად იყო და - სად და, სად იყო და, ძირითადად ეზოში, გარაჟის წინ და მაგარი იყო. მამაჩემმა ბევრი იხალისა, რადგანაც როცა „ბორბალს“ ან რაღაცას ვაკეთებდი, სულ ვიქცეოდი, იმიტომ რომ დაღლილი ვიყავი.

მე კარგი. და მაგის შემდეგ რა მოხდა?

ბ მას მერე, რაც ბევრჯერ წავიქეცი, შიგნით შევედით და პიურე და პასტა ვჭამეთ, წავუძინეთ და თამაშებიც ვითამაშეთ.

მე კარგი. ახლა, როცა ცოტა უფრო უკეთ გაგიცანი, მინდა იმის შესახებ გესაუბრო, რის გამოც შენ დღეს აქ ხარ. შეგიძლია მითხრა, რატომ ხარ დღეს აქ?

ბ კი. ბაბუაჩემი მე და ჩემ დას ისე გვეხება, როგორც ჩვენ არ მოგვწონს.

მე მომიყევი ამის შესახებ.

ბ რავი, ეს ასე რაღაცნაირად რთული ასახსნელია, მაგრამ...

მე კარგი, ეს ერთხელ მოხდა თუ ერთზე მეტჯერ?

ბ ერთზე მეტჯერ.

მე კარგი, ბოლო შემთხვევა გაიხსენე.

ბ კარგი.

მე და მომიყევი მის შესახებ.

ბ ღამით დავრჩით იქ;მას ძალიან მოსწონს მისი დიდი სავარძელი და დიდი გადასაფარებელი, და როცა კი არ უნდა ეჯდე კალთაში, ის გადასაფარებელს გაფარებს და შენ ასე გადაფარებული (მიუთითებს) ხარ,

სადღაც აქამდე. მერე გადასაფარებლის ქვეშ ხელს შეჰყოფს და ისე გეხება, როგორც ნამდვილად არ მოგწონს.
მე მომიყევი ამის შესახებ.
ბ რავი, ანუ ის – ზაფხულში როგორც მოხდა. ძალიან საშიში იყო. ანუ - რავი რთული ასახსნელია. არ ვიცი როგორ ავხსნა.
მე შენ მითხარი, რომ მას დიდი სავარძელი აქვს. დიდი სავარძლის შესახებ მომიყევი.
ბ საკმაოდ დიდია, ასე, რავი, მასზე ოდნავ დაბალია, საკმაოდ დიდიადაძალიან უკან თუ გადაიხრები, მერე საწოლივითაა.
მე რა ფერისაა სავარძელი?
ბ შავია. ტყავისაა. შავია და ტყავისაა.
მე სად დგას ეგ სავარძელი?
ბ მისაღებ ოთახში, დიდი ტელევიზორი სადაცაა.
მე შენ თქვი, რომ მას დიდი გადასაფარებელი აქვს. მომიყევი მაგ გადსაფარებლის შესახებ.
ბ კარგი, მას ბევრი დიდი გადასაფარებელი აქვს, ანუ რომელიც უფრო ახლოსაა, იმას იღებს. ყველაზე დიდი რომელიცაა, ოფლში გაგწურავს, ზამთარშიც კი ძალიან გაოფლიანდები, მოწაბლისფროა და პატარა გაფორმებებიც აქვს. მიხაკისფერია და წაბლისფერია. კარგა ხანია, არ მინახავს და ცოტა არ იყოს, მიჭირს გახსენება.
მე კარგი, ბოლო შემთხვევა გაიხსენე. ბოლოს სად იყავი?
ბ მათ სახლში დავრჩით ღამით და იქ ვსადილობდით. მშობლებმა გვითხრეს, რომ შეგვეძლო დავრჩენილიყავით, რადგანაც მაგისთვის ვიყავით ისედაც, ხოდა თქვეს, რომ შეგვეძლო ღამე დავრჩენილიყავით.
მე ყველაფერი მომიყევი ღამისთევაზე შენი მისვლიდან შენს წამოსვლამდე.
ბ კარგი. როცა შევედით, ბებია ამბობდა "ვაა, მოდით, მოდით." გაუხარდა ჩვენი ნახვა და გვეხუტებოდა, რადგანაც იშვიათად ვნახულობთ, დაკავებულები ვართ ფეხბურთით. დავდიოდი აქეთ-იქით მათ სახლში და ბაბუამ მითხრა: "მოდი ჩემთან", მე ვუთხარი - "არა." არ მიყვარს მის ახლოს ყოფნა.
მე შემდეგ რა მოხდა?
ბ თავისი კალთისკენ მიმიზიდა, გადასაფარებლის გარეშე. სასადილო მაგიდასთან იჯდა და დანარჩენები სხვა რაღაცებს აკეთებდნენ,- ლაპარკობდნენ და სადილს ამზადებდნენ. ჩემი მშობლებიც იმ ოთახში იყვნენ და დანარჩენებს ელაპარკებდნენ და არავის დაუნახავს, როგორ მიმიზიდა (ციტირება) კალთისკენდა შემეხო. მერე კი მოვახერხე გამოსხლტომა და სიარულის გაგრძელება.
მე კარგი. შენ ამბობ, რომ ის არასწორად შეგეხო. მომიყევი ამის შესახებ.
ბ კარგი, ის ხელს ქვემოთ ჩაუცურებდა და ფეხებს შორის შეგეხებოდა.
მე გასაგებია. როცა ამბობ, რომ ფეხებს შორის შეგეხო (ციტირება)მომიყევი ამის შესახებ.
ბ კარგი, მან ჯერ ფეხები გამიფარჩხა, ანუ ცერა თითი - ამ ფეხზე და ნეკა - ამ ფეხზე და დანარჩენი თითები - შუაში.
მე კარგი. როცა ამბობ „შუაში", შუაში - სად?
ბ ზუსტად შუაში.
მე კარგი. გახსოვს, თავიდან რომ გითხარი, თუ რამეს ვერ გავიგებ, სხვა შეკითხვებს დაგისვამ, რომ გავიგო რა მოხდა-მეთქი?
ბ კი.
მე არ მინდა, რომ რაღაცები ჩემით დავასკვნა ან ვივარაუდო იმაზე, რასაც შენ ამბობ. მნიშვნელოვანია, რომ სწორად გავიგო და არ შემეშალოს, კარგი?
ბ კარგი.
მე როცა ეს იყო "შუაში", შეგიძლია მითხრა, სად - „შუაში"?
ბ აქ (მიუთითებს).
მე კარგი. ეგ სად არის?
ბ აი, პრინციპში აქ (მიუთითებს).
მე კარგი, რას უწოდებ – რა ჰქვია – რას უწოდებ სხეულის მაგ ნაწილს?
ბ არ ვიცი. მე მხოლოდ – ჩემი მშობლები – ანუ ჩემმა მშობლებმა იციან, რადგანაც მათ ვაჩვენებ.
მე კარგი.
ბ ჩემზე.
მე რას აკეთებს სხეულის ეგ ნაწილი?
ბ შარდის ბუშტს აცარიელებს.
მე კარგი. როცა შენ ფეხებს შორის ხელი დაგადო, ეს ტანსაცმლის ზემოდან მოხდა თუ ტანსაცმლის შიგნიდან?
ბ ტანსაცმლის ზემოდან.

მე   კარგი. რას გეუბნებოდა?
ბ არაფერს ამბობდა. თუ დაიკლანებოდი, პრობლემა არ ჰქონდა, და გაგიშვებდა,ანუ საკმარისად თუ დაიკლაკნე, რაც არ მოწონდა.
მე   კარგი. შენ რა უთხარი მას?
ბ "გამიშვი. არ მინდა შენს კალთაში ჯდომა."
მე   კარგი. შემდეგ რა გააკეთე?
ბ მერე დავიკლაკნე – მერე ვიკლაკნებოდი, სანამ არ გამიშვა.
მე   კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ მერე ან გავიქცეოდი, ან სხვა ოთახში გავიდოდი.
მე   კარგი.  კარგად გაიხსენე – ეგ ბოლო დარჩენა წვეულებაზე და რა მოხდა მათ სახლში, მას შემდეგ, რაც ბაბუაშენს თავი დააღწიე?
ბ ვისადილეთ და მერე მშობლები წავიდნენ. როცა ვემშვიდობებოდით, კომპიუტერულ თამაშებს ვთამაშობდით.
მე   კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ შემდეგ ბებიამ თქვა, შხაპის მიღების დროაო.მერე ჩემმა დამ თქვა:„პირველი მე შევალ". ის იქ ბანაობს ხოლმე და მერე ბებია რომ აბაზანიდან გადის ხოლმე, ის *(გულისხმობს ბაბუას)* ყოველთვის შემოდის.
მე   კარგი. მაგ დღეს მაქ იყავი?
ბ არა. გავიგე ჩემი და მამას როგორ ეუბნებოდა და მაქედან ვიცი.
მე   კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ მერე თქვა:„გავედი" და მე შევედი საშხაპეში. მერე ბებიაც გავიდა, მარტო დამტოვა და კარიც გაიხურა, მაგრამ ის არ მოსულა.
მე   კარგი. ბანაობის შემდეგ რა მოხდა?
ბ პიჟამოები ჩავიცვით და დასაძინებლად გავემზადეთ.
მე   კარგი. შემდეგ რა მოხდა?
ბ გავიღვიძეთ და ვნახეთ, რომ თოვდა. მერე ის (ბაბუა) მოვიდა და მე ვთქვი:„ვაა, თოვლი". მასე ვთქვი, „მაგარია." მაგან თქვა, „თოვლისგან უნდა გავწმინდო."  ხალათი ეცვა და საწოლზე ამოცოცდა და ის, ის,ჩემ დასმივარდა – ანუ საწლოზე ამოვიდა და ჩემ დას მივარდა, ხოდა ჩემი და მოდის და ცდილობს საწოლიდან გადმოგდოს.
მე   ააა.
ბ მეც გამოვიწიე იქედან.
მე   შემდეგ რა მოხდა?
ბ მერე მაგან -„წავალ, თოვლისგან გავწმენდ".მერე გარეთ გავიდა. როცა თითქოს ფანჯრიდან ვიყურებით, ის ყოველთვის მიდის (მიუთითებს).
მე   კარგი. შენ თქვი, რომ როცა შემოვიდა და თქვა, რომ თოვლისგან უნდა გაეწმინდა, ხალათი ეცვა?
ბ კი
მე   სააბაზანოს ხალათის შესახებ მომიყევი.
ბ აუ რავი, ვერ ვიხსენებ. მართლა.
მე   კარგი. შენ თქვი, რომ ის იმ ოთახში შემოვიდა, სადაც შენ იყავი. რომელ ოთახში იყავი?
ბ კარგი.  ანუ ასე კიბეებია, მერე აქ არის პატარა დერეფანივით და კარებია აქ და მაქ (მიუთითებს) გვძინავს ხოლმე ჩვენ, აქ არის კარი.
მე   კიბეები ახსენე, ზემოთმიმავალი კიბეები თუ ქვემოთ მიმავალი?
ბ ზემოთ.
მე   კარგი. შენ თქვი, რომ შენი იმავე საწოლში იყო, რომელშიც შენ?
ბ კი.
მე   კარგი. შენ თქვი, რომ ბაბუა მოვიდა და საწოლზე ამოვიდა?
ბ აჰა.
მე   საწოლში რა გააკეთა?
ბ უმ, უბრალოდ იწვა.
მე   გადასაფარებელზე თუ გადასაფარბლის ქვეშ?
ბ ქვეშ.
მე   კარგი. რა თქვა, როცა გადასაფარებლის ქვეშ შეძვრა?
ბ ჩემმა დამ კივილი მორთო:„გადი, გადი." მერე მაგან თქვა - "ოოო, მოდი, მოდი, გთხოვ." მან უპასუხა:„არა",და კივილი დაიწყო და საწოლიდან გაიქცა და...
მე   კარგი. შენმა დამ თქვა, რატომ კიოდა?
ბ რავი, არ მოსწონს, როცა საწოლში მოდის.

მე კარგი. ის საწოლში ერთხელ ამოვიდა თუ ერთზე უფრო მეტჯერ?
ბ მხოლოდ ერთხელ.
მე შენ რომ მომიყევი, მაშინ?
ბ (გაურკვეველი)
მე კარგი. შენ თქვი, რომ ის ერთზე უფრო მეტჯერ ისე შეგეხო, რომ თავი უხერხულად იგრძენი.
ბ აჰა.
მე პირველი შემთხვევა გაიხსენე.
ბ რვა წლის, რომ ვიყავი მაგ დროს, ეგ მახსოვს, სხვა არაფერი.რვა წლის ვიყავი და ყოველთვის ვტყუვდებოდი, როცა მეუბნებოდა:„მოდი კალთაში ჩამიჯექი" მე ყოველთვის ვტყუვდებოდი და…
მე შენ ამბობ, რომ ტყუვდებოდი?
ბ აჰა.
მე მომიყევი ამის შესახებ.
ბ ესე მიგიტყუებდა თავისთან კალთაში – და მერე ხელს ჩაგიცურებდა და შეგეხებოდა.
მე კარგი. მომიყევი ამის შესახებ.
ბ არაა ადვილი, არ ვარ დარწმუნებული, რას გულისხმობ, ამიხსენი.
მე შენ, როცა პირველი შემთხვევა გაიხსენე, თქვი, რომ მან კალთაში მიგიტყუა?
ბ კი.
მე რა ხდებოდა, როცა მის მუხლებზე იჯექი?
ბ გადასაფარებელს გადაგაფარებდა, ისე რომ ტანსაცმელები მთლიანად დაეფარა და ხელს გადასაფარებლის ქვემოთ ჩააცურებდა და გეხებოდა.
მე კარგი. და სად გეხებოდა?
ბ პირველად ანუ? აი, ქვემოთ (მიუთითებს).
მე კარგი. ეს ტანსაცმელების ზემოდან ხდებოდა თუ შიგნიდან?
ბ ყოველთვის ზემოდან.
მე კარგი. რას ამბობდა, როცა ამას აკეთებდა?
ბ არაფერსაც არ ამბობდა. ის უბრალოდ აგრძელებდა, სანამ არ გამოსხლტებოდი.
მე კარგი. პირველად რა გააკეთე? რა გააკეთე მას შემდეგ რაც შეგეხო?
ბ ვიხვაცუნე.
მე კიდევ იყო ვინმე ოთახში?
ბ ანუ პირველად – პირველ ჯერზე – არა. რავი, ისე იყვნენ, მაგრამ ვერ ამჩნევდნენ და ფიქრობდნენ „უი, არ უნდა მის კალთაში ჯდომა".
მე კარგი. გახსოვს კიდე ვინ იყო ოთახში?
ბ ბებო, დეიდა ჰითერი, მეთი ბიძია, გრეგორი ბიძიადა ბაბუ;დედაჩემი, მამაჩემი და ჩემი და.
მე აა, კარგი. ვინ – შენ ამბობდი, რვა წლის როცა იყავი, მაგ დროზე. გახსოვს რა მოხდა როცა რვა წლის იყავი?
ბ ზუსტად არა. მახსოვს, რომ რვა წლის ვიყავი და იქ სასადილოდ და სააღდგომოდ მივდიოდი.
მე ეს აღდგომას იყო?
ბ კი, აღდგომა იყო, როცა იქ მივედი.
მე კარგი. როცა რვა წლის იყავი?
ბ აჰა.
მე კარგი. მომიყევი მაშინდელზე, როცა ბოლო ღამით დარჩენით წვეულება გქონდა
ბ აჰა.
მე როდის იყო ეგ?
ბ რავი. ან იანვარი იყო ან თებერვალი.
მე წლევანდელი?
ბ კი, წლევანდელი და…
მე მას შემდეგ ღამით დარჩენით წვეულებაზე ყოფილხარ?
ბ არა.
მე ეს შენი ბოლო ღამით დარჩენით წვეულება იყო?
ბ კი.
მე მომხდარის შესახებ პირველად ვის მოუყევი?
ბ ჩემმა დამ მოუყვა ოჯახს. დედაჩემმა თქვა, -„აზა, უკვე თითქმის წასვლის დროა.'' და ჩემმა დამ უპასუხა:„მე არ მინდა წამოსვლა''; დედამ ჰკითხა, რატოო და ჩემმა დამ ყველაფერი მოუყვა.
მე კარგი. მაგის შესახებ შენ ვის უთხარი პირველად?
ბ მამას და დედას.

მე	კარგი. რა უთხარი მათ?
ბ	ანუ როგორ მეხებოდა და მერე გადაწყვიტეს, რომ იქ აღარასოდეს წავსულიყავით.
მე	ეგ ვინ გადაწყვიტა?
ბ	მამაჩემმა. დედაჩემი დაეთანხმა, რადგან მას არ უნდა, რომ ვინმე მასე გვეხებოდეს.
მე	კარგი. პირველი და ბოლო ჯერის გარდა, სხვა მსგავსი შემთხვევებიც ყოფილა?
ბ	კი, მათ შორის.
მე	შეგიძლია მათ შესახებ მომიყვე?
ბ	ეგ შემთხვევები ზუსტად არ მახსოვს. არ ვიცი, იქ რატომ მივედი. ცხრა წლის რომ ვიყავი და რვა წლის, მაგრამ ყველა შემთხვევა არ მახსოვს, მაგრამ უმრავლესობა მახსოვს.
მე	კარგი. შენ ახსენე შენი და,შენს დას შენთვის მოუყოლია არასწორი შეხების შესახებ?
ბ	კი. იმიტომ, რომ ეს ორივეს შეგვემთხვა.
მე	რა გითხრა შენმა დამ?
ბ	ანუ, ესე არაფერი უთქვამს, მამას მოუყვა.
მე	კარგი. მანამდე გინახავს, როგორ ეხებოდნენ ვინმეს ისეთ ადგილებზე, რომლებზეც შეხება არასწორია.
ბ	არა, მხოლოდ სერიალებში.
მე	კარგი. რომელ სერიალებში?
ბ	რავი, მაგალითად, CSI და„კანონი და წესრიგი“.
მე	კარგი. გაიხსენე ის შემთხვევები, როცა ბაბუა არასწორად გეხებოდა. შეგიძლია გაიხსენო, რას ეუბნებოდი მას, გარდა იმისა, რომ გამოსხლტომას ცდილობდი?
ბ	ერთხელ მითხრა:„მ., მოდი აქ.” მე კალთაში ჩავუჯექი და იმან მითხრა:„ისევ გიყვარვარ?” მე კიდე ვუპასუხე:„კი.” ანუ მთლად დარწმუნებული არ ვარ, ისევ მიყვარს თუ არა. მერე ერთი ხელი მომხვია და მეორე ხელი იქ წაიღო. მერე ავდექი და ვუთხარი:„ისევ მიყვარხარ” და მერე ჩემს დასთან ვთამაშობდი.
მე	კარგი. სად მოხდა ეგ?
ბ	მისაღებ ოთახში, სადაც დიდი ტელევიზორია. შუქი ჩამქრალი იყო, მაგრამ ტელევიზორი - არა.
მე	კარგი. შენ ამბობ, რომ ის შენი ბაბუაა,-რანაირი ბაბუა?
ბ	ბაბუაა დედაჩემის მხრიდან. ჰ. ბაბუ.
მე	ჰ. ბაბუ, კარგი. შენ ამბობ, რომ ყოველივე მის სახლში ხდებოდა. სად არის მისი სახლი?
ბ	ფეფერვუდის ქუჩა, უანდერვუდი. მისამართი ზუსტად არ ვიცი. ვიცი, რომ არის უანდერვუდი, რაღაც, რაღაც.
მე	კარგი. კარგი, ახლა ცოტა ხნით უნდა გავიდე და შევისვენო და სანამ დავბრუნდები, მინდა, რომ დაფიქრდე, კიდევ ხომ არ არის ისეთი რამ, რისი თქმაც დაგავიწყდა. კარგი?
ბ	კარგი.
**(დეტექტივი გადის ოთახიდან).**
**(დეტექტივი შედის ოთახში)**
მე	კარგი. მადლობა რომ დამელოდე.
ბ	არაფრის.
მე	სანამ გასული ვიყავი, რამე გაგახსენდა?
ბ	არა.
მე	კარგი. კიდევ რამდენიმე შეკთხვა მაქვს. მსგავსი რამ მანამდეც მომხდარა?
ბ	არა. მხოლოდ ის, მხოლოდ ის აკეთებდა ამას. სხვა არავინ მახსენდება.
მე	კარგი. ვინმემ გითხრა, დღეს ჩემთვის რა უნდა გელაპარაკა?
ბ	კი, მამაჩემი.მან თქვა. „არ მოიტყუო. მოინდომე და რა შეიძლება მეტი გაიხსენე.”
მე	კიდევ რამე?
ბ	მან მითხრა, რომ ყველაფერი მომეყოლა, რაც ვიცი.
მე	კარგი. მასე მოიქეცი?
ბ	კი.
მე	ყველაფერი რაც გახსოვს? კარგი. იცი კიდევ ვინმე, ვისაც რაიმე არასწორი გადახდა თავს?
ბ	არა.
მე	კარგი. გინდა რამის თქმა? ან რამის შეკითხვა ხომ არ გინდა?
ბ	არა.
მე	კარგი. მაშინ, თუ რამის თქმა მოგინდება ან შეკითხვა გექნება, შენს მშობლებს ბარათს მივცემ და შეგიძლიათ, რომ დამირეკოთ, კარგი?
ბ	კარგი.მე	ახლა შეგვიძლია დავბრუნდეთ.
(ინტერვიუ მთავრდება შუადღის 2:50-ზე.)

# საქართველოს კანონი

## არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი

### კარი I
### არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა და ზოგადი პრინციპები

### თავი I
### არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა და მისი მოქმედების სფერო

#### მუხლი 1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კანონმდებლობა და მისი მიზანი

1. ეს კოდექსი ადგენს არასრულწლოვნის ადმინისტრაციული და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის, არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების და სისხლის სამართლის პროცესის თავისებურებებს, სასჯელისა და სხვა ზომების აღსრულების სპეციალურ წესებს.
2. ამ კოდექსის მიზანია მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დაცვა, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის უფლებათა დაცვა, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის მეორეული ვიქტიმიზაციისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.
3. ეს კოდექსი შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციას, ბავშვის უფლებათა კონვენციას, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

#### მუხლი 2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსის მოქმედების სფერო და გამოყენების წესი, კანონის ანალოგია

1. ეს კოდექსი გამოიყენება კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის, არასრულწლოვანი დაზარალებულისა და არასრულწლოვანი მოწმის არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობისას. ეს კოდექსი გამოიყენება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირის მიმართ ამ კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თუ ეს პირი ბრალდებულია. ამ კოდექსის 38-ე–48-ე მუხლებით დადგენილი ნორმები ვრცელდება აგრეთვე 18-დან 21 წლამდე ასაკის პირზე, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული.

2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება ამ კოდექსით დადგენილი ნორმები.

3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება საქართველოს სხვა ნორმატიული აქტების დებულებებიც, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ამ კოდექსს ან/და არასრულწლოვნისთვის შეღავათს ითვალისწინებს.

4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში გამოიყენება ის საპროცესო ნორმა, რომელიც მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის დროს.

5. ამ კოდექსში ხარვეზის არსებობისას დასაშვებია კანონის ანალოგიის გამოყენება, თუ ამით არ იზღუდება საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო ხელშეკრულებებით უზრუნველყოფილი ადამიანის უფლებები და თავისუფლებები და თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

6. ეს კოდექსი გამოიყენება აგრეთვე საქართველოს დროშით ან ამოსაცნობი ნიშნით საქართველოს ფარგლების გარეთ მყოფ საჰაერო ან საზღვაო ხომალდზე ჩადენილი დანაშაულის მიმართ, თუ საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

7. საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა და შეთანხმებათა შესაბამისად, ეს კოდექსი შეიძლება გამოყენებულ იქნეს სხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზედაც.

8. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში საპროცესო მოქმედების ჩატარების შესახებ სხვა სახელმწიფოს სასამართლოს ან საგამოძიებო ორგანოს შუამდგომლობის საქართველოს ტერიტორიაზე

აღსრულებისას დასაშვებია შუამდგომლობის წარმომდგენი სახელმწიფოს კანონმდებლობის გამოყენებაც, თუ ეს გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით და შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

## მუხლი 3. ძირითად ტერმინთა განმარტება ამ კოდექსის მიზნებისათვის

1. არასრულწლოვანი – 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი დაზარალებული, არასრულწლოვანი მოწმე, კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის არასრულწლოვნად ითვლება პირი, რომელსაც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 16 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი, ხოლო სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის – პირი, რომელსაც დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის შეუსრულდა 14 წელი, მაგრამ არ შესრულებია 18 წელი.

2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი – 18 წლამდე ასაკის პირი, რომლის მიმართაც:

ა) არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ მან ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაული;

ბ) შედგენილია ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომლის თანახმად, მან ჩაიდინა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 45-ე და 1002 მუხლებით, 116-ე მუხლის მე-9 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 123-ე მუხლის მე-4 ნაწილით, 150-ე მუხლის 22 ნაწილით, 1533 მუხლის მე-2 ნაწილით, 1536 მუხლის მე-2 ნაწილით, 1552, 157-ე და 166-ე მუხლებით, 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 173-ე მუხლით, 1741 მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით, 17415 მუხლის მე-4 ნაწილით, 1752, 1771 და 178-ე მუხლებით და 1811 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევა;

გ) გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი ან ამ ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისათვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება.

3. პასუხისმგებლობის მინიმალური ასაკი – მინიმალური ასაკი, რომელიც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის 14 წელია, ხოლო ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისათვის – 16 წელი.

4. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები – არასრულწლოვნის უსაფრთხოების, კეთილდღეობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, განვითარების, რესოციალიზაცია-რეაბილიტაციისა და სხვა ინტერესები, რომლებიც საერთაშორისო სტანდარტებისა და არასრულწლოვნის ინდივიდუალური მახასიათებლების შესაბამისად, აგრეთვე მისი აზრის გათვალისწინებით განისაზღვრება.

5. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი – არასრულწლოვნის მონაწილეობით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის ან სისხლის სამართლის საქმის წარმოება, მათ შორის, დანაშაულის გამოძიება, სისხლისსამართლებრივი დევნა, საქმის სასამართლოში განხილვა, დანიშნული სასჯელის ან სხვა ზომის აღსრულება და რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია.

6. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირი/პროცესის მონაწილე პირი – მოსამართლე, გამომძიებელი, პროკურორი, პოლიციელი, ადვოკატი, სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი, შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალი, რომელიც მონაწილეობს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში და რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში, ხოლო ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში – აგრეთვე ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირი.

7. განრიდება – სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების ფორმა, სისხლისსამართლებრივი დევნის ალტერნატიული მექანიზმი, რომლის მიზანია არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

8. აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება – ღონისძიება, რომელიც კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს საშუალებას აძლევს, გააცნობიეროს ჩადენილი ქმედებისათვის საკუთარი პასუხისმგებლობა, გამოასწოროს დანაშაულის შედეგები, აანაზღაუროს ზიანი ან/და შეურიგდეს

დაზარალებულს.

9. მედიაცია – კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის დიალოგის პროცესი, რომელსაც უძღვება მედიატორი და რომლის მიზანია არასრულწლოვნისა და დაზარალებულის შერიგება და მათ შორის კონფლიქტის გადაწყვეტა. მედიაციის პროცესში მონაწილეობს აგრეთვე არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენელი, ფსიქოლოგი, სოციალური მუშაკი ან/და სხვა პირი. სურვილის შემთხვევაში ამ პროცესში მონაწილეობის მიღება პროკურორსაც შეუძლია.

10. მედიატორი – მიუკერძოებელი და დამოუკიდებელი მესამე მხარე, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირი, რომელიც არასრულწლოვანსა და დაზარალებულს შორის შუამავლის როლს ასრულებს, წარმართავს და კოორდინაციას უწევს მედიაციის პროცესს.

11. კანონიერი წარმომადგენელი – არასრულწლოვნის ახლო ნათესავი, მხარდამჭერი, მეურვე, მზრუნველი, რომელიც არასრულწლოვნის ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობს და სარგებლობს არასრულწლოვნის უფლებებით, გარდა იმ უფლებებისა, რომლებითაც, თვით ამ უფლებების ბუნებიდან გამომდინარე, შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვანმა ისარგებლოს.

12. საპროცესო წარმომადგენელი – მოსამართლის, პროკურორის, გამომძიებლის მიერ დანიშნული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს თანამშრომელი ან სხვა სანდო პირი, რომელიც ამ კოდექსის 50-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში ახორციელებს წარმომადგენლობით უფლებამოსილებას არასრულწლოვნის სახელით და მისი საუკეთესო ინტერესების დასაცავად. საპროცესო წარმომადგენელი სარგებლობს იმავე უფლებებით, რომლებითაც კანონიერი წარმომადგენელი.

13. არასრულწლოვანი დაზარალებული – არასრულწლოვანი, რომელსაც მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი მიადგა უშუალოდ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის შედეგად.

14. არასრულწლოვანი მოწმე – არასრულწლოვანი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმესთან ან სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებული ინფორმაცია.

15. მეორეული ვიქტიმიზაცია – არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის /არასრულწლოვანი მოწმისთვის შესაძლო ზიანის მიყენება მისი არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობის შედეგად.

16. ხელახალი ვიქტიმიზაცია – არასრულწლოვანი დაზარალებულისთვის ზიანის მიყენება ახალი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან დანაშაულის შედეგად.

17. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება – არასრულწლოვანთა განსაკუთრებული საჭიროებების შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და პერსონალით უზრუნველყოფილი, განსაკუთრებულად დაცული დაწესებულება, რომელშიც ათავსებენ თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულ არასრულწლოვნებს და სადაც უზრუნველყოფილია მათი მუდმივი მეთვალყურეობა.

18. რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია – არასრულწლოვანში პასუხისმგებლობის გრძნობის, სხვა ადამიანთა უფლებების პატივისცემის გრძნობის ჩამოყალიბება და განვითარება, არასრულწლოვნის ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების ხელშეწყობა და მისი მომზადება საზოგადოებაში ადგილის დასამკვიდრებლად.

19. ახლო ნათესავი – არასრულწლოვნის მშობელი, მშვილებელი, შვილი, შვილობილი, პაპა, ბებია, და, ძმა, მეუღლე (მათ შორის, განქორწინებული).

## თავი II

## არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების ზოგადი პრინციპები

### მუხლი 4. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების პრიორიტეტულობა

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში, უპირველეს ყოვლისა, გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები.

## მუხლი 5. დისკრიმინაციის აკრძალვა

აკრძალულია არასრულწლოვნის, აგრეთვე მისი კანონიერი წარმომადგენლის პირდაპირი და ირიბი დისკრიმინაცია „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ" საქართველოს კანონის პირველი მუხლით გათვალისწინებული ნიშნით/ნიშნებით.

## მუხლი 6. არასრულწლოვნის ჰარმონიული განვითარების უფლება

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვანს აქვს ფიზიკური, გონებრივი, სულიერი, ზნეობრივი და სოციალური განვითარების უფლება.

## მუხლი 7. თანაზომიერება

კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის მიმართ გამოყენებული ზომა ჩადენილი ქმედების თანაზომიერი უნდა იყოს და მის პიროვნებას, ასაკს, საგანმანათლებლო, სოციალურ და სხვა საჭიროებებს უნდა შეესაბამებოდეს.

## მუხლი 8. ყველაზე მსუბუქი საშუალებისა და ალტერნატიული ზომის პრიორიტეტულობა

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უპირატესობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის, პატიმრობის კოდექსისა და ამ კოდექსის მიზნების მიღწევის ყველაზე მსუბუქ საშუალებას ენიჭება.

2. არასრულწლოვნის მიმართ, პირველ რიგში, განიხილება განრიდების ან აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიების გამოყენების შესაძლებლობა და ფასდება, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრებასა და სასჯელის გამოყენებაზე უკეთ უზრუნველყოფს თუ არა განრიდება ან ღონისძიება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

3. ნებისმიერი ზომა, რომელიც არასრულწლოვნის მიმართ საქმის სასამართლოში განხილვის ნაცვლად გამოიყენება, არასრულწლოვნის უფლებებისა და სამართლებრივი გარანტიების დაცვას უნდა ემსახურებოდეს.

## მუხლი 9. პატიმრობა, როგორც უკიდურესი ღონისძიება

1. დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვა, თუ კანონით განსაზღვრული მიზნის მიღწევა უფრო მსუბუქი ზომის გამოყენებით არის შესაძლებელი.

2. არასრულწლოვნის დაკავება და დაპატიმრება, მისთვის თავისუფლების შეზღუდვა და თავისუფლების აღკვეთა დასაშვებია მხოლოდ როგორც უკიდურესი ღონისძიება, რომელიც შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით და რეგულარული გადასინჯვის პირობით უნდა იქნეს გამოყენებული.

## მუხლი 10. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობა

1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს აქვს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში უშუალოდ ან/და კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით მონაწილეობის უფლება. მას აქვს აგრეთვე უფლება, მოუსმინონ და გაითვალისწინონ მისი მოსაზრებები ასაკისა და განვითარების დონის შესაბამისად.

2. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ადვოკატს უფლება აქვს, არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობით, არასრულწლოვნის ნებისგან დამოუკიდებლად შეიტანოს საჩივარი ან უარი თქვას მასზე, თუ ეს შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

3. თუ არასრულწლოვნისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის მოთხოვნები ერთმანეთს ეწინააღმდეგება, უპირატესობა იმ მოთხოვნას ენიჭება, რომელიც მეტად შეესაბამება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

4. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში არასრულწლოვნის მონაწილეობით

განხორციელებული ქმედება უნდა შეესაბამებოდეს მისი აღქმისა და გაგების უნარებს.

### მუხლი 11. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის გაჭიანურების დაუშვებლობა

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი ყოველგვარი გაუმართლებელი გაჭიანურების გარეშე უნდა მიმდინარეობდეს.

2. სასამართლო ვალდებულია კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე პრიორიტეტულად განიხილოს.

### მუხლი 12. არასრულწლოვნის ნასამართლობა

1. არასრულწლოვანს ნასამართლობა გაქარწყლებულად ეთვლება სასჯელის მოხდისთანავე, ხოლო პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული შეღავათი არ მოქმედებს, თუ არასრულწლოვანი კვლავ ჩაიდენს დანაშაულს. ასეთ შემთხვევაში არასრულწლოვანს ნასამართლობა გაუქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებისას – გამოსაცდელი ვადის გასვლისთანავე;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 6 თვის შემდეგ;

გ) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 1 წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 3 წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებისას – სასჯელის მოხდიდან 5 წლის შემდეგ.

### მუხლი 13. არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა

1. არასრულწლოვნის პირადი ცხოვრების დაცულობა უზრუნველყოფილია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე.

2. არასრულწლოვნის ნასამართლობისა და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის შესახებ ინფორმაცია საჯარო არ არის. დაუშვებელია არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების გამჟღავნება და გამოქვეყნება, გარდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

### მუხლი 14. არასრულწლოვნისადმი ინდივიდუალური მიდგომა

1. არასრულწლოვნის მიმართ გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინება მისი ინდივიდუალური მახასიათებლები: ასაკი, განვითარების დონე, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობები, განათლება, ჯანმრთელობის მდგომარეობა, ოჯახური ვითარება და სხვა გარემოებები, რომლებიც არასრულწლოვნის ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

2. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე პროცესის მწარმოებელი პირი არასრულწლოვანს განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეპყრას.

### მუხლი 15. არასრულწლოვნის საპროცესო უფლებები

1. სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული/გამართლებული და დაზარალებული სარგებლობენ უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვან მოწმეს ამ უფლებით შეუძლია ისარგებლოს, თუ იგი გადახდისუუნაროა.

2. სისხლის სამართლის საქმის წარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი სარგებლობს აგრეთვე შემდეგი უფლებებით:

ა) მისი განვითარების შესატყვისი ფორმით ინფორმაციის მიღების უფლებით;

ბ) თარჯიმნის მომსახურების უფასოდ მიღების უფლებით – მისი მიღების საჭიროების შემთხვევაში;

გ) კანონიერი წარმომადგენლის ან საპროცესო წარმომადგენლის თანხლების უფლებით;

დ) საკონსულო დახმარების მიღების უფლებით;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებებით.

## კარი II

## არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი და ამ პროცესის მონაწილე პირები

### თავი III
### არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალიზაცია

#### მუხლი 16. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზაცია

1. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესს აწარმოებენ მხოლოდ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პირები, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 171-ე მუხლის მე- 2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თუ არასრულწლოვნის მიმართ საპროცესო მოქმედება არასპეციალიზებულმა პირმა განახორციელა, მან ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ პირს, რომელმაც უნდა განაგრძოს პროცესი, ხოლო არასპეციალიზებული პირი დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს არასრულწლოვნის მართლმსაჯულების პროცესს.

2. ამ კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებულ პირს, გარდა იმავე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის შედგენაზე უფლებამოსილი პირისა, გავლილი უნდა ჰქონდეს სპეციალური სწავლება არასრულწლოვანთან ურთიერთობის მეთოდიკასა და მასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში.

3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი და ამ პროცესის მონაწილე პირების სპეციალიზაციის სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით, ხოლო მოსამართლის შემთხვევაში – საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

#### მუხლი 17. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა

1. რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლე, ხოლო თუ საქმე კოლეგიურად განიხილება – სასამართლო კოლეგია, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, კოლეგიის თავმჯდომარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა.

2. სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმეს განიხილავს სასამართლო პალატა, რომლის სულ მცირე ორი წევრი, მათ შორის, პალატის თავმჯდომარე, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული მოსამართლეა.

3. თუ დაზარალებული არასრულწლოვანია, რაიონული (საქალაქო) სასამართლოს კოლეგიაში საქმის კოლეგიურად განხილვისას, აგრეთვე სააპელაციო სასამართლოსა და საქართველოს უზენაეს სასამართლოში საქმის განხილვისას კოლეგიის/პალატის შემადგენლობაშია არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ერთი მოსამართლე.

### მუხლი 18. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული გამომძიებელი და პროკურორი

1. არასრულწლოვნის საქმეს იძიებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული გამომძიებელი.

2. არასრულწლოვნის საქმეზე საპროკურორო საქმიანობას ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პროკურორი.

### მუხლი 19. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პოლიციელი

1. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული პოლიციელი.

2. არასრულწლოვნის მიმართ „პოლიციის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ მოქმედებებს ახორციელებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი.

### მუხლი 20. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი

1. არასრულწლოვნის საქმეს აწარმოებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული ადვოკატი, რომელიც ვალდებულია კანონით გათვალისწინებულ სხვა საბუთებთან ერთად წარმოადგინოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში მისი სპეციალიზაციის დამადასტურებელი, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ დამტკიცებული ფორმის დოკუმენტი.

2. იურიდიული დახმარების სამსახურში ფუნქციონირებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებულ ადვოკატთა მუდმივმოქმედი ჯგუფი, რომელიც კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასრულწლოვანს პირველი მოთხოვნისთანავე, უმოკლეს ვადაში უზრუნველყოფს იურიდიული დახმარებით.

### მუხლი 21. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული სხვა პირები

არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილეობენ არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში სპეციალიზებული სოციალური მუშაკი, მედიატორი, პრობაციის ოფიცერი, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების პერსონალი და შესაბამისი პატიმრობის დაწესებულების პერსონალი.

## თავი IV

## არასრულწლოვანი მოწმე და არასრულწლოვანი დაზარალებული

### მუხლი 22. არასრულწლოვანი მოწმის უფლება-მოვალეობათა არასრულწლოვან დაზარალებულზე გავრცელება

არასრულწლოვან დაზარალებულს ენიჭება ამ კოდექსით არასრულწლოვანი მოწმისათვის მინიჭებული ყველა უფლება და ეკისრება მისთვის დაკისრებული ყველა მოვალეობა.

### მუხლი 23. არასრულწლოვანი მოწმის ინტერესების დასაცავად არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში მონაწილე პირები

1. მეორეული ვიქტიმიზაციისა და ხელახალი ვიქტიმიზაციის თავიდან ასაცილებლად საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი მოწმე მონაწილეობს, მისი კანონიერი წარმომადგენელი ესწრება. არასრულწლოვან მოწმეს უფლება აქვს, საპროცესო მოქმედების ჩატარებისას ჰყავდეს ადვოკატი. თუ არასრულწლოვანი მოწმე გადახდისუუნაროა, მას უფლება აქვს, ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც, რის თაობაზედაც გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო.

2. სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე არასრულწლოვანი მოწმის კანონიერ წარმომადგენელს

უფლება აქვს:

ა) იცოდეს ბრალდებულისათვის წაყენებული ბრალდების არსი;

ბ) იცოდეს არასრულწლოვან მოწმესა და ბრალდებულს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ;

გ) მოთხოვნის შემთხვევაში მიიღოს ინფორმაცია ბრალდებულის მიმართ გამოყენებული აღკვეთის ღონისძიების თაობაზე და ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ პატიმრობის დაწესებულების/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების დატოვების შესახებ, თუ ამით ბრალდებულს/მსჯავრდებულს რეალური საფრთხე არ ემუქრება.

3. საქმის სასამართლოში განხილვისას მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე – პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანი მოწმის კანონიერ წარმომადგენელს აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს.

### მუხლი 24. არასრულწლოვანი მოწმის დაცვის ღონისძიებები

არასრულწლოვანი მოწმის საუკეთესო ინტერესების დასაცავად მოსამართლე უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით, არასრულწლოვანი მოწმის, მისი კანონიერი წარმომადგენლის, ადვოკატის ან პროკურორის შუამდგომლობით გამოიტანოს განჩინება:

ა) არასრულწლოვანი მოწმის გამოსახულების ან/და ხმის შემცვლელი მოწყობილობების გამოყენებით, გაუმჭვირვალი ეკრანის მიღმა ან დისტანციურად დაკითხვის შესახებ;

ბ) სასამართლო სხდომამდე ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობით არასრულწლოვანი მოწმის დაკითხვის და დაკითხვის ვიდეოგადაღების შესახებ;

გ) სასამართლო სხდომის ნაწილობრივ ან სრულად დახურვის შესახებ;

დ) ბრალდებულის დროებით სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ, თუ არასრულწლოვანი მოწმე უარს ამბობს ბრალდებულის თანდასწრებით ჩვენების მიცემაზე ან თუ არსებული გარემოებები ცხადყოფს, რომ შეიძლება არასრულწლოვანმა მოწმემ ბრალდებულის თანდასწრებით არ თქვას სიმართლე ან მოხდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაცია. ამ შემთხვევაში სავალდებულოა საქმის სასამართლოში განხილვაში ბრალდებულის ადვოკატის მონაწილეობა.

### მუხლი 25. ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლება

განაჩენის გამოცხადების შემდეგ სასამართლო არასრულწლოვან დაზარალებულს და მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებს საქმის სასამართლოში განხილვის შედეგებს და განუმარტავს მათ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ზიანის ანაზღაურებისა და კომპენსაციის მოთხოვნის უფლებას.

# კარი III
# არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ზოგადი წესები

## თავი V
## არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ზოგადი წესები

### მუხლი 26. არასრულწლოვანების დადგენა

1. თუ პირის სრულწლოვანების საკითხთან დაკავშირებით ბუნდოვანება არსებობს, გამომძიებელს, პროკურორს ან მოსამართლეს მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით დაუყოვნებლივ გამოაქვს დადგენილება/განჩინება არასრულწლოვანების დადგენის შესახებ.

2. პირის ასაკი დგინდება ნებისმიერი ხელმისაწვდომი მტკიცებულების, მათ შორის, ოფიციალური დოკუმენტის, სამედიცინო ან სოციალური შემოწმების შედეგად მომზადებული დასკვნის, მშობლისაგან ან სხვა პირისაგან მიღებული ცნობის ან სხვა ინფორმაციის საფუძველზე.

3. თუ გაირკვა, რომ პირი არასრულწლოვანია, მაგრამ მისი სავარაუდო ან ზუსტი ასაკი ვერ დადგინდა, ივარაუდება, რომ პირს არ შესრულებია 14 წელი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მიზნებისათვის, ხოლო 16 წელი – ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის მიზნებისათვის, ვიდრე საპირისპირო არ დამტკიცდება.

4. თუ არასრულწლოვნის სავარაუდო ასაკი დადგინდა, სისხლისსამართლებრივი /ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის საკითხის გადაწყვეტისას გაითვალისწინება მისი სავარაუდო ასაკის მინიმალური ზღვარი.

## მუხლი 27. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში

1. ამ კოდექსის მე-14 მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული ინდივიდუალური მახასიათებლები გაითვალისწინება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე.

2. ამ მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ორგანო ინდივიდუალური შეფასების პროცესში შეისწავლის არასრულწლოვნის განვითარების დონეს, ცხოვრების, აღზრდისა და განვითარების პირობებს, განათლებას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ოჯახურ ვითარებას და სხვა გარემოებებს, რომლებიც მისი ხასიათისა და ქცევის თავისებურებების შეფასების და საჭიროებების განსაზღვრის შესაძლებლობას იძლევა.

3. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში აისახება არასრულწლოვნის განსაკუთრებული საჭიროებები, დანაშაულის/ადმინისტრაციულისამართალდარღვევისჩადენისრისკიდა,შესაბამისად,არასრულწლოვნის სათანადო განვითარებისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობისათვის რეკომენდებული ღონისძიებები.

4. ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადება და გათვალისწინება სავალდებულოა სისხლის სამართლის პროცესის შემდეგ სტადიებზე:

ა) განრიდების ღონისძიების განსაზღვრისას;

ბ) სასჯელის დანიშვნისას;

გ) საპატიმრო სასჯელის ინდივიდუალური დაგეგმვისას;

დ) არასაპატიმრო სასჯელის აღსრულებისას;

ე) პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვისას.

5. პროკურორის დადგენილებით ინდივიდუალური შეფასების ანგარიში შესაძლებელია მომზადდეს და გათვალისწინებულ იქნეს სხვა დისკრეციული უფლებამოსილების გამოყენების შესახებ გადაწყვეტილების მიღების სტადიაზედაც, თუ სისხლის სამართლის საქმის მიმდინარეობა და ვადები ამის შესაძლებლობას იძლევა.

6. ამ მუხლის მე-4 ნაწილის „ა“, „ბ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სტადიებზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს ამზადებს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო (შემდგომ – პრობაციის ეროვნული სააგენტო), ხოლო ამ მუხლის მე-4 ნაწილის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სტადიებზე – პენიტენციური დეპარტამენტი.

7. ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებულ სტადიებზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადების მეთოდოლოგია, წესი და სტანდარტი განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრების ერთობლივი ბრძანებით.

8. ინდივიდუალური შეფასების ანგარიში, საჭიროებისამებრ, გაითვალისწინება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე. სისხლის სამართლის პროცესის ყოველ მომდევნო სტადიაზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის მომზადებისას მხედველობაში მიიღება წინა ინდივიდუალური შეფასების ანგარიშში არსებული ინფორმაცია.

9. ამ მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სტადიაზე ინდივიდუალურ შეფასებას

პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფლებამოსილი პირი ახორციელებს შესაბამისი მოსამართლის მიმართვის საფუძველზე.

10. ამ მუხლის მე-4 ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სტადიაზე ინდივიდუალური შეფასების განხორციელებისას პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი უფლებამოსილია დაუბრკოლებლად შეხვდეს არასრულწლოვან ბრალდებულს და ინდივიდუალური შეფასებისათვის საჭირო ინფორმაცია მიიღოს ყველა ფიზიკური პირისაგან, სახელმწიფო და არასახელმწიფო დაწესებულებისაგან.

## მუხლი 28. არასრულწლოვნის დაცვა

1. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით დამოუკიდებლად შეარჩიოს და მოიწვიოს ადვოკატი.

2. თუ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს/გამართლებულს ადვოკატი არ ჰყავს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირი დაუყოვნებლივ მიმართავს იურიდიული დახმარების სამსახურს მისთვის ადვოკატის დაუყოვნებლივ დანიშვნის მოთხოვნით.

## მუხლი 29. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვაზე/საპროცესო მოქმედებაზე დასწრებისუფლების მქონე პირები

1. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმე დახურულ სასამართლო სხდომაზე განიხილება.

2. არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებულ საპროცესო მოქმედებას ესწრება მისი კანონიერი წარმომადგენელი, საჭიროების შემთხვევაში – ფსიქოლოგი, ხოლო ამ კოდექსით დადგენილ შემთხვევებში – აგრეთვე არასრულწლოვნის ადვოკატი, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 171-ე მუხლის მე- 2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვისას მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე – პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს.

## მუხლი 30. თარჯიმნისა და სხვა მომსახურება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესში

1. არასრულწლოვანი უფასოდ სარგებლობს თარჯიმნის მომსახურებით, თუ მან არ იცის ან სათანადოდ არ იცის სამართალწარმოების ენა ანდა მას არ შეუძლია ილაპარაკოს ამ ენაზე, გარდა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 120-ე მუხლის მე-8 ნაწილით, 121-ე მუხლის მე-2 ნაწილითა და 171-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაში თარჯიმანი ნებისმიერ საპროცესო მოქმედებას ესწრება.

2. არასრულწლოვანს უფლება აქვს, სასამართლო სხდომამდე ან საპროცესო მოქმედებამდე შეხვდეს თარჯიმანს, რათა დადგინდეს, ესმით თუ არა მათ ერთმანეთის.

3. არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის მონაწილე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე არასრულწლოვანი უფასოდ სარგებლობს აგრეთვე ყველა იმ მომსახურებით, რომლებიც მას საქმის გასაცნობად და სამართალწარმოებაში მონაწილეობისათვის ესაჭიროება.

## მუხლი 31. საკონსულო დახმარების მიღების უფლება

1. კანონთან კონფლიქტში მყოფ არასრულწლოვანს, რომელიც უცხო ქვეყნის მოქალაქეა, უფლება აქვს, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესის ნებისმიერ სტადიაზე ისარგებლოს თავისი ქვეყნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ან საკონსულო დაწესებულების წარმომადგენლის დახმარებით.

2. თუ დაკავებული არასრულწლოვანი ან დაპატიმრებული არასრულწლოვანი უცხო ქვეყნის მოქალაქეა, მისი დაკავების ან დაპატიმრების შესახებ უმოკლეს ვადაში და ნებისმიერ შემთხვევაში არასრულწლოვნის დაკითხვამდე უნდა ეცნობოს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს. არასრულწლოვნის დაკავების ან დაპატიმრების თაობაზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დაუყოვნებლივ ატყობინებს

შესაბამისი ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას ან საკონსულო დაწესებულებას.

3. თუ არასრულწლოვანი იმ ქვეყნის მოქალაქეა, რომელსაც საქართველოში დიპლომატიური წარმომადგენლობა ან საკონსულო დაწესებულება არ აქვს, ან თუ იგი ლტოლვილის სტატუსის მქონე ან მოქალაქეობის არმქონე პირია, მას საშუალება უნდა მიეცეს, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით დაუკავშირდეს იმ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობას, რომელიც მის ინტერესებს იცავს, ან ნებისმიერ ადგილობრივ ან საერთაშორისო ორგანიზაციას, რომლის ამოცანაც არის ასეთი არასრულწლოვნის დაცვა.

### მუხლი 32. ერთობლივი საქმიდან არასრულწლოვნის საქმის ცალკე გამოყოფა

1. თუ არასრულწლოვანს ბრალი ედება იმ დანაშაულის ჩადენაში, რომელშიც სრულწლოვანიც იმხილება, არასრულწლოვნის საქმე შეძლებისდაგვარად ცალკე გამოიყოფა და ის სრულწლოვნისაგან განცალკევებით გასამართლდება, თუ ამით საქმის გარემოებების ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ გამოკვლევას არსებითი დაბრკოლება არ შეექმნება.

2. არასრულწლოვანი სარგებლობს ამ კოდექსით დადგენილი გარანტიებით.

### მუხლი 33. არასრულწლოვანი ბრალდებულის გამოძახება

1. არასრულწლოვანი ბრალდებული გამოძახებული უნდა იქნეს მისი კანონიერი წარმომადგენლის ან იმ დაწესებულების ხელმძღვანელის მეშვეობით, რომელშიც მოთავსებულია არასრულწლოვანი, ხოლო არასრულწლოვანი მოწმე/არასრულწლოვანი დაზარალებული – მისი კანონიერი წარმომადგენლის მეშვეობით.

2. არასრულწლოვანი ბრალდებულის ადვოკატს ან კანონიერ წარმომადგენელს გადაეცემა ან ეგზავნება არასრულწლოვანი ბრალდებულის უწყების ასლი.

### მუხლი 34. არასრულწლოვნის წინააღმდეგ ძალის, სპეციალური საშუალებისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შეზღუდვა

1. აკრძალულია ძალისა და სპეციალური საშუალების გამოყენება არასრულწლოვნის დაკავებისას, სასამართლოში წარდგენისას, მის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ან სასჯელის აღსრულებისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არასრულწლოვნის დასაკავებლად, მის მიერ თვითდაზიანების ან/და სხვებისთვის ზიანის მიყენების თავიდან ასაცილებლად ყველა სხვა საშუალება გამოყენებულია, მაგრამ უშედეგოდ, და კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზანი სხვა, ნაკლები ზიანის გამომწვევი საშუალებით ვერ მიიღწევა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში ძალისა და სპეციალური საშუალების სახით დასაშვებია მხოლოდ ფიზიკური ძალის და ხელბორკილისა და შებორკვის სხვა საშუალების გამოყენება, ხოლო ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღსაკვეთად, თავდასხმის მოსაგერიებლად და შეიარაღებული პირის დასაკავებლად შეიძლება გამოყენებულ იქნეს აგრეთვე რეზინის ხელკეტი, შესაბოჭი ბადე, ცრემლსადენი გაზი ან/და წყალსატყორცნი.

3. არასრულწლოვნის წინააღმდეგ ძალა და სპეციალური საშუალება:

ა) გამოყენებული უნდა იქნეს შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით;

ბ) გამოყენებული უნდა იქნეს კანონით განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და, შესაბამისად, გარემოებების თანაზომიერი უნდა იყოს;

გ) გამოყენებული არ უნდა იქნეს დამამცირებელი ან ღირსების შემლახავი ფორმით.

4. აკრძალულია არასრულწლოვნის წინააღმდეგ ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი შეიარაღებულია და პირდაპირ, უშუალო და იმწუთიერ საფრთხეს უქმნის მესამე პირის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას და სხვა საშუალებებით ამ საფრთხის თავიდან აცილება შეუძლებელია. პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებიდან არასრულწლოვნის გაქცევისას ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება დაუშვებელია.

5. პირი, რომელმაც ამ მუხლის საფუძველზე ძალა ან/და სპეციალური საშუალება გამოიყენა, ამის შესახებ

დაუყოვნებლივ აცნობებს თავის უშუალო უფროსს და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი დაწესებულების ხელმძღვანელს. ამ პირის უშუალო უფროსი დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს არასრულწლოვნის სამედიცინო შემოწმებას.

6. პირი, რომელმაც ძალა ან/და სპეციალური საშუალება გამოიყენა, ამის შესახებ დაუყოვნებლივ ადგენს ოქმს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ოქმში აღინიშნება გამოყენებული ძალა ან/და სპეციალური საშუალება, მისი გამოყენების დასაბუთება და სხვა მონაცემები.

7. ძალისა და სპეციალური საშუალების გამოყენების თითოეული შემთხვევა აღირიცხება შესაბამისი დაწესებულების ოფიციალურ სააღრიცხვო ჟურნალში და ხელმისაწვდომია არასრულწლოვნისათვის, მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატისათვის, აგრეთვე სასამართლოსათვის და იმ ორგანოსათვის, რომელიც ახორციელებს მონიტორინგს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. სპეციალური საშუალების გამოყენების უფლება აქვს მხოლოდ სპეციალურად უფლებამოსილ პირს, რომელსაც გავლილი აქვს შესაბამისი მომზადება.

## კარი IV

## არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება და არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების პროცესი საქმის სასამართლოში განხილვამდე

## თავი VI

## არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება

### მუხლი 35. არასრულწლოვნის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლება ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო

პირი თავისუფლდება არასრულწლოვანების პერიოდში ჩადენილი დანაშაულისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა:

ა) 1 წელი იმ დანაშაულის ჩადენიდან, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 2 წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) 3 წელი სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

გ) 5 წელი მძიმე დანაშაულის ჩადენიდან;

დ) 12 წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

### მუხლი 36. არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლება გამამტყუნებელი განაჩენის ხანდაზმულობის გამო

არასრულწლოვანი მსჯავრდებული თავისუფლდება სასჯელის მოხდისაგან, თუ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი არ აღსრულებულა:

ა) 1 წელში იმ დანაშაულისათვის მსჯავრდებისას, რომლისთვისაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული მაქსიმალური სასჯელი არ აღემატება 2 წლით თავისუფლების აღკვეთას;

ბ) 3 წელში სხვა, ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებისას;

გ) 5 წელში მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებისას;

დ) 7 წელში განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მსჯავრდებისას.

## მუხლი 37. არასრულწლოვნის შეზღუდული შერაცხადობა

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შეიძლება გათავისუფლდეს არასრულწლოვანი, რომელიც დანაშაულის ჩადენის დროს შეზღუდული შერაცხადობის მდგომარეობაში იმყოფებოდა.

## მუხლი 38. განრიდება

1. თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, პირველ რიგში, განიხილება განრიდების შესაძლებლობა და ფასდება, უზრუნველყოფს თუ არა განრიდება არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

2. პროკურორი უფლებამოსილია ამ თავით დადგენილი წესით მიიღოს დასაბუთებული გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტისა და განრიდების შესახებ.

3. პროკურორის მიერ განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სასამართლოს მიერ საკუთარი ინიციატივით განრიდების გამოსაყენებლად საქმის განხილვისას ან განრიდების გამოყენების შესახებ მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის განხილვისას გაითვალისწინება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი და სიმძიმე, არასრულწლოვნის ასაკი, ბრალეულობის ხარისხი, მოსალოდნელი სასჯელი, არასრულწლოვნის მიერ მიყენებული ზიანი, სისხლისსამართლებრივი დევნის პრევენციული გავლენა, დანაშაულისშემდგომი ქცევა, არასრულწლოვნის მიერ წარსულში ჩადენილი დანაშაული და ამ კოდექსის 27-ე მუხლის შესაბამისად მომზადებული ინდივიდუალური შეფასების ანგარიში.

## მუხლი 39. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიმღები ორგანო

1. წინასასამართლო სხდომამდე განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პროკურორი.

2.განრიდებაშეიძლებაგამოყენებულიქნესაგრეთვესაქმისსასამართლოშიწარმართვისშემდეგ.სასამართლო უფლებამოსილია განრიდების გამოსაყენებლად საკუთარი ინიციატივით ან მხარის დასაბუთებული შუამდგომლობის საფუძველზე საქმე დაუბრუნოს პროკურორს, რომელიც არასრულწლოვან ბრალდებულს განრიდებას შესთავაზებს და, მისი თანხმობის შემთხვევაში, მიიღებს გადაწყვეტილებას განრიდების შესახებ. ამ გადაწყვეტილების მიღებამდე სასამართლო მეორე მხარის პოზიციასაც ისმენს.

3. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანთან გააფორმოს ხელშეკრულება განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ. არასრულწლოვნის მიმართ განრიდებისა და განრიდება-მედიაციის პროგრამის გამოყენების წესი, აგრეთვე მხარეებს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების პირობები განისაზღვრება საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით. ამ ხელშეკრულების მოქმედების მაქსიმალური ვადა 1 წელია.

4. არასრულწლოვნისთვის განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში დგება გასაუბრების ოქმი, რომელშიც აღინიშნება განრიდებაზე უარის თქმის მიზეზი. ამ ოქმს ხელს აწერენ პროკურორი და არასრულწლოვანი ან/და მისი კანონიერი წარმომადგენელი.

5. პროკურორის მიერ განრიდებაზე უარის თქმის შემთხვევაში არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს უფლება აქვს, განრიდების მოთხოვნით ზემდგომ პროკურორს მიმართოს.

## მუხლი 40. განრიდების გამოყენების წინაპირობები

განრიდების გამოყენება შესაძლებელია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

ა) არსებობს საკმარისი მტკიცებულებები დასაბუთებული ვარაუდისთვის, რომ არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა;

ბ) არასრულწლოვანი ნასამართლევი არ არის;

გ) არასრულწლოვანი განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართული არ ყოფილა;

დ) არასრულწლოვანი დანაშაულს აღიარებს;

ე) პროკურორის/სასამართლოს შინაგანი რწმენით, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის გაგრძელების საჯარო ინტერესი არ არსებობს;

ვ) არასრულწლოვანი და მისი კანონიერი წარმომადგენელი განრიდების გამოყენებაზე წერილობით ინფორმირებულ თანხმობას გამოხატავენ.

## მუხლი 41. არასრულწლოვნის გარანტიები განრიდების დროს

1. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს და ადვოკატს უნდა მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია განრიდების არსის, გამოყენების წესის, ხანგრძლივობის, შესაძლო პირობების და განრიდების ღონისძიებების შეუსრულებლობის შედეგების შესახებ.

2. არასრულწლოვანს ზეპირად და წერილობით განემარტება, რომ განრიდებაზე თანხმობა ნებაყოფლობითია და მას უფლება აქვს, ნებისმიერ სტადიაზე უარი თქვას განრიდებაზე.

3. განრიდების პროცესში არასრულწლოვნის მიერ დანაშაულის აღიარება და მის შესახებ მოპოვებული ინფორმაცია არ შეიძლება სასამართლოში მის წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული.

## მუხლი 42. განრიდების ღონისძიებები

1. განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი ღონისძიებები:

ა) არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება;

ბ) აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება, მათ შორის, განრიდება-მედიაციის პროგრამაში ჩართვა;

გ) მიყენებული ზიანის სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურება;

დ) უკანონოდ მოპოვებული ქონების სახელმწიფოსთვის გადაცემა;

ე) დანაშაულის იარაღის ან/და სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებული ობიექტის სახელმწიფოსთვის გადაცემა;

ვ) არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება;

ზ) არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება.

2. არასრულწლოვნის მიმართ ერთდროულად შეიძლება გამოყენებულ იქნეს განრიდების რამდენიმე ღონისძიება. განრიდების ღონისძიებები განისაზღვრება ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განრიდების ღონისძიება გონივრული და ჩადენილი დანაშაულის თანაზომიერი უნდა იყოს. განრიდების პროცესში დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც იწვევს მისი ღირსებისა და პატივის შელახვას, ნორმალური სასწავლო პროცესისაგან და ძირითადი სამუშაოსაგან მის მოწყვეტას, ზიანს აყენებს მის ფიზიკურ ან/და ფსიქიკურ ჯანმრთელობას.

4. დაუშვებელია ჩადენილი ქმედებისათვის კანონით გათვალისწინებულ მინიმალურ სანქციაზე მკაცრი განრიდების ღონისძიების გამოყენება.

## მუხლი 43. არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება

არასრულწლოვნის წერილობითი გაფრთხილება ნიშნავს მისთვის იმის განმარტებას, თუ რა ზიანი გამოიწვია მისმა ქმედებამ და რა შედეგი მოჰყვება დანაშაულის განმეორებით ჩადენას.

## მუხლი 44. აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება

აღდგენითი მართლმსაჯულების ღონისძიება შეიძლება მოიცავდეს არასრულწლოვნის განრიდება-

მედიაციის პროგრამაში ჩართვას, მის მიერ საზოგადოებისათვის სასარგებლო სამუშაოს უსასყიდლოდ შესრულებას ან/და სხვა პროგრამას, რომელიც ხელს უწყობს არასრულწლოვნის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგების გამოსწორებას.

## მუხლი 45. არასრულწლოვნისთვის მოვალეობის დაკისრება

1. არასრულწლოვანს შეიძლება აეკრძალოს:

ა) განსაზღვრული ადგილის ან/და პირის/პირების მონახულება;

ბ) ბინადრობის ადგილის შეცვლა;

გ) დროის განსაზღვრულ მონაკვეთში შინიდან გასვლა;

დ) ნებართვის გარეშე ქვეყნის ან შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის დატოვება;

ე) სხვა ისეთი ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას.

2. არასრულწლოვანს შეიძლება დაევალოს:

ა) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის დაწყება ან განახლება;

ბ) სპეციალიზებული სახელმწიფო ორგანოს დახმარებით მუშაობის დაწყება;

გ) საგანმანათლებლო, აღმზრდელობითი ან/და სამკურნალო პროგრამის გავლა;

დ) თავისუფალი დროის განსაზღვრული ფორმით გამოყენება;

ე) სხვა ისეთი მოვალეობა, რომელიც ხელს შეუწყობს მის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციას და ახალი დანაშაულის თავიდან აცილებას.

3. ამ მუხლით გათვალისწინებული ღონისძიებების კონტროლს უზრუნველყოფს პრობაციის ეროვნული სააგენტო.

## მუხლი 46. არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება

1. არასრულწლოვნის მინდობით აღსაზრდელად განთავსება ნიშნავს განსაზღვრული დროით არასრულწლოვნის მიმღები ოჯახისთვის გადაცემას სახლიდან მოშორებით და მშობლებისაგან განცალკევებით, თუ არასრულწლოვნის სახლში და მშობლების გარემოცვაში დატოვება მის მიერ ახალი დანაშაულის ჩადენის რისკს შეიცავს.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული განრიდების ღონისძიების განხორციელების პროცესში შესაძლებელია არასრულწლოვნის მშობლების ჩართვაც, თუ ეს არ ეწინააღმდეგება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს.

## მუხლი 47. განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების შესრულება

თუ არასრულწლოვანი შეასრულებს განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულებით მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს, პროკურორი იღებს გადაწყვეტილებას სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის თაობაზე.

## მუხლი 48. განრიდების ან განრიდებისა და მედიაციის შესახებ ხელშეკრულების შეუსრულებლობა

1. განრიდების ღონისძიების შესრულებას ზედამხედველობს ამ კოდექსის 45-ე მუხლის მე-3 ნაწილში მითითებული დაწესებულების წარმომადგენელი. თუ არასრულწლოვანი განრიდების ღონისძიებას განზრახ არ ასრულებს, ამის შესახებ სოციალური მუშაკი აცნობებს პროკურორს, რომელიც, აღნიშნულისა და სხვა გარემოებების გათვალისწინებით, არასრულწლოვნის, მისი კანონიერი წარმომადგენლის და

სოციალური მუშაკის მოსაზრებების მოსმენის შემდეგ აუქმებს ან ძალაში ტოვებს განრიდების შესახებ გადაწყვეტილებას, ცვლის განრიდების ღონისძიებას ან/და აგრძელებს განრიდების ხელშეკრულების ვადას.

2. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში პროკურორი უფლებამოსილია დასაბუთებული დადგენილებით გააუქმოს გადაწყვეტილება სისხლისსამართლებრივი დევნის არდაწყების ან დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის შესახებ და ახალი დასაბუთებული დადგენილებით დაიწყოს ან განაახლოს სისხლისსამართლებრივი დევნა.

3. განრიდების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმების შემთხვევაში არასრულწლოვნის მიერ განრიდების ღონისძიების შესასრულებლად განხორციელებული მოქმედებები სასჯელის დანიშვნისას გაითვალისწინება.

## თავი VII

## არასრულწლოვნის დაკავება, გამოძიება და სისხლისსამართლებრივი დევნა

### მუხლი 49. შეტყობინება არასრულწლოვნის დაკავებისთანავე

1. არასრულწლოვნის დამკავებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი მისი დაკავებისთანავე იღებს ყველა საჭირო ზომას, რათა არასრულწლოვნის მშობელს, ხოლო თუ ეს შეუძლებელია – სხვა ახლო ნათესავს ან/და არასრულწლოვნის მიერ მითითებულ სხვა პირს დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს.

2. არასრულწლოვნის დამკავებელი პირი, გამომძიებელი, პროკურორი არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანისთანავე მის კანონიერ წარმომადგენელს აცნობებს არასრულწლოვნის დაკავების შესახებ და მის ადგილსამყოფელს და განუმარტავს არასრულწლოვნის დაკავების მიზეზს და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 38-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ უფლებებს.

3. თუ არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელთან დაკავშირება ვერ ხერხდება, პოლიციის დაწესებულების ან სხვა სამართალდამცავი ორგანოს შესაბამისი თანამშრომელი ამის შესახებ დაუყოვნებლივ ატყობინებს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

### მუხლი 50. პროცესში საპროცესო წარმომადგენლის მონაწილეობა

1. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო გამომძიებლის, პროკურორის, მოსამართლის მიმართვის საფუძველზე საპროცესო წარმომადგენლად ასახელებს თავისი თანამშრომლის კანდიდატურას. გამომძიებელი, პროკურორი, მოსამართლე საპროცესო წარმომადგენლად ნიშნავს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ წარმოდგენილ კანდიდატს ან სხვა სანდო პირს, თუ:

ა) პროცესში კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობა არასრულწლოვნის სამართალდამცავ ორგანოში მიყვანიდან 1 საათის განმავლობაში შეუძლებელია;

ბ) არასრულწლოვანი არ ცხოვრობს კანონიერ წარმომადგენელთან ან/და უარს აცხადებს მასთან დაკავშირებაზე ან პროცესში მის მონაწილეობაზე;

გ) კანონიერი წარმომადგენელი არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებს;

დ) არასრულწლოვანი კანონიერი წარმომადგენლის მიერ ჩადენილი დანაშაულის მსხვერპლია ან თვითმხილველია;

ე) კანონიერი წარმომადგენელი იმავე დანაშაულის ჩადენაშია ბრალდებული;

ვ) კანონიერი წარმომადგენელი ხელმიუწვდომელია.

2. დაუშვებელია ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით სისხლის სამართალწარმოების პროცესში არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენლად იმ პირის ჩართვა, რომელიც სავარაუდო მოძალადეა ან რომლის მიკერძოებულობასთან დაკავშირებით არსებობს ეჭვი ამ პირსა და მოძალადე ოჯახის წევრს შორის არსებული ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე ან ინტერესთა კონფლიქტის სხვა შემთხვევაში, აგრეთვე მისთვის/მათთვის არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების (გამოკითხვის ოქმის, ახსნა-

განმარტების) გაცნობა და გადაცემა.

3. სხვა სანდო პირი საპროცესო წარმომადგენლად ინიშნება არასრულწლოვნის მოსაზრების გათვალისწინებით.

4. საპროცესო წარმომადგენელი უფლებამოსილია:

ა) პროცესის მწარმოებელი ორგანოს თანამდებობის პირთან გამოთქვას მოსაზრება არასრულწლოვნის საჭიროებების შესახებ;

ბ) ურთიერთობა ჰქონდეს არასრულწლოვნის ახლო ნათესავთან, ადვოკატთან და მეგობართან;

გ) არასრულწლოვანს აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის, ფსიქოლოგიური ან სოციალური მომსახურებისა და მისი მიღების ხელმისაწვდომი საშუალებების შესახებ;

დ) არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მისი საპროცესო სტატუსის, მის მიერ ჩვენების მიცემის მნიშვნელობის, ხანგრძლივობისა და ფორმის, აგრეთვე დაკითხვის ჩატარების წესის შესახებ;

ე) არასრულწლოვანს აცნობოს სასამართლო მოსმენის დრო და ადგილი, აგრეთვე სხვა შესაბამისი მოქმედებების ჩატარების და დაცვის ხელმისაწვდომი ღონისძიებების შესახებ;

ვ) არასრულწლოვანს მიაწოდოს ინფორმაცია მის მიმართ გამოტანილი საპროცესო გადაწყვეტილების გასაჩივრების წესის შესახებ;

ზ) არასრულწლოვნის დასახმარებლად განახორციელოს სხვა მოქმედებები.

## მუხლი 51. დაკავებული არასრულწლოვნის დროებითი მოთავსების იზოლატორში ყოფნის პირობები

დაკავებული არასრულწლოვანი დროებითი მოთავსების იზოლატორში სრულწლოვანთაგან განცალკევებით თავსდება. მდედრობითი სქესისა და მამრობითი სქესის არასრულწლოვნები ერთმანეთისგან განცალკევებით თავსდებიან.

## მუხლი 52. არასრულწლოვნის გამოკითხვა და დაკითხვა

1. თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის განსაზღვრული, არასრულწლოვნის გამოკითხვისას და დაკითხვისას მოქმედებს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესი, მაგრამ არ გაითვალისწინება იმავე კოდექსის 332-ე მუხლის დებულებები.

2. არასრულწლოვანი შეიძლება დაიკითხოს, თუ მას შეუძლია სიტყვიერად ან სხვა ფორმით გადმოსცეს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ინფორმაცია.

3. არასრულწლოვნის დაკითხვა მისი კანონიერი წარმომადგენლისა და ადვოკატის თანდასწრებით ტარდება. საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც. თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმეა ან მსხვერპლია, მისი დაკითხვისას შეიძლება განხორციელდეს აუდიო- ან ვიდეოჩაწერა. სასამართლო სხდომაზე შესაძლებელია არასრულწლოვნის მიერ მიცემული ჩვენების აუდიო- ან ვიდეოჩანაწერის მოსმენა (დემონსტრირება).

4. 14 წლამდე ასაკის პირის დაკითხვა შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობითა და თანდასწრებით. კანონიერ წარმომადგენელს უფლება აქვს, გამოთქვას თავისი მოსაზრება და სასამართლოს ნებართვით დააზუსტოს 14 წლამდე ასაკის პირისათვის დასმული შეკითხვა. 14 წლამდე ასაკის მოწმეს განუმარტავენ მის მოვალეობას, თქვას მხოლოდ სიმართლე, მაგრამ არ აფრთხილებენ ჩვენების მიცემაზე უარის თქმისათვის, ცრუ ჩვენების და არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

5. არასრულწლოვნის დაკითხვისას შესვენებისათვის შესაფერისი ინტერვალის დასადგენად მოსამართლე ითვალისწინებს არასრულწლოვნის ასაკს, განვითარების დონეს და სხვა გარემოებებს. თუ არასრულწლოვანი სექსუალური ექსპლუატაციისა და სექსუალური ძალადობის მოწმეა ან მსხვერპლია, დაკითხვათა რაოდენობა შეძლებისდაგვარად შეზღუდული უნდა იყოს და სისხლის სამართლის პროცესის მიზნების მიღწევის აუცილებლობით უნდა იყოს განპირობებული.

6. არასრულწლოვანი არ შეიძლება დაიკითხოს 22:00 საათიდან 08:00 საათამდე.

7. არასრულწლოვანი უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაფერისი საკვებითა და სასმელი წყლით არანაკლებ ყოველ 4 საათში ერთხელ, 08:00 საათიდან 22:00 საათამდე, აგრეთვე საპირფარეშოთი შეუზღუდავად სარგებლობის უფლებით.

8. საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი დაზარალებული მონაწილეობს, მისი კანონიერი წარმომადგენელი და ადვოკატი ესწრებიან. საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც.

9. საპროცესო მოქმედებას, რომელშიც არასრულწლოვანი მოწმე მონაწილეობს, მისი კანონიერი წარმომადგენელი ესწრება. არასრულწლოვან მოწმეს უფლება აქვს, საპროცესო მოქმედების ჩატარებისას ჰყავდეს ადვოკატი. თუ არასრულწლოვანი მოწმე გადახდისუუნაროა, მას უფლება აქვს, ისარგებლოს უფასო იურიდიული დახმარების უფლებით. საჭიროებისამებრ, უზრუნველყოფილია ფსიქოლოგის მონაწილეობაც.

10. საქმის სასამართლოში განხილვისას მოსამართლე, ხოლო გამოძიების სტადიაზე – პროკურორი უფლებამოსილია არასრულწლოვანი მოწმის/არასრულწლოვანი დაზარალებულის კანონიერ წარმომადგენელს განჩინებით/დადგენილებით აუკრძალოს საპროცესო მოქმედებაზე დასწრება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესები მოითხოვს.

11. ოჯახურ დანაშაულთან დაკავშირებით დაუშვებელია არასრულწლოვანი მოწმისა და არასრულწლოვანი დაზარალებულის დაკითხვა, აგრეთვე დამცავი ან შემაკავებელი ორდერის გამოცემისას ოჯახში ძალადობის არასრულწლოვანი მსხვერპლის გამოკითხვა (მისგან ახსნა-განმარტების მიღება) მოძალადე მშობლის/მშობლების თანდასწრებით.

## მუხლი 53. ცალკეული საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების თავისებურებანი

1. ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც არასრულწლოვნის სხეულის შიგნით შემოწმებას ან მისი სხეულიდან ნივთის ამოღებას გულისხმობს, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვნის ჯანმრთელობას ან სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით დადგენილი წესი.

2. არასრულწლოვნის სხეულიდან ნივთის ამოღება უნდა განხორციელდეს სამედიცინო საქმიანობის ლიცენზიის/ნებართვის მქონე დაწესებულებაში სერტიფიცირებული, იმავე სქესის ექიმის ან ექთნის მონაწილეობით და არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში – აგრეთვე ადვოკატის თანდასწრებით.

3. ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები, რომლებიც არასრულწლოვნის ნაწილობრივ ან მთლიანად გაშიშვლებას გულისხმობს, შეიძლება ჩატარდეს მხოლოდ სასამართლოს განჩინებით, არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის, ხოლო არასრულწლოვნის სურვილის შემთხვევაში – აგრეთვე ადვოკატის თანდასწრებით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 112-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობა.

4. ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო მოქმედების ჩამტარებელი პირი იმავე სქესის უნდა იყოს, რომელი სქესისაც არის არასრულწლოვანი.

5. ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საკითხს მოსამართლე წყვეტს ზეპირი მოსმენის გარეშე, შესაბამისი შუამდგომლობის შეტანიდან არაუგვიანეს 12 საათისა.

6. მოსამართლის განჩინებაში აღნიშნული უნდა იყოს:

ა) მისი შედგენის თარიღი და ადგილი;

ბ) სასამართლოს დასახელება, მოსამართლის სახელი და გვარი;

გ) პირი, რომელმაც სასამართლოს შესაბამისი შუამდგომლობით მიმართა;

დ) არასრულწლოვანი, რომლის მიმართაც საგამოძიებო მოქმედება უნდა ჩატარდეს;

ე) სავარაუდო დანაშაულის ფაქტობრივი გარემოებები;

ვ) საგამოძიებო მოქმედების ჩატარების აუცილებლობის დასაბუთება;

ზ) ჩხრეკის ან ამოღების დროს აღმოსაჩენი და ამოსაღები სავარაუდო საგანი, ნივთი, ნივთიერება ან სხვა ობიექტი და მისი გვარეობითი ნიშნები;

თ) წინააღმდეგობის გაწევისას იძულების პროპორციული ზომის გამოყენების უფლება;

ი) განჩინების მოქმედების ვადა;

კ) პირი ან ორგანო, რომელმაც განჩინება უნდა შეასრულოს;

ლ) მოსამართლის ხელმოწერა (მათ შორის, ელექტრონული).

7. თუ არასრულწლოვანი თანახმა არ არის, რომ ამ მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებულ შემთხვევებში საგამოძიებო მოქმედებებს მისი კანონიერი წარმომადგენელი ესწრებოდეს, ან თუ მისი დასწრება შეუძლებელია, საგამოძიებო მოქმედებებს ესწრება შესაბამისი სქესის საპროცესო წარმომადგენელი.

# კარი V

# არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა და აღკვეთის ღონისძიებები

## თავი VIII

## არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა

### მუხლი 54. არასრულწლოვნის პირველი წარდგენა სასამართლოში

არასრულწლოვნის დაკავების შემდეგ შეძლებისდაგვარად მალე, მაგრამ არაუგვიანეს 48 საათისა, პროკურორი გამოძიების ადგილის მიხედვით მაგისტრატ მოსამართლეს წარუდგენს შუამდგომლობას აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ.

### მუხლი 55. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში სამართლიანი და სწრაფი განხილვის უფლება

1. დანაშაულის 1 შემთხვევის გამო წინასასამართლო სხდომის დაწყებამდე არასრულწლოვანი ბრალდებულად შეიძლება ცნობილი იყოს არაუმეტეს 6 თვისა, თუ ამ ვადის გასვლამდე მისთვის დანაშაულის სხვა შემთხვევის გამო ახალი ბრალდება არ წაუყენებიათ.

2. არასრულწლოვნის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს განაჩენი გამოაქვს ზეპირი მოსმენით, სააპელაციო საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 1 თვის ვადაში.

3. არასრულწლოვნის საქმეზე საკასაციო სასამართლოს სხდომა იმართება საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 2 კვირის ვადაში. საკასაციო სასამართლოს საკასაციო საჩივარზე შემაჯამებელი გადაწყვეტილება გამოაქვს საკასაციო სასამართლოში საჩივრის დასაშვებად ცნობიდან 3 თვის ვადაში.

### მუხლი 56. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვაში მონაწილეობა

1. არასრულწლოვნის საქმის განხილვაში მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით სასამართლო:

ა) უზრუნველყოფს, რომ საქმის სასამართლოში განხილვა არასრულწლოვნის აღქმისა და გაგების უნარების შესაბამისად მიმდინარეობდეს;

ბ) სხდომებს შორის გონივრული ინტერვალით აცხადებს შესვენებას არასრულწლოვნის ასაკის, ჯანმრთელობის, განვითარების და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.

2. დაუშვებელია არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვა მის დაუსწრებლად, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ის თავს არიდებს სასამართლოში გამოცხადებას და სხდომის გადადება საქმის გონივრულ ვადაში განხილვას შეუძლებელს გახდის.

## მუხლი 57. არასრულწლოვნის მიერ ბრალის აღიარების დასაშვებობა

არასრულწლოვნის მიერ ბრალის აღიარების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო სხვა, შესაბამის გარემოებებთან ერთად ითვალისწინებს არასრულწლოვნის აღქმისა და გაგების უნარებს, დაკითხვის ხანგრძლივობას, გაურკვევლობის ან შესაძლო დაპატიმრების შიშს.

## მუხლი 58. მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესზე დასწრების უფლების შეზღუდვა

1. სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით ან საკუთარი ინიციატივით გამოიტანოს განჩინება არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ, თუ ეს გადაწყვეტილება არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესებს ემსახურება. არასრულწლოვნის სასამართლო სხდომაზე დაუსწრებლობის ხანგრძლივობა შეძლებისდაგვარად მოკლე ვადით უნდა განისაზღვროს.

2. არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ განჩინების გამოტანისთანავე მოსამართლე განუმარტავს მხარეებს იმავე სასამართლო სხდომაზე მისი გასაჩივრების უფლებას, რომელიც იწვევს მტკიცებულებათა გამოკვლევის პროცესის შეჩერებას.

3. არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზში დაბრუნების შემდეგ სასამართლო შესაბამისი ფორმითა და მოცულობით განუმარტავს არასრულწლოვანს მისი არყოფნისას გამოკვლეული მტკიცებულებების შინაარსს.

4. მოსამართლის მიერ არასრულწლოვნის სასამართლო სხდომის დარბაზიდან გაყვანის შესახებ განჩინების გამოტანის მიუხედავად, არასრულწლოვანი ბრალდებულის ადვოკატი და კანონიერი წარმომადგენელი სასამართლო სხდომას ყოველთვის ესწრებიან.

## მუხლი 59. არასრულწლოვნის საქმის სასამართლოში განხილვის სხვა თავისებურებები

1. არასრულწლოვნის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემთხვევაში სასამართლო აცხადებს, რომ არასრულწლოვანი დამნაშავედ იქნა ცნობილი, და მას განაჩენში შეაქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 272-ე მუხლის, 273-ე მუხლის პირველი ნაწილის, 274-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებისა და მე-2 ნაწილის მოთხოვნების შესაბამისი გარემოებები. ამასთანავე, გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებისთანავე სასამართლო სხდომის თავმჯდომარე ნიშნავს სასჯელის დანიშვნის სხდომის თარიღს. სასჯელის დანიშვნის სხდომა უნდა გაიმართოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 7 დღისა.

2. სასჯელის დანიშვნის სხდომაზე მოსამართლეს გამოაქვს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 269-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“–„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რის შემდეგაც, გამოტანილი გადაწყვეტილების შესაბამისად, გამამტყუნებელ განაჩენში შეაქვს იმავე მუხლის და 273-ე და 274-ე მუხლების სხვა მოთხოვნების შესაბამისი გარემოებები.

3. არასრულწლოვანი ბრალდებულის საქმე ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით არ განიხილება.

# თავი IX

# აღკვეთის ღონისძიებები

## მუხლი 60. აღკვეთის ღონისძიებები

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით შეიძლება გამოყენებულ იქნეს მეთვალყურეობაში გადაცემა, შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ, პირადი თავდებობა, გირაო, პატიმრობა.

2. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიებასთან ერთად შეიძლება გამოყენებულ

იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული 1 ან რამდენიმე ღონისძიება.

## მუხლი 61. მეთვალყურეობაში გადაცემა

1. არასრულწლოვნის მშობლის, სხვა ახლო ნათესავის, მეურვის ან მზრუნველის ან სპეციალური საზავშვო დაწესებულების ადმინისტრაციის მეთვალყურეობაში გადაცემის მიზანია, აღნიშნულ პირთაგან ერთ-ერთმა ან ადმინისტრაციამ იკისროს არასრულწლოვნის გამომძიებელთან, პროკურორთან, სასამართლოში გამოცხადებისა და სათანადო ქცევის წერილობითი ვალდებულება.

2. არასრულწლოვნის ამ მუხლის პირველი ნაწილით დადგენილი წესით მეთვალყურეობაში გადაცემა შეიძლება მხოლოდ არასრულწლოვნისა და იმ პირის თანხმობით, რომელსაც ის მეთვალყურეობაში გადაეცემა. ამ პირს უფლება აქვს, ნებისმიერ დროს უარი თქვას არასრულწლოვნის მეთვალყურეობაზე, თუ მიიჩნევს, რომ ვერ უზრუნველყოფს მის სათანადო ქცევას.

3. პირს, რომელიც არასრულწლოვანს მეთვალყურეობს, ხელწერილის ჩამორთმევისას უნდა გააცნონ არასრულწლოვნისათვის წაყენებული ბრალდებისთვის მოსალოდნელი სასჯელის სახე და ზომა და პასუხისმგებლობა, რომელიც მას დაეკისრება, თუ არასრულწლოვანი, რომელსაც ის მეთვალყურეობს, არ შეასრულებს სათანადო ქცევის ვალდებულებას.

4. არასრულწლოვნის მეთვალყურეობის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში სასამართლოს უფლება აქვს, მხარის შუამდგომლობით პირი, რომელიც არასრულწლოვანს მეთვალყურეობდა, დააჯარიმოს 100-დან 500 ლარამდე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ვალდებულების შეუსრულებლობას ობიექტური მიზეზი ჰქონდა.

## მუხლი 62. შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ

შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მის მიერ ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობითი დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

## მუხლი 63. გირაო

გირაოს თანხის ოდენობა განისაზღვრება არასრულწლოვანი ბრალდებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის და მისი ქონებრივი შესაძლებლობის გათვალისწინებით. გირაოს თანხა შეიძლება ნებისმიერი ოდენობით განისაზღვროს.

## მუხლი 64. პატიმრობა

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმართ პატიმრობის, როგორც უკიდურესი ღონისძიების, გამოყენება დასაშვებია შემდეგ გარემოებათა ერთობლიობისას:

ა) სავარაუდოდ ჩადენილი დანაშაულისათვის სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა;

ბ) პატიმრობა ერთადერთი საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს, რომ თავიდან იქნეს აცილებული არასრულწლოვანი ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართლმსაჯულების განხორციელებისათვის ან მტკიცებულებების მოპოვებისათვის ხელის შეშლა ან ახალი დანაშაულის ჩადენა;

გ) მიზანი, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობა ემსახურება, აღემატება მისი თავისუფლების ინტერესს.

2. თუ არასრულწლოვანი ბრალდებული პატიმარია, წინასასამართლო სხდომამდე მისი პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს მისი დაკავებიდან 40 დღეს. ამ ვადის გასვლის შემდეგ არასრულწლოვანი ბრალდებული უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. თუ აღნიშნულ ვადაში წინასასამართლო სხდომა ვერ ჩატარდა, ის ტარდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

3. თუ არასრულწლოვან ბრალდებულს პატიმრობა აქვს შეფარდებული, მოსამართლე ვალდებულია პირველივე წინასასამართლო სხდომაზე თავისი ინიციატივით განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი, მიუხედავად იმისა, დააყენა თუ არა მხარემ შუამდგომლობა პატიმრობის

შეცვლის ან გაუქმების შესახებ. ამის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია თავისი ინიციატივით, ყოველ 20 დღეში ერთხელ მაინც განიხილოს პატიმრობის ძალაში დატოვების აუცილებლობის საკითხი. პატიმრობის გაგრძელების, შეცვლის ან გაუქმების საკითხის განხილვისას მტკიცების ტვირთი ბრალდების მხარეს ეკისრება.

4. არასრულწლოვანი ბრალდებულის პატიმრობის საერთო ვადა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს.

# კარი VI

# არასრულწლოვნის სასჯელი

## თავი X

## არასრულწლოვნის სასჯელის მიზანი და სახეები, პირობითი მსჯავრი

### მუხლი 65. არასრულწლოვნის სასჯელის მიზანი

არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მიზანია არასრულწლოვნის რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

### მუხლი 66. არასრულწლოვნის სასჯელის სახეები

არასრულწლოვნის სასჯელის სახეებია:

ა) ჯარიმა;

ბ) შინაპატიმრობა;

გ) საქმიანობის უფლების ჩამორთმევა;

დ) საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა;

ე) თავისუფლების შეზღუდვა;

ვ) ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

### მუხლი 67. არასრულწლოვნის ძირითადი და დამატებითი სასჯელები

1. არასრულწლოვანს თავისუფლების შეზღუდვა და ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ ძირითად სასჯელად.

2. არასრულწლოვანს ჯარიმა, შინაპატიმრობა, საქმიანობის უფლების ჩამორთმევა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება დაენიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად.

3. ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება მხოლოდ 1 დამატებითი სასჯელის დანიშვნა.

4. არასრულწლოვანს სასჯელთან ერთად შეიძლება დაენიშნოს ამ კოდექსის 42-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული 1 ან რამდენიმე ღონისძიება.

### მუხლი 68. ჯარიმა

1. არასრულწლოვანს ჯარიმა შეიძლება დაენიშნოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას აქვს დამოუკიდებელი შემოსავალი კანონიერი საქმიანობიდან.

2. არასრულწლოვნისთვის ჯარიმის დანიშვნისას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი მინიმალური ოდენობა ნახევრდება.

## მუხლი 69. შინაპატიმრობა

1. შინაპატიმრობა ნიშნავს არასრულწლოვნისთვის დღე-ღამის განსაზღვრულ პერიოდში თავის საცხოვრებელ ადგილას ყოფნის ვალდებულების დაკისრებას.

2. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ენიშნება 6 თვიდან 1 წლამდე ვადით.

3. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა შეიძლება დაენიშნოს ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში.

4. არასრულწლოვანს შინაპატიმრობა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

5. შინაპატიმრობა, როგორც წესი, აღსრულდება ელექტრონული ზედამხედველობის საშუალების გამოყენებით. ელექტრონული ზედამხედველობის გამოუყენებლობის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრობაციის ეროვნული სააგენტო.

## მუხლი 70. საქმიანობის უფლების ჩამორთმევა

არასრულწლოვანს საქმიანობის უფლების ჩამორთმევა ენიშნება 1-დან 3 წლამდე ვადით.

## მუხლი 71. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა

1. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ენიშნება 40-დან 300 საათამდე ვადით. ყოველდღიურად ასეთი შრომის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 4 საათს.

2. თავისუფლების აღკვეთის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით შეცვლის ან მხარეთა შორის საპროცესო შეთანხმების არსებობის შემთხვევაში საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო მეტი ვადითაც დაინიშნოს. დამატებით სასჯელად საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა შეიძლება უფრო ნაკლები ვადითაც დაინიშნოს.

3. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა ისე უნდა დაენიშნოს, რომ მისმა აღსრულებამ ხელი არ შეუშალოს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას ან სწავლის პროცესს.

4. საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას სასურველია, არასრულწლოვანი მსჯავრდებული სამუშაოდ ისეთ ადგილზე გამწესდეს, სადაც იგი საზოგადოების წევრად ჩამოყალიბებისათვის საჭირო გამოცდილებასა და უნარებს შეიძენს.

5. არასრულწლოვანს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა დამატებით სასჯელად შეიძლება დაენიშნოს იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი მუხლით სასჯელის სახედ გათვალისწინებული არ არის.

## მუხლი 72. თავისუფლების შეზღუდვა

არასრულწლოვნისთვის თავისუფლების შეზღუდვის მაქსიმალური ვადა 3 წელია.

## მუხლი 73. ვადიანი თავისუფლების აღკვეთა

1. არასრულწლოვანს ვადიანი თავისუფლების აღკვეთა შეიძლება დაენიშნოს, თუ მან მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ჩაიდინა ან ის თავს არიდებს არასაპატიმრო სასჯელს ანდა მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი იქნა გამოტანილი.

2. 14-დან 16 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/3-ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 10 წელს.

3. 16-დან 18 წლამდე ასაკის არასრულწლოვნისთვის დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 1/4-ით მცირდება. ამასთანავე, საბოლოო სასჯელის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 12 წელს.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილები გამოიყენება ამ კოდექსის 76-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობის მიუხედავად.

## მუხლი 74. პირობითი მსჯავრი

თუ არასრულწლოვანმა, რომელიც განზრახი დანაშაულისათვის მსჯავრდებული არ ყოფილა, ნაკლებად მძიმე ან მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო უფლებამოსილია დაადგინოს, რომ დანიშნული სასჯელი პირობით მსჯავრად ჩაითვალოს.

# თავი XI

# არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნა

## მუხლი 75. არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნის ზოგადი საწყისები

1. არასრულწლოვნისთვის სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე, პირველ რიგში, ითვალისწინებს მის საუკეთესო ინტერესებს და ინდივიდუალური შეფასების ანგარიშს.

2. არასრულწლოვნისთვის არასაპატიმრო სასჯელის დანიშვნისას მოსამართლე უფლებამოსილია არასაპატიმრო სასჯელთან ერთად მას დააკისროს ამ კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული 1 ან რამდენიმე მოვალეობა. ამ შემთხვევაში დაუშვებელია არასრულწლოვნისთვის ისეთი მოვალეობის დაკისრება, რომელიც, დიდი ალბათობით, არ შესრულდება ან რომლის შესრულება არასრულწლოვნის გონებრივ და ფიზიკურ შესაძლებლობებს აღემატება.

3. არასაპატიმრო სასჯელის აღსასრულებლად, არასრულწლოვნის და მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობით შეიძლება გამოყენებულ იქნეს ელექტრონული ზედამხედველობა 1 წლამდე ვადით. ეს წესი არ მოქმედებს ამ კოდექსის 69-ე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

4. ელექტრონული ზედამხედველობის საშუალებების გამოყენების წესი და მეთოდოლოგია განისაზღვრება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით.

## მუხლი 76. არასრულწლოვნისთვის კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა

მოსამართლე უფლებამოსილია არასრულწლოვანს დაუნიშნოს კანონით გათვალისწინებულ ზღვარზე ნაკლები ან სხვა, უფრო მსუბუქი სასჯელი, თუ მის მიმართ წარსულში გამამტყუნებელი განაჩენი გამოტანილი არ ყოფილა და არსებობს შემამსუბუქებელ გარემოებათა ერთობლიობა, რის გამოც მიზანშეწონილია კანონით გათვალისწინებულზე უფრო მსუბუქი სასჯელის დანიშვნა.

# თავი XII

# არასაპატიმრო სასჯელის აღსრულება

## მუხლი 77. არასაპატიმრო სასჯელის აღსრულება

1. ამ კოდექსის 66-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასჯელის აღსრულებას „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო, ხოლო იმავე მუხლის „ბ“–„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სასჯელის აღსრულებას „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით უზრუნველყოფს პრობაციის ეროვნული სააგენტო.

2. არასრულწლოვნისთვის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის დანიშვნისას მისი მოხდის დაწყებამდე, ამ და სხვა არასაპატიმრო სასჯელების მოხდის და პირობითი მსჯავრის მოხდის პროცესში სრულწლოვანების მიღწევის შემთხვევაში მსჯავრდებული აგრძელებს განაჩენით არასრულწლოვნისთვის დანიშნული სასჯელის მოხდას. ასეთ შემთხვევაში გამოიყენება ამ კოდექსის შესაბამისი დებულებები.

3. არასრულწლოვნის მიერ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი რეჟიმის დარღვევის შემთხვევაში არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ბიუროს უფლებამოსილი პირი ადგენს გაფრთხილების შესახებ ოქმს,

რომელიც მსჯავრდებულს უშუალოდ გადაეცემა ან ფოსტით ეგზავნება (ფოსტით გაგზავნისას კეთდება სათანადო ჩანაწერი).

4. არასრულწლოვანი თავისუფლდება „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან.

5. არასრულწლოვნის მიერ არასაპატიმრო სასჯელის, პირობითი მსჯავრის ან დაკისრებული მოვალეობის შესრულებისთვის თავის არიდების შემთხვევაში მოსამართლე პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარდგინებისა და შესაბამისი მასალების განხილვის საფუძველზე, წარდგინების შეტანიდან 2 კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას არასაპატიმრო სასჯელის, პირობითი მსჯავრის ან დაკისრებული მოვალეობის უცვლელად დატოვების ან შეცვლის შესახებ. მოსამართლე წარდგინებას პრობაციის ოფიცრისა და არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით განიხილავს. მოსამართლეს უფლება აქვს, მხარის ინიციატივით მოიწვიოს და დაკითხოს მოწმეები.

6. არასრულწლოვნის მიერ ჯარიმის გადახდისთვის თავის არიდების შემთხვევაში მოსამართლე საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს წარდგინებისა და შესაბამისი მასალების განხილვის საფუძველზე, წარდგინების შეტანიდან 2 კვირის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას ჯარიმის უცვლელად დატოვების ან შეცვლის შესახებ. მოსამართლე წარდგინებას საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენლისა და არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით განიხილავს. მოსამართლეს უფლება აქვს, მხარის ინიციატივით მოიწვიოს და დაკითხოს მოწმეები.

7. თუ არასაპატიმრო სასჯელის ან/და პირობითი მსჯავრის მოხდის პერიოდში არასრულწლოვანმა ნაკლებად მძიმე ან გაუფრთხილებლობითი მძიმე დანაშაული ჩაიდინა, სასამართლო წყვეტს არასაპატიმრო სასჯელის ან/და პირობითი მსჯავრის ძალაში დატოვების საკითხს, ხოლო არასრულწლოვნის მიერ განზრახი მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში მოსამართლეს გამოაქვს გადაწყვეტილება სასჯელად თავისუფლების აღკვეთის დანიშვნის შესახებ.

8. განაჩენით დანიშნული სასჯელის სხვა სასჯელით შეცვლის შემთხვევაში არასრულწლოვნის მიერ მოსახდელი სასჯელის ზომის დადგენისას, მოხდილი სასჯელის გათვალისწინებით, ერთმანეთის შესაბამისად ითვლება შინაპატიმრობის 1 დღე, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 5 საათი, ჯარიმის 50 ლარი, თავისუფლების შეზღუდვის 1 დღე და ვადიანი თავისუფლების აღკვეთის 1 დღე.

9. არასრულწლოვნისათვის არასაპატიმრო სასჯელის ან/და პირობითი მსჯავრის შეცვლის შემთხვევაში სასამართლო ხელმძღვანელობს ამ კოდექსით.

10. არასაპატიმრო სასჯელშეფარდებული არასრულწლოვნის/პირობით მსჯავრდებული არასრულწლოვნის დასრულებული სააღსრულებო საქმე არაუმეტეს 10 წლის ვადით ინახება პრობაციის ეროვნული სააგენტოს არქივში და ამ ვადის გასვლისთანავე ნადგურდება.

## მუხლი 78. არასაპატიმრო სასჯელის, პირობითი მსჯავრის, დაკისრებული მოვალეობის შეცვლის გასაჩივრება

არასრულწლოვანს, მის კანონიერ წარმომადგენელს ან ადვოკატს უფლება აქვს, სააპელაციო წესით გაასაჩივროს არასაპატიმრო სასჯელის, პირობითი მსჯავრის ან დაკისრებული მოვალეობის შეცვლის შესახებ გადაწყვეტილება მისი გამოტანიდან 1 თვის ვადაში. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა. აღნიშნულ შემთხვევებში გამოიყენება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის XXV თავის შესაბამისი დებულებები, არასრულწლოვნის საქმის განხილვისთვის ამ კოდექსით დადგენილი სპეციალური ვადების გათვალისწინებით.

# კარი VII

# არასრულწლოვანთა პატიმრობა, არასრულწლოვანთათვის თავისუფლების აღკვეთა, პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვნებზე ზრუნვა

## თავი XIII
## არასრულწლოვანთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში ყოფნის პირობები

### მუხლი 79. არასრულწლოვანთა პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში მოთავსება

1. არასრულწლოვანი ბრალდებული, რომლის მიმართაც აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა იქნა გამოყენებული, თავსდება პატიმრობის დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში, ხოლო არასრულწლოვანი მსჯავრდებული, რომელსაც სასჯელად თავისუფლების აღკვეთა დაენიშნა, – არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში. პატიმრობის დაწესებულების/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მომსახურება, სადაც მოთავსებულია არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული, უნდა აკმაყოფილებდეს მისი ჯანმრთელობის დაცვის და ღირსების პატივისცემის მოთხოვნებს.

2. არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების დასაცავად პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში უნდა იყოს საკმარისი რაოდენობის კვალიფიციური და გადამზადებული პერსონალი (პედიატრი, ექიმი, ექთანი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი, სოციალური მუშაკი და სხვა).

3. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვნები განთავსებული არიან სპეციალურ საცხოვრებელში, სადაც შესაძლებელია განხორციელდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა და კონტროლი პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის შესაბამისად.

### მუხლი 80. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის აღსრულების თავისებურებანი

საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებული არასრულწლოვანთა დაცვის და მათზე ზრუნვის სპეციალური ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი განსაზღვრავს:

ა) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში თავისუფლების აღკვეთის აღსრულების წესსა და პირობებს;

ბ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების სტრუქტურასა და საქმიანობის წესს;

გ) არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიერ სასჯელის მოხდის ინდივიდუალური დაგეგმვის წესს;

დ) არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ წახალისების ფორმების და სხვა ღონისძიებების გამოყენების წესს;

ე) არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ დისციპლინური სახდელების გამოყენების წესს;

ვ) არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მოთხოვნებთან და საჩივრებთან დაკავშირებული წარმოების პროცედურებს;

ზ) არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეაბილიტაციის პროცესის ორგანიზების წესს;

თ) არასრულწლოვან მსჯავრდებულთა მიმართ უსაფრთხოების ღონისძიებების და სპეციალური საშუალებების გამოყენების წესსა და პირობებს;

ი) არასრულწლოვან მსჯავრდებულთა რეესტრისა და პირადი საქმეების წარმოების წესს.

### მუხლი 81. არასრულწლოვანთა განცალკევებით მოთავსება

1. ერთმანეთისგან განცალკევებით უნდა მოთავსდნენ:

ა) ბრალდებული და მსჯავრდებული არასრულწლოვნები;

ბ) მდედრობითი სქესის და მამრობითი სქესის არასრულწლოვნები.

2. დაუშვებელია არასრულწლოვნის სრულწლოვანთან ერთად მოთავსება ან ტრანსპორტირება, გარდა ამ მუხლის მე-4 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევისა.

3. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში არასრულწლოვანთათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად ისინი უნდა განთავსდნენ ასაკობრივი ჯგუფის, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმის, ფიზიკური და გონებრივი განვითარების, აგრეთვე არასრულწლოვანთა საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე სხვა მახასიათებლების მიხედვით.

4. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული წესის მიუხედავად, სარეაბილიტაციო, საგანმანათლებლო, სპორტულ და სხვა ღონისძიებებში სხვადასხვა სქესის არასრულწლოვნები შეიძლება ერთად მონაწილეობდნენ.

5. მდედრობითი სქესის არასრულწლოვანი მსჯავრდებული თავსდება ქალთა სპეციალური დაწესებულების არასრულწლოვანთა განყოფილებაში და მასზე ვრცელდება არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულისათვის დადგენილი ნორმები.

### მუხლი 82. არასრულწლოვნის მკურნალობა

1. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილია რეგულარული სამედიცინო შემოწმებით, საჭირო მკურნალობით, პრევენციული სამედიცინო მომსახურებითა და სპეციალური სამედიცინო ინვენტარით.

2. თუ სამედიცინო შემოწმებისას გამოვლინდა არასრულწლოვნის მიმართ განხორციელებული ძალადობის ნიშნები, შემოწმების ჩამტარებელი პირი ვალდებულია ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს არასრულწლოვნის კანონიერ წარმომადგენელს და იმ დაწესებულების ხელმძღვანელს, სადაც მოთავსებულია არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული.

### მუხლი 83. არასრულწლოვნის საყოფაცხოვრებო და კვების პირობები

1. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს სხვა ბრალდებულებთან/მსჯავრდებულებთან შედარებით გაუმჯობესებული საყოფაცხოვრებო და კვების პირობები.

2. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უნდა შეექმნას მისი მდგომარეობის შესაბამისი კვების პირობები.

3. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს, დამოუკიდებლად, არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დღის განრიგით დადგენილი წესით, სასჯელის მოხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად გადაადგილდეს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე.

### მუხლი 84. არასრულწლოვნისათვის საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროგრამების ორგანიზება

1. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს საშუალება უნდა ჰქონდეს, მიიღოს სრული ზოგადი განათლება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად.

2. არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის დაწყებითი განათლებისა და საბაზო განათლების მიცემა სავალდებულოა.

3. არასრულწლოვანი ბრალდებულისათვის/მსჯავრდებულისათვის ზოგადი განათლების მიცემის და ზოგადი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების/განვითარების, აგრეთვე არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის

პროფესიული განათლების მიცემის მიზნით პატიმრობის დაწესებულება/არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება ორგანიზებას უწევს საგანმანათლებლო-სარეაბილიტაციო პროცესს.

4. არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს პროფესიული განათლების ისეთი შესაძლებლობები, რომლებიც ხელს შეუწყობს არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების დატოვების შემდეგ მის დასაქმებას.

5. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესი ქვეყანაში არსებულ განათლების სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს.

6. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ ბრალდებულად ყოფნის/სასჯელის მოხდის პერიოდში მიღებული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტში (დიპლომი, სერტიფიკატი, ატესტატი და სხვა) არ მიეთითება ინფორმაცია, რომლითაც შესაძლებელია არასრულწლოვნის, როგორც ნასამართლევის ან ყოფილი მსჯავრდებულის, იდენტიფიცირება.

7. იმ არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის, რომელსაც აქვს შემეცნებასა და სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან არ აქვს საგანმანათლებლო ისტორია, სპეციალური პროგრამები უნდა არსებობდეს. მისი სწავლება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უნდა მიმდინარეობდეს.

8. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესი რეგულირდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ერთობლივი ბრძანებით.

## მუხლი 85. არასრულწლოვნის მუშაობის შესაძლებლობა

1. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს აქვს ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულების უფლება.

2. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული მუშაობს სწავლისაგან თავისუფალ დროს. ამასთანავე, სწავლისა და მუშაობის დრო არ უნდა აღემატებოდეს დღეში 8 საათს.

3. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციამ ხელი უნდა შეუწყოს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ანაზღაურებადი სამუშაოს შესრულებას. დასაშვებია, არასრულწლოვანმა მსჯავრდებულმა არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების გარეთ იმუშაოს.

4. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული შეიძლება ასრულებდეს მხოლოდ ისეთ სამუშაოს, რომელიც ხელს შეუწყობს გათავისუფლების შემდეგ მის პროფესიულ მომზადებას და დასაქმებას, აგრეთვე ხელს არ შეუშლის მის მიერ განათლების მიღებას.

5. დაუშვებელია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოებზე დასაქმება.

## მუხლი 86. სპორტი და რეკრეაცია

1. არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ყოველდღიური სპორტულ-გამაჯანსაღებელი აქტივობებით და სეირნობის უფლებით. ამ მიზნით მისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს შესაბამისი აღჭურვილობა და სივრცე.

2. არასრულწლოვნისთვის, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის, უნდა არსებობდეს შესაფერისი რეკრეაციული და ფიზიკური აღზრდის პროგრამები.

## მუხლი 87. არასრულწლოვნის ოჯახთან და გარე სამყაროსთან ურთიერთობა

1. არასრულწლოვან მსჯავრდებულს აქვს ოჯახთან და გარე სამყაროსთან ხშირი და რეგულარული კონტაქტის უფლება. კერძოდ, მას უფლება აქვს:

ა) ჰქონდეს თვეში 4 ხანმოკლე პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ხანმოკლე პაემანი;
ბ) ჰქონდეს წელიწადში 4 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – წელიწადში 6 დამატებითი

ხანგრძლივი პაემანი;

გ) თვეში ჰქონდეს საკუთარი ხარჯით 5 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, ხოლო წახალისების ფორმით, საკუთარი ხარჯით – ულიმიტო სატელეფონო საუბარი;

დ) ჰქონდეს თვეში 4 ვიდეოპაემანი, ხოლო წახალისების ფორმით – თვეში 2 დამატებითი ვიდეოპაემანი;

ე) შეუზღუდავად მიიღოს წერილები, ამანათები და გზავნილები. ამასთანავე, ამანათებისა და გზავნილების მიღების უფლება შეიძლება შეიზღუდოს ამ კოდექსის 92-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ) ისარგებლოს პირადი ტელევიზორითა და რადიომიმღებით;

ზ) არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ტერიტორიაზე არსებულ მაღაზიაში კვების პროდუქტების, პირველადი მოხმარებისა და სხვა საგნების შესაძენად თავის პირად ანგარიშზე არსებული თანხა ყოველთვიურად დახარჯოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანებით გათვალისწინებული ლიმიტის ფარგლებში.

2. არასრულწლოვან ბრალდებულს უფლება აქვს, თვეში ჰქონდეს არაუმეტეს 4 ხანმოკლე პაემნისა. მას აგრეთვე აქვს უფლება, დაწესებულების ადმინისტრაციის კონტროლით, საკუთარი ხარჯით ჰქონდეს 3 სატელეფონო საუბარი, თითოეული – არაუმეტეს 15 წუთისა, და შეუზღუდავად მიიღოს წერილები და ამანათები. აღნიშნული უფლებები შეიძლება შეიზღუდოს გამომძიებლის ან პროკურორის დადგენილების ან სასამართლოს განჩინების საფუძველზე, არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების მიზნებისათვის არასრულწლოვანს უფლება აქვს, პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული პირების გარდა, მისი კანონიერი წარმომადგენლის და პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ნებართვით შეხვდეს აგრეთვე ნებისმიერ სხვა პირს.

4. არასრულწლოვნის მიერ ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული უფლებებით სარგებლობისას პატიმრობის დაწესებულება და არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულება უზრუნველყოფენ არასრულწლოვნის შეუფერხებელ კონტაქტს და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას.

## მუხლი 88. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლა

1. არასრულწლოვან მსჯავრდებულს უფლება აქვს, წელიწადში სამჯერ ისარგებლოს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლებით. თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 5 დღეს, რომელშიც შედის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის დანიშნულების ადგილამდე მგზავრობის დროც.

2. არასრულწლოვან მსჯავრდებულს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების გარეთ ხანმოკლე გასვლის უფლება ეძლევა მას შემდეგ, რაც მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

## მუხლი 89. თავისუფლებააღკვეთილი არასრულწლოვნის დროებით გადაყვანა სხვა დაწესებულებაში

1. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის დროებით გადაყვანა სხვა დაწესებულებაში დასაშვებია პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის ბრძანების საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს აუცილებელია მისი ან სხვა არასრულწლოვანთა უსაფრთხოებისათვის.

2. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის სხვა დაწესებულებაში დროებით გადაყვანისთანავე:

ა) მას უტარდება სამედიცინო შემოწმება;

ბ) კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდება ინფორმაცია მისი ადგილსამყოფლის შესახებ;

გ) მას ეძლევა უფლება, ჰქონდეს სატელეფონო საუბარი არაუმეტეს 15 წუთისა.

## მუხლი 90. მსჯავრდებულის არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში დატოვება ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა

1. არასრულწლოვანი მსჯავრდებული არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში სასჯელს იხდის ინდივიდუალური გეგმის შესაბამისად.

2. 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული სასჯელის შემდგომი მოხდისათვის იგზავნება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

3. 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული რესოციალიზაციის, ზოგადი განათლების მიღების და პროფესიული მომზადების მიზნით, პირადი განცხადებით შესაძლებელია სასჯელის მოსახდელად იმავე დაწესებულებაში იქნეს დატოვებული, რომელშიც სრულწლოვანების მიღწევამდე იხდიდა სასჯელს. ამის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორი აღნიშნული დაწესებულების დირექტორის შუამდგომლობის საფუძველზე.

4. 18 წელს მიღწეული მსჯავრდებული სასჯელის მოსახდელად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში შეიძლება დატოვებულ იქნეს არაუგვიანეს 21 წლის მიღწევისა.

5. 18 წელს მიღწეულ მსჯავრდებულზე, რომელიც სასჯელის მოსახდელად არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში იქნა დატოვებული, ვრცელდება არასრულწლოვანი მსჯავრდებულისათვის დადგენილი სასჯელის მოხდის, კვებისა და საყოფაცხოვრებო ნორმები.

6. 21 წელს მიღწეული მსჯავრდებული, აგრეთვე მსჯავრდებული, რომელიც ზოგადი განათლების მიღების და პროფესიული მომზადების მიზნით არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში იქნა დატოვებული და რომელმაც 21 წლის მიღწევამდე მიიღო ზოგადი განათლება და გაიარა პროფესიული მომზადება, სასჯელის შემდგომი მოხდისათვის იგზავნება ნახევრად ღია ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში ან დაბალი რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.

## მუხლი 91. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის წახალისების ფორმები

1. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევის, საგანმანათლებლო პროგრამებში ჩართულობის ან/და სამუშაოსადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

ა) მადლობის გამოცხადება;

ბ) გამოყენებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;

გ) დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა;

დ) დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა;

ე) დამატებითი ვიდეოპაემნით სარგებლობის უფლების მიცემა;

ვ) დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლების მიცემა;

ზ) დაწესებულების გარეთ დამატებითი ხანმოკლე გასვლის უფლების მიცემა;

თ) ამანათით ან ფოსტით ისეთი ნივთების, ნივთიერებების ან/და ნაკეთობების მიღების უფლების მიცემა, რომელთა ქონის უფლებაც არასრულწლოვან მსჯავრდებულს დაწესებულებაში, ჩვეულებრივ, არ აქვს, მაგრამ რომლებიც აკრძალული არ არის;

ი) კომპიუტერული თამაშების თამაშის უფლების მიცემა;

კ) აუდიოვიდეოსაშუალებებით სარგებლობის უფლების მიცემა;

ლ) დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილის „თ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ნივთების, ნივთიერებების ან/და ნაკეთობების სახეობებსა და რაოდენობებს განსაზღვრავს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი.

## მუხლი 92. არასრულწლოვნის დისციპლინური სახდელის სახეები

1. არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულის მიერ დისციპლინური დარღვევის ჩადენის შემთხვევაში არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაცია უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური სახდელის შემდეგი სახეები:

ა) გაფრთხილების მიცემა;

ბ) საყვედურის გამოცხადება;

გ) ნებადართული ნივთებით (გარდა ექიმის მიერ დანიშნული კვების აუცილებელი პროდუქტებისა და მედიკამენტებისა) სარგებლობის უფლების შეზღუდვა 1 თვემდე ვადით;

დ) დაწესებულების ტერიტორიაზე არსებული მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა 1 თვის ვადით;

ე) ამანათებისა და გზავნილების მიღების უფლების შეზღუდვა 1 თვემდე ვადით;

ვ) სატელეფონო საუბრის უფლების შეზღუდვა 1 თვემდე ვადით, იმ პირობით, რომ ორი კვირის თავზე, სანიმუშო ყოფაქცევის შემთხვევაში, არასრულწლოვან მსჯავრდებულს შეუძლია არასრულწლოვანთა სარეაბილიტაციო დაწესებულების ადმინისტრაციას მიმართოს შეზღუდვის გაუქმების შესახებ განცხადებით;

ზ) საკნის ტიპის საცხოვრებელში გადაყვანა 1 წლის განმავლობაში 6 თვემდე ვადით.

2. დაუშვებელია არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სამარტოო საკანში მოთავსება.

3. ამ მუხლის პირველი ნაწილის „გ“–„ვ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული თითოეული უფლების შეზღუდვის საერთო ვადა 1 წლის განმავლობაში 3 თვეს არ უნდა აღემატებოდეს.

4. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიმართ დისციპლინური სახდელის სახით ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება დაუშვებელია.

## მუხლი 93. დისციპლინური სამართალწარმოება

1.არასრულწლოვანიბრალდებულის/მსჯავრდებულისდისციპლინურიდარღვევისსაქმეზეპირიმოსმენით განიხილება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული არღვევს წესრიგს, სხვაგვარად უშლის ხელს სხდომის მიმდინარეობას, ცხადდება სხდომაზე ან უარს აცხადებს სხდომაში მონაწილეობაზე. ეს ფაქტი აღინიშნება დისციპლინური სამართალწარმოების ოქმში.

2. ზეპირი მოსმენის დროს არასრულწლოვან ბრალდებულს/ მსჯავრდებულს უნდა ჰქონდეს დაჯდომის, ჩანაწერების გაკეთების და ზეპირი ახსნა-განმარტების მიცემის საშუალება.

3. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს, დისციპლინური დარღვევის საქმის განხილვისას ჰყავდეს ადვოკატი. ზეპირი მოსმენის დაწყებამდე არასრულწლოვან ბრალდებულს/

მსჯავრდებულს განემარტება ადვოკატის მოწვევის უფლება, რომელიც შესაბამისი თანხმობის მიღების შემთხვევაში ხორციელდება განმარტებიდან 6 საათის განმავლობაში. თუ დადგენილ ვადაში ადვოკატი არ გამოცხადდება, არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს საზოგადოებრივი ადვოკატი დაენიშნება.

## მუხლი 94. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის ინფორმირება საჩივრის შეტანის უფლების თაობაზე

1. პატიმრობის დაწესებულებაში/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მოთავსებულ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს დაწესებულების ადმინისტრაციამ დაუყოვნებლივ უნდა მისცეს საშუალება, წერილობით გაეცნოს ინფორმაციას თავისი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, მათ შორის, საჩივრის შეტანის უფლებისა და გასაჩივრების კანონით დადგენილი წესის თაობაზე.

2. წერა-კითხვის უცოდინარ არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს ინფორმაცია ზეპირი ფორმით უნდა მიეწოდოს. მისი მიწოდების შესახებ უფლებამოსილი პირი ადგენს ოქმს, რომელსაც არასრულწლოვანი ბრალდებული/მსჯავრდებული ხელმოწერით ადასტურებს.

3. არასრულწლოვან ბრალდებულს/მსჯავრდებულს ინფორმაცია მისთვის გასაგები ფორმით უნდა მიეწოდოს.

## მუხლი 95. არასრულწლოვნის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლება

1. არასრულწლოვანი მსჯავრდებული სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე შეიძლება გათავისუფლდეს მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ნახევარი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის – თავისუფლების აღკვეთის ვადის არანაკლებ ორი მესამედი.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ ფაქტობრივად მოხდილი თავისუფლების აღკვეთის ვადა არ უნდა იყოს 3 თვეზე ნაკლები.

3. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების თარიღამდე არაუგვიანეს 3 თვისა პენიტენციური დეპარტამენტი აცნობებს პრობაციის ეროვნულ სააგენტოს მისი შესაძლო გათავისუფლების შესახებ. პრობაციის ეროვნული სააგენტო შეისწავლის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახურ მდგომარეობას და საცხოვრებელ პირობებს, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაზე. შესწავლის შედეგებს პრობაციის ეროვნული სააგენტო პენიტენციურ დეპარტამენტს უგზავნის.

4. პენიტენციური დეპარტამენტი ამზადებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სოციალური ჩართულობის საქმეს, რომელშიც აღნიშნულია სასჯელის მოხდის პერიოდში არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ქცევა, მის მიერ წარსულში დანაშაულის ჩადენის ფაქტები, არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პიროვნება, მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათი და სხვა გარემოებები, რომლებმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭოს გადაწყვეტილებაზე. პენიტენციური დეპარტამენტი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სოციალური ჩართულობის საქმეს პრობაციის ეროვნული სააგენტოს მიერ გაგზავნილ შესწავლის შედეგებთან ერთად, გადაწყვეტილების მისაღებად საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივ საბჭოს უგზავნის. შესწავლის შედეგები და მსჯავრდებულის სოციალური ჩართულობის საქმე ამ კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სტადიაზე ინდივიდუალური შეფასების ანგარიშის ნაწილია.

5. არასრულწლოვან მსჯავრდებულს, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული საზოგადოებისათვის

სასარგებლო შრომის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის ვადა ჩაეთვლება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში, შემდეგი განგარიშებით: საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის 5 საათი – თავისუფლების აღკვეთის 1 დღე.

6. არასრულწლოვან მსჯავრდებულს, რომელიც პირობით ვადამდე გათავისუფლდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის 31 ნაწილით გათვალისწინებული თავისუფლების შეზღუდვის სახით დანიშნული სასჯელის მოხდისაგან, თავისუფლების შეზღუდვის სახით ფაქტობრივად მოხდილი სასჯელის ვადა ჩაეთვლება ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ვადაში, შემდეგი გაანგარიშებით: თავისუფლების შეზღუდვის 1 დღე – თავისუფლების აღკვეთის 1 დღე.

7. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ საკითხზე საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლების ან მის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ. ეს გადაწყვეტილება შეიცავს რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის თვალსაზრისით მიღწეული პროგრესის და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლებისთვის მზადყოფნის სრულ შეფასებას, აგრეთვე საკითხის განხილვისას არასრულწლოვანი მსჯავრდებულის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ადმინისტრაციის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.

8. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის პირობით ვადამდე გათავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ადგილობრივი საბჭო გადაწყვეტილებაში მიუთითებს აგრეთვე პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების მიერ მისაღებ ზომებს.

## მუხლი 96. არასრულწლოვნისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეცვლა

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-3 ან 31 ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში არასრულწლოვან მსჯავრდებულს სასჯელის მოუხდელი ნაწილი საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ან თავისუფლების შეზღუდვით შეიძლება შეეცვალოს მხოლოდ მაშინ, თუ მან ფაქტობრივად მოიხადა:

ა) ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მეოთხედი;

ბ) მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ერთი მესამედი;

გ) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის მოსახდელი სასჯელის ვადის არანაკლებ ნახევარი.

2. არასრულწლოვან მსჯავრდებულზე არ ვრცელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 73-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული სამთვიანი ვადა.

3. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხის განხილვა სავალდებულოა ყოველ 3 თვეში ერთხელ.

## მუხლი 97. არასრულწლოვნის პირადი საქმე

არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმე წარმოებს მისი დაპატიმრებიდან გათავისუფლებამდე. არასრულწლოვანი ბრალდებულის/ მსჯავრდებულის გათავისუფლების შემდეგ მისი პირადი საქმე არაუმეტეს 10 წლის ვადით ინახება პატიმრობის დაწესებულების/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების არქივში. არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის პირადი საქმე ამ ვადის გასვლისთანავე ნადგურდება.

## თავი XIV

## არასრულწლოვნის გათავისუფლებისთვის მზადება, პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანზე ზრუნვა და მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაცია

### მუხლი 98. არასრულწლოვნის გათავისუფლებისთვის მზადება

1. საპატიმრო სასჯელის არანაკლებ ორი მესამედის მოხდის შემდეგ, მაგრამ გათავისუფლებამდე არაუგვიანეს 3 თვისა, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება:

ა) ატყობინებს არასრულწლოვან მსჯავრდებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – დანაშაულის პრევენციის ცენტრს (შემდგომ – დანაშაულის პრევენციის ცენტრი) არასრულწლოვანი მსჯავრდებულის გათავისუფლების მოახლოებულ თარიღს;

ბ) არასრულწლოვანს უზრუნველყოფს გათავისუფლებისთვის მოსამზადებელი სპეციალური პროგრამით;

გ) არასრულწლოვანი მსჯავრდებულის თანხმობის შემთხვევაში ამზადებს მისი სოციალური ჩართულობის საქმეს დანაშაულის პრევენციის ცენტრისათვის გადასაცემად, არასრულწლოვნის რესოციალიზაციის პროცესის ხელშეწყობისათვის;

დ) არასრულწლოვან მსჯავრდებულს მისთვის გასაგები ფორმით აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა გზით შეუძლია მას გათავისუფლების შემდეგ შესაბამისი დახმარებისა და მხარდაჭერის მიღება.

2. დანაშაულის პრევენციის ცენტრის წარმომადგენლები:

ა) არასრულწლოვანს ხვდებიან დაწესებულებაში;

ბ) იღებენ ყველა საჭირო ზომას, რათა არასრულწლოვნისთვის გასაგები იყოს მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის პირობები და საჭიროება;

გ) ეცნობიან არასრულწლოვნის სოციალური ჩართულობის საქმეს პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში;

დ) გათავისუფლების შემდეგ ყოფილი არასრულწლოვანი მსჯავრდებულის მიერ მათთვის მიმართვის შემთხვევაში ამტკიცებენ მისი რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმას მიმართვიდან არაუგვიანეს 3 თვისა;

ე) შეძლებისდაგვარად უზრუნველყოფენ პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში დაწყებული პროგრამების დასრულებას და სრულყოფას.

3. სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვადის ფაქტობრივად მოხდამდე არაუგვიანეს 3 თვისა, ხოლო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილით განსაზღვრული წესით დანიშნული სასჯელის შემთხვევაში – სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადის დასრულებამდე არაუგვიანეს 3 თვისა პენიტენციური დეპარტამენტი:

ა) არასრულწლოვან მსჯავრდებულს, მის კანონიერ წარმომადგენელს და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს ატყობინებს მისი გათავისუფლების მოახლოებულ თარიღს;

ბ) პრობაციის ეროვნულ სააგენტოს წერილობით მიმართავს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის მოთხოვნით.

4. პრობაციის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი:

ა) აფასებს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკებს და განსაზღვრავს მის საჭიროებებს;

ბ) სასჯელის მოხდისაგან პირობით ვადამდე გათავისუფლებისათვის არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასების დასრულებისთანავე შესაბამის დოკუმენტებს უგზავნის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებას.

5. ამ მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული მიმართვის და არასრულწლოვანი მსჯავრდებულის ოჯახისა და სოციალური გარემოს რისკების შეფასების და მისი საჭიროებების განსაზღვრის ფორმასა და წესს ადგენს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი.

6. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული მოთხოვნები არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როდესაც სასჯელი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 50-ე მუხლის 21 ნაწილის საფუძველზეა დანიშნული და სასჯელის სახით დანიშნული თავისუფლების აღკვეთის ვადა 3 თვეს არ აღემატება.

7. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმა უნდა მომზადდეს მის გათავისუფლებამდე სულ მცირე 2 თვით ადრე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამ ვადის დაცვა შეუძლებელია პირობით ვადამდე გათავისუფლების ან ამნისტიის/შეწყალების აქტის გამოცემის ანდა სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანის გამო.

8. არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის მოსამზადებლად მისი გათავისუფლებიდან 3 თვემდე ვადის განმავლობაში პრობაციის ეროვნული სააგენტო თანამშრომლობს დანაშაულის პრევენციის ცენტრთან და იმ ტერიტორიულ/ადმინისტრაციულ ერთეულში არსებულ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან, სადაც არასრულწლოვნის საცხოვრებელი ადგილი მდებარეობს ან სადაც ის აპირებს დაბრუნებას.

### მუხლი 99. პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვნის მხარდაჭერა და ზედამხედველობა

1. პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვანი, როგორც წესი, კანონიერ წარმომადგენელს ან/და, საჭიროების შემთხვევაში, მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს გადაეცემა.

2. დანაშაულის პრევენციის ცენტრი კოორდინაციას უწევს არასრულწლოვანი მსჯავრდებულის რესოციალიზაცია-რეაბილიტაციის გეგმის შესრულებას პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდიდან სულ მცირე 6 თვის განმავლობაში.

3. პირობითი მსჯავრისა და სასჯელის მოხდის შემდეგ არასრულწლოვნის საზოგადოებაში რეინტეგრაციისათვის მის პრაქტიკულ და ფსიქოსოციალურ მხარდაჭერას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფს დანაშაულის პრევენციის ცენტრი.

# კარი VIII

# გარდამავალი და დასკვნითი დებულებანი

## თავი XV

## გარდამავალი დებულებანი

### მუხლი 100. კოდექსის უკუძალა

1. ამ კოდექსის დებულებებს, გარდა ამ კოდექსის საპროცესო ნორმებისა, აქვს უკუძალა, თუ ამით უმჯობესდება არასრულწლოვნის მდგომარეობა.

2. ამ კოდექსის საპროცესო ნორმებში შეტანილი ცვლილებები იწვევს წინათ გამოტანილი საპროცესო აქტის გაუქმებას ან შეცვლას, თუ ამით უმჯობესდება არასრულწლოვანი ბრალდებულის/მსჯავრდებულის მდგომარეობა.

### მუხლი 101. კოდექსის ამოქმედებისათვის განსახორციელებელი ღონისძიებები

1. 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს მთავრობამ უზრუნველყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული საქართველოს მთავრობის დადგენილების მიღება.

2. 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ უზრუნველყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილების მიღება.

3. 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის, შინაგან საქმეთა, განათლებისა და მეცნიერების და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრებმა უზრუნველყონ ამ კოდექსით გათვალისწინებული კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების გამოცემა და შესაბამისი ნორმატიული აქტების ამ კოდექსთან შესაბამისობა.

4. 2016 წლის 1 იანვრამდე საქართველოს ადვოკატთა ასოციაციამ უზრუნველყოს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულებაში ადვოკატის სპეციალიზაციის დამადასტურებელი დოკუმენტის ფორმის დამტკიცება.

## თავი XVI

## დასკვნითი დებულებანი

### მუხლი 102. კოდექსის ამოქმედება

1. ეს კოდექსი, გარდა ამ კოდექსის პირველი–მე-100 მუხლებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კოდექსის პირველი–26-ე მუხლები, 27-ე მუხლის პირველი–მე-3 ნაწილები, მე-4 ნაწილის „ა“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები და მე-5–მე-10 ნაწილები, 28-ე–65-ე მუხლები, 66-ე მუხლის „ა“, „გ“, „დ“ და „ვ“ ქვეპუნქტები, 67-ე, 68-ე, 70-ე, 71-ე და 73-ე–მე-100 მუხლები ამოქმედდეს 2016 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კოდექსის 66-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და 69-ე მუხლი ამოქმედდეს 2015 წლის 1 სექტემბრიდან.

4. ამ კოდექსის 27-ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2016 წლის 1 მარტიდან.

5. ამ კოდექსის 66-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი და 72-ე მუხლი ამოქმედდეს 2017 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი
ქუთაისი,
12 ივნისი 2015 წ.
N3708-IIს